ჯონდო გაფრინდაშვილი

თბილისის ვირტუალი კლასიკური ტიმნაზია

1802-2002

უაკ (UDC) 947.922:373
თ 388

ISBN
99940-728-0-3

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ „ქართუ ჯგუფს“, რომლის ფინანსური დახმარებით შესაძლებელი გახდა ამ წიგნის გამოცემა

რედაქტორი: ნინო ჩიქოვანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მესამე ათასწლეულის, 21-ე საუკუნის დადგომა მრავალმხრივაა ღირსშესანიშნავი ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდული სულისკვეთებით აღსავსე თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიისათვის. სწორედ ამ საუკუნის პირველ სამ ათწლეულში აღინიშნება მისი შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თარიღები.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორიაში თავისებურად აისახა ჩვენი ქვეყნისათვის საბედისწერო 1801 წლის შემდგომი საქართველოს ორსაუკუნოვანი ისტორია. იგი დასაბამს იღებს 1802 წელს ორკლასიანი სასწავლებლის გახსნით. რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლების უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად მან მალე შეწყვიტა არსებობა.

დიდი კულტურული ტრადიციების საქართველოს მოწინავე, პროგრესული, პატრიოტული ძალები წუთითაც ვერ ურიგდებოდნენ რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სკოლების გაუქმებას. ანექსიის პირველი წლიდანვე გაიშალა ფართო მოძრაობა განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისა და განათლების სფეროში ქართული სულისკვეთების შესანარჩუნებლად. მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ ეს არცთუ იოლი აღმოჩნდა. ქართველ ხალხს შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდა საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში. სწორედ ამ ბრძოლის შედეგიც იყო 1803 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება იმ უდღეური სკოლის ნაცვლად, ახალი სასწავლებლის დაარსების შესახებ. იგი ფაქტობრივად 1804 წელს გაიხსნა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ სახელწოდებით. 25 წლის შემდეგ ისევ საქართველოს ინტელიგენციისა და ფართო საზოგადოებრიობის ბრძოლამ აიძულა ხელისუფლება, 1829 წლის 5 ივლისს მიეღო დადგენილება სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის შესახებ, რომელმაც მუშაობა 1830 წლიდან დაიწყო. გიმნაზიამ იარსება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

175 წელზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე თბილისის გიმნაზიას არაერთხელ გადაერქვა სახელი. მას სხვადასხვა დროს ეწოდებოდა სათავადაზნაუროც, საგუბერნიოც, კლასიკურიც, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ კურთხეული გიმნაზია (Тифлисская императора Александра I-го благословенная гимназия), თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საგანმანათლებლო უწყებათა გარდაქმნასთან დაკავშირებით, 1921 წლის 1 ოქტომბერს გიმნაზია გაუქმდა და მას ეწოდა „საცდელ-საჩვენებელი შრომითი სკოლა“.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის სახელწოდებით შეხვდა იგი საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენას, რომლის-

თვის ბრძოლის ქარტეხილებს უკვალოდ არ ჩაუვლია სკოლისთვისაც. მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ავბედითი დღეები, როდესაც ცეცხლმა შთანთქა მისი უძველესი ისტორიული შენობა. ვით ფენიქსი, ისე აღდგა ფერფლიდან სკოლა 1995 წელს, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის სახელწოდებით.

2002 წელი — თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის პირველსახის 200, 2003 წელი — გიმნაზიის წინამორბედი კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსებისა და 2004 წელი — მისი ფაქტობრივი გახსნის 200, იგივე 2004 წელი — სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის გადაწყვეტილების მიღების, 2005 წელი — გიმნაზიის ფუნქციონირების დაწყებიდან 175 წლისთავის საიუბილეო თარიღებია.

ეჭვი არ არის, რომ ამ საიუბილეო თარიღებს, სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან და კოლექტივთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნავს ქართველი ხალხი, რადგან ამ სასწავლებლის დაარსება ორი საუკუნის წინათ ნათელი სხივი იყო დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს შავბნელ სინამდვილეში.

ეს ორსაუკუნოვანი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლისა და მოღვაწეობის ისტორიასთან.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორიაზე არცთუ ცოტა დაწერილა ცალკეული ნარკვევისა თუ მოგონების სახით. მისი ისტორია თავისებურად აისახა საქართველოში საშუალო განათლებისადმი თუ სასწავლებლის ცალკეულ მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში. ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერალ ნოდარ გრიგალაშვილის შესანიშნავი წიგნი „ხე ცნობადისა" (თსუ გამომც., 1987 წ.), რომელიც დღეისათვის, ფაქტობრივად, ერთადერთი მონოგრაფიული ნაშრომია, მიძღვნილი სასწავლებლის ისტორიისადმი. ასევე საყურადღებოა ქეთევან შავგულიძის ნაშრომი „თბილისის კლასიკური გიმნაზია" (თბილისი, 1997 წ.), რომელშიც უმთავრესად გიმნაზიის მშენებლობის ისტორიაა მოთხრობილი.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორიას, ალბათ, შემდგომშიც არაერთი თხზულება მიეძღვნება. წინამდებარე ნარკვევიც მოკრძალებულ წვლილად შეიძლება ჩაითვალოს ამ თვალსაჩინო სასწავლებლის სრულყოფილი მატიანის შექმნაში.

თავი I. მძიმე და რთული გზა სასწავლებლიდან გიმნაზიამდე

1. საბედისწერო 1801 წელი და ამგავი უდღეური სასწავლებლისა

ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსათვის XIX საუკუნის დასაწყისი. 1800 წლის 18 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი სამუდამოდ მიერთების შესახებ. მანიფესტი წარმოადგენდა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკით გათვალისწინებული გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს — კავკასიაში გაბატონებისათვის გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯს. რუსეთის ხელისუფალთ კარგად ესმოდათ, რომ კავკასიაში დამკვიდრებისათვის აუცილებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა, ამავე დროს, ეს იქნებოდა სერიოზული დარტყმა ოსმალეთისა და სპარსეთისათვის, რომლებიც საქართველოს თავიანთი გავლენის სფეროდ მიიჩნევდნენ.

პავლე პირველის მანიფესტმა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა და დიდებულთა უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1801 წლის 12 მარტს მოშთობილი პავლე პირველის მემკვიდრეს, ახალ იმპერატორ ალექსანდრე პირველს ნამდვილად არ აწყობდა ტახტზე ასვლისთანავე ქართველთა წინააღმდეგობის გაღვივება, დამპყრობლის სახელის შერქმევა. მან ბრძანა კომისიის შექმნა იმის „დასადგენად", თუ რამდენად ეწინააღმდეგებოდა მამამისის მანიფესტი ქართველი ხალხის ნება-სურვილს. კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა გენერალ კარლ თედორეს ძე კნორინგს.

კნორინგს, რომელიც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის კარზე რუსეთის წარმომადგენელი იყო, პავლე პირველისაგან დავალებული ჰქონდა, ავადმყოფი მეფე გიორგის მოსალოდნელი გარდაცვალებისას მოემზადებინა ყველა პირობა, რომ შემდეგ არ დაეშვა სამეფო ტახტზე მემკვიდრის ასვლა. კნორინგმა წარმატებით შეასრულა ეს დავალება, ყველაფერი გააკეთა ქართლ-კახეთის რუსეთთან მისაერთებლად. გასაგებია, ასეთი პიროვნების მეთაურობით შექმნილი კომისია რა დასკვნას წარუდგენდა იმპერატორს. კომისიამ ისე წარმოადგინა ვითარება, თითქოს რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგენი იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენელნი, თორემ ხალხი მოხარული იყო ამ შეერთებისა, რომელიც მშვიდობასა და ბედნიერებას მოუტანდა. ასეთი „ობიექტური" დასკვნის შემდეგ როგორ შეეძლო ალექსანდრე პირველს არ დაეკმაყოფილებინა ქართველი ხალხის სურვილი?

და 1801 წლის 12 სექტემბერს მან ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთთან ქართლ-კახეთის „ნებაყოფლობითი" მიერთების შესახებ.

1802 წლის 12 აპრილს რუსეთის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში ქართველ დიდებულებს „საზეიმოდ" გააცნეს ახალი მანიფესტი. ერთი თვის შემდეგ კი შეიქმნა რუსეთის მმართველობა კავკასიის მთავარსარდალ, საქართველოს მთავარმართებელ კნორინგის მეთაურობით. მის თანაშემწედ, ანუ „საქართველოს მმართველად" დაინიშნა გიორგი მეთორმეტის სასახლის კარზე რუსეთის სახელმწიფო მინისტრად (ანუ ელჩად) ნამყოფი გენერალი პ. კოვალენსკი.

რუსეთის იმპერიის ხელისუფალთ კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის დაპყრობა, პოლიტიკური გაბატონება არ ნიშნავდა ხალხის დამორჩილებას. ჯერ კიდევ პირველი საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და მწერალი პლუტარქე წერდა ქართველთა დაუმორჩილებლობაზე[1].

ქართველი ხალხის სრული დამორჩილების ერთადერთ საშუალებად დამპყრობლებს მიაჩნდათ ეროვნული სულისკვეთების დათრგუნვა, ეროვნულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსპობა. მიზანი ერთი იყო: „სული რუსული, სხეული კი ქართული".

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: რუსეთის ხელისუფალთ სურდათ, „ქართველები უსულო იარაღად გამოეყენებინათ თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად"[2].

რუსეთის ხელისუფლება დევნიდა ყველაფერ ქართულს, უწინარეს ყოვლისა ქართულ ენას. ამიერიდან მმართველობის ენად რუსული გადაიქცა. დაიხურა ქართული სკოლები. ცოტა უფრო მოგვიანებით, 1811 წელს მოისპო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. იგი დაუქვემდებარდა მოსკოვის სინოდს, რომელმაც საქართველოში ღვთისმსახურების ენად რუსული დაამკვიდრა. იმპერიის იდეოლოგები ცდილობდნენ, საქართველო წარმოედგინათ განვითარების უაღრესად დაბალ დონეზე მდგარ ქვეყანად, სადაც კულტურა, განათლება რუსეთს შეჰქონდა[3].

ცნობილი ისტორიკოსი, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი ნიკოლოზ დუბროვინი (1837-1904 წწ.) წერდა: ალექსანდრე პირველის მანიფესტმა „საქართველოს მოუსწრო უკიდურესად აწეწილ ვითარებაში. საწყალ ქვეყანას არ ჰქონდა მოსვენება არც გარეშე, არც შინაგანი მტრებისაგან. უკანასკნელნი იყვნენ უმთავრესად ადრინდელი სამეფო სახლის წევრები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ, დაობდნენ რა ქვეყნის მფლობელობისათვის, ეძიებდნენ მხოლოდ პირად მატერიალურ უზრუნველყოფას. საქართველოს მთელი უბედურების დამნაშავენი სწორედ ისინი იყვნენ, მთავარი მიზეზი მათი ბოროტმოქმედება იყო[4].

აღნიშნულ ავტორთა შემწეობით იმპერიაში ინერგებოდა შეხედულება საქართველოზე, როგორც ჩამორჩენილი, გაუნათლებელი, უვიცი, ბარბაროსი ხალხის ქვეყანაზე. საქართველო მიჩნეული იყო მეორე ციმბირად, სადაც გადა-

სახლებაში იგზავნებოდნენ როგორც პოლიტიკური, ასევე სისხლის სამართლის დამნაშავენი, მოხელეებად კი — უმთავრესად, რუსეთში სახელგატეხილი, უვიცი, გონებაჩლუნგი, ბოროტმოქმედებად, მექრთამეებად, მორალურად გახრწნილებად აღიარებული პიროვნებანი, რომლებიც თავს დაატყდნენ დამარცხებულ არარუს ტომებს[5].

საყურადღებოა რუსეთში სახელმწიფო სასწავლებლის დამაარსებლის პირველი კომისიის წევრ პეტრე სვისტუნოვის 1801 წლის 16 ივლისის წერილი გენერალ კნორინგისადმი: „საქართველოს ქვეყანა საარაკოდ იყო ცნობილი თვით ბერძენთა და რომაელთა დროინდელი მწერლებისათვის. თვით ახალი საუკუნის მოგზაურები მის შესახებ მრავალ საინტერესოს წერენ“[6].

მართალი იყო სვისტუნოვი: საქართველოზე, როგორც საარაკო ქვეყანაზე, წერდნენ არა მარტო ანტიკური ეპოქის, არამედ მე-19 საუკუნის ევროპელი მეცნიერები და მკვლევარნი. ასე, მაგალითად, გერმანელი კარლ რიხტერი აღნიშნავდა, რომ „კარტოგრაფიულის ხელოვნების პატივი და დიდება სრულიად არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხიდელ მოგზაურ ვაჭართა შორის“[7].

ცნობილი ფრანგი მკვლევარი დიუბუა დე მონპერე კოლხიდას უწოდებდა „უძველეს და მითების ქვეყანას“, სადაც „ისტორია დაწყებულა“ და საიდანაც „განათლება გავრცელებულა“. „ბერძნებმა ბევრად თუ ცოტად მიიღეს განათლება იმ ერებისაგან, რომლებსაც ისინი ბარბაროსებს უწოდებდნენ“. დიუბუა, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში, ქართველ ერს უწოდებს დიდებულს, რომლის „თქმულებას შეუძლია ნათელი მოჰფინოს აზიის ისტორიას“[8].

დიუბუას საქართველოში ჩამოსვლამდე ოთხი წლით ადრე, 1829 წლის ზაფხულს, ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა დიდი რუსი მწერალი ალექსანდრე პუშკინი. გენიალურმა მწერალმა შეიცნო საქართველო როგორც ტურფა, წარმტაცი ქვეყანა. მისმა ხალხმა ააყვავა მოტიტვლებული ციცაბოები ნაყოფიერი ხეებით, გაიყვანა შესანიშნავი არხები გასაოცარი „ოპტიკური მოჩვენების სრულყოფით: წყალი თითქოს გორისაკენ ქვევიდან ზევით მიემართება... არხები ცხადჰყოფენ განათლების არსებობას“. პუშკინი წერდა, რომ მსგავსი რამ, თუნდაც აქაური აბანოების დარი, არ უნახავს არც რუსეთში და არც თურქეთში[9].

ქართველი ხალხის, „ამ მხარის უნაკლოდ ცოდნამ, — წერდა ა. პუშკინი, — ახალი ასპარეზი გადაუშალა გრიბოედოვს“. საქართველოში შეირთო ის, ვინც უყვარდა[10].

აი, ასეთ ქვეყანაში, აღნიშნავდა პუშკინი, გზავნიდნენ მოხელეებად უვიცებსა და გონებაჩლუნგებს. „რუსებს მოვალეობა აიძულებთ, რომ იცხოვრონ ტფილისში, რადგან ასე აქვთ ნაბრძანები. ახალგაზრდა ტიტულიარნი სოვეტნიკები მოდიან აქ ესოდენ სასურველ ასესორთა ჩინისათვის. ერთნიც და მეორენიც საქართველოში ყოფნას განდეგნად სთვლიან“.

იმ უვიც მოხელეებს არა, მაგრამ შეუძლებელია, დუბროვინებს, კოვალევსკებს, ბურნაშოვებს, მოგილევსკებს მაინც გაგონილი არ ჰქონოდათ, რომ IV საუკუნეში ფაზისში არსებობდა ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა, „მუზის ტაძრად" წოდებული, იგივე აკადემია, სადაც ქართველებთან ერთად განათლებას იღებდნენ ბერძენი ახალგაზრდები; რომ XII საუკუნეში საქართველოში არსებობდა გელათის, იყალთოსა თუ გრემის აკადემიები. ასევე შეუძლებელია, არ სმენოდათ, რომ 1799 წელს გიორგი მეთორმეტეს იოანე ბატონიშვილმა მიართვა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტი, რომელშიც არის სპეციალური განყოფილება „სკოლებისა და სასწავლებლებისათვის". მასში ავტორი აყენებს უმაღლესი ტიპის სასწავლებლების მოწყობის საკითხს, სადაც ასწავლიდნენ ქართულ, სომხურ, რუსულ და, შეიძლება, ბერძნულ და ლათინურ ენებს[11].

გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ქართულ სკოლებს აუქმებდა, რა თქმა უნდა, მის განხორციელებას არც იფიქრებდა. საქართველოში განათლების შუქის პირველშემტანნი რომ რუსები იყვნენ, ამ აზრის გაბატონებას მონარქიის სამსახურში მყოფი ავტორები ცდილობდნენ არა მხოლოდ საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში, არამედ საქართველოში რუსეთის ბატონობის მთელ პერიოდში. ასე, მაგალითად, 1910 წელს გამოცემულ წიგნში პროფესორი კოვალევსკი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატები ამტკიცებდნენ, თითქოს რუსეთი მათ ქვეყანაში დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებდა. ეს იმ დროს, როდესაც რუსმა ხალხმა, თურმე, ქართველები გაულეტისაგან იხსნა. ეს კი რუს ხალხს სისხლის ფასად დაუჯდა. განრისხებული პროფესორი წერდა: „დაე გაეჟლიტათ სპარსელებსა და თურქებს მთელი ეს ქართველთა ურდო, რომ მათი სახსენებელიც არ დარჩენილიყო... ჩვენც მშვიდად ვიქნებოდით. ჩვენი მოსახლეობაც მეტი იქნებოდა". ამის შემდეგ პროფესორი სვამს კითხვებს: მართალნი ვიყავით, რაც გავაკეთეთ? უნდა შევინარჩუნოთ თუ არა ჩვენი მამების სისხლით მორწყული და ჩვენი წინაპრების უკანასკნელი გროშებით გამდიდრებული კავკასია? — კოვალევსკის პასუხი ერთი აქვს: „ჩავებღაუჭოთ კავკასიას, როგორც ჩვენს საკუთრებას და ვაიძულოთ სათათბიროს ტაკიმასხარები, დაიმოკლონ თავისი ბილწი ენები, ხოლო ქართველი ხალხი წითლდებოდეს სათათბიროში ასეთთა არჩევისათვის, რომლებმაც გამოავლინეს სრული უხამსი უმადურობა დამპყრობელი ხალხისადმი, რომელმაც იხსნა მათი წინაპრები სრული გაჟლეტისაგან... ჩვენი მოვალეობაა კავკასიის შენარჩუნება მთელი თავისი ერთიანობითა და დანაწევრებულობით. ეს ჩვენი სისხლის მოვალეობაა ჩვენი ხალხის სისხლის წინაშე. ეს ჩვენი ღირსების ვალია ჩვენი სამშობლოს ღირსების წინაშე. ეს ჩვენი ცხოვრების ვალია მბრძანებელი ერის ვალის წინაშე. და ჩვენ ამას გავაკეთებთ უტიფარ უცხოტომელთა სიტყვების მიუხედავად"[12].

სამწუხარო ის არის, რომ რუს შოვინისტთა მხრიდან ქართველი ხალხისადმი ღვარძლი დღესაც ინთხევა. მაშინაც იყვნენ და დღესაც არიან ჩვენში პიროვნებანი, რომლებიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, იმათ დამცველებად გამოდიან, ვინც ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას ემუქრება, რუსი ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებად ნათლავენ თანამედროვე რუს შოვინისტთა მხილებას. ამ უკანასკნელთა მსგავსად, ისინი 1801 წელს საქართველოსათვის საბედისწეროდ კი არა, ქართველი ხალხის გამაბედნიერებელ წლად, ხოლო საქართველოს თითქმის რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. ამ პიროვნებებს არ ესმით ან არ სურთ გაიგონ, რომ საქართველოს პროგრესული ძალები მაშინაც და დღესაც გამოდიოდნენ და გამოდიან ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის ხელყოფის წინააღმდეგ, რუსი დამპყრობლები ცდილობდნენ და ცდილობენ ქართულ სხეულში რუსული სულის ჩანერგვას.

დამპყრობლები პირველი დღიდანვე შეუდგნენ, ქართველი ხალხის სულიერი გადაგვარების მიზნით, მშობლიური ენის ნაცვლად რუსულის დანერგვას, სურდათ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებიდან აღმოეფხვრათ „ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა“ (იოანე ზოსიმე), ენა, რომელიც ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე დაიცვა და დღემდე მოიტანა. ეს იყო შედეგი იმ რწმენისა, რაც ასე დიდებულად ჩამოაყალიბა გრიგოლ ორბელიანმა: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“.

დამპყრობლები ცდილობდნენ, ქართველი ხალხი წარმოედგინათ უმეცრად, გაუნათლებლად, ამის მთავარ მიზეზად რუსული ენის უცოდინარობას მიიჩნევდნენ. ჯერ კიდევ 1800 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენლად მყოფი კოვალენსკი წერდა, რომ მიუხედავად მისი გულმოდგინებისა, მართლმსაჯულების წესს, სამეფოს კეთილმოწყობას, ხალხის განათლებას არ მიეცა დასაბამი[13].

როგორც კნორინგი, ასევე კოვალენსკი ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ თუ მთელი ხალხი არა, თავადაზნაურობა მაინც, რომ მხოლოდ რუსული ენის მეშვეობით შეიძლებოდა ზიარებოდნენ იმ ნეტარებას, რასაც რუსეთის მმართველობა უმზადებდა მათ[14].

ეს ნეტარება კი მიიღწეოდა მხოლოდ რუსული სკოლების მეშვეობით. ამიტომ გაიშალა საქმიანობა თბილისში რუსული სკოლის დაარსებისათვის. კავკასიის სამხედრო ხაზის მთავარსარდალსა და საქართველოს მთავარმართებელს კნორინგს, სამხედრო-პოლიტიკური საქმეებით გადატვირთვის გამო, უმთავრესად ყოფნა უწევდა კავკასიის საგამგებლო ცენტრ გეორგიევსკში, საქართველოს სამოქალაქო საქმეები მთლიანად საქართველოს მმართველ კოვალენსკის გადააბარა. რა გასაკვირია, რომ კოვალენსკის თავი წარმოედგინა ქართველი ხალხის განმანათლებლად. 1802 წლის 5 სექტემბერს იგი მიმართავდა

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, რომ გამოეგზავნათ შვილები მომავალ სასწავლებელში. იგი ქადაგებდა, რომ სკოლის სიკეთე გააცისკროვნებდა ისეთ კეთილმოუწყობელ ქვეყანასა და გაუნათლებელ ხალხს, როგორიც საქართველო და ქართველები იყვნენ. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მზრუნველობით, საქართველოში რუსული მმართველობის გახსნით შესაძლებელი გახდა საქართველოში განათლების შემოღება, რაც გაზრდიდა იმპერიისათვის აქაურ მოსამსახურეთა რიგებს[15].

1802 წლის 22 სექტემბერს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა ორკლასიანი რუსული სასწავლებელი ქართველ დიდებულთა და საქართველოში მოსამსახურე რუს მოხელეთა შვილებისათვის. კოვალენსკი სკოლის გახსნიდან მეოთხე დღეს პატაკობდა გეორგიევსკში კნორინგს, რომ, მართალია, სკოლა დასაწყისში გათვალისწინებული იყო 45 მოწაფისათვის, მაგრამ იმედს გამოთქვამდა, რომ მოწაფეთა რიცხვი გაიზრდებოდა და შემდეგში უფროსი კლასებიც გაიხსნებოდა. თუმცა სასწავლებელი რუსული იყო, მაგრამ სწავლა უნდა წარმართულიყო ორივე ენაზე — რუსულსა და ქართულზე.

სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა მთავარმართებლის კანცელარიის თანამშრომელი, იმპერიის სამსახურებრივ იერარქიაში მეშვიდე კლასის მოხელე, „ნადვორნი სოვეტნიკი" კორნეევი, რუსული ენის მასწავლებლად — ასევე კანცელარიის მოხელეები, საგუბერნიო რეგისტრატორები პლეშჩევი და პოკროვსკი, ქართული ენის მასწავლებლად — კავკასიის გრენადერთა პოლკის მღვდელი მამა გრიგორი[16].

კოვალენსკი სთხოვდა კნორინგს, აღეძრა შუამდგომლობა ხელისუფლების წინაშე გეოგრაფიისა და სხვა საგნების მასწავლებლების, საგნების სახელმძღვანელოებისა და სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოგზავნის შესახებ[17]. კოვალენსკიმ პატაკს დაურთო პროექტი „წესებისა ქალაქ თბილისში პირველად დაარსებული სასწავლებლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის"[18].

წესები შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1. თბილისში დაარსებული სასწავლებლის შესახებ; 2. მასწავლებელთა მოვალეობის შესახებ; 3. მოსწავლეთა მოვალეობის შესახებ და 4. სასწავლებლის დირექტორის შესახებ.

ზოგადად გავეცნოთ ამ წესებს:

1. წესები იმედოვნებდა მომავლისათვის მოსწავლეთა რიცხვის გაზრდას და უფროსი კლასების გახსნას. სწავლება უნდა წარმართულიყო რუსულ და ქართულ ენებზე. მოსწავლეებს უნდა შესძლებოდათ ამ ენებზე წერა, სამოქალაქო და საეკლესიო წიგნების კითხვა, წაკითხულის შინაარსის გაგება და მოყოლა. უნდა ესწავლათ დაწყებითი არითმეტიკული წესები: მიმატება-გამოკლება, გამრავლება-გაყოფა. პირველი კლასის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოსწავლეები გადავიდოდნენ მეორე კლასში, სადაც ორივე ენაზე ისწავლიდნენ მოკლე კატეხიზისს, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, გეო-

ომეტრიას, არითმეტიკას, ხატვას, მოსწავლეებს უნდა მიეღოთ ლექსიკონის გამოყენების ჩვევები. იქვე ჩამოთვლილი იყო საჭირო სახელმძღვანელოები, ხელსაწყოები და სხვა ნივთები. გათვალისწინებული იყო: ბიბლიოთეკის შექმნა, დამატებითი საათების დაწესება უმაღლესი მათემატიკის, არქიტექტურის, მექანიკის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის და თეორიის შესასწავლად, რისთვისაც მასწავლებლებს უნდა დანიშნოდათ დამატებითი ანაზღაურება.

2. წესები სწორად მიუთითებდა, რომ მასწავლებლის წოდება საპატიო და საპასუხისმგებლოა. იგი მოითხოვს საზოგადოებისაგან დიდ ყურადღებას და პატივისცემას, რადგან იგი ხელმწიფესა და ქვეყანას ემსახურება. ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მასწავლებლის მოვალეობა-ვალდებულებანი. მასწავლებელი მოსწავლეთათვის სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, პატიოსნების მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო. არ უნდა დაეშვა სიყალბე, სიცრუე, უწესობა, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა.

3. მოსწავლეებს მტკიცედ უნდა დაეცვათ წესებში ჩამოყალიბებული დღის რეჟიმი. მათ წმინდა მოვალეობად იყო მიჩნეული მშობლებისადმი, მასწავლებლებისადმი, საერთოდ, უფროსებისადმი პატივისცემა, მორჩილება და მათი ბრძანების ზუსტი შესრულება. თანატოლებისადმი მეგობრული და უმცროსებისადმი ალერსიანი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ. დაგმობილი იყო ქედმაღლობა, მოსწავლეებს ყოველთვის უნდა ეტარებინათ საჭირო ნივთები. „მათ გარეშე მოსწავლე კლასში იგივეა, რაც ჯარისკაცი იარაღის გარეშე".

4. სასწავლებლის დირექტორს მოეთხოვებოდა მეცნიერებისადმი სიყვარული, კეთილგონივრული დამოკიდებულება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისადმი. წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება წიგნებითა და სიგელებით.

შეიძლება ითქვას, რომ წესები ურიგო არ იყო, სხვა საქმე იყო, თუ როგორ შეძლებდნენ მათ შესრულებას ან დირექტორი, ან დასახელებული მასწავლებლები, რომლებსაც არც ელემენტარული პედაგოგიური ჩვევები ჰქონდათ და არც იმ საგნების ცოდნა, რასაც ასწავლიდნენ, არც სურვილი შესწავლისა. არც კორნევმა, არც პლეშჩევმა და პოკროვსკიმ ქართული არ იცოდნენ, მამა გრიგორი კი პედაგოგობისაგან შორს იდგა.

6. დუბროვინი წერდა: „ამ წესებში ფართო რუსული ნატურა გამოჩნდა. უხეში და გაუნათლებელი ვაჟების გადაქცევა სურდათ არა მარტო წერა-კითხვის, არამედ გეომეტრიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვა საგნების მცოდნეებად, ანბანთან ერთად პარალელურად ეკითხებოდათ ეს საგნებიც; ამით ქაღალდზე ყველაფერი კარგად და გამართულად ჩანდა, სინამდვილეში კი არაფერს წარმოადგენდა"[19].

კოვალენსკის მსგავს „ფართო რუსული ნატურის" ადამიანებს „სურდათ, ქართველები პირდაპირ ენციკლოპედისტებად და ყველაფრის მცოდნეებად ექციათ. საფუძვლიანად კი ვერაფერს ასწავლიდნენ. ველური ბიჭების დატენვა

დაიწყეს გეომეტრიული ფიგურებითა და თეორემებით"[20]. „კოვალენსკი ფიქრობდა ერთი კალმის მოსმით მთელი საქართველოს განათლებულად გადაქცევას" და „ვერ განსაზღვრა, რომ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა უაღრესად დაბალ დონეზე მდგარ, გაუნათლებელ საქართველოში"[21].

დუბროვინი ამ „უტოპიური" განზრახვის განუხორციელებლობის მიზეზად მიიჩნევდა იმას, რომ ამ „ველურმა ბიჭებმა" სასწავლებელში სიარული შეწყვიტეს. დუბროვინი არაფერს ამბობდა იმაზე, რატომ არ გატარდა გადაწყვეტილება სწავლების ორივე ენაზე წარმართვის შესახებ. „ველური ბიჭებისათვის" კი შეუძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ მათთვის გაუგებარ რუსულ ენაზე მეცადინეობა. დუბროვინი არც იმაზე ლაპარაკობდა, რომ მასწავლებლებს, კანცელარიის ყოფილ მოხელეებს არაფერი ესმოდათ არც იმ საგნისა, რასაც ასწავლიდნენ და არც მოსწავლეებისა, რომლებსაც ასწავლიდნენ. არც იმის ნამდვილი მიზეზია ახსნილი, სასწავლებელმა იმავე 1802 წლის ბოლოსათვის რად შეწყვიტა არსებობა. სასწავლებლის დახურვის მიზეზი უფრო სერიოზული იყო, ვიდრე დუბროვინს სურდა წარმოედგინა.

1802 წელს, იმპერიაში განათლების საქმის მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის მიზნით, შეიქმნა სახალხო განათლების სამინისტრო, რომელსაც შეუერთდა სასწავლებელთა მთავარი სამმართველო. თბილისის სასწავლებელი არ შედიოდა არც სამმართველოს სისტემაში და შემდგომ სამინისტროსაც არ დაქვემდებარებია. ადმინისტრაციულად, სამეურნეო და სასწავლო დარგში სასწავლებელი მთავარმართებლობის გამგებლობაში შედიოდა. რამდენადაც მთავარმართებელი ვერ იცლიდა სასწავლებლისათვის, ყველაფერი საქართველოს მმართველ კოვალენსკის მიენდო.

კოვალენსკი ადრეც ამჟღავნებდა კარიერისტულ და „მერკანტილისტურ" მიდრეკილებას. სინამდვილეში იგი მერკანტილიზმს ურევდა სპეკულიანტიზმში, მექრთამეობასა და მევახშეობაში. ამჯერადაც იგი გარეული აღმოჩნდა დანაშაულებრივ საქმიანობაში. ეს ის პერიოდი იყო „როდესაც თბილისში სურსათი ძალზე გაძვირდა. „კატასტროფულად ეცემოდა რუსული ფულადი კუპიურის — ჩერვონეცის კურსი. რუს მოხელეებს კი ხელფასი ჩერვონეცებით ეძლეოდათ. კოვალენსკი ჩარჩ-ვაჭრებს დაუკავშირდა, ხაზინის სასარგებლოდ მოსახლეობისაგან აკრეფილ ვერცხლის ფულს ჩერვონეცებზე ცვლიდა და იჯიბავდა. მმართველის მიბაძვით, მოხელეებმაც ხელი მიჰყვეს ბოროტმოქმედებას[22].

კოვალენსკის დანაშაულებრივმა თვითნებობამ სასწავლებლისადმი დამოკიდებულებაშიც იჩინა თავი. კოვალენსკი არ ამხელდა ზემდგომი ხელისუფლების წინაშე, რომ სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა და მისთვის განკუთვნილ თანხებს ითვისებდა.

მიუხედავად მცირე ხნის არსებობისა, 1802 წლის 22 სექტემბერს გახსნილმა სასწავლებელმა ახალ პირობებში განათლების სისტემის ჩამოყალიბებისათვის

მაინც გარკვეული როლი შეასრულა. იმპერიის ხელისუფლება, თუმცა აუქმებდა ეროვნულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის სკოლებსაც, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ახალი დაწესებულებანი. ისიც აშკარა გახდა, რომ რუსეთიდან გამოგზავნილი, უმეტესად სახელგატეხილი მოხელეები საქართველოში ვერ შექმნიდნენ მმართველობისა და ბატონობის მტკიცე საფუძველს. აუცილებელი იყო ადგილობრივ მმართველობაში, თუნდაც დაბალ თანამდებობებზე, ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლების ჩაბმა, ელემენტარულ განათლებამიცემულ ადგილობრივ მოხელეთა მომზადება. მომავლისათვის აუცილებელი იყო უფრო ფართო განათლების, რაც მთავარია, რუსული ენის მცოდნე სამოხელეო კადრების მომზადება ქართველ თავადაზნაურთა შვილებისაგან. ამ მიზნით გაიხსნა თბილისის ორკლასიანი სასწავლებელი, თუმცა მას მაშინ ოფიციალურად არ ეწოდა კეთილშობილთა, მაგრამ იგი თავიდანვე საქართველოს დიდებულთა და რუს დიდმოხელეთა შვილებისათვის იყო გათვალისწინებული.

სასწავლებლის ხანმოკლე არსებობაც ცხადყოფდა მის ორგანიზაციაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგებს. სასწავლებლიდან ქართული ენის განდევნა და სწავლების მხოლოდ რუსულ ენაზე წარმართვა საზიანო აღმოჩნდა თვით რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის.

ნ. ხორინგისა და კოვალენსკის მმართველობას ზუსტად მიესადაგებოდა დიდი ილიას სიტყვები პოემიდან „აჩრდილი“: „ვერა-ვერა ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, ვისაც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება“, ვინც „თვით ერის ენას — მაგ ერის განძს იგი დევნიდა, სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება, რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი, რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება, რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და სული“.

ნ. დუბროვინიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ კნორინგის დანიშვნა საქართველოს მთავარმართებლად, ხოლო კოვალენსკისა — სამოქალაქო მმართებლად შეცდომა იყო. ისინი ქართველებში პატიოსანი სახელით ვერ სარგებლობდნენ და უკმაყოფილება გამოიწვიეს[23]. იქვეა აღნიშნული, რომ „კოვალენსკის მთელი საქართველო ვერ იტანდაო“[24]. დუბროვინი წერდა, რომ „კნორინგი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა“, საქართველოში მმართველობის მოუწესრიგებლობის მიზეზი არა მარტო რუს მოხელეთა თვითნებობა, არამედ ხალხისაგან მმართველობის მოწყვეტა იყო, მმართველობა არ ითვალისწინებდა ხალხის ხასიათს და იგი აშკარად დამონებული ჰყავდაო[25]. ამასთან დაკავშირებით, ძალაუნებურად გვახსენდება იოანე ბატონიშვილის ნათქვამი: „სულ ცუდის მოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლულევანებაში“[26]. ნ. დუბროვინი განაგრძობს: არსებული მმართველობა „მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მმართველობა არ არსებობს ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ ქართველები არიან შექმნილნი მმართველობის თვითნებობისათვის, რომ მმართველი კი არ

არის მოწოდებული ქვეყნის მოწყობისა და თითოეულის კეთილდღეობისათვის, არამედ საქართველოა შექმნილი მხოლოდ იმისათვის, რომ კოვალენსკი იყოს მისი მმართველი. გასაგებია, რომ ასეთი შეხედულებისას ქვეყნის მართვაში წესრიგი არ დამყარდებოდა, ხალხი მმართველობით კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მისი შეცვლა ენდომებოდა"[27].

ხალხის უკმაყოფილებისა და სუსტი მმართველობის გამო, როგორც ეს ალექსანდრე პირველის რესკრიპტშია აღნიშნული, იმპერატორმა აუცილებლად მიიჩნია 1802 წლის სექტემბერში კნორინგი გაეწვია მხარის მმართველობიდან[28].

2. პავლე ციციანოვი და სასწავლებელი

ვერა, ვერ მართა კნორინგმა ერი, რომლის არც სიყვარული და არც შეწყნარება არ ჰქონდა. მისმა სუსტმა მმართველობამ, სიძულვილმა ერისადმი, რომლის მართვა დაეკისრა, ქვეყანაში უკმაყოფილება და არეულობა გამოიწვია. „უკეთესი წესრიგისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებელი იყო მმართველობის სათავეში ისეთი ადამიანის დაყენება, რომელსაც ეცოდინებოდა ხალხის ხასიათი, გაიგებდა მის გასაჭირსა და მოთხოვნებს, ქვეყანას გაწმენდდა დაგროვილი ნაგვისაგან, ამასთან, ექნებოდა მტკიცე ხასიათი და საკმარისი ენერგია"[29]. ასეთ პიროვნებად იმპერატორმა შეარჩია გენერალ-ლეიტენანტი (მალე ინფანტერიის გენერლად დაწინაურებული) თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი. „წარმოშობით ქართველი, თავადი ციციანოვი მოწოდებული იყო წესრიგის დასამყარებლად და მან იმპერატორის ნდობა ბრწყინვალედ გაამართლა"[30].

ციციანოვის დანიშვნით იმპერატორმა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილის მოთხოვნა — ქვეყნის მმართველობა ქართველს მიენდო. იმპერატორს, რა თქმა უნდა, არც უფიქრია დაეკმაყოფილებინა მეორე ნაწილის სურვილი — აღედგინა რუსეთის მმართველობის ქვეშ ბაგრატიონთა ხელისუფლება. თუმცა გულდაწყვეტილი არც ის დაუტოვებია: ციციანოვი ნათესავად ერგებოდა გიორგი მეთორმეტის ქვრივს — მარიამ დედოფალს, გვარად ციციშვილს.

პავლე ციციანოვის პაპა პაატა (პავლე) ციციშვილი ვახტანგ მეექვსესთან ერთად გაემგზავრა რუსეთში. შვილიშვილი, რომელსაც მის პატივსაცემად დაარქვეს პავლე, იქ დაიბადა. რუსეთში მიიღო სამხედრო განათლება. 1796 წელს სპარსეთში გენერალ ზუბოვის სარდლობით მოწყობილი რუსეთის ჯარის ლაშქრობაში მონაწილეობდა. მაშინ გაეცნო ამიერკავკასიას. ამიტომ ფიქრობდა იმპერატორი, რომ პ. ციციანოვს ეცოდინებოდა ქართველთა ხასიათი, ჩაწვდებოდა მათ გასაჭირსა და მოთხოვნებს. ალექსანდრე პირველი ვარაუდობდა (შე-

იძლება არცთუ უსაფუძვლოდ), რომ „პავლე ციციანოვის ქართული წარმოშობა და ნათესაობა ძველ სამეფო სახლთან უდავოდ ხელს შეუწყობდა მას ადგილობრივ ფეოდალებთან საერთო ენის გამონახვაში"[31].

რუსეთში დაბადებულ და აღზრდილ პავლე ციციანოვს, გარდა წარმომავლობისა, ქართველობისა თითქმის არაფერი, გვარიც კი არ შერჩა. უდავოდ ნიჭიერი და საკმაოდ განათლებული ციციანოვი ცარიზმის ერთგული მსახური და მისი პოლიტიკის ულმობელი გამტარებელი იყო. ალ. სუვოროვი მას „მამაც გენერალს", ეკატერინე მეორე „ჩემს გენერალს" ეძახდა, ხოლო კავკასიელები — „მრისხანე თავადს". იგი ხასიათდებოდა მეტისმეტად ამაყ, ფიცხ, ჯიუტ პიროვნებად, რომელიც „უმთავრესად ძალადობა-დაშინების გზით მოქმედებდა, მაგრამ ხშირად მახვილი დიპლომატიური მანევრირებითაც აღწევდა მიზანს, დაშინების, მოფერების, სამხედრო ძალების მოხდენილი მოძრაობის, რუსეთის მფარველობის ძალად თავზე მოხვევისა თუ სხვა საშუალებებით ციციანოვმა მოკლე ხანში შეძლო რუსეთის იმპერიის ფარგლების გაფართოება ამიერკავკასიაში"[32]. ყოველივე ამას კი „ციციანოვი ძველი ქართული სამეფოს საზღვრების აღდგენად ასაღებდა"[33]. ამის გამო ზოგიერთთა თვალში ციციანოვი ითვლებოდა საქართველოს პატრიოტად და მისი ერთიანობისათვის მებრძოლად. ბევრს იგი ეგონა „ჩვენებურ თავადიშვილად და არა რუსის გენერლად"[34].

ციციანოვი იმპერატორის დიდი ნდობით იყო აღჭურვილი და მას ისეთი უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რაც უფრო მოგვიანებით ზოგიერთ მეფისნაცვალსაც კი არ ჰქონია. ასეთი ნდობა მან იმით დაიმსახურა, რომ იყო „განუსაზღვრელი ერთგული რუსეთის ტახტისა"[35].

ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) მას ახასიათებს გაორებულ პიროვნებად: ერთის მხრივ, რუსეთის სამეფო ტახტის „განუსაზღვრელ ერთგულად", განსაკუთრებული სისასტიკით რომ ეპყრობოდა ქართულ სამეფო საგვარეულოს, თავის თანამოგვარეებსაც კი; მეორეს მხრივ, ციციანოვი „მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ აღედგინა ძველი ტერიტორია საქართველოსი, დაემშვიდებინა, დაეწყნარებინა და განათლება გაევრცელებინა ამ ქვეყანაში. საქართველოს „თავის სამშობლოს" ეძახის და განგებას მადლობას სწირავს, რომ წილად არგუნა ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობა". ამის შემდეგ, განაგრძობს ფრონელი, „ძნელია მიხვდეს ეხლა ადამიანი, რას ეტანებოდა, რას შესტრფოდა, რა სწადდა თავად პავლე დიმიტრის ძეს და რა აზრითა ჰხელმძღვანელობდა თავის მოღვაწეობაში, საით მიისწრაფებოდა მისი სულისკვეთება"[36]. ამ კითხვების პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი ყოფილიყო — რუსეთის სამეფო ტახტის „განუსაზღვრელი ერთგული" ციციანოვი რუსიფიკატორული პოლიტიკის განუხრელი და მოქნილი გამტარებელი იყო. ამ პოლიტიკის მახვილი დიპლომატიური მანევრირებით გატარების უნარი მან გამოავლინა თუნდაც 1804 წელს მთიულეთის აჯანყების დროს. აჯანყების სასტიკ ჩახშობასთან ერთად, ციციანოვმა მოქნილი პოლიტი-

კით შესძლო როგორც აჯანყებული გლეხების, ასევე აჯანყების მონაწილე ზოგიერთი თავადიშვილის შემორიგება. ციციანოვი „ქართლ-კახეთში საშინაო განხეთქილების მთავარ მიზეზად აღიარებდა ყოფილი სამეფო სახლის წევრთა მოქმედებას და რუსული მმართველობის მოუწესრიგებლობას. ალექსანდრე პირველი ავალებდა ციციანოვს, რომ დაეთანხმებინა ქართველი ბატონიშვილები რუსეთში გადასახლებაზე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიემართა ძალდატანებისათვის"[37]. ციციანოვმა ბრწყინვალედ შეასრულა იმპერატორის დავალება — 1803-1805 წლებში ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები თითქმის უკლებლივ გადაასახლა რუსეთში. ამ ღონისძიების გატარება პირველ რიგში დაიწყო გიორგი მეთორმეტის ოჯახის წევრთა, თავისი ნათესავის, ქვრივი მარიამ დედოფლის გასახლებით.

ციციანოვმა მკაცრად შეაფასა თვით რუს მოხელეთა საქმიანობა ადგილობრივ მმართველობაში და დაიწყო უღირსთა გაძევება. ამავე დროს, იმპერატორს სთხოვდა, რომ რუსეთიდან არ გამოეგზავნათ იქ გადაყენებული და სახელგატეხილი პიროვნებანი. ამ თხოვნას პასუხობს იმპერატორის რესკრიპტი, სადაც იგი აღნიშნავდა: „მე ვბრძანებ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ საქართველოში სხვადასხვა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მოხელეებად შეირჩნენ რაც შეიძლება საუკეთესო პიროვნებანი და ისინი დანიშნულების ადგილზე დაუყოვნებლივ გაიგზავნონ"[38]. სამწუხაროდ, იმპერატორის ეს ბრძანება ყოველთვის არ სრულდებოდა. კვლავ გრძელდებოდა საქართველოში მოხელეებად უღირსთა გამოგზავნა, განსაკუთრებით ციციანოვის შემდეგ.

ციციანოვმა ძველი სამეფოს ფეოდალი მოხელეებიც მოიმადლიერა: მათი სია წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც მათ პერსონალური პენსიებიც დაუნიშნა და რუს მოხელეთა წოდებებიც მიანიჭა[39]. ციციანოვის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მისი მმართველობის დროს დაიწყო რუსული კანონების ქართულად თარგმნა, რაც ქართული საზოგადოებრიობის რუსულ მმართველობასთან დაახლოების საშუალებად იქნა მიჩნეული. ამავე მიზანს ემსახურებოდა პროკურორის თანამდებობის დაწესება, რომელსაც ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კონტროლი დაევალა. ციციანოვმა 1804 წელს აღადგინა ერეკლე მეორის თაოსნობით დაარსებული და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას განადგურებული ქართული სტამბა[40]. იმავე წელს თბილისში პირველი აფთიაქი გაიხსნა. ციციანოვის ინიციატივით დაიწყო ცალკეული რაიონების დამაკავშირებელი გზების მშენებლობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგანმანათლებლო სფეროში გატარებული ღონისძიებანი. ახალდანიშნული ციციანოვი კავკასიის ხაზის მთავარსარდლის შტაბბინიდან, გეორგიევსკიდან 1802 წლის 28 დეკემბერს სწერდა განათლების მინისტრ პეტრე ვასილის ძე ზავადოვსკის, რომ საქართველოს მმართველმა კოვალენსკიმ აცნობა მას 1802 წლის 22 სექტემბერს თბილისში გახ-

სნილი ორკლასიანი სკოლის შესახებ. ციციანოვი საგანგებოდ აღნიშნავდა ამ საქმეში კოვალენსკის დამსახურებას. ქვეყანაში, — წერდა ციციანოვი, — სადაც სამართალწარმოება რუსულ ენაზეა, ამ ენის უცოდინრობა მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში აგდებს. სკოლა კი მოსწავლეებს რუსულ ენას შეასწავლისო. ამიტომ ციციანოვი სთხოვდა მინისტრს მაღალკვალიფიციური მასწავლებლების, სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურისა და სხვა საჭირო მასალის გამოგზავნას. წერილს თან ერთვოდა სწავლების წარმართვის წესი: «Порядок, соблюдаемый в училище к преподаванию учения»[41]. ამ დოკუმენტის მიხედვით, სასწავლებელი ორგანყოფილებიანი უნდა ყოფილიყო. თითოეულში იქნებოდა I და II კლასები. ერთში საგნების სწავლება იქნებოდა რუსულ ენაზე, მეორეში — ქართულ ენაზე. რუსულ განყოფილებაში სავალდებულო იქნებოდა ქართული ენის სწავლება, ქართულ განყოფილებაში — რუსული ენისა. 70-იან წლებში კავკასიის სამხარეო სასწავლო ოლქის ინსპექტორი ლ. მოძალევსკი საქართველოში განათლების საკითხებით ციციანოვის დაინტერესებას იმით ხსნიდა, რომ იგი იყო „სისხლით ქართველი და განათლებით ევროპელი"[42].

ციციანოვი ზავადოვსკის წერილს რომ უგზავნიდა, იმ დროს თბილისის სასწავლებელი აღარ არსებობდა. თბილისში 1803 წლის იანვარში ჩამოსვლის შემდეგ იგი საფუძვლიანად გაეცნო ვითარებას, 1803 წლის 27 ივნისს წერილები გაუგზავნა იმპერატორსა და განათლების მინისტრს. იმპერატორისადმი წერილში აღნიშნავდა რუსული ენის სწავლების აუცილებლობას. იმეორებდა რუსეთის ზედაფენებში გაბატონებულ აზრს ქართველთა დაბალი კულტურული დონის შესახებ. აღნიშნავდა, რომ აქაურმა თავადობამ არათუ რუსული, მშობლიური ენაც კი არ იცის წესიერადო. ამან შთააგონა ციციანოვს, როგორც თვითონ წერდა, რომ გაეშალა ნაყოფიერი საქმიანობა საქართველოში განათლების პირველი სხივის შესატანად. თუ მთელი ხალხი ვერა, თავადაზნაურობა მაინც გაენათლებინა. ქართველი ხალხი მხოლოდ რუსული ენის შესწავლით შეიცნობდა იმ სიკეთეს, რასაც მას რუსეთის ხელისუფლება უმზადებდა[43].

ციციანოვი რუსული ენის სწავლების აუცილებლობას იმითაც ხსნიდა, რომ აქ თარჯიმანთა დიდი ნაკლებობა იყო. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიიჩნევდა სასწავლებელს, რომელიც ახალგაზრდებს რუსულ ენას შეასწავლიდა და ამით მომავალ თარჯიმნებსაც მოამზადებდა. მან წერილს დაურთო „პროექტი ქართველ თავადაზნაურთა განათლებისათვის თბილისში სასწავლებლის დაარსების შესახებ"[44]. პროექტში მითითებულია სასწავლებლის დირექტორის, საგნების მასწავლებელთა და თანამშრომელთა სავარაუდო ხელფასებიც.

მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი, ფაქტობრივად, ბოდიშის მოხდაც იყო 1802 წლის 28 დეკემბრის წერილის გამო[45].

ციციანოვის სიტყვით, იგი კოვალენსკიმ შეიყვანა შეცდომაში, როდესაც მინისტრს აცნობა თბილისში სასწავლებლის გახსნის შესახებ: „თავი ვალდებუ-

ლად ჩავთვალე, თქვენს წინაშე აღმენიშნა კოვალენსკის დამსახურება, მაგრამ, რა დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც თბილისში ჩამოსულმა ვერ ვნახე ვერც მოწაფეები, ვერც მასწავლებლები, თვით სასწავლებელიც კი! როგორც საქართველოს ყოფილი მმართველი კოვალენსკი მიმტკიცებს, მოწაფეებმა სიარული შეწყვიტეს მიუჩვეველობისა და აქაური ხალხის ველურ ზნე-ჩვეულებათა გამო. მასწავლებლები, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, კანცელარიის მუშაკები, ჩემი აზრით, დროებით მიიწვიეს სასწავლებლის გახსნისათვის, რადგან სხვა მასწავლებლები არ იყვნენ. სასწავლებლის კუთვნილებად წოდებული სახლი, ჯარს რომ გადაეცა სადგომად, ცარიელი აღმოჩნდა და პატრონს დავუბრუნე მოთხოვნისამებრ. ამრიგად, სიხარული ჩემს წინაპართა სამშობლოს განათლებისა და საქართველოს კეთილშობილთა სასწავლებლის შესახებ, თქვენი კეთილშობილებისათვის შეტყობინება უსაფუძვლო აღმოჩნდა და თვალის დახამხამებაში გაქრა“.

ციციანოვი იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა სიტყვა პრაქტიკულ საქმიანობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. იგი კეთილშობილთა სასწავლებლის საჭიროებაზე მხოლოდ სიტყვიერი მსჯელობით არ დაკმაყოფილებულა. მისი აღდგენისა და შემდგომი საქმიანობისათვის კონკრეტულ ღონისძიებებს სახავდა და ახორციელებდა. ციციანოვმა „გადააყენა ანგარებით სავსე და ბოროტმოქმედი „საქართველოს მმართველი“ კოვალენსკი, რომელიც ძალზე სძულდათ ადგილობრივ ფეოდალებს“[46]. სასწავლებლიდან გააძევა შემთხვევითი პიროვნებანი: კორნეევი, პლეშჩევი, პოკროვსკი და მამა გრიგორი. ციციანოვი სთხოვდა მინისტრს, მასწავლებლებად გამოეგზავნა ღირსეული პიროვნებანი, რომლებსაც შეეძლებოდათ თანამედროვეობის მოთხოვნილებისამებრ ესწავლებინათ რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია და სხვა საგნები. ციციანოვი მინისტრს სწერდა: „დირექტორის თანამდებობაზე განზრახული მაქვს დავნიშნო ყაზანის მუშკეტერთა მღვდელი, ქართველი თავადთაგანი ალექსი პეტრიევი, რომლის მიერ რუსული და ქართული ენების ცოდნა, ისევე როგორც მისი თავდაჭერილობა, ჩემთვის ცნობილია. ამჟამად იგი ჩემთან თარჯიმნის თანამდებობაზეა და მთხოვს ბერად შედგომის გადაწყვეტილების გამო გათავისუფლებას. თუმცა ძნელი იქნება ჩემთვის შეველიო საუკეთესო, ასე ვთქვათ, უნარიან თარჯიმანს, მაგრამ საერთო საქმისათვის მზად ვარ დავთმო იგი“.

საერთო საქმეში ციციანოვი სასწავლებლის დირექტორობას გულისხმობდა. მან დაითანხმა ალექსი პეტრიევი (პეტრიაშვილი), უარი ეთქვა ბერად შედგომაზე და სასწავლებლის დირექტორობაზე დათანხმებულიყო. ციციანოვი მინისტრს სთხოვდა, სასწავლებლისათვის საგნების მიხედვით გამოეგზავნა საჭირო წიგნები, სულ მცირე — ოცდაათ-ოცდაათი ეგზემპლარი, რისი საფასურის გადახდას ადგილობრივი ხელისუფლება კისრულობდა. ამავე დროს, ნებართვას

თხოულობდა, მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში ყოველწლიურად გაგზავნილიყვნენ ნარჩინებული მოსწავლეები, რომელთა სწავლის ქირისა და მზრუნველობისათვის გასამრჯელოს ასევე ადგილობრივი ხელისუფლება პირდებოდა.

ციციანოვმა მიიღო იმპერატორის შემდეგი რესკრიპტი:

Высочайший рескрипт кн. Цицианову

от 8-го августа 1803 года.

Утверждая распоряжения ваши о заведении училища в Тифлисе для первоначальных наук, о чем свое донесение учинили вы нам через Министра народного просвещения, я предоставил ему все потребное доставить вам для приведения в действие предлагаемого.

Пребываю к Вам благосклонный

Александр[47].

ამ რესკრიპტიდან ერთი თვის შემდეგ ციციანოვს სასწავლებლების უმაღლესი სამმართველოდან შეატყობინეს, რომ რუსული ენის მასწავლებლებად იგზავნებოდნენ სტეფანე გულიაევი და პავლე მალცოვი.

ამრიგად, ციციანოვის თბილისში ჩამოსვლიდან დაახლოებით 6 თვეში, მისი გულმოდგინებით აღდგა 1802 წლის 22 სექტემბერს გახსნილი სასწავლებელი. ფაქტობრივად, ქდაარსდა ახალი სასწავლებელი, რაც აგვისტოს დასაწყისში იმპერატორმა სცნო და ისტორიაში შევიდა კეთილშობილთა სასწავლებლის სახელით. მას ფუნქციონირება 1803 წლის სექტემბერში უნდა დაეწყო, მაგრამ, თბილისში შავი ჭირის ეპიდემიის გამო, მეცადინეობათა დაწყება 1804 წლისათვის გადაიდო.

ციციანოვი სასწავლებლის დირექტორ ალექსი პეტრიაშვილთან ერთად დროს უქმად არ კარგავდა. ორივენი ზრუნავდნენ სასწავლებლის ღირსეული პედაგოგებით დაკომპლექტებისათვის, საჭირო ლიტერატურითა და ინვენტარით უზრუნველყოფისათვის. დასაძლევი იყო არცთუ იოლი წინააღმდეგობა: ძველმა სასწავლებელმა მშობლებს რწმენა დაუკარგა. რა გარანტია იყო, რომ მეცადინეობები მოსწავლეთათვის კვლავ მხოლოდ რუსულ ენაზე არ ჩატარდებოდა, სასწავლებელში სიარული კვლავ უბრალო დროის დაკარგვა არ იქნებოდა. საჭირო იყო მათი დარწმუნება, რომ სასწავლებელში მეცადინეობები წარიმართებოდა ორივე ენაზე. ქართული ენა ისევე სავალდებულო იქნებოდა რუს მოხელეთა შვილებისათვის, როგორც რუსული ენა ქართველებისათვის. ქართული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის ციციანოვმა სთხოვა საქართველოს კათალიკოსს ანტონ მეორეს, საეკლესიო სამსახურისაგან გაეთავისუფლებინა დეკანოზი იოანე ქართველოვი (ქართველიშვილი) და მღვდელმონაზონი ნეოფიტე, რომელთა ქართული ენის მასწავლებლებად მოწვევა სურდა. ციციანოვმა იცოდა, რომ დეკანოზი იოანე ერეკლე მეორის ვაჟიშვილის იულონ ბატონიშვილის შვილების მასწავლებელი იყო. ამავე დროს,

იცოდა ნეოფიტეს წარსულიც. ციციანოვი რწმენას გამოთქვამდა, რომ მისი უწმინდესობა, საქართველოს სიკეთისათვის და პირადად მისადმი კეთილგანწყობის გამო, დააკმაყოფილებდა თხოვნას[48]. იოანემაც და ნეოფიტემაც ციციანოვს იმედი გაუმართლეს. ისინი წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეს, მოიპოვეს კარგი სპეციალისტისა და პედაგოგის სახელი.

ციციანოვი ყველაფერს აკეთებდა მოსწავლეთა მოსაზიდად. მათ დაენიშნათ „წამახალისებელი ჯამაგირიც" (თავისებური სტიპენდია) თვეში 5 რუბლის ოდენობით. ციციანოვი ვარაუდობდა, რომ ახლო მომავალში მოსწავლეთა რაოდენობა სამოცამდე გაიზრდებოდა. იგი ფიქრობდა სასულიერო წოდების 10 ბავშვის მიღებას, რომლებიც ასაკით 15 წელზე ნაკლების არ უნდა ყოფილიყვნენ და ქართული ენა კარგად უნდა შეესწავლათ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი უნდა გაგზავნილიყვნენ მასწავლებლებად გორსა და თელავში, ახალგახსნილ სამრევლო და სამაზრო სკოლებში[49]. ამ გადაწყვეტილებით, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი სამრევლო და სამაზრო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ცენტრი გახდებოდა. მომავლისათვის იგი კიდევ უნდა გაფართოებულიყო და თვით კეთილშობილთა სასწავლებლის უმცროსი კლასების მასწავლებლებიც უნდა მოემზადებინა. სამწუხაროდ, ციციანოვის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, ბევრი სხვა ჩანაფიქრის მსგავსად, არც ამას ეწერა განხორციელება.

ორიოდე სიტყვა სასწავლებლის დაარსების, გახსნისა და მეცადინეობათა დაწყების თარიღებთან დაკავშირებით. ზოგიერთ ნაშრომში ეს თარიღები ან გაიგივებულია, ან ერთმანეთშია არეული. სასწავლებელი ოფიციალურად საზეიმოდ გაიხსნა 1804 წლის 21 მაისს. მისთვის სამზადისი კი ადრევე დაიწყო. შემუშავდა გახსნის ოფიციალური დოკუმენტიც: «Обряд на открытие Высочайше утвержденного училища, которое имеет воспоследствовать мая 21-го дня 1804 года».

დოკუმენტში ლაპარაკია უმაღლესად (ე. ი. იმპერატორის მიერ) უკვე დამტკიცებული სასწავლებლის 1804 წლის 21 მაისს საზეიმოდ გახსნის წესის შესახებ. ზოგიერთი ავტორი საზეიმოდ გახსნის თარიღად, 21 მაისის ნაცვლად, 31 მაისს ასახელებს. საფიქრებელია, რომ ეს უნებური შეცდომა გამოიწვია განათლების მინისტრისადმი 1804 წლის 31 მაისის წერილმა, რომელსაც თან ერთვოდა დოკუმენტი საზეიმოდ გახსნის წესის შესახებ. თითქოს, ციციანოვი წერდა არა უკვე ჩატარებული, არამედ 31 მაისს ჩასატარებელი საზეიმოდ გახსნის შესახებ. სასწავლებელი 21 მაისს რომ გაიხსნა, ამას მიუთითებს თბილისის გიმნაზიის 50 წლისთავის საზეიმო აღნიშვნისადმი მიძღვნილი კრებულიც: «В память пятидесятилетия первой Тифлисской мужской гимназии, 1830-1880, - Тифлис, 1881г. стр. 571.

ზოგჯერ აღრევაა სასწავლებლის საზეიმო გახსნისა და მეცადინეობების დაწყების თარიღებში. სასწავლებელში მეცადინეობები გახსნამდე ბევრად უფრო ადრე რომ დაიწყო, ამას გვაფიქრებინებს ციციანოვის 31 მაისის წერილიც. ციციანოვი სწერს მინისტრს, რომ გულიაევმა ვერ გაამართლა ნდობა. მან თავიდანვე ვერ დაიმსახურა მოსწავლეთა პატივისცემა ცუდი მეტყველების, მასალის გაუგებარი ახსნისა და ბილწსიტყვაობის გამო[50]. თუ მეცადინეობები 21 ან 31 მაისს დაიწყო, ციციანოვის 31 მაისის წერილში გულიაევი ვერაფრით ვერ დახასიათდებოდა როგორც მასწავლებელი. ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო მხოლოდ მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრებისა და მათი გაანალიზების საფუძველზე. 21 მაისიდან 31 მაისამდე სტეფანე გულიაევს, დიდი-დიდი, ორი მეცადინეობა ჰქონოდა ჩატარებული. ამის მიხედვით რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება არამცთუ სწორი, შეუძლებელიც კი იქნებოდა.

ციციანოვი ჯერ კიდევ 1802 წლის 28 დეკემბრის წერილში 22 სექტემბერს გახსნილ სასწავლებელს „ქართველ კეთილშობილ ახალგაზრდათა სასწავლებლად", ხოლო 1803 წლის 27 ივნისის წერილში „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლად" მოიხსენიებს. ეს იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორია დავიწყოთ 1802 წლის 22 სექტემბრით, და არა 1803 წლის ზაფხულით, ან 1804 წლის მაისით, როდესაც ოფიციალურად გაიხსნა სასწავლებელი. ეს თარიღები კი ხშირად ფიგურირებს ზოგიერთი ავტორის ნაშრომში. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი უხერხულობაც: ხშირად ციციანოვისადმი იმპერატორის რესკრიპტის თარიღს — 1803 წლის 8 აგვისტოს მიიჩნევენ სასწავლებლის დაარსების თარიღად. სინამდვილეში რესკრიპტში ლაპარაკია უკვე დაარსებულ სასწავლებელზე, რასაც უმაღლესად ამტკიცებს იმპერატორი. რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებულის 27-ე ტომში პირდაპირ არის მითითებული, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1803 წლის 25 ივლისს[51]. არასწორია ისიც, რომ „1804 წელს დაარსებული სასწავლებელი იყო პირველი ოფიციალური საერო სკოლა ჩვენში" და რომ ამ სასწავლებელში „სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო"[52]. სინამდვილეში პირველი ოფიციალური საერო სკოლა ჩვენში იყო 1802 წლის სექტემბერში გახსნილი სკოლა. 1804 წელს კი არ დაარსდა, არამედ საზეიმოდ გაიხსნა ჩვენში 1803 წლის 25 ივლისს დაარსებული სასწავლებელი. უკვე აღინიშნა, რომ ეს სასწავლებელი იყო ორგანყოფილებიანი: რუსული და ქართული და სწავლების კურსი ორწლიანი გახლდათ.

1803 წლის 25 ივლისს დაარსებული სასწავლებლის საფუძველი იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ მან მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება და 26 წლის შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ საფუძვლის მთავარჩამყრელი პავლე ციციანოვი იყო. მისი დამსახურებაა ისიც, რომ სასწავლებელს თავისი არსებობის მანძილზე ხაზინისაგან კაპიკიც არ მიუღია. იმპერატორის თანხმობით, სასწავლებლის შესანახად გათვალისწინებული იყო 10 ათასი რუბლი ყოველწლიურად

იმ შემოსავლიდან, რასაც საქართველო იღებდა ციციანოვის მიერ დამორჩილებული ჭარ-ბელაქნის ხარკით. ამ თანხიდან ეძლეოდათ ხელფასი სასწავლებლის დირექტორსაც, მასწავლებლებსაც, ტექნიკურ თანამშრომლებსაც. აქედან იყო გათვალისწინებული ხარჯები გათბობა-განათებისა და სასწავლებლის ბინის ქირისათვისაც. ციციანოვს სასწავლებლის საკუთარი შენობის ასაგებად გადადებული ჰქონდა 5.000 რუბლი. ყველა ამ ხარჯის გათვალისწინებით, 10 ათასი რუბლიდან რჩებოდა 2.200 რუბლი[53].

ციციანოვი საკუთარი შენობის აგებას სამ წელიწადში ვარაუდობდა, რის შემდეგაც სასწავლებელს ყოველწლიურად ნაქირავებ ბინაში გადასახდელი აღარ ექნებოდა 300 რუბლი, რაც უნდა გამოყენებულიყო მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში მოსწავლეთა გასაგზავნად. საკუთარი შენობის აგების შემდეგ სასწავლებელს საშუალება ექნებოდა, პანსიონში გაეგზავნა არა 8, არამედ 16 მოსწავლე. ყოველივე ამის შესახებ ციციანოვი განათლების მინისტრს აცნობებდა 1805 წლის 28 ნოემბრის წერილით. იმავე წერილით იგი მინისტრს სთხოვდა სასწავლო გეგმაში საგიმნაზიო საგნების დამატებას[54]. ციციანოვი სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებას ფიქრობდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გიმნაზიის კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის განხორციელებას იგი აპირებდა 1804 წლის 25 ნოემბერს იმპერატორის მიერ „უმაღლესად დამტკიცებული უნივერსიტეტის უწყებაში შემავალი სასწავლებლების დებულების“ საფუძველზე[55]. დებულება ითვალისწინებდა ყოველ საგუბერნიო ქალაქში გიმნაზიის არსებობას. მაშასადამე, თბილისს ეკუთვნოდა გიმნაზია. დებულებით, იმპერიაში საშუალო განათლება სამსაფეხურიანი უნდა ყოფილიყო: სამრევლო სკოლას მოსწავლეები უნდა მოემზადებინა სამაზრო სკოლისათვის, სამაზრო სკოლას კი — გიმნაზიისათვის, წოდებრივი განსხვავებების გარეშე.

ციციანოვს კარგად ესმოდა, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნა ერთბაშად არ მოხდებოდა. მისი სასწავლო გეგმით მოსწავლეები ორწლიან სასწავლებელში ვერ მიიღებდნენ ისეთ ცოდნას, რომ შეძლებოდათ გიმნაზიის პროგრამის დაძლევა. ამიტომ ითხოვდა ციციანოვი საგიმნაზიო საგნების დამატებას, რომელთა შესწავლას 4-5 წელი მაინც დასჭირდებოდა. მაშასადამე, სასწავლებელი შვიდწლიანი უნდა გამხდარიყო, რომლის გიმნაზიად გარდაქმნა მხოლოდ 5 წლის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი.

დებულება გიმნაზიის სასწავლო გეგმაში შემდეგ საგნებს ითვალისწინებდა: რუსული, ლათინური, გერმანული და ფრანგული ენები, გეოგრაფია, ისტორია (მითოლოგიითურთ) და სიძველენი, ზოგადი და რუსეთის სტატისტიკა, დაწყებითი ფილოსოფია, პოლიტეკონომიის საფუძვლები, წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა, საცდელი ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, დაწყებითი სავაჭრო მეცნიერება, ტექნოლოგიის საფუძვლები და ხატვა. ციციანოვს, ადგილობრივი პი-

რობების გათვალისწინებით, სასწავლო გეგმაში კორექტივები შეჰქონდა. იგი აუცილებლად მიიჩნევდა სასწავლო გეგმაში ქართული ენის შეტანას, ნაცვლად ფრანგულისა, რასაც სასახლეების ენას უწოდებდა. გერმანულს და ლათინურს კი უმაღლესში შემსვლელთათვის თვლიდა საჭიროდ, განსაკუთრებით ტექნიკური, სამედიცინო, იურიდიული, სამხედრო, სამთო-საინჟინრო და სხვა მონათესავე სპეციალობების შემსწავლელთათვის. სამხედრო საქმისადმი მიდრეკილების მქონე ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ლათინური ენის შესწავლას[56].

ალექსი პეტრიაშვილის წინადადებით, ციციანოვმა ლათინური და გერმანული ენების მასწავლებლებად მიიწვია სამეგრელოს მთავრის სასახლეში მოღვაწე უნგრელი პროფესორი სამუელ მარტინი[57].

რადგან ადგილობრივი ხელისუფლება თარჯიმნების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, საქართველოში კი, ქართველებისა და რუსების გარდა, ცხოვრობდნენ სომხები, სპარსელები, აზერბაიჯანელები, არაბები, ციციანოვი აუცილებლად თვლიდა სასწავლებელში შესაბამისი ენების სწავლებას. გასაჭირი იყო სახელმძღვანელოების მხრივ, რუსეთიდან გამოგზავნილი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, თანაც ისინი მხოლოდ რუსულ ენაზე იყო შედგენილი. ციციანოვი აუცილებლად მიიჩნევდა მათ ქართულად თარგმნას. ამან კი დღის წესრიგში დააყენა სასწავლებელთან სტამბის დაარსება. ამ მიზნით ციციანოვი დაუკავშირდა პენზის მღვდელმთავარ გაიოზს (რუსული დოკუმენტების მიხედვით გაი), გვარად ბარათაშვილს, რომელსაც 1805 წლის 29 იანვარს სპეციალური წერილი გაუგზავნა[58].

გაიოზ ბარათაშვილი (1746-1821 წწ.) XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ საზოგადო და სასულიერო მოღვაწედ მოიხსენიება. იგი იყო თელავის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი, ანტონ I კათალიკოსის ღირსეული მოწაფე, მისი გრამატიკული მოძღვრების ერთგული მიმდევარი, ავტორი სამასზე მეტი ორიგინალური და თარგმნილი ნაშრომისა, მათ შორის ქართული ანბანის, ქართული ენის გრამატიკის, საქართველოს ისტორიისა და სხვა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების შემდეგ რუსეთის წმინდა სინოდს გაიოზი დაუნიშნავს მოზდოკის ახალგახსნილი ეპარქიის ეპისკოპოსად, შემდეგ სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსად, ბოლოს კი ასტრახანის მთავარეპისკოპოსად. გაიოზს მოზდოკში დაუარსებია ქართული სტამბა, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოდან გატანილი სტამბის გამოყენებით აუმუშავებია. ამ სტამბაში დაუბეჭდავს ქართული ენის გრამატიკა. 1804 წელს მან თბილისის სასწავლებელს გამოუგზავნა აღნიშნული გრამატიკა, ქართული ანბანი და რუსული ენის სახელმძღვანელო (თითოეული 630 ცალის რაოდენობით), რისთვისაც ციციანოვი აღნიშნული წერილით მადლობას უხდიდა არა როგორც კავკასიის მთავარსარდალი, არამედ როგორც საქართველოსთან

წინაპრებით დაკავშირებული ადამიანი. ციციანოვი წერდა: თქვენი ეს შემოწირულობა მაბედვინებს გთხოვოთ დახმარება, რათა დავიბრუნოთ საქართველოს კუთვნილი სტამბა, რომელიც ამჟამად მოზდოკშიაო.

ეს წერილი მეტად მნიშვნელოვანია ციციანოვის დახასიათებისათვის, ამ წერილშიც, ანტონ კათალიკოსისადმი წერილის მსგავსად, იგი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოსთან თავის წარმომავლობით კავშირს. ამიტომ თავს მოვალედ თვლის იზრუნოს ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ნუთუ ეს მხოლოდ პოზიორობა იყო ქართველთა გულის მოსაგებად? ნუთუ მხოლოდ ამას ისახავდა მიზნად ქართული ენის სწავლებაზე ყურადღების გამახვილება? ან ერეკლეს თაოსნობით გახსნილი ქართული სტამბის აღდგენა? ან ზრუნვა მოზდოკიდან საქართველოს კუთვნილი სტამბის დასაბრუნებლად? ან ზრუნვა სასწავლებელთან საკუთარი სტამბის გახსნისათვის? თუ ყოველივე ეს მაინც ქართული სისხლის მქუხარება და მშობლიური მიწის ყივილი იყო?!

ციციანოვი ვერ მოესწრო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნას, ისევე როგორც ბევრი დასახული გეგმის განხორციელებას. პავლე ციციანოვი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მმართველი და თავისი მოვალეობის განუხრელი შემსრულებელი იყო. დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის პირობებში, გასაკვირია, როგორ პოულობდა დროს, რომ ესოდენი ყურადღება დაეთმო სასწავლებლისათვის (შევადაროთ იგი ამ მხრივ მის წინამორბედ კნორინგს). ეს ერთი მხარე იყო მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, რომელიც მთლიანად მიმართული იყო კავკასიაში, და მაშასადამე, საქართველოშიც, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გატარებისაკენ. ამ პოლიტიკით იმპერიის სამხედრო საზღვრების გაფართოება-განმტკიცება იყო გათვალისწინებული, რასაც შეეწირა კიდეც ციციანოვის სიცოცხლე.

ალ. ფრონელი წერდა, რომ ციციანოვი „მეზობელ ხანებს მუდამ ჟამს იმას აგონებდა, რომ უკანონოდ გიჭირამთ ესა და ეს საქართველოს ნაწილი და ნებაყოფლობით უნდა დათმოთო... ომს რომ გამოუცხადებდა, პირდაპირ უთვლიდა ხოლმე, თქვენი სამფლობელო საქართველოს მეფეებს ეკუთვნოდა, და რადგან მე საქართველოს დამცველი ვარ, მოვალეობად მიმაჩნია ამ ქვეყნის ძველი საზღვრები აღვადგინოვო“[59]. ციციანოვი 1806 წლის იანვარ-თებერვალში ბაქოს სახანოზე გალაშქრებასაც ამ მოტივით ხსნიდა. ამ გალაშქრების ფინალს აღწერს ალ. ფრონელი. პ. ციციანოვი 1797 წელს ბაქოს კომენდანტად ყოფნისას დამეგობრებია ბაქოს ხანს ჰუსეინ-ყული-ხანს. როდესაც ციციანოვს ალყა შემოურტყამს ბაქოსათვის და აღებას უპირებდა, 1806 წლის 8 თებერვალს, ჰუსეინ-ყული-ხანს შეუთვლია ციციანოვისათვის: „ჩემის ხელით ჩაგაბარებ ციხის გასაღებს და ბრძოლა შეწყვიტეო.“ თავადი ციციშვილი სადარბაზოდ გამოწყობილი, მარტო თარჯიმნის, პოდპოლკოვნიკ თავად ერისთავისა და ერთის ყაზახის ამარად წავიდა ციხისაკენ, სადაც ამალით

გამოეგება ჰუსეინ-ყული-ხანი. მიუახლოვდნენ თუ არა მთავარმართებელს, ხანმა ანიშნა ამალას და იბრაჰიმ-ბეგმა დამბაჩა დასცა ციციშვილს, სეიდ-ბეგმა და ამიდ-ჰამირზამ დამბაჩები დასცეს ერისთავს. გადარჩა მხოლოდ სიკვდილს ყაზახი. მთავარმართებელს მოჰკვეთეს თავი და ძღვნად გაუგზავნეს სპარსეთის შაჰს. ციციშვილი საქართველოს მთავარმართებლად დაინიშნა 1-ს სექტემბერს 1802 წელსა. ასე რომ ოთხი წელიწადიც არ გასულა ამ საკვირველი კაცის ყოფნისა ჩვენს ქვეყანაში. გარდაიცვალა 51 წლის უცოლშვილოდ. მისი გვამი მარკიზ პაულუჩიმ გადმოასვენა 1811 წელს ტფილისს და დაასაფლავა სიონის ტაძარში“[60].

3. სასწავლებლის პირველი და უკანასკნელი ქართველი დირექტორი

საქართველოში პავლე ციციანოვის მთავარმართებლობის დაახლოებით სამნახევარი წელიწადი, ფაქტობრივად, სასწავლო-საგანმანათლებლო დარგში კნორინგ-კოვალენსკის დანაშაულებრივი შეცდომების ლიკვიდაციის პერიოდი იყო. ამ შეცდომათა აღმოფხვრის საქმეში მთავარმართებელს ღირსეული თანაშემწე ჰყავდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ალექსი პეტრიაშვილის სახით.

პეტრიაშვილი დირექტორად დაინიშნა 1803 წელს, ციციანოვის წარდგენით. ციციანოვმა დირექტორად და მასწავლებლებად, ძირითადად, შეარჩია ისეთი ადამიანები, რომლებიც შემდეგი წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდნენ სწავლა-აღზრდის საქმეს. მათგან, პეტრიაშვილთან ერთად, უპირველესად აღსანიშნავნი არიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იოანე ქართველიშვილი და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თედორე ბუკრინსკი.

ალექსი პეტრიაშვილი სასწავლებლის პირველი და უკანასკნელი ქართველი დირექტორი იყო. მას შემდეგ სასწავლებელი ისე გადაკეთდა გიმნაზიად, რომ ქართველი დირექტორი აღარ ჰყოლია. უფრო მეტიც, თვით გიმნაზიას 1905 წლამდე ქართველი დირექტორი არ ჰყავდა. სამწუხაროდ, ძლიერ ძუნწი ცნობები არსებობს პეტრიაშვილის ბიოგრაფიის შესახებ. აზრთა სხვადასხვაობაა მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებითაც. ცნობილი ისტორიკოსი მაქსიმე ბერძნიშვილი მისი დაბადების თარიღად 1774 წელს ასახელებს[61].

პროფესორ გ. თავზიშვილის მიხედვით კი პეტრიაშვილი დაახლოებით 1779-1780 წელს დაბადებული გამოდის[62]. არ შემორჩენილა არც პეტრიაშვილის პორტრეტი.

ალ. პეტრიაშვილის ბიოგრაფიიდან ზოგიერთ ცნობას შეიცავს მისი 1810 წლის 4 იანვრის თხოვნა იმპერატორისადმი სასწავლებლის დირექტორობიდან

გათავისუფლების შესახებ[63]. ამ წერილიდან ვიგებთ, რომ პეტრიაშვილს 1796 წელს დაუმთავრებია ასტრახანის სასულიერო სემინარია, რის შემდეგაც ორი წელი ყიზლარის ეკლესიაში მღვდლად ყოფილა. აქედან ყიზლარშივე მუშკეტერთა პოლკის მღვდლად გადაუყვანიათ, საიდანაც ციციანოვმა იგი თავის კანცელარიაში თარჯიმნად წამოიყვანა. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიკოლოზ პირველისადმი წერილში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801 წლიდან 1831 წლამდე" აღნიშნავდა: „რუსულისა და ქართულის მცოდნე ისეთი იშვიათობა იყო, რომ თვით მთავარმართებელმა ყიზლარში ძლივს გამონახა ერთი მღვდელი, რომელიც მასთან თარჯიმნობას ეწეოდა"[64]. თუმცა ნარკვევში არც მთავარმართებელია დასახელებული და არც მღვდელი, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ პავლე ციციანოვსა და ალექსი პეტრიაშვილზეა საუბარი.

ალ. პეტრიაშვილი 1803 წელს წმინდა სინოდს მისი თხოვნით გაუთავისუფლებია მღვდლობიდან ბერ-მონაზვნად აღსაკვეცად, მაგრამ ციციანოვს თავის კანცელარიაში გადაუყვანია რუსულიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელად, რადგან, როგორც თვით პეტრიაშვილი წერდა, „არ ჰყოლიათ უნარიანი და გამოცდილი თარჯიმნები". პეტრიაშვილი განაგრძობს: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ 1803 წელსვე გამწესებული ვიქენი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დირექტორად. ამ დროიდან აღნიშნულ თანამდებობაზე განვაგრძობ მოღვაწეობასო.

ალ. პეტრიაშვილის წერილი კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ ციციანოვმა 1803 წელს აღადგინა 1802 წლის 22 სექტემბერს გახსნილი უდღეური სასწავლებელი კეთილშობილთა სასწავლებლის სახელით.

ყველაფერი თავიდან იყო გასაკეთებელი: პედაგოგთა და თანამშრომელთა კონტინგენტის შერჩევა, ლიტერატურის, ინვენტარის, თვით შენობის შეძენაც კი.

ამ მძიმე მისიის შესრულება ალ. პეტრიაშვილს რომ ხელეწიფებოდა, ამაში გვარწმუნებს მისი მოღვაწეობაც და დახასიათებებიც, რასაც აძლევდნენ მას ციციანოვი და შემდგომი მთავარმართებელნი. ციციანოვის დახასიათებით, პეტრიაშვილი იყო ქართული და რუსული ენების საუკეთესო მცოდნე, დაჯილდოებული უნარით — შესანიშნავად გაძღოლოდა სასწავლებელს[65]. განათლების მინისტრი ზავადოვსკი ციციანოვის შემდგომ მთავარმართებელ ივანე გუდოვიჩისადმი 1806 წლის 16 ოქტომბრის წერილში პეტრიაშვილს ახასიათებს როგორც ენერგიულ და თავისი საქმის ერთგულ პიროვნებას[66]. მთავარმართებელი გენერალი ალ. ტორმასოვი ზავადოვსკისადმი 1810 წლის 6 თებერვლის წერილში პეტრიაშვილს ახასიათებს ყოველმხრივ დადებით პიროვნებად, რომელმაც „თავისი გულმოდგინებითა და მუყაითობით, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ახალგაზრდობის განათლებით და სასწავლებლის კეთილმოწყობით მიიქცია ხელმძღვანელობის ყურადღება". ტორმასოვი წერდა, რომ პეტრიაშვილმა ვერ აისრულა ბერ-მონაზვნად აღკვეცის სურვილი, რადგან თავადაზნა-

ურთა თხოვნით იგი დაინიშნა კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად. „მან ეს ნდობა გაამართლა“[67]. პეტრიაშვილი თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდა ქართველი თავადაზნაურობის იმ პროგრესულ ნაწილს, რომელიც სწავლისადმი იჩენდა ჯანსაღ დამოკიდებულებას, რაზეც იოანე ბატონიშვილი წერდა: „დაბადა ღმერთმან კაცი ჰსწავლისათვის“; „გიყვარდეს ჰსწავლა და უკეთუ არას ისწავლი, დიდის კაცის შვილს ფილოსოფოსნი ოქროს ვირს ეძახიან“; „ჰსწავლა არს ცხადი მცნობელობა ჭეშმარიტებისა, განმანათლებელი გულისხმისყოფისა, უბიწო მხიარულებისა ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუკის და შესაყრდნობელი მოხუცებულისა, ნუგეშის მცემელი უბედობასა შინა, ხოლო ბედნიერებასა შინა განმაშვენებელი“[68]. მათდამი კი, ვისაც არ ესმოდა სწავლის მნიშვნელობა და თავს არ არიდებდა მას, პეტრიაშვილის დამოკიდებულება აგებული იყო კალმასობაში ჩამოყალიბებული პრინციპით: „უმეცართა ასწავე“[69].

პეტრიაშვილი წარმოგვიდგება ჩვენი ერისათვის საამაყო თხზულებების კარგად მცოდნედ. თუმცა ამ თხზულებათა ავტორები წოდებით წარჩინებულთა წარმომადგენელნი იყვნენ, მაგრამ მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ ალ. პეტრიაშვილს შეუძლებელია არ ეფიქრა, რომ მათი შემქმნელნი უბრალო ადამიანებიც იყვნენ. ამის გარეშე არც დიდებული ფოლკლორი გვექნებოდა. ამიტომ ბუნებრივია, პეტრიაშვილს ეზრუნა მომავლისათვის იმ საფუძველის შექმნაზე, რაც უზრუნველყოფდა დაბალი წოდების ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას.

პეტრიაშვილისათვის უეჭველად ცნობილი იყო ციციანოვის ის აზრი, რომელსაც იგი გამოთქვამდა ზავადოვსკისადმი 1803 წლის 27 ივნისის წერილში: რომ თავადაზნაურთა შვილების განათლება წინაპირობას წარმოადგენდა მთელი ხალხის განათლებისათვის, რაც იმ დროისათვის შეუძლებლად მიაჩნდა ხალხის მოუმზადებლობის გამო[70]. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ციციანოვმა სასწავლებელში სასულიერო პირთა შვილების მიღების გადაწყვეტილება მიიღო დირექტორთან მოთათბირებითა და შეთანხმებით. მათი სახით სამაზრო და სამრევლო სკოლების მასწავლებლები უნდა მომზადებულიყვნენ. ამ სკოლებში კი უმთავრესად დაბალი წოდების ახალგაზრდები ისწავლიდნენ. ეს იქნებოდა პირველი სერიოზული ნაბიჯი მთელი ხალხის განათლებისათვის ღონისძიებათა გატარების გზაზე.

ალ. პეტრიაშვილს სასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნდა მოსწავლეთა აღჭურვა მშობლიური ქვეყნის ისტორიის შეგნებული ცოდნით. ამიტომ აუცილებლად თვლიდა მათთვის ისტორიული ძეგლების გაცნობას. ეს იქნებოდა მათში სამშობლოს სიყვარულის გრძნობის ჩანერგვა. სწორედ ეს აზრი გაატარა თავის მგზნებარე სიტყვაში 1804 წლის 21 მაისს სასწავლებლის საზეიმო გახსნის დროს. ალ. პეტრიაშვილმა საზეიმო შეკრების დამსწრეთა, უპირველეს ყოვლისა მოსწავლეთა ყურადღება საქართველოს ტრაგიკულ-გმირულ, ისტორიულ და კულტურულ წარსულზე გაამახვილა. მისი თქმით,

ქვეყნის ძველ დიდებასა და ძლევამოსილებას ისე ვერავითარი ქრონიკა თუ მოთხრობა ვერ ცხადყოფს, როგორც ყოველი ძეგლი, ძველი ნივთი[71]. აღსანიშნავია, რომ 1804 წლის 5 ნოემბრის დებულებაში უნივერსიტეტების უწყებაში შემავალი სასწავლებლების შესახებ გათვალისწინებულ ისტორიისა (მითოლოგიის) და სიძველეთა სწავლებისას, სიძველეებში სწორედ კულტურის მატერიალური ძეგლები იგულისხმება. განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ დებულებაზე თითქმის წელიწადნახევრით ადრე ალ. პეტრიაშვილმა გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ციციანოვის მცდელობითა და პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით სასწავლებელმა სულ რაღაც ერთ წელში უკვე ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ თავადაზნაურობა შვილების გაგზავნაზე უარს არ ამბობდა და მოსწავლეთა რიცხვი 45-დან სამოცამდე გაიზარდა.

პავლე ციციანოვის შემდგომი მთავარმართებლებიდან ალ. პეტრიაშვილი გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ივანე ვასილის ძე გუდოვიჩისაგან (1806 წ. III — 1809 წ. III) შედარებით უფრო გრძნობდა მხარდაჭერას. გუდოვიჩი 1806 წლის 15 სექტემბერს საქართველოს მმართველ ლიტვინოვს წერდა, რომ საჯარო გამოცდებმა მშობლებში აღძრა სურვილი გაეგზავნათ შვილები სასწავლებელში, სადაც უკვე 60 მოწაფე სწავლობდა. გუდოვიჩი თანახმა იყო, დამატებით მიეღოთ 25 მოსწავლე[72].

თავის მხრივ, ლიტვინოვი განათლების მინისტრ ზავადოვსკის სწერდა, რომ საჯარო გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარება პეტრიაშვილის ბეჯითი შრომისა და გულმოდგინების შედეგია. ამიტომ შუამდგომლობდა მისი წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ამავე დროს, ლიტვინოვმა შუამდგომლობა აღძრა მასწავლებლების ბუკრინსკისა და მალცოვის ტიტულარული მრჩევლის წოდებაზე წარსადგენად, ხოლო დეკანოზ იოანე ქართველიშვლის წმინდა სინოდის მიერ ოქროს ჯვრით დასაჯილდოებლად. რადგან ქართული ენისა და ლიტერატურის მეორე მასწავლებელს დეკანოზ ზაქარია სიდამონიძეს უკვე ჰქონდა მიღებული ოქროს ჯვარი, ლიტვინოვმა აღძრა შუამდგომლობა მისთვის ხელფასის მომატების თაობაზე. ხელფასის მომატება მოითხოვა იოანე ქართველიშვილისათვისაც[73].

განათლების მინისტრმა, თავის მხრივ ამ დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის, სენატის და სინოდის წინაშე. ამავე დროს, შუამდგომლობა აღიძრა სასწავლებლის კურსდამთავრებულების ბებუთოვის, სარაჯევის, ჩუბინოვისა და ამბროსოვის ოქროს საათებით დაჯილდოებაზე რუსულ ენაზე საქართველოს ისტორიის თარგმნისათვის, რაც მათ იმპერატორს მიუძღვნეს[74].

ლიტვინოვმა განათლების მინისტრს გაუგზავნა პეტრიაშვილის პატაკი, რომლითაც მან შეახსენა ციციანოვის თხოვნა საგიმნაზიო საგნების დამატე-

ბის შესახებ. ეს კი სერიოზული ღონისძიება იქნებოდა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებისათვის. ციციანოვის დაღუპვის შემდეგ ამ საქმეში მარტო დირექტორის მოწადინება, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, საკმარისი არ აღმოჩნდა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხელისშემშლელად მოგვევლინა თვით ლიტვინოვი, რომელმაც მოითხოვა სასწავლებლის სასწავლო გეგმიდან ისეთი საგიმნაზიო საგნების ამოღება, როგორიც იყო ლათინური და გერმანული ენები, რაც გამოიწვევდა ციციანოვის მიერ მოწვეული პროფესორ სამუელ მარტინის გათავისუფლებას. ლიტვინოვი ისე წარმოადგენდა ვითარებას, თითქოს ეს გამომდინარეობდა ალ. პეტრიაშვილის წინადადებიდან. ეს აშკარა სიცრუე იყო. პირიქით, სასწავლებლის გარდაქმნისათვის მოწადინებული პეტრიაშვილი თავის პატაკში ლათინური და გერმანული ენების ამოღების კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ. სწორედ პეტრიაშვილის პატაკის საფუძველზე სწერდა გუდოვიჩს განათლების მინისტრი: „ლათინური და გერმანული კლასები, როგორც მე ვფიქრობ, შეიძლება დარჩეს სასწავლებელში, რადგან ეს ენები საჭიროა როგორც სამხედრო, ასევე სხვა ვითარებაში. მოსწავლეებმაც, როგორც ეს პატაკიდან ჩანს, უკვე შეიძინეს მათ შესახებ დაწყებითი წარმოდგენა. ლექტორის წინადადებანი თავისი დასაბუთებით შეუძლებელია არ მოვიწონოთ“[75]. ლიტვინოვმა მინისტრის წინაშე დააყენა საკითხი მომავალი სასწავლო წლისათვის ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებისა და ამ საგნების მასწავლებელთა გამოგზავნის შესახებ, რაზეც მინისტრმა დადებითად უპასუხა. ამავე დროს, იგი იტყობინებოდა, რომ იმპერატორმა ჯერ კიდევ ციციანოვს განუცხადა თანხმობა სასწავლო გეგმაში საგიმნაზიო საგნების შეტანის შესახებ. ამასთან ერთად, ზავადოვსკი აღნიშნავდა, რომ პეტრიაშვილს კვლავ უთხოვია დირექტორობიდან გათავისუფლება.

იმპერატორი თვით პეტრიაშვილს უგზავნის თავის გადაწყვეტილებას:

Высочайший рескрипт от 6-го октября 1806 года.

С.-Петербург.

Отец протоиерей Алексей Петриев!

Ревностное служение ваше, похвальные подвиги на пользу церкви и благородного Тифлисского училища, которому вы столь много усердствуете, обратили на себя особенное Мое внимание. Вследствие того и в изъявление отличного благоволения Моего жалую вас кавалером ордена св. Анны 2-го класса, коего знаки при сем препровождаемые, повелеваю вам возложить на себя и носить установленным порядком. Я желаю и приятно мне будет, чтобы вы продолжали ваши труды в управлении училища, на вящщую пользу учащихся в оном.

Пребываю к Вам благосклонным

Александр[76].

იმპერატორი ასეთი თავმდაბლობით, ალბათ, იშვიათად თუ ვინმეს მიმართავდა. ეს უფრო თხოვნას ჰგავდა, ვიდრე ბრძანებას. მან კი მიმართა ახლად შემოერთებული პატარა ქვეყნის ქალაქის (თუნდაც მთავრის) ახალგახსნილი სასწავლებლის დირექტორს, ამით იმპერატორმა პეტრიაშვილს, ფაქტობრივად, ყოველგვარი გზა მოუჭრა თავისი თხოვნის აღსრულებისაკენ. ეს რესკრიპტი პეტრიაშვილის ავტორიტეტზე მიუთითებს, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ პეტრიაშვილმა სასწავლებლის დირექტორად მოღვაწეობა ჩვეული ენერგიით განაგრძო.

განათლების მინისტრმა სასწავლებლის სასწავლო გეგმაში დატოვა ლათინურისა და გერმანულის სწავლება და, ბუნებრივია, სამუელ მარტინიც დარჩა მასწავლებლად. ამავე დროს, დაკმაყოფილდა შუამდგომლობა ბუკრინსკისა და მალცოვისათვის წოდებების მინიჭების, იოანე ქართველიშვილისა და ზაქარია სიდამონიძის დაჯილდოების, აგრეთვე საქართველოს ისტორიის მთარგმნელების ოქროს საათებით დაჯილდოების შესახებ.

ციციანოვის დაღუპვიდან 2-3 წლის მანძილზე, სხვადასხვა წინააღმდეგობათა მიუხედავად, ა. პეტრიაშვილმა შესძლო სასწავლებლის თითქმის გიმნაზიის დონემდე ამაღლება. გაიზარდა საგნებისა და, შესაბამისად, კლასების რაოდენობაც. გაუმჯობესდა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგრამ ვითარება თანდათან იცვლებოდა გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის მმართველობის დროს (1809-1811 წწ).

როგორც ცნობილია, ცარიზმის ხელისუფლების პოლიტიკური ბატონობა, უმთავრესად, სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. ასე იყო კავკასიაში, რომლის არმიის მთავარსარდალი, ამავე დროს, საქართველოს მთავარმართებელიც იყო. მისი მოადგილე სამოქალაქო დარგში, ისიც სამხედრო პირი, გენერალი, ავტომატურად იღებდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის წოდებას. ვითარება მოითხოვდა, რომ დაპყრობილ მხარეებში იქ დისლოცირებული არმიის ოფიცრობა თანდათანობით ადგილობრივი კადრებითაც შევსებულიყო. რა თქმა უნდა, შევსება თავადაზნაურობიდან უნდა მომხდარიყო. მათ განათლებაც სათანადო უნდა ჰქონოდათ. ეს განათლება ადგილობრივ სასწავლებლებში უნდა მიეღოთ. ამიერკავკასიაში კი არსებობდა ერთადერთი ოფიციალური (სამთავრობო) სასწავლებელი — თბილისის კეთილშობილთა. ტორმასოვის დროს იმძლავრა ცდამ ამ სასწავლებლის არა გიმნაზიად, არამედ სამხედრო სასწავლებლად გადაკეთებისა, რისთვისაც საჭირო ხდებოდა სასწავლო გეგმაში სამხედრო განათლების მისაღებად სათანადო საგნების შეტანა.

ალექსი პეტრიაშვილი კარგად გრძნობდა სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე გადაკეთების საშიშროებას, რაც დაასამარებდა მისი გიმნაზიად გარდაქმნის სურვილს. სასწავლებლის სამხედროდ გადაკეთება, ამავე დროს, გამოიწვევდა ქართული ენის განდევნას და მთლიანად რუსულ სწავლებაზე გადასვლას. ამ

ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა კი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა, რაც თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული.

იმისათვის რომ არ გამხდარიყო ქართველი ერისათვის ამ დანაშაულებრივი გარდაქმნის მონაწილე, ალ. პეტრიაშვილმა 1810 წლის 4 იანვარს იმპერატორს გაუგზავნა თხოვნა სასწავლებლის დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ[77].

რა თქმა უნდა, პეტრიაშვილი არ წერდა იმპერატორს იმის შესახებ, რომ იგი სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე გადაკეთების მომხრე არ იყო. თავის თხოვნას გათავისუფლებაზე ასე ასაბუთებდა: „რადგან განზრახული მქონდა და ახლაც მსურს თავი მივუძღვნა ბერმონაზვნის წოდებას, თანაც სხვადასხვა შეტევების გამო შერყეული ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას, დაკისრებულ თანამდებობაზე განვაგრძო მოღვაწეობა. ამიტომ ვთხოვ თქვენს იმპერატორობის უდიდებულესობას, მიიღოთ ჩემი თხოვნა და გამანთავისუფლოთ ამჟამინდელ თანამდებობიდან“.

რა შეტევებს უნდა შეერყია ჯანმრთელობა 30 თუ 36 წლის პეტრიაშვილისათვის? თუ მართლაც შეერყა ჯანმრთელობა, ეს, ალბათ, იმ მეტისმეტად დაძაბული მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო, რაც მან გასწია დირექტორად დაახლოებით შვიდი წლის მანძილზე ყოფნისას, სასწავლებლის სასურველ დონეზე დაყენებისა და ათასგვარი წინააღმდეგობის დაძლევისათვის. არც ისე იოლი იყო თუნდაც მშობლების უნდობლობის გადალახვა. ყველაზე საშინელი იყო ზოგიერთის მხრივ სწავლა-განათლებისადმი ისეთი დამოკიდებულება, რაც გამოიხატა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“: „ცოდნამ დააქცია ქვეყანა“[78]. ზოგიერთი ახალგაზრდა კი, რომელსაც მშობლები სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ, ასე მსჯელობდა: „მე ცოლი მირჩევნია რომ შევირთო. მამას არ უქნია ბერობა და პაპასა. რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო... აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო. აივსო ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვინით, დალია“[79]. როგორც ჩანს, ჩვენც გვყავდნენ ფონვიზინის უმწიფარის მსგავსნი, რომ გაიძახოდა: სწავლა არ მინდა, ცოლის შერთვა მინდაო. არც ლუარსაბ თათქარიძენი გვაკლდნენ თავისი „სტომაქური ფილოსოფიით“: „ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და... ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვერა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან?.. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა“[80].

სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულების დაძლევა არც ისე იოლი აღმოჩნდა, მაგრამ გარკვეული დადებითი ძვრები მაინც შეიმჩნეოდა. ამაზე მეტყველებდა თავადაზნაურობის იმ ნაწილის შემობრუნება სასწავლებლისაკენ, რომელიც ადრე შვილებს არ გზავნიდა სასწავლებელში. ამ მხრივ სასწავლებელს დახურვის საშიშროება არ ემუქრებოდა, მაგრამ გამოჩნდა უფრო დიდი საშიშროება, რისი დაძლევაც ალ. პეტრიაშვილის ძალებს აღემატებოდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს როგორც გეოგრაფიულ-პოლიტი-

კური ერთეულის შენარჩუნება ძნელდებოდა. იმპერატორისადმი პეტრიაშვილის თხოვნიდან ერთი წლის შემდეგ ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოს, ისევე როგორც იმერეთისას, გუბერნია დაერქმევა, ხოლო მათ მმართველებს, რუსეთის გუბერნიათა მმართველების მსგავსად, გენერალ-გუბერნატორები. იმავე 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და, კათალიკოსის ნაცვლად, ქართული ეკლესია ეგზარქოსს ჩააბარეს. უდავოა, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელსაც უნდა ჩამოშორებოდა ეროვნულობის ყოველგვარი ნიშანი და გადაქცეულიყო იმპერიის ისეთ ერთგულ მსახურთა აღმზრდელად, რომელთაც მხოლოდ სხეული ექნებოდათ ქართული, სული კი — რუსული. ცხადია, ასეთი სასწავლებლის დირექტორად ალექსი პეტრიაშვილის მსგავსი პიროვნება არ გამოდგებოდა.

გენერალი ტორმასოვი არც ისეთი უგნური იყო, რომ ეს აშკარად ელიარებინა. სასწავლებლის დირექტორად უნდა ყოფილიყო ისეთი პიროვნება, რომელიც გაუხრელად გაატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ან იგი უნდა გასცლოდა სასწავლებელს. პეტრიაშვილმა გაცლა ამჯობინა. იმპერატორისადმი პეტრიაშვილის თხოვნიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1810 წლის 6 თებერვალს, ტორმასოვი განათლების მინისტრ ზავადოვსკისადმი წერილში პეტრიაშვილის გადაწყვეტილების გამო თვალთმაქცურად სინანულსაც კი გამოთქვამდა, მისი მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, ახასიათებდა მას ყოველმხრივ დადებითად, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მოწაფეთა აღზრდა-განათლებას, სასწავლებელში სანიმუშო წესრიგი დაამყარა და უფროსების ყურადღება დაიმსახურა. მე ბევრს ვეცადე, რათა უარი ეთქვა ბერ-მონაზვნად აღკვეცაზე, დარჩენილიყო სასწავლებლის დირექტორად, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინე და ბოლოს იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავიო, დასძენდა იგი.

ტორმასოვმა სთხოვა მინისტრს, ეშუამდგომლა იმპერატორთან, რათა გათავისუფლებულ პეტრიაშვილს ჯილდოდ 2.000 რუბლი მისცემოდა იმ 10 ათასიდან, რასაც სასწავლებელი ყოველწლიურად იღებდა ლეკებისაგან გადასახადის სახით.

ტორმასოვმა პეტრიაშვილის გათავისუფლების მთავარი მიზეზი აღმოაჩინა: თურმე, საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანები და მეზობელი სახანოების დიდებულები თავს იკავებდნენ შვილების გაგზავნისაგან სასწავლებელში, სადაც დირექტორად იყო მართლმადიდებელი სასულიერო მოღვაწე. თუ სასწავლებელი გადაკეთდებოდა სამხედროდ და დირექტორი იქნებოდა სამხედრო პიროვნება, — წერდა ტორმასოვი, — მაშინ სამხედრო სამსახურის დიდი პატივისმცემელი მაჰმადიანები სიამოვნებით გაგზავნიდნენ შვილებს სასწავლებელშიო[81].

ტორმასოვის ამ შეთითხნილმა არგუმენტებმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს მისი წინამორბედი გუდოვიჩის 1807 წლის 27 ივნისის წერილი იმავე ზავადოვსკისადმი, რომელშიც იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა სასწავლე-

ბელში მაჰმადიან დიდებულთა შვილების კარგი სწავლის გამო. ამას მთავარმართებელი სხვებთან ერთად, პეტრიაშვილისა და ასევე მართლმადიდებელი სასულიერო მოღვაწეების, სასწავლებლის ქართულის მასწავლებლების იოანე ქართველიშვილისა და ზაქარია სიდამონიძის დამსახურებად მიიჩნევდა. ამავე დროს, გუდოვიჩი აღნიშნავდა, რომ მეზობელი სახანოების დიდებულებს კიდევ სურდათ თბილისის სასწავლებელში დამატებით შვილების გამოგზავნა.

მაშ, რა მოხდა, რომ გუდოვიჩის წერილიდან რაღაც ორნახევარ წელიწადში იგივე დიდებულები თავს იკავებდნენ სასწავლებელში ბავშვების გაგზავნისაგან? სინამდვილეში, პეტრიაშვილის მართლმადიდებლობა მხოლოდ საბაბი იყო. მისი თხოვნა გათავისუფლების შესახებ ტორმასოვისათვის პირდაპირ მისწრება გახლდათ. პეტრიაშვილის გათავისუფლება ძლიერ ოპერატიულად მოხდა. ტორმასოვისათვის საქართველოს მმართველ გენერალ ახვერდოვის 1810 წლის 17 ივლისის პატაკში პეტრიაშვილი უკვე ყოფილ დირექტორად მოიხსენიება, ხოლო დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად თედორე ბუკრინსკი[82] სახელდება.

ძალაუნებურად იბადება კიდევ ერთი კითხვა: თუ 1806 წელს იმპერატორმა არ დააკმაყოფილა პეტრიაშვილის თხოვნა და აუცილებლად მიიჩნია მისი დირექტორობა, ოთხი წლის შემდეგ ასე სწრაფად რატომღა დათანხმდა? — პასუხს ვარაუდებით თუ გავცემთ. ეს არის ევროპაში ნაპოლეონ ბონაპარტის ბობოქრობის პერიოდი. ეჭვს არ იწვევდა, რომ მსოფლიო ბატონობისათვის ამხედრებული საფრანგეთის იმპერატორი დღეს თუ ხვალ რუსეთზე გამოილაშქრებდა. ასეთ ვითარებაში მოწონებას იმსახურებდა ტორმასოვის წამოწყება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სამხედრო სასწავლებლად გადაკეთებისა და მის დირექტორად სამხედრო პირის დასანიშნად.

გენერალ ახვერდოვის პატაკი საშუალებას იძლევა, დავადგინოთ პეტრიაშვილის გათავისუფლებისა და ბუკრინსკის დანიშვნის თარიღები. ზოგიერთი ავტორი ამ თარიღად მიიჩნევს 1813 წელს (ზოგიერთი 1811 წელს). თარიღი 1813 წელი უნდა მოდიოდეს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის 50 წლისთავის საზეიმო აღნიშვნის ამსახველი წიგნიდან, სადაც მითითებულია, რომ კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად 1804-1813 წლებში იყო მღვდელი პეტრი ევიო[83]. ამრიგად, პეტრიაშვილის დირექტორობის წლებად, 1804-1813 წლების ნაცვლად, უნდა იყოს 1803-1810 წლები.

1810 წლის პირველი ნახევრისათვის დამთავრდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის არსებობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი ღირსეული მამულიშვილის, კეთილშობილი ადამიანის, დიდად განათლებული, როგორც ნ. გრიგალაშვილი უწოდებს, განსაკუთრებული ღირსებებით შემკული პიროვნების ალექსი პეტრიაშვილის დირექტორობისა[84]. ეს იყო პერიოდი შემოქმედებითი ძიებებისა, სერიოზულ წინაღობათა არცთუ იოლი დაძლევისა. ეს იყო მეტად ძნელი, მძიმე,

მაგრამ მაინც ნათელი პერიოდი, რომლის დროსაც შექმნილ ფუნდამენტზე აგებულმა სასწავლებელმა გაუძლო 200 წლის ქარტეხილებს და დღემდე მოატანა.

დირექტორობიდან გათავისუფლების შემდგომ ალ. პეტრიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ისტორიკოს მაქსიმე ბერძნიშვილის უკვე დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ:

„1810 წ. თხოვნისამებრ ალ. პეტრიაშვილი გაათავისუფლეს სასწავლებლის დირექტორობის მოვალეობიდან. შემდეგ ბერად შეიმოსა ათანასეს სახელით და დანიშნულ იქნა ქართლში პირველი მონასტრის ქვათახევის წინამძღოლად არქიმანრდიტის პატივის მინიჭებით.

თბილისში 1814 წელს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსებისთანავე ა. დანიშნულ იქნა მის წევრად. კანტორის საზეიმო გახსნის შემდეგ წარმოთქვა შესაბამისი შინაარსის სიტყვა.

ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით, 1819 წ. ა. მივლინებული იქნა სამეგრელოში იქაური საეკლესიო თემების, საერთოდ, შემოსავლისა და სასულიერო პირთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობების შესაკრებად და, საერთოდ, რუსეთის საეკლესიო წყობის შემოსაღებად.

ქვათახევის მონასტრის გაუქმების შემდეგ ერთხანს იყო ახლად დაარსებულ თბილისის ფერისცვალების (ე. წ. დარიის) მონასტრის არქიმანდრიტი, ხოლო აქედან მიდის რუსეთში, ჯერ მაკარის მონასტრის არქიმანდრიტად, ხოლო შემდეგ მოსკოვის დონის მონასტრის არქიმანდრიტად. გარდაიცვალა 1832 წ. 12 ოქტომბერს და იქვეა დასაფლავებული.

ათანასე არქიმანდრიტი ნათლია იყო გრიგოლ ორბელიანისა“.

4. გიმნაზია თუ სამხედრო სასწავლებელი

საქართველოს მთავარმართებელ გენერალ ტორმასოვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამსახურებად მიჩნეული იყო იმერეთის სამეფოს გაუქმება[85]. ალბათ, ხორცი რომ შესხმოდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სამხედრო სასწავლებლად გარდაქმნის ტორმასოვისეულ განზრახვას, ესეც საქართველოში ტორმასოვის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვლებოდა. ტორმასოვი სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნას ქართველთა ინტერესების დაკმაყოფილებად მიიჩნევდა. იგი განათლების მინისტრს 1810 წლის 6 თებერვალს წერდა: „მე, ჩავწვდი რა ქართველ კეთილშობილთა ნოდებას, აუცილებლად ჩავთვალე დავაარსო ასეთი სასწავლებელი, რადგან იგი შეესაბამება აქაურ მცხოვრებთა ჩვევებს. განსაკუთრებით თავადაზნაურობაში ჩანერგილია სულისკვეთება და მიდრეკილება სამხედრო სამსახურისადმი“[86].

ტორმასოვი თავის მოვალეობად თვლიდა განათლების მხრივ საქართველოს დაახლოებას იმპერიის დანარჩენ გუბერნიებთან. ამის საფუძველი კი უნდა გამხდარიყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სამხედროდ გარდაქმნა. დასაწყისში დასაშვებად მიიჩნევდა თუნდაც ერთი ასეულისათვის ისეთი საგნების სწავლებას, როგორიც დაშვებული იყო რუსეთის სხვა გუბერნიებში ასეთი დაწესებულებებისათვის[87]. ამით დაიწყებოდა განათლების დარგში საქართველოს დაახლოება რუსეთის დანარჩენ გუბერნიებთან.

რით განსხვავდებოდა გენერალი ტორმასოვი ილიას „მგზავრის წერილების" „რუსი აფიცრისაგან", რომელიც ქვეყნის განათლების დონეს გენერალთა რაოდენობით განსაზღვრავდა? როცა „რუსმა აფიცერმა" გაიგო, თურმე, საქართველოს „ოციოდ მართალი გენერალი ჰყოლიაო", აღტაცება ვერ დამალა. არც ისე დაღუპულად ჰქონია საქმე საქართველოს, თურმე, რა დიდებულად უმოღვაწია რუსეთს საქართველოში შემოსვლიდან რაღაც სამოცდაათი წლის მანძილზე. „ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს, სახელი და დიდება, საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას".

ტორმასოვის აზრით, რაკი დაარსდებოდა სამხედრო სასწავლებელი, დირექტორად უნდა დანიშნულიყო არტილერიის ან საინჟინრო დეპარტამენტის პოლკოვნიკი, თუნდაც პოდპოლკოვნიკი, ანდა ლაშქრის ბანაკის სადგომთა მომწყობი კვარტირმეისტერი. თურმე, მათ ექნებოდათ საჭირო ცოდნა, რათა ახალგაზრდობა მოემზადებინათ სამხედრო სამსახურისათვის.

ტორმასოვის წინადადებას სამხედრო სასწავლებლის გახსნის შესახებ ინონებდა განათლების ახალი მინისტრი ალექსი რაზუმოვსკი. იგი 1810 წლის 16 აპრილის წერილით ტორმასოვს ატყობინებდა, რომ თბილისში არსებული სასწავლებლის სამხედრო სასწავლებლად გარდაქმნისათვის აუცილებელი იყო მისი სარგებლობისა და გახსნის პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები. იმავე წლის 15 სექტემბერს ტორმასოვი პასუხობდა, რომ მას უკვე შეკრებილი ჰქონდა საჭირო დოკუმენტები, რომ აქაური მხარისათვის უმთავრესი იყო აღნიშნული სასწავლებლის დაარსება. ტორმასოვმა წერილს თან დაურთო „წინადადება თბილისში კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებლის დაარსების შესახებ"[88].

ტორმასოვი თბილისში სამხედრო სასწავლებლის დაარსებას საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა ქართველი ახალგაზრდობის გასარუსებლად. მისი წინადადებით, სასწავლებელში სწავლის ხანგრძლიობა 8 წელი უნდა ყოფილიყო. მიიღებდნენ 8-11 წლის ბავშვებს, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე იცხოვრებდნენ სასწავლებელთან არსებულ ბინაში. მეცადინეობანი, თუ არ ჩავთვლით დაწყებით კლასებში ქართულ სიტყვიერებას, მთლიანად რუსულ ენაზე წარიმართებოდა. სასწავლებელში შესვლიდან ოთხი წლის შემდეგ სწავლის წარჩინებულნი გაიგზავნებოდნენ პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სამხედრო განათლების სრულყოფისათვის: კადეტთა კორპუსის წარმატებით კურსდამთავ-

რებულნი 6 წლით ოფიცრებად განაწილდებოდნენ გვარდიაში ან საინჟინრო და საარტილერიო დეპარტამენტებში, ხოლო დანარჩენები, პრაპორშჩიკის ჩინით, ასევე 6 წლით განაწილდებოდნენ რუსეთშივე, სამხედრო ნაწილებში. რაც შეეხება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, ისინი განაწილდებოდნენ საქართველოში ან ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ პოლკებში ასევე 6 წლით. ასე რომ, კადეტთა კორპუსისა თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი იქნებოდნენ 16-19 წლისანი. თუ სწავლის 8 წელს მიემატებოდა სამხედრო სამსახურის ექვსი წელიც, გამოდის, რომ ახალგაზრდები 14 წლის მანძილზე სრულიად მოწყვეტილნი იქნებოდნენ მშობლიურ გარემოს და მთლიანად ეზიარებოდნენ რუსულ ყოფა-ცხოვრებას. ამრიგად, მიღწეული იქნებოდა ქართველი ახალგაზრდობის გარუსების მთავარი მიზანი. აი, რატომ დაიმსახურა ტორმასოვის წინადადებამ განათლების მინისტრ რაზუმოვსკისა და სამხედრო მინისტრ ბარკლაი დე ტოლის მოწონება, რომელებსაც ტორმასოვმა თავისი წინადადებები გაუგზავნა 1810 წლის 15 და 20 სექტემბერს[89]. 1811 წლის 11 აგვისტოს ტორმასოვის წინადადებანი ფინანსური პბარდაჭერის თხოვნით გაეგზავნა ფინანსთა მინისტრ გუსევს[90]. ტორმასოვი 1811 წელსვე გაიწვიეს კავკასიიდან, ასე რომ, იგი ვერ მოესწრო თავისი წინადადებებისა თუ პროექტების რეალიზაციას.

ტორმასოვის შემდეგ კავკასიის მმართველობა ორად გაიყო: მარკიზ პაულუჩის დაექვემდებარა ამიერკავკასია, ხოლო გენერალ რტიშჩევს — ჩრდილოეთ კავკასია ასტრახანის გუბერნიითურთ. გენერალ-ლეიტენანტ პაულუჩის ხანმოკლე მმართველობა (1811-1812 წლები) საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, შავი ჭირის ეპიდემიის გამწვავებით აღინიშნა, რის გამოც, როგორც პაულუჩი სწერდა განათლების მინისტრს 1811 წლის 10 დეკემბერს, კეთილშობილთა სასწავლებელში მეცადინეობანი ფაქტობრივად შეწყდა. პაულუჩი, ტორმასოვის მსგავსად, ტრაბახობდა, რომ იგი ჩაწვდა აქაური ხალხის ზნე-ჩვეულებას, ახალგაზრდობის სწრაფვას სამხედრო სამსახურისაკენ, ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდა სამხედრო სასწავლებლის დაარსების შესახებ ტორმასოვის წინადადებათა განხორციელების დაჩქარებას, სთხოვდა განათლების მინისტრს მხარდაჭერას „ამ მხარის განათლებისათვის"[91].

1812 წელს კავკასიის მმართველობა კვლავ გაერთიანდა გენერალ ნიკოლოზ რტიშჩევის საერთო მმართველობით (1812-1816 წწ.). თუ პაულუჩი მოითხოვდა ტორმასოვის წინადადებათა განხორციელების დაჩქარებას, რტიშჩევი უფრო რეალურად მიუდგა საკითხს. როგორც ჩანს, მან მაინც სწორად გააანალიზა იმპერიის საშინაო და საგარეო ვითარება, რაც არ იძლეოდა სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე დაუყოვნებლივ გარდაქმნის შესაძლებლობას, საჭიროდ ჩათვალა მოსამზადებელი პერიოდი. რტიშჩევი ითვალისწინებდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას, მასწავლებელთა კადრებსაც, თვით

მოსწავლეთა მომზადების დონესაც, რაც ვერ აკმაყოფილებდა სამხედრო სასწავლებლის მოთხოვნებს. რტიშჩევი განათლების დარგში შემოიფარგლა 1804 წელს შემუშავებული „უნივერსიტეტებისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა წესდების" იმ მოთხოვნათა გატარების ცდით, რომ მოწაფეებს მიეღოთ შრომისა და ელემენტარული ტექნიკური ჩვევები, მასწავლებლებს ესწავლებინათ წესებით გათვალისწინებული საგნები: ისტორია, მათემატიკა, ტოპოგრაფია, სტატისტიკური ჩანაწერები, რაშიც მოცემული იქნებოდა ცნობები მიწათმოქმედების, თესვის, მკის, ნიადაგის თვისებების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესახებ, სტატისტიკური ჩანაწერები საქართველოს სინამდვილესთან შეფარდებით. ამავე დროს, მოსწავლეები უნდა გარკვეულიყვნენ იმპერიის სხვა მხარეებისაგან კავკასიის, კერძოდ, საქართველოს განსხვავებაში[92].

მართალია, რტიშჩევი განათლების მინისტრისადმი 1813 წლის 14 აპრილის წერილში არაფერს წერს სამხედრო სასწავლებლის შესახებ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან ზოგიერთის (ტოპოგრაფიის, სტატისტიკური ცნობების, მხარის სამეურნეო-ეკონომიკური ანალიზის) ცოდნა მომავალ სამხედრო მოსამსახურეს აუცილებლად დასჭირდებოდა. თუ რტიშჩევმა განათლების დარგში მეტის გაკეთება ვერ მოასწრო, შეიძლება, ამის მიზეზი პაულუჩისაგან მიღებული რთული მემკვიდრეობაც იყო. პაულუჩიმ თითქოს „დაამშვიდა" 1812 წელს აჯანყებული კახეთი, როდესაც რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფმა იტალიელმა მარკიზმა 1812 წლის მარტისათვის კახეთის სოფლებში პირველმა აღმართა სახრჩობელები და ამით აჯანყება დამთავრებულად ჩათვალა. სინამდვილეში კი აჯანყება სექტემბერშიც გაგრძელდა[93]. ამას ემატებოდა გამოსვლები მთიულეთში, დაძაბული ურთიერთობა სპარსეთთან და ოსმალეთთან, შავი ჭირისა და შიმშილობის მძვინვარება საქართველოში და ა. შ. ევროპაში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, ამიერკავკასიის საშინაო პრობლემებისათვის ცენტრალურ ხელისუფლებას არ ეცალა. შექმნილი მძიმე მდგომარეობისათვის თავის გართმევა კი რტიშჩევის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ვითარება სახარბიელო არც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში იყო. პეტრიაშვილის შემდეგ სასწავლებელი თანდათან კარგავდა მისი რუდუნებით მოპოვებულ ავტორიტეტს. ეცემოდა დისციპლინა. ჯერ კიდევ 1810 წლის 17 ივლისს საქართველოს მმართველი ახვერდოვი წერდა ტორმასოვს, რომ მასწავლებლები მალცოვი და ლუბკინი ლოთობდნენ, ქუჩაში დებოშს ტეხდნენ და მოსახლეობას აწუხებდნენ. ეს ის მალცოვია, რომელსაც 1806 წელს ბუკრინსკისთან ერთად ტიტულარული მრჩევლის წოდება მიენიჭა. ლუბკინი პეტრიაშვილის დროს თავშეკავებული ჩანდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა სასწავლებლიდან პეტრიაშვილის წასვლა, რომ ლოთობა დაეწყო, რისთვისაც ჰაუპტვახტშიც მჯდარა. რაც შეეხება მალცოვს, როგორც ახვერდოვი წერდა, მისი, როგორც მასწავლებლის, გამოყენება კიდევ შეიძლებოდა[94].

თავის წინამორბედ მთავარმართებელთა მსგავსად, რტიშჩევიც ფიქრობდა, რომ კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებლის დაარსებით ბევრი პრობლემა გადაწყდებოდა: დამყარდებოდა რკინისებური დისციპლინა, განათლდებოდა ეს „გაუნათლებელი" მხარე. ოღონდ რტიშჩევი, ტორმასოვისა და პაულუჩისაგან განსხვავებით, გარდაქმნაზე გადასვლას თანდათანობით, მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარების შემდეგ აპირებდა.

ვითარებას ართულებდა შავი ჭირის ეპიდემიაც. დაშინებული მშობლები აცხადებდნენ, რომ მათთვის შვილების სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე სწავლა. ვისაც შეეძლო, ოჯახებით გაიხიზნა თბილისიდან. სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობაზე სასწავლებლის დირექტორი თედორე ბუკრინსკი 1814 წლის 3 ივნისს რტიშჩევს უპატაკებდა[95], რომ სასწავლებელში 156 მოსწავლიდან არ ცხადდებოდა 118-123. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ ბუკრინსკი იძულებული გამხდარა, 11 ივნისიდან მეცადინეობა შეეწყვიტა. იმ დროს სასწავლო წელი მთელ კალენდარულ წელს მოიცავდა, ე. ი. იანვრიდან იანვრამდე გრძელდებოდა. ბუკრინსკი ყველაფერს აკეთებდა, რათა სასწავლებელს 1302 წლის მსგავსად არსებობა არ შეეწყვიტა. მან გარს შემოიკრიბა თანამოაზრე მასწავლებლები, რომლებთან ერთად კავშირს ამყარებდა მეცადინეობიდან დათხოვილ მოწაფეებთან და მათ მშობლებთან. მოწაფეებს მიცემული ჰქონდათ საშინაო დავალებები, რათა არ დავიწყებოდათ ნასწავლი. ბუკრინსკი და მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ, რამდენად ასრულებდნენ მოსწავლეები დავალებას. თან აძლევდნენ ახსნა-განმარტებებს, ეხმარებოდნენ დავალების შესრულებაში. ასეთი მუშაობის შედეგად, 1814 წლის 19 ოქტომბერს სასწავლებელში მეცადინეობა განახლდა.

ამ დროისათვის ბუკრინსკი უკვე კოლეგიალური მრჩეველი იყო. 1806 წლიდან სამოხელეო იერარქიის მეცხრე საფეხურიდან მეექვსეზე დაწინაურდა. ბუკრინსკიმ ეს წინსვლა სამართლიანად დაიმსახურა. ბუკრინსკიმ 1792-1797 წლებში მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში სწავლის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ციციანოვმა სასწავლებლიდან გაძევებული გულიაევის ნაცვლად 1804 წელს რუსული სიტყვიერების მასწავლებლად მიიწვია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ბუკრინსკი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას. მან აუცილებლად ჩათვალა ქართული ენის ცოდნა და „შეუსწავლია იგი საკმაოდ საფუძვლიანად"[96]. იგი საგანს ასწავლიდა ქართული ენის დახმარებით. ბუკრინსკის მოკლე ხანში მოსწავლეთა და მშობლების პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია. იგი უკვე ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ არავის გაკვირვებია, როდესაც 1810 წელს ალ. პეტრიაშვილის ნაცვლად სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და მალე დირექტორადაც დამტკიცდა.

ბუკრინსკის მძიმე პერიოდში მოუწია სასწავლებლის ხელმძღვანელობამ, მაგრამ რთულ ვითარებას წარმატებით გაართვა თავი: დახურვის პირამდე მისული სასწავლებელი იხსნა განსაცდელისაგან. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაური იყო ამ დროს რტიშჩევისადმი ბუკრინსკის 1817 წლის 16 აგვისტოს თხოვნა, რომ მთავარმართებელს აღეძრა განათლების მინისტრთან შუამდგომლობა, რათა თბილისის სასწავლებლის პედაგოგებიც უზრუნველეყოთ პეტერბურგის სასწავლო ოლქის მასწავლებელთა მსგავსად მუნდირებით[97]. ბუკრინსკის ამ „ფორმალობით" აქაური მასწავლებლების პეტერბურგელ პედაგოგებთან გათანაბრება სურდა. მისი აზრით, ეს დადებითად იმოქმედებდა მასწავლებლების განწყობილებაზე, გაზრდიდა მათ პასუხისმგებლობასაც და საზოგადოების თვალშიც აუმაღლებდა ავტორიტეტს. რტიშჩევმა ბუკრინსკის ეს თხოვნა არასერიოზულად ჩაუთვალა და ცინიკურად უპასუხა: „ჩემდამი თქვენს 32 პატაკთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ რადგან დაკავებული ვარ მისი უდიდებულესობის მიერ ჩემდამი მონდობილი ვრცელი მხარის მნიშვნელოვანი საქმეებით, დრო არა მაქვს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე მიმოწერისათვის, როგორიცაა თბილისის სასწავლებლის მოხელეებისა და მასწავლებელთა მუნდირი. ამის შესახებ თქვენვე მიმართეთ სახალხო განათლების მინისტრს"[98].

მეცადინეობათა განახლებისას არადამაკმაყოფილებელი იყო უფროს კლასებში მოსწავლეთა გამოცხადება, უმცროსი კლასები კი გადატვირთული აღმოჩნდა. 1814 წლის 2 დეკემბერს ბუკრინსკი მოახსენებდა გენერალ-გუბერნატორ სიმონოვიჩს: მაღალი კლასების მასწავლებლები უსაქმოდ რომ არ ყოფილიყვნენ, დაბალი კლასების მოსწავლეები გაანაწილა მათ კლასებში და მათთან მეცადინეობა დაავალა. სიმონოვიჩმა ჩათვალა, თითქოს უმცროსკლასელებთან მეცადინეობა ტარდებოდა უფროსკლასელთა პროგრამით, რისი დაძლევაც პატარებს უძნელდებათო, — აღნიშნავდა სიმონოვიჩი მთავარმართებლისადმი პატაკში. სიმონოვიჩი წერდა იმის შესახებაც, რომ მშობლები კმაყოფილდებოდნენ შვილების მიერ რუსული ენის მცირე ცოდნით, გამოყავდათ ისინი სასწავლებლიდან და აწყობდნენ სამოქალაქო სამსახურში, სადაც ჯამაგირიც ენიშნებოდათ და ჩინსაც სასწავლებლის კურსდამთავრებულებზე ადრე იღებდნენ. ესეც არისო, — განაგრძობდა სიმონოვიჩი, — იმის მიზეზი, რომ უფროსკლასელები აღარ დადიან სასწავლებელში. ამიტომ სიმონოვიჩი წინადადებას იძლეოდა, რომ ახალგაზრდები არ მიეღოთ სამოქალაქო სამსახურში სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი ცნობის გარეშე. „მაშინ მშობლები უფრო მეტად იზრუნებენ თავიანთი შვილების აღზრდისათვის, ეცდებიან, რომ შვილებმა პირველ რიგში ცოდნა მიიღონ და სამსახურში შემდეგ მოეწყონ. სასწავლებელი კი მოსწავლეთა გარეშე არ დარჩებაო"[99].

რტიშჩევმა მოიწონა სიმონოვიჩის წინადადება და შესაბამისი ბრძანებებიც გასცა. ამავე დროს, მიუთითა სიმონოვიჩს, რომ გაეფრთხილებინა ბუკრინსკი

და მასწავლებლები, მეტი ყურადღებით მოკიდებოდნენ თავის მოვალეობას, განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ რუსული ენის სწავლებაზე, მტკიცედ დაეცვათ სახალხო განათლების მინისტრის 1811 წლის 18 მარტის „ცირკულარული წინადადება სასწავლო დაწესებულებაში ფიზიკური სასჯელის თაობაზე“[100]. ამ ცირკულარით მინისტრი შეახსენებდა სასწავლებლების ხელმძღვანელებს 1804 წელს დამტკიცებულ წესდებას, რომელიც სასტიკად კრძალავდა მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას[101].

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი და დროული (თუ დაგვიანებული არა) ცირკულარი. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა არცთუ იშვიათად სხეულის ისეთ დაზიანებას იწვევდა, რაც შეიძლება ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყოლოდა. კიდევ უფრო მძიმე იყო მორალურ-ფსიქოლოგიური ზიანი. მიუხედავად ცირკულარისა, ფიზიკური დასჯა იმპერიის სასწავლებლებში იმდენად ფესვგადგმული აღმოჩნდა, რომ იგი გვხვდება 40-50-იან და შემდგომ წლებშიც. ბუკრინსკის, ისევე როგორც ადრინდელ თუ შემდგომ დირექტორთაგან ბევრს, მის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა უწევდა.

1814 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ყაზანის სასწავლო ოლქისადმი დაქვემდებარებასა და ყაზანის უნივერსიტეტისადმი მის მინერას სასწავლებლის ცხოვრებაში არავითარი დადებითი როლი არ შეუსრულებია. ეს მინერა ფორმალური აღმოჩნდა. ეს იყო 1812 წლის სამამულო ომის შემდგომ ევროპაში ფეოდალური რეაქციის ხანა. რუსეთში რეაქციამ განსაკუთრებით შეუტია კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს. რეაქცია გაძლიერდა 1817 წლიდან სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების ერთიანი სამინისტროს შექმნის შემდეგ. მინისტრად დანიშნული უკიდურესი მისტიკოსის მ. ნ. გოლიცინის ინიციატივით, სასწავლო გეგმებიდან ამოიღეს „ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიის ღონისძიებითი წესები“, „ადამიანისა და მოქალაქის ვალდებულებანი“, ჰუმანიტარული განათლების დარგის ზოგიერთი საგანი, რომლებიც, თურმე, მოწაფეებს თავისუფალ აზროვნებას აჩვევდა. ჭეშმარიტი განათლების ერთადერთ საფუძვლად აღიარებულ იქნა „საღვთო წერილის“ კითხვა და ზუთხვა.

ამ დროისათვის რტიშჩევი უკვე გაწვეული იყო კავკასიიდან. წასვლის წინ რტიშჩევი იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საკმაოდ გაზვიადებულად წარმოადგენდა კავკასიაში თავისი მოღვაწეობის შედეგებს. თურმე, ამ მხარეში მისი დანიშვნისას კავკასია, განსაკუთრებით, საქართველო გაღატაკებულ-გაპარტახებული დაუხვდა. ამის მიზეზად იგი ასახელებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო დაუსრულებელ გამოსვლებს, თურქეთ-სპარსეთის მხრივ შემოჭრის საშიშროებას, შავი ჭირისა და შიმშილობის მძვინვარებას. რტიშჩევი კი, თავისი დაუღალავი შრომისა და არაჩვეულებრივი მოღვაწეობის შედეგად, ამ მხარეს ტოვებდა „სრულიად აყვავებულ მდგომარეობაში, დამატკბობელ საშინაო სიმშვიდეში, ყოველგვარი სიუხვისა და ყოველმხრივ უზრუნ-

ველყოფილი კეთილდღეობით, ყველა მეზობელთან კეთილი ურთიერთობით"[102]. თურმე, ასევე რტიშჩევის წყალობით, იწყებოდა „საქართველოს სასულიერო დარგის კეთილმოწყობის ერა"[103]. „აქტების" შემადგენელ-გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ადოლფ ბერჟე მეექვსე ტომის წინასიტყვაობაში წერდა: „თითქოს აყვავებული მხარის შესახებ ასეთი მეტისმეტი თვითკმაყოფილი განცხადება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული"[104]. და ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დამადასტურებელია იმდროინდელი სახალხო განათლების ერთადერთი მთავარი სახელმწიფო კერის — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მდგომარეობა.

1819 წელს ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა უკიდურესი რელიგიური ფანატიკოსი და მანიაკი მ. ლ. მაგნიცკი. თუკი მანამდე ყაზანის სასწავლო ოლქს არ მოუცლია თბილისის სასწავლებლისათვის, ამჯერად მაგნიცკის ყურადღება კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. იგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს ზედმეტად მიიჩნევდა და მისი დახურვისათვის შესაფერის მომენტს ეძებდა.

ეს საქართველოში გენერალ-ლეიტენანტ ა. პ. ერმოლოვის მთავარმართებლობის პერიოდია (1816-1827 წწ.). ერმოლოვი, ციციანოვის მსგავსად, 1796 წელს სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა. მაშინ კავკასიას პირველად გაეცნო და დაინტერესდა ამ მხარით. როგორც თვითონ აცხადებდა, „მთელი არსებით შეიყვარა და მისი ცხოვრების საუკეთესო ოცნებად გადაიქცა ამ მხარის უფროსობა. მიაღწია რა სასურველს, იგი მტკიცე გადაწყვეტილებით გეგმავდა, კავკასიისათვის მიეძღვნა მთელი თავისი მოღვაწეობა, წარემართა იგი მის საჭიროებათა შესწავლისათვის, აღმოეფხვრა ფესვგამდგარი ბოროტმოქმედებანი და მმართველობის ყველა დარგი მოეყვანა იმ სისტემატურ წესრიგში, რაც ასე მგზნებარებით სურდა იმპერატორ ალექსანდრეს ჰუმანურ სულს და რითაც უზრუნველყოფდა თავისი ვრცელი სახელმწიფოს ამ მდიდარი მხარის შემდგომ განვითარებასა და კეთილდღეობას"[105].

ალბათ, ზედმეტი იქნება მსჯელობა იმაზე თუ რამდენად გულწრფელი იყო ერმოლოვი კავკასიისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი სიყვარულის მტკიცებაში. ერმოლოვი ერთგული მსახური იყო იმ „სიკეთისა", რაც მოუტანა საქართველოს ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტმა. „ფესვგამდგარ ბოროტმოქმედებად" მოინათლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დათრგუნვის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა. ერმოლოვმა ამ „ბოროტმოქმედების" აღმოფხვრას მიუძღვნა თავისი მოღვაწეობა. ყოველივე ამის პარალელურად, ერმოლოვი ცდილობდა, გაეტარებინა საქართველოს საზოგადოებრიობის მოსამადლიერებელი ისეთი ღონისძიებანი, რითაც თავს წარმოაჩენდა ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და ქვეყნისათვის მზრუნვე-

ლად. ერმოლოვს ყურადღება მიუქცევია ვახტანგ მეექვსის კანონებისა და მისი ადრინდელი თარგმანებისათვის, რაც უამრავი შეცდომითა და მთელი რიგი ადგილების გამოტოვებით ყოფილა გამოცემული. ერმოლოვი პეტერბურგში ყოფნის დროს სპეციალისტებთან, განსაკუთრებით პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან ურთიერთობისას დაინტერესებულა ამ საკითხით და პეტერბურგიდან დაბრუნებულს შეუქმნია სპეციალური კომისია სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენის თავმჯდომარეობით, რომელსაც 1824 წელს დაუმთავრებია ეს მნიშვნელოვანი სამუშაო ადრინდელი თარგმანის ნაკლოვანებათა გასასწორებლად[106]. ერმოლოვმა სწავლა-განათლების საკითხებზე სერიოზული ყურადღება გაამახვილა, რადგან ამ დარგში იმდროინდელი დონე ნამდვილად აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და რეორგანიზაციას საჭიროებდა. 1818 წელს ერმოლოვმა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მზრუნველად დანიშნა ხოვენი, რომელმაც 1819 წელს ერმოლოვს წარუდგინა სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე გადაკეთებას უშუალოდ არ ითვალისწინებდა, მაგრამ ზოგიერთი ღონისძიება მაინც აქეთ იყო მიმართული.

ხოვენი ლათინური და გერმანული ენების შეზღუდვის ხარჯზე თათრული (აზერბაიჯანული) ენის სწავლების გაძლიერების საკითხს აყენებდა. მისი აზრით, თათრული ენის ცოდნა მოხელეებისათვის აუცილებელი იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, მისი აზრით, კავკასიაში მოსახლეობის უმრავლესობას თათრები წარმოადგენდნენ, მეორეც, თათრული ენის ცოდნა მოხელეებისათვის, განსაკუთრებით სამხედროებისა და დიპლომატიურ მოსამსახურეებისათვის იყო საჭირო. ამასთანავე, ერმოლოვი და ხოვენი იმეორებდნენ იმ გავრცელებულ აზრს, რომ კავკასიელი, მითუმეტეს, მაჰმადიანი ახალგაზრდები განსაკუთრებით ესწრაფვოდნენ სამხედრო სამსახურს, ამიტომაც სამხედრო მოხელეებს სჭირდებოდათ თათრული ენის ცოდნა. სასწავლო გეგმებში მომავალი სამხედროებისათვის, თათრული ენის გარდა, შემდეგი საგნები შეიტანეს: გეოდეზია, საველე ფორტიფიკაცია, სამოქალაქო არქიტექტურა, სიტუაცია და ცეკვა[107]. ახალი საგნების შემოღებამ მოითხოვა დამატებით V კლასის გახსნა, რომელიც აშკარად სამხედრო განხრისა იყო. ამით ერთგვარად სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა სასწავლებლის სამხედროდ გადაკეთებისაკენ.

ერმოლოვს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველის მ. ლ. მაგნიცკის მტრული დამოკიდებულება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისადმი. ბუკრინსკი აფრთხილებდა ერმოლოვს, რომ მაგნიცკის სურდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დახურვა. ხოლო ამას თუ ვერ შეძლებდა, სურდა მისი ისეთი შევიწროებისათვის მიეღწია, რომ იმპერიის სხვა სახელმწიფო (ოფიციალურ) სასწავლებლებთან შედარებით დაბალ დონეზე აღმოჩენილიყო. ერმოლოვმა შესძლო, იმპერატორის ნებართვით,

1823 წელს სასწავლებელი გადარიცხულიყო ხარკოვის სასწავლო ოლქში, კერძოდ, ხარკოვის უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში. ამ ცვლილებით, მართალია, ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ სასწავლებელი გადაურჩა დახურვის მაგნიცკისეულ მცდელობას. სასწავლებელი ხარკოვის დაქვემდებარებაში დარჩა 1840 წლამდე.

ერმოლოვმა ყურადღება გაამახვილა სასწავლებლის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, რის შესახებაც 1825 წლის 3 თებერვალს სწერდა სახალხო განათლების მინისტრ შიშკოვს[108].

თავის დროზე რტიშჩევს მოუწადინებია სასწავლებლისათვის სახლის შესყიდვა ერთ-ერთი თბილისელი მოხელისაგან, რისთვისაც მაშინდელ მინისტრს სახსრებიც გამოუყვია. ერმოლოვს არ მოსწონებია სახლი. იგი ვიწრო და სასწავლებლისათვის უვარგისი იყო. მისი გადაკეთება დამატებით დიდ თანხას მოითხოვდა. ერმოლოვს უარი უთქვამს რტიშჩევის მიერ შერჩეულ სახლზე და გადაუწყვეტია ახალი შენობის აგება, რაც დაახლოებით იმდენივე დაჯდებოდა, რაც რტიშჩევის მიერ შერჩეული სახლის შესყიდვა და მისი გადაკეთება. ერმოლოვს იმედი არ ჰქონდა, რომ შიშკოვი ასე ადვილად გაიღებდა დამატებით თანხას.

შიშკოვი მინისტრად მაშინ დაინიშნა, როდესაც გაუქმდა სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების ერთიანი სამინისტრო და აღდგა ადრინდელი. გოლიცინის სამინისტრომ ვერ გაამართლა იმპერატორისა და სინოდის იმედები, ხოლო გოლიცინს ბრალად დასდეს არამართლმადიდებლობა და გადააყენეს. სინამდვილეში მოხდა ფორმალური ცვლილება. შიშკოვმა კიდევ უფრო გააძლიერა განათლების დარგში რეაქცია, მეცნიერებათა სიჭარბე ზიანის მომტანად მიიჩნია. მისი აზრით, იმპერიაში ხალხის აღზრდა, „მიუხედავად სარწმუნოებისა და ენათა სხვადასხვაობისა", რუსული უნდა ყოფილიყო. ხელმწიფე და მამულის სიკეთე მოითხოვდა ეკლესიის ერთგულ შვილებსა და ერთგულ ქვეშევრდომებს, ღმერთისა და მეფისათვის თავდადებულ ადამიანებს[109]. რა თქმა უნდა, ასეთი აზრების ადამიანი „ტუზემცების" სასწავლებლისათვის დამატებით სახსრებს არ გაიღებდა. ერმოლოვმა ახალი შენობის აგებისათვის მუშებად ჯარისკაცების გამოყენება განიზრახა, რომლებსაც ჯამაგირს არ გადაუხდიდა. ერმოლოვმა ადგილზევე გამონახა სახსრები, რათა ახალი შენობა კეთილმოწყობილი გამოსულიყო, მან შიშკოვს წარუდგინა ახალაგებული შენობის ნახაზი და ორი ხარჯთაღრიცხვა: ერთი იმ შენობისა, რომელიც რტიშჩევს უნდა შეესყიდა, მეორე კი — ახალაგებული შენობისა. მათი ურთიერთშედარებით მინისტრს შეეძლო განესაზღვრა, რით გაკეთდა დანაზოგი, რათა მშენებლობა არ დამჯდარიყო რტიშჩევისათვის გამოყოფილ თანხაზე მეტი. შენობა მაინც ვერ ასცდა დამატებით ხარჯებს. ხანძარმა გაანადგურა შენობის ერთი ფლიგელი. ამავე დროს, წამოიჭრა ახალი პრობლემა: სწავლის მსურველთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ აუცილებელი გახდა შენობის გაფართოება. ამასთან, ერმოლოვი უმჯობესად მიიჩ-

ნევდა, რომ ქირით მცხოვრები მასწავლებლებისათვის თვით შენობაშივე გამოყოფილიყო ოთახები. მაშინ სახელმწიფო აღარ გადაიხდიდა ფულს ბინის დასაქირავებლად. ამ მიზნით სასწავლებლის შენობის გასაფართოებლად შედარებით ნაკლები ფული იქნებოდა საჭირო, ვიდრე ბინის დასაქირავებლად, ესეც დანაზოგს მიემატებოდა. ამჯერადაც მუშებად ჯარისკაცები გამოიყენებოდნენ, რაც გარკვეულ დანაზოგს შექმნიდა. ერმოლოვი წერდა შიშკოვს: „თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ გაიღოთ მოწყალება აქაური ახალგაზრდებისადმი, რომლებიც დიდ მიდრეკილებას იჩენენ სწავლისადმი“[110].

ერმოლოვის 1825 წლის 3 თებერვლისა და 19 მაისის მიმართვათა საფუძველზე, შიშკოვმა 1826 წლის თებერვალში მინისტრთა კომიტეტში გაგზავნა პატაკი სახელმწიფო ხაზინიდან საჭირო თანხის გამოყოფის თაობაზე. ერმოლოვს კი სწერდა: „მერწმუნეთ, რომ ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, რათა სრულად დავაკმაყოფილო თქვენი სურვილი. წინასწარ ვიმედოვნებ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი მცირე თანხით და ამ უმნიშვნელო შენობით აიგებთ თქვენი სახელისა და ჭეშმარიტი თავმდაბლობის შესაფერის ძეგლს“[111]. 25 ივნისს თხოვნა დაკმაყოფილებულა. როგორც ვხედავთ, ერმოლოვმა შიშკოვთან საერთო ენა გამონახა. მან არამცთუ მოთხოვნილი თანხა მიიღო, არამედ დაითანხმა შიშკოვი, გამოეყო დამატებითი სახსრები ზამთრისათვის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის და მათ შესასრულებლად გუბერნიის არქიტექტორისათვის გაეცა ვერცხლით 200 რუბლი[112].

შიშკოვი ერმოლოვს სურვილებს რომ უსრულებდა, შეიძლება, ამაში გარკვეულ როლს ასრულებდა 1812 წლის სამამულო ომში მონაწილეობით ერმოლოვის მიერ მოპოვებული ავტორიტეტი და იმპერატორის კეთილგანწყობა მისადმი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ შიშკოვიც და ერმოლოვიც იღვწოდნენ იმპერატორის „ჰუმანური სულის“ საამებლად, „ღმერთისა და მეფისათვის თავდადებული ადამიანების“ აღზრდისათვის. მართალია, თითოეული მათგანი მიზნის მიღწევას სხვადასხვა გზით და საშუალებით ცდილობდა, მაგრამ მიზანი მაინც ერთი იყო. შიშკოვი თბილისის სასწავლებლის საჭიროებათა დაკმაყოფილებით თავის საქმესაც აკეთებდა: კოლონიური ქვეყნის განათლებისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას ნიღბავდა და მზრუნველად წარმოსდგებოდა. მით უფრო, რომ საჭიროებათა დაკმაყოფილება არც ისე ძვირი ჯდებოდა. ერმოლოვი კი, როგორც ამ მხარის გამგებელი, აქაურ მცხოვრებთა ნდობას მოიპოვებდა და ამ მხარისა და ხალხისათვის მზრუნველის სახელს მოიხვეჭდა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მზრუნველად დანიშნული სამოქალაქო გუბერნატორი ხოვენი ერმოლოვს მოახსენებდა სასწავლებლის არასასურველ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, პეტრიაშვილის დროს შექმნილი ბიბლიოთეკის განადგურების პირას მისვლის შესახებ[113]. ხოვენმა 1819 წლის რეორგანიზაციის საფუძველზე დაიწყო მოწაფეებისათვის სტიპენდიების თან-

დათანობით გაუქმება. მიუხედავად ამისა, სასწავლებლის ავტორიტეტი უკვე იმდენად მაღალი იყო, რომ მოწაფეთა რაოდენობა კი არ მცირდებოდა, არამედ წლიდან წლამდე იზრდებოდა. ხოვენი ყოველივე ამას თავისი მოღვაწეობის შედეგად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ სიღარიბის მიუხედავად, ქართველი თავადაზნაურობა ზრუნავდა, რათა შვილებისათვის განათლება მიეცა[114]. თუ 1818 წელს სასწავლებელში 148 მოსწავლე სწავლობდა, 1828 წელს მათი რიცხვი 248-მდე გაიზარდა[115]. ხოვენის მიერ შემუშავებული რეორგანიზაციის პროექტში, სამხედრო საგნების შემოღებასთან ერთად, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც დაეთმო ყურადღება. 1820 წლისათვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სამხედრო საგნების გარდა, ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული, ქართული, თათრული (აზერბაიჯანული), სომხური ენები, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, მსოფლიო ისტორია, რუსეთისა და საქართველოს ისტორია, საყოველთაო და რუსეთის გეოგრაფია, ხაზვა, ხატვა; დარჩა აგრეთვე ლათინური და გერმანული ენების სწავლება. 1823 წელს, თავადაზნაურთა ერთი ჯგუფის თხოვნით, გაიხსნა მეექვსე კლასი. სასწავლო გეგმით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიას უახლოვდებოდა.

საინტერესოა საგნების კვირეული განრიგი, რითაც სასწავლებელი 1825 წლიდან ხელმძღვანელობდა[116].

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი საათები რუსულ ენას ჰქონდა დათმობილი — 66. ამ საგანს ასწავლიდნენ შიპულინი, სროტინსკი და ბუკრინსკი. მეორე ადგილზე იყო ქართული ენა — 36 საათი. ასწავლიდა ექვთიმე ალექსი-მესხიშვილი, რომელიც სასწავლებელში იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების (1816 წ.) შემდეგ მოვიდა და 1830 წლამდე დარჩა. ადრე იგი ანჩისხატის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში ასწავლიდა, სადაც მისი მოსწავლე ყოფილა გრიგოლ ორბელიანი. ასევე ქართულს ასწავლიდა ივანე არღუთინსკი-დოლგორუკოვი. არითმეტიკას დათმობილი ჰქონდა 34 საათი. ამ საგანს ასწავლიდნენ სროტინსკი, საგინოვი და პოპოვი. საათების რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზე იყო თათრული ენა, რასაც ასწავლიდნენ თუშმალოვი და ალალახოვი. სასწავლებელი რომ ზოგიერთი საგნის სპეციალისტის ნაკლებობას განიცდიდა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ესა თუ ის მასწავლებელი ასწავლიდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საგნებს. ასე, მაგალითად, ივანე არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურასთან ერთად, IV-VI კლასებში ასწავლიდა გეოგრაფიას. შიპულინი I კლასში ასწავლიდა რუსულ ენას, ხოლო IV-VI კლასებში — ისტორიას. სასწავლებელს ნამდვილ „ენციკლოპედისტად" მოევლინა იაროსლავსკი, რომელიც ერთდროულად ასწავლიდა ხატვას, გეომეტრიას, კარტოგრაფიას, გეოდეზიასა და ფორტიფიკაციას.

როგორც ეს განრიგი გვიჩვენებს, ქართული ენა ჯერ კიდევ არ განიცდის ისეთ შეზღუდვას, როგორც შემდეგ წლებში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ

ადგილობრივ ხელისუფლებას ესაჭიროებოდა სპეციალისტები, რომლებიც რუსულიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელებად გამოდგებოდნენ. სწორედ ასეთ თარჯიმანთა მომზადება დაისახა თბილისის სასწავლებლის ერთ-ერთ ამოცანად. ბუნებრივია, რომ სასწავლებელს ისეთი მასწავლებლებიც ესაჭიროებოდა, რომლებსაც ორივე ენა ეცოდინებოდათ. შემთხვევით როდი შეისწავლა თავის დროზე ბუკრინსკიმ ქართული ენა. დირექტორი რომ გახდა, იგი ქართული ენის ცოდნას ავალდებულებდა სხვა მასწავლებლებსაც. ქართველ მასწავლებლებს კი რუსული ენა უნდა სცოდნოდათ. თედორე ბუკრინსკი მასწავლებლებისაგან რუსული და ქართული ენების ცოდნას რომ მოითხოვდა, ამას ერთი ფაქტიც ადასტურებს: ბუკრინსკიმ დაბალი კლასების მასწავლებლად მღვდელი ნიკოლოზ მიხაილოვი რომ წარადგინა, სამოქალაქო გუბერნატორი სტალი მანამ არ დაეთანხმა მის დანიშვნას, ვიდრე მიხაილოვმა მასწავლებელთა კოლეგიას ორივე ენა არ ჩააბარა[117]. თავის დროზე ივ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებლად ორივე ენის ჩაბარების შემდეგ დაინიშნა[118]. 1827 წლის აპრილში მას თავი დაუნებებია მასწავლებლობისათვის. გაძნელებულა ქართული სიტყვიერების მასწავლებლის მოძებნა და კინაღამ ეს საგანი გაუქმებულა. საბედნიეროდ, იმავე წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სოლომონ დოდაშვილმა დაიწყო სასწავლებელში მუშაობა და ის დაინიშნა ქართული ენისა და ქართული სიტყვიერების მასწავლებლად.

ეს იყო იმპერიაში სახალხო განათლებისათვის მძიმე პერიოდის დასაწყისი. 1827 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა სახალხო განათლების მინისტრ შიშკოვისადმი დაუშვა რესკრიპტი სასწავლებელთა ბოლო საფეხურების შესახებ. რესკრიპტი გიმნაზიებსა და უნივერსიტეტების უწყებაში შემავალ სასწავლებლებს უკრძალავდა შინაყმებისა და საბატონო გლეხთა შვილების მიღებას. უნდა მიეღოთ მხოლოდ თავადაზნაურთა და დიდმოხელეთა შვილები. ახალგაზრდობის აღზრდა-სწავლების საქმე მთლიანად თვითმპყრობელობის სამსახურს დაექვემდებარა. შიშკოვი განუხრელად ატარებდა რესკრიპტს. იგი სწავლა-აღზრდის საქმეს ახორციელებდა შემდეგი პრინციპით — სასწავლებლიდან დევნიდა ყველაფერ ეროვნულს, მისი აზრით, სწავლება მხოლოდ რუსულად უნდა წარმართულიყო. იმპერიაში ყოველი მცხოვრები რუსად ითვლებოდა. 1828 წელს დამტკიცებული იქნა „უნივერსიტეტების უწყებაში შემავალი გიმნაზიებისა და სასწავლებლების ახალი წესდება". იგი უგულებელყოფდა სკოლების თანამიმდევრობასა და ერთიანობას. ახალი წესდებით, სამრევლო სკოლებს აღარ ევალებოდათ მოწაფეთა მომზადება სამაზრო სკოლებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელთ — გიმნაზიისათვის ან მასთან გათანაბრებული სასწავლებლისათვის, რომლებიც შვიდკლასიანი ხდებოდა. გიმნაზიები უნდა არსებულიყო მხოლოდ სატახტო, საგუბერნიო, ცენტრალურ და სხვა დიდ ქალაქებში. მაშასადამე, გიმნაზია უნდა დაარსებულიყო თბილისშიც.

ერმოლოვის შემდეგ, მთავარმართებელ ივანე თედორეს ძე პასკევიჩის დროს (1827-1831 წწ.), იმპერიის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში მთელი რიგი ცვლილებები დღის წესრიგში აყენებდა ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის აუცილებლობას. გაიზარდა მოთხოვნილება რუსული ენისა და რუსული მმართველობის მცოდნე მოხელეებსა და ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ოფიცრებზე, მათი ადგილობრივი მოსახლეობისაგან შევსებაზე. ადგილობრივი მოსახლეობიდან მოხელეების მომზადების ამოცანა მთლიანად უნდა დაკისრებოდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს. სამხედრო ოფიცრების მოსამზადებლად სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უნდა გაგზავნილიყვნენ კადეტთა კორპუსებსა და სამხედრო სასწავლებლებში. გასაგზავნი კანდიდატურები უნდა მოემზადებინა ასევე თბილისის სასწავლებელს. სასწავლებელი კი იმდროინდელი დონით ვერ დააკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას. ხელისუფლების წრეებში დადგა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის რეორგანიზაციის საკითხი. მწიფდებოდა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის იდეა. შედარებით უკან გადაიწია სასწავლებლის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის საკითხმა. სასწავლებლის მზრუნველობა თბილისის გენერალ-გუბერნატორ სიპიაგინს დაევალა. ამასთან დაკავშირებით, იგი 1827 წლის 10 ოქტომბერს განათლების მინისტრს სწერდა: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, დავეხმარო ადგილობრივ მცხოვრებლებს იმ საშუალებათა მოპოვებაში, რითაც შეეძლებათ შვილებს ცხოვრებისათვის აუცილებელი განათლება მისცენ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათ დიდ სარგებლობას მოუტანს, შეარბილებს მათ ზნე-ჩვეულებებს და მიეცემათ საზოგადოებაში გასასვლელი გზა. ისინი თვით ავლენენ სწავლისთვის მზადყოფნას“[119]. თუმცა სიპიაგინი სხვებივით პირდაპირ არ ლაპარაკობდა აქაურ მცხოვრებთა „ველურ“ ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მათი „შერბილების“ აღნიშვნა განა ამაზე მითითება არ არის? ობიექტურობა მოითხოვს, ამავე დროს აღინიშნოს, რომ სიპიაგინი აღიარებდა აქაური ახალგაზრდობის „სწავლისათვის მზადყოფნას“, არ ლაპარაკობდა სასწავლებლის სამხედროდ გადაკეთებაზე, მაგრამ აყენებდა საკითხს კადეტთა კორპუსისათვის ვარგისი 150 ახალგაზრდის მიღებასა და მათი მომზადების თაობაზე.

კავკასიის მხარის სასწავლებელთა და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა ევარისტ გრუბერი, რომელმაც შეიმუშავა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გარდაქმნის პროექტი“[120]. თუმცა მასში მთავარი აქცენტი გაკეთებულია სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის აუცილებლობაზე, მაგრამ ყურადღება გამახვილებულია სიპიაგინის წინადადებაზეც კადეტთა კორპუსისათვის კადრების მომზადების შესახებ. გრუბერი სასწავლებლის, მითუმეტეს მისი გიმნაზიად გადაკეთების შემდეგ, მთავარ ამოცანად მაინც ახალგაზრდობის სამოქალაქო სამსახურისათვის

მომზადებას სახავდა. პროექტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „კადეტთა კორპუსი, რომელიც ამოცანად ისახავს სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადებას, მაინც არ ცვლის სამოქალაქო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად განკუთვნილ დაწესებულებას. მით უფრო, რომ აქაურ ხელმძღვანელობას მხარის მდგომარეობის გათვალისწინებით უფრო დიდი მოთხოვნილება აქვს ადგილობრივ თავადაზნაურთაგან კარგ სამოქალაქო, ვიდრე სამხედრო მოხელეებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ ასეთ პანსიონს ძალუძს მომავლისათვის მოამზადოს კარგი მასწავლებლები საქართველოს სხვა სასწავლებლებისათვის“.

მაშასადამე, გრუბერი დღის წესრიგში აყენებდა იმ ამოცანას, რაც თავის დროზე ციციანოვმა და პეტრიაშვილმა წამოაყენეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მიერ სამრევლო და სამაზრო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების შესახებ. მაგრამ ვინაიდან იმდროინდელ სასწავლებელს არ შეეძლო პროექტით წამოყენებულ ამოცანათა გადაწყვეტა, ამიტომ გრუბერმა ჩამოაყალიბა მისი გიმნაზიად გარდასაქმნელად რეორგანიზაციის პროექტი, რაც თან ერთვოდა განათლების მინისტრ ლივენისადმი საქართველოს მთავარმართებელ პასკევიჩის 1829 წლის 25 აპრილის წერილს. ამ წერილიდან 3 თვისა და 8 დღის შემდეგ, 2 აგვისტოს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ, რომლითაც თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე გიმნაზია დაარსდა. ამრიგად, საკითხი — კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებელი თუ გიმნაზია, — გადაწყდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. გიმნაზიად ჩამოყალიბებამდე კი სასწავლებელმა განვლო წინააღმდეგობებით აღსავსე, წარმატებებისა და წარუმატებლობის მეტად რთული გზა.

თავი II. მოძღვარი და მოწაფე

1. „...საშვილიშვილოდ გარდაეცემის..“

მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ემსახურა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს. რუსეთის იმპერიის სხვა სასწავლებელთა მსგავსად, ისიც იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომთა აღსაზრდელად, რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად იყო გამიზნული. ხელისუფლება ცდილობდა, სასწავლებელი ამ პოლიტიკის გამტარებელი მასწავლებლებით, რა თქმა უნდა, ძირითადად რუსებით დაეკომპლექტებინა. მათგან ზოგიერთს მხოლოდ სახელად ერქვა მასწავლებელი, თორემ არც სწავლა-აღზრდისა, გაეგებოდა რაიმე, წესიერად არც ის საგანი იცოდა, რაც უნდა ესწავლებინა, არც იმათი ენა, ვისთვისაც უნდა ესწავლებინა, არც მოსწავლეებს ესმოდათ მათი. საბედნიეროდ, ამ ვაი-მასწავლებელთა გვერდით იყვნენ მოწოდებით მასწავლებელნი, რომელთაც შეიყვარეს ის მხარეც, ის ხალხიც, რომელთა შვილებსაც ასწავლიდნენ, შეისწავლეს მათი ენაც, ზნე-ჩვეულებანიც, ისტორიაც, კულტურაც, დაიმსახურეს პატივისცემა და სიყვარული, ღირსეულად აუბეს მხარი მათ გვერდით მოღვაწე ამ მხარის შვილებს, რომლებიც აშკარა თუ ფარული დევნა-შევიწროების, მცირერიცხოვნების მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ რუსულ სასწავლებელში მოსწავლეთათვის ჩაენერგათ ქართული სული და დაემჩნიათ საშვილიშვილოდ გარდასაცემი სიკეთე და მადლი.

იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებშიც აღნიშნავენ, რომ „ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელმა განათლება მისცა ბევრ პიროვნებას, რომლებმაც თავი ისახელეს შემდეგში სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპარეზზე“[1].

საკმაოდ ბევრნი არიან ისინი, სასიქადულონი, რომლებმაც თავისი უანგარო, ნაყოფიერი მოღვაწეობით თავი ისახელეს, ასახელეს სასწავლებელიც, აღმზრდელი მასწავლებლებიც და დედასამშობლოც. სამშობლომ და მშობელმა ერმა სამუდამოდ შემოინახეს მათი სახელები. დაუვიწყარია მათი დიდი ამაგი, ვისი წყალობით, ვისი კეთილშობილური მოღვაწეობით აღიზარდნენ ეს დიდებული ადამიანები, ვინც უმთავრესი როლი შეასრულა სახელოვან მამულიშვილთა აღზრდა-ჩამოყალიბებაში. ეს ის ადამიანებია, რომლებიც ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ასრულებენ თავის უპირველეს მოვალეობას აღმზრდელ-მასწავლებლისას. სამწუხაროდ, ბევრის სახელი დაიკარგა, ბევრი მათგანის შესახებ ცნობები იმდენად მწირია, რომ მათ ღვაწლზე მხოლოდ მათი აღზრდილების „საქმენი საგმირონი“ მოგვითხრობენ.

და მაინც, თუ ვინმეა მოსახსენებელი ამ ღირსეულ ადამიანთაგან, ალბათ, ერთ-ერთი უპირველესნი იქნებიან გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მოძღვარი, დიდებული სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც თავისი ღირსეული მოწაფის (და განა მარტო მისი) სულს დაამჩნია ჩვენი ხალხისათვის საშვილიშვილოდ გადასაცემი.

არცთუ იშვიათად უცნაურია, თუ მწარე არა, ხვედრი დიდი ადამიანებისა. სოლომონ დოდაშვილმა ისევე ზიდა თავისი ტანჯვის ჯვარი, როგორც მისმა მოწაფემ ტატო ბარათაშვილმა, შემდეგ კი ჯერ მისმა მოწაფემ, შემდეგ თანამებრძოლმა დიმიტრი ყიფიანმა. თუ ქართველმა ხალხმა ყიფიანს მეორე დიმიტრი თავდადებული უწოდა, სოლომონ დოდაშვილსაც შეიძლება თავდადებული და წამებული ეწოდოს. სოლომონ დოდაშვილმა თავისი გენიალური მოწაფის, სვეგამწარებული ტატოსა და დიმიტრი ყიფიანის მსგავსად, აღსასრული სამშობლოს გარეთ ჰპოვა.

28 წლისა არ იყო ტატო, როდესაც 1845 წელს გარდაიცვალა. მასზე 9 წლით ადრე, 31 წლის ასაკში გარდაცვლილი სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება 27 წლის ასაკში დამთავრდა. შემდეგი 4 წელი საპატიმროსა და რუსეთის ჩრდილოეთში გადასახლების ტანჯვა-წამების პერიოდი იყო, როდესაც ამ დიდ მოაზროვნეს თავისი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობის გამოვლენა-განვითარების ელემენტარული პირობები არ გააჩნდა. ვინ იცის, ამ ოთხ წელში, საშუალება რომ ჰქონოდა, რამდენს შექმნიდა, რამდენს შემატებდა ქართულ მეცნიერებას, საერთოდ კულტურას (და არა მარტო ქართულს).

უფრო ხანგრძლივი იყო სოლომონ დოდაშვილის მეორე სასიქადულო მოწაფისა და თანამებრძოლის დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ თავის მოძღვარსავით ტრაგიკული. გადასახლებულ 73 წლის მოხუცს, აკაკი წერეთლის თქმისა არ იყოს, „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს", მკვლელმა მძინარეს „ქვა დაჰკრა... თავი გაუპო..."

ძნელია ნიკოლოზ ბარათაშვილი და დიმიტრი ყიფიანი გამოაცალკევო დიდებული მოძღვრისაგან ისევე, როგორც ვერ გამოაცალკევებ სოლომონ დოდაშვილს მის სულიერ მამა მოძღვარ იონა ხელაშვილისაგან. XIX საუკუნის ცნობილ პოეტ ვახტანგ ორბელიანს უთქვამს: „თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყოს"[2]. ეს ნათქვამი შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ აღიარებაა ბარათაშვილის, როგორც შემოქმედის იდეურ-სულიერ ჩამოყალიბებაში დოდაშვილის ღვაწლისა და მნიშვნელობისა. იგივე შეიძლება გავიმეოროთ დიმიტრი ყიფიანთან დაკავშირებითაც. სოლომონ დოდაშვილისა და იონა ხელაშვილის ურთიერთობაზეც შეიძლებოდა თქმულიყო: „თუ იონა ხელაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს"...

ამ ადამიანების: იონა ხელაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია მოუტანოს ქვეყანას, ხალხს, საზოგადოებრიობას მოძღვრისა და მოწაფის გულითადმა ურთიერთობამ.

სოლომონ დოდაშვილის ღირსეულმა მოწაფეებმა დიმიტრი ყიფიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა საბოლოოდ მუდმივი განსასვენებელი ქართულ ოლიმპზე — მთაწმინდაზე ჰპოვეს. იქნებ, ბოლოს და ბოლოს იქვე მიეჩინა მარადიული ადგილსამყოფელი მათ დიდებულ მოძღვარს სოლომონ დოდაშვილსაც.

2. „...ყოვლით თვისით თქვენგან ვარ და თქვენი ვარ..."

ექვსი ვაჟი და სამი ქალიშვილი იზრდებოდა სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროს მღვდლის იონა დოდაშვილის ოჯახში. მათგან ნიჭით, სწავლისადმი დაუოკებელი მისწრაფებითა და უდიდესი შრომისმოყვარეობით გამორჩეული სოლომონი უყურადღებოდ არ დარჩენია მის პირველ მოძღვარს იოანე ბოდბელ მიტროპოლიტს, ერისკაცობაში მაყაშვილს, მრავალთათვის გზის გამკვალავს. ასეთი აღმოჩნდა იგი სოლომონისთვისაც.

წვრილშვილიანი ოჯახის პატრონი ღარიბი გლეხისათვის, სოფლის უბრალო მღვდლისათვის ძალზე ძნელი იყო იმ დროისათვის დიდად განათლებული და ავტორიტეტული პიროვნების რჩევის გაზიარება. არადა, თავის პირობაზე განათლებულ, გამგებიან იონა დოდაშვილსაც კარგად ესმოდა სწავლის ფასი. იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ სოლომონსავით იმედის მომცემ, ნიჭის, უნარის პატრონისათვის საცოდაობა, უფრო მეტიც, დანაშაული იქნებოდა განათლების გაუღრმავებლობა და დაჰყვა ბოდბელის შეგონებას. რაკი იოანე მიტროპოლიტმა იონა დოდაშვილი დაითანხმა, ხელი შეუწყო გამგზავრებაში სემინარიადამთავრებულ სოლომონს. იმ დროისათვის გავლენიანი პიროვნების, გიორგი ავალიშვილის მეშვეობით წერილიც გაატანა რუსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან დაახლოებულ ბერ იონა ხელაშვილთან.

1824 წელს 19 წლის ჭაბუკი სოლომონ დოდაშვილი სრულიად უცხო ქალაქში, პეტერბურგში ჩასვლის პირველი დღიდანვე აღმოჩნდა XIX საუკუნის პირველი სამნახევარი ათეული წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, იონა ხელაშვილის მფარველობის ქვეშ.

ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი კახთა ერთ-ერთი რაზმის წინამძღოლ გიორგი ხელაშვილის ვაჟს თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ჯერ ერეკლე მეორის, შემდეგ გიორგი მეთორმეტის ყურადღება და მზრუნველობა დაუმსა-

ხურებია. პირველად მეტეხის დეკანოზ იესეს, ხოლო შემდეგ თელავში დავით რექტორის მონაფე ყოფილა. 1802 წელს 30 წლის იონა რუსეთს გაჰყოლია იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს, პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე პირველის „უქაზით" ალექსანდრე ნეველის აკადემიაში ჩარიცხულა, რომლის დამთავრების შემდეგ ბერად აღკვეცილა. იგი დაახლოებული ყოფილა საქართველოდან გადმოსახლებულ, პეტერბურგში მცხოვრებ თითქმის ყველა დედოფალთან, ბატონიშვილთან და მათ თანმხლებ დიდებულებთან. იონა ხელაშვილის ერუდიციასა და განათლებაზე წერდა იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში". იონა ხელაშვილი ავტორია მრავალი საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და ისტორიული ნაშრომისა. იგი უანგაროდ ეხმარებოდა პეტერბურგში განათლების მისაღებად ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს. იონა ხელაშვილს პიროვნებისა და ერის უპირველეს ღირსებად განათლება მიაჩნდა. მისი მოძღვრების თანახმად, ადამიანი, განურჩევლად წოდებისა, უპირველესად განათლებითა და ზნეობით უნდა დაფასებულიყო. აი, ასეთი ადამიანის მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა პეტერბურგს ჩასული სოლომონ დოდაშვილი. მისი რჩევითა და ხელშეწყობით შევიდა სოლომონი უნივერსიტეტში.

იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი ყოფილა 1825 წელს არჩეული პროფესორი ანტონ ანტონის ძე დეგუროვი, რომელიც რუსეთში ინგლისიდან ჩამოუყვანია ბარიატინსკის. დეგუროვის ბიბლიოთეკა საფუძვლად დასდებია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას[3].

სოლომონ დოდაშვილს იონა ხელაშვილის მფარველობა და მზრუნველობა თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მოჰკლებია, თუმცა იონა ხელაშვილი თავადაც ხელმოკლედ ცხოვრობდა. შემთხვევით არ უწოდებდა მას სოლომონი მეორე მამას, ხოლო თავად უცოლშვილო იონას სოლომონი შვილობილად ჰყავდა აღიარებული. იონას ნაშრომებმა, მისმა რჩევა-დარიგებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დოდაშვილის მსოფლმხედველობის, მისი როგორც შემოქმედის ჩამოყალიბებაში. აკი წერდა კიდეც სოლომონი იონას: „მე განღვიძებულ ვარ თქვენისა მეტყველებითა... თხზულებათა შინა თქვენთა ვიხილე ჭეშმარიტება სიბრძნისა"[4]. „ყოველი შრომა თქვენი და წარსაგებელი ჩემზედა რანიცა დათესილან და იქნებიან დათესილ, ყოველივე კეთილად მოიმკიან და არა ბოროტად წარხდებიან, ჭეშმარიტებით ირწმუნეთ, რომელი სახელის დიდება თქვენი ჩემზედა უკუნითი უკუნისამდე იქნების ხსენებულ ქვეყანასა ზედა და უმეტეს ცათა შინა"[5]. „ბევრის ბევრი უხვება თქვენი ჩემზედა მოღებული დიდ ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ჟამსა შინა, არა მხოლოდ ჩემ შორის აწ, არამედ, ყოველთათვის იქმნების მარადის და თვისსა დროსა გამოჩნდების ყოველნი მოქმედებანი, წარმოებულნი თქუენისა მაღალღირსებისანი, სიბრძნისათვის ჩუენთა შემდეგთა ბრძენისადმი. წყაროო სიბრძნისაო! ადრე იქმნება თუ გვიან, ნათესავი ჩვენი ჰსცნობს შრომასა ჩუენსა"[6]. რა გასაკვირია, რომ ყო-

ველიევე ამის შემდეგ ეთქვა სოლომონს: „მე სრულებით ყოვლით თვისით თქვენგან ვარ და თქვენი ვარ“[7].

დიდი ცხოვრების ასპარეზზე გასვლის მსურველი მიმართავდა თავის მოძღვარს: „მე ვსდგე გზასა ზედა თქვენისა“[8]. და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე არ გადაუხვევია ამ გზიდან. უკვე თბილისში მყოფი და საზოგადოების მიერ აღიარებული სოლომონი წერდა იონა ხელაშვილს: „თქვენ ხართ დასაბამი ჩემისა კაცობრიობისა და შემყუანელი საზოგადოობასა შინა“[9].

სოლომონ დოდაშვილი 22 წლისა იყო, წარჩინებით რომ დაამთავრა პეტერბურგის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი. იგი ამ დროისათვის ავტორი იყო რუსეთის სამეცნიერო წრეებში აღიარებული ნაშრომისა „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი, ლოგიკა“. იმდროინდელი რუსული პრესა მას მიიჩნევდა სერიოზულ ორიგინალურ ნაშრომად, აძლევდა უფრო მაღალ შეფასებას, ვიდრე ფრანგ ფილოსოფოს განმანათლებელ ეტიენ მონო კონდილიაკის (1715-1780 წწ.) ნაშრომს ლოგიკაში.

ბუნებრივია, რომ ასეთი საყურადღებო ნაშრომის ავტორს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა წინადადებას მისცემდა, დარჩენილიყო პროფესორობისათვის მოსამზადებლად. სოლომონ დოდაშვილს ესახებოდა დიდი სამეცნიერო-სამოღვაწეო ასპარეზი. ეჭვი არ არის, რომ მისი სახით მსოფლიო ფილოსოფიურ მეცნიერებას შეემატებოდა კიდევ ერთი დიდი მოღვაწე. მან კი ყველაფერ ამაზე უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მას ღრმად სწამდა, რომ მისი ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა, უწინარეს ყოვლისა, მშობელ ხალხს, ბედკრულ ქვეყანას ესაჭიროებოდა და ყოველგვარი პირადული საზოგადოებრივს ანაცვალა. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ს. დოდაშვილი თავის გადაწყვეტილებას უპირველესად იონა ხელაშვილს გააცნობდა და მოძღვარიც პირჯვარს გადასწერდა და ნარეკლიან გზაზე წარმატებით სვლისათვის დალოცავდა. აკი სოლომონ დოდაშვილი ჯერ კიდევ 1826 წელს სწერდა თავის მოძღვარს: „არა თავისა თვისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“[10].

ს. დოდაშვილი, განათლების მინისტრის ბრძანებით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის უფროს მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, ქართველი დედოფლებისა და ბატონიშვილების, პეტერბურგელ ნაცნობ მეცნიერთა, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა კეთილი სურვილებით გამოემგზავრა საქართველოში. ხელდამშვენებული ბრუნდებოდა სამშობლოში — ნაშრომით „ლოგიკითა“ და მასზე რეცენზიებით. ერთ-ერთი რეცენზენტი ვ. ტიტოვი წერდა, რომ დოდაშვილმა თავისი წიგნი განსაზღვრა მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ, რომელიც გაამდიდრებს მათ გონებას[11]. ხოლო ნ. პოლევოი რუსულ ჟურნალში „მოსკოვსკი ტელეგრაფ“[11ა] აღნიშნავდა, რომ დოდაშვილი თავის მონაფეებსა და თანამემამულთა შორის მრავალ მიმდევარს შეიძენსო.

ნიშანდობლივია, რომ დოდაშვილმა თავისი „ლოგიკა“ მიუძღვნა ხარკოვის სასწავლო ოლქისა და ხარკოვის უნივერსიტეტის მზრუნველს ალექსი პეროვსკის, წარწერით: „კავკასიის ჭაბუკთა გონება საზრდოს ეძებს და ამ წმინდა მისწრაფებაში ისინი მოგაპყრობენ თქვენ თავის თვალებს და ელიან ამ საზრდოს თქვენი აღმატებულებისაგან“[12]. დოდაშვილი ამით შეახსენებდა პეროვსკის, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მიწერილი იყო ხარკოვის უნივერსიტეტზე, რომლის მზრუნველი (ამ შემთხვევაში პეროვსკი), ამავე დროს, თბილისის სასწავლებლის მზრუნველადაც ითვლებოდა და ვალდებული იყო მისთვისაც ეზრუნა. როგორც ვხედავთ, დოდაშვილი სამშობლოში ბრუნდებოდა იმ სასწავლებელზე ზრუნვით, სადაც მასწავლებლობა მოუწევდა.

სამშობლოსაკენ მომავალმა გზად მოსკოვში შეიარა. პეტერბურგის საიდუმლო ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა, ამჯერად ურთიერთობა დაამყარა მოსკოველ შეთქმულებთანაც. ამავე დროს, შეხვედრები ჰქონდა მოსკოვის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომლებმაც დახმარება აღუთქვეს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან სათანადო წერილის გაგზავნასაც შეპირდნენ. მოსკოვში იგი შეხვდა თბილისის გუბერნატორ სიპიაგინის მეუღლეს, რომელმაც ქმართან სარეკომენდაციო წერილი გამოატანა[13].

დოდაშვილმა მოსკოვიდან ხარკოვში გამოიარა, იქაური უნივერსიტეტის რექტორს ივანე იაკობის ძე კრონბერგს შეხვდა, შეახსენა, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მის უნივერსიტეტზეა მიწერილი. კრონბერგს დიდი პატივისცემით მიუღია დოდაშვილი, სადილადაც მიუწვევია, სოლომონი ხარკოვის უნივერსიტეტში საჯარო გამოცდებსაც დასწრებია და შემდეგ საზეიმო ღონისძიებასაც. კრონბერგი თბილისის სასწავლებლის ახალდანიშნულ მასწავლებელსაც და თვით სასწავლებელსაც დახმარებას შეჰპირებია, კერძოდ, რომ მასწავლებლად გამოგზავნიდა უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულებს. შემთხვევით არ შეხვედრია კრონბერგი დიდი პატივით დოდაშვილს. მისთვის ცნობილი ყოფილა დოდაშვილის „ლოგიკაც“ და თვით იონა ხელაშვილის ნაშრომებიც[14].

მდიდარი შთაბეჭდილებებით, ოცნებებით, გეგმებით ბრუნდებოდა სოლომონ დოდაშვილი სამშობლოში. იგი იყო პირველი ქართველთაგანი, რომელმაც 1827 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. იყო სამოციანელ „თერგდალეულთა“ პირველი წინამორბედთაგანი, ოციანი წლების „თერგდალეული“.

3. მედროშედ დაბრუნებული

სწორედ იმ წელს, როდესაც სოლომონ დოდაშვილმა დაიწყო მასწავლებლობა, განათლების მინისტრ შიშკოვისადმი გაგზავნილ რესკრიპტში სასწავლებელთა მოწყობის საფუძვლის შესახებ, იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ბრძანებდა, რომ გიმნაზიების კარები დაეკეტათ „შინაყმებისა და საბატონო გლეხებისათვის“. ამ რესკრიპტს ეფუძნებოდა შიშკოვის მიერ შემუშავებული „ძირითადი“ საწყისები, რომლის მიხედვითაც „განათლების ახალი სისტემა უნდა აგებულიყო წოდებრიობის, მართლმადიდებლობისა და დიდმპყრობელობის საფუძველზე“[15]. რესკრიპტი ვრცელდებოდა ისეთ სასწავლებლებზეც, როგორიც იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. ამრიგად, სახალხო განათლებისათვის მძიმე პერიოდში მოუხდა მასწავლებლობის დაწყება სოლომონ დოდაშვილს. ეს იყო რთული პერიოდი საერთოდ ჩვენი ქვეყნისათვის. 1827 წლის 24 ოქტომბერს ს. დოდაშვილი იონა ხელაშვილს წერდა: „ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად, არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა მოყვარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევნულად მდგომარეობენ, მზად არიან ვნებისათვის რომლისამე პირისა უბედურებისათვის და სხვათა... აქაური სასწავლებელი თბილისისაც ჯერეთ უწესობასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელი მცირე, არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ სწავლათა“[16].

დოდაშვილი ქვეყნის ვითარების ფონზე განიხილავდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მდგომარეობას. მდგომარეობა კი ნამდვილად არასახარბიელო დახვდა. შერყეული სასწავლო დისციპლინა, მასწავლებელთა უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივი დამოკიდებულება სწავლებისადმი, მცირედი დანაშაულისათვის მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდებით მოქმედება — ამ და სხვა სიმახინჯეთა წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას მიიჩნევდა თავის უპირველეს მოვალეობად სოლომონ დოდაშვილი და მისი მოღვაწეობა სწორედ აქეთ წარიმართა.

ხარკოვში ყოფნის დროს იქაური უნივერსიტეტის რექტორი ი. ი. კრონბერგი დოდაშვილს შეპირდა, „მასწავლებელს უნივერსიტეტიდან გამოგიგზავნითო“ და მართლაც, იმავე 1827 წელს რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებლად სასწავლებელს მოევლინა ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი, რომელმაც მალე საერთო პატივისცემა დაიმსახურა და ორჯერ, ჯერ 30-იანი წლების ბოლოს და შემდეგ 60-იანი წლებისათვის, გიმნაზიის დირექტორადაც კი დანიშნეს.

მოკლე ხანში დოდაშვილმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა სასწავლებლის კოლექტივსა და იმდროინდელ თბილისის საზოგადოებაში. გარკვეულ როლს ასრულებდა გუბერნატორ სიპიაგინის მეუღლის სარეკომენდაციო წერილი. როგორც ჩანს, მან ქმარს დოდაშვილი დაუხასიათა დიდად ერუდირებულ, განათლებულ პიროვნებად, მეცნიერ-ფილოსოფოსად. ისიც შესაძლებელია, რომ სიპიაგინმა, თუ არ წაუკითხავს, იცოდა დოდაშვილის „ლოგიკის" არსებობა, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო რუსეთის სამეცნიერო წრეებში. ალბათ, ამიტომაც მიიწვია სიპიაგინმა დოდაშვილი მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის" რედაქციაში სამუშაოდ, ხოლო როდესაც 1828 წლიდან გამოვიდა ამ გაზეთის ქართული თარგმანი „თბილისის უწყებანი", სოლომონ დოდაშვილი მისი რედაქტორი გახდა. არ გაივლის ოთხი წელი და სოლომონ დოდაშვილის თაოსნობით გამოვა ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომლის რედაქტორი თვითვე იყო.

დოდაშვილმა სიპიაგინზე იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სადილადაც კი იწვევდა ხოლმე. შემდგომში სოლომონი სიპიაგინის შვილების რეპეტიტორადაც გვევლინება.

სიპიაგინთან შეხვედრებისას, ბუნებრივია, დოდაშვილი განათლების საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას. იონა ხელაშვილისადმი ერთ-ერთ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1827 წლის 10 სექტემბრით, სოლომონ დოდაშვილი წერდა, რომ სიპიაგინმა მის აზრთან „შეაერთა აზრნი თვისნი განათლებისათვის მემამულეთა. მე ჩემს კერძო ყოველივე მივუთხარ სარგებლად და მოჰსწერა განათლების მინისტრს". სიპიაგინმა განათლების მინისტრ შიშკოვს მართლაც გაუგზავნა წერილები 1827 წლის 10 ოქტომბერს და 1828 წლის 13 იანვარს, ე. ი. იონა ხელაშვილისათვის გაგზავნილი წერილიდან უახლოეს ხანებში[17]. სიპიაგინის ამ წერილებით შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რაზე ჰქონდათ საუბარი დოდაშვილსა და სიპიაგინს და რაზე შეაერთეს მათ „აზრნი თავისნი განათლებისათვის მემამულეთა". პირველ წერილში სიპიაგინი აყენებდა საკითხს სხვადასხვა ქალაქებში სამაზრო სკოლების გახსნის შესახებ. მეორე წერილში სიპიაგინი წერდა შიშკოვს: „ვამახვილებ რა განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოში უმნიშვნელოვანეს საგანზე, მე მივიჩნევდი საჭიროდ აქაურ კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნას ისეთივე პირობებით, როგორითაც რუსეთში არსებობდნენ მსგავსი დაწესებულებები".

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის, ასევე დამატებითი სამაზრო სკოლების გახსნის საკითხის განათლების მინისტრის წინაშე დაყენებაში გარკვეული როლი შეასრულეს სიპიაგინთან დოდაშვილის შეხვედრებმა და საუბრებმა. სიპიაგინი ვერ მო-

ესწრო კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. იგი პირველი წერილის გაგზავნიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

სოლომონ დოდაშვილის კეთილშობილებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი სიპიაგინის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდა მისი შვილების რეპეტიტორობას.

დოდაშვილს შეხვედრები ჰქონდა მთავარმართებელ პასკევიჩთანაც. საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ პასკევიჩმა განათლების ახალ მინისტრ ლივენთან 1829 წლის 29 აპრილის წერილში დააყენა საკითხი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის შესახებ. წერილს თან დაურთო სასწავლებლის დირექტორ გრუბერის პროექტი „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გარდაქმნის შესახებ"[18]. აღსანიშნავია, რომ ამ წერილიდან ზუსტად 3 თვისა და 8 დღის შემდეგ, 1829 წლის 2 აგვისტოს გადაწყდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე პირველი გიმნაზიის დაარსება, რომელიც ოფიციალურად 1830 წლის 1 მარტს გაიხსნა.

უდავოა, რომ ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი საკითხის დაყენებაში, რასაც დადებითად გადაწყვეტა მოჰყვა, ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ახალდანიშნული სოლომონ დოდაშვილის შეხვედრებმა და საუბრებმა ჯერ გენერალ-გუბერნატორ სიპიაგინთან და შემდეგ მთავარმართებელ პასკევიჩთან.

სოლომონ დოდაშვილი გვევლინება მრავალი ეროვნული საქმის არა უბრალო მონაწილედ, არამედ ხშირად მოთავედ და ორგანიზატორად. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო არა მარტო სასწავლებელში სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე დაყენებისაკენ, არამედ მასწავლებელთათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისკენაც. მას აღელვებდა ის ფაქტი, რომ „სასწავლებელში სადგომი არ გახლავთ" და მასწავლებლებს, მათ შორის თვით მასაც, ხშირად სასწავლებელში სიარული უხდებათ შორიდან, რაც არა მარტო ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, არამედ უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზეც[19]. მასწავლებლები დაქირავებულ ბინებში რომ ცხოვრობდნენ და ხაზინა რომ უხდიდა ბინის ქირას, ამას ყურადღება ჯერ კიდევ ციციანოვმა მიაქცია. 20-იანი წლების დასასრულს ამ საკითხს ჯერ ერმოლოვი შეეხო და შემდეგ პასკევიჩი. იგი განათლების მინისტრ ლივენისადმი 1829 წლის 25 აპრილის წერილში აღნიშნავდა, რომ სასწავლებლისათვის საკუთარი ნაგებობის აშენებასთან ერთად მასწავლებლებისათვის საცხოვრებლის აშენება ხარჯებს დაზოგავდა[20]. ნიშანდობლივია, რომ პასკევიჩმა ეს საკითხი დააყენა დოდაშვილთან შეხვედრისა და მასთან საუბრის შემდეგ.

სოლომონ დოდაშვილისათვის უმთავრესი მაინც პედაგოგიური მოღვაწეობა იყო. იგი მთელ თავის ცოდნას, ენერგიას უშურველად იღებდა მოსწავლეთა გასანათლებლად. როგორც მშობლიური ენის მასწავლებელს, თავის პატრი-

ოტულ მოვალეობად მიაჩნდა ქართველი ახალგაზრდებისათვის ქართული ენის სწავლება, რადგან „სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულის-ხმის-ყოფის, წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა, გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, განვრცელდებიან სიმგრგვალენი გონებისანი შეხედვითა მოქმედებულთა მშვენიერებათადმი“[21].

იმ დროს, როდესაც სოლ. დოდაშვილი მასწავლებლად მუშაობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, თუმცა საათები რუსულ ენასთან შედარებით ნაკლები ეთმობოდა, მაგრამ ქართული ენის სწავლება მაინც სათანადო დონეზე იყო დაყენებული. ეს კი ამ ენის მასწავლებელთა დიდი დამსახურება გახლდათ. უფროს კლასებში ქართულ ენას დოდაშვილი ასწავლიდა, უმცროს კლასებში კი მღვდელი ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც თავის დროზე ეს სასწავლებელი დაუმთავრებია და ამ სასწავლებელში ქართულ ენასა და საღვთო სჯულს ასწავლიდა იოანე ქართველიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1816 წლიდან 1830 წლამდე[22].

დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის უმთავრესი პრინციპი მდგომარეობდა იმაში, რომ „სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა ერთნი და იგივე არიან, ესენი ერთად შერაცხს არიან მასწავლებლისათანა“[23]. რადგან მასწავლებლისათვის არ უნდა იყოს მოსწავლეთა შორის გარჩევა იმის მიხედვით, წარმოშობით დიდებულია იგი თუ მდაბიო, იგი მოვალეა ერთნაირი გულმოდგინებით მოეკიდოს მათ სწავლებას — „არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად“[24]. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერის სიძლიერე მის გონიერ მოქმედებაშია, გონიერი მოქმედება კი განათლებულ ერს შეუძლია. ამიტომ განათლება ყველა წოდების ახალგაზრდობას უნდა მიეცეს. დოდაშვილი იშველიებს არისტოტელეს: „სამართლად ჰსთქვა არისტოტელმან, გუამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე“[25]. ცნობა ანუ ცოდნა და სიბრძნე კი ჭეშმარიტი განათლებით შეიძინება.

დოდაშვილს ქვეყნისათვისაც და ხალხისათვისაც გამოუსადეგრად მიაჩნდა უცოდინარი კაცი. „აწინდელსა დროსა მამულისა ჩუენისათვის დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა“[26].

ქვეყნისა და ხალხისათვის საჭირო მრავალი წამოწყების თაოსანმა და მედროშემ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საქმეს დაუდო საფუძველი, რაზეც 1831 წლის 15 იანვარს წერდა იონა ხელაშვილს: „სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართულის ასოებისა. ღრამატიკა იბეჭდება და ამასთან იწყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვეწიოს, იგი ლექსიკონიცა თქუენი, ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა თთუეს ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი. გთხოვ ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვის ჟურნალ-

თა. ამ ჟურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი მთელს წლისა არს ოცი რუბლი ასიგნაცია წარმოგზავნითა"[27]. წერილში ლაპარაკია დოდაშვილის გრამატიკაზე, რომელსაც გამოცემის წელი აწერია 1830, დაბეჭდილია და გამოსულია 1831 წელს[28]. იმავე სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთი „ტფილისის უწყებათანი", ხოლო 1832 წლის იანვრიდან — ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი".

სოლომონ დოდაშვილის 1832 წლის 6 თებერვლის წერილიდან ფილადელფოს კიკნაძისადმი ვგებულობთ, რომ აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა იმდენად არასახარბიელო ყოფილა, რომ იქმნებოდა საშიშროება მთავრობისაგან მათი დახურვისა, რადგან ვერ იფარებოდა გაწეული ხარჯი. სოლომონი წერდა: „თუ დადგეს დაბეჭდუა მთავრობისგან, ქართველთათვის სირცხვილია, მამულის დიდებისთვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვ ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოთ, თუ მეტს იშოვით უფრო უკეთესი, ნურვინ დაჰზოგავს რუა მანეთს"[29].

ამრიგად, სოლომონ დოდაშვილი დიდ მუშაობას ეწეოდა თვით სასწავლებელში, ჟურნალ-გაზეთის რედაქციებში, სტამბაში, სიპიაგინის ობლებთან მეცადინეობაში, ფარულ ორგანიზაციაში, როგორც მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი, და ყოველივე ამას ემატებოდა ნაყოფიერი ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაობა.

1829 წლის 28 დეკემბრის წერილში იონა ხელაშვილისადმი იგი ჩამოთვლიდა თავის უმთავრეს ნაშრომებს:

„აჰა, მამაო საყვარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1. შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვის.

2. სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა.

3. ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისნი.

4. ვსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი.

5. შევადრგინე რეესტრი ქართულისა წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითოეული რას იპყრობს თვის შორის.

6. შევადრგინე სხუადასხუანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრივკი), შესხმანი, ავთრათნი და სხუანი.

7. შევადრგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა.

8. ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ. ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი, წარსულისა დროისანი და მომავალნი ღმერთმან უწყის"[30].

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი გადატვირთვის გამო ერთ წერილში აღენიშნა: „განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრადმდე თანამდებობასა შინა გახლავარ"[31].

შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი ნამდვილად ექსპლოატაციას უწევდა თავის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობას. „მომავალნი ღმერთმან უწყისო“, მომავალი კი ძლიერ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ წერილიდან ზუსტად 3 წლის შემდეგ, 1832 წლის 11 დეკემბერს დაპატიმრებულმა, ავლაბრის ყაზარმებში გამოკეტილმა, 18 თვე და 12 დღე ურიცხვ დაკითხვებზე, სხვა დაპატიმრებულ შეთქმულებთან დაპირისპირებასა და ტანჯვა-წამებაში გაატარა. ჯანგატეხილი, სულით ვერ გატეხეს. გამოძიება 1833 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. დაპატიმრებულნი „სამხედრო წესდებით“ გაასამართლეს და 1834 წლის 10 თებერვალს განაჩენიც გამოუტანეს. სოლომონ დოდაშვილს რამდენიმე შეთქმულთან ერთად სიკვდილი მიუსაჯეს: სიკვდილი ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთით.

მთავარმართებელმა ბარონმა როზენმა პეტერბურგში გაგზავნილ განაჩენს მისი შემსუბუქების შესახებ თხოვნაც მიაყოლა. როზენმა კარგად იცოდა, რომ ხელისუფლებას არ აწყობდა, შეთქმულებისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცა. უფრო ხელსაყრელი იყო მისი რამდენიმე პირის ბოროტგანზრახულობად წარმოდგენა, თორემ თავადაზნაურობა რუსეთის იმპერატორის ერთგული იყოო. შეთქმულებას ხალხიც არ უჭერდა მხარსო. იმპერატორს განაჩენის შემსუბუქებისას არ უხელმძღვანელია ქართველი ხალხის სიყვარულით ან რაიმე სიბრალულის გრძნობით. იყო რამდენიმე გარემოება, რამაც განაპირობა იმპერატორის „გულმოწყალება“. აქედან მთავარი იყო:

1) ცარიზმს ჭირდებოდა ქართველი თავადაზნაურობის მხარდაჭერა იმ შეუპოვარ ბრძოლაში, რასაც იგი აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დამპყრობელთა წინააღმდეგ ამხედრებულ იქაურ მოსახლეობასთან. ქართველ თავადაზნაურთა საუკეთესო წარმომადგენლების შეწყალებით იმპერატორი ამ მხარდაჭერის მოპოვების იმედს არ კარგავდა.

2) ნიკოლოზ I საერთაშორისო თვალსაზრისით არ აწყობდა იმის გახმაურება, რომ რუსეთის მმართველობას ვერ ეგუებოდა საქართველო და სახელმწიფო დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა.

3) ევროპაში ცარიზმის ავტორიტეტი საკმაოდ შეარყია ცოტა ხნის წინათ პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობამ. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ აქტად გამოცხადება, მონაწილეებისადმი ასეთი სასტიკი ანგარიშსწორება კიდევ უფრო გააღრმავებდა ევროპის საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას.

საგამოძიებო კომისიამ შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს, ხელმძღვანელსა და იდეოლოგ სოლომონ დოდაშვილს „შეწყალებული“ განაჩენი გამოუტანა. 1834 წლის 3 ივნისს მას გამოუცხადეს: „ჩამოერთვას ყოველგვარი კლასობრივი წოდება და განესაზღვროს სამუშაოდ ჩრდილოეთის ერთ-ერთ გუბერნიაში დაბალი საფეხურის კანცელიარისტობა სანიმუშო სამსახურებრივ

დამსახურებამდე, მაგრამ არა უადრეს ათი წლისა, სამუდამოდ აეკრძალოს საქართველოში დაბრუნება".

„ჩრდილოეთის ერთ-ერთ გუბერნია" ვიატკა იყო, სადაც გადასახლება სულ მცირე 10 წლითაც კი ჯანგატეხილი, ჭლექით დაავადებული სოლომონ დოდაშვილისათვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო.

1834 წლის 24 ივნისს სოლომონი სამუდამოდ გამოეთხოვა საქართველოს. ივლისის შუა რიცხვებისათვის იგი უკვე ვიატკაში იყო, სადაც გაჰყვა 20 წლის მეუღლე ელენე კობიაშვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვით. ახალგაზრდა ქართველმა ქალმა ჩაიდინა დეკაბრისტების იმ მეუღლეთა მსგავსი (თუ მეტი არა) გმირობა და თავდადება, რომლებიც ციმბირის კატორღაში გადასახლებულ მეუღლეებს გაყვნენ. გადასახლებული დეკაბრისტები, თუმცა წოდებაარყრილნი, მაგრამ მაინც დიდებულთა წარმომადგენლები იყვნენ, ისევე როგორც მათი მეუღლენი. ეს უკანასკნელნი მატერიალურადაც უზრუნველყოფილნი იყვნენ, თანაც ციმბირში ადგილობრივ ხელისუფალთაგან მეტნაკლებად ანგარიშგაწეულნი. სოლომონ დოდაშვილი კი დაბალი წოდებრივი წარმოშობისა იყო, ელენე კობიაშვილი — მშობლებით ადრე დაობლებული, გუბერნიის არქიტექტორ თედორე ბარიშკინის ნაშვილები, მეუღლეს გაჰყვა ფაქტობრივად, ყოველგვარი ეკონომიკური სახსრების გარეშე. ელენეს მესამე შვილი ციმბირში შეეძინა. სოლომონმა ორი წელი ძლივს გაუძლო ჩრდილოეთის ყინვიან ჰავას. იმპერატორმა არ შეიწყნარა მისი რამდენიმეგზის თხოვნა სამხრეთის რომელიმე გუბერნიაში გადაყვანისა და სამსახურებრივ წოდებაში აღდგენის შესახებ.

1836 წლის აგვისტოში სოლომონმა კვლავ გაუგზავნა იმპერატორს იგივე შინაარსის თხოვნა, რასაც თან ერთვოდა საექიმო კომისიის ოქმი შემზარავი დასკვნით: „მედიცინას არ გააჩნია არავითარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაკურნავად".

ვიატკაში გადასახლების დროს ს. დოდაშვილთან დაახლოებული ცნობილი რუსი მწერალი ა. გერცენი წერდა: „მან ვერ გაუძლო მკაცრ კლიმატს და დაავადდა ძლიერი ჭლექით. მე იგი ვნახე სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე. ოდნავღა თუ ამჟღავნებდა სიცოცხლის ნიშნებს, მაგრამ მოჩვენებითი ღრმა რწმენით თქვა: „გაზაფხულზე მაინც იყოს უკეთესობა, თორემ ჭლექი თავისას იზამს".

1856 წელს გაზეთ „კავკაზ"-ის 48-ში დაიბეჭდა წერილი ს. დოდაშვილზე. ავტორი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ვიატკის ამბებს და სოლომონთან დაახლოებული იყო. იგი წერდა: „სოლომონი ერთი კვირით ადრე გრძნობდა თავის აღსასრულს. უდრტვინველი ტანჯული განემზადა მისთვის, ვით ჭეშმარიტი ქრისტიანი დაემშვიდობა ოჯახს და მშვიდად წავიდა სამუდამო განსასვენებელში".

საექიმო კომისიის ოქმის დაწერიდან 10 დღის შემდეგ, 1836 წლის 20 აგვისტოს ს. დოდაშვილი გარდაიცვალა. ცოლ-შვილი უცხო ქალაქში სრულიად უსახსროდ და უპატრონოდ დარჩა, უღრმეს მწუხარებასა და გაჭირვებაში.

ათასგვარი შუამდგომლობის შემდეგ ახალგაზრდა ქვრივს ხაზინიდან 800 რუბლი მიუღია და შვილებითურთ საქართველოში გამოუსტუმრებიათ. რუსეთში გამოვლილმა გაჭირვებამ ორი მცირეწლოვანი ბავშვი იმსხვერპლა. ე. კობიაშვილი ერთადერთი ვაჟით, იონათი დაბრუნდა საქართველოში. იონა დედასა და მამინაცვალს ისე აღუზრდიათ, რომ ქართული თითქმის დავიწყებია. იგი თბილისში ცხოვრობდა, გაზეთ „კავკაზ"-ში ი. დოდაევ-მაგარსკის ხელმოწერით ბეჭდავდა ლექსებს.

31 წლისა აღესრულა სოლომონ დოდაშვილი, ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით აღსავსე იყო მისი ცხოვრება. რაც გააკეთა იმ მოკლე დროში, საკმარისი აღმოჩნდა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

„ადრე იქმნება თუ გვიან, ნათესავი ჩვენი ჰსცნობს შრომას ჩვენსა", — წერდა ს. დოდაშვილი თავის მამობილსა და მოძღვარს.

სიკვდილამდე 9 წლით ადრე ნაწინასწარმეტყველები ეს სიტყვები აღსრულდა. ქართველი ერის ისტორიაში მასწავლებლისა და მოწაფის სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა.

თითქოს იყო რაღაც სიმბოლური: ს. დოდაშვილის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მისი მოძღვარი იონა ხელაშვილი.

რუსეთის ჩრდილოეთის ყინულეთში მოწამებრივად აღესრულა სოლომონ დოდაშვილი — ქვეყნის კეთილდღეობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, ახალი ეროვნული აზროვნების სათავეებთან მდგომი, ან, როგორც პროფესორმა ს. ხუციშვილმა უწოდა — მედროშე[32].

4. რაინდი, ურჩი მტრისა

§ 1. „სკოლა სულისა" და „პედაგოგიური სიბრძნის" გაკვეთილები

რუსეთის სახალხო განათლების სამინისტრომ 1811 წლის ცირკულარით, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა კატეგორიულად აკრძალა, მაგრამ მისი აღკვეთა შეუძლებელი აღმოჩნდა არამცთუ ცირკულარის მიღებიდან უახლოეს წლებში, არამედ დიდ ილიას ამ „სენის" შესახებ წერა უხდებოდა XIX საუკუნის 80-იან წლებშიც. XIX საუკუნის 30-იან წლებისათვის მისგან დაზღვეული არ იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელიც, სადაც მის წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდა სასწავლებელში ახალდანიშნულ მასწავლებელს, სოლომონ დოდაშვილს. მალე მას მხარში ამოუდგა მისი ყოფილი მოწაფე, 1830 წელს კი იქვე მასწავლებ-

ლად დანიშნული დიმიტრი ყიფიანი. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის საშინელებას შეგვიძლია გავეცნოთ დიმიტრი ყიფიანის მემუარებითაც.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან უკავშირდება, როდესაც 1822 წელს ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში შეუყვანიათ, შემდეგ კი გადაუყვანიათ კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს 16 წლისას დაუმთავრებია, მაგრამ მასთან ურთიერთობა ამით არ შეუწყვეტია. ეს ის დრო იყო, — წერს დ. ყიფიანი, — როდესაც „კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთეს და რადგან მასწავლებლები ძალიან ცოტა იყო, ერთ-ერთი მათგანის ადგილი მე შემომთავაზეს"[33]. შეთავაზებით კი შესთავაზეს, მაგრამ ხელისუფლებაში განუცხადებიათ, „თექვსმეტი წლის ყრმა გიმნაზიაში ვერ იმასწავლებლებსო". გიმნაზიის ხელმძღვანელობას იმდენად სდომებია დიმიტრი ყიფიანის მიღება, რომ ყალბი მოწმობა გაუხერხებიათ, ვითომც იგი 20 წლისა იყო და მასწავლებლად დაუმტკიცებიათ. მას ქართული და რუსული ენების, გეოგრაფიის და არითმეტიკის სწავლება დაავალეს. ეს იყო დიმიტრი ყიფიანის აღიარება, როგორც სასწავლებლის წარმატებით კურსდამთავრებულის, ფართო განათლების, დაკისრებული საგნების ღრმა მცოდნე პიროვნებისა. რა თქმა უნდა, ყრმა ყიფიანის გიმნაზიის მასწავლებლად დანიშვნაში დადებითი როლი შეასრულა სასწავლებლის ადმინისტრაციის დახასიათებამ, რომლის მიხედვითაც დ. ყიფიანი გამოირჩეოდა „კეთილი ყოფაქცევით, ბრწყინვალე ნიჭითა და სიბეჯითით"[34]. მას ჯერ მოწაფეობა და შემდეგ მასწავლებლობა მოუწია ისეთ პედაგოგებთან, როგორნიც იყვნენ ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინი, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი და ივანე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომლებიც, დიმიტრი ყიფიანის თქმით, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ[35]. რაც მთავარია, მისი მასწავლებელი იყო და შემდეგ თავად მას მოუწია მასწავლებლობა ისეთ დიდებულ პიროვნებასთან, როგორიც იყო სოლომონ დოდაშვილი.

როდესაც სოლომონ დოდაშვილმა 1827 წლის სექტემბერში მასწავლებლობა დაიწყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მაშინ დიმიტრი ყიფიანი IV კლასის მოსწავლე იყო და როგორც უფროსკლასელს, დოდაშვილი ასწავლიდა. ყიფიანი ჯერ კიდევ მაშინ ეზიარა მის პროგრესულ იდეებს, შემდეგ კი, 1830 წლიდან, უკვე როგორც მასწავლებელი. რა თქმა უნდა, ყიფიანი კიდევ უფრო დაუახლოვდა თავის ყოფილ მასწავლებელს ერთად მოღვაწეობით. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ როდესაც დიმიტრი ყიფიანის მასწავლებლად დამტკიცების საკითხი იდგა გიმნაზიის პედაგოგთა საბჭოში, მის დადებითად გადაწყვეტაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა სოლომონ დოდაშვილის მიერ თავისი ყოფილი მოსწავლის დახასიათებამ. უდავოა, რომ დიმიტრი ყიფიანი მუდამ ამ ღირსეული ადამიანის მოწაფედ რაცხდა თავს. მისი მაგალითი, თავდადება,

პატრიოტული შემართება იყო შთაგონების ის დიდი წყარო, რამაც დიმიტრი ყიფიანი მეორე „დიმიტრი თავდადებულად" აქცია. თუ დიმიტრი ყიფიანი ძლიერ ცოტას წერს თავის მემუარებში სოლომონ დოდაშვილის შესახებ, ღირსეულ მასწავლებლებს რომ ჩამოთვლის, მათ შორის არ მოიხსენიებს მას, ამასაც გამართლება აქვს. 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და მთავარი იდეოლოგის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული გადასახლებაში მისი გარდაცვალების შემდეგაც კი. მისი სახელის ოფიციალურად ხსენებას ერიდებოდნენ თვით შეთქმულების მონაწილენიც. გრიგოლ ორბელიანი თავის მრავალრიცხოვან პირად წერილებში ერთხელაც არ მოიხსენიებს სოლომონ დოდაშვილს.

სოლომონ დოდაშვილი არ გამორიცხავდა შეთქმულების ჩავარდნის საშიშროებას და იგი, შეთქმულების ხელმძღვანელი შტაბის დანარჩენ ორ წევრთან — ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან ერთად, თავს ვალდებულად თვლიდა, დაეცვა 18 წლის ახალგაზრდა მოსალოდნელი საფრთხისაგან. აი, რატომ არ მიიჩნევდა საჭიროდ, რომ დიმიტრი ყიფიანსა და შეთქმულების მონაწილე კიდევ ერთ ახალგაზრდას, გიმნაზიის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს დავით მაჩაბელს სცოდნოდათ შეთქმულების ყველა საიდუმლო. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ გამოძიებამ დავით მაჩაბელს ვერ დაუმტკიცა შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობა და იგი დაპატიმრებას გადარჩა, ხოლო დიმიტრი ყიფიანს მძიმე სასჯელი არ გამოუტანეს. თვით დიმიტრი წერს: „სამი წლის შემდეგ ვოლოგდაში ამოვყავ თავი სამსახურში"[36]. ვოლოგდაში 1834-1837 წლებში გადასახლებული, საგუბერნიო კანცელარიის მოხელედ მსახურობდა. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება მშობლიურ სასწავლებელს. იგი წერდა: „1852 წლიდან 1864 წლამდე, მთავრობის სამსახურში ყოფნის დროს, ქართველმა თავადაზნაურობამ სამ-სამი წლობით ოთხჯერ ზედიზედ ამომირჩია თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, ხოლო სამსახურიდან გამოსვლის ერთნახევარი წლის შემდეგ თბილისის გუბერნიის წინამძღოლად ამირჩია, რაც 1867 წელს განმეორდა"[37].

გიმნაზიის საპატიო მზრუნველობა საკმაოდ ავტორიტეტული თანამდებობა იყო. ამაზე მეტყველებს დიმიტრი ყიფიანის გუბერნიის წინამძღოლად არჩევა. ამ თანამდებობაზე ყოველთვის მუხრანელ ბაგრატიონთა ან ორბელიანთა გვარის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. ამჯერად კი, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, „უბრალო აზნაურის" არჩევა სწორედ გიმნაზიის საპატიო მზრუნველობამ გადაწყვიტა. ყოველივე ეს, ერთის მხრივ, თვით დიმიტრი ყიფიანის ავტორიტეტზე, მეორეს მხრივ, იმ დიდ როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებდა, იმდროინდელი საზოგადოებრიობა რომ გიმნაზიის საპატიო მზრუნველს მიაკუთვნებდა. თუ ვინმეს ესმოდა ამ თანამდებობის მნიშვნელობა, პირველ რიგში,

თვით დიმიტრი ყიფიანს. ამიტომ ეკიდებოდა იგი დიდი პასუხისმგებლობით თავის მოვალეობას, რისი შესრულების დროს საკმაოდ დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობათა გადალახვა უხდებოდა.

როგორი იყო ვითარება ჯერ კეთილშობილთა სასწავლებელში და შემდეგ გიმნაზიაში, როგორც დიმიტრი ყიფიანის მოწაფეობისა და მასწავლებლობის, ასევე გიმნაზიის საპატიო მზრუნველობის დროს, ამაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ისევ და ისევ მისი მემუარები.

დიმიტრი ყიფიანმა მემუარების პირველ ნაწილს „სკოლა სულისა" უწოდა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „აქ განზრახულია ცხოვრების ისეთ შემთხვევათა გათვალისწინება, რომელიც ჩვენს სულიერ მხარეს აყალიბებს. სახელოსნოთ, რასაკვირველია, იმ პაწაწინა მსოფლიოს ვიღებთ, სადაც ცხოვრება გვიხდება". ამ „პაწაწინა მსოფლიოს" შემადგენელი ნაწილი იყო კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელსაც რვა წლის ასაკიდან დაუკავშირდა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა დიმიტრი ყიფიანს მწარე მოგონებად სასწავლებელში ყოფნის პირველსავე დღეებში მიღებული შთაბეჭდილება. მემუარების პირველი ნაწილის პირველ თავს იგი ასე იწყებს: „მეოცე წლების დასაწყისში, ბავშვის სასწავლებელში მისაბარებლად, თბილისში მის მშობლებს იმ დროს იქ არსებულ მხოლოდ ორ სასწავლებელ შუა შეეძლოთ არჩევანი. აქ რასაკვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ სად როგორ ასწავლიდნენ. ამაზე ძალიან ცოტა თქმა დაგვჭირდებოდა: როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიაც ერთს ადგენენ: ანიდან ჰოემდე უაზროთ გაზეპირებას და რაიმე დანაშაულისათვის კი ხელის გულზე სახაზავით ცემას. ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე"[38].

გასაგებია, ასეთ „პედაგოგიურ სიბრძნეზე" დაფუძნებული სასწავლებელი რა სულიერ მხარეს ჩამოუყალიბებდა მის აღსაზრდელებს. ეს „სიბრძნე" დიმიტრი ყიფიანმა სასწავლებელში მისვლიდან მეორე დღესვე თავის თავზე გამოსცადა, როდესაც სახაზავი („ლინეიკა") ხელის გულზე ოცჯერ მაინც დაარტყეს, თან ყურს უწევდნენ, თმებს აგლეჯდნენ. „პედაგოგიური სიბრძნის" პირველი გაკვეთილი მას სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ პ. ი. შიპულინმა და რუსული ენის მასწავლებელმა პ. ს. სროტინსკიმ ჩაუტარეს. შიპულინს თათრული ენის მასწავლებელ მირზა ჯაფარ თუშმანოვთან ერთად ერთხელ კიდევ მიეცა „პედაგოგიური სიბრძნის" გაკვეთილის ჩატარების შესაძლებლობა. მაშინ დიმიტრი შემთხვევით გადაურჩა კიდევ ერთ დაუმსახურებელ სასჯელს. ამ „გაკვეთილების" შესახებ დიმიტრი ყიფიანს მოთხრობილი აქვს მემუარებში[39-40].

როგორც ვხედავთ, 1811 წლის 18 მარტის ცირკულარი, რომლითაც მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა აიკრძალა, ფარატინა ქაღალდად დარჩა და 20-იან წლებში მოსწავლეთა ცემა-ტყეპას „პედაგოგიური სიბრძნე" ჩვეულებრივ მოვ-

ლენად მიიჩნევდა. თუმცა 20-იანი წლები რა სახსენებელია, როდესაც იგივე ამბებზე მოგვითხრობს აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალიც", რომელშიც ავტორის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდზე — 1850-1859 წლებზეა საუბარი, ე. ი. ცირკულარის მიღებიდან ოთხი ათეული წლების შემდგომ მოვლენებზე. აკაკის ეს ნაწარმოები იმდენად ცნობილია, რომ, ალბათ, ზედმეტი იქნება გაროზგვის, „ლინეიკის", „ფირფიტის" ამბის დეტალურად გადმოცემა. ყოველივე ეს იმდენად ჩვეულებრივ ამბად ყოფილა მიჩნეული, რომ გაროზგვის შიშით სკოლიდან გამოქცეული აკაკისათვის დედას უთქვამს: „წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის — ყველას როზგავენ. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალ, მაგათში უმისოდ არ შეიძლება!".

ეს არ იყო დედის შემთხვევითი შეგონება. აკი უდანაშაულოდ დასჯილ დიმიტრისაც ასწავლიდა დედა: თუ მასწავლებელმა შეცდომით დაგსაჯა, „შეცდომა უნდა ეპატიოსო". დედების ეს შეგონება მრავლისმთქმელია. იმდროინდელი აღმზრდელობითი ერთ-ერთი მთავარი მეთოდი — მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა — არა მარტო მოსწავლეებს ამახინჯებდა ფიზიკურად და სულიერად, არამედ მასწავლებლებისა და მშობლების შეგნებასაც. „იმ დროს, — წერდა აკაკი წერეთელი, — მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფია. გიმნაზიებში, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა"[41].

რაკი ჭკუა და სიკარგე მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის ნაყოფი ყოფილა, რა გასაკვირია, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შიპულინი, სროტინსკი, მირზა ჯაფარ თუშმალოვი და ძმანი მათნი „წარმატებით" იყენებდნენ აღზრდის ამ მეთოდს.

მიზანშეწონილია ზოგიერთი შეცდომით მითითებული თარიღის დაზუსტება. თედორე ბუკრინსკის დირექტორობის თარიღად აღნიშნავენ 1813-1816 წლებს, შიპულინისას კი — 1816-1826 წლებს. შიპულინი მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1819 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად დანიშნულა. იმ დროს სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი ყოფილა[42]. ბუკრინსკი სასწავლებლის დირექტორად 1825 წელსაც მოიხსენიება[43]. როგორც ადრეც აღინიშნა, იგი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ა. პეტრიაშვილის შემდეგ, 1810 წელს და არა 1813 წელს. დ. ყიფიანის მემუარების მიხედვით, შიპულინი 1822-1823 წლებში დირექტორის მოადგილე ყოფილა, ხოლო 1825-1826 წლებში — დირექტორი[44].

შიპულინის შემდეგ დირექტორად სახელდება ე. მანასეინი, რომელიც 1826 წლის 31 ოქტომბერს ხარკოვის უნივერსიტეტს დაქვემდებარებულ სასწავლებელთა კომიტეტს წერდა: „შევუდექი ჩემზედ მონდობილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მმართველობას"[45]. მანასეინის დირექტორად დანიშვნის თარიღი — 1826 წელი — ემთხვევა ნ. გრიგალაშვილის „ხე ცნობადისას" თარიღს, მაგრამ არასწორია გათავისუფლების თარიღი — 1829 წელი. გენერალ-

გუბერნატორი სიპიაგინი განათლების მინისტრ შიშკოვისადმი 1828 წლის 13 იანვრის წერილში მანასეინს ყოფილ დირექტორად მოიხსენიებს, ხოლო იაროსლავსკის — დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. მაშასადამე, არასწორია თარიღები: მანასეინის დირექტორობისა 1826-1829 წლები, იაროსლავსკისა — 1829 წლები. ამ შეცდომების წყარო ნაწილობრივ უნდა იყოს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის 50 წლისთავის აღნიშვნის სამახსოვრო კრებული[46]. კრებულს თან ერთვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის დირექტორების სია თარიღების მითითებით: პეტრიაშვილის — 1804-1813 (ნაცვლად 1803-1809 წლებისა), ბუკრინსკის — 1813-1816 (უნდა იყოს 1810-1825), მანასეინისა — 1826-1829 (სწორია 1826-1827), იაროსლავსკისა — 1829 (ნაცვლად 1828 წლისა). კრებულში შიპულინი, როგორც დირექტორი, საერთოდ არ არის მოხსენიებული. 1816-1826 წლებს უზის კითხვის ნიშანი (გვ. 147). შესაბამისად, არასწორად მიუთითებენ ე. გრუბერის დირექტორობის წლებს — 1830-1833, სწორია — 1829-1833 წლები. თუ ბუკრინსკის წლებად ჩავთვლით 1810-1825 წლებს, ხოლო შიპულინისას — 1825-1826 წლებს, მანასეინისას — 1826-1827 წლებს და იაროსლავსკისას — 1828 წელს, მაშინ შესაძლებელია ზოგიერთი თარიღის დაზუსტება და კითხვის ნიშნიანი ადგილების შევსება.

§ 2. დაუმორჩილებელნი

მოსწავლეთა ფიზიკურად დასჯის მიმდევარ, ფსიქიკურად დამახინჯებულ მასწავლებელთა გარდა, იყვნენ ისეთებიც, თუმცა ერთეულები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ამ ტრადიციულ წესს. დიმიტრი ყიფიანი ასეთებად წარმოგვიდგენს ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინს, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევსა და ივანე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

დიმიტრი ყიფიანი განსაკუთრებით გამოჰყოფს ელპიდიფორ მანასეინს, რომელმაც 1826 წლის სექტემბერში სასწავლებლის დირექტორის თანამდებობაზე პ. შიპულინი შეცვალა. მანასეინი ამავე დროს კავკასიის ოლქის სასწავლებლის დირექტორადაც ითვლებოდა. დირექტორობასთან ერთად, მანასეინი სასწავლებელში რუსული ენასა და რუსულ სიტყვიერებას ასწავლიდა. როგორც ვხედავთ, იგი ძლიერ იყო დატვირთული. დ. ყიფიანი წერდა: „ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება ერთი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და ამიტომ მანასეინმა მხოლოდ ერთი სასწავლო წელი დაჰყო ჩვენთან“. იმ დროს სასწავლო წელი იანვრიდან იანვრამდე გრძელდებოდა. ფაქტობრივად, მანასეინისათვის ერთი სასწავლო წელი 1827 წლის იანვარ-დეკემბერი იყო. როგორც აღინიშნა, მანასეინმა შიპულინი დირექტორის თანამდებობაზე 1826

წლის უკანასკნელ მეოთხედში შეცვალა და 1827 წლის დასასრულს გათავისუფლდა. ის ერთი წელიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მანასეინს კეთილი სახელი დაეტოვებინა სასწავლებელში. „მოწაფეებმა მხოლოდ მაშინ დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვისება, მხოლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელად მოწაფის ნახევარი საათით კუთხეში დაყენება, ან ნახევარი საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოსკვნით სტიროდნენ ხოლმე, ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა.

ყურების ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება, ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასავლებადაც კი შეუძლებელი იყო.

სამაგიეროდ ბავშვებიც არასდროს არ ყოფილან ასეთი კეთილშობილნი და არასოდეს ასე კარგად არ შეუგნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს[47].

ასეთი ლაკონური დახასიათებით ე. მანასეინი წარმოგვიდგება როგორც შესანიშნავი პედაგოგი, აღმზრდელი, ადმინისტრატორი და ხელმძღვანელი და, რაც მთავარია, უკეთილშობილესი ადამიანი.

მანასეინის პიროვნების კიდევ უფრო სრულყოფილად დახასიათებისათვის გავეცნოთ ერთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელსაც ასე ეწოდება: «Рапорт директора Училища Кавказской области и Тифлисского благородного Училища Н. С.* Манасеина, в Училищный Комитет Императорского Харьковского Университета от 31-го октября 1826 года»[48].

რამდენადაც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მიწერილი იყო ხარკოვის უნივერსიტეტზე, მანასეინი მასზე დაქვემდებარებულ სასწავლებელთა კომიტეტს მიმართავდა. ეს მიმართვა მოწმობს, რომ მანასეინს უკომპრომისო ბრძოლამ მოუწია სასწავლებელში უწესრიგობის, ზოგიერთი მასწავლებლის მხრივ უსულგულობისა და უხამსობის, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ. იგი შეურიგებელი აღმოჩნდა შიპულინისაგან მემკვიდრეობით მიღებული „პედაგოგიური სიბრძნისადმი". მანასეინს კარგად ესმოდა, რომ ამ „სიბრძნიდან" გამომდინარე მანკიერებათა აღსაკვეთად საჭირო იყო შეუნელებელი ზედამხედველობა როგორც მოსწავლეთა ქცევაზე, სასწავლო კლასებში წესრიგზე, ასევე მასწავლებელთა საქმიანობაზე. მანასეინს ამის შესრულება ორ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნის დროს შეუძლებლად მიაჩნდა. მას უნდა ეზრუნა არა მარტო თბილისის სასწავლებელში, არამედ კავკასიის ყველა სახელმწიფო სასწავლებელში ნორმალური სასწავლო-აღმზრდელობითი პირობების შექმნისათვის. თვით კეთილშობილთა სასწავლებელში საამისო პირობები არ არსებობდა. სასწავლებელს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ბინა და ექვსი კლასი 250 მოწაფით განთავსებული იყო იჯარით აღებულ განცალკევებულ და ტერიტორიულად ერთმანეთს დაშორებულ სახლებში. ამავე დროს, მანასეინს, როგორც მასწავლებელს, კვირეული 26 საათის

ჩატარება უხდებოდა. არამცთუ ოლქის, არამედ საკუთარი სასწავლებლისათვის სათანადო ყურადღების მისაქცევად მანასეინს დრო არ ყოფნიდა.

ჭეშმარიტად, „ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება ერთი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო". მას კი არ შეეძლო დაკისრებული მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულება. როგორც მასწავლებელმა, მხოლოდ ერთი კლასი დაიტოვა და საკუთარი სასწავლო საათების შემცირებით სასწავლებლის მართვისათვის დრო გამოითავისუფლა. მანასეინმა სასწავლებელში შემოიღო მასწავლებელთა მორიგეობა, მისი წესებიც შეიმუშავა, როგორც იგი წერდა, თითქმის ყველა მასწავლებელი დაეთანხმა და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მორიგეობას. „მალე ცხადი გახდა მისი დადებითი შედეგები", მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებისთვისაც ადვილი არ აღმოჩნდა დამკვიდრებული მანკიერების დათმობა. არითმეტიკის და ალგებრის მასწავლებელმა, ტიტულარულმა მრჩეველმა პოპოვმა არა მარტო უარი თქვა მანასეინის მიერ შემუშავებული წესების შესრულებაზე, არამედ ოფიციალურადაც კი დაწერა, რომ სასწავლებლისათვის დამამცირებლად მიიჩნევდა დამორჩილებოდა მოსწავლეთა ფიზიკურად დასჯის აკრძალვის თაობაზე დირექტორის განკარგულებას. იგი კატეგორიულად მოითხოვდა აღდგენილიყო ძველი წესები: დასასჯელი მოწაფის გაკვეთილების შემდეგ სასწავლებელში დატოვება, თმებისა და ყურების მოქაჩვა, ხელისგულზე სახაზავის დარტყმა, კლასში დატოვებული მოსწავლე რომ არ გაპარულიყო, მისთვის ფეხსაცმელებისა და ქუდის ჩამორთმევა და ა. შ. მანასეინი წერდა: „ამჟამად არა მარტო ჩემი, მორიგე მასწავლებლის სიტყვაც კი საკმარისია, რომ განსაზღვროს კეთილშობილთა წოდების აღსაზრდელისათვის შესაფერისი სასჯელი და ზუსტად შესრულდეს იგი. სად არის აქ დამცირება?".

პოპოვი ცდილობდა, სხვა მასწავლებლებიც დაეთანხმებინა საპროტესტო წერილზე ხელის მოსაწერად. ამ წერილთან დაკავშირებით მანასეინს საკითხი არ დაუყენებია უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რადგან ფიქრობდა, რომ თვით შეაგნებინებდა პოპოვს, კეთილსინდისიერად შეესრულებინა თავისი მოვალეობა და დამორჩილებოდა დადგენილ წესს. პოპოვი კი, ამის ნაცვლად, გაურკვეველი მიზეზების გამო აცდენდა გაკვეთილებს, ან სისტემატურად იგვიანებდა, ან გაკვეთილებიდან ადრე გამოდიოდა. იგი გამოირჩეოდა არა მარტო დირექტორისადმი დაუმორჩილებლობით, ურჩობითა და სიანჩხლით, არამედ მოსწავლეებთან უხეში დამოკიდებულებითა და ბილწსიტყვაობით. მანასეინი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამოც, რომ ასეთი პიროვნება წარდგენილი იყო ჯილდოზე, რის შესახებაც მან, როგორც დირექტორმა, არაფერი იცოდა. მანასეინი მოითხოვდა პოპოვის ჯილდოზე წარდგენის გაუქმებას. იგი წერდა: „მომავლისათვის წესად შემოღებულ იქნას, რომ სასწავლებლის მოხელეთა ჯილდოზე წარდგენა ხდებოდეს უშუალოდ ადგილობრივ უფროსთა თანხმო-

ბით, რომლებიც უფრო ღირსეულად შეაფასებენ დაქვემდებარებულთა დამსახურებას. ეს ღონისძიება აუცილებელია და სასურველ შედეგს გამოიღებს იმ მხრივ, რომ ქვეშევრდომნი შეეცდებიან, ჯილდოები დაიმსახურონ მათზე დაკისრებული მოვალეობის გულმოდგინე შესრულებითა და უშუალო უფროსებისადმი მორჩილებით, და არა რაიმე სხვა არაპირდაპირი გზით".

მანასეინმა თავისი ბარათის საპასუხოდ უნივერსიტეტისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებლების კომიტეტისაგან ასეთი პასუხი მიიღო: „სასწავლებელთა კომიტეტმა დაადგინა: ეცნობოს კავკასიის ოლქის სასწავლებელთა და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს, რომ წესდების დამტკიცებამდე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ხელმძღვანელობამ უნივერსიტეტის დაუკითხავად და დამტკიცების გარეშე არ გაატაროს ახალი დადგენილებანი, მმართველობისას შეძლებისდაგვარად იხელმძღვანელოს უნივერსიტეტისადმი დაქვემდებარებულ სასწავლო დაწესებულებათა ზოგადი წესდებით. მასწავლებელ პოპოვს კი ჩააგონოს, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს სათანადო მოთხოვნილებათა შესაბამისად და პატივი სცეს უფროსებს იმავე წესდების საფუძველზე"[49].

ფაქტობრივად, სასწავლებლის დირექტორს ეკრძალებოდა საკუთარი ინიციატივის გამოჩენა, რაიმე ღონისძიების დამოუკიდებლად გატარება. მანასეინის მიერ შემუშავებული წესები უკანონო ყოფილა, რადგან იგი არ დაუმტკიცებია ხარკოვის კომიტეტს, მაშასადამე, რა ჰქონდა სასაყვედურო პოპოვს, რომ არ ემორჩილებოდა მანასეინის „უკანონო" წესებს? ან რა საჭირო იყო ეს წესები, როდესაც არსებობდა ხარკოვში შემუშავებული ზოგადი წესები? მანასეინი წერდა, რომ პოპოვმა ყურად არ იღო მისი შეგონებანი, ხარკოვის კომიტეტი კი ჯიუტად მიუთითებდა მანასეინს: პოპოვს ჩააგონეთო! პასუხში არაფერია ნათქვამი პოპოვის ჯილდოზე წარდგენის თაობაზე. ეს დუმილი ადამიანმა შეიძლება ასე გაიგოს: თუ თქვენ ჩვენი ნებართვის გარეშე რაიმე საკუთარი ინიციატივის გამოჩენის უფლება არა გაქვთ, არც თქვენდამი დაქვემდებარებული თანამშრომლის დაჯილდოება გეკითხებათო!

მანასეინი კი ყოველგვარი უსამართლობისადმი შეურიგებელი იყო. ბუნებრივია, რომ იმდროინდელი განათლების სისტემისათვის მაინცდამაინც ადვილი შესაგუებელი ვერ იქნებოდა ასეთი პიროვნების დამოუკიდებელ სამუშაოზე დარჩენა. გამოსავალიც მოიძებნა. მანასეინი სასწრაფოდ გადაიყვანეს პეტერბურგის სასწავლებელთა მთავარ სამმართველოში ინსპექტორად.

მანასეინის ეს ე. წ. დაწინაურება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის დიდი დანაკლისი რომ აღმოჩნდა, ამას ადასტურებს განათლების მინისტრ შიშკოვისადმი გენერალ-გუბერნატორ სიპიაგინის 1828 წლის 13 იანვრის წერილი: „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თავის ამჟამინდელი მდგომარეობით ვერაფრით ვერ ამართლებს ხელისუფლების მოლოდინს, რომ

შეიტანოს ამ მხარეში საჭირო განათლება... სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, „ნადვორნი სოვეტნიკი მანასეინი თავისი ცოდნით, სანიმუშო წესიერებითა და თავგამოდებული სიბეჯითით სასწავლებლის უკეთეს მდგომარეობაში მოყვანის იმედს იძლეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენი უმაღლესობის უკანასკნელი მოწერილობით გავიგეთ, რომ ეს ჩვენთვის საჭირო მოხელე რჩება ს.-პეტერბურგში სასწავლებელთა მთავარ სამმართველოში. ამჟამად დირექტორის მოვალეობას ასრულებს მასწავლებელი იაროსლავსკი, რომელიც უნარითა და ქცევით არ შეეფერება ასეთი დაწესებულების დირექტორის თანამდებობას“[50].

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგები ხდება, რატომ ასახელებს დიმიტრი ყიფიანი მანასეინს იმ სამეულში, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ „პედაგოგიური სიბრძნის“ დანაშაულებრივ წესებს. ამ სამეულიდან „მეორე, აგრეთვე კეთილგონიერი და ყოვლად მოსაწონი მოწაფეთათვის, მანასეინის შემდეგ დანიშნული, რუსული ენისა და რუსული სიტყვიერების მასწავლებელი იყო, კანდიდატი ხარკოვის უნივერსიტეტის, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი... თავადი ივ. ზაქ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ისტორიას ასწავლიდა, დიდად საყვარელი და პატივცემული იყო ყველასაგან“[51]. ი. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი სინამდვილეში გეოგრაფიას ასწავლიდა. ეს სამეული ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა იმდროინდელ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ყიფიანი არ ასახელებს მანასეინის დირექტორობის წელს სასწავლებელში მოსულ სოლომონ დოდაშვილს, რომელიც შეემატა დასახელებულ მოწინავე მასწავლებელთა რიცხვს.

სამწუხაროდ, სასწავლებელში სჭარბობდნენ იაროსლავსკის მსგავსი მასწავლებლები. ამის გამო წერდა სიპიაგინი, რომ „სასწავლებელში არ არიან წესიერი მასწავლებლებიო“.

დიმიტრი ყიფიანი, დადებითად ახასიათებდა რა იმ სამეულს, წერდა: „გარდა მანასეინისა, დემენტიევის და არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ“[52]. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მანასეინის წერილში მოხსენიებული პოპოვი, რომელიც სასწავლებელში 1823 წელს მიუწვევიათ, როცა მე-6 კლასის გახსნასთან დაკავშირებით არითმეტიკის დამატებითი მასწავლებელი გახდა საჭირო. 1823 წლის 1 აგვისტოს იმდროინდელი გენერალ-გუბერნატორი ხოვენი მთავარმართებელ ერმოლოვს წერდა: „არითმეტიკის მასწავლებლად, ვფიქრობ, გამოდგება არტილერიის უნარიანი გადამდგარი პორუჩიკი პოპოვი“[53]. რა ნიშნით მიიჩნია ხოვენმა პოპოვი უნარიან მასწავლებლად, წერილში ამაზე არაფერია ნათქვამი. მასწავლებლობის არა, მაგრამ როგორც მანასეინის წერილიდან ჩანს, გადამდგარმა არტილერიის პორუჩიკმა, ტიტულარულ მრჩევლად აღზევებულმა პოპოვმა სასწავლებელში მოღვაწეობისას ნამდვილად გამოავლინა „სალდაფონური“ ჩვევები, მისგან მოწაფეები შეგნებით არა მხოლოდ სიცრუეს, არამედ უხეშობას, სადიზმს ისწავლიდნენ.

მოწაფეები სიცრუის გაკვეთილების მოწმენი ხდებოდნენ გამოცდების დროსაც, რაზეც მოგვითხრობს მემუარებში დიმიტრი ყიფიანი. მასწავლებლები მოწაფეებს წინასწარ ურიგებდნენ საკითხებს მათი სურვილის მიხედვით და გამოცდებზეც ამ საკითხებს ეკითხებოდნენ. „რასაკვირველია, გამოცდები კარგად ჩაივლიდა. გამოცდებს თან მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი. აქტის დროსაც იგივე ხერხი იყო მიღებული, კიდევ უფრო ზერელედ და უფრო მოკლედ. ამის გარდა, წაიკითხავდნენ ანგარიშს, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს და ბოლოს საუკეთესო მოწაფეთ ჯილდოს მისცემდნენ, უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს გამოაცხადებდნენ და კურსდამთავრებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ. აქტებს ღირსად ხდიდნენ და ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, საქართველოს ეგზარქოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევითა თუ მუდამ თბილისში მცხოვრებნი წარჩინებულნი.

რაკი სხვა გასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა[54].

საჯარო გამოცდებს ასეთი უხეიროდ მომზადებული და დადგმული „წლიური სადღესასწაულო წარმოდგენის“ ხასიათი რომ ჰქონდა, ამას ოფიციალური დოკუმენტებიც ცხადყოფს. ასე, მაგალითად, ანალოგიური გამოცდები ჩატარებულა 1815 წლის 1 ივლისს[55].

ამ ზერელედ, უღიმღამოდ დადგმულ წარმოდგენაზე ერთ აუხსნელ უცნაურობას ჰქონდა ადგილი: მანდილოსნებს არასოდეს ასწრებდნენ[55ა]. საჯარო გამოცდებზე მანდილოსანთა დაუსწრებლობა, როგორც ჩანს, წესად მხოლოდ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ყოფილა. სოლომონ დოდაშვილს, პეტერბურგიდან საქართველოში რომ ბრუნდებოდა, გზად ხარკოვში შეუვლია, სადაც იქაურ გიმნაზიაში დასწრებია საჯარო გამოცდებს, რომელსაც მანდილოსნებიც ესწრებოდნენ[56].

ყიფიანი მაშინდელ ბრწყინვალე მანდილოსანთაგან ასახელებს ნინო ჭავჭავაძესა და მანანა ორბელიანს, რომლებსაც შუქურვარსკვლავებს უწოდებს. მათ გაუმართავთ „სასწავლო აქტის შინაურული წარმოდგენა“, რომელშიც სასწავლებლის ექვსი მოწაფე, მათ შორის ყიფიანიც მონაწილეობდა. წარმოდგენას ოფიციალური მოხელეები არ დასწრებიან. „იყვნენ სულ ნათესავები თავადის ასულებისა. ეს იყო არდადეგების დროს, ე. ი. სწავლისაგან თავისუფალ დროს... წარმოდგენილმა აქტმა ძალიან კარგად ჩაიარა და თავბრუდამსხმელი მადლობის ღირსნი გაგვხადეს“. არდადეგების დროს განცდილი ეს თავბრუდამსხმელი სიამოვნება სწავლის დაწყების შემდეგ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ამავე შიპულინის მეთაურობით „სასწავლო აქტის შინაურული წარმოდგენის“ ექვსივე მონაწილეს შხამად ამოადინა. ექვსივეს გაწკეპვლა მიუსაჯეს. თავმოყვარეობაშელახულ ყმაწვილებს თავის მოკვლაც კი გა-

დაუწყვეტიათ. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, იმავე მანდილოსნებს რომ არ დაეხსნათ ყმანვილები. „რაში იყო ჩვენი დანაშაული? ეს ჩვენთვის არავის განუმარტავს"[57].

მათი დანაშაული კი მხოლოდ ერთი იყო: დაარღვიეს „პედაგოგიური სიბრძნის" ის მოთხოვნა, რაც ჯერ კიდევ 1802 წელს დაარსებული სასწავლებლის წესებში იყო ჩამოყალიბებული: მასწავლებლებს მოსწავლეები სასტიკი კონტროლის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ, თვით სწავლისაგან თავისუფალ დროსაც, „სკოლის გარეთ"[58]. სკოლის დირექციის ნებართვის გარეშე მოსწავლეებს თვით არდადეგების დროსაც ეკრძალებოდათ რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობა. ტყუილად როდი იყვნენ ამავე წესებში მოსწავლეები ჯარისკაცებთან შედარებულნი[59]. როგორც ჯარისკაცებს არ ჰქონდათ უფლება მეთაურთა ნებართვის გარეშე თავისუფალი მოქმედებისა, ისევე მოსწავლეებს არ ეძლეოდათ თავისუფლება თვით არდადეგების დროსაც. რა გასაკვირია, „მასწავლებლობადაბრალებული" გადამდგარი პორუჩიკი პოპოვი თავის „სალდაფონურ" მოქმედებათა გამო ჯილდოზე რომ წარედგინათ.

§ 3. ბრძოლა ეროვნული მეობის დასაცავად

დიმიტრი ყიფიანს მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მოუხდა ბრძოლა ეროვნული მეობის დასაცავად. ამ ბრძოლაში ვლინდება დიმიტრი ყიფიანი, იმპერიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე — წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის, წმ. ანასა და წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხოვანი ორდენების კავალერი, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი.

აკაკი ბაქრაძე თავის წერილში „რაინდი მიამიტი და თავდადებული", რომელიც წინ უძღვის დიმიტრი ყიფიანის მემუარებს, წერდა: „მე-19 საუკუნეში ქართველმა არისტოკრატიამ ორგვარი შეხედულების ადამიანები წარმოშვა. ერთნი აღარ ქართველობდნენ და თავი საბოლოოდ რუსად მიაჩნდათ და მეორენი, რომელნიც ქართველობას იცავდნენ და რუსიფიკაციას ებრძოდნენ. დიმიტრი ყიფიანიც მედგრად ერკინებოდა ანტიეროვნულს, მაგრამ მაინც თავისებური პოზიცია ეჭირა. იგი ცდილობდა ყოფილიყო ქართველი პატრიოტი და რუსი მოქალაქეც. „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით, მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვას შორის არის გადებული. საჭიროა ამ ორი სიტყვიდან — რუსი და ქართველი — ერთი სიტყვის შემუშავება, მათის მნიშვნელობის შედუღაბება ერთს ცნებაში სიტყვით და საქმით. საჭიროა ამ შედუღაბებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე

ჩვენი ხალხის შემეცნებაში", — ამბობდა დიმიტრი ყიფიანი თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ მოხელეთა ნადიმზე.

დიმიტრი ყიფიანზე მკაფიოდ მე-19 საუკუნეში არავის გამოუხატავს ქართველთა ეროვნული ცნობიერების გაორება და დაბნეულობა"[60].

როგორც ყოველგვარი უტოპიის, ამ შედუღაბების მიღწევაც შეუძლებელი რომ იყო, ამის გაგება „ეროვნული ცნობიერებით გაორებული და დაბნეული", მიამიტი დიმიტრი ყიფიანისათვის იოლი როდი აღმოჩნდა. მისი აზრით, ქართველმა მეფეებმა ნებაყოფლობით გადასცეს საქართველო რუსეთის მეფეებს, მაშასადამე, რუსეთის მეფეებისადმი ქართველები ისეთივე გრძნობით უნდა ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი, როგორც ქართველი მეფეებისადმი. რუსი იმპერატორების მმართველობა საქართველოსათვის სიკეთე იყო, რადგან ისინი ქართველ მეფეთა მისიას ასრულებდნენ. ვინც ამ კეთილშობილურ მისიას ხელყოფდა, მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იყო საჭირო. ეს ხელმყოფნი კი, პირველყოვლისა, იანოვსკისა და კატკოვის მსგავსი რუსი მოხელეები იყვნენ. სწორედ ისინი აფუჭებდნენ საქმეს, ხალხს ისინი ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ. საჭირო იყო ამ ბოროტების მხილება. სამართლიანობისათვის ბრძოლისას ყიფიანისათვის არ არსებობდა უკანდახევა ნებისმიერი პიროვნების წინაშე, ვინც გადაუხვევდა სამართალს, საზოგადოებრივ წესს. ასე, მაგალითად, თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად ყოფნის დროს იგი არ შეეპუა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ ბარონ ა. პ. ნიკოლაის. ეს ის ნიკოლაია, რომელიც 1881-1882 წლებში რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი იყო. დიმიტრი ყიფიანმა გაილაშქრა მეშვიდე კლასში ტექნოლოგიისა და სასოფლო მეურნეობის სწავლების წინააღმდეგ, რაც რუსეთის გიმნაზიებში არ ისწავლებოდა. „გიმნაზია არის სასწავლებელი საერთო განათლებისა და არა პროფესიონალური", — ამბობდა იგი. მან მიაღწია იმას, რომ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ სასწავლო გეგმიდან აღნიშნული საგნები ამოიღო. როცა შემდეგ სასწავლო წელს სასწავლო გეგმაში ბარონ ნიკოლაის ბრძანებით კვლავ შეიტანეს ეს საგნები, დიმიტრი ყიფიანმა აღშფოთება ვერ დამალა, ეს გიმნაზიის საპატიო მზრუნველის უფლებებისა და, საერთოდ, დადგენილი წესების უგულებელყოფად ჩათვალა. მან პირდაპირ უთხრა ბარონ ნიკოლაის: „თუკი დაწესებულია საპატიო მზრუნველის თანამდებობა და მისი მოვალეობის საერთო წესებიდან არავითარი გამოყოფა არ არსებობს, მზრუნველს არა აქვს უფლება, რომ მისცეს ნება რაშიმე გადაუხვიოს ამ წესებს"[61]. ყიფიანმა გადაჭრით განაცხადა: „მე ასეთი წესების მომხრე არა ვარო" და გადადგა გიმნაზიის საპატიო მზრუნველის თანამდებობიდან[62].

საპატიო მზრუნველის თანამდებობიდან გადადგომა იმას არ ნიშნავდა, რომ ყიფიანი სრულიად ჩამოსცილდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს, აღარ აინტერესებდა სასწავლებლის ბედი. მან შეურიგებელი ბრძოლა გამო-

უცხადა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად 1878 წელს დანიშნულ კ. პ. იანოვსკის, რომელმაც ქართული სკოლებიდან, მათ შორის თბილისის გიმნაზიიდან, ქართული ენის სრული განდევნა მოიწადინა. ყიფიანი პედაგოგიურად გაუმართლებლად თვლიდა სკოლებში პირველი წლიდანვე ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლებას. იგი ამას მშობლიური ენის უგულებელყოფის ცდად, თვით ერის გაქრობის მთავარ პირობად მიიჩნევდა.

არჩილ ჯორჯაძეს თავის მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი" მოაქვს ვრცელი ამონაწერი 1880 წელს გაზეთ „დროება"-ში დაბეჭდილი ყიფიანის სტატიიდან: „სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გმირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც და რუსეთის მმართველობაც, როგორც ძველ დროში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვს, პეტრე ბაგრატიონს, დიმიტრი ორბელიანს, აფხაზს, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავს? ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ? — მოსე არღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც რომ სახელოვნად უმართავდნენ, — ან გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული..."[63].

მემუარებში დიმიტრი ყიფიანი რუს მოხელეთა, უწინარეს ყოვლისა კ. იანოვსკის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი მოღალატურს უწოდებს არა მარტო ქართველების, არამედ რუსი ერის მიმართაც. იგი აანალიზებს სწავლა-განათლების დარგში რუსი მოხელეების საქმიანობას, კოვალენსკიდან მოკიდებული მის თანამედროვეებამდე, რომლებიც ჯერ კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზიაშიც, ქართული ენის სწავლებას ზღუდავდნენ და ცდილობდნენ სწავლების მთლიანად რუსულ ენაზე გადაყვანას. ამით ისინი ქართველ მოწაფეებს მათთვის გაუგებარ რუსულ ენასაც აძულებდნენ. ყიფიანი კი არ უარყოფდა რუსული ენის სწავლებას, არამედ პირიქით, მისთვის იმდენივე საათის გამოყოფას მოითხოვდა, რამდენიც ქართულ ენას უნდა გამოყოფოდა. იგი მიუთითებდა, რომ რუსეთის გუბერნიებში, სადაც რუს მოსწავლეთათვის რუსული ენა მშობლიურია, რუსულის სწავლებისათვის საკმარისი საათებია გამოყოფილი. საქართველოს სასწავლებლებში არამშობლიურ რუსულს უფრო ნაკლები საათები ეთმობა. მას კი თუ მეტი არა, იმდენი მაინც უნდა გამოეყოს, რამდენიც რუსეთის გიმნაზიებში ეთმობა რუსულის სწავლებასო.

დიმიტრი ყიფიანი მხოლოდ თეორიული მსჯელობით როდი კმაყოფილდებოდა. მის ყოველ სიტყვას პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვებოდა. ასე, მაგალითად, იგი სპეციალურად ჩავიდა პეტერბურგში შინაგან საქმეთა მინისტრ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვთან შესახვედრად. მ. ტ. ლორის-მელიქოვი თბი-

ლისის გიმნაზიის კურსდამთავრებული იყო და დ. ყიფიანის კარგი ნაცნობი. ეს იყო რუსეთში რევოლუციური აღმავლობის პერიოდი — 1879-1881 წლები. პოლიტიკური კრიზისიდან გამოსასვლელად ხელისუფლებამ „სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის კომისია" შექმნა ლორის-მელიქოვის თავმჯდომარეობით. მის მიერ შემუშავებული ღონისძიებების პროექტს ლიბერალური მოხელეები კონსტიტუციურს უწოდებდნენ. ლორის-მელიქოვმა ყიფიანს დახმარება აღუთქვა საქართველოს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხების მოგვარებაში.

1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცების მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ ლორის-მელიქოვის პროექტი უარყოფილი იქნა. მისი ავტორი და თანამოაზრენი თანამდებობიდან გადააყენეს. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე დანიშნა ისეთი უკიდურესი რეაქციონერები, როგორებიც იყვნენ მისი აღმზრდელი, სინოდის ობერ-პროკურორი კ. პობედონოსცევი, გრაფი დ. ტოლსტოი, ნ. იგნატიევი, მ. კატკოვი და სხვები. მათი პოლიტიკური კურსი ყოველგვარი ცოცხალი აზრის ჩახშობისაკენ იყო მიმართული. დ. ყიფიანი პეტერბურგიდან იმედგაცრუებული დაბრუნდა[64].

საშინელი რეაქცია მძვინვარებდა საქართველოშიც. ეგზარქოსად მოვლენილი არქიეპისკოპოსი პავლე და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი იყვნენ კულტურისა და რელიგიის, საერო და სასულიერო სასწავლებლების, საერთოდ განათლებისა და სარწმუნოების სფეროში უმკაცრესი ზედამხედველობისა და ცენზურის დამამკვიდრებელნი. იხურებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, იკრძალებოდა ქართული წიგნების ბეჭდვა, იდევნებოდნენ ეროვნული კულტურის მოღვაწენი. იანოვსკიმ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა განათლების საქმეში ყოველგვარ ეროვნულობას. ჟურნალ-გაზეთები დიმიტრი ყიფიანს უკან უბრუნებდნენ წერილებს, რომლებიც ქართული ენისა და ქართული სკოლის პრობლემებს ეხებოდა. იანოვსკის ცირკულარებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები „უგონო პედაგოგებად" იწოდებოდნენ. 80-იან წლებში იკრძალებოდა სიტყვა „საქართველოს" ხმარება და მის ნაცვლად უნდა ეხმარათ თბილისის ან ქუთაისის, ანდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის გუბერნიები.

დიმიტრი ყიფიანმა ყოველივე ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. იგი როგორც იანოვსკის, ასევე მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს უზნეობასა და არაკანონიერებაში ამხელდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. დიმიტრი ყიფიანი ხელისუფლებისათვის ძნელი ასატანი აღმოჩნდა. დონდუკოვ-კორსაკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა დ. ყიფიანის თავიდან მოშორება და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებების გატარებისათვის[65].

§ 4. ზვარაკად შეწირული

შურისძიების დროც დადგა. 1886 წლის 24 მაისს სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი, რეაქციონერი ჩუდეცკი. ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში დასწყევლა საქართველო და ქართველი ხალხი, რომელმაც შვა „ავაზაკი“ ლაღიაშვილი. ეს იყო ქვეყნისა და მისი ხალხის უკიდურესი შეურაცხყოფა, რამაც უსაზღვროდ აღაშფოთა მთელი ქართული საზოგადოებრიობა. დიმიტრი ყიფიანი ეგზარქოსს სწერდა: „თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნას გასული“[66]. შეურაცხმყოფელი ეგზარქოსი არ გასულა შეურაცხყოფილი ქვეყნიდან. მთავრობამ კი დიმიტრი ყიფიანი საშიშ პიროვნებად მიიჩნია. იმპერატორს, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი ქართველი ხალხისადმი კეთილმოწყალესა და მოსიყვარულეს უწოდებდა, მისი თანამდებობიდან — იმერეთის თავადაზნაურობის მარშლობიდან — გადაყენება და, 1886 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სტავროპოლში გადასახლება ბრძანა.

გადასახლებაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დიმიტრი ყიფიანი ქვიშხეთში ინახულა აკაკი წერეთელმა, რომელმაც ამის შესახებ მოგვითხრო „ჩემს თავგადასავალში“.

„მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. „ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო! — მომაყვირა რა სიცილით. — პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!“... დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო“, უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა და დაე, პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მერცხალია და გაზაფხული მაინც მოვაო!“... სთქვა და ჩაფიქრდა“[67].

იყო კია პირველი მერცხალი?! იქნებ, ჩაფიქრებისას მის თვალწინ აღიმართა საყვარელი მოძღვრის სოლომონ დოდაშვილის ტანჯული სახე, ციმბირის გადასახლებაში 31 წლისას სუსხმა რომ დაჰკრა და გაზაფხულს ვეღარ მოესწრო, ან იქნებ შორეული წარსულიდან აბო თბილელის უდრეკი სახე წარმოუდგა — 27 წლისა რომ შეეწირა რწმენას, ან იქნებ 72 წლის მოხუცს რაინდული სიბრძნე შთაბერა ცოტნე დადიანმა, თავგანწირვით თანამებრძოლნი რომ იხსნა! ან იქნებ დიმიტრი თავდადებული შეეხმიანა თავის მოსახელეს!

„მართლა რომ იწინასწარმეტყველა თავის თავზე, — წერდა იქვე აკაკი. — იქ, სტავროპოლში პატიმრობის დროს მოჰკლეს! — ის ტვინი, რომელიც საქარ-

თველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!

და ვინ? რად?.. სრულიად საჭირო არ არის ამაზე ვიფიქროთ მაშინ, როდესაც ვიცით, თუ რისთვისაც!.. ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევს მაშინ, როდესაც ყიფიანის ნათესი თავს იჩენს, ნაყოფს მოიტანს... აი, სწორედ ამისთანა დევგმირზე, როგორიც იყო განსვენებული დიმიტრი ყიფიანი. ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!".

ილია ჭავჭავაძე დიმიტრი ყიფიანს მზეს ადარებდა, „რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს, როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილად-ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივსტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა"[68].

რა იცოდა ამ სიტყვების ავტორმა, რომ რაღაც 20 წლის შემდეგ იუდას მიერ შუბლგახვრეტილსა და მკერდშენგრეულს გააცილებდა ქართველი ხალხი იმ სამარადჟამო განსასვენებელში, სადაც მიიყვანეს მზეს შედარებული ადამიანი, რომელსაც, არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოაჩნდა „დიმიტრი თავდადებულის ხასიათი და თვისებები"[69].

რა დიდი გრძნობა გამოხატეს მოსკოვში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა სტავროპოლში გადასახლებულ დიმიტრი ყიფიანისადმი წერილში:

„თქვენი ქცევა ამშვენებს თქვენს ჭაღარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოჰლევია თქვენისთანა მოხუცი, არ მომკვდარა"[70].

სტავროპოლში 1887 წლის 26 ოქტომბერს 73 წლის დიმიტრი ყიფიანის ვერაგულმა მკვლელობამ დააწერინა აკაკის ლექსი „ქართველი უცხოეთში", რომელშიც დიდმა მგოსანმა გამოხატა სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის სულისკვეთება, როდესაც ათქმევინა: „უმსხვერპლოდ ვერ გაიხარებს ქვეყანა, ღმერთო, მიმიღე ზვარაკად... ყელში გამერჭოს მე დანა... ამით ასრულდეს ანდერძი, გადმონაცემი ძველთაგან: „იხსენ, უფალო, ჩემგამო ქვეყანა განსაცდელთაგან!".

ყელში კი არ გაურჭვიათ დანა, მაგრამ საპატიმროს საკანში შეპარულმა „სიკვდილმა"

„ქვა დაჰკრა!.. თავი გაუპო,
დაიმორჩილა მძინარი
და, სულთმობრძავი რომ ნახა,
სიამით იწყო ხარხარი!"[70ა].

სამშობლოს ზვარაკად შეწირული დიმიტრი ყიფიანის ჩამოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა დამპყრობელთა საწინააღმდეგო მრისხანე ეროვნულ საპროტესტო დემონსტრაციად იქცა.

მას შემდეგ ჩაფიქრებული მთაწმინდა „შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს თავდადებულის საფლავსა". მტკვარი კი „ნანას უმღერის რაინდსა, ურჩსა მტრისასა. მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამადავითსა ავედრებს, იბარებს ქვეყნის მოყვარეს". ამ რაინდს ქვეყნისათვის, რომელსაც შეწირა ყველაზე უძვირფასესი — სიცოცხლე, სამაგიეროდ სხვა არა უთხოვია, გარდა ერთისა:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!"

ვიდრე მეორე დიმიტრი თავდადებულად წოდებულის მსგავსი ადამიანები არსებობენ, ჩვენს ქვეყანას, ჭეშმარიტად, სიკვდილი არ უწერია. სიკვდილი არ უწერია დიმიტრი ყიფიანის ნაღვაწს.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია ერთ-ერთი დიდებული ძეგლია მის კედლებში აღზრდილთათვის და მათ შორის დიმიტრი ყიფიანისთვისაც. მშობლიური სასწავლებელი თაობიდან თაობას გადასცემს მის ხსოვნას. ამ დიდი ისტორიის პირმშო სასწავლებლის აღზრდილები თუ აღსაზრდელები მოწიწებით მოიხრიან ქედს სასწავლებლის კედელზე ამოტვიფრულ დიმიტრი ყიფიანის წმინდა სახელის წინაშე.

§ 5. კანონზომიერი შემთხვევითობა

1827 წელს, როდესაც სოლომონ დოდაშვილმა დაიწყო მასწავლებლობა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, იქვე მოსწავლედ მიიღეს 10 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი, შინაურობაში ტატოს რომ ეძახდნენ.

შემთხვევითი თუ კანონზომიერი დამთხვევაა?!

ალბათ, ამ ორი მოვლენის თანხვედრა კანონზომიერი უნდა ყოფილიყო. უნდა გადაკვეთილიყო ცხოვრების გზები ამ ორი პიროვნებისა: ერთის—ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებული მეცნიერი-ფილოსოფოსისა და მეორის—მომავალი გენიალური პოეტისა.

ალბათ, ისიც კანონზომიერება იყო, რომ პირველს მეორის მოძღვრობა, ხოლო მეორეს პირველის მოწაფეობა არგუნა განგებამ.

მაგრამ პირველის მეორესთან — როგორც მოძღვრისა მოწაფესთან უშუალო შეხვედრა მაინც გვიან მოხდა, როდესაც ტატო მეოთხე კლასში გადავიდა, სოლომონი კი უფროს კლასებს სწორედ მეოთხე კლასიდან ასწავლიდა. ეს იყო კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის პირველი წელი.

ნამდვილად ბედნიერი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომ სიმწიფის ასაკში შესვლისას ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის ისეთი ბრწყინვალე მცოდნე, მჭევრმეტყველი, მოაზროვნე, მასწავლებლობის ნიჭით ღვთისაგან დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც იყო სოლომონ დოდაშვილი.

შეიძლება ითქვას, რომ ტატოს ნამდვილად გაუმართლა. პირველ სამ წელს ქართულ ენას ასწავლიდა ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად აღიარებული ეფრემ ალექსი-მესხიშვილი (იგივე ეფრემ ალექსიშვილი), რომელმაც შეცვალა 1816 წელს გარდაცვლილი ასევე საუკეთესო მასწავლებელი იონა ქართველიშვილი. ეფრემ ალექსიშვილი სასწავლებლიდან სწორედ მაშინ წავიდა, როდესაც ბარათაშვილი სოლომონ დოდაშვილის მოსწავლე გახდა. სამწუხაროდ, სოლომონი მას მხოლოდ 2-3 წელიწადს ასწავლიდა, ვიდრე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და იდეოლოგს დააპატიმრებდნენ და შემდეგ რუსეთის ჩრდილოეთ ყინულეთში გადაასახლებდნენ. მიუხედავად ასეთი ხანმოკლე პერიოდისა, სოლომონ დოდაშვილმა დიდი როლი შეასრულა ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც პიროვნების, მოაზროვნისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაში. ეს სოლომონ დოდაშვილმა დაამჩნია მის სულს ის სამარადჟამო სიკეთე და მადლი, რაზეც თვით ნ. ბარათაშვილს ასე აქვს ნათქვამი პოემაში „ბედი ქართლისა“:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

გამართლდა ნ. პოლევოის წინასწარმეტყველება: სოლომონ დოდაშვილმა თანამემამულეთა და მოწაფეთა შორის ნამდვილად ჰპოვა მიმდევრები და თანამოაზრენი. მათ შორის ერთი პირველთაგანი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო.

იმდროინდელ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და მის ბაზაზე აღმოცენებულ თბილისის პირველ გიმნაზიაში ერთეულნი იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც იღვწოდნენ მოწაფეთა მორალურ-ზნეობრივი, ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდისათვის. დიმიტრი ყიფიანი ასეთებად ასახელებს ელპიდიფორ მანასეინს, ნიკოლოზ დემენტიევსა და ივანე არღუთინსკი-დოლგორუკოვს. მანასეინი იმ წელს წავიდა სასწავლებლიდან, როდესაც ტატო მოსწავლედ ჩაირიცხა. იმავე წელს მივიდნენ სასწავლებელში დემენტიევი და დოდაშვილი.

დემენტიევის დამსახურებაა, ნიკოლოზ ბარათაშვილი სრულყოფილად რომ ფლობდა რუსულ ენას. ამის დამადასტურებელია რუსულ ენაზე დაწერილი ბარათები მიხეილ თუმანიშვილისადმი, გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებისადმი, ზოგიერთ წერილში ჩართული რუსული წინადადებები. ამასვე ადასტურებს თბილისის გიმნაზიელთა ლიტერატურული წრის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ხელნაწერი ჟურნალის «Цветок Тифлисской Гимназии» მეოთხე ნომერში მოთავსებული ბარათაშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი ნაწყვეტი „ვისრამიანიდან", აგრეთვე მისი წერილები «Письмо из деревни» და «О папской власти». 1. О возвышении папизма; 2. О падении его (სამწუხაროდ, ჟურნალის ეს ნომერი დაკარგულია). თუ დემენტიევის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბარათაშვილის მიერ რუსული ენის მაღალ დონეზე ცოდნა, დოდაშვილს უნდა ვუმადლოდეთ მისი ცოდნის იმაზე ფართო ჰორიზონტს, ვიდრე ეს გიმნაზიის მოსწავლეს მოეთხოვებოდა. საფიქრებელია, რომ სოლომონ დოდაშვილის მეშვეობით დაუახლოვდა ბარათაშვილი საქართველოში გადმოსახლებულ ზოგიერთ დეკაბრისტსა და ასევე პოლონეთის აჯანყების ცალკეულ მონაწილეებს, რომლებთანაც დოდაშვილს ურთიერთობა ჰქონია. სოლომონ დოდაშვილი კარგად იცნობდა დეკაბრისტ სუხორუკოვს, კონდრატ რილეევის ნაწარმოებებს. ჩხრეკისას მის ქაღალდებში უპოვნიათ რილეევის წერილი ცოლისადმი, რომელიც 1826 წელს, სტუდენტობისას გადაუწერია კრუპსკის და მიუცია ს. დოდაშვილისთვის. ასევე უპოვნეს ს. დოდაშვილის მიერ დაწერილი პროკლამაცია და „სიტყვა-მოწოდება", აგრეთვე ლექსი „მაისი", რომელშიც ჩამოყალიბებულია მომავალი აჯანყების გეგმა. ეს ორი დოკუმენტი გადმოგვცემს არა მარტო ავტორის სულისკვეთებას, არამედ იმასაც, თუ რას მოუწოდებდა შეთქმულთ მათი იდეოლოგიური ხელმძღვანელი[71].

ორივე თხზულება 1831 წელსაა დაწერილი. ეს არის პერიოდი, როდესაც პოლონელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის წარმატების იმედით აღავსებდა ქართველ შეთქმულთ. დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდება", ფაქტობრივად, იმ როლის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინით აღტკინებული შეთქმულნი უნდა აღეჭურვა რწმენით, რომ მათი ცდა, თავდადება სასურველ ნაყოფს გამოიღებდა. დოდაშვილი შეახსენებდა მათ, რომ საქართველოს, დღიდან თავისი არსებობისა, ჰქონდა „თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება", ჰყავდა საკუთარი მეფე, არასოდეს ემონებოდა არავის და არც სხვას იმონებდა, წინაპართა სახელი, ხმა, მამაცობა „ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა", მტერი მათ ყოველთვის დამარცხებული ჰყავდა. დღეს კი „ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!" — და სოლომონ დოდაშვილი აქვე სვამდა კითხვებს: „რაისათვის არს ესე ეს-

რეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?! ნუ უკვე არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?! ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალნი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშა რაისთვის ვცოცხალვართ?!"

სამზადისმა შეთქმულების აჯანყებაში გადაზრდისათვის ცხადყო, რომ ქართველ მამულიშვილებს არ დავიწყებიათ მამა-პაპათა დამსახურება, სჯული, ენა, ზნე-ჩვეულებანი. ეს რომ დავიწყებოდათ, რაღად ღირდა მათი სიცოცხლე?!

რუსეთის იმპერიის ხუნდებისაგან თავდასახსნელად აღმდგარ პოლონელთა თავდაპირველი წარმატებანი რწმენით აღავსებდა ქართველ მამულიშვილებს, რომ ისინიც დაამსხვრევდნენ მონობის ხუნდებს, რაც მოუტანა საქართველოს რუსეთთან მიერთებამ. შეთქმულნი, პოლონელთა წარმატებაში დარწმუნებულნი და იმით დაიმედებულნი, რომ პოლონეთის აჯანყებით შეშფოთებული რუსეთის იმპერიას საქართველოსათვის არ ეცალა, 1831 წლის მაისში გეგმავდნენ შეიარაღებულ გამოსვლას. დოდაშვილის ლექსი „მაისი", ფაქტობრივად, ამ აჯანყების გეგმა-მოწოდებას წარმოადგენდა. მაისის თვეში უნდა გამოხატულიყო „ქართველთ უფლება". მათ უნდა აეღოთ მახვილი, შემოეკრიბათ თავისუფლებისათვის ბრძოლის მსურველნი, გაგულისებულნი უნდა სძგერებოდნენ და განედევნათ „ძალით მოსსულნი, ჩვენი მამულისა მაოხრებელნი".

ამ მებრძოლ სულისკვეთებას, თავის პატრიოტულ იდეებს, შეხედულებებს სოლომონ დოდაშვილი აცნობდა არა მარტო შეთქმულებს, არამედ შეფარვით თავის მოწაფეებსაც, არა მარტო გაკვეთილებზე, არამედ იმ ლიტერატურულ შეკრებებზე, რომელსაც აწყობდა მოწაფეებისათვის. გამორიცხული არ არის, რომ ამ შეკრებებს ესწრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც, მაშინაც კი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მისი უშუალო მოწაფე. როგორი უნარი ჰქონდა სოლომონს, შენიღბულად მიეწოდებინა თავისი აზრები მსმენელებისათვის, ამისი მაჩვენებელია „შესხმა წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვრისა მიერ სოლომან დოდაევისა მაღაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა წელსა 1828 ივნისის 3-სა (6-სა) დღესა"[72].

სოლომონ დოდაშვილი ამ „შესხმა-სიტყვაში" იმის მიზეზად, რამაც მიიყვანა „საყვარელი მამული ჩვენი ესევითარ ხარისხამდე დამდაბლებისა", მიიჩნევს ერთმეფობასა და, საერთოდ, მონარქიულ წყობას და აკრიტიკებს მას. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ დოდაშვილი აკრიტიკებდა ერეკლე მეორის ერთმეფობასა და მის მიერ საქართველოს ბედის გადაწყვეტას, როდესაც იგი დაუკავშირა რუსეთის იმპერიას. აქამდე „საყვარელი ჩემი მამული", როგორც ამბობდა დოდაშვილი, მიიყვანა „ერთკერძო განუჭვრეტელობამან რომელთამე განმგებელთამან". სოლომონ დოდაშვილი მართლაც ცნობილი იყო თავისი რესპუბლიკური იდეებით, მონარქიული წყობის საწინააღმდეგო შეხედულებებით. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, მისი ერთ-ერთი მონაწილე ვახტანგ ორბე-

ლიანი გამოძიებისადმი ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ სოლომონ დოდაშვილი პირდაპირ აცხადებდა: „მე მინდა საქართველოს გათავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარისანი გამეფდეს საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკადო“[73].

აკ. გაწერელია მიუთითებს, რომ დოდაშვილი „დიდი თაყვანისმცემელი იყო ერეკლე მეორისა და თავის ჟურნალში („სალიტერატურო ნაწილნი“ — ჯ. გ.) პატარა კახის პიროვნებას აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა (წერილი „მეფობა ირაკლი მეორისა“)[74].

უნდა ვიფიქროთ, რომ 1828 წლის 6 ივნისის სიტყვაში იმდენად ერეკლე მეორის პოლიტიკისა და მისი ერთმეფობის კრიტიკა კი არ არის, რამდენადაც რუსეთის იმპერატორის პოლიტიკისა, ცარიზმის სახელმწიფოებრივი წყობისა. დავუკვირდეთ, დოდაშვილი არ ახსენებს ერთპიროვნულ გამგეობაში პიროვნებას. თუ ამ სიტყვას შევადარებთ „სიტყვა-მოწოდებას“, ალბათ, უფრო ნათელი გახდება ზემოთქმული. „სიტყვა-მოწოდებაში“ ლაპარაკია არსებობის დღიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, „აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება! ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე...“ ასე იყო ერეკლეს დროსაც. შეიძლებოდა იმ დროს გამხდარიყო ჩვენი ქვეყანა „მსხვერპლად მომყმართა ბარბაროსთა შემძლებლობისა და კვალად უმეტეს უმეცრებისა, რომელიც არს სარწმუნო თანამოგზაური მონებისა?“ შემთხვევით არ იხსენიებს დოდაშვილი შემოსევებს სპარსთა და ოსმალთა, რისი შედეგიც იყო საქართველოს ყოფნა „წყვდიადად განათლებისა გინა სწავლულებისა“.

მიუხედავად ამისა, მათ ვერ მოუსპეს ქვეყანას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც აღმოჩნდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგი. მართალია, დოდაშვილი პირდაპირ არ ამბობს ამის შესახებ, მაგრამ როცა დამპყრობლებზე საუბრობს, ეს ხომ სწორედ რუსეთზე მითითებაა. თავის „შესხმა-სიტყვაში“ არც რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართული სკოლების დახურვაზე ლაპარაკობს, რაც განათლების დაქვეითებისა და უმეცრების მიზეზი გამხდარა. ნუ დავივიწყებთ, რომ დოდაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა „დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა“. როგორც წესი, ასეთ შეკრებას ესწრებოდნენ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელნიც, რომელთა თანდასწრებით პირდაპირ ვერ იტყოდა სათქმელს, რაც ნათქვამია პროკლამაციებად ქცეულ „სიტყვა-მოწოდებასა“ და ლექსში „მაისი“. მან კარგად იცოდა, რომ სასწავლებელი, სადაც ტარდებოდა ის შეკრება, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ გაიხსნა იმპერატორის ნებართვით. იგი ერთადერთი ოფიციალური სახელმწიფო საერო სასწავლებელი იყო მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, ამიტომ ძალაუნებურად უნდა გამოეხატა სამადლობელი იმპერატორისადმი ამ „წყალობისათვის“. სინამდვილეში ეს იყო

შეხსენება „ყოვლად უავგუსტოესი მონარხისადმი“, რომ იგი მოვალეა ზრუნავდეს „თანასნორ ყოველთათვის ქვეშევრდომთა მისთა“, რათა მათ შესძლონ „აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩვენისა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა“. დოდაშვილის ოცნება ხომ სწორედ ეს იყო, რომ სწავლა-განათლების დონით „ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია“[75]. ამიტომ მოუწოდებდა შეკრების მონაწილე მოსწავლეებს, რომ მათი სწავლით მოიმკიდა „მამული ესე ჩვენი... ოდესმე მათგან ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა თვისასა“. მოუწოდებდა თანამოქალაქეებსა და მოწაფეთა მშობლებს, რათა ყველაფერი გაეკეთებინათ, რომ მათი შვილები „აღიზრდებოდეს ესე, ყვავილოვნებდეს და მოაქვნდეს უხვად ნაყოფნი სადიდებლად და სარგებლად მამულისა!“ სოლომონ დოდაშვილი არ ივიწყებდა სასწავლებელში ახალშესულთ „ასპარეზსა ამას შინა სწავლათასა“ და მოუწოდებდა მათ: „მეცადინე იყვენით გულსმოდგინებითა და მოსწრაფებითა ერთბაშად კეთილმსახურებასა შინა, რათა განამართლოთ სასოება იგი, რომელსაცა დასდებს თქვენზედა დიდი მონარხი ჩვენი და მამული, საყვარელი თქვენ ყოველთა“.

რა თქმა უნდა, ამ შეკრებას ესწრებოდნენ უმცროსი კლასების მოწაფენიც, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ჩაწვდა 11 წლის ტატო სოლომონის ამ ღრმაშინაარსიან სიტყვას, ან ბოლომდე გასაგები იყო თუ არა დიდი პედაგოგის შეგონება: „გონება კაცისა არა დასცხრების ზეაღწევნად, ოდესაცა ჰპოვებს იგი ყოველსავე კეთილსაამოდ თავისა თვისათვის!“ მაგრამ იგი ბოლომდე დარჩა ერთგული მოწოდებისა: „მეცადინე იყვენით გულსმოდგინებითა და მისწრაფებითა!“

ბარათაშვილების ოჯახთან სოლომონ დოდაშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა. მელიტონ ბარათაშვილი ცნობილი იყო მჭევრმეტყველებითაც, განათლებითა და სტუმართმოყვარეობითაც. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი ნაღები საზოგადოების წევრები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები, გიორგი და ელიზბარ ერისთავები, სოლომონ დოდაშვილი და სხვები. სტუმართა შორის იყვნენ გადმოსახლებული დეკაბრისტებიც და პოლონელებიც. ნიკოლოზი მოწმე იყო ამ შეკრებებისა და საუბრებისა. იგი ჯერ კიდევ არ იყო დოდაშვილის უშუალო მოწაფე და იმთავითვე მისი თითოეული სიტყვა ახალი სამყაროს გადამშლელი იყო. თავიდანვე მისადმი დიდი პატივისცემით განიმსჭვალა. ბუნებრივია, რომ ეს გრძნობა კიდევ უფრო გაღრმავდა მისი გაკვეთილების მოსმენის შემდეგ, ეს გაკვეთილები საოცარი სიღრმით ხიბლავდა მშობლიური ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესებულ ყმაწვილს. მითუმეტეს, რომ მოძღვარი არ იფარგლებოდა მხოლოდ გადასაცემი მასალითა და სასწავლო თემატიკით. ალბათ, პირველად დოდაშვილმა აზიარა ნიკოლოზ ბარათაშვილი ანტიკური პერიოდისა თუ რენე-

სანსის, იმდროინდელ ევროპელ თუ რუს ავტორთა თხზულებებსა და ნააზრევს, სიამაყის გრძნობით აღივსებოდა, როდესაც მასწავლებელი მოუთხრობდა, რომ „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი შვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვა და სხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან“, რომ „ქართული ენა... არს ერთი უძველესთაგანი“, რომ „ქართველთა ძველთაგან ჰქონდათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვანთა“. და მოძღვარი აცნობდა ყმაწვილებს ქართველ მწერალთა თხზულებებსა და თარგმანებს უძველესი დროიდან თანადროულობამდე. აცნობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ისტორიკოსებსა და მათ ნაშრომებს. და დაასკვნიდა: „თხზულებანი მათნი სტიხად და პროზად ღირს არიან გონებაგანმხილველისა ყურადღებისანი“[76]. ნიკოლოზ ბარათაშვილი ისმენდა იმ დიდებულ ადამიანთა შესახებ და შემდეგ გატაცებით კითხულობდა მოძღვრის წერილებს ჟურნალში „სალიტერატურო ნაწილნი“. იქვე წაიკითხა მისი „ქართული ისტორია. მეფობა ირაკლი მეორისა“. დედით ერეკლე მეორის შთამომავალი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რა გასაკვირია, რომ დიდი პაპის მოთაყვანე ყოფილიყო. ჯერ დედისაგან, ერეკლეს შვილიშვილისშვილისაგან, ვინ იცის, რამდენი რამ სმენოდა მასზე, მაგრამ სულ სხვა იყო მოძღვრის მონათხრობი. მისგან შეიცნო პირველად, თუ რა იყო ის ძალა, რომლითაც ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი მეფე ერეკლეს მეთაურობით ამარცხებდა რამდენჯერმე აღმატებულ მტერს. ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა მოძღვრის თხზულებას ერეკლეზე, იმეორებდა ერეკლეს მიმართვას ლაშქრისადმი ომის წინ: „...ჩემო ძმანო და შვილნო, ნუ შეჰკრთებით, ნუ შეშინდებით რიცხვისაგან მტერთასა, რაოდენ უმეტეს არს რიცხვი მათი, ესეოდენ უმეტესს იქმნების ძლეული“[77]. შემდეგში, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა პოემას „ბედი ქართლისას“, ალბათ, დიდი მოძღვრის თხზულებაც იყო მისი შთამაგონებელი.

ეჭვსგარეშეა, რომ გაკვეთილებზე საუბრისას სოლომონ დოდაშვილი, თუმცა შეფარვით, მაგრამ მაინც კრიტიკულად შეაფასებდა რუსეთის მხრივ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების უგულებელყოფას. იგი იმასაც აღიარებდა, რომ ერეკლე მეორემ და გიორგი მეთორმეტემ ვერ შეძლეს (ან კი შეეძლოთ?) უზრუნველეყოთ პირობები, რათა საქართველო არ მისულიყო საბედისწერო 1801 წლამდე. ალბათ, სოლომონ დოდაშვილი შთააგონებდა თავის მოსწავლეთ, რომ ქართველი ხალხი არასოდეს, არც 1801 წლის შემდეგ ეგუებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას. გიმნაზიის მოსწავლეები, რა თქმა უნდა, ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი“ წაიკითხავდნენ როგორც ს. დოდაშვილის თხზულებას „მეფობა ირაკლი მეორისა“, ასევე გ. ერისთავის „ოსურ მოთხრობას“, „რომელიც ისტორიული თემის საფარველქვეშ ქართველებს მოუწოდებდა გამოეხსნათ სამშობლო „თათრებისაგან“[78]. სოლომონ დოდაშვილი თავისი საუბრებით ამ მოწოდების არსს ნათელს ხდიდა.

დოდაშვილი თავისი ჟურნალითა და გაკვეთილებზე საუბრებით გამოდიოდა იმ იდეების გამავრცელებლად, რაც ამოძრავებდათ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს, ჟურნალი გამოდიოდა მაშინ, როდესაც შეთქმულება გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული. დოდაშვილმა ბარათაშვილი სწორედ შეთქმულთა იდეებს აზიარა, რამაც ასახვა ჰპოვა პოემაში „ბედი ქართლისა". „ლეონიძის მონოლოგში თითქოს მოცემულია შეთქმულთა საუბრების დედაარსი, დოდაშვილის რესპუბლიკური იდეებით გატაცების პოეტური ანარეკლი. მონოლოგი წარმოადგენს შეთქმულთა რადიკალური ფრთის პოლიტიკური პროგრამის მხატვრულ ენაზე გადატანას, ხოლო ერეკლე II მტკიცებანი — ქართული შემარიგებელი არისტოკრატიის შეხედულებებს და მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური ვითარების დახასიათებას მეფის პირით"[79].

რა თქმა უნდა, შეთქმულებისა და აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ნ. ბარათაშვილს შეუძლებელია სცოდნოდა ის აზრთა სხვადასხვაობა, რაც სუფევდა შეთქმულთა შორის მომავალი თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე. შეთქმულება რომ ჩავარდა, იგი 15 წლისა იყო. ფარული ორგანიზაციის წესდება „აქტი გონიური" კრძალავდა საზოგადოებაში შემთხვევითი პირებისა და არასრულწლოვანთა წევრობას. ბარათაშვილისათვის საიდუმლოებით იყო მოცული შეთქმულების ამბავი. საიდუმლოებას საბოლოოდ ფარდა აეხადა, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით დააპატიმრეს და ყაზარმებში შეყარეს მისი უახლოესი ადამიანები.

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ნ. ბართაშვილიც გაუჩხრეკიათ. ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. იგი ხომ შეთქმულების ბევრ მონაწილესთან ახლო ურთიერთობაში იყო. მას ადრე გაუგია მოსალოდნელი ჩხრეკის შესახებ, რის გამოც საეჭვო ლექსები და ქაღალდები დაუწვავს. მართალია, ნ. ბარათაშვილი განდობილი არ იყო შეთქმულების საიდუმლოებას, მაგრამ შეუძლებელია არ ეგრძნო ატმოსფეროს დაძაბულობა და იგი არ ასახულიყო იმ „დამწვარ ლექსებში". მკვლევრები მათ ყრმობის პერიოდის ლექსებად მოიხსენიებენ. იმ პერიოდის ლექსებიდან შემორჩენილია 1832 წ. დაწერილი: „ვარდი და ია", „ნარგიზი და ყაყაჩო", „კავკასიური მოთხრობა". მათ აკ. გაწერელია „პოეტური ენის ადგმად" მიიჩნევდა და წერდა, რომ ისინი „ტექნიკურად სუსტადაა შესრულებული".

პოეტს ისინი თავისი ლექსების არც ერთ კრებულში არ შეუტანია. პირველი ორი ლექსი ყვავილების ლირიკულ აღწერას წარმოადგენს და ყმაწვილის ეგზოტიკურ მგძრნობელობას ამხელს. „კავკასიური მოთხრობა" კი მოწმობს, რომ გიმნაზისტ პოეტს გულდასმით წაუკითხავს პუშკინისა და ლერმონტოვის კავკასიური პოემები და მოთხრობები"[80].

პოეტის ყრმობის პერიოდის ლექსები მხოლოდ ეგზოტიკური მგრძნობელობა რომ არ ყოფილა, ამაში დაგვარწმუნებს ლექსი „ბულბული ვარდზედ", რომლითაც იხსნება პოეტის თითქმის ყველა კრებული და რომელიც დათარიღებუ-

ლია 1833 წლით. ლექსის პირველი ვარიანტი სათაურით „ბულბული და ვარდი“ კი დაწერილია 1832 წელს. აი, რას წერდა ამ ლექსთან დაკავშირებით ვახტანგ კოტეტიშვილი: „ბარათაშვილისათვის საქართველოს მდგომარეობა სულის რეჟიმი იყო და მთელი მელანქოლიაც ამით არის შექმნილი. 17 წლის პოეტმა რომ დაწერა ლექსი „ბულბული ვარდზე“, ბევრს ძველი „ვარდბულბულიანის“ გამეორება ჰგონია, ჩვენ კი აქ პატრიოტული სევდა გვეჩვენება. „ნახა ვარდი ფურცვნილი, და მყის მოუკვდა გული“-ო. ეს ფურცვნილი ვარდი ეჭვს გარეშეა საქართველოა. ბულბული კი თვით პოეტი, რომელსაც „თვალნი ემოსა ცრემლით, გული სევდის საცმლითა“... ამ ლექსში საქართველოს გაცრუებულ იმედებზეა ლაპარაკი, თავისუფლების იმ დაუთმობელ იდეაზე, რომლის დასაცავად ჩვენმა ქვეყანამ რუსეთისაკენ იბრუნა პირი... ამ შორეული ალეგორიით გამოხატულია ის ორიენტაცია, რომელმაც ერეკლე II რუსეთის კარამდე მიიყვანა“[81].

შეიძლება, ანალოგიური აზრები დაგვებადოს ზოგიერთი „ყრმობის ლექსის“ კითხვის დროსაც. წარმოსადგენია, რა ხასიათის იქნებოდა პოეტის მიერ დამწვარი ლექსები. ეს შეიძლება ვივარაუდოთ აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალში“ გადმოცემული სახელოვან მხედართმთავარ პეტრე ბაგრატიონის ძმისშვილის, ცნობილი მეცნიერ-ქიმიკოსისა და სამხედრო მოღვაწის პეტრე ბაგრატიონის შემდეგი მოგონებით: „ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო. და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა; გამიგონია შაირებით დიდი კაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად ავუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა რომ ნახავდა წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად 25 როზგი მიანიჭეს. ჩვენც ამდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურში“[82].

„შაირებით“ დიდი კაცების ერთი ასეთი ლანძღვა იმავე ფოსტალიონის ხელით მისვლია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ნიკო (იოსებ) ფალავანდიშვილს, შეთქმულების გამცემი იასე ფალავანდიშვილის ძმას. „ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულიყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია იმას... მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარმართებლის როზენის ბრძანებით, დამნაშავენი ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი, გაეგზავნენ თავიანთ მშობლებს დასასჯელად... ადვილი წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავისი სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი (ბა-

რათაშვილი) სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა"[83]. უდავოა, სატირა შეგნებულად გაეგზავნა მოღალატის ძმას. ამით ნ. ბარათაშვილმა და მისმა გიმნაზიელმა მეგობრებმა (ლექსი ლევან მელიქიშვილს გადაუწერია) ხაზი გაუსვეს მუხანათურ გამცემლობაში თბილისის გუბერნატორის თანამონაწილეობას. ადვილად წარმოსადგენია ხელისუფლების კონფუზი, როდესაც გამოირკვა, რომ სატირის ავტორი და გამავრცელებელი ყოფილან არა შეიარაღებული რევოლუციონერ-კარბონარები, არამედ 14-15 წლის ბავშვები!.. რაკი დამნაშავენი უწლოვანი ყმაწვილები აღმოჩნდნენ, ხელისუფლებამ საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემა ზედმეტად მიიჩნია. „ყმაწვილ რევოლუციონერებს" როზგით დასჯა აკმარეს"[84].

თუმცა ხელისუფლებამ „შეიბრალა" ისინი, მაგრამ შემდეგ ცხადი გახდა, რომ „ყმაწვილი რევოლუციონერები" არ შემკრთალან, უკან არ დაუხევიათ, ბრძოლა განაგრძეს. იარაღად, ცეცხლსასროლისა თუ ორლესულის ნაცვლად, სულ სხვა რამ აირჩიეს. ეს რომ 60-იანი ან 80-იანი წლები ყოფილიყო, შეიძლება გვეფიქრა, რომ მათ გაიზიარეს დიდი ილიას ნათქვამი:

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო".

5. მრისხანე და ძლიერ ხმალზე ბასრი იარაღით

1924 წლის 7 ივნისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე დამსწრენი სენსაციური მოხსენების მოწმენი გახდნენ. ცნობილმა მკვლევარმა სერგი გორგაძემ მოხსენება[85] ასე დაიწყო: „ძველი ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების გარჩევის დროს... ჩვენ წავაწყდით ერთ საინტერესო რვეულს, რომელიც ლექსების კრებული აღმოჩნდა... რომელსაც... უზის წელიწადი „1833", ნაწერის ხელი მეტად ლამაზია და რამდენადმე ნ. ბარათაშვილის ხელს მოგვაგონებს... ტექსტი გადაწერილია შავი მელნით, რომელიც საკმაოდ კარგადაა შენახული (მხოლოდ ოდნავ ემჩნევა გადახუნება). იმავე მელნით რვეულის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრები), საიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველად რვეულში 22 ფურცელი ყოფილა, მაგრამ დღეს მას შუაში ორი ფურცელი აკლია, სახელდობრ მე-11 და მე-12-ე, რის გამოც მე-10 ფურცელს ახლა უშუალოდ მოსდევს მე-13-ე ფურცელი, რომელზედაც ტექსტი თავნაკლულადაა წარმოდგენილი... შინაარსის მხრივ, რვეული გაყოფილია ოთხ

ნაწილად ანუ განყოფილებად, რომელთაგან ფურცლების (11-12) დაკარგვის გამო, მესამე განყოფილება უსათაუროდ და თავნაკლულადაა წარმოდგენილი (შესაძლოა მეორე განყოფილებასაც აკლდეს ბოლო), ხოლო დანარჩენები ასეთ სათაურებს ატარებენ: I პოეზია აპოლოგიური; II პოეზია ბუკოლიკური; IV პოეზია დიდაქტური".

ს. გორგაძის მიერ აღმოჩენილ რვეულს ლიტერატურის მკვლევრები ანთოლოგიურ ალმანახს უწოდებენ. მისი შემდგენელ-გამომცემლები არიან თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა ლიტერატურული წრის წევრები, რომელთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. ესენი იყვნენ დაახლოებით 15-16 წლის ჭაბუკები. ამ რვეულმა, ალმანახ-ანთოლოგიამ, ახალი ფურცელი გადაშალა არა მარტო ნ. ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ ლიტერატურაში, იმდროინდელ ლიტერატურულ აზროვნებაში. ამ ალმანახის თვით განყოფილებათა სახელწოდებანი მეტყველებს, რომ მისი შემდგენელ-გამომცემლები იცნობდნენ ანტიკური პერიოდის ბერძნულ-ლათინურ ლიტერატურულ მიმდინარეობებს; იცნობდნენ აპოლოგიურ პოეზიას, რომლის სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული სიტყვა აპოლოგისაგან, რაც ლიტერატურული ნაწარმოების ისეთ სახეს ნიშნავს, რომლის მიზანი ზნეობრივი დარიგებაა, უმეტესწილად ჭკუის სასწავლია. იგი, ამავე დროს ზეპირი, ან წერილობითი დაცვაა ვისიმე ან რისიმე. ასევე ანტიკური პოეზიის ჟანრია ბუკოლიკურიც, რომელიც ვიწრო გაგებით მწყემსურ ცხოვრებას ასახავს, ფართო გაგებით კი სოფლურ მშვიდობიან ცხოვრებას. ბუკოლიკური პოეზია შეიძლება იყოს ლირიკულიც, თხრობითიც, დრამატულიც და შერეულიც. ბუკოლიკური პოეზია იდილიურიცაა (იდილია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პატარა ლექსს, სურათს).

ყოველივე აღნიშნული მიგვანიშნებს ყმაწვილ გიმნაზიელ ლიტერატორთა ცოდნის ფართო ჰორიზონტზე. ეს ალმანახ-ანთოლოგიის ღირსების მხოლოდ ერთი მხარეა, მაგრამ უმთავრესი მაინც მისი იდეური დატვირთვაა.

სხდომის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო ს. გორგაძის მოხსენების თემამაც: „ახლად აღმოჩენილი ქრესტომათია და ნ. ბარათაშვილის ყრმობის ლექსები". მათ პირველად ემცნოთ ქრესტომათიისა და ნ. ბარათაშვილის ახალ ლექსთა შესახებ. დასასრულს, გორგაძე აღნიშნავდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი და დღემდე უცნობი ლექსები თავისთავად დიდს პოეტურ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ როგორც საუკეთესო მასალას ამ მგოსნის შემოქმედებითი ნიჭის ზრდისა და განვითარების გასათვალისწინებლად: კერძოდ, ისინი შუქსა ჰფენენ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების იმ პერიოდს, რომელსაც „ყრმობის ხანა" შეგვიძლია ვუწოდოთ; და დღემდე ეს ხანა ყველაზე ნაკლებ იყო ცნობილი, ნაწარმოებთა სიმცირის გამო, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ისტორიაში. დღეიდან ნ. ბარა-

თაშვილის ლექსთა კრებულს, რომელიც აქამდე 39-იოდე ნაწარმოებს შეიცავდა (მიწერ-მოწერას არ ვუთვლით), სამი სრულიად ახალი და ორი ფრიად მნიშვნელოვანი ვარიანტი ემატება". ქრესტომათიასა და ორიოდე წლის შემდეგ იმავე ლიტერატურული წრის წევრთა მიერ შედგენილ-გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალ „გიმნაზიის ყვავილში" მოთავსებულ ნაწარმოებთა ლიტერატურული განხილვა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ დროზე, როდესაც ეს კრებული შეიქმნა და კიდევ იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისება ეს ნაწარმოებები დროს იდეური და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ალმანახ-ანთოლოგია შეიქმნა მაშინ, როდესაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი დაპატიმრებულნი იყვნენ, მიმდინარეობდა გამოძიება, აიკრძალა ქართულ ენაზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, იდევნებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზრი. და აი, ამ საშინელი რეაქციის ხანაში, „1833 წელს, როდესაც შეთქმულების მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ დაპატიმრებულნი და სიკვდილით დასჯას მოელოდნენ, ახალგაზრდა ლიტერატურულ წრეს გამოუშვია ხელნაწერად ქართულ ენაზე ლიტერატურული ალმანახი, „ლექსთა კრებული"[86].

ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ბირთვი კი შედგებოდა ნ. ბარათაშვილის, მისი მომდევნო კლასელ მიხეილ თუმანიშვილისა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლე დავით მაჩაბლისაგან. სწორედ ეს სამეული გახლდათ ალმანახის შექმნის თაოსანი. შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასი იყო ის, რომ „ახალგაზრდათა ამ წრეს შესაძლოდ დაუნახავს შეეტანა ალმანახში ნაწერები იმ პირთა, რომლებიც კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებულნი აჯანყების მომზადებისათვის, გიორგი ერისთავისა და ალექსანდრე ჭავჭავაძისა. იმ მღელვარე ხანაში ჯერ მარტო მოხსენიება ამ პირთა სახიფათო იყო პოლიტიკურად, არათუ მათი ლიტერატურული პოპულარიზაცია"[87].

ალმანახში შეტანილია შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ალექსანდრე ორბელიანის ლექსიც. „კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ ალმანახში მოთავსებულია ამ ავტორთა არა მხოლოდ პოლიტიკურად ნეიტრალური თხზულებანი, არამედ რევოლუციური ნაწერებიც. ასე, ალმანახში შეტანილია გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობა", რომელიც... პირველად სოლომონ დოდაშვილმა გამოაქვეყნა და რომელიც გამჭვირვალე ალეგორიის საფარს ქვეშ „მამულის გამოხსნისათვის" მოწოდებას შეიცავდა. ამავე ალმანახში მოთავსებულია, ავტორის ხელმოუწერლად, გრ. ორბელიანის ლექსი, „იარალისადმი", რომელიც გავრცელებული იყო შეთქმულთა წრეებში, და რომელიც აჯანყების სულისკვეთებით არის შთაგონებული[88]. გრ. ორბელიანის ლექსით ყმაწვილი ლიტერატორები შენატროდნენ გმირს, რომელიც მარჯვენის ერთი დაკვრით ვეშაპს მიწას დასცემდა. ვეშაპი ცარისტული

ხელისუფლებაა, რომლის დამხობისაკენ პოეტთან ერთად მოუწოდებდნენ ალმანახის შემდგენელ-გამომცემელნი. გ. ერისთავის პოემაში კი მე-17 საუკუნის ეროვნული გმირების ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების სამშობლოსათვის თავდადებაა მოთხრობილი, ამითმოუწოდებენ თანამედროვე ქართველებს, მიბაძონ მათ და სამშობლოდან გააძევონ „თათრები“. თუ ს. დოდაშვილის მიერ გ. ერისთავის პოემის შეტანა „სალიტერატურონი ნაწილნი“-ში სამშობლოს გამოხსნისათვის მოწოდებას შეიცავდა შეთქმულების მზადების პერიოდში, ამჯერად ალმანახში მის შეტანას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრების, მკაცრი რეპრესიული ღონისძიებების გამო, საზოგადოების დიდი ნაწილი შიშმა მოიცვა, ზოგიერთი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და მომავლისადმი უიმედობამ შეიპყრო, მათ შორის ისინიც, რომლებსაც შეთქმულებასთან არაფერი აკავშირებდათ და მხოლოდ შეთქმულთა ნაცნობები იყვნენ. ბევრი მათგანი, თავის გადარჩენისათვის, ხელისუფლების გულის მოგებას ესწრაფვოდა.

და აი, ამ დროს ყმაწვილებმა ალმანახის გამოცემით რწმენის ჩანერგვა, ძველი პატრიოტული სულისკვეთების აღდგენა დაისახეს მიზნად. ისიც სავარაუდოა, რომ „ვეფხისტყაოსნიდან“ განგებაა შერჩეული ისეთი ადგილები, დასახულ მიზანს რომ ემსახურება. შესაძლოა, უცხო მოყმის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო როსტევან მეფის დაღრეჯილობაში სურდათ დაენახვებინათ ქართველი ხალხის „დაღრეჯილობა“, გამოწვეული ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით. მაგრამ მწუხარებისა და სასოწარკვეთის ნაცვლად, საჭიროა შემართება და საქმე, როგორც თინათინი მოუწოდებდა მამამისს. ანდა, ალმანახის შემდგენლების მიერ იმ ადგილის შეტანა, როდესაც ავთანდილი მიმართავს ღმერთს, რომ იგია მომცემი „პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზითასა“, იქნებ, იმის აღნიშვნაა, რომ საქართველომ რუსეთთან შეერთებით სიკეთეზე მეტი ნახა პატიჟი — ტანჯვა?! და საჭიროა არა სასოწარკვეთა ამ ტანჯვა-პატიჟის წინაშე, არამედ ძალთა მოკრება, რათა შეიძლონ „მტერთა ძლევა“. ალმანახში მოთავსებული იყო უავტორო ლექსი „როს ნაპალეონ შვიდ მეფით“, რომელშიც წარმოდგენილია მეფე ტირანი, დამპყრობლური ომებით შვიდი სამეფოს მბრძანებელი რომ გამხდარა.

ალმანახ-ანთოლოგია თავისებური პროტესტი იყო ხელისუფლების რეაქციულ ღონისძიებათა წინააღმდეგ. ეს იყო ჩვენება იმისა, რომ ქართველ ხალხში არ ჩამკვდარა თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება. გიმნაზიელ ყმაწვილთა თაობამ ამით სცადა ეჩვენებინა, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც ჩაკლავს ამ სულისკვეთებას. ამაზე მეტყველებს „ლიტერატურული ახალი თაობის“ შემდგომი მოღვაწეობა.

ალმანახ-ანთოლოგიის გამოცემიდან ორი წელიც არ გასულიყო, როცა ამ ყმაწვილებმა გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი რუსულ ენაზე «Цветок

Тифлисской гимназии», პირველი ნომერი. ეს იყო კიდევ უფრო დიდი გმირობა იმ დროს, როდესაც შეთქმულებს განაჩენიც გამოუტანეს და მიმოფანტეს კიდეც უკიდეგანო იმპერიაში, როდესაც რეაქციამ კიდევ უფრო მძლავრად და მკაცრად გაშალა ფრთები და გამოაჩინა ბასრი ბრჭყალები.

ჟურნალის გარეკანზე მითითებული იყო: «Цветок Тифлисской гимназии – журнал словесности, наук, художеств, промышленности и новостей, составленный из классных упражнений» („ტიფლისის გიმნაზიის ყვავილი — სიტყვიერების, მეცნიერებათა, მხატვრობისა, მრეწველობისა და ახალ ამბავთა ჟურნალი, შედგენილი საკლასო სავარჯიშოებისაგან"). 1835-1836 წლებში სულ გამოვიდა ჟურნალის ხუთი ნომერი (სამწუხაროდ, მეოთხე ნომერი დაკარგულია). მათი უბრალო გაცნობაც კი დაგვარწმუნებს, რომ ჟურნალი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ „შედგენილი საკლასო სავარჯიშოებისაგან". იგი უფრო მეტს ისახავდა მიზნად, ვიდრე სატიტულო ფურცლით შეიძლება ვიმსჯელოთ.

ჟურნალის რუსულ ენაზე გამოშვება არ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მის ავტორთა შორის ვხვდებით არაქართველებსაც. ასეთი იყო ეგორ ვიტემსი, რომელზეც მწერალი მიხეილ ხელთუბნელი მიუთითებს, „ეროვნებით ალბათ გერმანელიო"[89]. ავტორთა შორის დასახელებულნი არიან აგრეთვე ალექსანდრე მონასტირსკი, გარსევან ვარლამოვი („თბილისელ კათოლიკეთა ოჯახს ეკუთვნოდა"), გიორგი (ეგორ) გასპაროვი, მიხეილ ბებუთოვი, ივან ტიტკოვი და სხვები. გიმნაზიელთა ლიტერატურულ წრესა და ამ წრის წიაღიდან გამოსულ „ყვავილში" სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობა, ფაქტობრივად, იმ კურსის გაგრძელებაა, რასაც 1832 წ. შეთქმულები ახორციელებდნენ. გავიხსენოთ, რა ფართო მიზნებს სახავდა ალექსანდრე ორბელიანი. „შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი არეულობა მოგვეხდინა"[90]. შემთხვევითი არ იყო, რომ შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ თათარი მოლა ზამანა, უკრაინელი პაუშენკო, პოლონელი ზავილეისკი, გადმოსახლებული დეკაბრისტები: ალექსანდრე და პავლე ბესტუჟევები, ვლადიმერ ვოლხოვსკი, ვალერიან გოლიცინი, ვლადიმერ ტოლსტოი და სხვები.

ჟურნალის რუსულ ენაზე გამოცემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისიც გახლდათ, რომ გაექარწყლებინა იმპერიის ერთგულ მსახურთა აზრი, თითქოს საქართველო კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და კულტურის შემომტანნი საქართველოში რუსები იყვნენ. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშის — სარგის თმოგველის „ვისრამიანის" ნაწყვეტების ნ. ბარათაშვილისეული და მიხ. თუმანიშვილისეული თარგმანები მკითხველს დაარწმუნებდა, თუ რა ძვირფას საგანძურს

ფლობდა შუა საუკუნეებში ქართველი ხალხი. იმავე მიზნით დაეთმო ჟურნალში ადგილი სოლომონ დოდაშვილის „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას" და „მეფობას ირაკლი მეორისა", რომელიც მკითხველს აცნობს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ სასახელო მონაკვეთს. პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული იესე ანდრონიკაშვილის „წერილები კახეთზე".

საგულისხმოა, რომ ჟურნალი არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული თემებით. საინტერესოა „მოგზაურობა სომხეთში". წინა ქვეთავში უკვე ითქვა ნ. ბარათაშვილის წერილზე „პაპის ხელისუფლების შესახებ". ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც ნ. ბარათაშვილი წერდა პაპის ხელისუფლების დაცემაზე და მის მიზეზებს იხილავდა, ალეგორიულად გულისხმობდა იმ მიზეზებს, რასაც შეეძლო გამოეწვია რუსეთის თვითმპყრობელობის დაცემა? სამწუხაროდ, ეს წერილი მოთავსებული იყო ჟურნალის მეოთხე ნომერში, რომელიც დაკარგულია.

თუ დავუკვირდებით ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს, ძნელი არ არის იმ დასკვნის გამოტანა, რომ სატიტულო ფურცელზე მიწერილი „შედგენილია საკლასო სავარჯიშოებისაგან" იყო შენიღბვა ჟურნალის მიზანდასახულობისა. როდის იყო, რომ თბილისის გიმნაზიაში სრულდებოდა საკლასო სავარჯიშოები ისეთ თემებზე, რასაც ჟურნალში მოთავსებული მასალები ეხებოდა.

ჟურნალმა გააგრძელა და კიდევ უფრო განავითარა 1833 წელს გამოცემული ანთოლოგია-ალმანახის კურსი. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს წინასწარ სინჯავდა გიმნაზიის ინსპექტორი, „ახალგაზრდა ლიტერატორებს ჟურნალში მაინც შეუტანიათ ქ. ვიატკაში გადასახლებული თავიანთი მასწავლებლის წერილები. ეს პოლიტიკურად საცნაური და გაბედული ნაბიჯი კარგად გვიხასიათებს ჟურნალის იდეოლოგიურ მხარეს და თანამშრომლების ზნეობრივ ვალდებულებას დამარცხებული თაობის წინაშე"[91].

გიმნაზიის ინსპექტორი ნამდვილად რომ სინჯავდა ჟურნალში შესატან მასალებს, ამაზე მეტყველებს მეორე ნომრის გარეკანზე წარწერა: «Писать позволяется с тем однако, чтобы прежде внесения в цветок, каждое сочинение представлено было бы на предварительное рассмотрение г-на инспектора Тифлисской гимназии»[92]..

თუმცა „ყვავილში" შესატანი ყოველი თხზულება წინასწარ წარედგინებოდა ინსპექტორს, მაგრამ ჟურნალის გამომცემლები მაინც ახერხებდნენ 1832 წლის შეთქმულთა წინაშე ზნეობრივი ვალდებულების შესაბამის მასალათა გამოქვეყნებას. ამ წერილების ავტორები იყვნენ იმ ლიტერატურული წრის წევრები — გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებმაც აიტაცეს დამარცხებული თაობის დროშა. მათ თავისი ბრძოლის იარაღად ბოლომდე შეინარჩუნეს მძლავრ ხმალზე მრისხანე კალმის წვერი. ამ იარაღით ბრძოლას მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაანაგრძობდა ნ. ბარათაშვილი, რომელმაც გენიალური პოეტის სახელი და უკ-

ვდავება მოიპოვა. მრავალი სახელოვანი მამულიშვილი აღიზარდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, 1830 წელს გიმნაზიად სახელდებულში. ალბათ, პირველად აქ ჩაესახა ნ. ბარათაშვილს რწმენად, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. ამ რწმენის, ამ სულისკვეთების პირველი ჩამნერგავი იყო მისი დიდი მოძღვარი ს. დოდაშვილი. თუ გიმნაზიამ კვალი დატოვა პოეტის ცხოვრებაში, ამაში ერთ-ერთი უმთავრესია ს. დოდაშვილის წვლილი. ალბათ, ამიტომ იგონებდა გიმნაზიასა და იქაურ მახლობელთა წრეს შემდეგი სიტყვებით:

„დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“.

ნ. ბარათაშვილმა გიმნაზია 1835 წ. დაამთავრა. აქ ჩაუნერგა მოძღვარმა თავის ღირსეულ მოწაფეს არსებული პოლიტიკური წყობისადმი ის პროტესტანტული სული, რაც პოეტს ბოლომდე გაჰყვა.

ამ პროტესტანტულმა სულმა იფეთქა მაშინაც, როდესაც საქართველოს ეწვია მეფე-ტირანი, რომელმაც ბარათაშვილს უბოძა სამახსოვრო მედალი ხელმწიფე იმპერატორის ყოფნის აღსანიშნავად[93]. ბარათაშვილს ეს მედალი არ უტარებია, ალბათ, მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მსგავსი მედალი ასევე ებოძა თბილისში იმპერატორის ჩამოსვლამდე ცხრა თვით ადრე, 1837 წლის 27 იანვარს მოკლულ პუშკინს. თბილისში ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა პუშკინის სტუმრობა 1829 წელს. ვინ იცის, მაშინ მას კიდეც შეხვდა 12 წლის ტატო. ნიკოლოზ I ხომ ბრალი ედებოდა დიდი პოეტის მკვლელობის ორგანიზაციაში? ასევე ედებოდა ბრალი ს. დოდაშვილის მკვლელობაში. როგორ შეეძლო ნ. ბარათაშვილს ეტარებინა მისგან ბოძებული მედალი!

ნ. ბარათაშვილი ერთი წუთითაც არ შეგუებია თავის მწარე ხვედრს, მთელი ცხოვრების გზაზე მდევარ „თვალბედით შავ ყორანს“. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია მრისხანე და ბასრი იარაღი — კალმის პატარა წვერი. მას ასულდგმულებდა და ძალას მატებდა რწმენა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის-კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

1. სულისკვეთება, რომელიც ვერ ჩაკლეს

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდგომი წლები ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლების მხრივ დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობისა და შეურიგებლობის სულისკვეთების სრული ჩაკვლის მცდელობის წლებია. მთავარმართებელი როზენი იყო ორგანიზატორი იმ სამხედრო წესდებით გასამართლებისა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა შეთქმულების ხელმძღვანელებს. შემდეგ კი როზენმა „მოწყალე" მთავარმართებლის როლი გაითამაშა და იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა განაჩენის შერბილებისათვის. იმპერატორი განა როზენზე ნაკლებ „გულმოწყალე" იყო, რომ შუამდგომლობა არ დაეკმაყოფილებინა და „უზენაესი მოწყალება" არ გაეღო?

სასიკვდილო განაჩენის შეცვლის გამო, თბილისში ყველანი მადლიერნი იყვნენ ხელმწიფე-იმპერატორისა. თურმე, იმპერატორი არც ისეთი ტირანი ყოფილა, როგორიც ეგონათ. ჯერ იყო და შეთქმულების მარცხმა, შემდეგ კი მის მონაწილეთა მიმართ ანგარიშსწორებამ, ცივი წყალი გადაასხა ბევრს. ისევ ხელისუფლებასთან შერიგება ამჯობინეს, ბედს შერიგებულნი, ნდობის მოპოვებას და შეწყალებისათვის იმპერიის წინაშე ერთგულების დამტკიცებას ცდილობდნენ. მალე საშუალებაც მიეცათ თავისი მადლობა და ერთგულება პირადად დაემტკიცებინათ იმპერატორისათვის, რომელმაც 1837 წლის ოქტომბერში თავისი სტუმრობით „გააბედნიერა" საქართველო. ქართველი თავადაზნაურობა ისეთი ზარ-ზეიმით შეხვდა იმპერატორს, რომ აცრემლებულმა აღმოსთქვა: „ასე ჩემს მოსკოვშიც არ მხვდებიანო".

თითქოს, იმავე იმპერატორს იმპერიის შორეულ მხარეებში არ მიმოეფანტოს ქართველი თავადაზნაურობის თვალსაჩინო წარმომადგენელნი — ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის უმთავრესი მებრძოლნი.

ამ ზარ-ზეიმით დახვედრის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იგივე ბარონი როზენი იყო. მაგრამ იგი ვერ იხსნა ვერც ქართული ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლისათვის ბრძოლამ და ვერც იმპერატორთან საზეიმო დახვედრის ბრწყინვალე ორგანიზაციამ. სწორედ იმ ხანებში სენატორ განის რევიზიამ გამოავლინა კავკასიაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებების, ფინანსური დარღვევებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა, მათ შორის როზენის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები. დანაშაულობანი იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ იმპერატორის სტუმრობიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ „ბატონი როზენი 1837 წლის 30 ნოემბერს მოიხსნა კავკასიის

სარდლობიდან და საქართველოს მთავარმართებლის წოდებიდან და დაინიშნა სენატორად მოსკოვში. მწუხარებისაგან განადგურებულმა და ავადმყოფმა დატოვა მხარე, რომელსაც ამდენი შრომა და ღვაწლი შეალია, და გაემგზავრა ახალი დანიშნულების ადგილზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1841 წელს"[1].

თითქოს ყველაფერი დაწყნარდა, თითქოს გიმნაზიაშიც ჩაკვდა ახალ იდეათა ძიების, ბრძოლის სულისკვეთება, რაც ასე ძლიერი იყო სოლომონ დოდაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის დროს. თითქოს დავიწყებას მიეცა ის მგზნებარებაც, რაც ასე შეიგრძნობოდა ს. დოდაშვილის მოწაფეთა მიერ 1833 წელს გამოცემულ „ალმანახ-ანთოლოგიასა" და 1835 წელს ჟურნალ „გიმნაზიის ყვავილში". საქართველოს, კერძოდ, თბილისის კულტურულ ცხოვრებაზე 30-40-იანი წლების მიჯნაზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ნიკოლოზ ბარათაშვილის იმდროინდელი წერილები. ჭაბუკს, რომელიც თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის შესაბამის ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა, ცხოვრებამ სამართლისა და განჩინების ექსპედიციის უბრალო მოხელეობა არგუნა. 1837 წლის თებერვალში ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ეს ადგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა. ეს არის, რომ მოხელეთა წრე არაა შესაფერისი ზნეობრივი განვითარებისათვის, მაგრამ ეს თავისზედ არის დამოკიდებული".

და მართლაც, ნებისმიერ ვითარებაში ზნეობრივი თუ გონებრივი განვითარება თვით პიროვნებაზე რომ არის დამოკიდებული, ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი მოღვაწეობითაც დაამტკიცა, თუნდაც იმავე ექსპედიციაში. კავკასიაში სამოქალაქო დაწესებულებათა შესამოწმებლად პეტერბურგიდან ჩამოსულ სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვსა და სტატსსეკრეტარ პოზენს იმდენად მოსწონებიათ ბარათაშვილის სამსახურებრივი საქმიანობა, რომ „ბრძანებაც კი გამოიცა — ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში"[2].

ნ. ბარათაშვილი იმდროინდელ თბილისს უწოდებდა გონებისა და გულისათვის უსარგებლო ქალაქს[3].

მართლაც, იმდროინდელ თბილისში ადამიანი ვერ ჰპოვებდა ვერც რაიმე გასართობს, ვერც სულიერი დასვენებისათვის ადგილს. ბიბლიოთეკასა ან თეატრზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ქართულ ენაზე არც ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა. ამ ვითარებაში თბილისში კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლების მისია იკისრეს ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ წრეში გაერთიანებულმა, „ანთოლოგია-ალმანახელებმა" და „გიმნაზიის ყვავილის" გამომცემელმა ყოფილმა გიმნაზიელებმა. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ: მიხეილ თუმანიშვილი, სვიმონ და დავით მაჩაბლები, ზაალ ავთანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ და გიორგი იოსელიანები, კონსტანტინე მამაცაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ქართული მწერლობის მოყვარული ზოგიერთი გადმოსახლებუ-

ლი პოლონელი და ყოფილი დეკაბრისტები. ამ წრის წევრი იყო ცნობილი პოლონელი პოეტი თადეუშ ზაბოლოცკი და სხვანი[4].

ამ წრის საქმიანობის ნაყოფს წარმოადგენს ის, რაზეც 1841 წლის 28 მაისს წერდა გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ და მე ვთარგმნე „იულიუს ტარანტელი“ — ტრაღედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს, „ბიბლიოთეკაში“ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“. იოჰან ანტონ ლეიზევიცი XVIII საუკუნის გერმანელი დრამატურგი იყო. მისი ტრაგედია 1830 წელს დაიბეჭდა სენკოვსკის რედაქტორობით გამოსულ რუსულ ჟურნალ „ბიბლიოთეკა“-ში.

პავლე ინგოროყვა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1968 წელს გამოცემულ საიუბილეო კრებულის შენიშვნაში[5] მიუთითებს, რომ იმ განათლებულ ქალებში „უნდა იგულისხმებოდნენ ნინო ჭავჭავაძე, ეკატერინე ჭავჭავაძე, მაიკო ორბელიანი, ელენე ერისთავი, მაიკო ფალავანდიშვილი, მანანა ორბელიანი, მარიამ ერისთავი, სოფიო ერისთავი და სხვა“. მაშასადამე, ამ „განათლებულ ქალებს“ კავშირი ჰქონიათ წრესთან, რომელიც ცდილობდა, გადაექცია თბილისი მაქსიმალურად ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრად. ნ. ბარათაშვილი 1841 წლის 18 ოქტომბერს წერდა გრ. ორბელიანს: „ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალ-უძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებასა ყმაწვილთა კაცთა შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!“

კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში წრის წევრთა ინტერესი ფართო იყო. საქართველოს წარსულით დაინტერესებულთ, ქვეყნის ისტორიის მეცნიერული დამუშავებაც განუზრახავთ და დასამუშავებლად ცალკეული პერიოდებიც გაუნაწილებიათ. წარსულის მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულ ბარათაშვილს კავშირი დაუმყარებია ცნობილ მეცნიერ ნუმიზმატიკოსთან, მონუმენტური ნაშრომის „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტების“ ავტორთან მიხეილ ბარათაევთან, ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს კოლეგასთან, პეტერბურგის აკადემიის მუშაკ იული ფრიჩესთან, რომელიც 1842 წელს თბილისში ჩამოსულა[6].

ნ. ბარათაშვილი თანამოაზრეებთან ერთად გამოვიდა საჯარო ბიბლიოთეკის შექმნის თაოსნად. თუმცა ეს წამოწყება მაშინ ვერ განხორციელდა, მაგრამ საფუძველი შეამზადა მოგვიანებით საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის.

რა თქმა უნდა, როგორც აღნიშნული წრის წევრთა, ყოფილ გიმნაზიელთა, ისე, საერთოდ, იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ რუსეთის ხელისუფლება, უნდოდა თუ არ უნდოდა, ყუ-

რადღებას ამახვილებდა საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო საქმესა და თბილისის გიმნაზიაზეც.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების გამომცემელ-რედაქტორი, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ადოლფ ბერჟე აქტების VIII ტომის წინასიტყვაობაში წერდა, რომ საქართველოს მთავარმართებლები, მათ შორის, როზენიც თავს ისე წარმოადგენდნენ, თითქოს ისინი იყვნენ საქართველოს პირველგანმანათლებლები. „მმართველობის სხვადასხვა დარგში ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად დასახულ ღონისძიებათა შორის ყურადღება გამახვილდა ადგილობრივ მოსახლეობაში განათლების გავრცელებაზე. ამ მიზნით 1834 წელს უზენაესად დამტკიცდა „დებულება თბილისის გიმნაზიასთან არსებული კეთილშობილთა პანსიონიდან მასწავლებლებად მოსამზადებლად ყოველწლიურად ხუთი აღსაზრდელის გაგზავნისათვის“[7].

ამიერკავკასიის სასწავლებლებისა და თბილისის გიმნაზიის დირექტორი ე. გრუბერი, 1831 წლის 16 დეკემბერს განათლების მინისტრთან აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, უმწიკვლო სამსახურისათვის წარჩინების ნიშნით დააჯილდოეს[8]. არ გაივლის ორი წელი და პირადი თხოვნით გათავისუფლებული გრუბერის ნაცვლად, როზენი დირექტორად დანიშნავს ევგენი გასენ-მილერს. 1832 წლის დეკემბრის წარდგინებით, იგი 1833 წლის იანვარში თბილისის გიმნაზიის ინსპექტორად ინიშნება 3 000 რუბლის წლიური ხელფასით. ნახევარი წლის შემდეგ კი იგი უკვე ამიერკავკასიის სასწავლებლებისა და თბილისის გიმნაზიის დირექტორად გვევლინება. ასე რომ, ე. გასენ-მილერის ელვისებური აღზევება ბარონ როზენის მთავარმართებლობის დროს ხდება.

შესაძლებელია, რომ გასენ-მილერი მონაწილეობდა განათლების დარგში იმდროინდელი ღონისძიებების შემუშავებაში, რის საფუძველზეც 1834 წლის 28 თებერვალს განათლების მინისტრ უვაროვს როზენმა წერილთან ერთად გაუგზავნა „პროექტი ამიერკავკასიაში სასწავლო დარგის სრულყოფის შესახებ“[9].

პროექტი ითვალისწინებდა სამაზრო ორკლასიანი სკოლის სამკლასიანად გარდაქმნასა და, შესაბამისად, საგნების დამატებას. მეორე განყოფილება სახავდა ზოგიერთი სამაზრო სკოლისათვის შენობის აგებას. დანარჩენი ოთხი განყოფილება დაკავშირებული იყო თბილისის გიმნაზიაში გასატარებელ ღონისძიებებთან. მესამე განყოფილებაში ლაპარაკია რუსული სამართალმცოდნეობისა და სამართალწარმოების საწყისი კურსის სწავლების აუცილებლობასა და ამ საგნების მასწავლებელთა მოწვევაზე. ამ ღონისძიების გატარების საჭიროება ახსნილია იმით, რომ ქართველ თავადაზნაურობას, ხელმოკლეობის გამო, აღნიშნული საგნების შესასწავლად შვილების გაგზავნა რუსეთში არ შეეძლო. არადა, ამ საგნების ცოდნა სამოქალაქო სამსახურისათვის სავალდებულოდ იყო მიჩნეული. ამიტომ მათი სწავლება გიმნაზიაშივე განისაზღვრა. მეოთხე განყოფილება სახავდა ღონისძიებას, რათა მშობლებს შვილები სასწავ-

ლებლიდან ნაადრევად არ გაეყვანათ სამოქალაქო სამსახურში მოსაწყობად და კურსდამთავრებულებზე ადრე ჩინის მისაღებად. ამიტომ პროექტი მიზანშეწონილად თვლიდა, რომ მოსწავლეებს გიმნაზიის სრული კურსის დამთავრებისას მინიჭებოდათ მე-14 კლასის ჩინი, როგორც ეს ხდებოდა იმპერიის სხვა გიმნაზიებში. ამავე დროს, პროექტი სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო სამსახურში გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების ცნობის წარდგენას. სამხედრო სამსახურისაკენ ახალგაზრდობის მისწრაფების გათვალისწინებით, პროექტი სამხედრო სამსახურში გიმნაზიის წარჩინებით კურსდამთავრებულთა გაგზავნას გულისხმობდა. თუ უწინ გიმნაზიადამთავრებულებს დაბალ წოდებაში ყოფნა ექვსი თვე უხდებოდათ, ამჯერად ვადა წლამდე გაიზარდა. ამით გარკვეულწილად იზღუდებოდა სამხედრო სამსახურის მსურველთა რიცხვი, სამაგიეროდ, გაიზრდებოდა სამოქალაქო სამსახურისა და უმაღლესებში შემსვლელთა რაოდენობა. პროექტის მეხუთე განყოფილების მიხედვით, გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფოს ხარჯზე აღსაზრდელთა რაოდენობა ორჯერ — ოთხმოცამდე უნდა გაზრდილიყო, რისთვისაც საჭირო იყო დამატებით 24 ათასი რუბლის გამოყოფა. პროექტი მიუთითებდა, რომ ამიერკავკასია განიცდიდა სამედიცინო, სამთო და სხვა დარგების სპეციალისტთა, აგრეთვე მასწავლებლების ნაკლებობას, მათი რუსეთიდან მოწვევა სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდებოდა, ვიდრე ადგილობრივი კადრების მომზადება. ამიტომ ორიენტაცია აღებულ იქნა სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პანსიონარებზე. მათგან უნდა გაგზავნილიყვნენ გიმნაზიის კურსდამთავრებულნი კადეტთა, საზღვაო და სამთო კორპუსებში სპეციალობათა დასაუფლებლად. მათი მომზადებისათვის გიმნაზიის სასწავლო გეგმებში უნდა შეტანილიყო შესაბამისი საჭირო საგნები. მეექვსე განყოფილების სახელწოდება მის შინაარსზე თვით ლაპარაკობდა: „რუს მოხელეთა შვილებში ადგილობრივი ენების საფუძვლიანი შესწავლის სურვილის აღძვრის შესახებ". განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა თათრულზე, როგორც ამიერკავკასიის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ამავე დროს, ამ ენის შესწავლას აუცილებლად თვლიდნენ სპარსეთთან და ოსმალეთთან ურთიერთობისთვისაც. ადგილობრივი ენების შესწავლის წასახალისებლად გათვალისწინებული იყო სწავლის წარჩინებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება.

როზენის შემდეგ, ინფანტერიის გენერალ ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის მთავარმართებლობის დროს (1838-1842 წწ.), გიმნაზიაში რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა, თუ არ ჩავთვლით გიმნაზიასთან ობსერვატორიის გახსნას[10].

საკმარისი აღმოჩნდა მთავარმართებლობიდან ბარონ როზენის გადაყენება, რომ ექვსი თვის შემდეგ განათლების სამინისტრო დაინტერესებულიყო გასენმილერის ცხოვრების წესითა და დაკისრებული მოვალეობისადმი დამოკიდებუ-

ლებით. ეს დაინტერესება იმპერატორის მითითებამაც გამოიწვია. როგორც ჩანს, საქართველოში ყოფნის დროს ნიკოლოზ პირველს მოახსენეს ბარონ როზენისა და გასენ-მილერის საეჭვო საქმიანობაზე. გასენ-მილერს ნამდვილად მოაკლდა მთავარმართებლის ყურადღება და მფარველობა. ჯერ იყო და, როზენის შემწეობით, გიმნაზიის ინსპექტორი იღებს „კოლეჟსკი ასესორის" ჩინს. 1837 წელს იგი „ნადვორნი სოვეტნიკია", ე. ი. 1833 წლიდან რუსეთის სამოხელეო იერარქიაში VIII საფეხურიდან VII საფეხურამდე დაწინაურდა[11], ხოლო 1839 წლის სექტემბრისათვის უკვე VI საფეხურის მოხელეა „კოლეჟსკი სოვეტნიკის" ჩინით. მაშასადამე, იგი დაწინაურდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მისი საქმიანობის გამოძიება დამთავრებული არ იყო. გამოძიება კი დაიწყო იმავე 1839 წელს, შესწავლის შედეგად დაგროვილი მასალების საფუძველზე, გასენ-მილერს ბრალი ედებოდა დიდძალი სახელმწიფო ფულის გაფლანგვაში. როგორც აღინიშნა, „პროექტი ამიერკავკასიაში სასწავლო დარგის სრულყოფის შესახებ" ითვალისწინებდა სამაზრო სასწავლებლისათვის შენობების აგებას. გასენ-მილერი, როგორც ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორი, ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი იყო ამ გადაწყვეტილების შესრულებისათვის. მან კი ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა და მიითვისა მშენებლობისათვის განკუთვნილი 50 ათასი ვერცხლის რუბლი. გასენ-მილერი, როგორც თბილისის გიმნაზიის დირექტორიც, ითვისებდა სასწავლებლისათვის განკუთვნილი თანხებიდანაც. მითვისებულმა და გაფლანგულმა იმდენად დიდი თანხა შეადგინა, რომ 1844 წლის 4 ოქტომბერს სასამართლომ გასენ-მილერს მიუსაჯა ციმბირში მუდმივი გასახლება ყოველგვარი სოციალური და სამოქალაქო წოდების ჩამორთმევით. გასენ-მილერის საქმიანობის შესწავლისა და გამოძიების მასალებმა საბოლოო დადგენის შემდეგ, სულ მცირე, 600 ფურცელი შეადგინა[12].

რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, იცოდა თუ არა როზენმა ამ დანაშაულებრივ საქმიანობათა შესახებ და იყო თუ არა მასთან დაკავშირებული. მაგრამ ეჭვს იწვევს ფინანსურ მაქინაციებში გარეული როზენის მთავარმართებლობის დროს გასენ-მილერის სწრაფი თანამდებობრივი დაწინაურება და წოდებებში აღზევება, აგრეთვე ისიც, რომ გასენ-მილერის საქმიანობის შესწავლა როზენის მოხსნისთანავე დაიწყო.

გამოვლენილ ბოროტმოქმედებათა გარდა, სენატორ განის კომისიამ ცხადყო, რომ საერთოდ მოუწესრიგებელი იყო ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა. განის კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე, საიმპერიო საბჭოს სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ამოცანები. მართალია, დასახული ღონისძიებანი უშუალოდ სასწავლო დარგს არ შეხებია, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ მხრივაც ბევრი რამ იყო მოსაწესრიგებელი ყველა სფეროში. საზოგადოებრიობის აქტივობის ზრდა მოწმობდა, რომ „ქართველთ არ სძინავთ გონებით". და ეს „გონებით გამოღვი-

ძება" რომ არ გადაზრდილიყო, საშიშ, ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებაში, ამ უკანასკნელს დროულად უნდა ეზრუნა სასწავლო საქმის პრობლემების გადასაჭრელადაც. ეს კი, ამიერკავკასიის სასწავლებლის ხარკოვის სასწავლო ოლქისადმი დაქვემდებარების პირობებში, როდესაც ეს დაქვემდებარება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, შეუძლებელი იყო. ამან განაპირობა იმპერატორის თანხმობით განათლების მინისტრ ს. უვაროვის მიერ ამიერკავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობის შექმნა. ამით აქაური სასწავლებლები, უწინარეს ყოვლისა, თბილისის გიმნაზია 1840 წელს ხარკოვის სასწავლო ოლქის დაქვემდებარებიდან გამოვიდა. ახლა სასწავლებელთა ინსპექტორი განათლების მინისტრს პირდაპირ უკავშირდებოდა.

გასენ-მილერის საქმე დამთავრდა. ა.ი. ნეიდჰარდტის ხანმოკლე მმართველობის დროს (1842-1844 წწ.). ხელისუფლების მიერ მიღებულმა 1840 წლის 10 აპრილის კანონმა მმართველობიდან განდევნა ადგილობრივი ელემენტები და უგულებელყო სამართლის დარგში ვახტანგ მეექვსის კანონები. ამან კი ქართველი თავადაზნაურობის, საერთოდ, ქართული საზოგადოებრიობის უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია. ამით შეშფოთებულმა ნიკოლოზ პირველმა ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად გამოგზავნა სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი და სტატსსეკრეტარი მიხეილ პოზენი. ეს ის პოზენია, რომლის შესახებაც ნიკოლოზ ბარათაშვილი 1842 წლის 2 მაისს გრ. ორბელიანს წერდა: „ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზენი კეთილად წარმართავს ჩვენს გარემოებას". ნ. ბარათაშვილის ეს წერილი იმის მაჩვენებელია, რომ ქართული არისტოკრატიული საზოგადოებრიობა დიდ იმედებს ამყარებდა ჩერნიშოვისა და პოზენის კომისიაზე, რომლის მიერ ვითარების შესწავლის შედეგად უნდა შეცვლილიყო განის კომისიის მიერ შემუშავებული მმართველობის დებულება.

პოზენი საქართველოში წელიწადნახევრი დარჩენილა. ადგილზე მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, თავის ვრცელ მოხსენებით ბარათში ადასტურებდა, რომ „ცვლილებები მმართველობის სისტემაში განხორციელდა მოსახლეობის ადათ-ჩვეულებათა და ცხოვრების ნორმების გაუთვალისწინებლად. მთელი მმართველობა ბარათების შედგენასა და ქაღალდების უსასრულო გადაწერით გამოიხატება"[13], — წერდა იგი.

პოზენს შეუმოწმებია თბილისის გიმნაზიაც და მის საქმიანობასთან დაკავშირებით წამოუყენებია საყურადღებო წინადადებანი, რაც აისახა ნეიდჰარდტისადმი 1843 წლის 30 ნოემბრისა და 8 დეკემბრის, 1844 წლის 17 სექტემბრისა და 30 დეკემბრის, აგრეთვე 1845 წლის 8 იანვრის წერილებში[14].

ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებას სერიოზულად აფიქრებდა ადგილზე სამოქალაქო დაწესებულებებში უნარიან და საიმედო მოხელეთა ნაკლებობა, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა თარჯიმანთა სიმცირე. მი-

თუმეტეს, რომ კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, მრავალენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. აუცილებელი იყვნენ როგორც ქართული და რუსული, ასევე სომხური, თათრული (აზერბაიჯანული, სპარსული, თურქული), არაბული და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა ენების მცოდნენი, რათა ისინი გამოეყენებინათ თარჯიმნებად. პოზენი მიუთითებდა, რომ ასეთ თარჯიმანთა ნაკლებობის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ ადგილობრივი ახალგაზრდების მომზადებით, მათთვის სათანადო განათლების მიცემით. რადგან საამისო პირობები და საშუალებანი არ არსებობენ, — აღნიშნავდა პოზენი, — ამიტომ ისინი სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლად პეტერბურგსა და მოსკოვის უნივერსიტეტებში უნდა გაიგზავნონო. ახალგაზრდები უნდა შერჩეულიყვნენ როგორც ქართველ და სომეხ დიდებულთაგან, ასევე კავკასიელი ხანებისა და ბეგების შვილებიდან. ახალგაზრდები უნდა გაგზავნილიყვნენ აგრეთვე სამართალმცოდნეობის უმაღლეს სასწავლებლებსა და აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. პოზენმა ასევე ყურადღება გაამახვილა მიწათმომწყობლების, საგზაო ინჟინრების, არქიტექტორების, მედიკოსებისა და მასწავლებლების მომზადებისა და ამ სპეციალობათა დასაუფლებლად სათანადო უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების გაგზავნის აუცილებლობაზე. იგი საჭიროდ მიიჩნევდა თბილისის გიმნაზიაში სპეციალური კლასების გახსნას, სადაც ახალგაზრდები შეისწავლიდნენ ისეთ საგნებს, რომელთა ცოდნა მათ გაუადვილებდა უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობასა და არჩეული სპეციალობით სწავლას. პოზენის წინადადებით, უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს არანაკლებ ექვსი წლისა უნდა ემუშავათ კავკასიის ფარგლებს გარეთ. გამოდის, რომ აქაური ახალგაზრდები, სულ მცირე, 10 წელი მაინც მოწყვეტილი იქნებოდნენ მშობლიურ გარემოს და მოექცეოდნენ რუსული ყოფა-ცხოვრების პირობებში.

თუმცა, ადრინდელ რეფორმებთან შედარებით, პოზენის მიერ შემოთავაზებული სასკოლო რეფორმები თითქოს პროგრესულად გამოიყურებოდა, მაგრამ იგი ინარჩუნებდა რეაქციულ ხასიათს. საქართველოს სკოლებიდან ქართული ენა არ იდევნებოდა, მაგრამ მისი სწავლების საათები თანდათან მცირდებოდა და უფროს კლასებში იგი თითქმის აღარ ისწავლებოდა. სასწავლო რეფორმები საბოლოოდ რუსულ სულისკვეთებას ექვემდებარებოდა. საერთოდ, ის ცვლილებები, რაც ადგილობრივ მმართველობაში ჩერნიშოვ-პოზენის კომისიას შეჰქონდა, მთლიანად რეაქციული ხასიათისა იყო. ჩერნიშოვმა კარგად გამოიყენა იმპერატორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება — საკუთარი შეხედულებებით შეეტანა ცვლილებები ადგილობრივ მმართველობაში. მას კარგად ესმოდა, რომ უნდა გათვალისწინებულიყო ადგილობრივი ადათ-ჩვეულებანი, ადრინდელი ქართული კანონები, მმართველობის ქართული ტრადიციები და ისე შეეყვანათ მმართველობაში ადგილობრივი ელემენტები. ეს მით უფრო საჭირო იყო, რათა მოეგოთ უკმაყოფილო თავადაზნაურობის გული და გაეერთგულე-

ბინათ იგი. ცვლილებები შეეხო სასამართლო წესებსაც. სცადეს აღედგინათ საჩივრების ზეპირი და სწრაფი განხილვის ქართული წესები. მაგრამ ეს ცდა წააწყდა რუსული მმართველობისა და მართლმსაჯულების ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგობას. ის მაინც გაკეთდა, რომ ნაწილობრივ აღდგა ვახტანგ მეექვსის კანონთა მოქმედება.

ეს და სხვა ცვლილებები მაინც ვერ სპობდა ადგილობრივი მმართველობის მანკიერებას. მმართველობის ენად კვლავ რჩებოდა ხალხისათვის გაუგებარი რუსული ენა. მიუხედავად ახალი რეფორმების მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, ადრინდელთან შედარებით, ახალი მაინც უფრო შეღავათიანი აღმოჩნდა, მაგრამ იგი შეღავათიანი იყო გაბატონებული ზედაფენებისათვის, რომლებთანაც ურთიერთობის გამწვავება ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობდა.

1844 წელი კავკასიის მართვა-გამგებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. მთავარმართებლობა მეფისნაცვლობით შეიცვალა. იმპერატორის რესკრიპტით, მეფისნაცვალი შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვა. მას საკითხების გადაწყვეტა სამინისტროებთან დაუკავშირებლად შეეძლო. იგი მხოლოდ იმპერატორზე იყო დამოკიდებული. მეფისნაცვალი თავის საგამგებლო მხარეში ხელმწიფის უფლებებით სარგებლობდა.

1844 წლის დამლევს კავკასიის პირველ მეფისნაცლად თავადი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი დაინიშნა. ეს იყო დიდი გამოცდილების ადამიანი, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, 1815-1818 წლებში საფრანგეთში რუსეთის სამხედრო კორპუსს სარდლობდა. 1823 წლიდან ნოვოროსიის, ხოლო 1828-1844 წლებში ნოვოროსიისკ-ბესარაბიის გუბერნატორი იყო. 1844 წლის დამლევს კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნული, მოვალეობის შესრულებას, ფაქტობრივად, 1845 წლის იანვრიდან შეუდგა.

ვორონცოვი ლიბერალური შეხედულებებით იყო ცნობილი. თავად დიდი მემამულე, 1820 წელს ტურგენევთან ერთად ცდილობდა დაეარსებინა თავადაზნაურული ორგანიზაცია, რომელსაც ბატონყმობისაგან გლეხთა თანდათან გათავისუფლებისათვის უნდა ეზრუნა. უაღრესად განათლებული, შორსმჭვრეტელი, მეტად მოქნილი დიპლომატი, კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ქართველ ფეოდალთა გულის მოგებას ცდილობდა. ვორონცოვი შესანიშნავადაა დახასიათებული მიხეილ მრევლიშვილის პიესაში „ბედი მგოსნისა“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“): ლმობიერი და მომხიბლავი სისადავით აღსავსე, რომელშიც შენივთებულია ორი მცნება: მეფური სიამაყე და განუსაზღვრელი ქედმაღლობა. ეს ორი მცნება ერთ საწყისში მოათავსა მისმა მაღალმა ბუნებამ და ამ ბუნებით განვლილმა გზამ. ის ქედმაღლობს, სადაც სჭირდება და თავმდაბლობს, სადაც მორჩილებს.

ვორონცოვს საინტერესოდ ახასიათებს არჩილ ჯორჯაძე: „ვორონცოვს განსაზღვრული ხასიათის სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდა, ეკონომი-

კური აღორძინება ქვეყნისა, მისი აზრით, განათლების დაუხმარებლად შეუძლებელია. თავი და თავი განათლებაა, მაგრამ ხალხის გულამდე განათლება ასე ადვილად ვერ აღწევს. საჭიროა შუამავალი, ამ შუამავლად უნდა იყოს თავად-აზნაურობა, და ვორონცოვი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა აემაღლებინა და გაემაგრებინა სოციალური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა. არ შეუშინდა ეროვნულ განსხვავებასაც. ხელი შეუწყო ეროვნული კულტურის აღორძინებას. ამ მხრივ მისი ცდა მართლაც ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო რაც შეეხება თავად-აზნაურობის სოციალურად გამაგრებას, შედეგი აღმოჩნდა სრულიად წინააღმდეგი“[15].

რატომ აღმოჩნდა ვორონცოვის სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი თავადაზნაურობის საწინააღმდეგო? როგორ გააბა ეს უკანასკნელი მახეში და რატომ აღმოჩნდა მათთვის დამღუპველი ვორონცოვის ეპოქა? ან მაინც რით მოიგო თავადაზნაურობის გული ვორონცოვმა? — ეს სულ სხვა თემის საკითხებია[16].

ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა: რით შეუწყო ხელი ვორონცოვმა ეროვნული კულტურის აღორძინებას? რატომ აღმოჩნდა მისი ცდა ნაყოფიერი? რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემაც სპეციალური კვლევის საგანია. ჩვენ მხოლოდ მოკლე ზოგადი აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ, ისიც უმთავრესად განათლებით, უფრო კონკრეტულად, თბილისის გიმნაზიასთან დაკავშირებული საკითხებით.

ვორონცოვის კურსი მთლიანად შეესაბამებოდა იმპერიის კოლონიზატორულ პოლიტიკას. ვორონცოვი ამ პოლიტიკას ახორციელებდა არა უხეშად, არამედ უაღრესად ტაქტიანად, შეპარვით. რუსული წესების დასანერგად საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მანამდე არავის გაუკეთებია იმდენი, რაც განახორციელა ვორონცოვმა. იგი ცდილობდა, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა ქართველი თავადაზნაურობა. მან შესძლო, თავი მოეჩვენებინა ქართველი ხალხის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის დიდ მზრუნველად.

ვორონცოვს გარუსების პოლიტიკის განხორციელებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნდა არა ადმინისტრაციულ, არამედ „კულტურულ ღონისძიებათა“ გატარება. იმპერატორისადმი მოხსენებით ბარათში იგი წერდა: „საქართველოში ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ბევრნი ყოფილან წარჩინებული ოჯახებიდან გამოსული პირნი (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ.), რომელნიც ლიტერატურით არიან დაინტერესებულნი და პროზით და ლექსით ვარჯიშობენ. ამგვარი კულტურული მიმართულება საჭირო იყო წამექეზებინა, რათა საზოგადოებაში გავრცელებულიყო კეთილშობილი მისწრაფება ხელოვნებისადმი“[17].

ერთი ასეთი „ლექსით მოვარჯიშე“, მაშინ გამოჩენილ პოეტად აღიარებული ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ვორონცოვის დროს გაიგზავნა განჯაში მაზ-

რის უფროსის მოადგილედ, სადაც ოთხი თვის შემდეგ ავთვისებიანმა მალარიამ იმსხვერპლა კიდეც. ძნელია იმის მტკიცება, რამდენად იყო ვორონცოვისათვის ცნობილი, რომ „ლექსით მოვარჯიშე“ ბარათაშვილი და განჯის უფროსის მოადგილე ერთი და იგივე პიროვნება იყო, ან უშუალოდ მთავარმართებლად დაახლოებით ერთი წლის წინათ დანიშნულ ვორონცოვს ეხებოდა თუ არა ის, რაზეც პავლე ინგოროყვა წერდა პოეტის განჯაში გამწესებასთან დაკავშირებით: „ხელისუფლებას მხოლოდ სასიამოვნოდ რჩებოდა ნ. ბარათაშვილის ასე ადვილად მოშორება, მისი გაგზავნა ისეთ ადგილას, რომელიც ცნობილი იყო მძიმე შხამიანი ჰავით, რამაც იმსხვერპლა ნ. ბარათაშვილის წინა მოადგილე“[18].

მოაქვს რა ვორონცოვის მოხსენებითი ბარათიდან ზემოთ მოტანილი ადგილი, არჩილ ჯორჯაძე წერს: „და მართლაც ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა ჩვენში თეატრი და პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც პირველ ხანებში იბეჭდებოდა ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში. ვორონცოვის ხანა შეიქმნა კულტურის აღორძინების ხანად“[19].

ვორონცოვმა ძირითადად სწორად შეაფასა ამიერკავკასიაში განათლების სამსახურის მდგომარეობა, რომ იგი არ შეეფერებოდა დროის მოთხოვნებს და გარდაქმნას საჭიროებდა. გარდაქმნის აუცილებლობა სამინისტრომ ჯერ კიდევ ვორონცოვამდე სცნო აუცილებლად, როდესაც 1840 წელს განათლების მინისტრ ს. უვაროვის მითითებით შეიქმნა ამიერკავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც განათლების საკითხების გადასაწყვეტად უშუალოდ განათლების მინისტრს უნდა დაკავშირებოდა. სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვის წინადადებით, გადაწყდა ამიერკავკასიის სასწავლო დაწესებულებათა ახალი დებულების შედგენა, რაც მთავარმართებელმა ნეიდჰარდტმა სამოქალაქო გუბერნატორ სოტნიკოვს დაავალა. როდესაც სოტნიკოვმა დებულების პროექტი წარმოადგინა, საქართველოში უკვე მეფისნაცვალი ვორონცოვი იყო. 1848 წლის 22 აპრილს ვორონცოვი ჩერნიშოვს წერდა, რომ სოტნიკოვის მიერ შედგენილი დებულება უვარგისი და უსარგებლო იყო, არ ითვალისწინებდა ადგილობრივ თავისებურებებს. ამავე დროს, მას არასწორად მიაჩნდა კავკასიის, სტავროპოლის გუბერნიისა და შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ჯარების ტერიტორიებზე არსებული სასწავლებლების ერთ გამგებლობაში არსებობა. მან დააყენა კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო ოლქის შექმნის საკითხი[20].

საკითხი დადებითად გადაწყდა. ვორონცოვმა ამიერკავკასიის სასწავლებლების ახალი დებულების შედგენა დაავალა ახალ სამოქალაქო გუბერნატორ სემიონოვს, რომელსაც ვორონცოვი სასკოლო საქმის კარგ მცოდნედ ახასიათებდა. ჩერნიშოვისადმი წერილში სემიონოვმა პროექტთან ერთად წარადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გადმოცემულია ამიერკავკასიაში სასწავლო დარგის მოკლე ისტორია რუსეთთან საქართველოს შეერთების დღიდან. ამავე

დროს, აღნიშნულია დარგში არსებული ნაკლოვანებანი, რასაც, მისი აზრით (რომელიც სრულად შეესაბამებოდა ვორონცოვის აზრს), აპირობებდა ხელისუფლების მიერ დასახული ღონისძიებების არასრულყოფილი გამოყენება. ვორონცოვი მიუთითებდა, რომ ამ ღონისძიებათა მიზანი იყო „მთავარ სამშობლოსთან ამ მხარის წარმატებული და მტკიცე შერწყმა". რა თქმა უნდა, მთავარ სამშობლოს რუსეთი წარმოადგენდა. ვორონცოვი წერდა: „ამ მხრივ ჩემი წინადადებანი უბრალოა. ზედმეტი არაფერი მსურს. საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად, რომ უნივერსიტეტი ჰქონდეს. აქ მთავარ სასწავლო დაწესებულებათა — გიმნაზიის გარდა სხვა ვარაუდებს რაიმე დიდ უპირატესობათა საფუძველი არა აქვს და შეიცავს ამ მხარისათვის აუცილებელს, რაც შემდეგში მდგომარეობს: 1) ყველგან რუსული ენის სწორი ცოდნის გავრცელება, რაც დღემდე სრულიად მიუღწეველია. ამის გამო აქაურ მცხოვრებელთაგან ძლიერ ცოტას შეუძლია ხელისუფლებისა და პირადი სარგებლობისათვის სამსახური; 2) ყველა რუსი მოხელის მიერ ერთი რომელიმე ადგილობრივი ენის შესწავლა. ეს ამ მხარისათვის უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. იგი არა მარტო ერთმანეთთან დააკავშირებს აქაურ სხვადასხვა წოდების მაცხოვრებლებს, არამედ ჩვენც მოგვცემს საშუალებას კარგი და საიმედო თარჯიმნები გვყავდეს".

კარგი და საიმედო თარჯიმნების მომზადების მისია კი, ვორონცოვის აზრით, თბილისის გიმნაზიას უნდა ეტვირთა.

არჩილ ჯორჯაძეს მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი" გადმოცემული აქვს ვორონცოვის საუბარი ერთ რუს მოხელესთან, რომლის უნებური დამსწრეც დიმიტრი ყიფიანი ყოფილა. მოხელეს ვორონცოვისათვის უთხოვია, რომ საქალებო ინსტიტუტში მოსწავლე მისი ქალიშვილი ქართული ენის გაკვეთილებისაგან გაეთავისუფლებინა. ვორონცოვს უპასუხია: „თუ ჰფიქრობთ, რომ თქვენს ქალს აქ არ მოუხდება ცხოვრება, არამედ შიდა რუსეთში, რატომ არ მიაბარეთ პოლტავის, კიევის ან სხვა ინსტიტუტში, სადაც მოისურვებთო"[21]. როგორც ვხედავთ, ვორონცოვს აუცილებლად მიაჩნდა როგორც რუსული ენის გაძლიერებული სწავლება, ასევე საქართველოში მყოფი რუსი მოხელეებისათვის ქართული ენის ცოდნა და მათი შვილებისათვის ქართულის სწავლება.

ვორონცოვმა მოიწონა სემიონოვის მიერ წარმოდგენილი პროექტი. მისი აზრით, სასწავლო სისტემის გარდაქმნა და განმტკიცება არა მარტო გამოასწორებდა ნაკლოვანებებს, არამედ გამოაცოცხლებდა სასწავლო დარგის ძალებს. ამავე დროს, იგი უსამართლოდ თვლიდა მასწავლებლებისა და დარგის სხვა მოხელეთა დაბალ ხელფასს. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, ხელფასების მოწესრიგება ცხადყოფდა სასწავლო დარგისადმი, ვორონცოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების მშობლიურ მზრუნველობას.

1848 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა დაუშვა სენატისადმი ბრძანებულება კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნისა და ამ ოლქის შტატების შესახებ[22].

სენატმაც არ დააყოვნა და დეკემბერშივე დაამტკიცა „დებულება კავკასიის ოლქისა და მასზე დაქვემდებარებულ სასწავლებელთა შესახებ", კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა ვ. ნ. სემიონოვი. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1852 წლამდე.

დებულებაში გიმნაზიის ამოცანები ასეა ჩამოყალიბებული: 1) კავკასიის მხარეში სახელმწიფო სამსახურისათვის ახალგაზრდების მომზადება; 2) აუცილებელი ცოდნით აღჭურვა იმ მოსწავლეებისა, რომლებიც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას მოისურვებენ და 3) ვინც მაშინ არ დაიწყებდა სამსახურს, მომავალი წოდებისათვის გამოსადეგი ცოდნის მიცემა (გაზ. „კავკაზ", 1849, 8).

ამიერიდან თბილისის ვაჟთა პირველი საგუბერნიო გიმნაზია სათავადაზნაურო გიმნაზიად მოიხსენიებოდა. მისი მისაღები კონტინგენტი ასე განისაზღვრა: 1) თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღებიან მხოლოდ თავადაზნაურთა, ბეგების, მელიქების, აღალარების*, მთისა და მომთაბარე ხალხის მამასახლისის შვილები და როგორც ადგილობრივ, ისე რუს მოხელეთა შვილები, აგრეთვე მართლმადიდებელი და სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მღვდლებისა და დიაკვნების შვილები" (გაზ. „კავკაზ", 1848, 10).

დებულებით, გიმნაზია განისაზღვრებოდა 8 კლასით: პირველი კლასი იყო მოსამზადებელი ანუ სამრევლო, მომდევნო ორი კლასი — სამაზრო და ბოლო ხუთი — საკუთრივ გიმნაზიისა.

გიმნაზიასთან არსებობდა სპეციალური მოსამზადებელი კლასები: 1) უნივერსიტეტში შემსვლელთათვის და 2) სამაზრო სასწავლებლების, გიმნაზიის დაბალი კლასებისა და საშინაო მასწავლებელთა მოსამზადებელი, სადაც მიიღებდნენ მსურველებს გიმნაზიების ყველა კურსდამთავრებულთაგან.

როგორც ვხედავთ, თბილისის გიმნაზიის, სამაზრო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლების თანამიმდევრობისა და ერთიანობის პრინციპი კვლავ აღდგა. მოიხსნა სარწმუნოებრივი და ეროვნული შეზღუდვები. მასწავლებელთა მოსამზადებელი კლასების გახსნით ფართოვდებოდა გიმნაზიის პროფილური სახე, იგი გადაიქცეოდა გიმნაზიის დაბალი კლასების, სამრევლო-სამაზრო სკოლების მასწავლებელთა მომზადების ცენტრად, როგორც ამას ჯერ კიდევ ციციანოვი ვარაუდობდა. სამწუხაროდ, ასეთ ცენტრად გიმნაზია არც ვორონცოვის დროს ქცეულა. მოსამზადებელი კლასები მხოლოდ სტავროპოლის გიმნაზიაში გაიხსნა.

---

* მელიქები (არაბულიდან — მალიქ — მეფე) XIII-XVI საუკუნეების სომხეთსა და აზერბაიჯანში ეწოდებოდათ ადგილობრივი წარმოშობის დიდებულ ფეოდალებს; XIX საუკუნისათვის — მემამულე ფეოდალებს.

აღალარი — მემამულე.

დებულებამ განსაზღვრა შემსვლელთა ასაკიც: პირველ ანუ მოსამზადებელ კლასში შემსვლელთათვის — 8-11 წელი; მეხუთე კლასის ჩათვლით მომდევნო კლასებისათვის 12-15 წელი. სასწავლო გეგმაში შეტანილი იყო შემდეგი საგნები: 1) საღვთო სჯული; 2) რუსული გრამატიკა, რიტორიკა, პიიტიკა და რუსული სიტყვიერების ისტორია; 3) არითმეტიკა, ალგებრა, ლონგომეტრია, პლანიმეტრია, სტერეომეტრია; 4) გეოგრაფია (ზოგადი და რუსეთის); 5) ისტორია (მსოფლიო, რუსეთისა და კავკასიის ხალხებისა); 6) ფიზიკა; 7) კანონმდებლობის ისტორია, სამართალმცოდნეობა და სასამართლო წყობილება; 8) სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო არქიტექტურა (აზნაურთა შვილებისა და სხვა მსურველთათვის), კომერციული არითმეტიკა, ბუღალტერია, კომერციული გეოგრაფია, საქონელმცოდნეობა და კომერციული უფლებანი (სავაჭრო წოდებათა შვილებისა და სხვა მსურველთათვის); 9) ადგილობრივი ენები (ქართული, თათრული, სომხური); 10) ფრანგული ენა და სიტყვიერება; 11) ლათინური ენა; 12) სუფთა წერა; 13) ხატვა-ხაზვა.

ქართული ენა, როგორც საქართველოში უმრავლესობის ენა, გიმნაზიის ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოდ ითვლებოდა, სომხური და თათრული (აზერბაიჯანული) — მხოლოდ მსურველთათვის. უნივერსიტეტში შემსვლელებს უნდა შეესწავლათ ფრანგული და ლათინური ენები; მომავალ ექიმებს — გერმანული და ლათინური, ხოლო მომავალი მასწავლებლები უნდა დაუფლებოდნენ პედაგოგიკასა და დიდაქტიკას.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციფიკური საგნების სწავლება ითვალისწინებდა გიმნაზიის კურსდამთავრებულთა იუსტიციის ორგანოებში, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებში, კანცელარიებში მთარგმნელებად, ბუღალტრებად, მოანგარიშეებად და სხვა პროფესიების მიხედვით სამსახურს.

ამიერკავკასიაში სწავლა თავიდანვე უფასო იყო, მაგრამ 40-იან წლებში, სწავლის მსურველთა რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო, მთავრობა აღარ იყო დაინტერესებული მოსწავლეთა რაოდენობის მომატებით, ამიტომ შემოღებული იქნა სწავლის ქირა. რაც შეეხება წამახალისებელ „ჯამაგირს“ (სტიპენდიას), ჯერ კიდევ 30-იანი წლებისათვის იგი მოიხსნა. 1845 წელს განათლების მინისტრ ს. უვაროვის მოხსენებით ბარათს სწავლის ქირის გადიდებასთან დაკავშირებით, იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა წააწერა: „მოიფიქრეთ, არის თუ არა საშუალება გიმნაზიაში რაზნოჩინელთა შესვლის გასაძნელებლად“[23].

რაზნოჩინელებში ანუ სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებში მდაბიონი, უაზნონი იგულისხმებოდნენ. განათლების მინისტრისადმი 1827 წლის იმპერატორის ბრძანებით, კიდევ უფრო გამკაცრდა გიმნაზიაში მიღება. შინაყმების, საბატონო გლეხების, მზარეულების, შინამოსამსახურეებისა და ამ კატეგორიის სხვათა შვილებისათვის დაიხშო უმაღლესი სასწავლებლების, გიმნაზიების,

მათთან გათანაბრებული სასწავლებლების, თვით სამაზრო სკოლების კარები. სწავლის მსურველთა სწრაფვის შესანელებლად 1845 წელს შემოღებული სწავლის ქირა ყოველწლიურად მატულობდა.

ვორონცოვის გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიაში სწავლის ქირას იხდიდნენ მხოლოდ გიმნაზიის თავისუფალი მსმენელები. ისინიც სიღარიბის მოწმობის წარდგენისას თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან. ვორონცოვის გადადგომის შემდეგ ეს შეღავათიც მოისპო. ვორონცოვი კი 1854 წელს, 72 წლის ასაკში გადადგა, ხოლო 1856 წელს გარდაიცვალა.

1857 წლიდან სწავლისათვის გადასახადი ყველას დაეკისრა და იგი 3 რუბლიდან ხუთამდე გაიზარდა. შემდგომ წლებში სწავლის გადასახადი თანდათან მატულობდა. 1867 წლიდან I-IV კლასებში გადასახადი 15 რუბლი გახდა, ხოლო დანარჩენ კლასებში — 20 რუბლი. თბილისის გიმნაზიის პანსიონში მოწაფეთა შესანახი გადასახადი 200 ვერცხლის რუბლი გახდა. ქუთაისისა და სტავროპოლის გიმნაზიის პანსიონებში კი — 160 რუბლი[24].

ვორონცოვის დროს თავადაზნაურთა შვილებისათვის, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტი უფლებები დაიშვა უნივერსიტეტებში და კადეტთა კორპუსებში გასაგზავნად, მაგრამ უსახსრობის გამო ამ უფლებებით მაინც ცოტა სარგებლობდა, არადა, ვორონცოვს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ამ გაგზავნის მთავარი მიზანი, რაც მთავარმართებელმა პასკევიჩმა ასე ჩამოაყალიბა: „ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა იგზავნებოდეს რუსეთში, რათა შეიცვალოს თავისი ნაციონალური მიმართულება".

ვითარების გასაუმჯობესებლად ვორონცოვის დროს გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, 1848 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული ის დონე, რითაც თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულნი დააკმაყოფილებდნენ საუნივერსიტეტო მოთხოვნებს. 1847 წელს მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველი წერდა ვორონცოვს კავკასიიდან მოსკოვში გაგზავნილთა არასაკმარის მომზადებაზე, ხოლო განათლების მინისტრი ს. უვაროვი აღნიშნავდა: „თბილისის გიმნაზია შორს არის იმისაგან, რომ მის მოსწავლეებს უნივერსიტეტში შეეძლოთ პირდაპირ მოწყობაო". ამიტომ 1847 წლის 17 ნოემბრის ბრძანებით იმპერატორმა კავკასიიდან გაგზავნილ სტუდენტებს, სახელმწიფო ხარჯზე მყოფებს ნება დართო, უნივერსიტეტში დარჩენილიყვნენ დამატებით მეხუთე წელი[25].

ვორონცოვმა მასწავლებლებისა და სასწავლებლების დანარჩენი მოხელეებისათვის ხელფასების საკითხის გადაწყვეტისათვის იზრუნა.

შეიძლება დიდად არა, მაგრამ ამ მხრივ, ზოგიერთი ძვრა გაუმჯობესებისაკენ მაინც იგრძნობოდა. შეიძლება, ხელფასები ადრინდელთან შედარებით დიდი არ იყო, მაგრამ სასწავლებლების მუშაკებს მომავლის იმედით აღავსებდა. წინა პერიოდების მაჩვენებლებთან შედარებით, აშკარაა მასშტაბურობა 1848 წლის „დებულებისა კავკასიის ოლქისა და მასზე დაქვემდებარებული სასწავლებლების შესა-

ხებ", რომელიც დამტკიცებული იყო 3 წლის ვადით. 1851 წელს დებულება საფუძვლიანად გადაისინჯა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებდა იგი მხარის სასწავლო დაწესებულებების, პირველ რიგში, თბილისის გიმნაზიის მოთხოვნებს და იმ მიზანს, რასაც სახავდა ხელისუფლება მის წინაშე და რისთვისაც იგი იღებდა მნიშვნელოვან ხარჯებს. მთავარი პირობა გაწეული ხარჯებისა ის იყო, რომ გიმნაზიას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა სახელმწიფოსათვის, აღეზარდა ქვეყნისა და ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომები და მსახურები. მაგრამ ამ მიზნის მიღწევისათვის გაშლილი საქმიანობის დროს, ამიერკავკასიის განათლების სისტემაში 1839 წელს გახმაურებული გასენ-მილერის ამბიდან 13 წლის შემდეგ, გამოვლინდა, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველმა სემიონოვმა გაფლანგა ოლქში შემავალი სასწავლებლებისა და თვით ოლქის დირექციების 20 ათასი რუბლი, რა თქმა უნდა, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ოლქის სასწავლებლების, კერძოდ, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ფინანსურ მდგომარეობაზე. სემიონოვი მოიხსნა თანამდებობიდან და 1852 წლის თებერვალში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი. იმავე წელს ქართველმა თავადაზნაურებმა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, ხოლო გიმნაზიის მოსწავლეთა ზედამხედველად დაინიშნა ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე.

სასწავლო დარგში ამ ცვლილებებს სასიკეთო გავლენა უნდა მოეხდინა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაზე. დიმიტრი ყიფიანის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ ამჯერად მასზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ უნდა იყოს. ივანე კერესელიძეც ცნობილი იყო, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მწერალი. ამ ორი პატრიოტის დაკავშირება გიმნაზიასთან, უეჭველად, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასევე დადებითი როლის შესრულება შეეძლო ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის, როგორც ხელმძღვანელის მოსვლას სასწავლო-აღმზრდელობით და საგანმანათლებლო დარგში. თავად დიდად განათლებული პიროვნება, განათლების დარგის ერთ-ერთ კარგ სპეციალისტად ითვლებოდა. შემთხვევით არ დაინიშნა იგი 1881-1882 წლებში იმპერიის სახალხო განათლების მინისტრად. ბარონი ნიკოლაი დაახლოებული იყო ქართველ ინტელიგენციასთან. იმ წელს, როდესაც სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა, მან იქორწინა ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროს ქალიშვილ სოფიოზე, რომელიც ცარსკოე სელოს ლიცეუმში იყო აღზრდილი. ცნობილი ქართველი პოეტის ოჯახთან ურთიერთობას ნიკოლაი კარგად იყენებდა ქართველი საზოგადოების გულის მოსაგებად.

განათლების საკითხებზე მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: «О назначении в гимназии и системе народного образования и об учебном их курсе», რომე-

ლიც შესულია 1870 წელს გამოცემულ მის თხზულებათა კრებულში. ნიკოლაი, ვორონცოვის მსგავსად, ცდილობდა თავი მოეჩვენებინა ქართულ კულტურაზე მზრუნველად. ნიკოლაის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე ყოფილმა მზრუნველმა სემიონოვმა, ვორონცოვის ინიციატივით, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ დავით ჩუბინაშვილს დაავალა ქართული გრამატიკის, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენა. ჩუბინაშვილს დავალების შესრულებისას უნდა გაეთვალისწინებინა ქართული ენისა და გრამატიკის თავისებურებანი, რასაც არ იცავდნენ მანამდე შედგენილი ქართული სახელმძღვანელოების ავტორები[26]. დ. ჩუბინაშვილს დავალება შეუსრულებია და რადგან იმ დროს სასწავლო ოლქის მზრუნველი უკვე ნიკოლაი იყო, მისთვის წარუდგენია „რუსულ-ქართული ლექსიკონი" და სახელმძღვანელო „ქართული ქრესტომათია, ანუ გამოკრებულნი ადგილები ქართველთა წერილთაგან შედგენილი დავით ჩუბინოვის მიერ". ნიკოლაიმ 1854 წელს აღნიშნული წიგნები სარეცენზიოდ გადასცა დიმიტრი ყიფიანს. ამ უკანასკნელმა დადებითად შეაფასა ჩუბინაშვილის წიგნები და მიზანშეწონილად სცნო მათი გამოყენება გიმნაზიაში ადგილობრივი მმართველობის მომავალი მოხელეების მოსამზადებლად.

ახალ ეკონომიკურ-სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარება მოითხოვდა სახალხო განათლების დარგში სათანადო ღონისძიებების გატარებას. 1848 და 1851 წლების ღონისძიებანი, რომლებიც თავის დროზე ცდის სახით რამდენიმე წლით მიიღეს, არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ისეთი დებულების შექმნა, რომელიც უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის იქნებოდა გათვალისწინებული. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ბარონ ნიკოლაის მიერ შემუშავებული 1853 წლის 29 ოქტომბრის დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მასზე დაქვემდებარებული სასწავლებლების შესახებ. იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგები ამ დებულებას მიიჩნევდნენ იმ მუდმივმოქმედ კანონად, რომლის ძირითადი პრინციპები ხანგრძლივი დროის მანძილზე, სულ მცირე 14 წელი მაინც, რაიმე ცვლილებას არ განიცდიდა და ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის შერწყმას რუსეთთან. ამისათვის საჭირო იყო კავკასიის ოლქის სასწავლებელთა ისეთი მოწყობა, რომლითაც კავკასიაში დაინერგებოდა იმპერიისათვის სასურველი განათლების სისტემა. ეს იყო იმპერატორის უმაღლესი ნების გამოხატულება, რომელიც ასე იყო ჩამოყალიბებული: „კავკასიის ოლქის სასწავლო დაწესებულებათა მოწყობა დაუახლოვდეს იმ წყობას, რაც შემოღებულია შიგა გუბერნიების მსგავს დაწესებულებებში. ამრიგად, ამიერკავკასიაში და კავკასიაში თანდათანობით დაინერგოს სახალხო განათლების ისეთივე სისტემა, როგორიც არსებობს სახელმწიფოს დანარჩენ მხარეებში"[27].

ლ. მოძალევსკი 70-იან წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი იყო. მისი ნარკვევი თავისთავად პირველწყაროდ შეიძლება ჩაითვალოს, ისევე როგორც თბილისის პირველი გიმნაზიის ყოველწლიური ანგარიშები. ერთ-ერთ ასეთ

ანგარიშში, ლაპარაკია რა 1853 წ. 29 ოქტომბრის დებულებაზე, აღნიშნულია, რომ „ბარონ ა.პ. ნიკოლაის მზრუნველობის დროს თბილისის და საერთოდ კავკასიის ყველა გიმნაზიის ცხოვრებაში შეტანილია ნაყოფიერი საწყისები". იქვე ახსნილია ამ საწყისების არსი — იმპერატორის ნება. 1886 წლის ახსნა-განმარტებით ბარათში ბარონი ნიკოლაი გიმნაზიის ამოცანების შესახებ წერდა: „ეჭვს არ იწვევს, რომ მხოლოდ რუსულ სკოლებში მოზარდი თაობების აღზრდით შეერწყმება კავკასია რუსეთს, რომ ვერავითარი დაპყრობანი, ვერავითარი ადმინისტრაციული წყობა ვერ მიუერთებს რუსეთს ამ მხარეს, ვიდრე არ გაიზრდება თაობა, რომელიც პატარაობიდანვე მიეჩვევა რუსულად ლაპარაკსა და ფიქრს". აქედან გამომდინარეობს ბარონის მთელი პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი პრინციპი: „გარდაიქმნან ადგილობრივი ეროვნებანი რუსული სკოლის მერხებზე"[28].

როგორც ისტორიკოსი ქეთევან წერეთელი აღნიშნავს: „ა.პ. ნიკოლაის რეაქციული შეხედულებები, მისი ყოველგვარი საქმიანობა საქართველოში ეხმაურებოდა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის პოლიტიკას, ქართული კულტურისადმი, განათლებისადმი „განსაკუთრებული მზრუნველობით" რომ ხასიათდებოდა, რითაც იგი ფიქრობდა ქართველი ხალხის მოსყიდვას და მის ასიმილაციას"[29].

მ. ვორონცოვსაც და ბარონ ნიკოლაისაც კარგად ესმოდათ, რომ ქართველი ხალხის გადაგვარება, ე.ი. გარუსება, ერთი ხელისდაკვრით შეუძლებელი იყო. ასეთი გადაგვარება თანდათან უნდა მომხდარიყო და ამის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად განათლების დარგი მიაჩნდათ. გარუსების პოლიტიკა უნდა გატარებულიყო არა უხეშად, ძალდატანებით, არამედ უაღრესად ტაქტიანად, ფაქიზად, შეპარვით. ასეთი პოლიტიკით უნდა წარმართულიყო სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობაც, რომლის პრაქტიკიდან უნდა გამორიცხულიყო მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა. ნიკოლაი აღიარებდა მოსწავლეებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, არ უნდა შელახულიყო მოსწავლეთა თავმოყვარეობა. მისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო ე. მანასეინის უკომპრომისო ბრძოლა იმპერიაში ფეხმოკიდებულ „პედაგოგიურ სიბრძნესთან", მაგრამ ამ სიმახინჯის აღმოსაფხვრელად მისი ხანმოკლე დირექტორობა საკმარისი არ აღმოჩნდა. გრუბერის პროექტის გატარებისას ზოგიერთი დადებითი ძვრა შეინიშნებოდა, მაგრამ მას შემდეგ იყო გასენ-მილერისა და სემიონოვის სამარცხვინო ქმედებანი, ხოლო შემდეგ — გიმნაზიის დირექტორების სწრაფი ცვლილებანი. 1839 წლიდან 1853 წლამდე სახელდება 7 დირექტორი (აქედან ორი სხვადასხვა წლებში ორჯერ დირექტორობდა). გამოდის, რომ 14 წლის მანძილზე საშუალოდ ორ წელზე მეტ ხანს არც ერთი არ ყოფილა დირექტორად, ზოგიერთი ერთ წელსაც კი. შეიძლება ამ საერთო რიცხვში არ შევიყვანოთ კარლ ლეონტის ძე ჩერმაკი, რომელიც ყველაზე მეტ ხანს ყოფილა დირექტორად. სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებსა თუ დოკუმენტებში მისი დირექტორობის სხვადასხვა თარიღია აღნიშნული. ყველა მათგანს მისი დირექტორად დანიშვნის ერთი თა-

რიღი, 1849 წელი აქვს მითითებული. განსხვავებაა დირექტორობის ბოლო წლებში. ზოგიერთი ავტორი არ უთითებს დირექტორობის ბოლო წელს, ზოგან ეს წელი 1860 წელია. დიმიტრი ყიფიანის მემუარებში მითითებულია, რომ, როდესაც იგი გადადგა გიმნაზიის საპატიო მზრუნველის თანამდებობიდან, გიმნაზიის დირექტორი იყო კარლ ჩერმაკი[30]. ყიფიანი კი მზრუნველად მუშაობდა 1852-1864 წლებში, ე.ი. ჩერმაკი 1864 წელს ყოფილა დირექტორად. ასე თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ 1853 წლიდან, ე.ი. ნიკოლაის მიერ მიღებული დებულების შემდეგ, გიმნაზიის დირექტორების ხშირ ცვლილებებს ადგილი აღარ აქვს. ამ მხრივ სტაბილური მდგომარეობაა. ეს სტაბილურობა შემდეგაც შეიმჩნევა. თუ ჩერმაკის დირექტორობის ბოლო წლად 1864 წელს ვაღიარებთ, მის შემდეგ ათი წლის მანძილზე შეიცვალა ორი დირექტორი — ილიაშენკო და ჟელიხოვსკი, ხოლო 1874-1902 წლებში დირექტორად გვევლინება ლევ მარკოვი.

შეიძლება, ეს სტაბილურობა იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა, რომ ზოგიერთი იმდროინდელი ავტორი თუ მოხელე 1853 წლის 29 ოქტომბრის დებულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც ადგილობრივი სასწავლებლების რუსეთის სასწავლებლებთან დამაახლოებელ დოკუმენტს. მათი აზრით, ამ დებულების წყალობით კავკასიაში ახალგაზრდობის განათლების სისტემას შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე არ დასჭირდებოდა რაიმე არსებითი გარდაქმნა. და ამას მიიჩნევდნენ „ვორონცოვის ეპოქის“ დიდ დამსახურებად[31]. „ვორონცოვის ეპოქა“ კი 1854 წელს დამთავრდა.

2. გიმნაზიაში ქართული ენის სწავლების შესანარჩუნებლად...

კავკასიის სასწავლო ოლქისა და მასზე დაქვემდებარებულ სასწავლებელთა შესახებ 1853 წლის 29 ოქტომბრის დებულება არ აღმოჩნდა ისეთი მუდმივმოქმედი კანონი, რომელსაც, მის შემდგენელთა ვარაუდით, სულ მცირე 14 წელი მაინც უნდა ემოქმედა. იგი 1860 წლის 1 ივლისს შეცვალა ახალ მეფისნაცვალ ა.ი. ბარიატინსკის მიერ შემუშავებულმა და უზენაესად დამტკიცებულმა სასწავლო ოლქის დებულებამ, რომელმაც გააუქმა თვით კავკასიის სასწავლო ოლქი. მისი მზრუნველი ბარონი ა.პ. ნიკოლაი სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი ქონების მართვის დეპარტამენტის დირექტორად გადაიყვანეს. ნიკოლაიმ ამ თანამდებობაზე 1861 წლის გაზაფხულამდე, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველად დანიშვნამდე იმუშავა.

კავკასიის სასწავლებლების მართვის შესახებ ცდის სახით 1863 წლამდე გათვალისწინებული, 1861 წელს შემუშავებული დებულებით, ადგილებზე სას-

წავლო საქმის მეურვეობა დაეკისრათ გუბერნატორებსა და ოლქების უფროსებს, რომლებსაც უნდა ეხელმძღვანელათ 1853 წლის დებულებით[32].

ამრიგად, მოხდა სასწავლო დარგის დეცენტრალიზაცია, ფორმალურად, კავკასიის მასშტაბით დარგის ხელმძღვანელად მეფისნაცვალი ითვლებოდა. სასწავლებლის დირექტორები გუბერნატორებისა და ოლქების უფროსების თანაშემწედ ითვლებოდნენ სასწავლო დარგში. მათ მთავარი საკითხები უნდა შეეთანხმებინათ სამოქალაქო გუბერნატორებთან და ოლქების უფროსებთან, ამ უკანასკნელებს — სამხედრო-გუბერნატორთან, მას კი — მეფისნაცვალთან. სასწავლებლის გარდაქმნასთან და სწავლების მართვასთან დაკავშირებული საკითხები უნდა განხილულიყო მეფისნაცვლის საბჭოში. ამრიგად, საკითხის გადაწყვეტამდე გასავლელი იყო მთელი რიგი ბიუროკრატიული საფეხურებისა.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაექვემდებარა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს და ეწოდა საგუბერნიო გიმნაზია. 1861 წლის დებულება შეეხო ადგილობრივი ენის სწავლებასაც. 1853 წლის დებულებით, დაბალ კლასებში ქართული და თათრული ენები სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის. შერჩევა, თუ რომელ ენას შეისწავლიდა მოსწავლე, ხდებოდა მაღალ კლასებში. ახალი დებულებით კი მოსწავლეებს დაბალ კლასებშივე უნდა აერჩიათ შესასწავლი ენა[33]. ისედაც შეზღუდული ადგილობრივი ენები კიდევ უფრო შეიზღუდა.

ამრიგად, აღარ არსებობდა სასწავლო დარგის ცენტრალიზებული მაკოორდინებელი ხელმძღვანელობა. მეფისნაცვლის სამმართველოს მაგიდის უფროსს განათლების საკითხებზე მხოლოდ მიმოწერის წარმოება ევალებოდა. ბარიატინსკის აზრით, სასწავლო დარგის ხელმძღვანელობის ადგილობრივ მმართველთა კომპეტენციაში გადასვლით ისინი უკეთ გაერკვეოდნენ მათდამი დაქვემდებარებული მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და საჭიროებაში. ამასთან, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ხარჯები ამჯერად უშუალოდ განათლების საჭიროებას მოხმარდებოდა, მაგალითად, არსებული სასწავლებლის გაფართოებას ან ახლის მშენებლობას.

სინამდვილეში, სასწავლო დარგის ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციამ, დადებითის ნაცვლად, უარყოფითი შედეგები გამოიღო. ხშირ შემთხვევაში გუბერნტორებსა და ოლქების ხელმძღვანელებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ დარგზე. თავისი უმეცრების შესანიღბად, ისინი უხეშად ერეოდნენ სასწავლო დარგის საქმეებში, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. უფრო მეტიც, ისინი დაქვემდებარებული სასწავლებლებისათვის სასწავლო პროგრამების შედგენასაც კი კისრულობდნენ და სასწავლებლის დირექტორებს ავალდებულებდნენ მისით ხელმძღვანელობას. თავისი ძირითადი საქმით გადატვირთული გუბერნატორები და ოლქების უფროსები ვერ იცლიდნენ სასწავლებლისათვის და, ფაქტობრივად, მთელი საქმიანობა მინდობილი ჰქონდათ დირექტორებს. ეს უკანასკნელნი კი საკუთარი შეხედულებით ცვლიდნენ უკვე შედგენილ გეგმებ-

სა და პროგრამებს, ადგენდნენ ახლებს. ამიტომ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არამცთუ სხვადასხვა გუბერნიის სასწავლებლების, არამედ ერთი და იმავე გუბერნიის სასწავლებლების გეგმებიცა და პროგრამებიც კი. ყოველივე ეს აძნელებდა ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლას. ასე, მაგალითად, გართულდა სამაზრო სკოლის კურსდამთავრებულის გიმნაზიაში შესვლა, რადგან სამაზრო სკოლის გეგმებითა და პროგრამებით ნასწავლი ვერ აკმაყოფილებდა საგიმნაზიო მოთხოვნებს, განსხვავება იყო თვით გიმნაზიებს შორისაც. მაგალითად, გაძნელდა ქუთაისის გიმნაზიიდან თბილისის გიმნაზიაში გადასვლა და პირიქით, მათი პროგრამებისა და გეგმების განსხვავებულობის გამო. ამ ნიადაგზე წარმოშობილი გაუგებრობა იწვევდა სერიოზულ კონფლიქტებს ყველა დონეზე — როგორც გუბერნატორებს შორის, ასევე გუბერნატორებსა და სასწავლებლების დირექტორებს, აგრეთვე თვით დირექტორებს შორის. შექმნილი ვითარება უარყოფითად მოქმედებდა სასწავლებლებში სწავლების დონეზე. განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა თბილისის გიმნაზიაში. გუბერნატორის ადმინისტრაცია გიმნაზიის ხელმძღვანელობას აიძულებდა, მასწავლებლად მიეწვია პიროვნებები, რომელთაც არც საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდათ და ვერც იმ საგანში ერკვეოდნენ, რომელიც უნდა ესწავლებინათ. ბუნებრივია, რომ ასეთი მასწავლებელი თავის მოვალეობას ფორმალურად, დაუდევრად ეკიდებოდა, უპატიოსნობით, ანგარებით გამოირჩეოდა. უფროსების მხრივ დაკისრებული მოვალეობისადმი ასეთი დამოკიდებულება არასასურველ გავლენას ახდენდა მოსწავლეებზეც. გიმნაზიაში არნახულად დაეცა სასკოლო დისციპლინა, მოსწავლეთა ზნეობა, ყოველდღიურ ამბად იქცა ჩხუბი, არა მარტო მოსწავლეების, არამედ მომსახურე პერსონალის, არცთუ იშვიათად დამრიგებელის მონაწილეობითაც კი. ქუჩებში, თეატრსა თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილებში გიმნაზიის მოსწავლეები აღმაშფოთებელი თავხედობით, აურზაურის ატეხით გამოირჩეოდნენ. გიმნაზია მატერიალურადაც ზარალდებოდა. იმტვრეოდა სასკოლო ინვენტარი, განადგურდა ბიბლიოთეკა, სრული უწესრიგობა იყო პანსიონატშიც. საშინელ მდგომარეობაში იყო საწოლი ოთახები. მოსწავლეებს არ ჰქონდათ წესიერი და საკმარისი ტანსაცმელი. უვარგისი იყო კვებაც.

გასაგებია, რომ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელი იყო განათლების დარგში სერიოზული რეფორმების გატარება, ამას ხელისუფლებაც კარგად გრძნობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომლებმაც სწავლა-განათლების პრობლემები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად მიიჩნიეს. ბარიატინსკის მიერ შემუშავებული რეფორმის შედეგად შექმნილი განათლების სისტემა ერისათვის სამსახურის მისიას ვერ იკისრებდა. ეს რეფორმა

ცდის სახით მხოლოდ კავკასიაში ტარდებოდა. მას იმპერიაში ანალოგი არ გააჩნდა. იგი შეუთავსებელი აღმოჩნდა თვით იმპერიისთვისაც.

1862 წლის 6 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულმა იმპერატორის ძმამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა, სხვა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ, 1863 წლიდან სახალხო განათლებასაც მიხედა. ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ თვით იმპერიის მასშტაბით ხორციელდებოდა ისეთი სოციალური გარდაქმნები, როგორიც იყო რუსეთში 1861 წელს ბატონყმობის გაუქმება. მისი განხორციელებისთვის მოძრაობა საქართველოშიც გაიშალა და მის სათავეშიც სამოციანელები აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში განათლების სისტემის იმ სახით დატოვება, როგორიც შეიქმნა ბარიატინსკის დროს, წარმოუდგენელი იყო. სამოციანელთა მიერ ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევამ, ქართული ენის გარშემო გაშლილმა დისკუსიამ საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება და გააქტიურება გამოიწვია. აშკარა იყო, რომ საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა ვერ შეეგუებოდა განათლების სფეროში შექმნილ არასახარბიელო ვითარებას. თუ როგორ უდგებოდნენ ამ საკითხს ქართველი სამოციანელები, ამაზე, გარკვეულწილად, წარმოდგენას შეგვიქმნის განათლების პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზებზე ილიას მოსაზრებანი. სახალხო განათლების პრობლემებისადმი ქართველი საზოგადოებრიობის ასეთი ყურადღება იყო ერთ-ერთი პირობათაგანი ამ დარგში ხელისუფლების მიერ ღონისძიებების გატარებისა.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიხეილ რომანოვმა, ძირითადად, სწორად განსაზღვრა გასატარებელი ღონისძიებანი: სასწავლო ნაწილის ცენტრალიზებული მმართველობის აღდგენა; ფულადი სახსრების გადიდების წყალობით სასწავლებელთა რიცხვის გაზრდა; საზოგადოებებისა და წოდებათა მოზიდვა სასწავლებლების გამრავლებისა და გაუმჯობესებისათვის; სასწავლებლების ძველი დირექციებისა და ინსპექციების გარდაქმნა და ახლის დაარსება; მასწავლებელთა სპეციალური მომზადება იმ მოსახლეობიდან, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს სასწავლებლები; დროებითი პედაგოგიური კურსებისა და ყრილობების მოწყობა; განათლების დარგში კერძო მოღვაწეობის წახალისება; ახალი საშუალო სასწავლებლების გახსნა რეალური ან კლასიკური კურსებით. ღონისძიებები, ამავე დროს, ითვალისწინებდა ქალთა საშუალო და დაწყებითი სასწავლებლების მოწყობას.

აღნიშნული ღონისძიებანი ბარიატინსკის დროინდელთან შედარებით, რა თქმა უნდა, პროგრესული ხასიათისა იყო. მას უნდა გამოესწორებინა ის სერიოზული შეცდომები და დამახინჯებანი, რაც ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემას უკიდურესი დაქვეითებისათვის სწირავდა, მაგრამ მიხეილ რომანოვის დროინდელი რეფორმებიც, ისევე როგორც ხელისუფლების მიერ გატარებული ყვე-

ლა ღონისძიება კოლონიურ ქვეყნებში, ერთ საერთო რუსიფიკატორულ მიზანს ემსახურებოდა, რაც კიდეც ითქვა მიხეილ რომანოვის ღონისძიებებთან დაკავშირებით: „კავკასიაში განათლების მთელი სისტემის დაახლოება სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სისტემასთან"[34]. ეს დაახლოება უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მთავარი პირობა ძირითადი მოსახლეობის რუს ხალხთან შერწყმისა. შერწყმა კი, როგორც ბარონი ნიკოლაი აღნიშნავდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნებების გარდაქმნით, მოზარდი თაობის რუსული სულისკვეთებით აღზრდით. ამიტომ სკოლა უნდა გამხდარიყო წმინდა რუსული, რაც მიიღწეოდა სკოლიდან მშობლიური ენის სრული განდევნით. ეს კი თანდათანობით უნდა გაკეთებულიყო.

აღნიშნულ გარდაქმნათა გზაზე პირველი ნაბიჯი იყო სასკოლო დარგის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის აღდგენა და მის სათავეში ისეთი პიროვნების დაყენება, როგორიც იყო ბარონი ნიკოლაი. იგი იმ დროს განათლების მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) იყო. დაკმაყოფილებულ იქნა მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სურვილი და ნიკოლაი დაინიშნა მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად, რომელსაც დაექვემდებარა კავკასიის ყველა სასწავლებელი, სასულიეროს გარდა. გასაგები გახდება ბარონ ნიკოლაიზე არჩევანის შეჩერება, თუ გავიხსენებთ მისი პედაგოგიური მოძღვრების პრინციპს: ადგილობრივი ეროვნებანი რუსული სკოლის მერხებზე უნდა გარდაქმნილიყვნენ.

მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს სასწავლო საქმის მეთვალყურეობა დაევალა. მას უნდა უზრუნველეყო კავშირი იმპერიის სასწავლო ნაწილსა და მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან.

სასწავლო ოლქის აღსადგენად საჭირო იყო სახსრები. ბარიატინსკის დროს გაუქმებული სასწავლო ოლქის სახსრები გადანაწილდა გუბერნიებსა და ოლქებზე, მაგრამ ეს სახსრები გადანაწილებით იმდენად დაქუცმაცდა, რომ აღარავითარი ღირებულება არ ჰქონდა და უსარგებლოდ განიავდა. უსახსრობის გამო, სასწავლო ოლქის მაშინვე აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ, 1864 წლის მაისში მიღებული კავკასიის სასწავლებელთა მართვის დებულების საფუძველზე, შეიქმნა კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექცია, რომლის უფროსად დამტკიცდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი იანუარ ნეველროვი[35].

კავკასიის სასწავლო ოლქი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, რაც დააკანონა 1867 წლის 25 ივნისს დამტკიცებულმა „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულებამ". ამ დებულების ავტორი გახლდათ ნეველროვი, რომელიც კიდევაც დამტკიცდა ახლად შექმნილი სასწავლო ოლქის მზრუნველად.

1864 წელს მთელი იმპერიის მასშტაბით დამტკიცდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 19 ივლისს — „დებულება სახალხო მასწავლებლის შესახებ" და 19 ნოემბერს — „გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება". ამ დოკუმენტებით

პირველად შემუშავდა სახალხო განათლების ერთიანი მიმართულებანი, რომლითაც უქმდებოდა ნოდებრივი პრივილეგიები, შემოღებულ იქნა რეალური სწავლება, გაფართოვდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, ერთხელ კიდევ აიკრძალა ფიზიკური დასჯა და ა. შ.[36].

წესდებით განისაზღვრა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ორი ტიპი: კლასიკური და რეალური. თბილისის გიმნაზია მიეკუთვნა პირველს და ეწოდა კლასიკური გიმნაზია. უშუალოდ გიმნაზიაში სწავლება განისაზღვრა შვიდწლიანი კურსით. სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა შემდეგი საგნების სწავლებას: გერმანული და ფრანგული ენები, მათემატიკა, ფიზიკა, კოსმოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, სუფთა წერა, ხატვა და ხაზვა. იქ, სადაც არ ეყოლებოდათ ორივე კლასიკური ენის (ლათინურისა და ბერძნულის) მასწავლებელი, ნებადართული იყო ერთი ენის სწავლება. მაგალითად, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში თავდაპირველად ისწავლებოდა ლათინური ენა. ბერძნული ენის სწავლება მხოლოდ 1873 წელს შემოვიდა.

ნეველროვი ადრე სტავროპოლის გიმნაზიის დირექტორი იყო და იქაური საქმეების გადაბარების შემდეგ, 1865 წლის დასაწყისში ჩამოვიდა თბილისში. ახალ თანამდებობაზე საქმიანობა დაიწყო თბილისის გიმნაზიაში ვითარების შესწავლით. მეფისნაცვლისადმი წარდგენილ ანგარიშში ნეველროვი აღნიშნავდა, 50-იანი წლების დასასრულიდან მოსწავლეთა ზრდა განსაკუთრებით შეიმჩნევაო, ზოგიერთ კლასში მოსწავლეთა სიჭარბის გამო მეცადინეობა ნორმალურად ვერ ტარდებაო. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მოსწავლეთა მიერ რუსული და ლათინური ენების არადამაკმაყოფილებელი ცოდნის გამო, აგრეთვე აღნიშნავდა მასწავლებელთა ცოდნის დაბალ დონესა და სწავლების არასწორ მეთოდებს. ნეველროვი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სასწავლო გეგმიდან სამართალმცოდნეობის, სოფლის მეურნეობისა და ქიმიის ამოღებას, რასაც ახალი ტიპის გიმნაზიისათვის შეუფერებლად თვლიდა. მას ზედმეტად მიაჩნდა საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლება. ნეველროვის წინადადებით, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური და თათრული) თბილისის გიმნაზიაში დაშვებული კი უნდა ყოფილიყო, ოღონდ უნდა ესწავლებინათ მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც იგი მშობლიური იყო. სამაგიეროდ, უნდა გაზრდილიყო რუსული ენის საათები. ქართული ენის სწავლება სერიოზულად მცირდებოდა. იგი აღარ იქნებოდა ყველასათვის სავალდებულო. ქართული ენა განიხილებოდა როგორც რუსული ენის შესწავლის ხელშემწყობი ენა. ქართული ენის გრამატიკა უმეტესწილად ისწავლებოდა რუსულიდან ქართულზე მთარგმნელთა მოსამზადებლად. წარმოიშვა იმის საშიშროება, რომ ქართული ენის სწავლების შეზღუდვით უკმაყოფილო მშობლები შვილებს გიმნაზიიდან გაიყვანდნენ და დედაენის შესასწავლად კერძო მასწავლებლებს მიაბარებდნენ[37]. ამასთან დაკავშირებით, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი ორ-

ლოვსკი საჭიროდ მიიჩნევდა მშობლიური ენის სწავლებას „ტუზემცებისათვის", მაგრამ არა რუსებისა და სხვა ეროვნების ბავშვებისათვის. ორლოვსკი აღნიშნავდა სწავლა-განათლებისაკენ ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებულ სწრაფვას. იგი წერდა: „არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განათლებისაკენ სწრაფვა ერთი რომელიმე წოდების პერიოდული აღტკინებაა. ამიერკავკასია, განსაკუთრებით თბილისი, სამოქალაქო განვითარებით არ ჩამორჩება შიდა რუსეთს. უკანასკნელ ხუთწლეულში განსაკუთრებით გამოიღვიძეს ხალხის გონებრივმა ძალებმა"[38]. ორლოვსკის, ასევე ზოგიერთ სხვა მოხელეს, დაუშვებლად მიაჩნდა ადგილობრივი ენების იმ დონეზე სწავლება, როგორიც იყო იმ დროს, რადგან ეს საზიანო იქნებოდა რუსული ენისათვის, ხელს შეუშლიდა „ტუზემცების" რუს ხალხთან შერწყმას. ორლოვსკის მიხედვით, მშობლიური ენის სწავლების არამცთუ გაუმჯობესება, არამედ მისი არსებულ დონეზე დატოვებაც კი „ინოროდცებს" რწმენას განუმტკიცებდა, რომ სახელმწიფო ენის, ე. ი. რუსულის, გვერდის ავლით, მხოლოდ მშობლიური ენით შეეძლებოდათ ოღლად არსებობა. ამიტომაც არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მოსახლეობაც კი არ ლაპარაკობდა რუსულად[39].

ადგილობრივი ენების შემცირებული საათები დაკანონდა ნეველროვის მიერ შედგენილი და 1867 წლის 25 ივნისს დამტკიცებული „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულებით". თბილისის კლასიკური გიმნაზიის სასწავლო გეგმიდან ამოიღეს გერმანული ენა, რომელიც ისწავლებოდა რუსეთის ყველა კლასიკურ გიმნაზიაში. ეს კი ხელს შეუშლიდა თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს უნივერსიტეტში შესვლისას. გერმანული ენისათვის გამოყოფილი 19 კვირეული საათი დაეთმო რუსულ ენას, აგრეთვე რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიას. რუსული ენის საათები 1864 წლის 24 საათიდან 1867 წელს 35-მდე გაიზარდა, ისტორიისა და გეოგრაფიის საათები — 22-დან 26-მდე, ხოლო ადგილობრივი ენები, კერძოდ, ქართული 19-დან 11-მდე შემცირდა[40].

ადგილობრივი ენების შეზღუდვა განსაკუთრებით გაძლიერდა 1866 წლიდან, როდესაც იმპერიის განთლების მინისტრად დაინიშნა უკიდურესი რეაქციონერი და შოვინისტი, სინოდის ობერ-პროკურორი დ. ი. ტოლსტოი. განათლების სისტემაში რეაქცია მანამდე არასოდეს ყოფილა ასე სასტიკი. სამინისტროს მხოლოდ სახელად შერჩა სახალხო. განათლება მხოლოდ გაბატონებული კლასების პრივილეგიად გადაიქცა. ტოლსტოიმ რეალური გიმნაზიებიც კლასიკურად გადააქცია, სადაც დაბალი წოდების შვილებს შესასვლელი კარები დაეხშო.

რეაქციამ თავისი ძალა ქართული ენისადმი დამოკიდებულებაშიც გამოავლინა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ქართული ენა ამოღებულიყო სასწავლო გეგმიდან თვით ქართველებისთვისაც კი. უბედურება ის იყო, რომ ამ კურსს მომხრეები თვით გიმნაზიის ხელმძღვანელობაშიც გაუჩნდნენ. ასე, მაგალითად, გიმნაზიის დირექტორი 1864-1868 წლებში, შემდეგ სასწავლო ინ-

სპექტორად გადაყვანილი ილიაშენკო, 1871 წელს კავკასიის სკოლების დირექტორთა თათბირზე, ამიერკავკასიის სკოლებში ადგილობრივი ენების სწავლების საკითხის განხილვისას ამბობდა: ადგილობრივი ენების სწავლება არსებული დონით აზარალებს რუსული ენის სწავლებას, ხელს უშლის ადგილობრივ ეროვნებათა შერწყმას რუს ერთანო[41]. იმავე თათბირზე თბილისის გიმნაზიის დირექტორი ჟელიხოვსკი აღნიშნავდა, რომ იმპერიის არც ერთი სასწავლებელი არ არის ისე გადატვირთული, როგორც ამიერკავკასიაში, არც სწავლების მსურველია ასე ბევრიო. ამიტომ ჟელიხოვსკი მოითხოვდა სწავლის ქირის კიდევ უფრო გაზრდას, რათა შემცირებულიყო სწავლის მსურველთა რაოდენობა. იგი ხელისუფლებას საყვედურობდა იმას, რომ მხედველობაში იღებდა ადგილობრივ, ე.ი. ნაციონალურ საჭიროებებს. ადგილობრივი ენები, აღნიშნავდა ჟელიხოვსკი, არ შედის ზოგადსაგანმანათლებლო კურსში, ამიტომ მათი სწავლება გადასახედიაო[42].

თბილისის გიმნაზიის 1886 წლის ანგარიშში, რომელიც დაიბეჭდა კავკასიის სასწავლო ოლქის იმდროინდელი მზრუნველის, თავისი რეაქციულ-შოვინისტური სულისკვეთებით ცნობილი იანოვსკის ნებართვით, ვკითხულობთ: „ილიაშენკოს დირექტორობის დროს ბევრი გაკეთდა თბილისის გიმნაზიის წესრიგში მოსაყვანად, განსაკუთრებით სასკოლო დისციპლინის, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და გიმნაზიის მეურნეობისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცდილობდა მისი მემკვიდრე ჟელიხოვსკი, რომლისგანაც, როგორც ინიციატორისაგან, დიდად არის დავალებული თბილისის პირველი გიმნაზია. სამწუხაროდ, ჟელიხოვსკის ყველაზე სასიკეთო, უეჭველად სასარგებლო გეგმები და ღონისძიებანი იმსხვრეოდა თანამშრომელთა მხარდაუჭერლობის, მოსწავლეთა უზნეობის გამო. ბევრ ზიანს აყენებდა მას ახალ ღონისძიებათა გატარებისას სიმტკიცის გამოუჩენლობა, მათი არასაკმარისი დამუშავება. და მაინც, 1867 და 1868 წლებში თბილისის პირველი გიმნაზია სარგებლობდა უფრო კარგი სახელით, წარმატებების სერიოზულ იმედებს იძლეოდა. სამწუხაროდ, დირექტორ ჟელიხოვსკის ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ნერვები შეულახა მეტად მძიმე შრომამ. ჯანმრთელობა განსაკუთრებით შეურყია გაუგონარმა შეურაცხყოფამ (იგი შეურაცხყო მეშვიდე კლასელთა მოქმედებამ თვით გიმნაზიაშივე, ამ კლასში ერთ-ერთი მისი გაკვეთილის შემდეგ). ამის შემდეგ ჟელიხოვსკი გადაიყვანეს საოლქო ინსპექტორად"[43].

ანგარიშში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, რა იყო ის ყველაზე სასიკეთო, სასარგებლო გეგმები და ღონისძიებანი, რაშიც ჟელიხოვსკის მხარი არ დაუჭირეს თანამშრომლებმა, ან რაში გამოიხატებოდა მოსწავლეთა უზნეობა. ანდა, რისთვის მიაყენეს შეურაცხყოფა მეშვიდეკლასელებმა. ხომ არ იყო ყოველივე ეს ადგილობრივი ენებისადმი, საერთოდ, ადგილობრივი მოსახლეობისადმი მის რუსიფიკატორულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული?

ვინ იყვნენ ის თანამშრომლები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს? ხომ ცნობილია, რომ იმდროინდელი თბილისის გიმნაზიის მასწავლებელთა უმრავლესობა რუსები იყვნენ, რომელთაგან ბევრი ქართული ენის სწავლებას აუცილებლად მიიჩნევდა. მათ მხარი დაუჭირეს ქართველ ინტელიგენციას, გიმნაზიის იმ ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომელთაც არ გაიზიარეს ჟელიხოვსკის შოვინისტური გამოხტომები. ჟელიხოვსკის საწინააღმდეგო გამოსვლებისა და, საერთოდ, თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა საბრძოლო განწყობილების შესახებ მოთხრობილია ისტორიკოს ნანული პაპავას ნაშრომში „თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის განწყობილება მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში“[44].

ნ. პაპავას ნაშრომი დამაჯერებელ პასუხს იძლევა ჟელიხოვსკისთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებზე, რაზეც არაფერს ამბობს თბილისის გიმნაზიის 1886 წლის ანგარიში. პირიქით, ანგარიში სასიკეთოს და სასარგებლოს უწოდებს ჟელიხოვსკის წამოწყებებს, გეგმებსა და ღონისძიებებს. სინამდვილეში მოწონებულია ჟელიხოვსკის ღონისძიებანი, რომელიც მიმართული იყო გიმნაზიიდან პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების (მაგალითად, დიმიტრი ლავრენკის) განსადევნად, საეჭვოდ მიჩნეულ მოსწავლეთა გასაძევებლად, გიმნაზიაში ყოველგვარი ეროვნულის აღსაკვეთად. გიმნაზიის პედაგოგთა ერთი ნაწილის, მოსწავლეთა საბრძოლო განწყობილება და გამოსვლები რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა მხარდაჭერას წარმოადგენდა 60-70-იანი წლების საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლისა. ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლის წინააღმდეგ რუსულ-შოვინისტურ ლაშქრობას სათავეში ჩაუდგა იანოვსკი, რომლის კავკასიაში მოღვაწეობის დაწყებიდან რაღაც სამიოდე წლის შემდეგ, 1881 წლის 1 მარტს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ, საშინელი რეაქციის პერიოდი დადგა.

ამ მძიმე რეაქციის პირველსავე წელს თბილისის პირველი გიმნაზიის ისტორიაში ადგილი ჰქონდა ღირსშესანიშნავ მოვლენას — გიმნაზიის 50 წლისთავის საზეიმო აღნიშვნას 1881 წლის 27-29 სექტემბერს.

თავი IV. გიმნაზია XIX საუკუნის უკანასკნელ ორ ათწლეულში

1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცების მიერ იმპერატორ ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ იმპერიაში შავბნელი რეაქცია გამეფდა. რეაქცია მძვინვარებდა ალექსანდრე III მეფობის მთელ პერიოდში (1881-1897 წწ.). ლორის-მელიქოვის ნაცვლად, შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა უკიდურესი რეაქციონერი დ. ტოლსტოი. უპირველეს კაცად აღიარებული იქნა ალექსანდრე მესამის ერთ-ერთი აღმზრდელი, სინოდის ობერპროკურორი კ.პ. პობედონოსცევი. ტოლსტოის გარდა, მას „მხარს უმშვენებდნენ" ისეთი პირნავარდნილი რეაქციონერ-შოვინისტები, როგორნიც იყვნენ გაზეთ „მოსკოვსკიე ვედემოსტის" რედაქტორი მ.ნ. კატკოვი, ნ. იგნატიევი, ა. პაზუხინი და სხვები. იმპერიაში გამეფებული რეჟიმი ახშობდა ყოველგვარ ცოცხალ აზრს, რევოლუციურ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამ ძალების სათავეში იდგა თვით იმპერატორი, ხოლო რეაქციული ძალების დასაყრდენი აღმოჩნდა 1881 წელსვე ჩამოყალიბებული „საღმრთო ლიგა", რომელსაც სათავეში ედგნენ ი.ი. ვორონცოვ-დაშკოვი და შუვალოვი.

80-იანი წლების რეაქციის პერიოდში საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის მმართველობის სისტემაში ცვლილება მოხდა. 1882 წლის იანვარში გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და აღსდგა მთავარმართებლის პოსტი. ამრიგად, კავკასიამ დაკარგა ვორონცოვის დროიდან მიღებული შეზღუდული ავტონომია. კავკასიიდან გაიწვიეს ვორონცოვის კურსის გამტარებელი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი და მთავარმართებლად დანიშნეს ცარიზმისადმი ერთგულებით სახელმოხვეჭილი გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იმყოფებოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული ეკლესიის სათავეში იყო რუსეთიდან გადმოყვანილი არქიეპისკოპოსი და საქართველოში ეგზარქოსად მოვლინებული პავლე, ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი გახლდათ. ამ ორი უკიდურესი შოვინისტისა და რუსიფიკატორის ხელში თავი მოიყარა კულტურის, რელიგიის, საერო და სასულიერო სასწავლებლების, საერთოდ, განათლებისა და ეკლესიის სფერომ, მათ ყოველგვარ ეროვნულს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ასეთ მძიმე პერიოდში მოუწია თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორობა ლევ ლევის ძე მარკოვს (1874-1902 წწ.), რაც თითქმის დაემთხვა იანოვსკის მზრუნველობის პერიოდს (1878-1901 წწ.).

§ 1. ლევ მარკოვი და იუბილისათვის მზადება

ლევ მარკოვმა დირექტორის თანამდებობაზე შეცვალა ჟელიხოვსკი, რომელიც გიმნაზიაში ადგილობრივი ენების სწავლებას სახელმწიფოსათვის ზედმეტ ტვირთად თვლიდა. მარკოვს უნდა აღედგინა დირექტორსა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის ჩატეხილი ხიდი, მოეპოვებინა მოსწავლეთა და მათი მშობლების ნდობა. ახალი დირექტორი ამ მიმართებით აღწევდა კიდეც წარმატებებს, მაგრამ ამ დროს სასწავლო ოლქს უფროსად მოევლინა კ. იანოვსკი თავისი შოვინისტური პედაგოგიური შეხედულებებით. რამდენად იზიარებდა მარკოვი ჟელიხოვსკი-იანოვსკის შეხედულებებს? რამდენად მოიპოვა მან ავტორიტეტი გიმნაზიის თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის და, საერთოდ, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში? ამ კითხვებზე ნათელ პასუხს იძლევა ის ფაქტი, რომ მარკოვმა გიმნაზიის დირექტორად იღვაწა 28 წელი, ცალკეულებით მეტი, ვიდრე მანამდე ვინმემ — დაწყებული კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორობიდან, დამთავრებული გიმნაზიის დირექტორობით. ამდენი ხანი არ ულვაწია არც ერთ დირექტორს, გარდა ამჟამინდელი დირექტორისა.

მარკოვის დირექტორობის ხანა გიმნაზიის ისტორიაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, შევიდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით — გიმნაზიის 50 წლისთავის საზეიმო აღნიშვნით. ეს ზეიმი ჩატარდა 1881 წლის 27-29 სექტემბერს — „ნაროდოვოლცების" მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლიდან 6 თვის შემდეგ, სასტიკი რეაქციის პირობებში. ამ ვითარებაში რაიმე ღონისძიების საზეიმო ჩატარება არა მარტო დიდ გამბედაობად, არამედ გმირობის ტოლფასადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

1881 წელსვე თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში რუსულად დაიბეჭდა იუბილის ამსახველი მასალების კრებული: „თბილისის პირველი გიმნაზიის ორმოცდაათი წლისთავის სამახსოვრო. 1830-1880. გიმნაზიის ორმოცდაათი წლის იუბილის გამო სიტყვებისა და სტატიების კრებული". ეს სამახსოვრო კრებული გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ ესმოდათ იმ დროს თბილისის პირველი გიმნაზიის მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით.

კრებული იწყება შესავლითა და გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილი სტატიებით, რომლებშიც მოთხრობილია იუბილისათვის მზადების პერიოდსა და თვით იუბილის ჩატარების შესახებ. კრებულში გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფენ, რომ გიმნაზიის ისტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ 1830-1880 წლე-

ბით. იგი განიხილებოდა იმ პერიოდიდან, როდესაც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსებით შეიქმნა ის მტკიცე ბაზისი, რომელზეც 1829-1830 წლებში თბილისის პირველი გიმნაზია აღმოცენდა.

სასწავლებლის, როგორც უშუალოდ გიმნაზიის ფაქტობრივი ფუნქციონირების 50 წლისთავის იუბილის ჩატარების იდეა 1878 წლის შუა ხანებისათვის წარმოიშვა. გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ცხელ გულზე შეიმუშავა საიუბილეო ზეიმის გეგმა და პროგრამა, თხოვნით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველ ი. ა. ნეველროვს, ეშუამდგომლა ნებართვისათვის ხელისუფლებასთან, რათა იუბილე ჩატარებულიყო 1879 წელს. შემთხვევით არ სურდათ იუბილის ამ წელს ჩატარება. როგორც კრებულშია ნათქვამი, „ფიქრობდნენ, რომ თბილისის გიმნაზია 1829 წ. გაიხსნა". შემდეგ დაზუსტდა, რომ 1829 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისში გიმნაზიის დაარსების შესახებ. 1830 წლის პირველ მარტს გიმნაზიაში დაიწყო მეცადინეობა, ხოლო 1830 წლის სექტემბერში საზეიმო აღნიშვნით გიმნაზია ოფიციალურად გაიხსნა[1].

ამ დაზუსტების შემდეგ გადაწყდა, რომ იუბილე გადატანილიყო 1880 წლის მარტში. გიმნაზიის ისტორიის ამსახველი ბარათის შედგენა დაევალა ფრანგული ენის მასწავლებელს ა. ც. სტადლინს, რომელმაც დავალება ვერ შეასრულა. ამის მიზეზად იგი შემდეგს ასახელებდა: 1) გიმნაზიის მოღვაწეების ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას; 2) გიმნაზიის არსებობის დასაწყისიდან სამოციან წლებამდე დოკუმენტებში სერიოზულ ხარვეზებს; 3) გიმნაზიის საყოფაცხოვრებო მასალების არარსებობას; 4) სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ამსახველი მასალების სიმცირეს; 5) სასწავლო პროგრამების შესრულების შესახებ დოკუმენტების არარსებობას. ამის გამო გიმნაზიის პედსაბჭომ მიაღწია ნებართვას, რომ იუბილის საზეიმო აღნიშვნა გადატანილიყო 1881 წლის სექტემბრისათვის.

იმ დროისათვის არსებული მასალების მიხედვით, ისტორიული წერილის მოსამზადებლად შეირჩნენ ისტორიის მასწავლებლები შერემერევიჩი და თავადი მიქელაძე, ხოლო სიტყვიერების მასწავლებელი ნოვომარიევსკი — იუბილისათვის მოხსენების მოსამზადებლად. 1881 წლის მაისში ვლადიმერ მიქელაძემ თავისი წერილის პირველი ნახევარი წარადგინა ისტორიული წერილის განსახილველად არჩეულ მასწავლებელთა კომიტეტში, რომლის თავმჯდომარეც იყო გიმნაზიის დირექტორი. მეორე ნაწილი — 70-იანი წლების დასაწყისამდე — მიქელაძემ აგვისტოს ბოლოს წარადგინა. კომიტეტის წევრები არ დათანხმებიან მიქელაძის ბევრ დებულებას. წამოყენებული იქნა წინადადება, რომ მისი წერილი, თუ ავტორი გაითვალისწინებდა შენიშვნებს და შეიტანდა შესაბამის ცვლილებებს, დასაბეჭდად გადასცემოდა.

ალბათ, სწორი იქნებოდა გავცნობოდით პიროვნებას, რომელსაც დაევალა საპატიო მისია — გამოსულიყო იუბილეზე გიმნაზიის ისტორიის მოკლე ნარ-

კვევით. ვასილ ივანეს ძე ნოვომარიევსკიმ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. თბილისის პირველ გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 1876 წელს. როგორც ჩანს, მან მალე მოიპოვა ავტორიტეტი როგორც პედაგოგიურ კოლექტივში, მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის, ასევე საზოგადოებრიობისა და ხელისუფლების წინაშე. 1880 წელს იგი დაუჯილდოებიათ წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით. გამხდარა კოლეგიური მრჩევლის წოდების ღირსი. ვ. ნოვომარიევსკი იყო პედაგოგიკის საკითხებზე რამდენიმე თეორიული და მეთოდური ნაშრომის, წერილისა და მოხსენების ავტორი. პედაგოგიურმა საბჭომ კენჭისყრით დაავალა მას საზეიმო კრებაზე წასაკითხად ნარკვევის მომზადება გიმნაზიის 50 წლისთავის შესახებ და ამისათვის გადასცა ზოგიერთი დოკუმენტი მიქელაძის ისტორიული წერილიდან. ამით მან სრულყო თავისი ნარკვევი და პედაგოგიურმა საბჭომ მოიწონა იგი. ასევე შედგა საიუბილეო დღესასწაულის კონკრეტული გეგმა-პროგრამა. გადაწყდა რომ, იუბილე ჩატარებულიყო 1881 წლის 27-28-29 სექტემბერს. გეგმა-პროგრამა წარედგინა კავკასიის სასწავლო ოლქის ახალ მზრუნველს კ. იანოვსკის.

ცნობილია, რომ იანოვსკი სასწავლო ოლქის მზრუნველად მოღვაწეობის დასაწყისში ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ინტელიგენციის გულის მოგებას, ქართველთა ისტორიის, წეს-ჩვეულებათა, ტრადიციების პატივისმცემლად და მათი კულტურისა და სწავლა-განათლების განვითარებისათვის დიდ მზრუნველად აჩვენებდა თავს. გაივლის არც თუ ისე დიდი დრო და იანოვსკი გამოავლენს თავის სიძულვილს იმ ხალხის ენისა და კულტურისადმი, რომლის მზრუნველობაც მას დაეკისრა. მისი ეს სახეცვლილება ამხილა ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ წერილში „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“.

ვიდრე თვით საიუბილეო მოვლენებს შევეხებოდეთ, ალბათ, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას იუბილის მოწყობის თაოსანსა და ორგანიზატორზე, გიმნაზიის დირექტორ ლევ ლევის ძე მარკოვზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ლ. მარკოვი გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა იუბილემდე შვიდი წლით ადრე, 1874 წელს. თუ რა გაკეთდა ამ მოკლე დროში, ამაზე თვით ლ. მარკოვი მოგვითხრობს იუბილის საზეიმო კრებაზე გაკეთებულ ანგარიშში[2].

როგორც ამ ანგარიშში, ასევე საზეიმო კრებაზე მის შესავალ სიტყვაში ვლინდება მარკოვის ხასიათი, მისი ობიექტური მიდგომა საკითხებისადმი, შექმნილი ვითარების სწორი შეფასების უნარი. იგი არა ჰგავს იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ცდილობენ საკუთარ დამსახურებათა გადაჭარბებით წარმოჩენას და ჩქმალავენ თავისი მოღვაწეობის პერიოდის ნაკლოვანებებს. აკი ამბობს კიდეც თავის ანგარიშში: „არ ვკისრულობ (და არც არასოდეს მიკისრია ადრე), მიმეთითებინა პიროვნებაზე, ან ვითარებაზე, რომლებმაც წარმოშვეს ცნობილ

დროს თბილისის პირველი გიმნაზიის სავალალო მდგომარეობა: ვკმაყოფილდები ფაქტებით დადასტურებული მნიშვნელოვანი მონაცემების უბრალო კონსტატირებით". სამსახურებრივი მოვალეობა ლევ მარკოვს ავალდებულებდა, ერთის მხრივ, ყოფილიყო მსახური იმ მხარისა, რომლის მცხოვრებთა შვილების აღზრდა ჰქონდა დაკისრებული, მეორეს მხრივ, ყოფილიყო მსახური იმ ხელისუფლებისა, რომელიც მოითხოვდა დაპყრობილი ქვეყნის მომავალი თაობის ისეთ აღზრდას, რომელსაც უნდა დაევიწყებინა ახალგაზრდებისათვის მშობლიური ენა, მას უნდა ელაპარაკა და ეფიქრა რუსულად, რათა „ტუზემცები" შერწყმოდნენ იმპერიის ძირითად გაბატონებულ ერს. იოლი როდი იყო ამ ორი, ერთმანეთის საპირისპირო მოვალეობის სამსახური. იგი უნდა ყოფილიყო გამტარებელი იმ პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სულიერ დამონებასაც.

ლ. მარკოვმა შეიცნო ამ ხალხის, ამ ერის სულისკვეთება, მიხვდა, რომ იგი ვერ შეეგუებოდა მონობას. ამავე დროს, მარკოვს ჰქონდა მაგალითი თავისი წინამორბედისა, რომლის უხეშმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო მოსწავლეებსა და მათ მშობლებში, არამედ იმ თანამშრომლებშიც, რომელთა უმრავლესობა რუსი ეროვნებისანი იყვნენ. სწორედ ამ დროს გამოვლინდა ლ. მარკოვის კიდევ ერთი უნარი — ლავირება. მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში იმპერატორ ალექსანდრე პირველის — დაპყრობილი ქვეყნისადმი „მზრუნველის" — „კეთილშობილური" აღსარება: „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა"... ეს ადგილი მანიფესტიდან სამახსოვრო კრებულის შესავალ ნაწილშია მოტანილი[3].

§ 2. ლევ მარკოვი გიმნაზიისა და მისი იუბილის მნიშვნელობის შესახებ

საქართველოში თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობისას ლ. მარკოვს შესაძლებლობა ჰქონდა, კარგად შეეცნო ის „სიკეთე", რაც მოუტანა საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. საყურადღებო ისაა, რომ როდესაც მარკოვი ამ შეერთების მნიშვნელობას ეხებოდა, ყურადღებას იმდენად პოლიტიკურ მხარეზე არ ამახვილებდა, რამდენადაც კულტურულზე. შესავალ სიტყვაში იგი შეეცადა, ეჩვენებინა გიმნაზიის იუბილის საზეიმო აღნიშვნის მნიშვნელობა. მარკოვი

ამბობდა: ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ბევრი სასწავლებელი როდი აღნიშნავს ჩვენს დედა რუსეთშიო და ამ იუბილეს ადარებდა ოქროს ქორწინებას, ხაზს უსვამდა მის უდიდეს მნიშვნელობას როგორც ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის, ასევე ზეიმზე დამსწრე გიმნაზიის კურსდამთავრებულთათვის და მისი აღსაზრდელებისათვის. კურსდამთავრებულნი შეიცნობდნენ, თუ რა ძალისხმევით ხორციელდებოდა განათლების საქმე, ხოლო აღსაზრდელები შეიგრძნობდნენ თავის ერთიანობას მათთან, ვინც ადრე დაამთავრა სასწავლებელი, მათ ეყვარებოდათ იგი, როგორც დაწესებულება, სადაც მათი მამა-პაპანი იზრდებოდნენ. მარკოვი აღნიშნავდა, რომ საიუბილეო ზეიმი აერთიანებდა მათ, ვისაც იგი გიმნაზიის აღმზრდელობითი მოღვაწეობის ცოცხალ ნაყოფს უწოდებდა და მიმართავდა: „თვით თქვენ, თქვენი მამები, თქვენი შვილები — ამ გიმნაზიის მოწაფეები ხართ და შეგიძლიათ მტკიცედ იყოთ დარწმუნებულნი, რომ ასევე იქნებიან არა მარტო თქვენი შვილიშვილები, არამედ თქვენი შვილიშვილების შვილიშვილები. ამიტომ თქვენთვის განსაკუთრებით გასაგები და გულთან ახლოს მისატანი უნდა იყოს ეს კეთილი სიტყვა“.

ეს სიკეთე კი, როგორც მარკოვმა აღნიშნა, მოიტანა ამიერკავკასიელ ქრისტიანთა ნებაყოფლობითმა დაკავშირებამ ჩრდილოელ თანამორწმუნეთა ძლევამოსილ სამეფოსთან. საქართველო, აღმოსავლეთელ ქრისტიანთა ეს მოწინავე დასაყრდენი აზიის მუსლიმთა წინააღმდეგ, შეერწყა მართლმადიდებელ რუსეთს. „აქ მე ვგულისხმობ, — ამბობდა მარკოვი, — საქართველოს არა როგორც ერთ ქართველ ხალხს, არამედ როგორც ამიერკავკასიელი ყველა ქრისტიანული ტომების: სომხებისა და სხვათა პოლიტიკურ წარმომადგენელს. საქართველოს ისტორიაში ეს შერწყმა ნიშნავდა დიდებულ ნაბიჯს, მის საბოლოო თავდახსნას მტრული აზიური აღმოსავლეთისაგან, მის ხელახალ მირონცხებას ევროპულ მოქალაქეობრიობასთან, რამდენადაც ადრინდელი მისი ცივილიზაციისაგან, მის დიდებულ მეფეთა — დავითის, თამარის ოქროს ხანისაგან... შემორჩა მხოლოდ მოგონებანი, ცივილიზაცია, რომლის გარეშეც თანამედროვე ხალხთა არსებობა წარმოუდგენელია, საქართველოს შეეძლო შეეთვისებინა აზიელ ბარბაროსთაგან სრული უსაფრთხოებით, მხოლოდ რწმენითა და სულით მონათესავე ხალხთან სისხლხორცეული კავშირით“.

მარკოვი საქართველოში ცივილიზაციის, ევროპეიზმის დანერგვის დასაწყისად განიხილავს არა შეერთების შესახებ აქტზე ხელმოწერას, არამედ საქართველოში ევროპული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას. ეს დაარსება კი ჩრდილოელ, „რწმენითა და სულით მონათესავე ხალხთან სისხლხორცეული კავშირის შედეგია... ამ აზრით, — აღნიშნავდა მარკოვი, — თბილისის გიმნაზია საქართველოში სერიოზული ევროპული განათლების პირველი ნერგია, ამასთან ერთად, ცივილიზაციის გზით მიმავალი საქართველოს პირველი ემბაზი“.

მარკოვის ეს მსჯელობანი ძალაუნებურად გვახსენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებს ლექსიდან „საფლავი მეფის ირაკლისა“ იმის თაობაზე, რომ შემოდის „მამულში განათლება და ხმა საამო“, რომ საქართველოს სიმშვიდეს აღარ ემუქრება „კასპიის ღელვა“ და „მისი აღტყველვა“, ხოლო შავი ზღვის ტალღები, ნაცვლად „ჩვენთა მოსისხლე მტერთა, — ან მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!“

მარკოვის ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი გვარწმუნებს, რომ მან კარგად იცოდა ჩვენი ქვეყნის ისტორია, ძველთაგანვე საქართველოს როლი და ადგილი ახლო აღმოსავლეთში, მისი ადრინდელი კავშირურთიერთობა ცივილიზებულ სამყაროსთან, ევროპასთან. იცოდა დიდებული დავითისა და თამარის ეპოქის „ოქროს ხანის“ შესახებ და გამოთქვამდა რწმენას, რომ საქართველოში ევროპული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსება კვლავ გაიყვანდა ქვეყანას ცივილიზაციის, ევროპეიზმის ასპარეზზე. ამ თვალსაზრისით მთავარი როლის შემსრულებელი იქნებოდა თბილისის პირველი გიმნაზია. აი, რატომ მიაჩნდა მარკოვს გიმნაზიის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის ზეიმი ახალი ევროპული ცხოვრების ზეიმად.

საქართველოში ახალი ცივილიზაციის, ევროპეიზმის დამკვიდრება სახეს რომ უცვლიდა ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, ამის დასადასტურებლად მარკოვი ერთმანეთს ადარებდა ძველ და მის თანამედროვე თბილისს. მისი დახასიათებით, ახალი თბილისი — ეს არის სრული თავისუფალი მხიარულების, საქმიანი ხმაურისა და მოძრაობის, მწარმოებლური ქალაქი, რომელიც ზრდის საზოგადოებრივი მდგომარეობის ყველა საფეხურისა და ასაკის ახალგაზრდობას. ეს არის ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა ძველი, ისტორიული ნაკვალევი ვიწრო ქუჩებსა და ჭუჭყიან ბაზრებში: ერთის მხრივ — უძრაობა, სივიწროვე, ყოველგვარი კეთილმოუწყობლობა და სიღარიბე, მეორეს მხრივ — ყოველგვარი მეწარმეობისათვის ფართო გასაქანი, მთელი საზოგადოების ნაირფეროვანი საქმიანი ცხოვრება, ნაცვლად კარჩაკეტილობის, ყველაფრისადმი შიშისა, ყველაფრისადმი უნდობლობისა და ცალკეული ძალების პირადული ცხოვრებისა. მარკოვი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სასიხარულო განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, მიაწერს განათლებას, ე.ი. ახალი თაობის მიერ მეცნიერების დაუფლებას. აქედან გამომდინარე, თბილისის გიმნაზია მიჩნეულია ადგილობრივი განათლების უძველეს და უმთავრეს წყაროდ, რის გამოც მან ქვეყნის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავა. „მხოლოდ სიყვარულისა და ძმობის იდეებს მოაქვს ნაყოფი ისტორიაში, — აღნიშნა მარკოვმა, — მტრობისა და უნდობლობის თესლისაგან კი არაფერი აღმოცენდება, გარდა ბოროტებისა“.

გიმნაზიის მნიშვნელობის ასეთი მაღალფარდოვანი შეფასების შემდეგ, ლ. მარკოვი ასევე ამაღლებული ტონით ამთავრებს შესავალ სიტყვას:

„დაე, ამჟამინდელი ჩვენი დღესასწაული, ზეიმი გიმნაზიისა, რომელიც ზრდის რუსეთისათვის კავკასიელ ახალგაზრდობას, ხოლო რუსებს კავკასიის სამსახურისათვის, — გადაიქცეს მომავალში დამაკავშირებელ საწყისად ყველა მრავალრიცხოვანი ხალხისათვის, რომელიც ცხოვრობს ჩვენს მხარეში, დიადი რუსეთის ამ ძვირფას მარგალიტში!

დაე, მოგონება კავკასიაში მეცნიერებისა და განათლების ამ უძველესი კერის შესახებ თითოეულ ჩვენგანს გვავსებდეს ყველაზე მტკიცე ურთიერთშორისი ნათესაობის, ურთიერთნდობის გრძნობით, გვაერთიანებდეს ერთ წრედ კავკასიის ყველა ენის, რელიგიისა და ტომის ცივილიზებულ ადამიანებსა და ერთგულ მოქალაქეებს!"[4].

თუ ეს ზეაწეული ტონი შეეფერებოდა საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმულ შესავალ სიტყვას, მისგან თავისუფალი იყო მარკოვის ანგარიში, თუ როგორ ხვდებოდა გიმნაზია თავის იუბილეს. ფაქტობრივად, ეს არის ანგარიში მარკოვის პერიოდისა[5], იგი დასტურია იმისა, რომ მარკოვმა ჟელიხოვსკისაგან ნამდვილად არასასურველი მემკვიდრეობა მიიღო. ეს მემკვიდრეობა შედეგი იყო არა მარტო ჟელიხოვსკის, არამედ, წინა პერიოდის დირექტორების უმეტესობის დროს დაშვებული შეცდომებისა თუ დანაშაულობებისა. თუმცა 60-იანი წლების მეორე ნახევარში იყო სავალალო ვითარებიდან გამოსვლის ცდები, მაგრამ ამას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. დიდი იყო გადახარჯვები და დეფიციტი ხარჯთაღრიცხვაში. უვარგისი იყო ავეჯი როგორც კლასებში, ასევე პანსიონში... განადგურებული იყო ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, გეოგრაფიული კლასები. ხშირი იყო მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების გაცდენა. ზოგიერთ საგანში წლობითაც კი არ ტარდებოდა მეცადინეობანი. ასე, მაგალითად, 1872 და 1873 წლებში მე-4 და მე-5 კლასებში მათემატიკის გაკვეთილები საერთოდ არ ჩატარებულა, მასწავლებელი კი ხელფასს იღებდა. მოსწავლეები ყოველგვარი გამოცდის გარეშე გადაჰყავდათ შემდეგ კლასში. მიუხედავად შეღავათიანი გამოცდებისა, 1875-1876 წლებში იმავე კლასში დარჩა მოსწავლეთა დაახლოებით 40%. ბევრმა უფროსკლასელმა თავისი უიმედო მდგომარეობის გამო დატოვა გიმნაზია. 1875 წელს ასეთი იყო 53 მოსწავლე.

70-იანი წლების შუახანებში გიმნაზიის ხელმძღვანელობა იღებდა გადამჭრელ ღონისძიებებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. თავიდანვე ყურადღება გამახვილდა გიმნაზიის მატერიალურ მხარეზე. დაიფარა ძველი ვალები, სამეურნეო საქმიანობაში წესრიგი დამყარდა. 1876 წელს უკვე დაკმაყოფილებული იყო პანსიონის ძირითადი მოთხოვნილებანი. თუ უწინ მეცადინეობები ტარდებოდა მოსწავლეთა საძინებელ ოთახებში, ამჯერად უკვე ჰქონდათ საკუთარი შენობა კეთილმოწყობილი ავეჯით, სასწავლო, საძინებელი ოთახებით, დამხმარე სათავსოებით. იმავე წელს დაიწყო გიმნაზიის შენობის მოწესრიგება, ხოლო 1881 წელს კაპიტალურად შეკეთდა მისი ფასადი. 1876 წელს გიმნაზიასთან შეიქმნა „მოსწავლეთა ფონდი", რომლის დანიშნულება იყო დახმარებოდა უმაღლეს სასწავლებ-

ლებში სწავლის გაგრძელების მსურველ გიმნაზიის კურსდამთავრებულებს. 1879 წელს გიმნაზიასთან დაარსდა „მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“, რომელიც ერთგვარი ფილიალი იყო 1877 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მიერ თავად გ. ერისთავის თაოსნობით შექმნილი ორგანიზაციისა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. 1879 წელს „მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“ შერწყმია გიმნაზიასთან არსებულ „მოსწავლეთა ფონდს“. დასაწყისში ქართველი საზოგადოებრიობა ამ ამბავს თანაგრძნობით მოეკიდა, მაგრამ განწყობილება შემდეგში მნიშვნელოვნად განელდა. ეს კარგად გამოხატა გ. ერისთავმა, რომლის სიტყვები მოაქვს თავის წერილში ილია ჭავჭავაძეს: „ვინ არ იცის, რომ ამ საგანზედ ჩვენი გულგრილობა ჩვენის თავის სიკვდილია, ნუთუ ეგ არ მოუღებს ბოლოს თვით ხალხსაც! ნუთუ ეგ არ მოიწვევს ჩვენს თავზედ რისხვასა და წყევლას ჩვენი შთამომავლობისა“[6]. ილია მოუწოდებდა მათ, „ვისაც სურს ამ ქვეყნისათვის საკეთილო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, ქალი იქნება თუ მამაკაცი, გლეხი თუ თავადი“, საზოგადოებაში ჩაეწეროს „იმ აუცილებელის პირობით კი, რომ წელიწადში არა ნაკლებ ერთი მანეთისა ფული წარუდგინოს საზოგადოებას“[7].

ლ. მარკოვი გულისტკივილით ამბობდა, რომ იმ დროს, როდესაც მეფისნაცვალმა და მისმა მეუღლემ გიმნაზიასთან არსებულ საზოგადოებას შესწირეს 2500 რუბლი, გიმნაზიის საპატიო მზრუნველმა ა. მ. ბაგრატიონ-მუხრანელმა 720 რუბლი, სამაგიეროდ ქალაქის მმართველობის ბანკებმა თავისი მრავალათასიანი ბიუჯეტიდან საშუალება ვერ გამოძებნეს, ამ სასარგებლო საქმისათვის თუნდაც ერთი რუბლი გამოეყოთ.

მთელ რიგ საკითხებში ლ. მარკოვი გარკვეულწილად ეხმაურებოდა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას, ამის ნათელი მაგალითია დიდი ილიას და მარკოვის შეხედულებათა თანხვედრა ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გამო. როგორც ვიცით, თბილისის გიმნაზიაში მოსწავლეთა შემადგენლობა მრავალეროვანი იყო. 1870 წლიდან ქართველთა რიცხვი გიმნაზიის მოსწავლეთა შორის თანდათან მცირდებოდა და 85-90-მდე დავიდა. 1879 წლიდან დაიწყო ქართველთა რიცხვის ზრდა და 1881 წლისათვის 126-ს მიაღწია. ამასთან დაკავშირებით მარკოვი ამბობდა: „გულით ვხარობთ ქართველი ეროვნების მოსწავლეთა რიცხვის ზრდით და ეს სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია დაწესებულებაში, რომელიც დაარსებულია უმთავრესად ქართველი მოსახლეობისათვის და არსებობს საქართველოს ცენტრში“. მიუხედავად გიმნაზიაში ქართველთა რიცხვის ზრდისა, 1876 წლიდან პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ რუსები, მეორეზე სომხები, მესამეზე ქართველები, შემდეგ თათრები, პოლონელები და ა.შ.

ლ. მარკოვი გიმნაზიის მოსწავლეთა შორის ქართველებთან შედარებით რუსებისა და სომხების რიცხობრივ უპირატესობას იმით ხსნიდა, რომ რუსი მოხელეები და სომეხი ვაჭრები, მაშასადამე, მათი შვილებიც, უმეტესად თბილისში ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობა სოფლად

მცხოვრებთა შვილები იყვნენ, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება, სათანადოდ მოემზადებინათ ისინი გიმნაზიისათვის. ილიაც ქართველ მოსწავლეთა მცირერიცხოვნების ერთ-ერთ მიზეზად იმას მიიჩნევდა, რომ „ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები ქალაქშია, მაშასადამე, სასწავლებლებზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისას. რუსები — როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები — როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში სცხოვრობენ, ესე იგი სასწავლებლებზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა"[8]. ილია, სასწავლებლებიდან მოშორებით ცხოვრებასთან ერთად, ქართველების მატერიალურ ხელმოკლეობაზეც მიუთითებს. როგორც ვხედავთ, ილიაც და მარკოვიც ქართველ მოსწავლეთა სიმცირის თითქმის ერთსა და იგივე მიზეზებს ასახელებდნენ.

მას შემდეგ, რაც 70-იანი წლების შუახანებში გატარდა მთელი რიგი გარდაქმნები, გიმნაზიაში იზრდებოდა სწავლის მაჩვენებლები. თუ 1875-1876 წლებში შედგომ კლასში გადაყვანილნი მოსწავლეთა საერთო რიცხვის 60 პროცენტს შეადგენდნენ, 1880 წელს ამ მაჩვენებელმა თითქმის 80 პროცენტს მიაღწია. თუ ადრე უნივერსიტეტებში ემდუროდნენ თბილისიდან ჩასულ აბიტურიენტთა მომზადების დონეს, ამჯერად, გიმნაზია თავის კურსდამთავრებულებზე დადებით დახასიათებებს იღებდა. მათგან ზოგიერთ უნივერსიტეტდამთავრებულს პროფესორობისათვის მოსამზადებლადაც ტოვებდნენ. მოპოვებული წარმატებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შედეგი იყო, რაც შესაძლებელი გახდა პედაგოგთა პერსონალის გადახალისებით. პედაგოგთა ერთი ნაწილი, თავისი მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა და მომზადების დაბალი დონის გამო, გათავისუფლდა.

ლ. მარკოვმა ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზეც, სიძნელეებსა და წინააღმდეგობებზეც. იგი მიუთითებდა ოთხ მთავარ დაბრკოლებაზე:

1) გიმნაზიის გადატვირთვა მოსწავლეებით. ზოგიერთ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ორმოც-ორმოცდაათს აღწევდა, ეს კი აქვეითებდა სასწავლო დისციპლინას.
2) საჭირო იყო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებში ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება და არა სწავლებისადმი შაბლონური მიდგომა.
3) 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები. სასწავლო საქმე მოითხოვდა სრულ და აბსოლუტურ სიმშვიდეს და არა იარაღის ჟღარუნს.
4) სასწავლო საქმისათვის საზიანო აღმოჩნდა სახალხო განათლების ხელმძღვანელობის ხშირი ცვლილება.

მარკოვი თბილისის პირველ გიმნაზიას ცოდნის, ჭეშმარიტი თავისუფლების, თავისუფალი აზრისა და სიტყვის ტაძარს უწოდებდა. ამიტომ იგი მტკივნე-

ულად განიცდიდა მის სატკივარს, მის უსამართლო ხელყოფას. იგი გულგრილი ვერ დარჩა ადგილობრივ პრესაში უსამართლო კრიტიკული შენიშვნების მიმართ. მარკოვი საერთოდ კრიტიკის წინააღმდეგ კი არ გამოდიოდა, არამედ, მისი აზრით, კრიტიკა არ უნდა ყოფილიყო მტრული და ღვარძლიანი; მარკოვი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პრესის ზოგიერთი მუშაკი, იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა გიმნაზიას უკანასკნელ წლებში შესამჩნევი წარმატებების გამრავლებაში, კვლავ განაგრძობდა მის ლანძღვა-გინებას, ამას სჩადიოდნენ ისინი, რომლებსაც ამოქმედებდათ პირადი ინტერესები და ამბიციები, რასაც პედაგოგიკასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მარკოვი არ მოითხოვდა სამადლობელს გიმნაზიის კოლექტივის მძიმე მუშაობისათვის, მაგრამ იმავე კოლექტივის სახელით მოითხოვდა გიმნაზიისადმი ისეთივე დამოკიდებულებას, როგორსაც იჩენენ განათლებულ ქვეყნებში პრესის მუშაკები სასწავლებლებისადმი. ეს კი ხდებოდა იქ, სადაც სკოლის ინტერესები ხელისუფლების მიერ დაცული იყო. „იქ კარგად იციან, რომ ბეჭდვითი სიტყვით დამოძღვრა, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა ყველას კი არ ხელეწიფება, არამედ მხოლოდ რჩეულებს, პატიოსან და გონიერ მოქალაქეებსო".

საზეიმო შეკრებაზე მარკოვის ორივე გამოსვლა მოწმობს, რომ მას, ძირითადად, სწორად ესმოდა ქვეყნისა და ხალხისათვის თბილისის გიმნაზიის მიზანი და დანიშნულება. ორივე გამოსვლაში კარგად ჩანს მისი, თუ სიყვარული არა, პატივისცემა იმ ქვეყნის მცხოვრებლებისადმი, რომელთა შვილების აღზრდა-სწავლებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრა.

მარკოვმა თავისი ხანგრძლივი დირექტორობის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და პედაგოგმა. კიდევ ერთი დეტალი მისი დახასიათებისათვის: სადღესასწაულო კრების შემდეგ ისევ გაიმართა საზეიმო სადილი ქალაქის საპატიო პირების, საპატიო სტუმრების, გიმნაზიის თანამშრომლებისა და თბილისის პედაგოგიური კორპორაციის წარმომადგენელთათვის. ითქვა მრავალი სადღეგრძელო, დაწყებული დიდი მთავარ რომანოვით და დამთავრებული იმჟამინდელი მზრუნველით იანოვსკით, მარკოვმა კი შესვა სადღეგრძელო გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეებისა — გრიგოლ ორბელიანისა და მეფისნაცვლის მოადგილის ლევან მელიქიშვილის მეთაურობით.

§ 3. რაც ითქვა მთავარ მოხსენებასა და ზოგიერთ გამოსვლაში

ხელისუფლების გადაჭარბებულ ქება-დიდებას არ შეიცავდა არც მარკოვის გამოსვლები და არც ვ. ნოვომარიევსკის მიერ წარმოდგენილი მთავარი მოხსენება-ნარკვევი თბილისის გიმნაზიის 50 წლისთავთან დაკავშირებით[9].

მომხსენებელი გიმნაზიის ისტორიას მიმოიხილავდა თბილისის კეთილშობილ- თა სასწავლებლის დაარსებიდან 1880 წლის ჩათვლით. „თბილისის პირველი გიმნაზიის ორმოცდაათი წლის მოკლე ნარკვევი" (ასე ეწოდებოდა ნოვომარიევსკის მოხსენებას) მაინც ოფიციალური დოკუმენტია და მისი ავტორი ვერ გაექცეოდა ოფიციოზის მიერ ჩამოყალიბებულ და იმპერიაში დამკვიდრებულ აზრს იმ სიკეთეზე, რაც მოუტანა საქართველოს რუსეთთან შეერთებამ თუნდაც სწავლა-განათლების დარგში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარკოვის გამოსვლებშიც და ნოვომარიევსკის მოხსენებაშიც ამაზე თავშეკავებული საუბარია. წარმოდგენისათვის გავეცნოთ ნარკვევის დასაწყისს:

„კავკასიის მხარის მმართველობაში რუსების მოსვლისთანავე, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, როდესაც კავკასიაში გაჩაღდა მძაფრი ბრძოლა ველური პირადი თავისუფლებისა რუსულ კულტურასთან, რის შეზღუდვასაც მოითხოვს საერთო განვითარების ინტერესები, ჩვენმა მთავრობამ განიზრახა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის კეთილგანწყობილების მოპოვება სწორი განათლების დანერგვით.

მრავალ საუკუნეთა მანძილზე, განიცდიდა რა უამრავ მძლავრ რყევას ბარბაროს მეზობლებთან ბრძოლაში, ველური მუსულმანური ტომების შემოტევით, ოდესღაც აყვავებულ საქართველოს საშუალება არ ჰქონდა ეზრუნა საკუთარი განათლებისათვის და თანდათან კარგავდა თავის კულტურას ისე, რომ ამჟამინდელი საუკუნის დასაწყისისათვის მხოლოდ მოგონებანი შერჩა ბრწყინვალე წარსულზე, ხალხი კი უმეცრებამ მოიცვა. უბრალო წერა-კითხვაც კი არ იყო გავრცელებული არამცთუ ქვეყნის საშუალო, არამედ უმაღლეს წოდებაშიც კი.

იმის შეცნობით, რომ ქვეყანაში მხოლოდ განათლებისა და ხალხში წერა-კითხვის გავრცელებით შეიძლებოდა გვქონოდა ადგილობრივ მოსახლეობაში მოქალაქეობრიობის გავრცელებისა და განმტკიცების იმედი, რუსეთის მთავრობამ საქართველოში ჩვენი ჯარების შემოყვანისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყო ქართული სკოლების შესახებ ცნობების შეკრება და შეუდგა თბილისში რუსული სასწავლებლის დაარსებას".

ალბათ, ეს ვრცელი ამონაწერი ნოვომარიევსკის მოხსენების დასაწყისიდან ბევრ კომენტარს არ საჭიროებს. აქ იმპერიის მოხელე, უბრალოდ, იმეორებს გაბატონებულ აზრს. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მონათლულია რუსულ კულტურასთან ველური პირადი თავისუფლების ბრძოლად, მოხსენება რომ ხელისუფლებისათვის მაამებლურია, ეს არც არის გასაკვირი. სხვა მხრივ ვ. ნოვომარიევსკი, ძირითადად, სწორად გადმოსცემს გიმნაზიის ისტორიას, დაწყებული მისი წინამორბედის — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსებიდან — 1802 წლიდან.

საიუბილეო ზეიმზე კიდევ რამდენიმე გამოსვლას უნდა შევეხოთ.

ზეიმის დაწყებამდე, 27 სექტემბერს, დილით, ზეიმის მონაწილენი გიმნაზიის ეკლესიაში შეიკრიბნენ, სადაც საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ სადღესასწაულო წირვა გადაიხადა. მის შემდეგ, როგორც გაზეთ „კავკაზ"-ის 1881 წ. 215-ე ნომერი მოგვითხრობს, ზეიმის საკადრისი სიტყვა წარმოუთქვამს დეკანოზ გიორგი ლაზარეს ძე ხელიძეს[10]. ამ სიტყვა-ქადაგების მოკლე შინაარსის გაცნობამდე გადავხედოთ ზოგიერთ მონაცემს ხელიძის შესახებ.

გიორგი ხელიძე იმ წელს მოვიდა გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებლად, როდესაც მარკოვი დირექტორად დანიშნეს. მას კიევის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებით. იგი იყო რამდენიმე ნაშრომის, სტატიისა და წერილის ავტორი ღვთისმეტყველებაში. ამავე დროს, სიტყვა-ქადაგებით გამოსულა სხვადასხვა დროს ეკლესიებსა თუ რელიგიურ შეკრებებზე. ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ასეთი ავტორიტეტული პიროვნება ღვთის ტაძარში ეგზარქოსის წირვის შემდეგ გამოვიდა საიუბილეო ქადაგებით, იგი კანონზომიერად მიიჩნევდა, რომ, ღვთის ნებით, გიმნაზიის საიუბილეო ზეიმი სწორედ ღვთის ტაძარში იწყებოდა. ღვთის ნებად თვლიდა იგი იმასაც, რომ მართლმადიდებელმა ღვთისმსახურმა დასაბამი მისცა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სრულ და მტკიცე ორგანიზაციას. ეს ღვთისმსახური იყო ა. პეტრიაშვილი, რომელმაც, როგორც დეკანოზი ხელიძე აღნიშნავდა, დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა ზნე-ჩვეულებისა და რწმენის ხალხთა შვილების აღზრდა-განათლებაში, მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. გიმნაზიის წინაშე მდგარი ამოცანის არსი დეკანოზმა ხელიძემ ასე განსაზღვრა: „თითოეული ადამიანისა და ხალხის უმთავრეს და უპირველეს მოთხოვნილებას საფუძვლად უდევს გონებისა და გულის განათლება და მეტყველების განვითარება. გონებისა და გულის განათლება წარმოადგენს უპირველეს პირობას როგორც ცალკეულ პიროვნების, ის მთელი ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სწორი წარმართვისათვის, მათი შეცდომებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მათი უნარისა და ძალების განვითარებისა და სრულყოფისათვის. გონებისა და გულის განვითარება ამაღლებს ადამიანებს, წარმართავს მათს არა მარტო მორალურ, არამედ ფიზიკურ შინაგან ძალებს, სძენს უნარს მძიმე წუთებში ადამიანს გამხნევებისათვის და უბიძგებს გმირობისაკენ. ამ მხრივ გიმნაზიამ ქვეყანას უეჭველად სარგებლობა მოუტანა". ხელიძე მიუთითებდა, რომ საქართველოს წარსულ საუკუნეებშიც ჰყავდა მოძღვარნი და ჰქონდა სასწავლებლები, რომლებიც ზრუნავდნენ ქვეყნის გასანათლებლად მეცნიერების შუქით. ხელიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი თანამედროვე სწავლა-აღზრდის საქმეს დიდ ზიანს აყენებდა სისტემატური პოლიტიკური მოუწესრიგებლობა და სისხლისღვრა, პედაგოგიური მეთოდებისა და საშუალებების ნაკლებობა.

გ. ხელიძე თბილისის გიმნაზიას მიიჩნევდა სწავლებისა და აღზრდის ახალ საწყისებზე დაფუძნებულად, რომელმაც პირველმა გააცნო აქაურ ახალგაზრდობას

თანამედროვე მეცნიერებანი. გიმნაზიამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა ახალი ეპოქა ჭეშმარიტი რწმენისა და ზნეობრიობის გამავრცელებელი იარაღის — საღვთო სიტყვის, მეცნიერებისა და ენის განვითარებისათვის. გიმნაზია თესდა განათლებისა და ცივილიზაციის თესლს, ჩვენმა ხალხმა რომ შეიცნო მისი მნიშვნელობა, ამიტომაც გაიზარდა მასზე მოთხოვნილება. ხელიძემ თავისი ღრმაშინაარსიანი სიტყვა-ქადაგება დაამთავრა მოწოდებით ზეიმის მონაწილეებისადმი, რომ შესწირონ ღმერთს მადლობა ამ ზეიმისათვის, რომლის მიზეზია გიმნაზია. „სულითა და გულით ვუსურვოთ ამ სასწავლებელს მრვალწლოვანი წარმატებული და აყვავებული არსებობა, რათა იგი მარად იყოს მხარეში უძველესი არა ქრონოლოგიურად, არამედ როგორც მუდამ პირველი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით!".

გ. ხელიძის სიტყვა-ქადაგების იდეებს, მოწოდებას ეხმაურებოდა და მის გაგრძელებას წარმოადგენდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულის, მხცოვანი პოეტის ვახტანგ ორბელიანის ლექსად მიმართვა ზეიმზე დამსწრე გიმნაზიის მოსწავლეებისადმი. ლექსი იმდენად ღრმააზროვანია, რომ ძნელია რაიმე ნაწყვეტის მოტანა. ამიტომ იგი მთლიანად გადმოვბეჭდეთ „ქართული მწერლობის" მე-9 ტომიდან (გვ. 543):

ვახტანგ ორბელიანი

ლექსი თქმული ტფილისის პირველი კლასსიკურის გიმნაზიის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობაზედ 1881 წ. სექტემბრის 27-ს

ისწავლეთ, ძენო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას;
იშრომეთ, ძენო, ერიდენით ცრუ გზას და ცთომას!
განათლდით სწავლის ლამპარითა, ისწავლეთ კვალად;
სწავლა არს მადლი ღვთაებისა, ცხოველი მარად.
სწავლა კაცს აძლევს მისს უმაღლესს საჭიროებას:
პურს — უპუროსა და მონასა — თავისუფლებას.
სწავლა აიყვანს თქვენს გონებას იმ სიმაღლესა,
სიდამაც განსჭვრეტთ და მისწვდებით დიდს განგებასა,
მის უსამზღვროსა, მშვენიერსა, დიდსა ქმნილებას,
მის დიდს სიბრძნესა და დაფარულს ჭეშმარიტებას.
სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური:
სწავლული იყოს თუმცა ღონით, ძალით უძლური,
მაინც მისია ეს ქვეყანა და მის დიდება;
ვით მზე ნათელი ნათელია სწავლის უფლება.
თქვენის სამშობლოს თქვენკენა რბის გული და თვალი;
ისწავლეთ, ძენო, თქვენ ხელთ არის მის მომავალი!

29 სექტემბერს გამართულ საზეიმო სადილზე მრავალი სადღეგრძელო და სიტყვა წარმოითქვა. გაზეთმა „კავკაზ"-მა კი განსაკუთრებით გამოჰყო გიმნაზიის კურსდამთავრებულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელისა და მისი პირველი ბიოგრაფის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის სიტყვა[11].

გაზეთი აღნიშნავდა, რომ კონსტანტინე მამაცაშვილის სიტყვაში „მითითებულია ქართველთა თვითმყოფადობის დროინდელი დამოკიდებულება სკოლისადმი". ეს „თვითმყოფადობის დრო" ქართველთა დამოუკიდებლობის დროა და კ. მამაცაშვილმა სწორედ იმდროინდელ განათლებასა და სკოლების მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიის ერთ მონაკვეთზე — IX საუკუნიდან XV საუკუნის შუახანებამდე, საქართველოს კულტურის „ყველაზე აყვავებულ" პერიოდზე. სამწუხაროდ, მიუთითებდა კ. მამაცაშვილი, გარეშე მტრების შემოსევებისა და ჩვენი ქვეყნის დარბევების შედეგად, XVIII საუკუნემდე დაქვეითების პერიოდია. სწორედ XVIII საუკუნეს მიიჩნევს იგი ახალი აღორძინების დასაწყისად, როდესაც „დაარსდა ორი სემინარია: თელავსა და თბილისში".

კ. მამაცაშვილმა თავის მოკლე გამოსვლაში შესძლო სრულყოფილად წარმოედგინა საქართველოს ისტორიული წარსული, მისი დიდებული კულტურა და ამ კულტურის ნამდვილად დიდებული მოღვაწენი. მან გასდო დამაკავშირებელი ხიდი იმ საამაყო წარსულსა და არანაკლებ საგულისხმო აწმყოს შორის. გამოავლინა ამ წარსულისა და თანამედროვეობის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ღრმა ცოდნა. ამავე დროს, გვიჩვენა, თუ რა როლი შეასრულა და ასრულებდა მის განვითარებაში თბილისის პირველი გიმნაზია. ნათქვამის ნათელსაყოფად, გარკვეული წარმოდგენისათვის, ურიგო არ იქნება, თუ გავეცნობით ერთ ამონარიდს ამ შესანიშნავი გამოსვლიდან:

„ტფილისის გიმნაზიამ რამდენიმე ფრიად ნიჭიერი ადამიანი გამოზარდა. მე გავიხსენებ აქ მხოლოდ ორ მათგანს: თავად ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვს, რომელმაც 1835 წელს დაამთავრა ამ გიმნაზიის კურსი. მან თავის პოემაში „ბედი ქართლისა" ასახა საქართველოს ტრაგიკული დასასრული XVIII საუკუნეში, სპარსელების მიერ მისი აკლების შემდეგ. ეს პოემა ხელოვნებისა და აზრობრივი სიღრმით ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ ენაზე. ბევრი სხვა პატარა ლექსი დაგვიტოვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1845 წელს.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე — ასევე ამ გიმნაზიის აღზრდილი, უაღრესად ნიჭიერი მწერალი, მან დაწერა შესანიშნავი მოთხრობა „კაცია-ადამიანი", რომელშიც წარმოადგინა გლეხობის ყოფა-ცხოვრება განსაკუთრებით ბატონყმობის დროს. მას აქვს საკმაოდ მრავალი სხვა საინტერესო ნაწარმოები; მას შეეძლო ასევე კარგი წერა რუსულ ენაზე.

კეთილშობილთა სასწავლებლის აღზრდილთაგან შეიძლება აღვნიშნოთ ცნობილი პოეტი თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი და პირველი ქართველი დრამატურგი თავადი გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელიც 1861 წელს გარდაიცვალა (სინამდვილეში გ. ერისთავი გარდაიცვალა 1864 წელს — ჯ. გ.), იესე გარსევანოვი, რომელმაც თარგმნა პეტრე დიდის ისტორია, სხვადასხვა სახელმძღვანელო, მაგალითად, არსენიევის გეოგრაფია და ისტორია, გრეჩის გრამატიკა და დაგვიტოვა კარგი ბიბლიოთეკა. ეს გარსევანოვი ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო კეთილშობილთა სასწავლებლისა, გარდაიცვალა 1862 წ. სასულიერო წოდებაში".

ცნობილმა მწერალმა და სამხედრო მოღვაწემ კ. მამაცაშვილმა თავისი ამ მოკლე გამოსვლით, ფაქტობრივად, პასუხი გასცა ყველა იმ რუს ავტორს, მოხელესა თუ პოლიტიკოსს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ისტორიის დამახინჯებას. ამ გამყალბებელთა მხილება კი შეეძლო მხოლოდ ისტორიისა და ლიტერატურის ღრმა მცოდნეს. ის რომ თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, საზეიმო სადილზე წარმოთქმული მისი სიტყვიდანაც კარგად ჩანს. მითუმეტეს, თუ მას შევადარებთ იმავე სადილზე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის ნ. ბარათაშვილისა და კ. მამაცაშვილის დროინდელი მოსწავლის ლუკა ისარლოვის (ისარლიშვილი) სიტყვას.

ლუკა ისარლიშვილი მონაწილეობდა გიმნაზიის ლიტერატურული წრის მიერ გამოცემულ ალმანახ-ანთოლოგიისა და ჟურნალ „გიმნაზიის ყვავილის" შედგენა-გამოცემაში. 80-იან წლებში ლუკა ისარლიშვილს, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ხელნაწერი წიგნი. ქართველ მოღვაწეთა ამ შესაწირის შედეგად, „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი იქცა უძვირფასეს საგანძურად ქართული კულტურისა"[12].

ლუკა ისარლიშვილი იმ დროს ცნობილი ცენზორი იყო. ეს თანამდებობა იმპერიის მოხელეობას ნიშნავდა. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ის თავის სიტყვაში გუნდრუკს უკმევდა იმპერიას, საქართველოს შეერთებას მიიჩნევდა ქვეყნის ისტორიაში ნათელი ეპოქის დასაწყისად. „ეს მშვიდობიანი ცხოვრება, რომელიც საქართველომ მოიპოვა სრულიად რუსეთის სახელმწიფოს საფარქვეშ, ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფა. საქართველოს, ტახტისა და დიადი ხელმწიფისადმი ჭეშმარიტ ერთგულებასთან ერთად, სწყუროდა გონიერი ცხოვრება, გონებრივი განვითარება, რათა განათლების გზით ჩვენს მამებსა და ჩვენ შეგვძლებოდა ვყოფილიყავით ღირსეული და სასარგებლო მსახურნი რუსეთისა, რომელმაც შეგვიფარა". რუსეთის შემწეობით შესძლო საქართველომ, მოეკლა განათლებისა და წერა-კითხვის წყურვილი, როდესაც გაიხსნა „თბილისის გიმნაზია, სადაც ჩვენ ვსწავლობდით... თბილისის გიმნაზია აღმოჩნდა ის რგოლი, რომელმაც მჭიდროდ დაგვაკავშირა ჩვენ და მთელი აქაური მოსახლეობა

რუსეთთან... ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ პირველ ხანებში აქაურ ოჯახებში არ ლაპარაკობდნენ რუსულად. ვერ გაიგონებდი რუსულ საუბარს: გიმნაზიამ კი ყველა ჩვენ, ტუზემცები, გადაგვაქცია რუსებად. ჩვენ დავიწყეთ რუსულად ცხოვრება: ჩვენი ოჯახური ცხოვრება, ოჯახური ყოფა, ჩვეულებანი, მოწყობილობა — ყველაფერი რუსულია. ამჟამად თითქმის ყველა ოჯახი ჩვენთან ლაპარაკობს რუსულად, როგორც თავის მშობლიურ ენაზე, მის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან რუსული ენა გადაიქცა ჩვენთვის მშობლიურ ენად. და ამით კი ჩვენ თბილისის გიმნაზიისაგან ვართ დავალებულნი... იმის გამო, რომ საქართველო უკვე არის რუსეთის განუყოფელი ნაწილი, რაც ნაანდერძევია თვით საქართველოს ისტორიით — დაე, ყვაოდეს და დღეგრძელობდეს გიმნაზია და ზრდიდეს რუსეთის ერთგულ მსახურს..."[13].

გ. ხელიძის, კ. მამაცაშვილის, ლ. ისარლიშვილის სიტყვები, ვახტანგ ორბელიანის ლექსი მოწმობს, რომ იუბილეზე ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული ბანაკი, ერთს მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე, მეორეს კი კ. იანოვსკი.

ლუკა ისარლიშვილის განცხადებანი, რომ „გიმნაზიამ ყველა გადაგვაქცია რუსებად", რომ რუსული ენა ქართველთათვის გადაიქცა მშობლიურ ენად, პირდაპირი აღიარება იყო, რომ უკვე მიღწეულია ხელისუფლების მიზანი: მოხდა ეროვნებათა რუსებად გარდაქმნა, „ტუზემცები" უკვე ლაპარაკობდნენ და ფიქრობდნენ რუსულად.

ძნელია, პიროვნება, რომელიც გიმნაზიაში სწავლის დროს იმ ლიტერატურული წრის წევრი იყო, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ნ. ბარათაშვილი და სხვები, რომელმაც წვლილი შეიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის შექმნაში, დაადანაშაულო ქვეყნისა და ერის ღალატში, იგულისხმო იმ ბანაკში, რომელიც ებრძოდა ი. ჭავჭავაძის ბანაკს. ხომ არა გვაქვს საქმე ეროვნული ცნობიერების დაახლოებით ისეთივე გაორებასა და დაბნეულობასთან, რაზეც მიუთითებდა აკაკი ბაქრაძე დიმიტრი ყიფიანთან დაკავშირებით?

რაც შეეხება იუბილეზე გამოკვეთილ ორ დაპირისპირებულ ბანაკს, უეჭველად, პირველი ბანაკის წარმომადგენლები მხარს დაუჭერდნენ გიმნაზიისა და მისი მასწავლებლების საქმიანობის მამაცაშვილისეულ შეფასებას და შეუერთდებოდნენ მის პატრიოტულ სადღეგრძელოს. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნებოდა, თუ გავიხსენებდით აკაკი წერეთლის სიტყვას 1885 წელს კ. მამაცაშვილის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადებიდან 70 წლისთავს, რაც წინა წელს შესრულდა[14]. ამ ორგვერდიან სიტყვაში კ. მამაცაშვილი დახასიათებულია სიკეთის მთესველ პიროვნებად, რომელიც თავისი თანაგრძნობით გულს უკეთებდა და ამხნევებდა „ჩვენს მშობლებს", მათგან კი იმკიდა დიდ სიყვრულსა და პატივისცემას, „ღირსეული მამისადმი". აკაკი თავის სიტყვას ასე ამთავრებს: „დღეგრძელი იყოს ბატონი კონსტანტინე და მისი მსგავსი კაცები".

მე-19 საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეული საქართველოში იმპერიის მიერ დამკვიდრებული სასტიკი რეაქციის პირობებში წარიმართა. იმპერიის ხელისუფლების სათავეში მყოფი კ. პობედონოსცევისა და დ. ტოლსტოის გარშემო შემოკრებილმა უკიდურესმა რეაქციონერებმა ნ. იგნატიევმა, გ. კატკოვმა, ა. პაზუხინმა, ი. ვორონცოვ-დაშკოვმა, შუვალოვმა და სხვებმა, კავკასიის მმართველებმა — ჯერ დონდუკოვ-კორსაკოვმა შემდეგ კი შერემეტიევმა და გოლიცინმა, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად სახელდებულმა კ.პ. იანოვსკიმ, რომ იტყვიან, ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყვეს ყოველგვარი ეროვნულის, თავისუფალი აზრის, პროგრესის, დემოკრატიის უბრალო გამოვლენის, ნებისმიერი ეროვნული დაწესებულების წინააღმდეგ, ეროვნული სულისკვეთების ჩასახშობად, სასწავლებლიდან მშობლიური ენის განსადევნად.

განათლების მინისტრმა დ. ტოლსტოიმ სასწავლო გეგმებიდან და პროგრამებიდან ამოიღო ძირითადი საბუნებისმეტყველო საგნები. თურმე, ისინი ახალგაზრდობას სამყაროს განვითარებაზე იმპერიისათვის არასასურველ შეხედულებებს უყალიბებდა და მეფის ხელისუფლებისა და რელიგიის მოძულეებად ზრდიდა. ამავე მოსაზრებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ისტორიის საათები. ისტორიის პროგრამიდან ამოღებულ იქნა სოციალური საკითხები და დარჩა მხოლოდ ისეთები, რაც მოსწავლეებს ჩაუნერგავდა რწმენას, რომ „კაცობრიობის ბედი, მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მუდმივად უმჯობესდება, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ცალკეულ პიროვნებათა კეთილი წამოწყებანი არასოდეს რჩება კეთილ შედეგთა გარეშე“[15].

კეთილ საქმეთა წამომწყები ცალკეული პიროვნებანი, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერატორები იყვნენ. ისტორიის პროგრამებიც, ძირითადად, ამ კეთილ საქმეთა და მათ წამომწყებთა ცხოვრება-მოღვაწეობას, მხოლოდ რუსეთის ისტორიას გულისხმობდა, ისიც ცალმხრივად და დამახინჯებულად. თუ რომელიმე ისტორიას შეესაბამებოდა ილიას სიტყვები, რომ იგი „მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა“, სწორედ იმ ისტორიაზე ითქმოდა, რასაც ასწავლიდნენ აღნიშნული პროგრამების მიხედვით. რა გასაკვირია, რომ ისტორიის იმდროინდელ პროგრამებში ადგილი ვერ ჰპოვეს ჩვენი ქვეყნის დიდებულმა მეფეებმა (აღარას ვამბობთ ჩვენი ისტორიის სხვა საკითხებზე). იმპერია არა მხოლოდ აუქმებდა ქართულ სკოლებს, არამედ საქართველოში ამცირებდა თვით რუსულ სკოლებსაც. 80-90-იან წლებში ძლიერ მცირე იყო რუსული საშუალო სკოლები. გიმნაზიები მხოლოდ ქუთაისსა და თბილისში არსებობდა, იქვე იყო წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლები. მხოლოდ თბილისში მოქმედებდა სემინარიები: რუსული და სომხური — ნერსესიანისა. რა თქმა უნდა, ისინი ვერ აკმაყო-

ფილებდნენ მზარდ მოთხოვნილებას, ვერ უზრუნველყოფდნენ უმაღლესი სკოლისათვის საჭირო კონტინგენტს, მეფის ხელისუფლება დაინტერესებული არ იყო ნაციონალური უმცირესობის განათლებით. საშუალო სასწავლებელი ორჯერ და მეტ თანხას მოითხოვდა, ვიდრე სოფლის სკოლები, მით უფრო, რომ ხშირად ეს სკოლები ადგილობრივი სახსრებით, უმეტესწილად მოსახლეობის შემოწირულებით არსებობდნენ.

70-80-იანი წლები აღინიშნა დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოებით. 1884 წელს გამოქვეყნდა დებულება სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესახებ. მისი გამოქვეყნებიდან 10-15 წელში თითქმის ყველა დიდ სოფელში გაიხსნა სამრევლო (დაწყებითი) სკოლები. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად შემცირდა მსურველთა მიღება საშუალო სკოლაში. მაგალითად, თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში 90-იან წლებში ადრინდელზე გაცილებით ნაკლებს იღებდნენ. ხშირად მსურველთა რაოდენობა ორჯერ და მეტად აღემატებოდა ჩარიცხულებს. მსურველი მეტიც იქნებოდა, თუ არა კიდევ ერთი დაბრკოლება: გიმნაზია ქალაქში იყო, მსურველთა უმრავლესობა კი მაზრებიდან იყვნენ. პანსიონი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა. ამიტომ გიმნაზიაში უმეტესწილად ქალაქში მცხოვრებნი ხვდებოდნენ. ისინი კი, უმთავრესად, რუსი დიდმოხელეებისა და სომეხი ვაჭრების ოჯახებიდან იყვნენ. დამაფიქრებელია სასწავლებლიდან განთესილთა რაოდენობაც. თუ 1890 წელს გიმნაზია 57 მოწაფემ დაამთავრა, განითესა 98, 1900 წელს ეს ციფრები შესაბამისად იყო 67 და 104. განთესვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ადგილობრივ პირობებთან შეუთავსებლობა. ეს გასაკვირიც არ არის: განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმები და პროგრამები ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ერთნაირად სავალდებულო იყო როგორც შიდა რუსეთის, ასევე განაპირა მხარეების გიმნაზიებისათვის. ასე, მაგალითად, ერთნაირი საგნები და გაკვეთილების კვირეული განაწილება თანაბარი ჰქონდათ შიდა რუსეთის გიმნაზიებს და თბილისის პირველ გიმნაზიას. პროგრამაში უგულებელყოფილი იყო როგორც ეროვნული ისტორია, ასევე ქართული ენაც. იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა გიმნაზიის სასწავლო გეგმიდან ქართული ენის ამოღება და ბევრი საათის დათმობა ძველი ბერძნული და ლათინური ენებისათვის, რასაც ზოგიერთი მკვდარ და უსარგებლო ენებს უწოდებდა[16].

ნიშანდობლივია, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ როგორც ზოგიერთი რუსი პედაგოგი, ასევე თვით განათლების სამინისტროსა და კავკასიის სასწავლო ოლქის მუშაკებიც. ასე მაგალითად, თბილისის ვაჟთა გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი დელარუა წერდა, რომ სლავური, ბერძნული და ლათინური ენების შესწავლა „მხოლოდ და მხოლოდ უამრავი წესების დაზეპირებაში გამოიხატება", მოსწავლეები ამ წესებს უცქერიან როგორც მშრალ, გამოუყენებელ

მასალას“ და „ზეპირობისა და მეცადინეობის პროცესში თანდათან იმსჭვალებიან ამ წესებისადმი სიძულვილით“[17].

რა თქმა უნდა, არავინ უარყოფდა ლათინური და ბერძნული ენების, ანდა რუსული ენის სწავლების საჭიროებას. მის გარეშე უმაღლესში სწავლის მსურველი მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგანაც რუსეთის უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად აუცილებელი იყო რუსული, ლათინური და ბერძნული ენების ცოდნაც. აი, რას წერდა დ. ყიფიანი ჩვენს გიმნაზიაში რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით: „შუაგულ გუბერნიების გიმნაზიებს, სადაც ბავშვები შედიან რუსული ენის მცოდნენი, როგორც მშობლიური, სახლში სალაპარაკოსი, — ამ ენის სასწავლებლად დანიშნული აქვთ 24 გაკვეთილი; აქ კი — 22, მაშინ როდესაც კუთვნილი იყო სამართლიანობითაც და ადამიანობითაც საზოგადოდ, რომ 48 დაენიშნათ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო; ეს ენა ხომ აქ იმ ბავშვების უმეტესობისათვის, რომლებიც გიმნაზიაში შედიან, სამშობლო ენა არ არის და, მიუხედავად ამისა, ისე კი უნდა შეისწავლონ, რომ ამით გაიარონ ყველა საგნები და გაიარონ ისე, რომ დაიმსახურონ ისეთივე ნიშნები, როგორიც შემოღებული აქვს სამინისტროს რუსებისათვის“[18].

როგორც ვხედავთ, დ. ყიფიანი არამცთუ წინააღმდეგი იყო რუსული ენის გაზრდილი მოცულობით სწავლებისა, არამედ, პირიქით, იგი მოითხოვდა თბილისის გიმნაზიაში რუსული ენისათვის ორჯერ მეტ საათებს, მაგრამ ეს მოთხოვნა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ სხვა ენის, მათ შორის, რუსული ენის სწავლება ქართული ენის ხარჯზე მომხდარიყო. ეს კი ასე ხდებოდა, მესამე კლასის შემდეგ ქართული ენა აღარ ისწავლებოდა, რუსული ენის შესწავლა იწყებოდა პირველი კლასის მეორე ნახევრიდან. მესამე კლასის შემდეგ ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა, რაც ქართველი მოსწავლეებისათვის შეუძლებელი იყო, ამიტომ მშობლებს შვილები საყველპურო რუსულის ცოდნით გაყავდათ სასწავლებლიდან და ცდილობდნენ სადმე სამოქალაქო სამსახურში მათ მოწყობას. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გიმნაზიიდან ქართველ მოსწავლეთა განთესვისა.

ყველა ზემოაღნიშნული მონაცემი ამოღებულია თბილისის ვაჟთა გიმნაზიის ყოველწლიური ანგარიშებიდან. ეს ანგარიშები სხვა მხრივაც საინტერესოა. ისინი მეტყველებენ, რომ გიმნაზია, ძირითადად, სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა და მისი მატერიალური ბაზა დამაკმაყოფილებლად იყო მიჩნეული. თუმცა სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი სახსრების გარდა, გიმნაზიის ბიუჯეტში შედიოდა კერძო შემოწირულებანი, სწავლის ქირა, საღამო-კონცერტებიდან მიღებული და სხვა თანხები. მაგალითად, 1890 წლისათვის სახელმწიფო ხარჯი იყო 64101 მანეთი, სწავლისა და პანსიონის ქირა 48551, სხვადასხვა შემოსავლებიდან კი 7593 მანეთია გიმნაზიის ბიუჯეტში შესული.

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მატერიალური ბაზა თითქმის ორჯერ და ზოგჯერ მეტადაც აღემატებოდა სხვა სასწავლებლების ბაზას. ასევე, გაცი-

ლებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი დამხმარე სახელმძღვანელოებითა და კლასგარეშე ლიტერატურით. მაგალითად, 1890 წელს ვაჟთა პირველ გიმნაზიას შეუძენია 2196 მანეთის სასწავლო ნივთები, თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიას — 788 მანეთისა, ხოლო ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიას კი 724 მანეთის. სახელმძღვანელოები უნიფიცირებული იყო, ერთნაირად სავალდებულო იმპერიის ყველა გიმნაზიისათვის, რაც შეეხება კლასგარეშე ლიტერატურას, იგი მხოლოდ დაშვებული და რეკომენდებული იყო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საგანში გამოვიდა ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოები, მაგალითად, 1891 წ. ქართულ ენაზე გამოვიდა მ. ყიფიანის „გეომეტრია" ორ ნაწილად, 1893 წელს ვ. ყიფიანის „დაწყებითი ალგებრა" და კიდევ სხვანი, რომელთაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, არც ერთი მათგანი არ დაუშვიათ სახელმძღვანელოდ.

გიმნაზიის წიგნადი ფონდი სხვა სასწავლებლებთან შედარებით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა — 15763 ტომი, როდესაც თბილისის ვაჟთა II გიმნაზიაში მათი რიცხვი 7459-ია; გიმნაზიას შეეძლო მხოლოდ ხელისუფლების მიერ რეკომენდებული წიგნების შეძენა და თუ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა არარეკომენდებული ლიტერატურა, მაშინვე ხდებოდა მისი ჩამორთმევა.

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ბიბლიოთეკა, სხვა სასწავლებლების ბიბლიოთეკებთან შედარებით, ყოველმხრივ გამორჩეული იყო. მისი წიგნადი ფონდის შექმნა დაიწყო ა. პეტრიაშვილის დირექტორობის დროიდან და მნიშვნელოვნად მდიდრდებოდა ბუკრინსკის, მანასეინის, გრუბერის და დემენტიევის დირექტორობის პერიოდში. მათი ტრადიციების გამგრძელებელი იყო ლ. მარკოვი. XX საუკუნის დასაწყისიდან გიმნაზიაში ქართველი დირექტორების ხანაა და ბიბლიოთეკაც განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

გიმნაზიის 1886 წლის ანგარიშში საინტერესო მონაცემებია მოცემული სასწავლებლის შენობის შესახებ. გიმნაზიის ძველი შენობა 1871 წელს ძირფესვიანად გადაკეთდა. შემდეგ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა უკეთესობისაკენ. ფაქტობრივად, 70-იან წლებში მიიღო ის გარეგნული სახე, რომელიც დღესაც შენარჩუნებული აქვს ორასწლოვან სასწავლებელს.

როგორც 1886 წლის ანგარიშშია აღნიშნული, თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია აშენდა თბილისის საუკეთესო ქუჩის — გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტის ცენტრალურ ნაწილში, მთავარმართებლის სასახლის გვერდით. იმჟამინდელი გაანგარიშებით, გიმნაზიის შენობა შეფასებულია 206.140 მანეთად. აშენებისას იგი გაანგარიშებული იყო 400 მოსწავლისა და 100 პანსიონერისათვის. 1886 წელს კი იგი ვეღარ აკმაყოფილებდა 750 მოსწავლესა და 170 პანსიონერს. ლ. მარკოვი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ როგორმე შექმნილიყო მოსწავლეებისათვის როგორც მეცადინეობის, ასევე დასვენების მეტნაკლებად ნორმალური პირობები. შენობაში შექმნეს ვენტილაციის სისტე-

მა, გაიყვანეს წყალსადენი. გიმნაზიის მთავარ ფასადს მიუშენდა ფართო დარბაზი, რომელიც მოსწავლეთა სასურველ შესაკრებ ადგილად გადაიქცა. დილაობით, მეცადინეობის დაწყებადე, აქ ისმენდნენ ლოცვას. დარბაზში ეწყობოდა დასაშლელი სცენა, სადაც მოსწავლეები სპექტაკლებს უცხო ენებზე ატარებდნენ. იმავე დარბაზში ტარდებოდა მუსიკის გაკვეთილები. დარბაზი, ფართობთან ერთად, კარგი რეზონანსითაც გამოირჩეოდა. იგი აგრეთვე გამოიყენებოდა ცეკვებისათვის, ტანვარჯიშისათვის, რუსულ ენაზე თეატრალიზებული მხატვრული კითხვისათვის და ა.შ.

გიმნაზიის დირექცია ზრუნავდა ზაფხულის ცხელ დღეებში ობოლი მოსწავლეების ქალაქიდან მანგლისში გაყვანისათვის. გიმნაზია ადრე ამისათვის ბინას ქირაობდა. 1885 წ. აქაურმა მცხოვრებლებმა სპეციალურად აააგეს შენობა, სადაც დასვენება შეეძლო 50 პანსიონერს. გიმნაზია სახლის პატრონს წელინადში 150 მანეთს უხდიდა. ასეთი მცირე გადასახადი იმით აიხსნებოდა, რომ გიმნაზიამ წინასწარ შენობის აგებისათვის გადაიხადა 300 მანეთი. ხელშეკრულებით 6 წლის მანძილზე ამ თანხას სახლის პატრონი იხდიდა ყოველწლიურად 50 მანეთის ოდენობით. დასასვენებლად მყოფ მოსწავლეებს ზედამხედველობდნენ იქვე მცხოვრები გიმნაზიის ინსპექტორები, მორიგე აღმზრდელი, ლალა (ძიძა) და ორი რეპეტიტორი. მათთან ხშირად ადიოდა გიმნაზიის დირექტორი ლ. მარკოვი. დირექცია მიიჩნევდა, რომ, რადგან არდადეგები ორნახევარი თვე გრძელდებოდა, რეპეტიტორები მოსწავლეებს დღეში ორ საათს ამეცადინებდნენ, რათა არ დავიწყებოდათ ნასწავლი. მეცადინეობას ატარებდნენ განსაკუთრებით მათთან, ვისაც საშემოდგომო გამოცდები ჰქონდათ დანიშნული. მანგლისში დასასვენებლად ყოფნის შედეგები ანგარიშში ასეა შეფასებული: 1) მოსწავლეები ბრუნდებიან გაჯანსაღებულნი; 2) არ იყვნენ მოწყვეტილნი სასწავლო მეცადინეობას; 3) დადებით როლს ასრულებდა ზნეობრივ აღზრდაში.

სოფლის გარემოსა და ბუნების დადებითი გავლენის გარდა, უფრო ქმედითი იყო ინდივიდუალური აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რადგანაც პედაგოგ-აღმზრდელებს სწავლის პერიოდში 170 პანსიონერთან ერთდროულად უხდებოდათ როგორც სასწავლო, ასევე აღმზრდელობითი საქმიანობა. მანგლისში მოსწავლეთა გაყვანა ავტორიტეტული რომ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ თვით შეძლებული მშობლებიც კი თხოულობდნენ, წაეყვანათ მათი შვილებიც. ამის საშუალებას შენობა არ იძლეოდა. დასასვენებლად პანსიონის გაყვანა ყოველწლიურად 450 მანეთამდე ჯდებოდა. 250 მანეთი ჯდებოდა გიმნაზიის ინსპექტორთა ხელფასი, აგარაკის დაქირავება და მიმოსვლა, ე.ი. სულ 700 მანეთი.

რაც შეეხება გიმნაზიის შენობას, იგი უზრუნველყოფილი იყო კარგი ავეჯით. კეთილმოწყობილი იყო ცალკეული სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, პანსიონის საწოლი ოთახები, სათავსოები, აბანო და სხვა. ყოველ შა-

ბათს შენობაში ტარდებოდა დეზინფექცია. აი, რას წერდა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (1884 წ. 58) გიმნაზიის სანიტარული დათვალიერების შედეგებზე: „საკლასო და საძინებელი ოთახები, საავადმყოფო, სამზარეულო, საწყობები, სარდაფები შესანიშნავად გამოიყურება. უნაკლოდ გამოიყენება საანეზაციო (ფრანგულად ნიშნავს გაჯანსაღებას) საშუალებანი და სანიტარული წესები. სისუფთავე ყველგან ბრწყინვალეა. ბავშვები მუდმივად და დროულად სარგებლობენ სუფთა ჰაერით. კომისიამ შეამოწმა პანსიონერთა საკვები პროდუქტები და მარაგი. ყველა პროდუქტი ახალია და ძლიერ კარგი ხარისხის. აღვნიშნავთ რა თბილისის პირველი გიმნაზიის უნაკლო სანიტარულ მდგომარეობას, არ შეგვიძლია სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ სხვა სასწავლებლების აღსაზრდელებს არა აქვთ ასეთი დალოცვილი და ჯანსაღი სანიტარული პირობები, როგორიც არსებობს პირველ გიმნაზიაში“[19].

სხვა სასწავლებლებთან შედარებით, თბილისის პირველ გიმნაზიაში გაცილებით მაღალი იყო აკადემიური მაჩვენებლებიც. ამის შედეგია ის, რომ გიმნაზიის კურსდამთავრებულებიდან, რომლებიც უმაღლესში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ 90-იან წლებში, თითქმის ყველანი ჩაირიცხნენ. 1890 და 1900 წლების ანგარიშები მეტყველებენ იმაზე, რომ ამ დროისათვის დიდი იყო სწრაფვა სამედიცინო, მათემატიკის და იურიდიულ ფაკულტეტებისაკენ. კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი ეწყობოდა სამხედრო სასწავლებლებში.

რა თქმა უნდა, ეს დადებითი მაჩვენებლები შედეგია გიმნაზიაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისა, რაც, უეჭველად, დირექტორის, ლევ მარკოვის კარგი ხელმძღვანელობისა და ორგანიზატორული მუშაობის დამსახურებაა. მარკოვი საქმით ამართლებდა ქართველი მოსახლეობისათვის დაარსებული გიმნაზიისადმი თავის კეთილგანწყობას. ზრუნავდა რა გიმნაზიის ძირითადი საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური დონის უზრუნველყოფისათვის, მას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა გიმნაზიის მთავარი ამოცანა — ხელი შეეწყო ქართველთა რუს ხალხთან შერწყმისათვის. ამ ამოცანის განხორციელება 1886 წლის ანგარიშში მიეწერა კ. იანოვსკის: „1878 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად „ტაინი სოვეტნიკ“ კირილ პეტრეს ძე იანოვსკის დანიშვნით კავკასიის გიმნაზიების, მათ შორის თბილისის, ორგანიზაცია საბოლოოდ დაუახლოვდა რუსეთისას. ამრიგად, ამჟამად იმპერიის გიმნაზიების სასწავლო გეგმები განუხრელად სრულდება თბილისის გიმნაზიაშიც. რუსულისაგან განსხვავება სასწავლო ორგანიზაციაში იმაში მდგომარეობს, რომ რუსულ ენას მეტი გაკვეთილები აქვს დათმობილი და დაბალ სამ კლასში ისწავლება ადგილობრივი ენებიც“[20]. რუსული ენის საათების გაზრდა მოხდა ადგილობრივი ენების შემცირების ხარჯზე. რუსული ენის სწავლებისათვის საათების გაზრდით და ქართული ენის უგულებელყოფით მიიღწეოდა დასახული მიზანი.

თბილისის პირველი გიმნაზიის 50 წლისთავის იუბილის დღეებში ორ ბანაკს შორის წარმართული ბრძოლა ამ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიზანთან იყო დაკავშირებული. ბანაკს, რომელიც საქართველოს სასწავლებლებში ქართული ენის შენარჩუნებისა და ამ ენაზე საგნების სწავლებისათვის იბრძოდა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სათავეში ედგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი მედროშე ილია ჭავჭავაძე.

3. მედროშე

§ 1. ხანა პირველწრთობისა

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შეაღო თბილისის პირველი გიმნაზიის კარები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული აზროვნების საჭეთმპყრობელმა ილია ჭავჭავაძემ. ვიდრე იგი დედა-სამშობლოს წინამძღოლად ჩამოყალიბდებოდა, პირველი წრთობა სწორედ ამ სასწავლებელში მიიღო. ეს იყო მისი ყრმობის ხანა. თავისი ცხოვრების ახალი ხანის დასაწყისზე ილია ავტობიოგრაფიაში წერდა:

„...მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმცა რაევსკის და ჰაკკეს პანსიონში. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო“[21].

მაშინ სწავლა იანვარში იწყებოდა. თავად გრიგოლ ჭავჭავაძესაც შვილი თბილისში 1848 წლის იანვარში ჩამოუყვანია და ვაუთა გიმნაზიის პანსიონში მიუყვანია. ავტობიოგრაფიაში დიდი ილია კმაყოფილებით იგონებს პანსიონის წლებს:

„პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდაან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდორმა ნეიდგარდტმა თავის შვილების აღსაზრდელად, ხოლო ნეიდგარდტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმდენ მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავისი შეგირდების მიმართ, იმდენს სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივს განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალს დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ იმათ ანდომებდა; ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და ჰმართავდა ხელ-და-ხელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

ილიასეული დახასიათებით, ჰაკკე, მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, შესანიშნავ პედაგოგ-აღმზრდელად წარმოგვიდგება. როგორც

ჩანს, იგი იმდენად შეთვისებია თბილისსა და მის მაცხოვრებლებს, რომ კავკასიის ხაზის სარდალ და საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდჰარდტის კავკასიიდან 1844 წელს გაწვევის შემდეგ, როდესაც კავკასიას მეფისნაცვლად 1845 წლის იანვარში მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი მოევლინა, თბილისში დარჩენილა. რა თქმა უნდა, ჰაკკეს დამსახურება იყო, რომ მისი პანსიონი „მაშინდელ კერძო სასწავლებლებზედ უკეთესი იყო". ეს უკეთესობა მრავალმხრივ ვლინდებოდა: სწავლებითაც, დისციპლინითაც. სხვა პანსიონები თუ ორწლიანი იყო, აქ სწავლება სამწლიანი ყოფილა. პანსიონს პედაგოგები ძირითადად გიმნაზიიდან ჰყოლია მოწვეული. პანსიონის ერთ-ერთი მფლობელი ალექსანდრე ივანეს ძე რაევსკი-კრესტინოვი, რომელსაც ხარკოვის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, თბილისის გიმნაზიის რუსული სიტყვიერების მასწავლებელიც იყო. პანსიონში წლიური გამოცდები გიმნაზიიდან მოწვეული მასწავლებლების მონაწილეობით ტარდებოდა და ეს შემთხვევითი არ გახლდათ. როგორც ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე წერდა, „სასწავლებელი თავისის კურსით ეთანასწორება გიმნაზიის დაბალ კლასებს (ალბათ პროგიმნაზიულს)... საზოგადო საგნების გარდა, ასწავლიდნენ ძველ ენებში — ლათინურს, ახალში — ფრანგულს, გერმანულს, აგრეთვე ქართულსა და სომხურს. სუფთა წერისა და ხატვის გარდა, ევროპულ ცეკვასაც ჰქონდა დათმობილი რამდენიმე გაკვეთილი"[22].

ენებიდან ისწავლებოდა აგრეთვე თათრული (აზერბაიჯანული), რისთვისაც მოწვეული იქნა სახელგანთქმული აზერბაიჯანელი პოეტი მირზა შაფი სადირ-ოღლი, რომელიც იმავე დროს გიმნაზიაში ასწავლიდა. საზოგადო საგნებში, რასაც პანსიონში ასწავლიდნენ, შედიოდა საღვთო სჯული, არითმეტიკა, მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, თითქმის ყველა ის საგანი, რაც ისწავლებოდა იმ დროს თბილისის გიმნაზიის I, II და III კლასებში. პანსიონი, ფაქტობრივად, თავისი შინაარსით მართლაც პროგიმნაზიური იყო. ამიტომ ილია ჭავჭავაძე პანსიონში სამი წლის სწავლების შემდეგ, 1851 წლის იანვარში გიმნაზიის მეოთხე კლასში მიიღეს.

გრ. ყიფშიძე პანსიონის მოწაფეთა რიცხობრივ შემადგენლობასაც გვამცნობს: „1852 წელს დაახლოებით ორმოცამდე ყოფილა მოწაფეთა რიცხვი. ამათ შორის 3/4Dპანსიონერები და 1/4Lნახევარპანსიონერები, თავადისშვილნი 5, რუს მოხელეთა შვილნი — 25, უცხოელნი — 2, სომეხთა შვილების რიცხვი არა სჩანს, არა სჩანს აგრეთვე მოქალაქე ქართველთა შვილნი იყვნენ თუ არა.

შესატანი ფასი პანსიონერთათვის ყოფილა დაწესებული 250 მან., ნახევარპანსიონერთათვის — 200 მან[23]. პანსიონერები ღამეს პანსიონში ათევდნენ, ხოლო ნახევრადპანსიონერები ღამით სახლებში მიდიოდნენ.

ჰაკკე-რაევსკის პანსიონში 1828-1850 წლებში სწავლის შემდეგ, ილია 1851 წელს ხდება მოსწავლე გიმნაზიისა, რომელიც შეიქმნა იმ სასწავლებლის ბაზა-

ზე, სადაც თავის დროზე მამამისი გრიგოლ ჭავჭავაძე სწავლობდა. ილიას ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ:

„15 წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი, მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავი“.

ილია თუ კმაყოფილებით იგონებს პანსიონში ყოფნის წლებს, სამწუხაროდ, თითქმის არაფერს წერს გიმნაზიის პერიოდზე. როგორც გრ. ყიფშიძე აღნიშნავდა, ავტობიოგრაფიაში „პანსიონის შესახებ ცნობანი კიდევ საკმაოა და გიმნაზიისა კი სულ მცირეა“[24].

ილიას ბიოგრაფები ცნობების ამ სიმცირეს იმით ხსნიან, რომ ილიას სასიამოვნოდ მოსაგონარი არაფერი დარჩაო. აღნიშნავენ, რომ გიმნაზიაში მეცადინეობა ემყარებოდა უაზრო, შეუგნებელი დაზეპირების მეთოდს, გაბატონებული იყო მოსწავლეთა სასტიკი ფიზიკური დასჯა. სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები არ იძლეოდნენ საჭირო ცოდნას. გიმნაზიის მთელი მუშაობის რეჟიმი, ორგანიზაცია, შინაარსი და სწავლების მეთოდები ემსახურებოდა მეფის ერთგული მოხელეებისა და ცარიზმის უსიტყვო დამცველთა აღზრდის მიზნებს. ასეთ პირობებში, ნიჭიერ, გონებამახვილ და ფართო ცოდნას მოწყურებული ილია, როგორც მას ახასიათებდნენ, ვერ დააკმაყოფილებდა გიმნაზიის სასწავლო კურსი. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ილია განსაკუთრებული ბეჯითობითა და გულმოდგინებით დაეწაფა თვითგანვითარებას.

გიმნაზიაში შიპულინის, იაროსლავსკის, გასენ-მილერისა თუ ჟელიხოვსკის მსგავსთა გვერდით, რა თქმა უნდა, იყვნენ ჭეშმარიტი აღმზრდელ-პედაგოგები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გიმნაზიაში ასწავლიდა გერმანულს ჰაკკეც, რომელსაც ასე კარგად იგონებს ილია ჭავჭავაძე. აქვე მასწავლებლობდა ჰაკკესთან ერთად პანსიონის დამაარსებელი რაევსკიც. მათ გარდა, გიმნაზიაში გაკვეთილებს ატარებდნენ პანსიონის სხვა მასწავლებლებიც, რომელთაგან, თუ ყველა არა, ზოგიერთი, ალბათ, შემდეგაც ასწავლიდა ილიას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ილიას მოწაფეობის დროს გიმნაზიის მზრუნველი იყო დიმიტრი ყიფიანი — გიმნაზიაში ანტიპედაგოგიური მეთოდების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, ხოლო მოწაფეთა ზედამხედველი — ცნობილი ივანე კერესელიძე. როგორც ქრ. რაჭველიშვილი აღნიშნავს, ადრე გიმნაზიის საპატიო მზრუნველი ყოფილა მ.ტ. ლორის-მელიქოვი, რომელსაც შემდეგ იმპერიის ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალი პოსტი ეკავა და, რომელთანაც დიმ. ყიფიანს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ქრ. რაჭველიშვილი ასახელებს გიმნაზიის იმდროინდელ მასწავლებლებსაც. იგი წერდა:

„მასწავლებლები მაშინ ორ წყებად იყოფოდნენ — იყვნენ უფროსი და უმცროსი მასწავლებელნი. ილიას დროს ასწავლიდნენ: რუსულ სიტყვიერებას ვას. მიხ. სპერანსკი და გ.ჩ. ზახაროვი; ისტორიას — ი.ვ. გულიელმი, ლ.პ. ზაგურსკი, შემდეგ ვ.კ. გეორგიზონი, ქართულ ენას — ზაქარია სტეფანეს ძე ყორ-

ღანოვი და ი. თურქესტანიშვილი, ბუნებისმეტყველებას — ა. ბეკეტოვი და სხვანი. ამ მასწავლებელთაგან ყორღანოვი მასწავლებლობდა „უკვე ღრმად მოხუცებული, 60-იან წლებშიაც"[25].

პროფესორმა გ. შარაძემ ილია ჭავჭავაძის შესახებ თავის საინტერესო და ვრცელ ორწიგნიან ნაშრომში წყაროების მიხედვით აღადგინა, თუ რა საგნები ისწავლებოდა 1851-1856 წლებში და ვინ იყვნენ თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლებად მოწვეულნი. მას საკმაოდ გრძელი სია მოაქვს, რომელთაგანაც გამოჰყოფს მირზა შაფის (1799-1852) და ანდრია ბეკეტოვს (1825-1902). მირზა შაფი 40-იან წლებში თბილისში მოღვაწეობდა. გიმნაზიის გარდა, სპარსულ და აზერბაიჯანულ ენებს პანსიონშიც ასწავლიდა. „მირზა შაფიმ შეიყვარა ქართული სინამდვილე, რაც აისახა კიდეც მის პოეზიაში („დამშვიდობება თბილისთან"). იგი თბილისში გარდაიცვალა. მსოფლიო აღიარება მირზა შაფის, როგორც პოეტს და მოაზროვნეს, მოუტანა გერმანელმა პოეტმა და მოგზაურმა ფ. ბოდენშტედტმა, რომელმაც 1844 წლიდან თბილისში ყოფნის დროს გაიცნო აზერბაიჯანელი პოეტი, ჩაიწერა მისი ლექსები და შემდეგში გერმანულად თარგმნა და გამოსცა ისინი".

გ. შარაძე განაგრძობს: „ანდრია ბეკეტოვი სახელგანთქმული რუსი ბოტანიკოსი, აკადემიკოსი, უფროსი ძმა აკად. ნიკოლოზ ბეკეტოვისა, პოეტ ბლოკის ბაბუა, ყაზანის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1849 წელს ჩამოსულა თბილისში და აქაურ გიმნაზიაში ბუნებისმეტყველების მასწავლებლად დაუწყია მუშაობა, აქვე გადაუდგამს პირველი მეცნიერული ნაბიჯები: კერძოდ, 1853 წ. თბილისის ფლორის გამოკვლევისათვის ა. ბეკეტოვს პეტერბურგში მიანიჭეს მაგისტრ-ბოტანიკოსის ხარისხი. თბილისიდან იგი გადავიდა მოსკოვში, სადაც დაიცვა დისერტაცია (1858 წ.), შემდეგ მოღვაწეობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, 1861 წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორია, 1876-83 წლებში კი — ამ უნივერსიტეტის რექტორი"[26]. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის მე-4 ტომიდან ამ მონაცემებს შეიძლება დავუმატოთ, რომ 1886 წელს მას დაუარსებია პირველი სამეცნიერო ჟურნალი. იგი იყო ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი ბუნებისმეტყველ მკვლევართა საზოგადოებისა. 1895 წელს აურჩევიათ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

კიდევ ერთ მასწავლებელზე ამახვილებს ყურადღებას გ. შარაძე. მას მოაქვს მონაცემები ლეონარდ ზაგურსკიზე ქრ. რაჭველიშვილის წიგნიდან: „აქ მოხსენებული ზაგურსკი, ისტორიის მასწავლებელი, კრიტიკოსი და კავკასიისმცოდნეობის ბიბლიოგრაფიც იყო. მას ილიასთან ურთიერთობა ჰქონია 60-იან წლებშიც, რადგან 1864 წელს ილია სწერს თავის საცოლეს ოლღა გურამიშვილს: წერილი იმიტომ დაგიგვიანე, რომ წუხელის ზაგურსკი იყო ჩემთან ღამის ორ საათამდეო. ზაგურსკი მონაწილეობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების

კავკასიის განყოფილების სამეცნიერო კრებულებში, საერთოდ, განათლებული ადამიანი იყო და, ალბათ, ილიაზეც ჯეროვანი გავლენა ექნებოდა[27].

ლ. ზაგურსკის შესახებ მოგვითხრობს ისტორიკოსი ქეთევან წერეთელი: „ზაგურსკი ეროვნებით პოლონელი იყო. პირველად თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ ქუთაისში გადავიდა და სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე მასწავლებლობდა. ნ. ნიკოლაძე წერს: „ნიკო ღოღობერიძე ჯერ ისევ მოწაფეობის დროს დაუმეგობრდა თავის მასწავლებელ ლ. პ. ზაგურსკის, გადმოსახლებულ პოლონელს და ჭკუამახვილ დიპლომატს, რომელიც 50-იანი წლების ნახევარში ახალგაზრდებს შორის გაბატონებულ ლიბერალურ განწყობილებას მეტად მოხერხებულად ეროვნულ ელფერს აძლევდა და ეროვნულ კალაპოტში აყენებდა“... დადებით პიროვნებად ახასიათებს ლეონარდ ზაგურსკის პეტრე მელიქიშვილიც თავის მოგონებაში. ასეთივე საინტერესო პიროვნებად ჩანს იგი თავისი შრომების მიხედვით. ზაგურსკი ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნას. თავის მონოგრაფიებში, სტატიებში იგი ეხება არა მარტო საქართველოს ისტორიის საკითხებს, არამედ ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, გეოგრაფიის საკითხებსაც[28].

რა თქმა უნდა, სწორედ მირზა შაფის, ანდრია ბეკეტოვის, ლეონარდ ზაგურსკის მსგავს მასწავლებელთა დამსახურებაა, რომ იმ დროს თბილისის I გიმნაზია საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. აი, როგორი მასწავლებლების ხელმძღვანელობით უხდებოდა სწავლა ილია ჭავჭავაძეს.

ილიას სიყრმის მეგობარი და შემდეგ მისი დის ქმარი კოხტა აფხაზი წერდა: „გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს-სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისთვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით“...[29].

კოხტა აფხაზი აზრს ილიას „სიზარმაცეზე“ კიდევ აღრმავებდა, როდესაც მისი სტუდენტობის პერიოდზე წერდა: „აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელიწადი სასწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა, სხვათა შორის, ბევრს ძველ ქართულ წიგნებს, მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღეღამეში ხშირად 12-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია“.

„ზარმაცი დიდი იყო ილია“ — ეს შეხედულება გავრცელებული რომ ყოფილა, ამას ადასტურებს ილიას წერილი აკაკისადმი, დათარიღებული 1886 წლის 5 იან-

ვრით, რომელშიც იგი წერდა: „...თუ აქამდე ეს წერილი დაგიგვიანე, მაგას ნურც ჩემ განთქმულ ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგულიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული"[30]. განა შეეძლო ზარმაც ადამიანს „ეგზამენების" მოახლოებისას 18-20 საათი ემეცადინა? ანდა ისეთი მეცადინეობით შეიძლებოდა სასწავლო საგნების „იშვიათი გულმოდგინებით და საფუძვლიანად" შესწავლა? ან შეიძლება ზარმაც ადამიანზე ითქვას ის, რასაც ექვთიმე თაყაიშვილი წერდა ილიაზე: „არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო ნაწარმოებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი"[31]. იქნებ, პასუხი ილიას სიზარმაცეზე გვეპოვნა იონა მეუნარგიას მოსაზრებაში: „ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე, აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება... ზარმაცობა-მაპატიეთ ამ სიტყვის თქმა და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს"[32].

როგორც ჩანს, ილია ვერ ეგუებოდა სწავლების იმ მეთოდებს, რაზეც ჯერ კიდევ 20-30-იანი წლებთან დაკავშირებით წერდა დიმიტრი ყიფიანი და რასაც არსებითი ცვლილებები არ განუცდია ილიას მოსწავლეობის დროსაც. განა შეეძლო „ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდს" შეგუებოდა გიმნაზიაში გამეფებულ ფიზიკურ დასჯას, უაზრო ზუთხვას და მასწავლებელთა უსულგულობას. მოგვიანებით, 1878 წელს ილია წერდა: „რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას, ამის საპასუხოდ ბევრს გამოუთქვამს აზრი და ყველა ეს აზრი, სხვადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზეა აგებული... სკოლა ერთსა და იმავე დროს სწურთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში... წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლეობაც ჰქონდეს. ეს კაიკაცობა და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნე-ხასიათისგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია"[33].

სწავლულნი, მაგრამ ზნე-ხასიათით განუწვრთნელნი ილიასათვის ავი კაცნი არიან. „სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადაუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას ათქმევინებს. უზ-

ნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი“[34]. აკმაყოფილებდა კი ამ კრიტერიუმებს ილიას დროინდელი გიმნაზია? რასაკვირველია, არა. თუმცა გიმნაზიაში იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში (შაფი, ბეკეტოვი, ზაგურსკი). ყმაწვილობისას რომ ბევრ ქართულ წიგნს კითხულობდა, უნდა ვიფიქროთ, ამაში წვლილი მიუძღოდათ ქართული ენის მასწავლებლებს ზაქარია ყორღანაშვილსა და ივანე თურქესტანიშვილსაც. ალბათ, ყმაწვილობისას ქართული წიგნების კითხვის გავლენაც იყო, რომ, როგორც კოხტა აფხაზი აღნიშნავდა, „ილია პატარაობიდანვე ლექსებს წერდა“[35].

გ. შარაძე ასახელებს ილიას ყრმობისდროინდელ შვიდ ლექსსა და ერთ თარგმანს და მიუთითებს, რომ „ყველა ეს ლექსი თუ მოკრძალებული პოეტური ცდა ილიას თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1857 წლამდე) აქვს დაწერილი[36].

რა თქმა უნდა, ცნობილ ლიტერატორსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე კერესელიძეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა გიმნაზიის მოსწავლე ილია ჭავჭავაძის ეს „ნოყრძალებული პოეტური ცდა“, რომელშიც განჭვრიტა მომავალი დიდებული პოეტი. და აი, 1857 წელს განახლებული „ცისკრის“ პირველსავე ნომერში ალ. ჭინჭკინის, ალ. ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანისა და სხვათა ლექსების გვერდით დაიბეჭდა მანამდე სრულიად უცნობი ახალგაზრდა პოეტის ილია ჭავჭავაძის ლექსი „პატარა ჩიტი“ (თარგმანი), რომელიც 1856 წლის 16 ნოემბრითაა დათარიღებული.

ჩვენმა ისტორიამ არაერთი დამთხვევა იცის, რასაც გარკვეული დადებითი როლი შეუსრულებია ქართული კულტურის ისტორიაში. ასეთ დამთხვევას ჰქონდა ადგილი 1857 წელს: ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში დამთავრდა მოწაფეობის ხანა და დაიწყო სტუდენტური ცხოვრება, აღდგა ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა და დაიბადა ახალი პოეტი, რომელსაც ისტორიამ ერის მედროშეობა არგუნა წილად.

§ 2. ბოროტებასთან მორკინალი

1856 წელს გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, ილია ჭავჭავაძე 1857 წელს პეტერბურგს გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად და იქაური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ადვილი არ იყო ჭაბუკისათვის სამშობლოსთან თუნდაც დროებითი დაშორება, მაგრამ ამას ითხოვდა მისგან მსხვერპლად „ვალი ამ წუთისოფლისა“. ოთხი წლის შემდეგ, „მგზავრის წერილებში“, ილია განშორების ამ მძიმე წლებზე ასე წერდა:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი! იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს“[37]. როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, „მგზავრის წერილები“ ის უდიდესი ნაწარმოებია, რომელშიც „დიდი ოსტატის პათოსით და აზრით ნაჩვენებია ის მოქალაქეობრივი ენერგია და ბრძოლის უნარი, რომელიც ჩვენს ავტორს ასეთ გოლიათად აქცევდა“[38].

პეტერბურგიდან მომავალმა ილიამ დარიალის ხეობა რომ გამოვლო, უბრალო მოხევეს ათქმევინა ის, რაც შემდეგ მთელი მისი შეგნებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის დევიზად იქცა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. ეს იმ უეცარი ტკივილის შეგრძნება იყო, ტვინიდან გულამდე რომ ჩაირბინა, „იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა, როდემდის დამრჩეს სატკივარი გულში, როდემდის, ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“. თვითმყოფადობადაკარგულ საყვარელ მიწა-წყალს ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცა, ამას შესწირა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობა და შემოქმედება. გასაკვირი არც არის, რომ მან ბრძოლა დაიწყო ერთ-ერთი ღვთაებრივი საუნჯის — მშობლიური ენის დაცვით. „სხვისი არ ვიცით, — წერდა იგი, — და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“[39].

ილია ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს იყო მომსწრე ცდებისა, რომ საქართველოს სკოლებში შეზღუდულიყო ქართული ენის სწავლება. შეიძლება, მაშინ ეს ცდები ისე აშკარა არ იყო, როგორც შემდეგში, რადგანაც იმ დროს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი გახლდათ ბარონი ნიკოლაი, რომელიც შენიღბული პოლიტიკით მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქართველი მოღვაწე ხმას იმაღლებდა ამ საშიშროების წინააღმდეგ, ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა დიმიტრი ყიფიანი, რომელიც იმ დროს გიმნაზიის საპატიო მზრუნველი იყო. ბრძოლის უშედეგობის გამო, იგი 1864 წელს გადადგა.

ამრიგად, 50-70-იან წლებში ქართული ენის კანონიერი უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. მან სკოლებში კუთვნილი ადგილი ვერ დაიკავა. იგი რჩებოდა ერთ-ერთ რიგით საგნად, ისიც შეზღუდული საათებით. რუსულ ენაზე რომ არაფერი ვთქვათ, გიმნაზიაში ქართულზე მეტი საათები ჰქონდა დათმობილი როგორც ძველ ენებს (ლათინურს, ბერძნულს), ასევე ახალს (ფრანგულს, გერმანულს) და ზოგჯერ თვით თათრულ-

საც (აზერბაიჯანულს). ბუნებრივია, რომ 80-იანი წლების დასაწყისიდან იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ იმპერიაში დგება საშინელი რეაქციის ხანა. 1880-1890 წლები კავკასიაში დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის პერიოდი იყო, ხოლო სასწავლო დარგს განაგებდა პირნავარდნილი შოვინისტი და რუსიფიკატორი კ. პ. იანოვსკი. მრავალი შავბნელი საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი, ის თავდაპირველად ქართველი საზოგადოებრიობის გულის მოგებას ცდილობდა. ისეთ წერილებს ათავსებდა გაზეთ „კავკაზში", რომ ილია ჭავჭავაძეს ათქმევინა: „განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ კარგს მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება მისი, ვინც ახლად დანიშნული იქნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მეთაურად და მზრუნველად"[40]. სერგი მესხი კი წერდა: „დღემდინ მუდამ და ყველგან ირღვეოდა პედაგოგიის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე უნდა მიიღოს პირველდაწყებითი სწავლა... არაპედაგოგიურმა მიზეზებმა და გარემოებამ დაავიწყებინა, გაათელვინა ფეხქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება. თქვენგან მოველით ახლა ამ ჭეშმარიტების აღდგენას"[41].

მოლოდინი არ გამართლდა. იანოვსკიმ 1881 წელს შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით დაწყებითი სკოლების ყველა საგანი მხოლოდ პირველ წელს უნდა ესწავლათ მშობლიურ ენაზე, მეორე წელს — სანახევროდ მშობლიურ და სანახევროდ რუსულ ენაზე. მესამე წლიდან ქართული ენა მთლიანად იდევნებოდა სკოლებიდან და ცალკე დისციპლინადაც კი არ რჩებოდა. იანოვსკის ეს სასწავლო გეგმა ცალკე წიგნად გამოვიდა და სასწრაფოდ დაეგზავნა სკოლების დირექტორებს წარწერით: „სავალდებულო სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად". გეგმის ცალკე წიგნად გამოცემამდე გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა იანოვსკის წერილი. წერილმაც და გეგმამაც ქართველი ინტელიგენციის აღშფოთება გამოიწვია.

იმავე 1881 წელს, გაზეთ „დროების" 33-ე ნომერში დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის გახმაურებული წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო". ამ წერილით ილია სათავეში ჩაუდგა იმ ძალებს, რომლებიც ასაბუთებდნენ საქართველოს სკოლებში, ქართული ენის სწავლების აუცილებლობას და იცავდნენ მას. ილიამ მაშინვე განჭვრიტა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა იანოვსკის „რეფორმა", რომ იგი ემუქრებოდა ჩვენს ეროვნულობას, ქართველის, როგორც ეროვნული პიროვნების დაძაბუნებას, მის მიერ მამულიშვილობის აზრისა და გრძნობის დაკარგვას. „ეროვნულს, პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურისგდება და ერთგულება ეჭირვება", — წერდა ილია[42]. იგი ჩვენი ეროვნული ვინაობის საქმის სამსახურში ყველაფრის ჩაყენებას მოითხოვდა — სკოლა იქნებოდა, ბანკი თუ თეატრი.

ილიამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ეროვნულ პროგრამას, პირველმა აიმაღლა ხმა, გამოიჩინა მოქალაქეობრივი გამბედაობა ეროვნული მეობის დასაცა-

ვად. როცა ეროვნულს ხელყოფდნენ, შეუწყნარებლად მიაჩნდა გაჩუმება და აკი არც გაჩუმდა, ამ ბოროტებასთან შეუპოვარ მებრძოლად წარმოგვიდგა. ილია ჯერ კიდევ 1879 წელს წერდა აქაურ სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი გიმნაზიაში ადგილობრივი ენების სწავლების საჭიროების შესახებ და ამ ენების სწავლებას არა მარტო აქაურ მცხოვრებთა შვილებისათვის, არამედ რუსი მოხელეებისა და მათი შვილებისთვისაც სავალდებულოდ თვლიდა. იგი წერდა: „მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს, უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად. ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც“[42].

და ამ დროს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი არამცთუ რუს მოხელეთა და მათი შვილებისათვის სავალდებულოდ თვლიდა ქართული ენის ცოდნას, არამედ თვით ქართველებისთვისაც გამორიცხა ქართული ენა როგორც გიმნაზიიდან, ასევე სოფლის სკოლებიდანაც. ილია იანოვსკის ამ დანაშაულებრივ ქმედებას ამხელდა და წერდა: „უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“[43]. მართლაც, ეს არ შეიძლებოდა სასურველი ყოფილიყო თვით იმპერიის ხელისუფლებისათვისაც. თუ სკოლა, თუნდაც დაპყრობილ ქვეყანაში, მოსწავლეთა გონების დამთრგუნველი იქნებოდა, მაშინ როგორ აღზრდიდა იგი იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომებსა და მოხელეებს? ამაზე წერდა სწორედ დიმიტრი ყიფიანი: „თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად რუსეთის წინაშე, რომ უერთგულესთაგანეს ხალხის გაორგულება განუზრახავს, — და მეორე მეცნიერების წინაშე“...

იანოვსკის მიერ დედაენის უარყოფა და საგნების რუსულ ენაზე სწავლება სკოლას აქცევდა უაზრო და შეუგნებელი დაზეპირების კერად. ამაზე წერდა ილია: „ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნასა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ, ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის. არც კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-ღამ ეკარგებათ, როგორც მეტი რამ“[44].

ილია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ კლასიკურ გიმნაზიას მხოლოდ თითო-ოროლა ქართველი ამთავრებდა. ამ ვითარებას ილია შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: პირველ რიგში, სასწავლო პროგრამების უთავბოლობით, განსა-

კუთრებით სხვა ენათა სიმრავლით — თბილისის გიმნაზიის პროგრამით ასწავლიდნენ ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. რუსულიც მათთვის უცხო ენა იყო და ამ ენაზე ასწავლიდნენ სხვადასხვა „მეცნიერებებს" ანუ საგნებს. არაქართულ ენათა ასეთი სიჭარბე და მათი ერთდროული სწავლების სიძნელეც აპირობებდა სწავლისადმი ქართველთა გულგრილობას. ერთეულნი თუ იყვნენ ისეთები, რომელთაც შეეძლებოდათ ამდენი ენის დაძლევა, რუსულ ენაზე ყველა საგნის სწავლა, ამიტომ იყო, რომ გიმნაზიის სრულ კურსს ერთეულები ამთავრებდნენ. ქართველთა სიმცირის მეორე მიზეზად ილია ასახელებდა გიმნაზიის ქალაქად არსებობას და ქართველ თავადაზნაურთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის სოფლად ყოფნას, აგრეთვე მათ ხელმოკლეობას. მესამე მიზეზად იგი მიიჩნევდა არცთუ ისე უმნიშვნელო გარემოებას — სწავლა-განათლების საქმეში სამღვდელოების სუსტ მონაწილეობას, პასიურობას. ისტორი-ულად ცნობილია ქართველი სამღვდელოების უდიდესი როლი არა მარტო სწავლა-განათლების საკითხში, არამედ საერთოდ კულტურის განვითარებაში. რამ გამოიწვია სამღვდელოების ასეთი პასიურობა? ილია თვითონვე სცემს პასუხს ამ კითხვაზე: „ჩვენი სამღვდელოება ამგვარი საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულ-ხელ-დაკრეფილი ეგრეც იქნება დიდხანს, იმიტომ, რომ ჩვენი სამღვდელოება თვითონ იწვრთნება იმისთანა სემინარიაში, სადაც დედა-ენას იმ ერისას, რომელთა შორისაც ჩვენმა სემინარიელმა უნდა იმოძღვროს, სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არ ასწავლონ სჯობია"[45].

და მართლაც, თბილისის სემინარიაშიც, ისევე, როგორც საქართველოს სხვა სასწავლებლებში, საგნების, მათ შორის საღვთო სჯულის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თბილისის სემინარიელებს სახარებას რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, ასევე ასწავლიდნენ რუს წმინდანთა ცხოვრებას, რუსულ ლოცვანს და ა.შ. ისე ამთავრებდნენ სემინარიას, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ ქართულ რელიგიურ წყაროებზე, ქართულ ლოცვანზე, საგალობლებზე, ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე, ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, ქართულ ენაზე არ ასწავლიდნენ სახარებას და ა.შ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მოემსახურებოდნენ ასეთი სემინარიადამთავრებულნი თავის მრევლს.

მარტო ეს მაგალითი კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რა დანაშაულს, უკეთ რომ ვთქვათ, ბოროტმოქმედებას წარმოადგენდა სასწავლებლებიდან დედაენის გამოდევნა. ილია თავიდანვე ვერ ეგუებოდა საქართველოში განათლების სისტემის სავალალო მდგომარეობას, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო დედაენის უგულებელყოფით.

თუ ილია თავის ავტობიოგრაფიაში უმნიშვნელო ადგილს უთმობს გიმნაზიაში თავისი სწავლის პერიოდს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან კავშირი გაწყვიტა თბილისის პირველ გიმნაზიასთან, არ აინტერესებდა მისი ავ-კარგი, აქაურ

მოსწავლეთა ყოფა და სწავლა-აღზრდის პრობლემები. რევაზ გაბაშვილი იგონებდა: „მახსოვს, ილია მოდიოდა ყოველ ახალ წელიწადს სათავადაზნაურო სკოლაში, უკან მოსდევდა მოსამსახურე ორი ვეებერთელა კალათით და თვალდაცეცებულ მოსწავლეებს ბღუჯა-ბღუჯად გვირიგებდა კამფეტებს და სხვა ტკბილეულობას. ასე მგონია დღესაც, სიმბოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ილიას ეს გულუხვობა, თუ როგორ ურიგებდა მთელ ქართველ ერს თავის გულსა, გონების და სულის ნაწარმოებს"[46].

როდესაც ილია იმდროინდელი სკოლის ნაკლოვანებებს ამხელდა, უწინარეს ყოვლისა, თბილისის პირველ გიმნაზიას გულისხმობდა. ვისაც კარგად ესმოდა მისი გულისტკივილის მიზეზი, მისთვის ისიც ცხადი იყო, რომ ეს კრიტიკა სიძულვილის ნაყოფი კი არ იყო, არამედ კარგი გული მაშინვე იცნობდა, „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია". ამ სიყვარულის შეცნობის დამადასტურებელია ის, რომ ილია თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სათაყვანებელი პიროვნება იყო, მათ ეამაყებოდათ, რომ მან მათი სასწავლებელი დაამთავრა. ეს უდიდესი სიყვარული პირველგიმნაზიელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ქართველი ერის მძიმე გლოვის დღეებში, როდესაც საგურამოდან თბილისში ჩამოსვენებულ ილიას ცხედარს სიონის ტაძრამდე მთელ გოლოვინის პროსპექტზე ჩამწკრივებული მგლოვიარე მოსწავლეები მიაცილებდნენ, ხოლო პირველ გიმნაზიასთან სამგლოვიარო მარშით შეხვდნენ. ილია ჭავჭავაძის კუბო პირველგიმნაზიელებმა ვერცხლის გვირგვინებითა და ვერცხლის ხატებით შეამკეს. ხატებსა და გვირგვინებზე წარწერებშიც გამოხატეს თავისი გრძნობები:

«Славному питомцу ея»,

«Славному поэту-художнику».

„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისაც ვსტირით. იგი აღარ გვყავს"[47].

§ 3. ერის მეხსიერების მსახური

„წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი".

ძნელად თუ მოიძებნება მსგავსი ლაკონიური და მრავლისმეტყველი სიტყვები, რომლითაც დიდმა გალაკტიონმა შეაფასა წიწამურთან დატრიალებული ტრაგედია. ილიას მოწამებრივი სიკვდილით დამთავრდა დიდი ეპოქა ახალი ქართული მწერლობისა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ რეაქციის პირველი მსხვერპლი გახდა მშობლიური ენის დაცვისა და ქართული აზროვნების მედროშე.

ვინ მოკლა ილია? — ეს კითხვა დღესაც ელის გადაჭრით პასუხს. იქნებ, ეს პასუხი ნაწილობრივ მაინც ამოვიკითხოთ XX საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიის ახლებური კვლევის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის ამ სიტყვებში: „წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა“[48].

ამ მიმართულებამ ვერ შესძლო ილიას ლიდერობის უარყოფა და მისი მიწასთან გასწორება, მისი სამწერლო ღვაწლის გაქარწყლება. ამ რეაქციულ მიმართულებაში გაერთიანდნენ ყველა ისინი, რომელთა წინააღმდეგაც ილია უკომპრომისოდ ილაშქრებდა. სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი როდი იყვნენ. ილია წერდა: „ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას რომ დავუკვირდეთ, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა აღარ ისმის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“[49]. ილია იმ ქართველ თავადთა ოჯახებს გულისხმობდა, რომელნიც თაკილობდნენ თავის დედა-ენაზე ლაპარაკს.

საბედნიეროდ, ეს ყველაზე როდი ითქმოდა. საქართველოში იყვნენ ოჯახები, სადაც ძლიერი იყო ჯანსაღი ეროვნული სულისკვეთება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ქართლში, თეძმის ხეობის სოფელ ხოვლეში, ქართველი დიდებულის ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის ოჯახი. ალექსანდრე ჯავახიშვილი 19 წლისა იყო, როცა 1864 წელს დაამთავრა თბილისის საგუბერნიო გიმნაზიის სრული კურსი, რის შემდეგ გაგზავნეს თელავის სამაზრო სასწავლებელში მასწავლებლად, შემდეგ გორისა და სიღნაღის მაზრებში და ბოლოს თბილისში პედაგოგ-ინსპექტორად მუშაობდა. იგი იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგი იყო. მისი პედაგოგიური ტაქტი და მომთხოვნელობა შვილების გონებრივ და ზნეობრივ აღზრდაშიც პოულობდა გამოხატულებას. ალექსანდრე ჯავახიშვილს ექვსი შვილი ჰყავდა, ექვსივეს სათანადო განათლება მისცა. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც ადამიანი ნახავდა იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში გამოსულ თითქმის ყველა წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს, შვილებისათვის ცოდნის მიღების ერთერთი მძლავრი წყარო იყო. იგი „სწავლა-განათლებას არა თუ შვილებისათვის, მთლიანად ხალხისათვის სავალდებულოდ და აუცილებლად თვლიდა, მისი დაწინაურების უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნდა. ა. ჯავახიშვილი იქიდან გამოდიოდა, რომ სინათლე ცოდნისა ყველას უნდა სწვდებოდეს. ეს იყო მთავარი მის მოღვაწეობაში“[50].

შემდეგში მისი უფროსი ვაჟის, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ეს პრინციპი იყო მთავარი.

თორმეტი წლის ივანე ჯავახიშვილი თბილისის მესამე გიმნაზიის პროგიმნაზიაში სამწლიანი სწავლის შემდეგ, 1888 წელს თბილისის პირველი გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლე ხდება, იმ გიმნაზიისა, რომელიც 24 წლის წინათ მამამისმა დაამთავრა. მისი მოწაფეობის გაცნობა თვით გიმნაზიასაც სულ სხვა თვალით შეგვახედებს. ეს არის ლევ მარკოვის დირექტორობის დროინდელი გიმნაზია, იმ დროისათვის იმპერიაში ერთ-ერთი მოწინავე სასწავლებელი. ივანე გიმნაზიაში სწავლისას მწყრალად არც ერთი საგნის მიმართ არ ყოფილა. მისთვის ამა თუ იმ საგნის სწავლის აუცილებლობა იმით არ განისაზღვრებოდა, უყვარდა თუ არა იგი. პედაგოგი მამის დამსახურება იყო, რომ მას გამოუმუშავდა ყველა საგნის მკაფიო, შეგნებული და აუცილებელი დაუფლების უნარი, რაც მომავალ დიდ მეცნიერში ცოდნის ღრმა დაუფლებისადმი დაუოკებელ სწრაფვად იქცა. ჯერ მამის მდიდარი ბიბლიოთეკა, შემდეგ კი გიმნაზიის ასევე მდიდარი წიგნთსაცავი ცოდნისმოყვარე ყმაწვილს ახალი სამყაროს კარს უხსნიდა. ალბათ, ამანაც განაპირობა სხვებისაგან ათვალწუნებული ძველი ენებისადმი მისი განწყობა. ლათინური და ბერძნული ენების შესწავლას მომავალი მეცნიერი ანტიკურ, იდუმალ სამყაროში შეჰყავდა. საბედნიეროდ, თბილისის პირველ გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენას ასწავლიდნენ იმ დროისათვის აღიარებული, საუკეთესო სპეციალისტები იოსებ თევდორეს ძე დრბოგლავი, აუგუსტ გუმელი, ნიკოლოზ აგაპიევი, ადოლფ იანშიჩი, ივანე სოლოვიოვი და სხვები. ზოგიერთი მათგანი ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი იყო. გიმნაზიაში რამდენჯერმე იყო წმინდა სინოდის ობერ-პროკურორი, ცნობილი კ.პ. პობედონოსცევი, რომელიც დაინტერესებულა ძველი ენების სწავლებით გიმნაზიაში. იგი კმაყოფილი დარჩა სწავლებით, რის გამოც მარკოვს მადლობაც კი გამოუცხადა[51].

გიმნაზიაში რომ დოგმატურად და შაბლონურად არ უდგებოდნენ ძველი ენების სწავლებას, ეს შემდეგი ფაქტიდან ჩანს: გიმნაზიას პირდაპირი კავშირი ჰქონდა ანტიკური პოეზიის წიგნით მოვაჭრე ლაიფციგის ფირმასთან. მისგან იძენდა ანტიკურ ავტორთა — ცეზარის, ციცერონისა და სხვათა თხზულებებს, რასაც ივ. ჯავახიშვილი გიმნაზიის ბიბლიოთეკაში ეცნობოდა. ამავე დროს, იგი ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა როგორც ანტიკური, ასევე ევროპელი და რუსი ავტორებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ღონისძიებებში: ფრანგულ ენაზე მოლიერის, გერმანულ ენაზე შილერის, რუსი დრამატურგების ოსტროვსკისა და ფონვიზინის პიესების, ანტიკური ეპოქის ავტორის ფლავიუსის ნაწარმოების ლათინურ ენაზე და სოფოკლეს „ანტიგონეს" ბერძნულ ენაზე ინსცენირებაში.

ივ. ჯავახიშვილი იგონებს: „მეხუთე კლასიდან მოყოლებული, ისტორიის მასწავლებლად დ. საბინ-გუსი გვყავდა. განათლებული პიროვნება, რომელიც უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და ახალ სამეცნიერო ლიტერატურასაც ადევნებდა თვალყურს. მეხუთე კლასში საბინ-გუსმა დაგვირიგა თემები დასავლეთ ევროპის ისტორიისაგან თხზულებების დასაწერად. მოწაფეები მათ რიგრიგობით კითხულობდნენ, შემდგომ მსჯელობდნენ. მასწავლებელი ბოლოს აჯამებდა და დასკვნა გამოჰქონდა.

ჩემი ჯერი რომ დადგა და მოხსენება წავიკითხე, საბინ-გუსს ძალიან მოეწონა და შემაქო. ისტორიის გაკვეთილების დროს საბინ-გუსს ჩვეულებად ჰქონდა, რომ რთულ საკითხებს წამოაყენებდა ხოლმე და მოწაფეებს გვკითხავდა, მოსაზრების გამოთქმას და დასაბუთებას გვაჩვევდა. კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი მქონდა მოხვეჭილი და ეტყობოდა რომ საბინ-გუსიც ასე ფიქრობდა: როდესაც წამოყენებულ კითხვაზე კლასში დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა არავის შეეძლო, მაშინ საბინ-გუსი მე მეკითხებოდა ხოლმე და ჩვეულებრივ მიღებული პასუხით კმაყოფილდებოდა ხოლმე. ეს იმით აიხსნება, რომ მთელს ჩემ დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და თანაკლასელებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით. ამის წყალობით ისტორიისა და ჰუმანიტარული დარგების სფეროსაგან სხვებზე გაცილებით მეტი ვიცოდი, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ“[52].

დავით იურის ძე საბინ-გუსმა 1876 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ისტორიისა და გეოგრაფიის განხრით. თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლობდა 1881 წლიდან.

ივ. ჯავახიშვილი ასევე სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შულგინს. მან 1882 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, თბილისის გიმნაზიაში 1885 წლიდან ასწავლიდა. საერთოდ, თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლად ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოგზავნა ხშირად ხდებოდა. ბევრმა მათგანმა კარგი სახელი დატოვა გიმნაზიაში მასწავლებლობით. გავიხსენოთ თუნდაც ნ.ტ. დემენტიევი. კ. შულგინიც ერთ-ერთი ასეთი მოწინავე პედაგოგი იყო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ შულგინი მოსწავლეებს უნერგავდა თემების როგორც ზეპირად დამუშავების, ასევე თხზულებების წერის ჩვევებს. ივ. ჯავახიშვილი იხსენებდა:

„კ. შულგინს ხშირად გამოუთქვამს კმაყოფილება და მოსწონებია წარმოდგენილი მოხსენებები. თხზულებების წერა ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ჩემს ამხანაგებისათვისაც მიშველია თხზულებების დაწერა, მაგრამ მეექვსე კლასში რომ ვიყავი და დინჯი სამეცნიერო კვლევა-ძიების წყურვილი ვიგრძენი, სასკოლო თხზულებების წერის ყოველგვარი სურვილი გამიქრა. იმ დროს უკვე კარგად მესმოდა, რომ ამ თემებზე, რომელსაც

კლასში მასწავლებელი გვაძლევდა, ისე როგორც მართლაც მეცნიერულად საჭირო იყო, მე ჯერ არ შემეძლო დამეწერა, — ბავშვურ თხზულებების წერაში ვარჯიშობა კი აღარ მეხალისებოდა, შემძულდა. ამიტომ ამ დროიდან მოყოლებული თხზულებებს უკვე მოკლედ და უგულოდ ვწერდი. ეს გარემოება შულგინმა შეამჩნია და გაკვირვებული მეკითხებოდა: რა მოგივიდა, რა დაგემართა, წინათ თხზულებებს ისე კარგად სწერდი, ეხლა — კი ასე ცოტას სწერო. მრცხვენოდა და ვერ ვუთხარი, რა მიზეზიც იყო: ვერ გავბედე იმის თქმა, რომ სასკოლო ვარჯიშობა მომბეზრდა და აღარ მაკმაყოფილებდა და სამეცნიერო თხზულებები მაინტერესებდა, ძალა და ცოდნა კი ამისათვის არ შემწევდა"...[53].

ეს ორი ამონაწერი ივანე ჯავახიშვილის მოგონებიდან ზოგიერთი საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მიუხედავად კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის მცდელობისა, საქართველოს სკოლებში ჩაეკლა ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობა და თავისუფალი აზროვნების ნებისმიერი გამოვლენა, როგორც თბილისის პირველი გიმნაზიის მაგალითით ვრწმუნდებით, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მართალია, გიმნაზიაში იყვნენ იანოვსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგული გამტარებლები, მაგრამ ამინდს ქმნიდნენ საბინ-გუსი, შულგინი, დრბოგლავი, გუმელი და მათი მსგავსი მასწავლებელ-აღმზრდელები. ისინი მთელ თავის საქმიანობას წარმართავდნენ იმდროინდელ პროგრესულ პედაგოგიურ მოძღვრებათა საფუძველზე. რა თქმა უნდა, გიმნაზიაში საამისო ატმოსფეროს შექმნა დირექტორ ლევ მარკოვის დამსახურება იყო. სწორედ ამ ატმოსფერომ გაუღვივა გიმნაზისტ ივანე ჯავახიშვილს სწრაფვა მეცნიერული კვლევა-ძიებისაკენ.

არცთუ იშვიათია, რომ მოწაფეობის პერიოდში თანატოლებთან შედარებით აღმატებული გონებრივი მომწიფება და ცოდნით მოპოვებული უპირატესობა მოზარდში საკუთარ თავზე გადამეტებულ წარმოდგენას, გაამაყებასა და გაამპარტავნებას იწვევს. საბედნიეროდ, ივ. ჯავახიშვილზე ეს არ ითქმოდა. იგი საკმაოდ თვითკრიტიკული აღმოჩნდა საკუთარი შესაძლებლობისადმი, როდესაც ამბობდა, „სამეცნიერო თხზულებები მაინტერესებდა, ძალა და ცოდნა კი ამისათვის არ შემწევდაო". შევჩერდებით მისი ხასიათის კიდევ ერთ მხარეზე. მიუხედავად იმისა, რომ მან თავიდანვე გამოავლინა სიყვარული ჰუმანიტარული საგნებისადმი, სხვა საგნების აუცილებელი დაუფლება მისთვის წესად იქცა. ამ მხრივ მისთვის მაგალითის მიმცემი პედაგოგი მამა იყო. მათემატიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი დედაენის, მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე იყო. იგი აგროვებდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. მეცნიერულად იკვლევდა საქართველოს ისტორიას და არქეოლოგიას. ივ. ჯავახიშვილი იგონებს: „გიმნაზიის მეორე კლასიდან მესამეში რომ გადავედი, მამაჩემი გადაწყვეტს ქართლის ზოგადი აღწერილობის შესასწავლად და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად თეძმის ხეობაში

რკონის მონასტრის დათვალიერებას... მამაჩემს რკონის მონასტრის დაწერილებითი აღწერილობის შედგენა უნდოდა და იქაური ტაძრების ნაგებობის გეგმის ზოგადად გადაღების გარდა, ჩუქურთმებისა და წარწერების ჩახატვა და თან წამოღება სურდა"... 13-14 წლის ივანე, რომელიც კარგად ხატავდა, მამას ეხმარებოდა, ჩაიხატა რკონის მონასტრის ჩუქურთმები, ორნამენტები და წარწერები, შემდგომში ისინი დაზიანდა და ეს წარწერები მხოლოდ ჯავახიშვილის ჩანახატებმა შემოუნახა ისტორიას. აი, რას წერს ამ ფაქტის შესახებ თავის მონოგრაფიაში ს. ჯორბენაძე: „რკონის მონასტრის ასაწერად ჩატარებული პირველი კვლევა თითქოს გადამწყვეტ დღედ იქცა. ბურუსით მოცულ მომავალში ნათელი პერსპექტივა მოიხაზა. თითქოს ამ ბედნიერ შემთხვევას ელოდაო, ჭაბუკმა საბოლოოდ აღმოაჩინა თავისი მომავლის მიზანი"[54].

თუ როგორ ემსახურა ამ დიად მიზანს ყველაზე დიდი ქართველი ისტორიკოსი თავისი ცხოვრებითა და მეცნიერული კვლევით, ეს საკმაოდ დიდი თემაა...

1895 წლის ივლისში 19 წლის ივანე ჯავახიშვილი ამთავრებს გიმნაზიას. დახასიათებას თვითონ გიმნაზიის დირექტორი ლევ მარკოვი ადგენს და ატესტატთან ერთად გადასცემს. ბევრის მთქმელია ეს დახასიათება:

„მოწაფე ივანე ჯავახიშვილი შვილია ქართველი ხელმოკლე თავადისა (სასწავლებლის ზედამხედველისა). კეთილ პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია ჭაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიოზური, ზნეკეთილი, თავაზიანი და ალერსიანი. ზომიერი ხასიათისაა, ზრდილი, რის გამოც ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან მეტად ბეჯითი და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჯანმრთელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით. ის ბევრს კითხულობს და კარგი ნაკითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ამითი. იგი შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმაწვილი არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც, პოლიტიკურად კეთილსაიმედოა"[55].

ისევე, როგორც მე-19 საუკუნის შუა ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტის კარი შეაღო მომავალში ქართველი ერის დიდმა მოძღვარმა, 20 წლის ჭაბუკმა ილია ჭავჭავაძემ, 90-იანი წლების შუა ხანებში ეს დიდებული ტაძარი შეაღო დაახლოებით იმავე ასაკის ივანე ჯავახიშვილმა. ისევე, როგორც XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ილია ჭავჭავაძე დაბრუნდა სამშობლოში, ვით ახალი ეპოქის დიდი მედროშე, XX საუკუნის პირველი ათეული წლების მიწურულს საქართველოში ბრუნდება უკვე აღიარებული მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. თუ ილიას ტრაგიკული სიკვდილით დასრულდა ეპოქა დიდი, ახალი ეპოქის მედროშედ საქართველოს მოევლინა ივანე ჯავახიშვილი.

1. რევოლუციურ ქარტეხილებში

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს განათლების ქსელიდან, პირველ რიგში, თბილისის გიმნაზიიდან ქართული ენის სრული განდევნის მცდელობა. ქართული ენა არასავალდებულო სასწავლო ენად გამოცხადდა. იგი ამოიღეს არა მარტო საშუალო სასწავლებლების, არამედ პროგიმნაზიებისა და დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამებიდან და გეგმებიდან.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი 1907 წელს იმპერატორისადმი მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ადგილობრივი ენების, რა თქმა უნდა, ქართული ენისაც, სწავლება ხელს უშლიდა რუსული ენის სწავლებას, ამიტომ მას ზედმეტად მიიჩნევდა[1].

სასწავლებლებში, უწინარეს ყოვლისა, თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში ზოგიერთი რუსი მასწავლებელი, რომ გაიგებდა, მოსწავლეები ქართულად ლაპარაკობდნენ, უყვიროდა: „პირუტყვის ენაზე ნუ ლაპარაკობთო“.

ქართული ენისადმი ხელისუფლებისა და განათლების სისტემის ხელმძღვანელი ორგანოების დამოკიდებულებას იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ: 1878 წელს ქართულ ენაზე ისწავლებოდა საგნების 17,8 პროცენტი, 1881 წელს — 13,8%, 1899 წელს — 0,1%, ხოლო 1900-1901 წლებში დედაენაზე სწავლება საერთოდ გაუქმდა. ეს იმ დროს, როდესაც 1901-1902 წლების სასწავლო გეგმით, გიმნაზიის მოსწავლეებისათვის სავალდებულო იყო საეკლესიო სლავური ენა, აგრეთვე ლათინური, ბერძნული, გერმანული და ფრანგული ენები. ამ ენებს დათმობილი ჰქონდათ კვირეული 128 საათი, ფიზიკას, ისტორიას, გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას მხოლოდ 49 საათი, ქართულ ენაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია[2].

1903-1904 სასწავლო წელს გიმნაზიის სასწავლო გეგმაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა — VII კლასში შემოიღეს კანონთმცოდნეობა, შემდეგ 1905-1906 სასწავლო წელს ორივე კლასში კიდევ დაემატა ფილოსოფია პროპედევტიკითურთ.

კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა 1907 წლის 8 იანვარს დაამტკიცა 1905 წლის 29 სექტემბერს ქართულ სკოლებში საცდელად შემოღებული გეგმა, რომლის მიხედვითაც ქართული ენა არასავალდებულო, მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა[3].

დედაენის შესწავლის მსურველებს დაეკისრათ გადასახადი, როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, ამ ფულით უნდა მიეწვიათ მასწავლებელი. „ქართვე-

ლების უმრავლესობას კი, როგორც სოფლად მცხოვრებლებს, თავიანთი სიღარიბის გამო, ვერ შეაქვთ ეს ზედმეტი ხარჯი და ბევრს საშუალო სასწავლებელში სრულიად გაუუქმებიათ ქართულის სწავლება“[4].

განათლების მინისტრ გლაზოვის ხელმძღვანელობით, 1911 წლის 28 დეკემბერს პეტერბურგში შედგა ძველი ენების მასწავლებელთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგიერთის მიერ გიმნაზიაში ბერძნული ენის სავალდებულო სწავლების უარყოფა თითქოს მკვეთრად შეამცირებდა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს და უარყოფითად იმოქმედებდა სხვა საგნების შესწავლაზე, დასცემდა მოსწავლეთა შრომისუნარიანობას. ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ ქალაქებში, სადაც რამდენიმე საშუალო სკოლა არსებობდა, ერთი მათგანი აუცილებლად უნდა ყოფილიყო წმინდა კლასიკური გიმნაზია ორივე ძველი ენის სწავლებით.

1905-1907 წლების რევოლუციურმა აღმავლობამ გარკვეული გავლენა მოახდინა სასწავლო გეგმაზე, რომელშიც შეტანილი იქნა ზოგიერთი დადებითი ცვლილება. მთავრობა ცდილობდა სასკოლო რეფორმებით ინტელიგენციისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩამოშორებას რევოლუციური მოძრაობისაგან. საარქივო მასალები კი მოგვითხრობს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა რეაქციის წინააღმდეგ გამოდიოდა. ასე, მაგალითად, რეაქციონერ მასწავლებელთა ცემისათვის თბილისის პირველი გიმნაზიიდან რამდენიმე მოსწავლე გაირიცხა[5].

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ რამდენად ძლიერი იყო გიმნაზიაში 1905 წლის რევოლუციის გამოძახილი. მდგომარეობა უაღრესად მძიმე რომ იყო, ამას ადასტურებს პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლების, მოსწავლეთა და მშობლების ერთსულოვანი უკმაყოფილება გიმნაზიის მაშინდელი რეაქციონერი დირექტორით. ვითარების კიდევ უფრო გამწვავების შიშით, ხელისუფლებას გადაუყენებია იგი და დირექტორად დაუნიშნავს ივანე გამყრელიძე, რომელიც 1878 წლიდან, ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა მათემატიკის მასწავლებლად თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში, მათ შორის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, სადაც 1896 წლიდან იყო ინსპექტორ-მასწავლებელი. ამრიგად, ვაჟთა პირველ გიმნაზიამდე მას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მასთან მოღვაწე მიხეილ გავაშელი თავის მოგონებებში წერდა: „თბილისის მეორე გიმნაზიაში ინსპექტორ-მასწავლებლად მუშაობამ მეტი შესაძლებლობა მისცა ივანე გამყრელიძეს, ფართოდ გამოევლინა თავისი ჭეშმარიტად პედაგოგიური თვისებები, რამაც ის გახადა უფრო მეტად პოპულარული და საყვარელი აღმზრდელ-მასწავლებელი. ბევრი შემთხვევა იყო, რომ სხვა გიმნაზიებიდან გამორიცხული მოწაფეები მშობლებს მიჰყავდათ მეორე გიმნაზიაში, სადაც ელოდებოდათ გულშემატკივარი ადამიანი, მოზარდთა ქომაგი და სწორ გზაზე დამყენებელი ინსპექტორ-პედაგოგი ივანე გამყრელიძე.

უმეტეს შემთხვევაში ივანე გამყრელიძე მათ იმედებს ამართლებდა და ხშირად უსამართლოდ დევნილ ახალგაზრდას უბრუნებდა სკოლას დროებით აცდენილი გზიდან"[6].

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს ალექსი პეტრიაშვილის შემდეგ, 1810 წლიდან არ ღირსებია ქართველი დირექტორი. სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებიდან, ე. ი. 1830 წლიდან 1905 წლამდე კი გიმნაზიას ქართველი დირექტორი არ ჰყოლია. ივანე გამყრელიძე თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის პირველი ქართველი დირექტორი გახლდათ.

მის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ივანე გამყრელიძის გაცილება ვაჟთა მეორე გიმნაზიიდან ვაჟთა პირველ გიმნაზიამდე გრანდიოზულ დემონსტრაციად გადაქცეულა. ეს იყო პერიოდი, როდესაც მღვდელ გოროდცევის წინამძღოლობით შავრაზმული ორგანიზაციების „რუსი ხალხის კავშირისა" და „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირის" წევრები, უმეტესად მთვრალები, თბილისის გოლოვინის (ახლანდელ რუსთაველის) პროსპექტზე ხშირად აწყობდნენ ე. წ. „პატრიოტულ" მანიფესტაციებს, ღრიანცელით დადიოდნენ ქუჩებში, მღეროდნენ მონარქისტულ სიმღერებს, შემხვედრებს აიძულებდნენ, მოეხადათ ქუდები, დაეჩოქათ. მანიფესტანტებს მისდევდნენ, ვითომცდა წესრიგის დასაცავად, პოლიციელებისა და ყაზახთა შეიარაღებული რაზმები. ხანდახან მთვრალი მანიფესტანტები შეიჭრებოდნენ გიმნაზიის შენობაში. გიმნაზიელებსა და მანიფესტანტთა შეტაკების აღსაკვეთად, ხელისუფლებამ გიმნაზიის შენობაში ჩააყენა ჯარისკაცთა პოლკი და დროებით შეწყვიტა მეცადინეობანი. შეტაკებები მაინც ხდებოდა. ამით ისარგებლეს მანიფესტანტთა დამცველმა ჯარისკაცებმა, დაარბიეს გიმნაზია, გაძარცვეს, გაანადგურეს ბიბლიოთეკა. ჯარისკაცთა და გიმნაზიელთა შეტაკებისას დაიღუპა ოთხი ყმაწვილი და შვიდი მძიმედ დაიჭრა. ჯარისკაცებმა რამდენიმე შეპყრობილი გიმნაზიელი სარდაფში ჩაიყვანეს და დახვრიტეს[7].

ამ ბარბაროსობამ არა მარტო გიმნაზიის კოლექტივი, არამედ თბილისის იმდროინდელი პროგრესული საზოგადოება აღაშფოთა, რაც გამოხატა ახალგამოცემულმა გაზეთმა „ექო". გაზეთის გამოშვება დაბრალდა ივანე გამყრელიძეს და თბილისის საოლქო სასამართლომ იგი კიდეც გაასამართლა. ივანე გამყრელიძე სასჯელისაგან საზოგადოებრიობის თანადგომამ იხსნა.

გიმნაზიაში ჯარისკაცთა და მთვრალ მანიფესტანტთა ვანდალური შემოსევა ასახულია ჟურნალისტ და მწერალ გიორგი ლებანიძის მიერ მხატვრულ ფილმ „ამხანაგი გუბერნატორისათვის" შექმნილ სცენარში, რომლის ნაწყვეტები დაიბეჭდა 1982 წელს გაზეთ „კომუნისტის" 28 თებერვლის, 7 და 14 მარტის ნომრებში. სცენარში მოთხრობილია, თუ როგორ შეიჭრნენ გამძვინვარებული შავრაზმელები გიმნაზიაში, ხელის აუკანკალებლად უშენდნენ ტყვიას, ჩექმებით თელავდნენ უმწეო ბავშვებს. გიმნაზიელთა საძინებელ ოთახში ეძებდნენ

პროკლამაციებს, დაარბიეს ლაზარეთი და ეკლესია. გიმნაზიის დირექტორი და მასწავლებლები ამაოდ ემუდარებოდნენ მოძალადეებს, შეეწყვიტათ ბავშვების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. გამხეცებულმა ჯარისკაცებმა მოკლეს სამი მასწავლებელი. ივანე გამყრელიძე ბავშვებს მფარველობდა. იგი იდგა თავისი ბინის კარებში (ბინაში კი უმცროსკლასელები იმალებოდნენ) და გზას უღობავდა მომხდურებს. ჯარისკაცს თოფის კონდახი ჩაურტყამს სკოლის დირექტორისათვის, რომელსაც გონი დაუკარგავს. გონსმოსულ ივანე გამყრელიძეს იქვე რომ უნახავს მოკლული გიმნაზიელი, არაადამიანური ხმით უყვირია, სახე გაფითრებია, მკვდრის ფერი დასდებია და მოცელილივით დაცემულა.

ივანე გამყრელიძემ, მიუხედავად აღნიშნული მსხვერპლისა, 27 ოქტომბერს მაინც იხსნა ათეულობით გიმნაზიელის სიცოცხლე, განსაკუთრებით, მის ბინაში დამალული უმცროსკლასელები, გიმნაზიის შენობა კი გადაარჩინა საბოლოო განადგურებისაგან.

მოსწავლეთა მღელვარება, დაწყებული 1905 წლის 24-25 იანვარს თბილისში გამართულ მიტინგებსა და კრებებში მონაწილეობით, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგაც გრძელდებოდა[8]. 1906, 1907, 1908 წლებში მოსწავლეები გიმნაზიიდან სისტემატიურად ირიცხებოდნენ. 1908 წელს გიმნაზიის შენობაში აღმოაჩინეს პროკლამაციები, რისთვისაც ეჭვმიტანილი მოსწავლეები გარიცხეს[9]. მიუხედავად გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა, მოსწავლეთა გამოსვლები თვით რეაქციის პერიოდშიც — 1907-1910 წლებშიც გრძელდებოდა. 1910 წლის 2 ნოემბერს გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლემ შალვა თავდგირიძემ დერეფანში ხანჯლით მოკლა რუსული ენის მასწავლებელი, უკიდურესი რეაქციონერი სერგეი მირონის ძე ტროიცკი[10].

მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა სასწავლო ოლქის მზრუნველ ნ.თ. რუდოლფისაგან მოითხოვა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება. იქ, სადაც წესრიგი დაირღვეოდა, არა მარტო ცალკეული კლასები, არამედ სკოლებიც უნდა დახურულიყო. თუ გიმნაზია საბოლოო დახურვას გადარჩა, ეს ივანე გამყრელიძის შეუპოვარი ქმედების შედეგი იყო.

ივანე გამყრელიძის დიდი დამსახურებისა და ავტორიტეტის აღიარებას წარმოადგენდა 1908 წელს მოწინავე საზოგადოებრიობის მიერ მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღნიშვნა. ვაჟთა პირველი გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის სახელით მირთმეულ ადრესში ვკითხულობთ: „ნარ-ეკლით მოფენილ პედაგოგიურ ასპარეზზე თქვენი სამსახურის ოცდაათი წლის მანძილზე თქვენ შეინარჩუნეთ საქმისადმი მხურვალე სიყვარული, მოსწავლეთა საჭიროებისადმი ფხიზელი გულშემატკივრობა და... ახალგაზრდობის ბრწყინვალე შესაძლებლობათა რწმენა, რითაც დაიმსახურეთ ბავშვების სიყვარული, მშობლების მადლობა და საზოგადოების პატივისცემა. ჩვენ კი, თქვენს თანამშრომლებს, თქვენმა ამ თვისებებმა შეგვიმსუბუქა მძიმე პედაგოგიური

შრომა, გაგვამხნევა გასაჭირის წუთებში, რაც განსაკუთრებით თავს დაგვატყდა განვლილ მძიმე წელს"[11].

ივანე გამყრელიძემ შესძლო გიმნაზია გადაერჩინა არა მარტო საბოლოო დახურვისაგან, არამედ ეხსნა მორალურ-ზნეობრივი გახრწნისაგან.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ რევოლუციის თანამგრძნობთა გარკვეული ნაწილი სასტიკი რეაქციის მძვინვარებამ უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ასეთ პირობებში სულიერად გამხრწნელ როლს ასრულებდა იმპერიის დიდ ქალაქებში დაარსებული „ლიგა სვობოდნოი ლიუბვი". მისი წევრები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, როგორც თვით აღნიშნავდნენ, „თვრებოდნენ სიყვარულით". 1910 წლის დასასრულს თბილისშიც პარპაშებდა „ლიგის" ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ დიდმოხელეების, გენერლებისა და სხვა გავლენიანი პირების შვილები, მათ შორის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ. რუდოლფის ქალიშვილიც. მათი შეკრების ადგილი „წითელი ოთახის" სახელით იყო ცნობილი. ივანე გამყრელიძემ პირველმა აღმოაჩინა ახალთაობის გახრწნის ეს ბუდე. მისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ „ლიგამ" გიმნაზიაშიც შეაღწია. ახალგაზრდობის დიდი გულშემატკივარი და მორალური სიწმინდის დამცველი ივ. გამყრელიძე, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუებოდა თავის აღსაზრდელთა სულიერი და ზნეობრივი გახრწნის საშიშროებას და მთელი ენერგიით შეებრძოლა მას. ასეთი ამბის სააშკარაოზე გამოტანა რუდოლფისა და სხვა ბობოლებისათვის დიდი უბედურება იქნებოდა. ისინი შეეცადნენ კვალის დაფარვას, „წითელი ოთახის" არსებობის უარყოფას. ივანე გამყრელიძე ცილისმწამებლად მონათლეს, რომელიც თითქოს სახელს უტეხდა „ამა ქვეყნის ძლიერთა" შვილებს. ამას ემატებოდა ივ. გამყრელიძის „რევოლუციონერ დირექტორად" აღიარებაც და, კავკასიის მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით, 1911 წლის პირველ თებერვალს იგი მოხსნეს თანამდებობიდან.

ივანე გამყრელიძის მოხსნამ მასწავლებელთა, მოსწავლეებისა და მშობლების არა მარტო დიდი მწუხარება, არამედ აღშფოთებაც გამოიწვია. მათ თავისი საპროტესტო ხმა შეუერთა თბილისის ფართო საზოგადოებრიობამაც. საერთო პროტესტმა გამოხატულება ჰპოვა იმავე 1911 წელს ჩატარებულ ღონისძიებაში, რაც ივანე გამყრელიძის იუბილის სახელითაა ცნობილი. როგორც ამ ლეგენდარული დირექტორის ნათესავი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი მარიამ გამყრელიძე-ჭიჭინაძე წერდა, „1911 წელს ივანე ევდოკიმეს ძე გამყრელიძეს, თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს და საზოგადო მოღვაწეს, გადაუხადეს იუბილე და მიუძღვნეს ალბომი წარწერით: „თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის მფარველო ანგელოზო, პირველი გამოცდის წლებში... თანამშრომლებისაგან"[12].

სინამდვილეში ეს იყო ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგო და გიმნაზიის სახელოვანი დირექტორისადმი თანადგომის ღონისძიება, რაც

მისი ჩატარების ორგანიზატორებმა ივანე გამყრელიძის დაბადებიდან 55 წლისთავს დაამთხვიეს.

ივ. გამყრელიძისათვის იოლი შესაგუებელი არ იყო საყვარელი საქმისაგან ჩამოშორება, რომელსაც შეალია თავისი შეგნებული ცხოვრების თითქმის სამნახევარი ათეული წელი. და თუ ხელისუფლებამ ვერ გაბედა „რევოლუციონერ დირექტორად აღიარებულის უფრო სასტიკად დასჯა, იგი, როგორც ჩანს, მოერიდა რეაქციის შემდგომ, შედარებით „მშვიდობიან" პერიოდში ვითარების გამწვავებას. ივ. გამყრელიძეს, რომელიც საზოგადოებრიობის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა, აკმარა საყვარელი სასწავლებლის ხელმძღვანელობიდან მოხსნა იმ ვარაუდით, რომ მისთვის ესეც დიდი დარტყმა იქნებოდა. მაგრამ ქვეყნის მესვეურთ აქაც არ გაუმართლათ. ივანე გამყრელიძე ამ მძიმე ტრავმამაც ვერ გატეხა. მან შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე. ე. წ. „მგლის ბილეთით" მოხსნილმა, რომელსაც აეკრძალა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელში მოღვაწეობა, სამოღვაწეო ასპარეზად სოფლის მეურნეობა გაიხადა და 1915 წელს დააარსა „საშუალო-ტექნიკური სასწავლებელი", ღარიბ გლეხთა შვილებისათვის სწავლა-განათლების მიცემისა და ამით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამ განხრით მოღვაწეობის გაშუქება სულ სხვა თემაა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სასწავლებელი ივ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა საბჭოთა პერიოდშიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სახელით.

ივ. გამყრელიძის მამულიშვილური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია უწერას სახელით ცნობილი გვერითის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების აღმოჩენისა და ხალხის სამსახურში ჩაყენების საქმეში მონაწილეობა. იგი იყო ასევე ამ წყლების ბაზაზე უწერას კურორტის შექმნის ერთ-ერთი თაოსანი[13].

ივ. გამყრელიძის მოღვაწეობაში მთავარი მაინც სასწავლო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საქმიანობა გახლდათ. მისი დამსახურებაც იყო, რომ 1900-1907 წლების რევოლუციის გავლენით, დაისვა საკითხი სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების თაობაზე. თუმცა ეს საკითხი მაშინ დადებითად არ გადაწყვეტილა. ივ. გამყრელიძე აქტიურად ილაშქრებდა ნ. რუდოლფის რეაქციული რეფორმების წინააღმდეგ.

რუდოლფი მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის მთავარ მიზეზად ქუჩის გამხრწნელ გავლენას მიიჩნევდა. ამიტომ მოითხოვდა რაც შეიძლება მკაცრი ზომების გატარებას. მისი აზრით, მოსწავლეები რომ ქუჩის გავლენისაგან ჩამოეშორებინათ, ისინი სკოლაში რაც შეიძლება მეტად უნდა დატვირთულიყვნენ, რათა თავისუფალი დრო აღარ დარჩენოდათ[14].

მთავრობასაც და დემოკრატიულ ძალებსაც კარგად ესმოდათ, რომ აუცილებელი იყო სასკოლო რეფორმების გატარება, მაგრამ ამას ხელი შეუშალა 1914 წლის პირველ აგვისტოს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა, აგრეთ-

ვე რეაქციული წრეების წინააღმდეგობამ. ამ უკანასკნელთა მტრული მოქმედების შედეგად, ნებისმიერი დემოკრატიული პროექტის განხორციელება დასაწყისშივე დამარცხებისათვის იყო განწირული. ამ რეაქციული ძალების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი იყო ივანე გამყრელიძეც.

ივანე გამყრელიძის წვლილი იყო იმაშიც, რომ, მიუხედავად საერთო რეაქციული ტენდენციებისა, მაინც დაისახა ზოგიერთი პროგრესული მიმართულება. მოწინავე მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები სწავლობდნენ რუსულ კლასიკურ ლიტერატურას. საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ასწავლიდნენ ქართული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშებსაც კი. თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ქართული ლიტერატურის პროგრამა შედარებით ვრცელი იყო. აქ ისწავლებოდა როგორც ძველი ქართული მწერლობა (იოანე შავთელი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვები), ასევე ახალი ქართული ლიტერატურაც: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვები. ცვლილებანი იყო ისტორიის სწავლებაშიც. სასწავლო გეგმაში ყურადღება გამახვილდა ეროვნული ისტორიის საკითხებზე. მაგრამ ახალგაზრდობა რომ ჩამოეშორებინათ თანამედროვეობის პრობლემებისაგან, მეტი ადგილი დაეთმო ძველი ისტორიის სწავლებას.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მეფის მთავრობას არ ეცალა განათლების დარგში არსებითი ღონისძიების გატარებისათვის, რათა შეესუსტებინა დემოკრატიული ტენდენციები. მსოფლიო ომი ცარიზმისათვის არასასურველი მიმართულებით წარიმართა. მეფის არმია ფრონტებზე მარცხს მარცხზე განიცდიდა. მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ხალხის ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ამას მოჰყვა ხალხის აღშფოთება, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერება, რაც 1917 წლის თებერვალში რევოლუციაში გადაიზარდა და დაემხო რომანოვთა სამასწლიანი სამეფო დინასტია.

ახალი ხანის დადგომის პირველი დღიდანვე ივანე გამყრელიძე დაუცხრომლად იღვწოდა განათლების საქმეში პროგრესული ფორმების დანერგვისათვის. სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს. ივანე გამყრელიძე გარდაიცვალა 1939 წლის 2 დეკემბერს. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის არსებობის 200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნამდე ცოტა ხნით ადრე, გიმნაზიის დირექტორის ქალბატონ ლიანა შეწირულის თაოსნობით, თბილისში სახლს, სადაც ცხოვრობდა ივანე გამყრელიძე, გაუკეთდა ამ ფაქტის აღმნიშვნელი მემორიალური დაფა.

2. დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1917 წლის თებერვალში რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიის, მათ შორის ამიერკავკასიის, ხალხთა ცხოვრებაში ახალი, ეროვნული თავისუფლების მოპოვების ერა დაიწყო.

საქართველოში ბოლო ეღებოდა რუსეთის ასწლოვან ბატონობას — თბილისიდან წავიდა კავკასიის უკანასკნელი მეფისნაცვალი. საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1917 წლის 12 მარტს, როდესაც მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. რუსეთის იმპერია ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას, სკოლებიდან და ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან ქართული ენის განდევნას მიიჩნევდა. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით საქართველოში რუსეთის ბატონობას ერთ-ერთი სერიოზული საფუძველი გამოეცალა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი ასე ადვილად შეეგუებოდა თავისი გავლენის სფეროდან ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს გამოსვლას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ რუსეთის დროებით მთავრობას იმპერიაში შემავალ ხალხებთან — „ინოროდცებთან" დამოკიდებულებაში რუსიფიკატორული პოლიტიკა, ფაქტობრივად, არ შეუცვლია. ვითარება არც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შეცვლილა, ე. წ. „ოქტომბრის რევოლუციას" საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები ავანტურისტულ, კონტრრევოლუციურ გადატრიალებად მიიჩნევდნენ.

1917 წლის თებერვლიდან მოკიდებული, 1918 წლის 26 მაისამდე გრძელდებოდა ქართველ პატრიოტთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რათა ჩვენი თავი ჩვენადვე გვყუდნებოდა. ამ ბრძოლის მიზანი ნაწილობრივ აისახა ეროვნულ საკითხზე მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობის 1917 წლის მაისის რეზოლუციაში, რომელიც მთავარ ამოცანად სახავდა ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხალხთა თავისუფალ კულტურულ განვითარებას. რეზოლუციის მიხედვით კი ეს შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ რუსეთში მცხოვრებ ყოველ ერს მიენიჭებოდა სრული შინაგანი თვითმმართველობა[15]. მაგრამ ეს მაინც არ იქნებოდა სრული დამოუკიდებლობა. რუსეთში მცხოვრებ ყოველ ერს ენიჭებოდა არა სახელმწიფოებრივი მმართველობის უფლება, არამედ თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში შინაგანი

თვითმმართველობა, მას უფლება ექნებოდა, შეექმნა მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომლებსაც შეეძლებოდათ დამოუკიდებლად ემოქმედათ თავისი განსაკუთრებული, კულტურულ-სამეურნეო და უფლებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ვერ გადაწყვეტდნენ პოლიტიკურ საკითხებს. შინაგან თვითმმართველობას უნდა ემოქმედა რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვით კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების გადაწყვეტისას უნდა დამორჩილებოდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ზედამხედველობას. ეს კი მნიშვნელოვნად ზღუდავდა სასკოლო განათლების დარგში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს.

ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. ამ თვალთახედვით განიხილებოდა სასკოლო განათლების საკითხებიც, რომელთა გადაწყვეტისათვის საქართველოში გაშლილ მოძრაობასთან დაკავშირებული აღმოჩნდა პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში უკვე აღიარებული ივანე ჯავახიშვილი. იგი თვითმპყრობელობის დამხობაში ჭვრეტდა ჩვენი ქვეყნისათვის დიდ მომავალს — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობას. მას კარგად ესმოდა, რომ ეს ერთი ხელისდაკვრით არ მოხდებოდა. საქართველო ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსული. დროებითი მთავრობა კი კავკასიას განიხილავდა როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილს. ასეთ პირობებში საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე კი არა, ალბათ, ავტონომიის მოპოვებაზე უნდა ეფიქრა. აკი წერდა კიდეც ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან 1917 წლის მარტში მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანს: „მოგილოცავთ ნიკოლოზის დამხობას. ნეტავი საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ეს რევოლუცია. აქ უკვე ყველაფერი დაწყნარებულია და მართლაც სრული თავისუფლებაა. ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შევთანხმდებით და ბრძნულად მოვიქცევით. ეხლა გაბედული მოქმედებისა და პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედების დროა და ჩვენმა ერმა საამისო ნიჭი და უნარი თუ გამოიჩინა, მაშინ არა გვიჭირს რა“[16].

ფაქტობრივად, ეს იყო მოწოდება, რათა ერს გამოეჩინა საიმისო ნიჭი და უნარი, რომ მოეპოვებინა სრული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თუმცა რუსეთმა მოიპოვა „სრული თავისუფლება“, მაგრამ ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო, საით წავიდოდა მეფის თვითმპყრობელობის ხუნდებისაგან გათავისუფლებული რუსეთი — მიანიჭებდა თუ არა სრულ დემოკრატიულ თავისუფლებას ყოფილ იმპერიაში შემავალ „ინოროდცებს“. პეტერბურგში მყოფი ივ. ჯავახიშვილი, აკვირდებოდა რა დროებითი მთავრობის პირველ ნაბიჯებს, რწმუნდებოდა, რომ ჯერჯერობით სრული დემოკრატიული თავისუფ-

ლება მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა ყოფილიყო. ნათელი იყო ისიც, რომ დროებითი მთავრობა ასე უმტკივნეულოდ არ დართავდა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ნებას, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო. ახალ, ფერშეცვლილ რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო ენად რჩებოდა რუსული ენა, იგი უმაღლეს სასწავლებელშიც მთავარი სასწავლო ენა უნდა ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ეროვნული უნივერსიტეტისათვის ბრძოლა ნამდვილად გმირულ თავდადებას დაედარებოდა.

1917 წლის აპრილში სწორედ ასეთი ბრძოლის ნათელი პროგრამით ბრუნდება საქართველოში ივანე ჯავახიშვილი. მან გარს შემოიკრიბა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები, რომლებმაც ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გაშალეს ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. მათთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული უნდა გამხდარიყო და, მაშასადამე, უნივერსიტეტშიც მეცადინეობა ამ ენაზე უნდა წარმართულიყო. ასეთ უნივერსიტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოში სკოლების სრული გაქართულებისათვის, რადგან უნივერსიტეტს უნდა მიეცა სკოლებისათვის პედაგოგთა ეროვნული კადრები. ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე.

დროებით მთავრობას არც უფიქრია „ინოროდცების“ ეროვნულ თავისუფლებაზე, მაგრამ მათი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რეპრესიებით დათრგუნვის შესაძლებლობაც არ ჰქონდა. ამიტომ მის შესუსტებას მეორეხარისხოვანი დათმობებით ცდილობდა. ერთი ასეთი დათმობა იყო 1917 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით კერძო თუ საზოგადოებრივი საქმის წარმართვისათვის, სავაჭრო საქმეთა წარმოებისათვის, აგრეთვე სასწავლებლებში სწავლებისათვის რუსული ენის გარდა, სხვა ენების ხმარება, მაგრამ რუსული კვლავ სახელმწიფო ენად რჩებოდა, მშობლიური ენა კი — მეორეხარისხოვნად. სასწავლებლებში დედაენის ხმარების საკითხიც კი არ გადაწყვეტილა. პირველ სამ კლასში სწავლება ჯერ კიდევ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ენა ერთ-ერთ სასწავლო საგნად რჩებოდა.

ტყუილად როდი აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ეროვნული თავისუფლების მოპოვება დამოკიდებული იყო შეთანხმებულ და ბრძნულ მოქმედებაზე. საქართველოში არსებულმა პარტიებმა ვერ გამონახეს საერთო ენა ეროვნულ საკითხთა გადასაწყვეტად, კერძოდ, სკოლების ეროვნული გარდაქმნისათვის, თვით სახელმწიფო ენის საკითხთან დაკავშირებით. ამ დროისათვის ყველაზე გავლენიანი პარტია საქართველოში სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტია იყო, რომელსაც მძაფრად უპირისპირდებოდა ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკები იმპერიის განაპირა მხარეებში, მაშასადამე საქართველოშიც, არარუსი ხალხების მიერ სახელმწიფო ენად მშობლიური ენის გამოცხადებას და საერთო-სახელმწიფო ენად რუსული ენის უარყოფას პროლეტარიატის

ეროვნებების მიხედვით დაქსაქსვად და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის წინააღმდეგ პროლეტარიატის ერთობლივი ბრძოლის შესუსტებად თვლიდნენ. კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ბოლშევიკები ეროვნულ ნიადაგზე სკოლების გარდაქმნასაც ამ თვალთახედვით განიხილავდნენ და გამოდიოდნენ სასკოლო საქმის ეროვნული ინტერესებისადმი დაქვემდებარების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაშიც ისინი ლენინის მოსაზრებებს ემყარებოდნენ. ჯერ კიდევ 1913 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „საერთოდ დემოკრატიის ინტერესები და განსაკუთრებით მუშათა კლასის ინტერესები სწორედ წინააღმდეგს მოითხოვს. უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ეროვნების ბავშვები შეერთდნენ ამა თუ იმ ადგილას ერთიანს სკოლებში; საჭიროა, რომ ყველა ეროვნების მუშებმა საერთო ძალ-ღონით გაატარონ სასკოლო საქმეების პროლეტარული პოლიტიკა... ჩვენ ფრიად გადაჭრით უნდა გავილაშქროთ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით ყოველგვარი დაყოფის წინააღმდეგ. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ სასკოლო საქმეში, ასე თუ ისე, გავმიჯნოთ ერები, არამედ, პირიქით — იმაზე, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შევქმნათ ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითადი დემოკრატიული პირობები. „ნაციონალური კულტურა“ კი არ უნდა ავწიოთ ჩვენ ფარზე, არამედ მსოფლიო მოძრაობის ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურის გულისთვის უნდა ვამხილოთ ამ ლოზუნგის კლერიკალური და ბურჟუაზიული ხასიათი“[17].

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ბოლშევიკები აკრიტიკებდნენ საქართველოს დროებით მთავრობას იმ თვალსაზრისით, რომ, სკოლის ნაციონალიზაციის წესების მიხედვით, იმ რაიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი წესდებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე ნაკლები იყო, მშობლებს ნება ეძლეოდათ, გაეხსნათ პარალელური განყოფილებები და საკუთარი ხარჯით მოეწვიათ მასწავლებლები[18].

როდესაც სკოლის ნაციონალიზაციის წესებს აკრიტიკებდნენ, ქართველი ბოლშევიკები არ ითვალისწინებდნენ მეფის რუსეთისაგან მიღებულ სავალალო მემკვიდრეობას, რომელიც აბრკოლებდა ღონისძიებათა დაუყოვნებლივ გატარებას სასკოლო განათლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის საშუალებას, უპირველესად, არ იძლეოდა ეკონომიკური ვითარება. არ იყო სათანადო სახსრები, უკიდურესად ღარიბი იყო სკოლების მატერიალური ბაზა, არც სათანადო კადრები იყო საკმარისი. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ 1917-1919 წლებში საშუალო სკოლების, მათ შორის თბილისის გიმნაზიის პირველ ოთხ კლასშიც კი სწავლება ნაწილობრივ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზი, თურმე, ის იყო, რომ დროებითმა მთავრობამ სკოლებიდან განდევნა კვალიფიციური მასწავლებლები.

მართლაც, თბილისის პირველი გიმნაზიიდან ზოგიერთი მასწავლებელი დაითხოვეს, მაგრამ არა მხოლოდ იმის გამო, რაზეც მიუთითებდნენ სკოლის ნაციონალიზაციის კრიტიკოსები. როგორც ცნობილია, ადრე გიმნაზიაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ენა რიგით საგნად ითვლებოდა, ისიც საკმაოდ შეზღუდული საათებით. ბუნებრივია, რომ გიმნაზიაში ძირითადად რუსი მასწავლებლები მოღვაწეობდნენ, ქართველი კი თითო-ოროლა თუ იყო. გიმნაზიის გაეროვნულება, მისი „ნაციონალიზაცია" ქართულად სწავლებაზე გადასვლას ნიშნავდა. ძირითადად ეს აპირობებდა გიმნაზიიდან იმ მასწავლებლების დათხოვნას, რომლებმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდნენ. რა თქმა უნდა, დათხოვილთა შორის დაბალი კვალიფიკაციის მქონენიც იყვნენ. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში გიმნაზია განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. დახმარების ხელი გიმნაზიას 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს გახსნილმა თბილისის უნივერსიტეტმა გაუწოდა. უნივერსიტეტის არაერთი პროფესორი და მასწავლებელი წლების მანძილზე, ამავე დროს, გიმნაზიაშიც ასწავლიდა.

კრიტიკის ობიექტი, „ნაციონალიზაციასთან" ერთად, იყო განათლების „ევროპეიზაციის" პოლიტიკაც. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლება როგორც ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების, ისე კულტურისა და განათლების სფეროშიც ორიენტაციას დასავლეთ ევროპისაკენ იღებდა. ეს გასაგებიც უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი მენშევიკების პარტია ოქტომბრის რევოლუციას ავანტიურად მიიჩნევდა, ხოლო საბჭოთა რუსეთი არ სცნობდა მენშევიკურ საქართველოს. ბოლშევიკური რუსეთი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ კავკასიასაც რუსეთის განუყოფელ ნაწილად თვლიდა, ამის გამო საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია დამფუძნებელი კრების სხდომაზე აცხადებდა: „ჩვენს გზას ევროპისაკენ მივყევართ, რუსეთის გზას აზიისაკენ. ჩვენი მტრები იტყვიან, რომ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ მე აქ უნდა განვაცხადო: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია"[19].

1918 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა, რომ დაუყოვნებლივ გამოექვეყნებინა დეკრეტი „ამიერკავკასიის სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ", რაც ითვალისწინებდა სასწავლებლების ნაციონალიზაციასა და დემოკრატიზაციას, საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების განხორციელებას. წერს რა ამის შესახებ, საქართველოში სახალხო განათლების ცნობილი მკვლევარი ტიტე სარიშვილი აღნიშნავს: „დროებითი მთავრობის ეს ღონისძიებანი პრაქტიკულად ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული"[20].

ტ. სარიშვილის წიგნი მოიცავს 1901-1921 წლებს. მასში რამდენადაც კარგად არის გაშუქებული 1901-1917 წლების მოვლენები, იმდენად ტენდენციურადაა

განხილული 1918-1921 წლების ამბები. ავტორი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობაში დადებითს ვერაფერს ხედავს. ამ მხრივ ტ. სარიშვილის წიგნში გამეორებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით, 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობა „სინამდვილეში წარმოადგენდა კონტრრევოლუციური პარტიების სისხლიან კავშირს ჯერ გერმანიისა და თურქეთის, შემდეგ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტებთან, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა კოლონიად გაიხადეს, გაძარცვეს იგი, გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმად და სისხლში ჩაახშვეს საქართველოს მშრომელების რევოლუციური გამოსვლები[21].

1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის უაღრესად ტენდენციური შეფასების, ცალმხრივი, არასწორი დასკვნების უარყოფისა და ფაქტების ობიექტური შეფასების ცდებმა, 80-იანი წლების უკანასკნელ წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირობებში, განსაკუთრებით კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიიღო ფართო ხასიათი. საბჭოური დოგმატიზმისაგან თავისუფალმა ბევრმა ავტორმა კრიტიკულად გადახედა თავის ადრინდელ მოსაზრებებს.

საგულისხმოა 1918-1921 წლების კულტურის დახასიათება, მოცემული აკაკი სურგულაძისა და პაატა სურგულაძის წიგნში. ავტორები არასამართლიანად მიიჩნევენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ აზრს, რომ აღნიშნულ პერიოდში „ნაციონალიზმის აღორძინებამ“ ქართული კულტურის ყველა დარგს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა და საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, საქართველო კულტურული რეგრესისათვის იყო განწირული. ისტორიული ფაქტები და მოვლენები საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ახლა შეიძლება სიმართლის თქმა იმის შესახებ, რომ ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდი ხასიათდება დიდი აღმავლობით, სახალხო ენერგიის უჩვეულო გაქანებით, რუსიფიკატორული ტენდენციების აღმოფხვრისა და ეროვნულობის დაფუძნებისათვის დიდი ნამოწყებებით. ამ ტენდენციამ შეაპირობა წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სკოლის გაეროვნულება. დამოუკიდებლობის წლებში დამკვიდრდა მშობლიური ენა, რითაც საფუძველი მოეშალა რუსიფიკაციას, ცარიზმი რომ მთელი საუკუნის მანძილზე დაჟინებით ახორციელებდა. გაიზარდა არა მარტო სკოლათა რაოდენობა, არამედ განხორციელდა მათი თვისობრივი გარდაქმნა. ამ პროცესს პირველ ხანებში დიდი დაბრკოლებები ახლდა: არ იყო მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოები, მცირე იყო მასწავლებელთა კადრი, მაგრამ განათლების უწყება ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის“[22].

საქართველოს ისტორიაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1918 წლის 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის გახსნა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სწორედ განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში წარმატებების მოპოვებაში, მშობლიურ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაში, მასწავლებელთა კადრების მომზადებაში. ამ მხრივ განუსაზღვრელია თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, დიდი ივანე ჯავახიშვილის როლი.

სასკოლო საქმის შემდგომი განვითარების საქმეში მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავდა და 1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი სახალხო განათლების სამინისტრო. იმავე კრების მე-6 სხდომაზე ჩამოყალიბდა „სახალხო განათლების პოზიცია", რომელსაც მთავრობისათვის უნდა წარედგინა კანონთა პროექტები. განათლების სამინისტრომ 1920 წელს გამოსცა „უმაღლესი დაწყებითი განათლების სანიმუშო პროგრამები", რომლის მიხედვითაც შემუშავდა გაკვეთილების განრიგი 1920-1921 წლებისათვის. იმავე 1920 წელს შეიქმნა განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ივანე ჯავახიშვილი.

ქართველ პროგრესულ პედაგოგ-მეცნიერთა ძალების კერძო ინიციატივით, 1917-1920 წლებში დამუშავდა და გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნი, სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის ივ. ჯავახიშვილის პირადი ინიციატივითა და უნარიანი მუშაობით, საფუძველი ჩაეყარა ახალი სკოლისათვის მეცნიერული, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნასა და ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეს, ამავე დროს, კომიტეტი და პირადად ივ. ჯავახიშვილი საფუძვლიანად განიხილავდნენ უკვე გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს. ივ. ჯავახიშვილის საქმიანობა სასკოლო განათლების დარგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა მის მოღვაწეობაში. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენი უახლოესი მიზანია, სკოლას ავაცილოთ უვარგისი სახელმძღვანელო და სამაგიეროდ მივცეთ საღი და შესაფერისი"[23].

1919 წელს მთავრობამ დაამტკიცა „დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა"[24]. დებულება საშუალო სკოლებში, მათ შორის გიმნაზიაშიც ითვალისწინებდა შემდეგი საგნების სწავლებას: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, აქედან ერთი რუსული ენა, მეორე არჩევით: ფრანგული, გერმანული ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკური ვარჯიში, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე, ხელგარჯილობა. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი, სასკოლო გეგმით გამორიცხული იყო. იგი შეისწავლებოდა სურვილის მიხედვით, არა უადრეს მეორე კლასისა, თანაც მსურველი უნდა

ყოფილიყო არანაკლებ ხუთისა. როგორც ვხედავთ, რუსული ენა გამოცხადებულ იქნა ერთ-ერთ უცხო ენად. განათლების სამინისტრო ცდილობდა, საშუალო სკოლებში დაემკვიდრებინა ლაბორატორიულ-კაბინეტური მეცადინეობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ისტორიაში პირველად შეიმუშავა საყოველთაო-სავალდებულო და უფასო განათლების სისტემის პროექტი, რამაც შემდეგ ასახვა ჰპოვა კონსტიტუციაშიც. საყოველთაო და სავალდებულო განათლება დასაწყისში უნდა განხორციელებულიყო პირველდაწყებით სკოლაში, რომელიც, როგორც კონსტიტუციაში აღინიშნა, „საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა". მთავრობა ფიქრობდა, რომ ეტაპობრივად განხორციელდებოდა ეს ღონისძიება და ბოლოს მოიცავდა მთელ საშუალო სკოლას.

სამწუხაროდ, ამ პროექტის, ისევე როგორც სასკოლო დარგში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა რეალიზაცია არ მოხდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ფაქტობრივად, მხოლოდ 2 წელი და 9 თვე იარსება. ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა არაერთი კეთილგანზრახულების განხორციელებისათვის. 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ევროპაში ემიგრირებული პროფესორი ზურაბ ავალიშვილი პარიზში 1924 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა", რომელიც თბილისში გამოიცა 1926 წელს, აღნიშნავდა, რომ საქართველოში საბჭოთა გამარჯვებას ხელი შეუწყო როგორც საგარეო პოლიტიკის შეცდომებმა, ასევე „სახელმწიფოს მართვის წესების დარღვევამ, რაც დიდ ზარალს აყენებდა საქართველოს შინაგან საქმეებშიაც". ზურაბ ავალიშვილი მიუთითებდა აგრარული რეფორმების, მთელი რიგი სხვა ეკონომიკურად აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობაზე, სხვა ხასიათის მთელ რიგ შეცდომებზე. ზურაბ ავალიშვილი ასკვნიდა: „საქართველოს დემოკრატია 1918-1921 წ. იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიის, ე. ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მომმზადებელი ხანა. სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსით და თავისი სულით ეს დემოკრატია, მიუხედავად ეროვნული შეგნებისა, რომელიც უეჭველად იღვიძებდა მასში, საქმით მიმართული იყო არა ევროპისაკენ, არამედ მოსკოვისაკენ. ამით იბადებოდა ძირითადი წინააღმდეგობა ევროპაზე ორიენტაციასთან, რომელსაც ბეჯითად მიჰყვებოდა საქართველო საგარეო პოლიტიკაში 1921 წლის ზაფხულამდე"[25]. ყველა აღნიშნული შეცდომა, წინააღმდეგობა იყო იმის მიზეზი, რომ ზ. ავალიშვილის თქმით, დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოგდება „უბრალო წკიპურტით შესაძლო შეიქნა"[26].

თავი VI. საბჭოთა პერიოდის სკოლა

1. ახალი ტიპის სკოლის სათავეებთან

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 25 თებერვალი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი — აღიარებულ იქნა ჩვენი ქვეყნის სასიკეთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურულ გარდაქმნათა დასაწყისად, ხოლო შემდეგ განვლილი 70 წელი — საქართველოს, ქართველი ხალხის აყვავებისა და ბედნიერების ხანად. უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ამ პერიოდისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ქართველი ისტორიკოსები სულ სხვა ასპექტში განიხილავენ და აანალიზებენ მოვლენებს. ზოგი მკვლევარი დღეს აღნიშნავს, რომ 1921 წლის რუსეთის შემოსევა-დარბევას ვერ შეედრება საქართველოს ათასეული წლების ისტორიის მანძილზე ვერც რომაელთა, ვერც ირანელთა, ვერც არაბთა, ვერც სელჩუკთა, ვერც ბიზანტიელთა, ვერც მონღოლთა, ვერც ოსმალთა რომელიმე შემოსევა[1].

რა არ სცადა რუსეთმა საქართველოში 117 წლის მანძილზე: ძალადობა, მოფერება, დიპლომატიური მანევრირება, რუსული მმართველობის თავს ძალით მოხვევა, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია — ვერ შესძლო ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. საბჭოთა რუსეთი იმასაც არ ივიწყებდა, რომ ამ გადაგვარებისათვის მეფის რუსეთი მომავალი თაობის რუსული სულისკვეთებით აღზრდის უმთავრეს პირობად მიიჩნევდა ქართული სკოლის სრულ გარუსებას. სასურველი შედეგი ვერც ამ მხრივ გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიღო. ამის გაკეთება მით უფრო შეუძლებელი იყო 1918-1921 წლებში საქართველოს სკოლების გაეროვნულებისათვის მიღწეული წარმატებების შემდეგ.

საბჭოთა რუსეთი მიზნის მიღწევას ცდილობდა უფრო ფრთხილად, შეპარვით, ეროვნული თავმოყვარეობის გაუღიზიანებლად. საბჭოთა რუსეთს არ უარუყვია ქართული ენა, სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. ქართული კულტურა ფორმით ეროვნული, შინაარსით კი ინტერნაციონალური უნდა ყოფილიყო. ინტერნაციონალურში, რა თქმა უნდა, რუსული იგულისხმებოდა, თუმცა ოფიციალურად ეს არ თქმულა, პირიქით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის ყველა ფორუმზე ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას ქადაგებდა. საბჭოთა კავშირში ეროვნული კულტურები თავისი განვითარების დონით უნდა გათანაბრებულიყვნენ და თუ ეს მიიღწეოდა, შეიქმნებოდა ერთიანი ინტერნაციონალური კულტურა — საბჭოთა კულტურა. ეს კი ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იქნებოდა ეროვნებათა შორის განსხვავების წასაშლელად. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ რაღა შეუშლიდა ხელს ეროვნებათა ურთიერთშერწყმას.

მრავალეროვან საბჭოთა კავშირში შეიქმნებოდა ხალხთა ერთობა, რომელიც იწოდებოდა საბჭოთა ხალხად. რაკი იქმნებოდა ერთი ხალხი, მაშინ ისმებოდა კითხვა: ერთიან საბჭოთა ხალხს ესაჭიროებოდა კი განსხვავებული ენები? ერთ ხალხს ბუნებრივად ექნებოდა ერთი ენა. რა იქნებოდა ეს ენა — სრულიად ახალი, თუ ხალხი თავისთავად აირჩევდა რომელიმეს მრავალ ენათა შორის? როგორც ვ.ი. ლენინი მიუთითებდა, აირჩეოდა უმრავლესობის ენა, ე.ი. რუსული ენა.

მაგრამ ყოველივე ეს შორეული მომავლის საქმე იყო. იმ დროისათვის, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ეს კითხვები უშუალოდ არ დასმულა. მაშინ პირდაპირ არც ის საკითხი დაუყენებიათ, რომ ეროვნულ სკოლებში სწავლება რუსულად წარმართულიყო, მაგრამ უკვე მაშინვე დაისვა სკოლებში რუსული ენის სავალდებულო სწავლების საკითხი. ხომ არ იყო ეს სწავლების მთლიანად რუსულ ენაზე გადასვლის მაუწყებელი? ესეც შორეული მომავლის საქმე იყო. თუ მაშინ საქართველოს სკოლებში მთავარ სასწავლო ენად ქართული იქნა აღიარებული, ეს ქართველი ხალხის, მისი რჩეული ნაწილის — ქართველი ინტელიგენციის დიდი დამსახურებაა. ეს არის სკოლის ისეთ მუშაკთა დამსახურება, როგორიც იყო ღირსეულ მამულიშვილთა წარმომადგენელი, დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწაფე, გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, გასაბჭოების შემდეგ თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლად წოდებულის პირველი დირექტორი (მაშინ გამგედ რომ იწოდებოდა) მიხეილ ზანდუკელი.

ალბათ, მოკლედ მაინც უნდა გავეცნოთ ამ შესანიშნავი პიროვნების მიერ განვლილი ცხოვრების გზის საწყის პერიოდს.

20 წლისა იყო მიხეილ ზანდუკელი, როდესაც თბილისის ქართული გიმნაზიის წარჩინებით კურსდამთავრებულს, მომავალ ასპარეზზე გასასვლელი გზა დაუღოცა გიმნაზიის დირექტორმა, სახელოვანმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე 1909 წელს ჩარიხცულმა, ოთხი წლის შემდეგ ასევე წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, რომლის ხელმძღვანელობას სურდა მისი საპროფესოროდ მომზადებისათვის დატოვება. მიხეილ ზანდუკელმა კი ამჯობინა თავისი ცოდნა, ნიჭი, უნარი, შესაძლებლობანი მშობელი ხალხის სამსახურში მოეხმარა და სამშობლოში დაბრუნდა. ეს ის დრო იყო, როდესაც მეფის ხელისუფლება ცდილობდა, უმაღლესდამთავრებული ქართველები თუ სამშობლოს გარეთ არა, ცენტრიდან მოშორებით მაინც ჰყოლოდა. ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა, ამ პოლიტიკის მტკიცე გამტარებელმა, მ. ზანდუკელი მასწავლებლად გაგზავნა ყარსის რეალურ სასწავლებელში. 1914 წლის 1 აგვისტოს დაწყებული პირველი მსოფლიო ომის დროს საფრონტო და სასაზღვრო ზონიდან სასწავლებელთა ევაკუაცია

დაიწყო. ამ ზონაში მოხვდა არტანუჯ-არდაგანის რაიონი და ყარსის სასწავლებელიც. მიხეილ ზანდუკელი 1914 წელს მასწავლებლად მოევლინა თბილისის ქართულ გიმნაზიას, რომელიც ხუთი წლის წინათ დაამთავრა, ხოლო სამი წლის შემდეგ იგი თბილისის პირველ გიმნაზიაშია — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამავე დროს, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ასწავლიდა. ამ დროისათვის მიხეილ ზანდუკელს საუკეთესო პედაგოგისა და მეცნიერული კვლევის უნარით დაჯილდოებულის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ცოტა ხნის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ იგი თბილისის პირველი გიმნაზიის ინსპექტორად დანიშნა.

დაიწყო მიხეილ ზანდუკელის ცხოვრება-მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილთან.

მიხეილ ზანდუკელი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ 1912-1913 წლებში ანკეტები დაგზავნა იმპერიისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რაოდენობის დასაზუსტებლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ანკეტის შევსება მოუწევდა ზანდუკელსაც. იმ დროისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი უკვე აღიარებული მეცნიერი იყო, რომელიც მალე მოიპოვებდა პროფესორის საპატიო წოდებას. თუ მ. ზანდუკელს მაშინ არ ჰქონდა ივ. ჯავახიშვილთან დაახლოების ბედნიერება, ამის საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულს. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისი, განსაკუთრებით თბილისის პირველ გიმნაზიაში, დაემთხვა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით გაშლილ ფართო მოძრაობას. რა თქმა უნდა, ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაება მიხ. ზანდუკელიც. როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, მისთვისაც ნამდვილად სადღესასწაულო იყო 1918 წლის 26 იანვარი — თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღე.

ივ. ჯავახიშვილმა, როდესაც სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის დაარსებისათვის მოძრაობას, იმთავითვე განსაზღვრა უნივერსიტეტის როლი სასკოლო განათლების განვითარებაში. მისი დაარსების პირველი დღიდან წარიმართა პრაქტიკული საქმიანობა ამ მიმართულებით. ამ საქმიანობის მოთავე და ხელმძღვანელი იყო უნივერსიტეტის პირველი დეკანი და შემდეგ რექტორი ივ. ჯავახიშვილი. შემთხვევითი არ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ხშირად იწვევდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელად. ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის თითქმის არარსებობა. ივ. ჯავახიშვილი მისი შექმნა-ჩამოყალიბებისაკენ მიმართული საქმიანობის სათავეში აღმოჩნდა. ეს არ იყო

შემთხვევითი. გავიხსენოთ, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, როგორ ცდილობდა იგი რუსულად მოსმენილისა თუ წაკითხულის ქართულად გააზრებას, რუსული ტერმინოლოგიისათვის ქართული შესატყვისის მოძებნას. ყოველივე ეს მას ჩვეულებად ექცა, რამაც გამოხატულება ჰპოვა უკვე დიდ სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობისას. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგში შექმნილ ტერმინოლოგიის შემმუშავებელ კომისიათა სათავეში ვხედავთ. 1920 წლის 10 თებერვალს განათლების სამინისტრომ ივ. ჯავახიშვილი სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა. კომიტეტმა ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ნაყოფიერი მუშაობა გასწია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის. ივ. ჯავახიშვილმა კომიტეტის მთავარ ამოცანად დასახა სკოლების უზრუნველყოფა დროის მოთხოვნების შესაბამისი, ყოველმხრივ გამართული სახელმძღვანელოებით. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით სასწავლო კომიტეტთან დაარსდა სხვადასხვა დარგობრივი კომისია მეცნიერულად გამართული როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი სახელმძღვანელოების შესაქმნელად. იმავე 1920 წლის თებერვალში შეიქმნა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამომყალიბებელი კომისიები. კომისიებში შევიდნენ იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერები და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის, მიხეილ ზანდუკელი, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენებისა და ლიტერატურის კომისიების წევრი გახლდათ ისეთ სახელოვან ქართველ მეცნიერებთან ერთად, როგორებიც იყვნენ აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, სერგი გორგაძე.

სასწავლო კომიტეტმა და მისმა კომისიებმა აქტიური მუშაობა გაშალეს როგორც ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემისათვის, ასევე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დასადგენად. ეს საქმიანობა ეყრდნობოდა პრინციპებს, რომლებიც ჩამოაყალიბა ივ. ჯავახიშვილმა. იგი აუცილებლად მიიჩნევდა ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, მაგრამ არ უარყოფდა უცხო სახელმძღვანელოს გადმოთარგმნასა და გადმოკეთებას. იგი აღნიშნავდა, რომ ორიგინალურ სახელმძღვანელოთა აუცილებელი შექმნა „იმას არ ნიშნავს, რომ უეჭველად, რანაირიც უნდა იყოს, ორიგინალური სახელმძღვანელო უნდა ვამჯობინოთ უკეთეს თარგმნილს“[2]. ივ. ჯავახიშვილმა ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა უპირატესობა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ შესაფერის სიტყვას, ანდა ქართული ენის კანონისამებრ შექმნილს ახალს სიტყვას. როცა საჭირო სიტყვა არც ძველს და ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერისი ახალი ტერმინი, უნდა იქნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვა“[3].

ტერმინოლოგიის შემმუშავებელი კომისია ამ პრინციპით განაგრძობდა მუშაობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. 1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარე 1921 წლის 2 ნოემბრიდან იყო განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი. საბჭომ თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) ერთხმად აირჩია ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მდივნად — მიხეილ ზანდუკელი, რომელიც ადრეც სასწავლო კომიტეტის მდივანი იყო. სამეცნიერო საბჭოს ფაქტობრივი თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიზანი თავიდანვე ასე განისაზღვრა: მას ხელი უნდა შეეწყო განათლების კომისარიატისათვის სწავლა-აღზრდის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. საბჭო სამ სექციად გაიყო: 1. სამეცნიერო-პოლიტიკური; 2. სამეცნიერო-ტექნიკური; 3. სამეცნიერო-პედაგოგიური. სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის წევრები იყვნენ გ. ნათაძე (თავმჯდომარე), გ. კონიაშვილი, გ. ჭოლოშვილი, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, მ. კონიაშვილი, ნ. ჩიგოგიძე, ს. გორგაძე და მ. ზანდუკელი. საბჭომ პედაგოგიური მუშაობის დარგში უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობა გაშალა სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, სახალხო განათლების კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად და საჭირო სასკოლო ლიტერატურის გამოსაცემად. ამ მხრივ დიდი იყო ივ. ჯავახიშვილის როლი, მისი ნამდვილი თანამდგომი და მარჯვენა ხელი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მოღვაწეობაში მიხეილ ზანდუკელი იყო. იგი არა მარტო იზიარებდა ივანე ჯავახიშვილის პედაგოგიურ შეხედულებებს, არამედ კიდევ უფრო ავითარებდა მათ და პრაქტიკულად ატარებდა ცხოვრებაში, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც 1921 წელს იგი დაინიშნა ყოფილი გიმნაზიის, ამჯერად თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგედ (მაშინ დირექტორი გამგედ იწოდებოდა). მ. ზანდუკელი ამ უძველესი სასწავლებლის მეოთხე ქართველი ხელმძღვანელი გახდა, ალექსი პეტრიაშვილიდან მოყოლებული. სასწავლებელს მთელი 95 წელი არ ღირსებია ქართველი დირექტორი. როგორც უკვე აღინიშნა, 1905 წელს დირექტორად დანიშნული ივანე გამყრელიძე პეტრიაშვილის შემდეგ პირველი ქართველი დირექტორი იყო. მის შემდეგ მხოლოდ 1911-1913 წლებში იყო დირექტორად არაქართველი, მომდევნო წლებში სასწავლებლის სათავეში ვხედავთ სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეებს: ზუბალაშვილს, ღულაძეს, რომელთა შემდეგაც დაინიშნა მიხეილ ზანდუკელი, ივ. ჯავახიშვილის სკოლაგავლილი განათლების დარგში. ამრიგად, ახალი ტიპის სკოლის სათავეებთან, ივანე ჯავახიშვილთან ერთად, მიხეილ ზანდუკელი იდგა.

2. „მიხეილ ზანდუკელის სკოლა“

სახალხო განათლების დარგში, ივანე ჯავახიშვილთან ერთად, მიხეილ ზანდუკელმა დიდი სკოლა გაიარა და შესანიშნავი წრთობა მიიღო. ეს გამოვლინდა სკოლის გამგედ მოღვაწეობისას; მიხეილ ზანდუკელმა თავი გამოიჩინა როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა და პედაგოგმა. მისი ხელმძღვანელობით სასწავლებელი გადაიქცა რესპუბლიკის მასშტაბით საცდელ-საჩვენებელ, სანიმუშო სკოლად, სადაც პრაქტიკულად ისხამდა ხორცს მოწინავე, დემოკრატიული პედაგოგიური იდეები.

მიხეილ ზანდუკელი ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა ის პრინციპები, რომელთა შესახებ ის ჯერ კიდევ 1920 წ. წერდა: „ახალმა სკოლამ უნდა გამოიმუშაოს ახალი ცხოვრების შემომქმედი პიროვნება... ამისათვის მოწაფეებში უნდა განვითარდეს ინიციატივა და თვითშემოქმედება. ძველი სკოლა თავისი დოგმატური მეთოდებით, რომელთა მიზანიც იყო შეესწავლებინა ყმაწვილთათვის რაც შეიძლება ბევრი ფაქტი მეცნიერებისა და წიგნის საშუალებით, ავითარებდა მასში პასიურობას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მიმბაძველობას“[4]. ზანდუკელი „ძველ სკოლაში“ გულისხმობდა რუსეთის იმპერიის დროინდელ სკოლას.

შემთხვევითი არ იყო, რომ ზანდუკელმა გაილაშქრა მრავალსაგნიანობის წინააღმდეგ. ეს, მისი აზრით, აფერხებდა მოსწავლეთა განვითარებას. ამიტომ იგი მოითხოვდა სასწავლო პროგრამების დახვეწას, ზედმეტისაგან გათავისუფლებას. მხოლოდ ამ გზით გადაიქცეოდა სკოლა ცხოვრების სკოლად, „სადაც სიყვარულით მივლენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებელნი, სადაც ცხოვრების შინაარსს კი არ შეკვეცავენ წიგნების მიხედვით, არამედ წიგნებს გააფართოებენ ცხოვრების მიხედვით... სადაც მასწავლებელი მოწაფეებთან ერთად ისწავლის, დაუკავშირდება ცხოვრებას, გაერკვევა მის მოვლენებში და სადაც... საშუალება ექნებათ მუშაობისაგან თავისუფალ დროს დაისვენონ მუსიკითა და პოეტური ნაწარმოებებით“[5]. მას სკოლის მიზნად მიაჩნდა „ბავშვის პიროვნების ჰარმონიული განვითარება: ამაღლება გონების, გაძლიერება ნებისყოფისა, გასპეტაკება გრძნობის და ესთეტიკური განცდის“[6].

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ზანდუკელი პირველი იყო, ვინც სერიოზული ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე, რასაც მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი: „ესთეტიკური აღზრდა მთლიან შრომის სკოლაში“, რომელიც 1922 წელს გამოიცა. ამ ნაშრომამდე არ არსებობდა წიგნი, სადაც განხილული იქნებოდა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის საკითხები. ახალმა სკოლამ, აღნიშნავდა ზანდუკელი, მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, ეზიარონ კაცობრიობის საზოგადოებრივ-კულტურულ

ცხოვრებას, რათა ყოველივე ამან მოსწავლეებში განავითაროს მისი ნიჭი და შესაძლებლობანი, აღზარდოს აქტიური პიროვნებანი, მებრძოლი ოპტიმისტები, სიძნელეებთან უშიშარი მებრძოლები, რთულ მოვლენათა ანალიზისა და სინთეზის უნარით შეიარაღებული პიროვნებანი.

ზანდუკელი ესთეტიკური განვითარების მიზანს ასე აყალიბებდა: „შექმნას ადამიანი ბედნიერი და ამასთან ერთად არამცთუ ნაყოფიერი, არამედ ცოცხალი და საზოგადოებრივი მიდრეკილებებით, ესთეტიკური აღზრდა არის ადამიანის აღზრდა სილამაზეში და გრაციაში, სიყვარულში სიმშვენიერისა და მაღალი იდეალებისადმი და არა მარტო სიყვარულში, არამედ მუდმივმოქმედ მისწრაფებაში მისდამი, ე. ი. მისწრაფებაში ზნეობრივი იდეალებისადმი, რითაც ასეთი აღზრდა ხელს უწყობს ზნე-ჩვეულების განსპეტაკებას“. ესთეტიკური აღზრდისათვის მ. ზანდუკელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელოვნების შესწავლას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ბავშვის ემოციური ცხოვრების განვითარებისათვის, რათა მას შესძლებოდა თანამედროვე მატერიალური კულტურის შეგნებულად და აქტიურად მოხმარება. ამისათვის ის ყურადღებას ამახვილებდა ხატვის, ძერწვის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე. ზემოთ დასახელებული ნაშრომით, რომელიც შეიქმნა შრომის სკოლისათვის მოსამზადებელ მასწავლებელთა საინსტრუქციო კურსებზე წაკითხული ლექციების საფუძველზე, მ. ზანდუკელი გახდა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მეთოდიკის მეცნიერების ფუძემდებელი. ასევე, მ. ზანდუკელი, ნაშრომით „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“, აღიარეს ამ მეთოდიკის ფუძემდებლად. იგი იყო ნაშრომებში ჩამოყალიბებული მეთოდების არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ფუძემდებელიც.

თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის ხელმძღვანელად 1921-1929 წლებში ზანდუკელის მოღვაწეობა იმის დამადასტურებელია, რომ მის მიერ შემუშავებული ყველა პრინციპი ახალი სკოლისა მისივე ხელმძღვანელობით პრაქტიკულად განხორციელდა. შეიქმნა ჭეშმარიტად საჩვენებელი სკოლა. ვისაც უსწავლია ან უმოღვაწია ამ წლებში თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში, თავის მოგონებებში ერთხმად აღნიშნავენ მიხეილ ზანდუკელის დიდ ღვაწლს და ერთხმად უწოდებენ ამ წლების სასწავლებელს „მიხეილ ზანდუკელის სკოლას“. ამ მოგონებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ისტორიკოსის, დიდებული მეცნიერისა და მოქალაქის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გივი ჟორდანიას „ჩემი მოგონებანი თბილისის პირველ საშუალო სკოლაზე“[7].

გივი ჟორდანია თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში სწავლობდა 1924-1930 წლებში. თუმცა მისი მოგონებანი პირველ საშუალო სკოლაზეა, მაგრამ მას თავისუფლად შეიძლება დარქმეოდა მოგონებანი მიხეილ ზანდუკელზე. და ეს არც არის გასაკვირი. როგორ შეეძლო გივი ჟორდანიას

მოეთხრო 1924-1930 წლების პირველ სკოლაზე და გამოეცალკევებინა იგი მიხეილ ზანდუკელისაგან. რამდენი სითბო და სიყვარული ჩააქსოვა ავტორმა თავის მოგონებებში მშობლიურ სკოლასა და მის, ასევე მშობლიურ პიროვნებად ქცეულ დირექტორზე. თვით გ. ჟორდანია აღნიშნავს: „ჩემს ოჯახში ტრადიციად იქცა, რომ ჩემს შვილებს, შვილიშვილებსაც, შვილისშვილის შვილებს ესწავლათ პირველ სკოლაში და ეს ტრადიცია, მცირედი გამონაკლისით, სრულდება. ამჟამად თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს ჩემი პირმშო ვაჟის — რევაზის შვილიშვილი, ჩემი სეხნია — გივიკო. ეს ჩვენი ოჯახის მეოთხე თაობაა". სწორად აღნიშნავს გივი ჟორდანიას 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომ გივი ჟორდანია „მომავალ თაობას აძლევს მაგალითს, თუ როგორ უნდა უყვარდეს სამშობლო და მისი უპირველესი ალმა-მატერი"[8].

გ. ჟორდანიას ასეთი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და პირველი სასწავლებლისადმი ბუნებრივია, რადგან იგი იყო დიდი ტრადიციული ოჯახის მემკვიდრე — ცნობილი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას შვილიშვილი და ასევე ცნობილი პიროვნების, განთქმული იურისტის, ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ჟორდანიას ვაჟიშვილი. გ. ჟორდანია 2001 წლის 29 დეკემბერს 90 წლისა სრულდებოდა. ამ თარიღისათვის მზადდებოდა მისადმი მიძღვნილი კრებული, ემზადებოდა თვით გ. ჟორდანიაც, და არამარტო ამისთვის. მან თავისი წმინდათაწმინდა სურვილი ასე გამოხატა თავისი მოგონებების დასკვნაში: „მსურს, როგორც ძველ პირველსკოლელს, რომ ღმერთმა მაღირსოს სკოლის დაარსების 200 წლისთავზე დასწრება!" ერთ წელზე ცოტა მეტი აშორებდა საოცნებო დღეს და მოხდა მოულოდნელი ტრაგედია, რომელზეც აკად. როინ მეტრეველი ასე წერს: „წინამდებარე კრებული გამოსაცემად მზად იყო, როცა მიმდინარე წლის 3 აგვისტოს, საიუბილეო თარიღის აღნიშვნამდე რამდენიმე თვით ადრე, პროფესორი გივი ჟორდანია ტრაგიკულად დაიღუპა, ზღვაში შორს გასულს გულმა უმტყუნა"[9]. გივი ჟორდანია ვერც აღნიშნული კრებულის გამოცემას მოესწრო და ვერც მშობლიური სასწავლებლის იუბილეს.

ბ-ნი გივი ჟორდანია თავის მოგონებებში ერთ ამბავს მოგვითხრობს: 1927 თუ 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ ყოფილ პირველსკოლელს მისაღები გამოცდებისას ფიზიკა უნდა ჩაებარებინა. სკოლაში იგი ამ საგანში „სამოსანი" ყოფილა. მისაღები გამოცდების შემდეგ იგი ქუჩაში შეხვედრია სკოლის ფიზიკის მასწავლებელ ტერენტი ვეფხვაძეს, რომელსაც უკითხავს, თუ რა ნიშანზე ჩააბარა გამოცდა ფიზიკაში, მოწაფეს რომ უპასუხნია, „ხუთიანი მივიღეო", ტერენტი ვეფხვაძეს გაკვირვებია: „შენ და ხუთიანი?!" იმ ყოფილ მოწაფეს გამოცდა ჩაუბარებია ცნობილი ქართველი მეცნიერისათვის ა. დიდებულიძისთვის, რომელსაც თავიდანვე უკითხავს, რომელი სკოლა დაამთავრა და ვინ ასწავლიდა ფიზიკას. როცა შეუტყვია, ვინც იყო მასწავლებელი, უთქვამს:

„ახლა მე შენ გამოკითხვაზე დროს არ დავკარგავ, რადგან ტერენტი ვეფხვაძის მონაფეები გამოცდისას ხუთიანზე ნაკლებს არ ღებულობენო“ და გამოუკითხავად დაუწერია ხუთიანი“. გ. ჟორდანია წერს: „აი, ასე მაღლა იდგა პირველი სკოლის მასწავლებლის ავტორიტეტი, და რომ გამოეკითხა კიდეც, ვფიქრობ, მიუხედავად თავისი „სამოსნობისა“, ეს მოწაფე მაინც მიიღებდა კარგ ნიშანს, რადგან ბატონი ტერენტი მკაცრი შემფასებელი იყო: მისი „სამოსნები“ სხვების „კარგოსნებსა“ და „ფრიადოსნებს“ როდი ჩამოუვარდებოდნენ“.

ტერენტი ვეფხვაძე არ იყო ერთეული გამონაკლისი იმ პედაგოგიური კოლექტივიდან, რომელიც შექმნა მიხეილ ზანდუკელმა. ტერენტი ვეფხვაძე არა მარტო საუკეთესო მასწავლებელი, არამედ, როგორც დირექტორის მოადგილე, მიხ. ზანდუკელის მარჯვენა ხელი იყო. მასაც მიუძღვის დიდი წვლილი ბრწყინვალე პედკოლექტივის ჩამოყალიბებაში, რომელიც დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემითსარგებლობდა იმდროინდელ საზოგადოებაში.

თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში მოღვაწეობდნენ ისეთი სახელოვანი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სვიმონ ვაჩნაძე, რუსული ენისა და ლიტერატურის — თამარ ზაალიშვილი და იაკობ ზედგინიძე; ისტორიისა — ივანე რატიშვილი, ივანე ნიჟარაძე და ლუკა ციხისთავი; მათემატიკის — ნიკო შაფაქიძე და ვასილ აბდუშელიშვილი; საბუნებისმეტყველო საგნებისა — მალაქია სირაძე და ნიკო ჯაფარიძე; გეოგრაფიისა — დავით დონდუა; ფსიქოლოგიისა — რევაზ ნათაძე; პედაგოგიკისა — კოტე ბაქრაძე, უცხო ენებისა — ირაკლი ტატიშვილი და დანიელ ფომენკო.

მიხეილ ზანდუკელისათვის არ არსებობდა „პირველხარისხოვანი“ და „მეორეხარისხოვანი“ საგნები, ყველა სასკოლო საგანი მისთვის პირველხარისხოვანი იყო და ისინი უნდა ესწავლებინა თავისი საქმის კარგ სპეციალისტს. ასეთები იყვნენ: ტანვარჯიშის მასწავლებელი არჩილ ბაქრაძე, კოტე ბაქრაძის უფროსი ძმა, რომელმაც კავშირის მასშტაბით არაერთი განთქმული ტანმოვარჯიშე აღზარდა. სკოლაში გალობას ასწავლიდნენ მუსიკალური ხელოვნების აღიარებული მოღვაწენი სვიმონ გოგლიჩიძე, შალვა თაქთაქიშვილი და გრიგოლ ჩხიკვაძე, ხატვის მასწავლებელი იყო კოტე გრძელიშვილი.

დასახელებული მასწავლებლებიდან უმეტესი, ამავე დროს, ასწავლიდა უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთები იყვნენ: თვით მიხეილ ზანდუკელი, ტერენტი ვეფხვაძე, სვიმონ ვაჩნაძე, ივანე ნიჟარაძე, დავით დონდუა, რევაზ ნათაძე, არჩილ და კოტე ბაქრაძეები და სხვები. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეცნიერი და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელი გახდა.

აქ დასახელებული და ასევე შემდეგი დროის პირველი სკოლის პედაგოგთა უმრავლესობა იმსახურებს, რომ მათზე დაიწეროს ისეთი გამოკვლევები, რო-

გორიც მიუძღვნა თავის აღმზრდელ ბიძას, მასწავლებელსა და უფროს მეგობარს, ცნობილ პედაგოგ ვასილ აბდუშელიშვილს მეცნიერ-ანთროპოლოგმა მალხაზ აბდუშელიშვილმა — „მიღვწიან, მომიგონებენ". აღსანიშნავია აგრეთვე უშანგი ობოლაძის წიგნი „ნიკო ჯაფარიძე".

მიხეილ ზანდუკელი სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის" ავტორი პრაქტიკულად იყო მაჩვენებელი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, როგორ უნდა ფლობდეს საგანს, რომელსაც ასწავლის და როგორ უნდა ასწავლოს. ყველა, ვინც იხსენებს მ. ზანდუკელს, მას გ. ჟორდანიასავით ახასიათებს: იგი იყო „აღჭურვილი დიდი ცოდნით და დაჯილდოებული იშვიათი პედაგოგიური ნიჭით და ალღოთი. „ახლა რომ ვიგონებ მიხეილ ზანდუკელის თავდაჭერასა და ქცევას სამასწავლებლოში, სკოლის დერეფანში, ეზოში, ქუჩაში, თეატრში და ყველგან, სადაც კი ვხვდებოდი ამ შესანიშნავ ადამიანს, უნებლიეთ მომდის აზრად: ეს ადამიანი დაბადებული იყო იმისათვის, რომ თავისი მადლიანი სიტყვით და პირადი მაგალითით აღეზარდა ახალგაზრდობა".

ალბათ, სწორი იყო მ. ზანდუკელის დროინდელი სკოლის პედაგოგი მალაქია სირაძეც, რომელიც გ. ჟორდანიასთან პირად საუბარში აღნიშნავდა: „მიხეილი დიდი ადამიანი იყო... ძალიან კარგი პროფესორი უნივერსიტეტში, მაგრამ იგი მაინც უმთავრესად დაბადებული იყო საშუალო სკოლისათვის და ხელი რომ არ შეეწყოთ მისი სკოლიდან წასვლისათვის, იგი სიკვდილამდე არ დატოვებდა სკოლასო".

ყოველთვის დინჯი და გაწონასწორებული, არასოდეს აიმაღლებდა ხმას, არამცთუ მასწავლებლებისა და თანამშრომლების მიმართ, არამედ მოსწავლეებთანაც. როგორც კი გამოჩნდებოდა ნახევრად ბნელი, გრძელი დერეფნის ბოლოში, ლამაზი და მაღალი (ტანითაც და ზნეობითაც), წარმოსადეგი კაცი, მოსწავლეები მაშინვე მოწიწებით გაეკვრებოდნენ კედლებს, სანამ დირექტორი არ გაივლიდა. ეს არ იყო შიში, ეს იყო პატივისცემისა და რიდის დიდი გრძნობა, რომელსაც ყველა ერთნაირად განიცდიდა, მასწავლებელი იქნებოდა თუ მოსწავლე. როგორც ადმინისტრატორი მკაცრი იყო, მაგრამ უაღრესად სამართლიანი და ჰუმანური. იშვიათია ისეთი პედაგოგი, რომელსაც ასე ახარებდა თავისი მოსწავლეების წარმატება და ასე უანგაროდ უყვარდა ისინი. წერდა რა ამის შესახებ, ბატონი გ. ჟორდანია, აღნიშნავდა: „სკოლის დამთავრების შემდეგ ხშირად დავფიქრებულვარ: როგორ აღწევდა ბატონი მიხეილი ასეთ ტაქტს, სიმკაცრეს, შეხამებულს ჰუმანურობას, გასაოცარ სამართლიანობასთან?"

ამ კითხვას თვით მ. ზანდუკელმა უპასუხა მოგვიანებით, უკვე კოლეგა ლექტორთან გ. ჟორდანიასთან პირად საუბარში, როდესაც გაიხსენა ცნობილ პედაგოგ ღულაძის დარიგება: „ცხელ გულზე ნურასოდეს მიიღებ გადაწყვეტილებასო... დაე, განვლოს ერთმა დღემ, თუნდაც ერთმა ღამემ და მეორე დღეს, დამშვიდებული განწყობილებით, კარგად აწონ-დაწონის შემდეგ გამოიტანეთ

მსჯავრი. — მე ყოველთვის ვასრულებდი განსვენებულ ღულაძის ამ რჩევას, — დასძინა მაშინ ბ-ნმა მიხეილმა და ეს მართლაც ასე იყო".

ასეთი აწონ-დაწონის შემდეგ, როგორი მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო ეს მსჯავრი, ის, ვისადმიც იყო გამოტანილი, გრძნობდა, თუ რამდენი სიყვარული იყო ჩაქსოვილი ამ სიმკაცრეში.

მიხ. ზანდუკელის ეს სიყვარული იგრძნობოდა ყოველ მის მოქმედებაში: ის უყურადღებოდ არ ტოვებდა მონაფეებს თვით სასკოლო არდადეგების დროსაც, განსაკუთრებით იმათ, ვისაც არ ჰქონდა საშუალება, გასცლოდა დედაქალაქის ცხელ დღეებს. საკუთარი ხარჯებით ქირაობდა სახლს თბილისის მახლობელ რომელსამე ადგილას და იქ მიჰყავდა თბილისში დარჩენილნი. ეს პასიური დასვენება არ იყო. ექსკურსიების გარდა, სხვა ღონისძიებებიც ტარდებოდა. დირექტორის მოადგილეს ტერენტი ვეფხვაძეს თან მიჰქონდა ტელესკოპი და დაბინდებისას ათვალიერებინებდა ცის მნათობებს. მიხ. ზანდუკელი თითოეულ ღონისძიებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებისათვის, ასევე მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. ასეთი ღონისძიებანი კი საკმაოდ ხშირად ტარდებოდა სკოლაში, იქნებოდა ეს ლიტერატურულ-მხატვრული დიდი საღამოები, ლიტერატურულ თუ ისტორიულ პირთა „გასამართლებანი", მოსწავლეთა მიერ მომზადებული დრამატული წარმოდგენები თუ კონცერტები, კონფერენციები, მოხსენებები, დისპუტები, გარჩევები ლიტერატურულ, ისტორიულ თუ სხვა ხასიათის თემებზე... ყველა ამ ღონისძიებას სკოლის დირექტორი არათუ უბრალოდ ესწრებოდა, არამედ ხშირად აქტიურად მონაწილეობდა მათ მომზადება-ჩატარებაში. მიხ. ზანდუკელი ცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა ის, რასაც წერდა თავის ნაშრომში „ესთეტიკური აღზრდა", შეექმნა ისეთი სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, მათში აღზრდიდა „მაღალ მამულიშვილობას და საერთოდ ადამიანურ გრძნობებს: ხასიათის სიმტკიცეს, შემოქმედებას, თვითმოქმედებას, უფლებას, მოვალეობას და ძმობა-ერთობა-თავისუფლების შეგნებას და განმტკიცებას საერთო სიმშვენიერის გრძნობის ნიადაგზე".

მიხ. ზანდუკელი დიდ მზრუნველობას იჩენდა არა მარტო მათდამი, ვინც იმჟამად სწავლობდა სკოლაში, არამედ სკოლადამთავრებულებისადმი, რომლებიც დახმარებას საჭიროებდნენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. ყოფილი მოსწავლეებიც სათანადოდ პასუხობდნენ ამ სიყვარულს. ამიტომ იყო, რომ ყოველ 8 ნოემბერს, მიხეილ ზანდუკელის დაბადების დღეს, უახლოეს ამხანაგებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან ერთად მასთან იკრიბებოდნენ ყოფილი მოწაფეებიც. ვის არ ნახავდით ამ დღეს მასთან, თვალსაჩინო პედაგოგებს, მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნებისა და საერთოდ კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს... ამ შეკრებებზე მუდმივი თამადა იყო მიხ. ზანდუკელის ყოფილი სტუ-

დენტი სოლომონ ხუციშვილი. მას პირველ სკოლაში არ უსწავლია და ყოველთვის შენატროდა მათ, ვინც ზანდუკელის მოწაფეები იყვნენ. როგორც გ. ჟორდანია წერს, „ერთხელ ჩინებული თამადობისათვის, ხუმრობით „ჩავრიცხეთ" პირველი სკოლის მოწაფედ. უკეთ რომ ვთქვათ, მივანიჭეთ მას დიდი ღირსება „ზანდუკელის სკოლის" მოწაფეობისა..."

დღეს ამ სკოლის აღზრდილებით, მათი სასახელო საქმიანობით ამაყობს ქართველი ხალხი. ალბათ, იშვიათად მოიძებნება ისეთი სკოლა, არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომლის კურსდამთავრებულთა შორის იყოს ამდენი აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნების დიდი მოღვაწე, სახელოვანი მწერალი, ნებისმიერი დარგის ესოდენ ღირსეული მოღვაწე... მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ერთ ნარკვევში შეუძლებელია. გიმნაზიის კედლებზე გაკრულ მემორიალურ დაფებს თვალი რომ გადავავლოთ, ნათელი გახდება, რამდენი სახელოვანი შვილი აღუზრდია ჩვენს საიუბილეო სკოლას და მათ შორის რამდენია „ზანდუკელის სკოლის" ყოფილი მოსწავლე.

მიხეილ ზანდუკელი 1962 წლის 2 აპრილს, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდი პედაგოგი და ასევე დიდი მეცნიერი მისმა ყოფილმა მოწაფეებმა, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა ადამიანებმა დაიტირეს და დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონის მიწას მიაბარეს. „ზანდუკელის სკოლის" მოწაფის ღირსებამინიჭებულმა პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა შექმნა შესანიშნავი თხზულება „მიხეილ ზანდუკელი" (გამოიცა 1973 წელს).

თემა „მიხეილ ზანდუკელი" ამოუწურავია. ალბათ, კვლავაც შეიქმნება ამ თემაზე ნაშრომები, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს მიხეილ ზანდუკელს, როგორც პიროვნებას, რომელზეც სოლომონ ხუციშვილმა ასე გრძნობით აღმოსთქვა: „იგი იყო კაცური კაცი!"

3. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ

მიხეილ ზანდუკელის დირექტორობიდან გათავისუფლებით დამთავრდა თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი პერიოდი.

საქართველოს განათლების იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ მიხეილის, როგორც საბჭოთა სკოლისათვის შეუფერებელი დირექტორის, ჩამოშორება სერიოზული დანაშაული იყო არა მარტო სკოლის, არამედ საერთოდ რესპუბლიკის განათლების სისტემის წინაშე. რაში გამოიხატებოდა ეს შეუფერებლობა? ამ კითხვაზე დამაჯერებელი, დასაბუთებული პასუხი არ გაცემულა არც მაშინ და არც შემდეგ, არც ოფიციალურად და არც მიხეილ ზანდუკელზე მოგონებებში.

როგორც ჩანს, მიხეილ ზანდუკელის ნიჭი, ალღო, მისი დემოკრატიული პედაგოგიური იდეები, სწავლების მეთოდიკის პრინციპები ვერ თავსდებოდა მარქსისტულ-ლენინური ჩარჩოებით შემოსაზღვრულ პედაგოგიკაში. პედაგოგთა შერჩევის ზანდუკელისეული პრინციპები ვერ ეგუებოდა საბჭოურ მოთხოვნებს. მ. ზანდუკელის მიერ სკოლაში დანერგილი წესრიგი გამორიცხავდა რკინისებურ დისციპლინას, რასაც საბჭოთა სკოლა მოითხოვდა და რასთანაც შეუთავსებელი აღმოჩნდა ესთეტიკური აღზრდის მეთოდიკის ფუძემდებლის ცდები სკოლაში შეგნებული დისციპლინის დასანერგად. ზანდუკელის სასწავლო-აღმზრდელობითი პრინციპები არ შეესატყვისებოდა საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფებას, რომ სკოლას აღეზარდა მომავალი თაობა საბჭოთა წყობილების ბრმა მსახურები, ლენინ-სტალინის საქმისათვის მუდამ მზადმყოფი მებრძოლები — პავლიკ მოროზოვები.

ზანდუკელის გათავისუფლებისას ყურადღება არ მიექცა არა მარტო თვით სკოლის, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის წინაშე მის დამსახურებას. ამ დამსახურებაზე კარგად წერდა პროფესორი სოლომონ ხუციშვილი. „მიხეილ ზანდუკელის მოქალაქეობრივი და პედაგოგიური ტაქტის შედეგად ამ სკოლამ საქართველოს რესპუბლიკაში უპირველესი ადგილი მოიპოვა. ჯერ ერთი, საცდელ-საჩვენებელი სკოლა გადაიქცა სანიმუშოდ რესპუბლიკის სკოლებისათვის ახალი სკოლის პრინციპებისა და მეთოდების დამუშავება-გამონახვაში და პრაქტიკულად სასწავლო პროცესში დასანერგავად. როგორც სანიმუშო სკოლა, იგი იყო კერა პედაგოგიური პრაქტიკისა, სადაც ამ პრაქტიკას გადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან წარმოგზავნილი მასწავლებლები. სკოლაში კონსულტაციას იღებდნენ სასწავლო პროცესის ყოველი დარგის მუშაკები. პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის ასეთი ფუნქცია როგორც სკოლის გამგეს, ისე მთელს პედაგოგიურს პერსონალს ავალებდა სიფხიზლეს და მზადყოფნას ყოველი შესაძლებელი საკითხის პასუხისათვის. მიხ. ზანდუკელმა ეს დიდი საზოგადოებრივი მისია შესანიშნავად შეასრულა“[10].

„შესანიშნავად შეასრულაო“, წერდა პროფესორი სოლომონ ხუციშვილი, მაგრამ არა ისე შესანიშნავად, როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. „მიხეილ ზანდუკელი მოხსნეს დირექტორობიდან, როგორც საბჭოთა სკოლისათვის შეუფერებელი პიროვნებაო“, — წერს ქ-ნი თინა ფერაძე-აბაშიძე და იხსენებს, რომ მ. ზანდუკელის მოხსნიდან მოკლე ხანში გაანადგურეს სკოლის „უმდიდრესი ბიბლიოთეკა, მახსოვს, წიგნებს პირდაპირ ქუჩაში, ლესია უკრაინკაზე ყრიდნენ: შემდეგ ზოგი საჯარო ბიბლიოთეკაში მიჰქონდათ, ზოგიც უნივერსიტეტში! მოსწავლეები ცხარე ცრემლით მივტიროდით ჩვენს ბიბლიოთეკას“[11].

პირველი სკოლის ბიბლიოთეკამ მეფის ხელისუფლების დროსაც რამდენჯერმე განიცადა ანალოგიური დარბევა. მაშინაც პოლიტიკურად მიუღებელ

წიგნებს ყრიდნენ, ხევდნენ, წვავდნენ. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებისათვის ნამდვილი აუტოდაფე მოუწყვია 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სკოლაში ჩაყენებული ჯარისა თუ ჟანდარმერიის ნაწილებს, როდესაც სკოლა და მისი ბიბლიოთეკა დაანგრიეს, დაარბიეს, მოსწავლეები და მასწავლებლები ჩახოცეს.

მიხ. ზანდუკელის შემდეგ, დაახლოებით 1930-1933 წლებში სკოლის დირექტორად ყოფილან მარიამ მაჩაიძე და ალექსანდრა (საშა) ართილაყვა, ხოლო 1934-1940 წლებში — შალვა სიხარულძე. მის შემდეგ, დაახლოებით 1940-1941 სასწავლო წელს დირექტორად მოიხსენიება დავითაია, რომელიც შეუცვლია სერგო ბიბილეიშვილს, იგი პროფესორ რევაზ ჟორდანიას მოგონებებში 1942 წლის 1 სექტემბერს სკოლის დირექტორად სახელდება[12].

ამ სტრიქონთა ავტორს კარგად ახსოვს 1941-1942 სასწავლო წელი, როდესაც 1941 წლის 22 ივნისს დაწყებული ომის გამო, მეოცე საშუალო სკოლის შენობაში, რომელიც ალ. ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში მდებარეობდა, ჰოსპიტალი მოათავსეს, მეოცე სკოლა კი პირველმა საშუალო სკოლამ შეიფარა. პირველი სკოლის დირექტორი მაშინ სერგო ბიბილეიშვილი ყოფილა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1942 წლის ნოემბრისათვის ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკიას შეუცვლია. 1953 წლის ოქტომბერში ჯაჯუ ჯორჯიკიას გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის ნოემბერ — 1954 წლის თებერვალში პირველი საშუალო სკოლის დირექტორი იყო შალვა გიგაშვილი.

ჯაჯუ ჯორკიას დირექტორად დანიშვნით თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის კიდევ ერთი სასახელო პერიოდი დაიწყო.

4. დიდი პედაგოგი — სკოლის დიდი მოამაგე

§ 1. შემოქმედებითი ცხოვრების გზაგასაყარზე

თბილისის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი სტურუა თავისი სკოლის დირექტორს ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკიას ასე ახასიათებდა: „ეს იყო დიდი სილამაზისა და მომხიბვლელობის ადამიანი. და მთავარი — ეს იყო გასაოცრად თბილი და მოყვარული ადამიანი, ნათელი პიროვნება. ამ სითბოსა და სინათლეს აფრქვევდა თავის მოწაფეებს და არამარტო მოწაფეებს, ყველას, ვინც მის გარშემო იყრიდა თავს"[13].

ეს სიყვარული, სითბო და სინათლე მისი შინაგანი ბუნებიდან, იმ შინაგანი ცეცხლიდან მომდინარეობდა, რის შესახებაც თვით ჯაჯუ ერთ-ერთ თავის

მცირე მოცულობის პროზაულ ნაწარმოებში წერდა: „ცეცხლი... დედამიწაზე სიცოცხლეს, სილამაზეს და სიყვარულს წარმოშობს“[14].

ეს ცხოველმყოფელი ცეცხლი მასში ოჯახმა, მშობლებმა — დედამ, სალომე ბოლქვაძემ და მამამ, ივანე ჯორჯიკიამ დაანთეს. ოთხ ვაჟსა და ორ ქალიშვილს შეძლებულმა ოჯახმა კარგი სწავლა-განათლება მიაღებინა. ექვსივე საზოგადოების ღირსეული წევრი გახდა. უფროსი სამი ვაჟი — მიხა, გიორგი და დავითი უმაღლესის დამთავრების შემდეგ ხალხის განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა, ქალიშვილები: ნინო — ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის იონა მეუნარგიას მეუღლე, ხოლო ეკატერინე გამოჩენილ კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას დედა გახლდათ, უმცროსმა ვაჟმა ჯაჯუმ 1902 წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო 1904 წელს 19 წლის ჭაბუკი მამის ხელშეწყობით პარიზში გაემგზავრა და 1907 წელს ვალაბრის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრობიოლოგიის ფაკულტეტის დიპლომით დაბრუნდა სამშობლოში.

სტუდენტობისას სწავლისაგან თავისუფალ დროს ჯაჯუ მუზეუმების, გამოფენების, თეატრების, სამკითხველო-ბიბლიოთეკების ხშირი სტუმარი იყო. არდადეგების დროს ბევრს მოგზაურობდა როგორც საფრანგეთის, ასევე მეზობელი ქვეყნების ქალაქებში. ეცნობოდა იქაურ ღირსშესანიშნაობებს, ისტორიას, კულტურის ძეგლებს, ლიტერატურას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს.

ვ. წონელიას ნარკვევში „ჯაჯუ ჯორჯიკია“ მოთხრობილია ერთი გადმოცემა, რაც კარგად გვიხასიათებს ჯაჯუს რომანტიკულ ბუნებას. იგი ძმასთან ერთად შესულა ლუვრის მუზეუმის იმ ოთახში, „სადაც ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“) იყო გამოფენილი. ჯაჯუ საოცრად აღელვებულა და დათოსთვის უთქვამს: „კარებში გაჩერდი, თუ ვინმე გამოჩნდეს, დაახველეო“. დათო მართლაც დამდგარა კარებში, ჯაჯუმ თურმე სასწრაფოდ მოიტანა სკამი, ზედ შედგა და ჯოკონდას აკოცა. ასეთი მოულოდნელი შემთხვევები ბევრი ყოფილა მის სიცოცხლით აღსავსე ცხოვრებაში“[15].

მოსალოდნელი იყო, რომ სოფლის მეურნეობის განხრით საშუალო და უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული ჯაჯუ ჯორჯიკია აგრონომად დაიწყებდა მოღვაწეობას, მან კი სულ სხვა ასპარეზი აირჩია. და ეს ბუნებრივი იყო. იგი ჯერ კიდევ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე იყო, როდესაც 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ მისი პირველი კორესპონდენცია გამოქვეყნდა. მას შემდეგ გაზეთებში, ძირითადად, „ივერიაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები და კორესპონდენციები ქართველი ხალხისათ მტკივნეულ საკითხებზე. 19 წლის ჯაჯუმ სასტიკად გაილაშქრა აშორდიას მსგავს ვიგინდარათა წინააღმდეგ, რომლებიც აბუჩად იგდებდნენ მტრების მრავალგზისი შემოსევებისაგან დაცულ სარწმუნოებას, ჩვენს ენასა და სამშობლოს. საფრანგეთში მიმავალი ახალგაზრდა ჯაჯუ ჯორჯიკია ქართველ

13. ჯ. გაფრინდაშვილი

მკითხველთა შორის უკვე სარგებლობდა თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტის, ნიჭიერი პუბლიცისტის სახელით. იგი საფრანგეთიდანაც გზავნიდა საინტერესო წერილებს. პირველკურსელი ჯაჯუ გაზეთ „ივერიის“ 238-ე ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში „სამშობლოს გარეთ“ უკიჟინებდა მათ, რომლებიც „საზღვარგარეთ ჩხირსაც არ სტოვებენ გაუცნობლად და ამავე დროს კი სრულებით არ იცნობენ თავის სამშობლოს“. ამ მხრივ იგი საკუთარ თავსაც კიცხავდა: „ეს შენიშვნა რამდენად ნაღვლიანია, იმდენად ჭეშმარიტია. შორს რომ არ წავიდე, ჩემს თავზე ვიტყვი, ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ საქართველოში არც გელათი მინახავს, არც მცხეთა, არც შიო მღვიმის მონასტერი, გარდა მარტვილისა. ჩვენ არ ვიცნობთ და არც გვინახავს კახეთი, სვანეთი, აფხაზეთი, რაჭა, სამცხე-საათაბაგო, ჯავახეთი და სხვ.“[16]. ამიტომ იყო, რომ შემდეგ, როცა რიგით მასწავლებლად თუ სკოლის დირექტორად მოღვაწეობდა, ჯაჯუ ჯორჯიკია სერიოზულ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა ექსკურსიებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის გასაცნობად.

მოულოდნელი არ იყო, რომ საგაზეთო კორესპონდენციებისა თუ წერილების შემდეგ გამოქვეყნდა ჯაჯუს მინიატურულ-მხატვრული ნაწარმოებები. არც ის იყო მოულოდნელი, რომ მან აგრონომობას პედაგოგობა და მწერლობა ამჯობინა. სწორედ ამ ასპარეზზე გამოვლინდა ჯაჯუ ჯორჯიკიას ნიჭი, შესაძლებლობა, ცოდნა და ღრმა განსწავლულობა. სამშობლოში დაბრუნებული, ქუთაისის სხვადასხვა სასწავლებლებში ათზე მეტ წელს ასწავლიდა ფრანგულ ენას და ბუნებისმეტყველებას. ამ დროისათვის იგი უკვე აღიარებული მწერალი იყო, როგორც ორიგინალური, მცირე მოცულობის მოთხრობების ავტორი. ქართული კრიტიკა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ მას „უკვე საპატიო ადგილი უკავია ჩვენს ლიტერატურაში“. ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე წერდა: „არ გვინდა ერთი ბეწო ეჭვიც კი გავიტაროთ გულში — რომ ჯორჯიკია განვითარების გზას აშორდება და უდროოდ შეჩერდება შუა გზაზე“[17].

ის კი აშორდა და შეჩერდა, 1951 წლის 30 ოქტომბერს იგი ესენტუკიდან წერდა ცნობილ პედაგოგს, თავის მოადგილეს სასწავლო დარგში გრიგოლ კუტუბიძეს: „მეც მქონდა ცოტა რაიმე მონაცემები, მაგრამ ის სკოლის დერეფნებში და რონოს (რაიონის სახალხო განათლების განყოფილების — ჯ. გ.) გამგეების კაბინეტებში გავფლანგეო“, როდესაც ამას წერდა, ჯ. ჯორჯიკია უკვე მეათე წელი იყო, რაც თბილისის პირველი სკოლის დირექტორად მუშაობდა, მანამდე კი, 1931 წელს თბილისში გადმოსული, თავდაპირველად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე იყო და თან თეატრალურ ინსტიტუტში ფრანგულ ენას ასწავლიდა. 1935 წლიდან აგრობიოლოგიური სადგურისა და მასთან არსებული 23-ე საშუალო სკოლის დირექტორია. 1942 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან კი თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა.

ამრიგად, ჯაჯუ ჯორჯიკია შემოქმედებითი ცხოვრების გზაჯვარედინზე ერთ გზას აშორებული, საბოლოოდ დაადგა მეორე გზას, რომელმაც დიდი პედაგოგის საერთო აღიარება მოუპოვა.

§ 2. მძიმე გამოცდის ხანა

მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი — საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომად წოდებული, ერთ წელზე მეტი ხნის დაწყებული იყო, როდესაც ჯაჯუ ჯორჯიკია თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა. ომის მრისხანე ხმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქსაც აღწევდა. მხატვარ ირაკლი თოიძის პლაკატი „დედასამშობლო გვეძახის" მოქალაქეებს ქვეყნის დასაცავად უხმობდა. ამ მოწოდებას თბილისის პირველი სკოლიდანაც არაერთი მასწავლებელი და სკოლადამთავრებული გაჰყვა. ბევრმა სკოლის დამთავრებისთანავე ჩაიცვა ჯარისკაცული ფარაჯა.

ბატონმა გივი ჟორდანიამ 1942 წლის 1 სექტემბერს შეიყვანა პირველ კლასში თავისი ვაჟი რევაზი, შემდეგში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აი, როგორ წარმოგვიდგენს რევაზ ჟორდანია იმდროინდელ თბილისსა და პირველ სკოლას: „ფერდაკარგული, გამხდარი, მრავალი ფიქრით დამძიმებული ადამიანები სწრაფად მიმოდიოდნენ ქუჩებში, მწყობრად მიაბიჯებდნენ ჯარისკაცთა კოლონები, მაგრამ პირველ სექტემბერს სკოლისაკენ მიმავალი ბავშვების დანახვაზე კეთილი ღიმილი ამშვენებდათ... ჩვენი სკოლაც, ისევე როგორც ომის დროს თბილისის თითქმის ყველა შენობა, უშიშროების თვალსაზრისით აჭრელებული იყო სხვადასხვა ზოლებით".

უჭირდა სკოლას, რომელმაც, მე-20 საშუალო სკოლის გარდა, კიდევ შეიკედლა მახარაძის (ამჟამინდელი გერონტი ქიქოძის) ქუჩაზე მდებარე საშუალო სკოლა, რომლის შენობაც ჰოსპიტალს დაეთმო. შემდეგში ამ სკოლას ვაჟთა მეორე სკოლის სახელი მიეკუთვნა. თვით პირველი სკოლის მესამე სართულიც ჰოსპიტალმა დაიკავა. ყოველივე ამან საკლასო ოთახების შემცირება და სამცვლიან მეცადინეობაზე გადასვლა გამოიწვია, მასწავლებლებს მოღვაწეობა გაურთულა. მიუხედავად ამისა, პედაგოგები არ იმჩნევდნენ ამ სიძნელეებს, შეიძლება ითქვას, გაათკეცებული ენერგიით ასრულებდნენ თავის კეთილშობილურ მოვალეობას. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც ომის მძიმე დღეებში ეკონომიკური სიდუხჭირე, მორალური თუ სულიერი განცდები და ტკივილი არაჩვეულებრივი ამტანობით გადაიტანეს. არცთუ იშვიათად, გაუთბობელი ბინიდან გათოშილნი მოსულან ასევე გაუთბობელ სკოლაში. ღამით ჭრაქისა თუ სახლში ჩამოსხმული სანთლის შუქზე ამზადებდნენ მეორე დღეს ასახსნელ

მასალას ან ასწორებდნენ მოსწავლეთა ნაწერებს, თვალებდაწითლებულნი, შეიძლება, მშიერნიც შესულან გაკვეთილებზე, მაგრამ პირადი გასაჭირი არ უგრძნობინებიათ მოსწავლეებისათვის. ამ უკანასკნელთათვის მასწავლებელი ხომ სიწმინდის, რაღაც ზებუნებრიობის განსახიერება იყო, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნები არ გააჩნდა.

რ. ჟორდანიას მოგონების მიხედვით, ასეთად წარმოგვიდგება მისი პირველი მასწავლებელი კატო წერეთელი — „სიდარბაისლის, კდემამოსილების, პატიოსნებისა და სიკეთის განსახიერება". მოგონებათა ფურცლები გვახსენებენ ძვირფას ადამიანებს, რომლებიც იმ მძიმე დღეებშიც მტკიცედ იცავდნენ და ავითარებდნენ სასახელო ტრადიციებს, რითაც სახელი გაითქვა თბილისის პირველმა საშუალო სკოლამ. ესენი იყვნენ: დაწყებითი კლასების მასწავლებელი ნინო ალადაშვილი, რომელსაც მისი ყოფილი მოსწავლეები დიდი მადლიერებით იხსენიებენ „ლამაზი ხელის" დაყენებისათვის; სიმღერის მასწავლებელი იუსტინე კალანდაძე; „ქართული ენის ცნობილი პედაგოგი და კაცური კაცი სიმონ სხირტლაძე"; მათემატიკის მასწავლებელი, „კეთილი გულის ადამიანი თამარ დოლიძე"; ქართულის მასწავლებელი, „სულ ახალგაზრდა, უდროოდ დაქვრივებული, ლამაზი კატო დათუნაშვილი"; ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, „მაღალი, წარმოსადეგი ლეილა თოთიბაძე"; ქეთევან აფშინაშვილი — რუსული ენის მასწავლებელი, „მკაცრი, მაგრამ საკვირველად გულისხმიერი ადამიანი და შესანიშნავი პედაგოგი — მარო ჟორჟოლიანი"; „მშვენიერი სპეციალისტი მარგო პოლოლიკაშვილი, რომელიც ყოველთვის დაკავებული იყო: ყველა კლასისათვის აფორმებდა საორგანიზაციო კუთხეებს, წერდა ლოზუნგებს და სხვა"...

ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც „დღისით და საღამოობით ასწავლიდნენ, კვირაობით ქალაქგარეთ სანგრებს თხრიდნენ, ღამით კი სახლის სახურავებზე მორიგეობდნენ, რომ შემთხვევით შემოფრენილი გერმანელების ცეცხლსაკიდი ბომბები გაეუვნებელყოთ". ისიც არ იყო მათთვის უცხო, რომ უჭმელობით მისუსტებული მოსწავლისათვის მიეწოდებინათ თავისი ისედაც მწირი ლუკმა. მთელი სიცოცხლე ვერ ივიწყებდნენ და ვერ ივიწყებენ ამ მზრუნველობას მაშინდელი მოსწავლეები.

ამის მსგავს დიდ სიკეთეზე მოგვითხრობს რ. ჟორდანია: „ჩვენი სახლის სარდაფში ომის დროს მუშაობდა ფუნთუშების საცხობი, რომლის მესვეურები — ძმები კირილე და ვარლამ კაციტაძეები დიდ სიკეთეს ჩადიოდნენ: ეზოში მცხოვრებ ყველა ბავშვს ყოველდღიურად აძლევდნენ თითო ფუნთუშას, რაც იმ დროისათვის საგრძნობი დახმარება იყო"... სწორედ ასეთ ადამიანთა თანადგომამ გადაატანინა ჩვენს ხალხს ომის გაჭირვება. გაჭირვება კი ყველაფერში იგრძნობოდა. „ომი იყო და რვეულები არ იშოვებოდა. თითო საგანში გვეძლეოდა მუქქაღალდიანი რვეულები, რომლებიც საშინლად იშრობდა მელანს, ეს საკლასო რვეულები იყო. საშინაო რვეულები კი თვითონ უნდა გვეშოვნა. ვაგ-

როვებდით თითო-ოროლა ფურცლებს. ჩვენი დედები კი მათ რვეულებად კერავდნენ და ჩვენც ასეთი „რვეულებით" ვსარგებლობდით. მათემატიკის ამოსახსნელად კი მამიჩემისეულ ძველ ე. წ. გრიფელის დაფას ვხმარობდი, სანამ გრიფელი მთლად გამოილია".

გავეცნოთ თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის, ამჟამად მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის იური შახოვის მოგონებებს ომისდროინდელ მძიმე დღეებზე:

„1941 წელს დაიწყო ომი, მას მოჰყვა მართლაც საყოველთაო გაჭირვება. ჭირდა ჩაცმა-დახურვა, კვება. კარგად მახოვს, იქნებოდა ასე 1942 წელი, როცა მამამ თავის სამხედრო ნაწილში შეაკერინა ჩემთვის ფეხსაცმელი, უფრო ზუსტად „ბათინკები". მეწაღე, ეტყობა, საკმაოდ ფინაჩი იყო, რადგან თითოეული სხვადასხვა ხარისხის ტყავისაგან იყო შეკერილი და არც უზრუნია, რომ ორივე ზუსტად ერთი ფასონისა გამოესულიყო. მიუხედავად ამისა, ახალმა ფეხსაცმელმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და უდიდესი პოპულარობა მომიხვეჭა არა მარტო ჩვენს კლასში.

გადიოდა დრო, ქალაქში გაჩნდა ამერიკის დახმარება. სკოლაში რძის და კვერცხის ფხვნილს რომ გვაძლევდნენ, კარგად მახსოვს. ის კი არა, ისიც მახსოვს, რომ იმ დროს ჩვენი მასწავლებელი ელენე ბერიტაშვილი (გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის და) პირდაპირ კლასში გვაჭმევდა ამ რძის ფხვნილს. წარმომიდგენია, როგორ უჭირდათ მაშინ ჩვენს პედაგოგებს და როგორ ცდილობდნენ, არაფერი არ დაგვკლებოდა ამ დახმარებიდან.

უნდა გენახათ, რა რვეულებში ვწერდით. გაჩნდა რვეულები მუქი რუხი ქაღალდით, რომელიც უფრო საშრობს წააგავდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს კალმისტრებს ვხმარობდით (სამელნეები დაგვქონდა სკოლაში), ადვილი წარმოსადგენია, რას გავდა ჩვენი ნაწერები, ან რომელ მართლწერაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. სახლებში გადაიქექა ყველა ძველი რვეული. ბოლოში დარჩენილი სუფთა ფურცლები ამოიხია და მისგან შეიკრა ახლები, მაგრამ ძალიან ცოტანი თუ სარგებლობდნენ ამისთანა ფუფუნებით. მოკლედ, „გაჭირვება მიჩვენე და..." სწორედ ამისთანა ვითარება იყო. დასანანია, რომ სკოლის მუზეუმში მაინც არ შემორჩა ასეთი რვეული და საერთოდ იმდროინდელი ჩვენი სასკოლო აღჭურვილობა".

ბატონი იური არ ივიწყებს იმ პერიოდის ორდერებსაც „ტანსაცმლის შესაძენად, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ერთ-ორს კლასში მაინც ეცვა ორდერით მიღებული საკმაოდ „უნიჭო" ტანსაცმელი, ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის „შედევრი". რამდენადაც მახსოვს, ეს უმთავრესად პალტო იყო. ოდნავ მოვიპრანჭეთ. მეც გავიხადე მამაჩემის ნაქონი ჩექმები, ორი თუ სამი ზომით უფრო დიდი, ვიდრე მჭირდებოდა, თუმცა მათი ტარება მე დიდი თავმოწონებით დავიწყე თავის დროზე".

იმ „ადგილობრივი მრეწველობის „შედევრის“, „უნიჭოდ“ შეკერილ პალტოსთან დაკავშირებით მოგონებებში მოთხრობილია ერთი ამბავი, რამაც დღეს შეიძლება მკითხველის ღიმილიც კი გამოიწვიოს. იური სტუმრად უნდა მისულიყო თანაკლასელ, იმჟამად ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონასთან. იგი ნერვიულობდა. ამ ნერვიულობის მიზეზზე მოგონებებში ასეა მოთხრობილი: „პალტოს ჩაცმის დრო იყო და პალტოთი უნდა წავსულიყავი. პალტოს შესახედავად კი არაუშავდა რა, მაგრამ ის იმდენად ვიწრო იყო, რომ სხვის დაუხმარებლად ვერ ჩავიცმევდი. ამიტომ ჩემს წინაშე ჰამლეტის მსგავსად დაისვა კითხვა, გამეხადა თუ არ გამეხადა სტუმრად პალტო. სწორედ ეს იყო ჩემი ნერვიულობის მიზეზი. მე მგონი, ისე მოვახერხე მთელი სტუმრობის ჩატარება, რომ მიუხედავად დაჟინებული მოთხოვნისა, პალტო არ გამიხდია, თუმცა ძალიან შეზღუდულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მთავარი მაინც შედგა — შევასრულე ჩემი მისია და მოვახერხე ჩვენი შეწყვეტილი მეგობრობის აღდგენა“.

მოგონებებში დავიწყებული არ არის ფუნთუშებიც, „რომელსაც გაჭირვების წლებში ყოველ კლასს ურიგებდნენ ან მასწავლებლები, ან კლასის მორიგეები. თუ მასწავლებელი არიგებდა, ხომ კარგი, მაშინ წესრიგი იყო, ხოლო თუ დაარიგებდა მოსწავლე-მორიგე, ხშირად ყველაფერი ზედახორით მთავრდებოდა და იქიდან გამომძვრალ კაცს ფუნთუშა თუ ეკავა ხელში, დიდ გმირობად ითვლებოდა, სამაგიეროდ, ვისაც ბედი გაუღიმებდა, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, სხვებზე უფრო ღონიერი და მოხერხებული იყო, საუზმედ რამდენიმე ფუნთუშა ერგებოდა ხოლმე. თუმცა უნდა ითქვას სიმართლე — ამას არასოდეს არ მოჰყოლია ჩხუბი, ან თუნდაც უსიამოვნება“.

მოგონებებში გახსენებულია იმდროინდელი კინოფილმებიც:

კინოთეატრებში გაჩნდა გერმანელებისაგან ნადავლად წამოღებული კინოფილმები, უმთავრესად ამერიკული, ე. წ. „ტროფეინი“ სურათები. ჩვენს მასწავლებლებს გაუჩნდათ ახალი თავსატეხი. ბევრი მოსწავლე თავს ვალდებულად თვლიდა დილიდან გასცნობოდა ახალ კინოსურათს, მითუმეტეს, რომ კინოთეატრი „რუსთაველი“ ჩვენი სკოლისგან ორ ნაბიჯში იყო და დღისით ბილეთები გაცილებით იაფი ღირდა. ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა უდიდესი ახალი სამყარო. განსაკუთრებით ბევრი იყო მუსიკალური სურათები, ბევრი მელოდია სწრაფად მოედებოდა ხოლმე ქალაქს და კლასშიაც სრულდებოდა ჩვენი ამხანაგის ჯემალ ანჯაფარიძის ლოტბარობით. თუ მეხსიერება არ მღალატობს, კინოთეატრ „რუსთაველში“ პროგრამა კვირაში ორჯერ იცვლებოდა და ეს ნიშნავდა, რომ ყოველ კვირას მინიმუმ ორ ახალ სურათს ვუყურებდით. შედარებით ძველები კი გადადიოდნენ სხვა კინოთეატრებში, რომლებიც ჩვენს რაიონში უამრავი იყო: „სპარტაკი“, „ლუქსემბურგი“ (შემდეგ „თბილისი“), ოფიცერთა სახლი, ვოროშილოვის და ძერჟინსკის კლუბები და მრავალი სხვა.

იმდროინდელი ატმოსფეროს გადმოსაცემად, იური შახოვი ომისშემდგომი პირველი წლებიდან კიდევ ერთ ამბავს იხსენებს:

უფროს კლასებში დაბადების დღეების გადახდაც კი დაიწყო, ვინაიდან იმ დროს საღამოობით ტრანსპორტი არ მუშაობდა, სუფრაზე, როგორც წესი ღამის 12 საათზე ადრე არ ვჯდებოდით და ჩვენი ლხინი გრძელდებოდა დილამდე, როცა ტრანსპორტი იწყებდა მუშაობას. მთელ დროს სუფრასთან ვერ გავატარებდით (არც სურსათი იყო იმდენი), ამიტომ ერთი-ორჯერ ცხადდებოდა შესვენება — „პერერივი" — „პერო", როგორც მაშინ ვეძახდით და იწყებოდა ცეკვები. თუ ოჯახში ბედზე შემორჩენილი იყო პატეფონი, მაშინ საერთო ძალებით შეგროვდებოდა ფირფიტები და საქმე აწყობილი იყო. თუ არა და ექსპლოატაციას ვუწევდით ჩვენს ამხანაგებს, რომლებსაც შეეძლოთ დაკვრა (იმ დროს თბილისში ოჯახებში ჯაზის დაკვრაც დაიწყეს), ეს, რა თქმა უნდა, მიუხედავად მათი გაცხარებული პროტესტებისა. აბა, ვის გაუხარდებოდა დაკვრა, როცა სხვები ერთობოდნენ, ეარშიყებოდნენ ერთმანეთს და მხიარულობდნენ. სუფრაზე ყოველთვის სიმღერა იყო. ჩვენს კლასში, საბედნიეროდ, რამდენიმე კაცი კარგად მღეროდა, ამიტომ კარგ სუფრულ სიმღერებს აგუგუნებდნენ ჩვენ თავყრილობებზე, ხოლო ჯემალ ანჯაფარიძე ძალიან დიდი ოსტატობით სოლო სიმღერებს და რომანსებსაც ასრულებდა, რა დაგვავიწყებს მის შესანიშნავ სიმღერებს. ის საერთოდ ძალიან ნიჭიერი, იუმორით სავსე იყო. ამშვენებდა ნებისმიერ, და არამარტო ჩვენს სუფრებს, ყველგან სასურველი სტუმარი იყო. მშვენიერი ხმა ჰქონდა და თავის ძმაზე ზურაბ ანჯაფარიძეზე არანაკლებად მღეროდა.

ასეთი დაბადების დღეები თავის სატკივარს უჩენდა მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი ჩვენს დამრიგებელს ნუნუ თოფურიძეს. გადახედავდა თუ არა დილით თავის შეთხელებულ კლასს და უკანა მერხებზე მთვლემარე მოწაფეებს, ნუნუ შემოირტყამდა თავში ხელებს და იწყებდა გახსენებას, თუ ვისი დაბადების დღე უნდა ყოფილიყო და მერამდენედ გვახსენებდა თავის თხოვნას, გადაგვეხადა დაბადების დღეები მხოლოდ შაბათობით. მოკლედ, დილაუთენია სახლში მოსული მოსწავლეები მხოლოდ მესამე გაკვეთილისთვის თუ გროვდებოდნენ. ჩვენც და მშობლებიც ვცდილობდით ნუნუს თხოვნის შესრულებას, მოგვეწყო დაბადების დღეები შაბათობით, მაგრამ, როგორც ყველა საქმეებში, აქაც ჩავარდნები გვქონდა".

ომისდროინდელი მძიმე დღეები სამუდამოდ აღიბეჭდა იმდროინდელ პირველსკოლელთა მეხსიერებაში.

ადრე ომი რომანტიული ფერებით ეხატებოდათ, ჩაპაეველთა თუ სამოქალაქო ომის სხვა გმირთა ლეგენდების მიხედვით. სულ სხვა აღმოჩნდა სინამდვილე. სულ სხვა თვალებით შეახედეს მასზე ფრონტებიდან ნაადრევად დაბრუნებულმა დაჭრილებმა და სამუდამოდ დაინვალიდებულებმა. და თუ აქ, მშობლიურ ქალაქში არ სკდებოდა ყუმბარები, არ ზუზუნებდა ტყვიები, ღამით ლოგინ-

ში მაინც წვებოდნენ და მაინც გაჭირვება იყო, რა იქნებოდა იქ, სადაც მებრძოლებს ყოველ წუთს მტრის ტყვიით სიკვდილი, უჭმელ-უსმელებს სანგრებში ყინვისაგან გათოშვა ემუქრებოდათ? პატარებმა ჯარისკაცებს ამანათები გაუგზავნეს: „ვინ თბილი შალის წინდები მოიტანა, ვინ ხელთათმანები, ვინ ჩურჩხელა და სხვა ნუგბარი. თბილი წერილებიც მივწერეთ ჩვენს სახელოვან მეომრებს, რომლებსაც, ალბათ, გულს უთბობდა პატარა ხელით დაწერილი სტრიქონები: ჩვენ ვისურვებდით, რომ მალე გაგემარჯვოთ მტარვალ ფაშისტებზე! და აი, მალე ეს დღეც დადგა..."

მალე რა მოგახსენოთ, მაგრამ მართლაც ჭეშმარიტად დაუვიწყარი იყო 1945 წლის 9 მაისი. თითქოს გუშინ მიიღეს სკოლაში. ახლა უკვე მეოთხე კლასს ამთავრებდნენ. „დილით ყველაზე ადრე ავდექი და სკოლისაკენ გავწიე. უცებ გაიღო ჩემი მეზობლის ფანჯარა და ახალგაზრდა ქალმა დაიყვირა, რომ ომი დამთავრდა". „მახსოვს, ჩვენს გვერდით მოხუცი შეჩერდა, ხეს მიეყრდნო და ცრემლები ჩამოსდიოდა... მერე კი ყველა კოცნიდა ერთმანეთს და გამარჯვებას ულოცავდა. მე სახლში დავბრუნდი, ვახარე ჩემიანებს და სკოლისაკენ მოვკურცხლე. აქ დაგვხვდნენ სკოლის დირექტორი ჯაჯუ ჯორჯიკია, სასწავლო ნაწილის გამგე ივანე ხელაია, მასწავლებლები. მოეწყო სახელდახელო მიტინგი და სახლებში გაგვიშვეს. საღამოს კი დაუვიწყარი სალუტი და ილუმინაცია..." დიდი იყო გამარჯვების სიხარული. ზეიმობდა დიდიც და პატარაც, მოწაფეც და მასწავლებელიც. როგორც ომის მძიმე დღეებში, ახლაც მათ გვერდით იდგა დირექტორი, მათთან ერთად იზიარებდა სიხარულსაც და მწუხარებასაც, როგორც ჭეშმარიტი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. იყო ცრემლებიც: სიხარულისა თუ მწუხარების. მწუხარებისა იმათ გამო, ვინც ვერ მოესწრო ამ დღეს. ისინი ცოტანი როდი იყვნენ. მეოთხეკლასელებს, მათ შორის მოგონებათა ავტორსაც, კარგად ახსოვდათ დირექტორის მონათხრობი: საქართველოდან 700 ათასზე მეტი წავიდა ომში. ნახევარი არ დაბრუნებულა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ომში წასულთა და არდაბრუნებულთა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა პროცენტულად ყველაზე მეტი საქართველოზე მოდის. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ თბილისის პირველსკოლელებიც. ერთი მათგანი გახლდათ სკოლის დარაჯის არჩილ არჩვაძის ერთადერთი ვაჟიშვილი ამბროსი არჩვაძეც. ვინ იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა დაღუპული შვილის მამის გულში იმ გამარჯვების დღეს. კარგად გრძნობდნენ ამას მასწავლებლებიც, რომელთაგან ზოგიერთი თავის დროზე ასწავლიდა კიდეც ამბროსის. ამ უკეთილშობილეს ადამიანთა თანადგომამ გადაატანინა არჩილს უბედურება, რაც დაატეხა ცნობამ ერთადერთი შვილის დაღუპვის შესახებ. ისინი ახლაც, ამ საზეიმო დღეს უმსუბუქებდნენ მძიმე განცდებს მამას, რომელსაც გამარჯვებული შვილი არ დაუბრუნდებოდა. ალბათ, ის პატარებიც, რომლებიც ყოველთვის გრძნობდნენ ძია არჩილის მზრუნველობის სითბოს,

ხვდებოდნენ მის განცდებს, ახლა გარს რომ უტრიალებდნენ. მის გვერდით იდგა ჯაჯუ ჯორჯიკიაც, დირექტორი, რომელსაც ერთ-ერთი მოგონების ავტორმა კლდესავით მაგარი და საიმედო პიროვნება უწოდა. ომის მძიმე დღეებში ის უჩვენებდა ძალთა მოკრებისა და სიმხნევის მაგალითს თანამშრომლებს, რომლებმაც ნამდვილად გმირულად გადაიტანეს ყოველივე.

და ახლა, როცა მთელ ხალხთან ერთად პირველსკოლელებმაც ჩააბარეს მძიმე გამოცდა, იწყებოდა ხანა მშვიდობიანი ცხოვრებისა, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებისა, ახალ წარმატებათა მოპოვების მცდელობებისა.

§ 3. მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულთამხილველი

თბილისის პირველი საშუალო სკოლა დირექტორად ჯაჯუ ჯორჯიკიას მოსვლამდეც დიდ სივიწროვეს განიცდიდა. ჯერ იყო და, მესამე სართულზე განათლების კურსები იყო მოთავსებული. ზოგიერთი ოთახი სკოლის შენობაში რამდენიმე ყოფილ თუ იმჟამინდელ პედაგოგსა და თანამშრომელს საცხოვრებლად ეკავა. ომის დროს კი, როგორც აღინიშნა, მესამე სართული ჰოსპიტალმა დაიკავა, რომლისგანაც შენობა ომის დამთავრებისთანავე გათავისუფლდა.

1945-1946 სასწავლო წელს თავის შენობას დაუბრუნდა მახარაძის (ამჟამინდელი გერონტი ქიქოძის) ქუჩიდან შემოხიზნული ყოფილი მე-14 შრომის საშუალო სკოლა, იმჯერად ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლად წოდებული, რომლის დირექტორიც იყო შესანიშნავი პედაგოგი, უკეთილშობილესი ადამიანი ვარლამ თავაძე.

ამრიგად, სკოლის შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთავისუფლდა. ჯაჯუ ჯორჯიკიამ მაშინვე მიმართა ზემდგომ ორგანოებს და საწადელს მიაღწია — მესამე სართული მთლიანად გადაეცა სკოლას. ამით შეიქმნა სამცვლიანიდან ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის საშუალება. ეს კი დიდი შეღავათი იყო როგორც მთლიანად სკოლისათვის, ასევე თითოეული პედაგოგისა და თანამშრომლისათვის. ჯაჯუს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მათთვის ნორმალური სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. იგი ცდილობდა, ხელისუფლებისაგან მიეღო საჭირო მხარდაჭერა და დახმარება თანამშრომლებისათვის ომის შედეგად გაუარესებული საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ჯაჯუ ჯორჯიკიას ასეთი ზრუნვა პედაგოგებისა და სხვა თანამშრომლებისადმი გასაკვირი როდია. კოლექტივი, რომელთანაც მუშაობა უწევდა, ძირითადად, მისი შექმნილი იყო. მან შეძლო მიეღწია ამ კოლექტივის ერთსულოვნებისათვის, რაც იგრძნობოდა ყველაფერში: სასწავლო თუ საერთო სასკოლო დის-

ციპლინის განმტკიცებაში, გაკვეთილების მომზადება-ჩატარებასა თუ კლასგარეშე მუშაობაში, ერთმანეთისადმი თუ მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებაში.

ძნელია, ამ ერთსულოვანი კოლექტივის ღირსეული წევრებიდან რომელიმეს განსაკუთრებით გამოყოფა. მასწაელებლის ყველაზე პირველი შემფასებელი მაინც მოსწავლეები იყვნენ. ეს შეფასება ჭეშმარიტად ობიექტურია, განსაკუთრებით, როდესაც სწავლას ამთავრებენ და ცხოვრების გზაზე გადიან. მადლიერების გრძნობით ბოლოს მაინც მათ იხსენიებენ, რომლებიც სწავლის პერიოდში „სისხლს უშრობდნენ", მეტსახელი „წინაკაც" დაუმსახურებიათ, მაგრამ შემდეგ მათგან მიღებული ცოდნით გაუმარჯვიათ. სკოლაზე მოგონებებში უდიდესი სითბო, სიყვარული, პატივისცემაა ჩაქსოვილი ცალკეულ მასწავლებელთა მიმართ. აი, მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი დახასიათება, ზოგჯერ ორსიტყვიანი:

„მეხუთე კლასში დაგვინიშნეს რუსული ენის მასწავლებელი, გულისხმიერი ადამიანი და შესანიშნავი პედაგოგი მარო ჟორჟოლიანი"; „ქართულს გვასწავლიდა ახალდანიშნული დირექტორის მოადგილე, წინათ საინგილოში ნამუშევარი გრიშა კუტუბიძე, მისი ისე გვეშინოდა, როგორც ცეცხლისა..."; „მათემატიკას გვასწავლიდა მეტად მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი ქალი ნინო თოფურიძე". როგორც რ. ჟორდანია იხსენებს, ნინო შემდეგ სხვაგან გადასულა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამის შემდეგ კლასს ჩამორჩენა ჰქონია მათემატიკაში. სკოლის დირექტორს კვლავ მოუწვევია ეს „მეტად მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი ქალი". „სამი თვის მანძილზე მოდიოდა 7 საათზე და გაკვეთილების დაწყებამდე საათნახევრის განმავლობაში დამატებით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გვამეცადინებდა და „ამოვქაჩეთ" ისე, რომ ათამდე მოსწავლემ ჩვენი კლასიდან მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედლები".

„ყველასათვის ცნობილი იყო სამი პედაგოგის — ვარდიაშვილების ოჯახი. ერთ-ერთი მათგანი იყო ნინო — ქიმიის მასწავლებელი, მკაცრი და დისციპლინის მოყვარული ადამიანი, ამავე დროს, იშვიათი მზრუნველი და მოამაგე თავისი მოწაფეების მიმართ. გასუსულები ვისხედით მის გაკვეთილებზე. ის კი ცდილობდა, რაც შეიძლება საინტერესოდ და ხალისიანად აეხსნა ჩვენთვის ახალი მასალა. მაგრამ, აბა, ვინმეს გაებედა და ვარდიაშვილის სადამრიგებლო კლასის მოსწავლე დაეჩაგრა: ქორივით დაესხმოდა თავს მას ქალბატონი ნინო... ჩვენც დიდი პატივისცემით ვექცეოდით და გვიყვარდა სამართლიანი, კარგი პედაგოგი".

მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა მოხსენიებული რევაზ ჟორდანიას მოგონებებში ზოგიერთი მასწავლებელი, მაგრამ რამდენი მოწიწება იგრძნობა მათში, თუნდაც ამ აღნიშვნებში: „ბოტანიკას გვასწავლიდა პირველი ქართველი ბოტანიკოსის — ზაქარია ყანჩაველის მეუღლე — ცნობილი კატო ყანჩაველი. მათემატიკას — აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის და — ელენე ბერიტაშვილი..."

„მეექვსე კლასში ხმა გავარდა, რომ ახალი რუსულის მასწავლებელი მოვიდა... მართლაც, ბატონმა ჯაჯუმ შემოგვიყვანა ახალი მასწავლებელი, რომელიც უჩვეულოდ ჩუმი იყო. თითქმის ჩურჩულით ამოიკითხა ჟურნალი. თითოეულს გვაკვირდებოდა. ეს იყო თამარ მუჩიაშვილი, კეთილი და მზრუნველი ადამიანი, ბრწყინვალე პედაგოგი...“

შეიძლება ითქვას, რომ პირველ სკოლაში ყოველთვის საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიდნენ რუსულ ენასა და ლიტერატურას (ან რომელ საგანს არ ასწავლიდნენ საუკეთესონი?). მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთ პირველთაგანად მოსახსენებელია ოლია შელია, გარეგნულადაც და სულიერადაც მომხიბლავი ქალი, ადამიანი და პედაგოგი. 50-იანი წლების დასაწყისში მოვიდა სკოლაში სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი ნანული რატიანი, დღეს რესპუბლიკაში აღიარებული, შესანიშნავი მასწავლებელი, სკოლის დირექტორის მოადგილე, გულისხმიერი ხელმძღვანელი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის...

„გეოგრაფიის მასწავლებელი თალიკო გაბუნია ჩვეულებისამებრ მორიგ საინტერესო, ღრმაშინაარსიან გაკვეთილს ატარებდა, როდესაც კლასში დიდი ბოდიშის მოხდით შემოვიდა ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ჩვენ ფეხზე წამოვდექით და მივაჩერდით. მასწავლებელმა თალიკო გაბუნიამ დასხდომის ნება მოგვცა, მას რაღაც ჩააწერინა და როცა ქალი გავიდა, გვითხრა: „ეს რუსული ენის ახალი მასწავლებელია, უნივერსიტეტი ახლახან დაამთავრა, არ აწყენინოთ, სახელად ჰქვია ირინა ბალოტინა“. მართლაც, შემდგომში ამ ქალმა ძალზე დიდი კვალი დატოვა თითოეულ ჩვენთაგანზე; გარეგნობითა და სულით ლამაზი ადამიანი, ერუდირებული და ხალისიანი ირინა ბალოტინა კარგად გვასწავლიდა საგანს, გვაკეთებინებდა საინტერესო მოხსენებებს, გვაკითხებდა სასარგებლო წიგნებს...“

1951 წელს რ. ჟორდანიას წაუკითხავს მოხსენება ა.ს. გრიბოედოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის დამუშავების დროს „კავკაზსკი კალენდარის“ 1859 წლის გამოცემაში წაუკითხავს, რომ გრიბოედოვის აკლდამას მთაწმინდაზე გარედან ჰქონია ქართული წარწერა: „აქა მდებარეობს გუამი გრიბოედოვისა ალ-ისა... აღუშენა ძეგლი ესე მეუღლემან თავისმან ნინა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმან წელსა 1832“. ეს წარწერა მაშინ სუროთი ყოფილა დაფარული. ირინა ბალოტინას ეს უცნობებია მთაწმინდის პანთეონის მაშინდელ დირექტორ ენიკოლოფოვისათვის. მალე სურო გაუკაფავთ და წარწერა გამოუჩენიათ. „სამწუხაროდ, — წერს რ. ჟორდანია, — ირინა ბალოტინა მალე წავიდა ამქვეყნიდან. ჩვენ იგი არასოდეს დაგვავიწყდება...“

როგორც „ბავშვების საყვარელ მასწავლებელზე“, რომელსაც ადრე მოესწრაფა სიცოცხლე, ი. ბალოტინაზე ნინო თოფურიძეც წერს, ეს იყო ნაზი, ახალგაზრდა ქალიშვილი, რუსული ლიტერატურის მგზნებარე მასწავლებელი „რომლის სათნოება საუკეთესო მეგზური გახდა მისი ბრწყინვალე მასწავლებლობისათვის“[18].

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი პირველი სკოლის ზანდუკელის თუ ჯორჯიკიას დროინდელი და შემდეგი პერიოდის პედაგოგებზე. ბევრმა მათგანმა არამცთუ სკოლის, არამედ, რესპუბლიკის მასშტაბით მოიპოვა სახელი, როგორც ახალი პედაგოგიური იდეების შემოქმედებმა, სწავლების ახალი ფორმებისა და მეთოდების დამნერგავ-განმავითარებლებმა, ყველას გახსენება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ამ დიდებულ ადამიანთაგან, ჯაჯუ ჯორჯიკიას დროინდელ მოღვაწეთაგან, მაინც ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მასწავლებელ ბაბო მჭედლიძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. „შეყვარებული თავის საგანზე, ქართულის სწავლების ენთუზიასტი, განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონი და იოსებ გრიშაშვილი, რომელთანაც პირადი მეგობრობა აკავშირებდა...“ დევი სტურუა ასე ახასიათებდა მას: „ჩვენი სათაყვანებელი პედაგოგი, ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის უძვირფასესი ადამიანი ქალბატონი ბაბო მჭედლიძე... ეს უმაღლესი ზნეობის ადამიანი...“ დ. სტურუა ერთ ასეთ ფაქტს იგონებს, რაც კარგად გვიხასიათებს ამ შესანიშნავ სპეციალისტს, პედაგოგსა და თავის მოწაფეთა ობიექტურ, გულმართალ ქომაგს: „როცა გამოსაშვებ გამოცდაზე რომელიღაცა ორგანოს წარმომადგენელი, რბილად რომ ვთქვათ, შემედავა ვაჟა-ფშაველას ერთი ნაწარმოების ჩემეულ განხილვასთან დაკავშირებით, პატივცემულმა ჯაჯუმ და ქალბატონმა ბაბომ მხურვალედ დამიჭირეს მხარი და ის მოხელე გრძნობაზე მოიყვანეს“.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1952 წელს, როდესაც ჯაჯუ ჯორჯიკიას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით საზეიმოდ აღინიშნა თბილისის პირველი საშუალო სკოლის 150 წლისთავი, საიუბილეო სხდომაზე მოხსენება დაევალა იუბილის აღნიშვნის ერთ-ერთ მოთავეს ბაბო მჭედლიძეს.

ბაბო მჭედლიძე იმ სახელოვან ქართველ პედაგოგთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის დიდებული ცხოვრება და მოღვაწეობა სპეციალურ შესწავლასა და განზოგადებას მოითხოვს.

გაეცნობით თუნდაც ზოგადად ასეთ ბრწყინვალე მასწავლებელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას და გასაგები გახდება მათ ყოფილ მოსწავლეთა გულიდან აღმომსკდარი: „ჩვენ განებივრებულნი ვიყავით ბედისაგან: ჩვენ გვასწავლიდნენ თავის საქმეზე შეყვარებული, დიდი ცოდნისა და ერუდიციის მქონე მაღალკვალიფიციური პიროვნებები“.

ამ პიროვნებათა შორის საპატიო ადგილი ეკავა ქართული ენისა და ლიტერატურის კიდევ ერთ საუკეთესო მასწავლებელს მატილდა კონტრიძე-ბერიძეს. ყოფილი მოსწავლეები იხსენებენ მის ღრმაშინაარსიან გაკვეთილებს. ასე, მაგალითად, პირველი სკოლის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად ცნობილი მეცნიერ-გეოლოგი ვახტანგ ანანიაშვილი (სახელგანთქმული ბალერინას ნინო ანანიაშვილის მამა) პირადი საუბრის დროს მის გაკვეთილებს რომ იხსენებდა, აღუნიშნავს: „როცა ქალბატონი მატილდა ქართველ კლასიკოსებზე საუბრობდა,

შესახედავად ისედაც მწყაზარს, სახე გაუცისკროვნდებოდა და საოცრად მომხიბვლელი ხდებოდა".

მ. კონტრიძის ყოფილი მოწაფე, ამჟამად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიკოსი გივი კვაჭანტირაძე იხსენებს: „მაშინ მეოთხე კლასში ვიყავით, ქალბატონმა მატილდამ ისე აგვიხსნა „შვლის ნუკრის ნაამბობი", რომ ცრემლებს ვერ ვიკავებდით. ღამით დიდხანს არ დამაძინა შვლის ნუკრის მწუხარებამ. დედაჩემმა რომ გაიგო, თუ რატომ მქონდა ცრემლებისაგან ბალიში დასველებული, მეორე დღეს მასწავლებლისათვის უთქვამს: „იქნებ ასე აღარ დაგვიმწუხროთ შვილებიო".

მატილდა კონტრიძეს მოკლე საუბარში მთავარი სათქმელის გადმოცემის უნარი რომ ჰქონდა, ამისი ნიმუშია მისი დაახლოებით სამგვერდიანი მოგონება ჯაჯუ ჯორჯიკიაზე — „გახსენება". მის მიხედვით მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნება, თუ რით იყო პირველი სკოლის სანაქებო დირექტორი „დიდი პედაგოგი", მისი გარდაცვალების შემდეგაც რატომ ედგა მისი ხატება თვალწინ და რამ ათქმევინა ეს სიტყვები: „მისი მსგავსი ამ ჩემი ცხოვრების დიდ გზაზე არ შემხვედრია"[19].

წაიკითხავთ ან მოისმენთ მოგონებებს ჯაჯუ ჯორჯიკიაზე და ირწმუნებთ, რომ იგი იყო „მასწავლებელთა მასწავლებელი, უაღრესად სათნო და კეთილი ადამიანი, როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების გულთამხილველი". იგი იყო იმის განსახიერება, რასაც უნერგავდა ახალგაზრდა მასწავლებლებს, რაც იყო მისი კრედო: „მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, აღმზრდელი უნდა იყოს... თუ მასწავლებელი ვერ ფლობს აღზრდის ხელოვნებას, ვერ ნახულობს გზას მოსწავლეთა გულებისაკენ, ამაო არის მისი განსწავლულობა, საგნის თუნდაც ღრმა ცოდნა" (ნინო თოფურიძე).

ვისაც მოუსმენია ჯაჯუ ჯორჯიკიასათვის გაკვეთილებსა თუ ჩვეულებრივი საუბრის დროს, აღტაცებაში მოსულა მისი განსწავლულობითა და გადმოცემის უნარით. გრ. კუტუბიძე იხსენებს ერთ ფაქტს: „ერთხელ ფრანგი სტუმრები ეწვივნენ სკოლას, დირექტორის სამუშაო ოთახში შევიდნენ და ჯაჯუს დამტვრეული რუსულით დაუწყეს საუბარი, როცა ქართული სკოლის დირექტორმა ფრანგებს გამართული ფრანგულით გაუბა საუბარი, სტუმრების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, რას წარმოიდგენდნენ ფრანგები, რომ თბილისის საშუალო სკოლის დირექტორს ასე ბრწყინვალედ ეცოდინებოდა ფრანგული ენა. თვალებგაბრწყინებული უსმენდნენ ისინი და აღტაცებას ვერ ფარავდნენ.

მე ვუსმენდი მას და ვფიქრობდი: „აი, ასეთი უნდა დირექტორი, ნეტავი ყველა სკოლაში ასეთი ხელმძღვანელი გვყავდეს-მეთქი".

ჯაჯუ ჯორჯიკიას გაკვეთილებზე მოსწავლეებიც თვალებგაბრწყინებულნი და სულგანაბულნი უსმენდნენ. იგი მარტო გაკვეთილის მასალით არ იფარგლებოდა. მას დასავლეთ ევროპის მუზეუმებსა თუ გამოფენებზე ნანახით, თეატ-

რებსა თუ საკონცერტო დარბაზებში მოსმენილით, იქაური მწერლების ორიგინალში წაკითხული ნაწარმოებებით შეეძლო გაემდიდრებინა თავისი სასაუბრო თემა, ეჩვენებინა, რომ მეტი თუ არა, არც ნაკლები ხელოვნება, ლიტერატურა თუ ისტორია აქვს ქართველ ხალხს, არც არავისზე ნაკლები ვყოფილვართ და არცა ვართ. ვისაც არ მოუსმენია მისი საუბრებისათვის, თუ როგორი იყო ისინი, შეუძლია წარმოიდგინოს მისი მინიატურული პროზაული ნაწარმოებებით. წაიკითხეთ მისი „ნეაპოლელის ნაამბობი“ და თქვენს წინაშე წარმოსდგება „ვეზუვის ეს მაშინდელი ცეცხლის მთა გამდნარი მინერალებისა“. გაგახსენდებათ ქალაქ პომპეის საშინელი ტრაგედია და თქვენს წინაშე გაცოცხლდება ამ ტრაგედიის ამსახველი კარლ ბრიულოვის ბრწყინვალე მხატვრული ტილო „პომპეის უკანასკნელი დღე“[20]. ჯაჯუს დაუსრულებლად შეეძლო ესაუბრა მსოფლიოში ცნობილ შედევრებზე. ყველაფერი ეს ხომ დამატყვევებელი იყო, მაგრამ სულ სხვა იყო მისი საუბრები ქართველ მწერლებზე, ქართულ ხელოვნებაზე...

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე წერდა: „მაღალი, ახოვანი ტანის, ლამაზი მამაკაცი, სიარულითაც გამორჩეული, ნატიფად ჩაცმული ჯაჯუ ჯორჯიკია უფრო ევროპელს ჰგავდა გარეგნულად, მაგრამ დაელაპარაკებოდით თუ არა, თქვენ წინაშე ხედავდით მაღალი კულტურის ივერიელს, რომელსაც საქართველო სულზე მეტად უყვარდა“[21].

სულზე უმეტესად საქართველოს ეს სიყვარული ვლინდებოდა მის ყოველ საუბარსა თუ თხზულებაში. ჯაჯუ ჯორჯიკია უშუალო მონაწილე იყო ლიტერატურული საღამოებისა დიდ აკაკისთან, გალაკტიონთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან, დავით კლდიაშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან, კიტა აბაშიძესთან, ივანე გომართელთან და მრავალ სხვებთან ერთად. ვისაც წაუკითხავს გაზეთ „სამშობლოს“ 1915 წლის მეორე ნომერში დაბეჭდილი, აკაკის პანაშვიდზე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში 30 იანვარს წარმოთქმული სიტყვა, ან მისი მინიატურა „აკაკის სურათი“[22], შეუძლებელია არ წარმოუდგეს დიდი აკაკის „ვერცხლის თმით შემოსილი თავი“, მისი ბრწყინვალე გამომეტყველების სახე, „ციური ღიმილი, იგი ტკბილი ღიმილი, რომელიც მარტო აკაკის საკუთრებას შეადგენს, ციურ სახეზე შეუჩერდება და იქიდან დიდხანს აღარ მიდის, ხარობს, ცელქობს, ამაყობს კიდეც, რომ აკაკის ღიმილი ვარო და მის ზეგარდმო მადლით ცხებულ სახეს, თქვენ რომ გგონიათ, ისე ადვილად როდი მოვშორდებიო!.. შეუძლებელია არ წარმოგიდგეთ მისი ცეცხლით ანთებული თვალები, „რომელიც ცხოვრების ტლანქ სინამდვილეს სწვავს, დაგავს და პოეზიის მოჩუხჩუხე ნაკადულად მშვენიერებას და სიკეთეს წინ გვიშლის“. ჯაჯუს მიერ დახატული „აკაკის სახე იმ ტკბილსა და მომხიბვლელ ზღაპარსა გავს, რომელიც გვიტაცებს, სანეტარო ფრთებს გვასხამს და იმ ქვეყანას გადაგვაფრენს, სადაც მხოლოდ სიმშვიდე და სიყვარულია“.

კითხულობთ ამ სტრიქონებს და ადვილად წარმოიდგენთ, როგორი იქნებოდა ჯაჯუს საუბრები აკაკისა თუ ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების სახელოვან შვილთა შესახებ, გჯერათ აკაკის პანაშვიდზე ნათქვამისა: „...აკაკისთანა შვილები სამშობლოს არ უკვდება, პირიქით, იგინი მკვდარნიც წინ მიუძღვიან ცოცხალ ხალხს!"

ჯაჯუ ჯორჯიკია განსახიერება იყო იმისა, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მასწავლებელი. ჯაჯუს მსგავსად, დანარჩენი მასწავლებლებიც ცდილობდნენ, საგნის სწავლებისას მოსწავლეებისათვის გაეცნოთ თვით საგნის ისტორია, ამ დარგის როგორც ქართველი, ასევე უცხოელი გამოჩენილი სპეციალისტები, რათა ისინი მისაბაძნი ყოფილიყვნენ. ჯაჯუ „ფაქიზად ექცეოდა პედაგოგებს, თავისი ასეთი ღირსეული, ზრდილობიანი ქცევით დიდ აღმზრდელობით გავლენას ახდენდა ყველაზე. გაკვეთილის მსვლელობის დროს კარებს შემოაღებდა. „შეიძლება?" — თავაზიანად მოგვმართავდა, ამით ჩვენს ავტორიტეტს აგრძნობინებდა მოსწავლეებს" (მ. კონტრიძე-ბერიძე). განსაკუთრებულ ყურადღებასა და გულისხმიერებას იჩენდა ახალგაზრდა მასწავლებლებისადმი. ირინა ბალოტინა რომ დაინიშნა სკოლაში, მოადგილისათვის — გრ. კუტუბიძისათვის უთქვამს: „რუსული ენა კარგად იცის, გაკვეთილზე რომ დაესწრები, ძალიან გთხოვ, არ დააფრთხო, შესაძლებელია სწავლების მეთოდიკას სრულყოფილად არ იყოს დაუფლებული, მაგრამ ეს საქმე ჩვენ უნდა ვასწავლოთ და იგი უეჭველად კარგი პედაგოგი დადგება". არც შემცდარა.

ჯაჯუ ჯორჯიკიასთან ერთად, დიდი პატივისცემით იხსენიებენ მის კიდევ ერთ მოადგილესა და თანამდგომს, „განათლების დარგის კიდევ ერთ რაინდს", შესახედავადაც და შინაარსობრივადაც ნამდვილ ინტელიგენტს ვანო ხელაიას, ახალგაზრდა მასწავლებლებს თავის მოღვაწეობაში ბევრ რამეს კარნახობდა ჯაჯუ ჯორჯიკიასა და ვანო ხელაიას ცოცხალი მაგალითი.

ჯაჯუს ადამიანთა შეცნობის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა. მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა პრაქტიკანტმა, ყოჩაღმა ქალიშვილმა, რომელიც უმაღლესის დამთავრების შემდეგ მიიწვია სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და დირექტორის მზრუნველობით, ჟენია გვაზავა სკოლის ერთ-ერთი წამყვანი, დამსახურებული პედაგოგი გახდა. სამწუხაროდ, დღეს ისიც აღარ არის ამქვეყნად.

როგორ შეიძლება სკოლის პედაგოგებზე გვქონდეს საუბარი და არ მოვიხსენიოთ ნინო დავითაშვილი, რომელმაც, თალიკო გაბუნიასთან ერთად, სკოლაში გეოგრაფიის სწავლება მაღალ დონეზე დააყენა. პედაგოგებისაგანაც და მოსწავლეებისაგანაც დიდად დაფასებული, საყვარელი და პატივცემული პიროვნება იყო შოთა აბაიშვილი. იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც, ახალგაზრდამ და ენერგიულმა, ჯაჯუ ჯორჯიკიას დირექტორობის დროს დაიწყო კეთილშობილურ ასპარეზზე მოღვაწეობა ღვაწლმოსილი ფიზიკოსის, ლამაზი

მოხუცის, კეთილშობილი ანტონ მუჯირის გვერდით და, მასავით, ფიზიკის საუკეთესო მასწავლებლის სახელი მოიპოვა...

აბა, დავუკვირდეთ, რა თბილად იხსენიებენ თავიანთ მოგონებებში თითოეულს სკოლადამთავრებულები: „ჯაჯუ ჯორჯიკიამ კანცელარიის გამგედ მოიყვანა სათნო და კულტურული ადამიანი — თამარ აბაშიძე, რომელიც ყველას დედაშვილურად გვექცეოდა და რომელიც მუდამ გვეხსომება. ექიმიც გამოგვეცვალა, ძალიან შეგვიყვარდა ახალი ექიმი, მწითურთმიანი, ჩასუქებული, კეთილი ქალი — დეიდა ნუცა მამაცაშვილი, რომელიც — და ეს ჩვენ ძალიან მოგვწონდა — ყველას დიდებივით, სერიოზულად, მაგრამ, ამავე დროს, შინაურულად გველაპარაკებოდა. მოგვწონდა ის დედაშვილური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მასსა და მის შვილს, ჩვენს ამხანაგ თეზიკოს შორის“ (რ. ჟორდანია).

სკოლის კოლექტივის ღირსეული წევრი იყო არჩილ არჩვაძე, რომლის შესახებაც უკვე აღინიშნა. იგი ჯაჯუ ჯორჯიკიას დახვდა სკოლაში. დირექტორი ისევე პატივისცემით ეკიდებოდა მას, როგორც კოლექტივის თითქმის ყველა წევრი. ამ საყოველთაო პატივისცემის მიზეზი იყო მისი ერთგულება, თავდადება, სიყვარული, რასაც იჩენდა ძია არჩილი (როგორც ყველა ეძახდა მას) სკოლისადმი, თითოეული მოსწავლისადმი, მასწავლებლისადმი, თანამშრომლისადმი. ქ-ნი თინა ფერაძე-აბაშიძე „მოგონებათა სკივრში“ მოგვითხრობს დაახლოებით 1931-1932 წლებში მოსკოვ-ლენინგრადში ერთთვიან ექსკურსიაზე, რომლის ორგანიზატორიც იყო ფიზიკის მასწავლებელი აბესალომ მიქაძე, მეცხრე კლასში წარმატებით გადასვლის გამო, მოსწავლეები სკოლის დირექციამ აღნიშნული ექსკურსიით დააჯილდოვა. მოსწავლეებს, მიქაძის გარდა, კიდევ ორი მასწავლებელი, ორი მშობელი და სკოლის დარაჯი არჩილ არჩვაძე გაჰყოლია. როგორც „მოგონებათა სკივრიდან“ ვიგებთ, ძია არჩილს ამჯერად კოპტენარიუსის მოვალეობა უკისრია. „მძიმე წლები იყო, ძნელად იშოვებოდა ყველაფერი, სანოვაგეცა და სამოსელიც... წავიღეთ დიდი ყუთებით შაქარი, კარაქი, ყველი, ნამცხვარი...“ ყოველივე ამაში დიდი იყო საყვარელი (როგორც მოსწავლეები უწოდებდნენ) ძია არჩილის წვლილი. „მოგონებათა სკივრი“ განაგრძობს: „ყოველ დილით ჩვენი კოპტენარიუსი ძია არჩილი გვიკეთებდა ჩაის. მორიგეები არიგებდნენ კარაქიან ბუტერბროდებს და ჩაის, სადილს რომელიმე სადგურში ვჭამდით, საღამოს კი ისევ ჩაის მივირთმევდით. ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმა ა. მიქაძემ“.

მანამდეც და შემდეგაც თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისის პირველსკოლელი მოსწავლეები სადმე ექსკურსიაზე წასულიყვნენ, არჩილ არჩვაძე არ გაჰყოლოდა და ღირსეულად არ შეესრულებინა კოპტენარიუსის მოვალეობა.

არჩილ არჩვაძის პიროვნებას სულ სხვა მხრივ გვაცნობს თავის მოგონებებში თბილისის პირველი სკოლის კიდევ ერთი კურსდამთავრებული, ჩვენი სასი-

ქადულო მსახიობი, ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი კოტე მახარაძე: „მახსოვს ასეთი შემთხვევა: სკოლაში სწავლის პროგრამის განხორციელების შესამოწმებლად მოსკოვიდან საგანგებო კომისია ჩამოვიდა... კარებში მათ ძია არჩილი შეხვდათ. არჩილ არჩვაძე — სკოლის დარაჯი — ტრადიციულად წამომჯდარიყო სკოლის წინ, დაბალ სამფეხა სკამზე. მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო. ღიმილით შეეგება ძია არჩილი. ჩამოსულებმა ვიზიტის მიზეზი აუხსნეს. — მობრძანდით, ბატონო, — უპასუხა ძია არჩილმა მშვენიერი რუსულით,— კმაყოფილი დარჩებით".

კომისიის წევრებმა რომ გაიგეს, ძია არჩილი „ოდისეას" კითხულობდა, „ერთმანეთს გადახედეს, ერთ-ერთმა თქვა: — განა ღირს შეამოწმო სკოლა, სადაც დარაჯი ჰომეროსს კითხულობს? კომისია უკან გაბრუნდა.

შესაძლოა, მოსკოვის კომისიის ესოდენ უეცარი წასვლა რომანტიკულად განწყობილი მოსწავლეების ფანტაზიის ნაყოფი იყოს, დანარჩენი კი სრული სიმართლეა.

ასეთი იყო პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა"[23].

ასეთი რომ იყო სკოლა, ეს პირველი დირექტორის ზანდუკელისა და მისი ტრადიციების ღირსეული განმავითარებელის ჯაჯუ ჯორჯიკიას დამსახურებაა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სკოლაში აღიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები. ისინი ბევრზე ბევრნი არიან, იმდენად სასახელონი, რომ ჩამოთვლისას რომელიმეს გამორჩენა დანაშაულის ტოლფასი იქნება. ამიტომ დავკმაყოფილდეთ ჩვენი საყვარელი მსახიობის, ბ-ნ კოტეს აღნიშვნით. „მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლას ერთი წლის გამოშვებაში — მხოლოდ ერთი წლის, 6 მომავალი აკადემიკოსი იყო, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე, მათემატიკოსი გიორგი ჩოგოშვილი, მედიკოსი-მორფოლოგი ნინო ჯავახიშვილი, ენერგეტიკოსი ვ. გომელაური და ოთარ ონიაშვილი. ეს მაგალითი იმდენად უნიკალურია, ვერც კი წარმომიდგენია ჩვენი ქვეყნის სხვა რომელიმე სკოლა, — და შესაძლოა, არამარტო ჩვენი ქვეყნისა, სადაც მსგავსი რამ შესაძლოა მომხდარიყო, ერთ გამოშვებას 6 მომავალი აკადემიკოსი მიეცა ქვეყნისათვის"[27].

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს სახელოვანი ადამიანები, მომავალი აკადემიკოსები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, სამეურნეო დარგის მუშაკები იმთავითვე „უფრთო ანგელოზები" იყვნენ. მათი ბობოქარი სული ბავშვურ ცელქობაში, დაუდევრობასა და კვიმატ ქცევებში არ ვლინდებოდა. პროფ. რ. ჟორდანია ბიჭებისათვის დამახასიათებელ ერთ ამბავს იხსენებს სკოლაში: „ორი ბიჭი მაგიდასთან მამლაყინწობდა, უცებ ერთი მათგანი მომიახლოვდა და მითხრა: „დავარტყათ?", „რა, ვის"?, „ნუ, ვიჩხუბოთ, რა!..", „რატომ, რა გვაქვს გასაყოფი?", „მაშინ, იცოდე, რომ მე პირველი ყოჩი ვარ, ეს კი, — უფრო დაბალ ქოჩორა ბიჭზე მიმითითა, — მეორე".

პირველი ყოჩი იყო მურად ჟვანია, ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის ევტიხი ჟვანიას უმცროსი ვაჟიშვილი და შემდგომში მამის საქმის გამგრძელებელი".

მურად ჟვანიას საბრძანებლოში რომ შეხვიდეთ, მისი კედლებიდან შემოგანათებთ ჩვენი ქვეყნის დიდებულ ადამიანთა პორტრეტები, რაც თავის დროზე გადაუღია ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ევტიხი ჟვანიას და შემდეგ თვით მურად ჟვანიას, საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებულ მოღვაწეს. ეს პორტრეტები და სხვა სურათები (ეს კი უმცირესი ნაწილია ჟვანიების არქივიდან) ჩვენი კულტურის დიდებული ფოტოდოკუმენტებია.

ქართული ვოკალური ხელოვნების ლეგენდარული წარმომადგენლის, ასევე ყოფილი თბილისის გიმნაზიის ნამოწაფარის ვანო სარაჯიშვილის ტრადიციის ღირსეული გამგრძელებლის ზურაბ ანჯაფარიძის მოკრძალებულ მოგონებაში ჯაჯუ ჯორჯიკიაზე[25] ვკითხულობთ: „ომის მძვინვარე წლები იყო, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გახლდათ ბატონი ჯაჯუ (ასე ვეძახდით ყველა, პედაგოგებიც და მოსწავლეებიც) — ლამაზი, ახოვანი და რაღაც უცნაურად თბილი ადამიანი, რასაკვირველია, მკაცრიც იყო, მაგრამ მაშინაც, როდესაც რაიმეს დავაშავებდით და გვიწყრებოდა, გარდა დატუქსვისა, ჩვენს დამცველსაც ვხედავდით მასში — ამ დიდებულ, ერუდირებულ და მაღალგანსწავლულ ინტელიგენტში".

ჯაჯუ ჯორჯიკია მოსწავლეთა არც ერთ მოთხოვნას, მითუმეტეს თუ იგი საერთო-სასკოლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა და სარგებლობას მოუტანდა თვით მოსწავლეებსაც, უყურადღებოდ არ ტოვებდა. იგი ხშირად ეტყოდა ხოლმე მასწავლებლებს: „მოსწავლეებსაც აქვთ თავიანთი ბავშვური უფლება, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ კანონიერ მოთხოვნებს"[26].

კიდევ ერთი მაგალითი: სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა შემოიღეს. მოსწავლეთა თვითმმართველობის (კომიტეტის) პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ჯიმშერ მუჯირი (შემდგომში სკოლის მუსიკის მასწავლებელი, I-IV კლასებისათვის მუსიკის სახელმძღვანელოთა ავტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). მოსწავლეთა სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარემ დირექტორს სამუშაო ოთახი რომ მოსთხოვა, ჯაჯუმ ღიმილით განაცხადა: „რა ვქნათ, უნდა გამოვუყოთ ოთახი, მართებულია მისი მოთხოვნა, იგი მოსწავლეთა მთავრობაა, უნდა დავეხმაროთ", — და დაეხმარა კიდეც, ცალკე ოთახიც გამოუყო და მუშაობის ნორმალური პირობებიც შეუქმნა. მოსწავლეთა სასკოლო კომიტეტის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ბევრ კარგ საქმეს მოება თავი. დასადასტურებლად ეს ერთი ფაქტიც კმარა რ. ჟორდანიას მოგონებიდან: სკოლაში ახლად გახსნილი კლუბი გაურემონტებელი იყო. სკამებიც კი არ ჰქონდა. ომი ახალდამთავრებული იყო და სკოლას საამისო სახსრებიც არ გააჩნდა. მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯიმშერ მუჯირმა დირექტორის თანხმობით განათლების მაშინდელ მინისტრს, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს

მიმართა და მისგან აიღო ნებართვა, რომ გაკვეთილების შემდეგ კლუბში ფასიანი კინოსურათები გაეშვათ. ჯ. მუჯირი შოულობდა კინო-სურათებს, რაშიც ეხმარებოდა მამამისი, კინოს ცნობილი მოღვაწე ვლადიმერ მუჯირი. კინოს გაშვებისას დარბაზი გადაჭედილი იყო. სკამები გარედან შემოჰქონდათ. ფილმებს მშობლებიც ესწრებოდნენ. თუმცა ბილეთის ფასი მინიმალური იყო, მაგრამ საქმის მოთავეებს შესაძლებლობა მისცა, ისევ დირექტორის ხელშეწყობით და დახმარებით სკამებიც შეეძინათ და ლურჯი ფარდაც დაეკიდათ. დარბაზის რემონტიც მოსწავლეებმა, ძირითადად, თვით გააკეთეს, ასევე მოსწავლეთა კომიტეტის თაოსნობით, რომლის თავმჯდომარე მუჯირის შემდეგ სოლიკო ხაბეიშვილი იყო, მოეწყო სკოლის რადიოფიცირება, მიკროფონი დირექტორის კაბინეტში დაიდგა, ხოლო ხმის გამაძლიერებლები დერეფნების თავსა და ბოლოში. რადიოკვანძი შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მოსწავლეთა კომიტეტის პირველი თავმჯდომარე ჯიმშერ მუჯირიც. ეს ფაქტი 1951 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტშიც“ აღინიშნა.

მოსწავლეთა კომიტეტმა, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის დაარსებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავი იუბილის ჩატარებაშიც.

ამ იუბილის მომზადებაში სკოლის ყველა რგოლთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა სკოლის სანაქებო ბიბლიოთეკამაც. ვიდრე თვით იუბილეზე ვისაუბრებთ, ალბათ, კარგი იქნება, ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ ამ ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა პირველი სკოლის ცხოვრებაში.

§ 4. სადაც მწიფდებოდა და ძალას იძენდა ამაღლებული აზრი

ჯაჯუ ჯორჯიკიამდე სკოლის უნიკალური ბიბლიოთეკა დაბლა, შემოსასვლელის გვერდით იყო მოთავსებული. მისთვის გამოყოფილი ფართობი წიგნად ფონდს ვერ იტევდა. ომის შემდეგ ჯაჯუმ ბიბლიოთეკა გამოთავისუფლებულ მესამე სართულზე ამოატანინა და შესანიშნავად მოაწესრიგა. დიდი იყო ბიბლიოთეკის გამგის ვარვარა მახარაძისა და ბიბლიოთეკარის ლეილა (ცეცე) სირაძის სიხარული...

ჯაჯუ ჯორჯიკიას, რომელსაც ენახა საფრანგეთისა თუ იტალიის შესანიშნავი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კარგად ესმოდა მათი მნიშვნელობა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ჯერ კიდევ საფრანგეთში გამგზავრებამდე, 1903 წლის 3 აპრილს „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში გამოთქვამდა გულისწყრომას: „ზუგდიდში — ამ ოდესმე ოდიშის დედაქალაქში — ერ-

თი რიგიანი წიგნთსაცავი-სამკითხველოც კი არ მოგვეძებნება. ყველასათვის ჭეშმარიტება უნდა იყოს, რომ ამგვარ დაწესებულებათა უქონლობა საუკეთესო მაჩვენებელია საზოგადოებრივი სიჩლუნგისა და დაქვეითებისა; ვგონებთ, რომ წიგნთსაცავი არამცთუ დაბა სოფლებისათვის, კერძო ოჯახებისათვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს[27].

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ჯაჯუ ჯორჯიკიას ეზრუნა სკოლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კეთილმოწყობისათვის. რა თქმა უნდა, პრეტენზია არ შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთსა და იტალიაში ნანახ წიგნთსაცავ-სამკითხველოთა დარბაზების მსგავსად მოწყობაზე, მაგრამ ისიც ხომ ცხადი იყო, რომ იმჟამად თბილისის პირველი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას, ალბათ, ვერ შეედრებოდა ვერც ერთი სკოლის ბიბლიოთეკა. როგორც საქართველოს სახალხო არტისტი კოტე მახარაძე აღნიშნავს, „ეს არ იყო სასკოლო ბიბლიოთეკა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ყოფითი გაგებით. ეს იყო უმდიდრესი წიგნთსაცავი, რომლის თაროებზე ამაყად გამწკრივებულიყვნენ მსოფლიო ლიტერატურის უძველეს გამოცემათა შედევრები და რომელიც სკოლამ მემკვიდრეობით მიიღო სახელგანთქმულ ვაჟთა პირველი გიმნაზიისაგან. ამ ბიბლიოთეკის წიგნებზე აღიზარდნენ ქართული მიწის უბრწყინვალესი შვილები, უდიდესი მოღვაწეები[28].

ალბათ, ზედმეტია მათი ჩამოთვლა, ის სახელოვანი ადამიანები, რომელთა შესახებაც წინა თავებში იყო საუბარი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეები, აქაური ბიბლიოთეკის წიგნებზე იყვნენ აღზრდილნი. ისინი ამაყობდნენ ამ ბიბლიოთეკით და სკოლის სამასწავლებლოთი. ეს სიამაყე შესანიშნავად გამოხატა კოტე მახარაძემ: „როცა უდიდესი მოწიწებით შევცქერი ძველი ბერძნული მითოლოგიის სიუჟეტებით მოხატული სამასწავლებლო ოთახის წინ გამოკრულ მემორიალურ დაფას, ძალაუნებურად მებადება კითხვა: XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, მწერალთა და კულტურის მუშაკთაგან ვიღა დარჩა ამ სიის მიღმა, ე. ი. პირველი გიმნაზიის კედლებში მიღებული განათლების, ბიბლიოთეკაში შეძენილი ცოდნის მიღმა. ბიბლიოთეკა ისეთივე ცნობილი იყო, როგორც თავად გიმნაზია და მისი სახელოვანი აღმზრდელები. აქ მწიფდებოდა და ძალას იძენდა ამაღლებული აზრი, ესოდენ ფართო ნაბიჯით რომ ატარა ჩვენი ერის ამაყი სული“[29].

ამ ცნობილი ბიბლიოთეკის სასახელო ტრადიცია გრძელდებოდა XX საუკუნის 40-50-იან წლებშიც და მისი გამგრძელებელი იყო ბიბლიოთეკის გამგე ვარვარა მახარაძე, ან, როგორც ყველა, მათ შორის საკუთარი ვაჟი კოტე მახარაძეც ეძახდა — დეიდა ვარია — თბილისის პირველი საშუალო სკოლის სახელოვანი კოლექტივის ღირსეული წევრი. როგორც სკოლის ბიბლიოთეკა არ იყო ჩვეულებრივი სასკოლო ბიბლიოთეკა, არც დეიდა ვარია იყო ბიბლიოთეკის ჩვეულებრივი გამგე. მის დამსახურებას წარმოადგენს ბიბლიოთეკაში შექმნი-

ლი სანიმუშო წესრიგი, ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო. აქ წიგნების უბრალო გაცემა კი არ ხდებოდა, არამედ წიგნის მსურველი იღებდა რჩევას, კონსულტაციას... ეწყობოდა წაკითხულის გარჩევა, დისპუტები. ამ ღონისძიებათა თაოსანი, მასწავლებლებთან ერთად, ვარვარა მახარაძეც ბევრჯერ ყოფილა. და თუ პირველსკოლელთა დიდ უმრავლესობას უყვარდა წიგნი, ეს მისი დამსახურებაც იყო. შემთხვევით როდი უძღვნა ვარვარა მახარაძეს ერთ დროს თბილისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ცნობილმა საბავშვო პოეტმა ილია სიხარულიძემ ლექსი „წიგნის დედა", რაც 1946 წელს გამოცემულ მის ლექსთა კრებულში შევიდა. ვარია მახარაძის ღვაწლის შესაფასებლად ამ ლექსიდან ეს ორი სტრიქონიც კმარა:

„სურს დეიდა ვაროს,
წიგნი შეგვაყვაროს".

ვარია მახარაძის დამსახურება იყო, რომ ბიბლიოთეკის დარბაზებში, თაროებს შორის ვიწრო გასასვლელებში, თაროებზე მიბჯენილ კიბეებზე ნახავდით საათობით მსხდარ წიგნის მკითხველ მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის სხვა თანამშრომლებს, დამლაგებლებს, დარაჯებს... ბიბლიოთეკაში ნახავდით როგორც გაკვეთილზე დაგვიანებულთ, ასევე იმათაც, ვინც ამა თუ იმ მიზეზით საერთოდ გააცდინა გაკვეთილები. ასეთებს დეიდა ვარია დატუქსავდა და ძალით შეათრევდა ბიბლიოთეკაში. ამ შემთხვევაში იგი თითქოს სასკოლო შინაგანაწესს არღვევდა — თავშესაფარს აძლევდა გაკვეთილების გამცდენებსა და გარეთ დარჩენილებს. მისი აზრით, ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალს ბიბლიოთეკაში ჯდომა სჯობდა. იქ „მოწაფეები ეზიარებოდნენ ცოდნას, მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურისა და ცხოვრების ნებისმიერ სფეროში". ბიბლიოთეკაში ძალით „შეთრეულთათვის" „იქიდან გამოსვლა კი უკვე შეუძლებელი იყო, იქ წიგნის და ცოდნის ძალა მოქმედებდა"[30].

ალბათ, წარმოსადგენადაც ძნელია ის სულიერი და მორალური ტრავმა, რასაც მიიღებდა ვარვარა მახარაძე 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებული საშინელი ტრაგედიისაგან, რომელმაც შთანთქა, ფერფლად აქცია ის უნიკალური ბიბლიოთეკა, იმსხვერპლა ძველი ბერძნული სიუჟეტებით მოხატული სამასწავლებლო, ჯაჯუ ჯორჯიკიას რუდუნებით მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და კიდევ სხვა მრავალი. ეს არა მარტო სკოლის, მთელი ჩვენი ერის ძნელად დასავიწყებელი ტრაგედიაა. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ სკოლის ისტორიის დაახლოებით ოთხი ათეული წლების ფურცლები გვაქვს გადასაშლელი.

ჯ. ჯორჯიკიას შემდეგ კიდევ ოთხი ათეული წელი ემსახურა სკოლას ეს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა მსოფლიო ლიტერატურის უძველესი გამოცემების შედევრებით. ამ შედევრებზე აღიზარდნენ სკოლის კედლებში მომავალი

ფიზიკოსები, ისტორიკოსები, ქიმიკოსები, ფილოლოგები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, სპორტსმენები და სხვა მრავალი დარგის ცნობილი მოღვაწე. სწორედ ასეთ ადამიანთა დამსახურებაა, რომ მათი აღმზრდელი სასწავლებელი არა მარტო ფორმალურად, ნუმერაციის მიხედვით, ან როგორც დეკანოზმა გიორგი ხელიძემ აღნიშნა გიმნაზიის 50 წლისთავის ზეიმზე, არა მარტო ქრონოლოგიურად, იწოდებოდა და იწოდება პირველად, არამედ თავისი დიდი საქმიანობით, თავისი აღზრდილებით.

და ამ შესანიშნავ ადამიანთა აღზრდაში ღირსეული წვლილი შეიტანა სკოლის ბიბლიოთეკამაც.

§ 5. ლოკალური ხასიათის „მიკრო-რენესანსი“

სკოლის დირექტორის დამოკიდებულებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისადმი გამოვლინდა ჯაჯუ ჯორჯიკიას ხასიათის კიდევ ერთი მეტად შნიშვნელოვანი მხარე: სურვილი, ხელი შეეწყო მოსწავლეთა ინიციატივის, მათი დამოუკიდებლობის განვითარებისათვის, მათი მიდრეკილების, უნარისა და შესაძლებლობათა გამოვლენისათვის. ამის საუკეთესო საშუალებას ხედავდა როგორც საგნობრივი წრეების საქმიანობის გაშლაში, ასევე მხატვრული თვითმოქმედებისა თუ სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციაში. შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სახალხო განათლების, საინჟინრო-ტექნიკური, სპორტისა თუ სხვა დარგის ბევრი მომავალი მოღვაწის სურვილი და მიდრეკილება სკოლაშივე გამოიკვეთა.

თავის „მოკრძალებულ მოგონებაში ბატონ ჯაჯუ ჯორჯიკიაზე“ ზურაბ ანჯაფარიძე იხსენებს: „მე და ჩემს ძმას ჯემალ ანჯაფარიძეს (ამჟამად რეჟისორი) ბავშვობიდან გვეხერხებოდა სიმღერა და ძმებ ნოდარ და ზურაბ შოშიტა- იშვილებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ პატარა ანსამბლი ფანდურის თანხლებით. ვმღეროდით მაშინ გავრცელებულ სიმღერებს ომზე, გმირებზე, სამშობლოზე და სხვა. ბატონმა ჯაჯუმ მოგვისმინა და გადაწყვიტა და კიდევაც განახორციელა ჩვენი რადიოში გამოყვანა. ჯერ თვითონ ბრძანა შესავალი სიტყვა: ილაპარაკა სკოლაზე, საჭირბოროტო საკითხებზე, შემდეგ ჩვენს პატარა თვითმოქმედ ანსამბლზე და დაგვითმო მიკროფონი.

უნდა გენახათ, როგორ ღელავდა და განიცდიდა ჩვენს გამოსვლას. ეს ამოდენა ადამიანი თვალებში შემოგვციცინებდა ბავშვივით. იგი უახლოესი მეგობარი იყო იმ წუთებში ჩვენთვის. ასე რომ, ჩემთვის დიდად სამახსოვრო და საამაყო ფაქტია ის, რომ ბატონი ჯაჯუას ინიციატივით მოხდა ჩემი პირველი ხმის ამოღება ხალხთან კონტაქტში რადიოს საშუალებით და საერთოდ მანამდე მე

არ მქონია არც ერთი შემთხვევა, თუნდაც უმნიშვნელო საჯარო გამოსვლისა".

შესაძლებელია, ხალხთან კონტაქტში მაშინდელმა პირველმა ხმის ამოღებამ რადიოს საშუალებით, იმ საჯარო გამოსვლამ განსაზღვრა ზურაბ ანჯაფარიძის მომავალი, შესაძლებელია, მაშინ დაიბადა იგი როგორც დიდი მომღერალი, ალბათ, ამის გამო წერდა ზურაბ ანჯაფარიძე: „შემდეგ, როდესაც დავიზარდეთ, საქმეს ვეწიეთ, გავიხედ-გამოვიხედეთ, ჩვენთვის გაირკვა, თუ რაოდენ დიდი მოქალაქე და ერისკაცი გახლდათ ბატონი ჯაჯუ".

და ამ დიდმა მოქალაქემ და ერისკაცმა თავის მოსწავლეთაგან ბევრს აჩვენა, თუ რა გზას და საით უნდა გაჰყოლოდნენ. სკოლის კლუბში მომუშავე ქართულმა და რუსულმა დრამატულმა წრემ, სხვადასხვა ანსამბლებმა, სკოლაში ჩატარებულმა დისპუტებმა, ლიტერატურულმა გასამართლებებმა, მეჩონგურეთა, მომღერალთა და გიტარის დამკვრელთა წრეებმა, სხვადასხვა ხასიათის ზეიმებმა, საღამოებმა, სპორტულმა თუ სხვა ხასიათის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა ხასიათის, მისწრაფებათა ჩამოყალიბებას, არა ერთსა თუ ორს გადაუშალა მომავალი სამოღვაწეო ასპარეზი.

კოტე მახარაძე პირველ სკოლაში ხელოვნებისა და სპორტის აღმავლობას ჭეშმარიტად ლოკალური ხასიათის „მიკრო-რენესანსს" უწოდებდა. ან სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა „მიკრო-რენესანსის" სამშობლო სკოლას, სადაც აღიზარდნენ ვოკალური თუ თეატრალური ხელოვნების ისეთი დიდებული წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ვანო სარაჯიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვასო აბაშიძე, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო... კოტე მახარაძის თქმისა არ იყოს, ეს სრული სია არ არის იმათი, რომლებიც ამ „მიკრო-რენესანსის" სათავეებთან იდგნენ. აი, კიდევ სია იმათი, რომლებსაც კოტე მახარაძე ჩამოთვლის — „მომღერლები: ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, თამარ თაქთაქიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ირაკლი შუშანია; ესტრადის ვარსკვლავი ლილი გეგელია; დრამატული თეატრის მოღვაწენი: გიგა ლორთქიფანიძე, ელენე ყიფშიძე, ბადრი კობახიძე, ლეო ანთაძე, მერაბ თაბუკაშვილი; კომპოზიტორი ოთარ გორდელი; კინომსახიობი ლიანა ასათიანი; ცოტა მოგვიანებით, რეჟისორები: რეზო მირცხულავა, თემურ ჩხეიძე, კონოოპერატორი ლომერ ახვლედიანი და სხვა. ჩვენზე ადრე კი, ყველა ჩვენგანის მასწავლებელი დოდო ალექსიძე. ერთ კლასში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, ო. თაქთაქიშვილი, ო. გორდელი და ცნობილი საერთაშორისო მიმომხილველი მელორ სტურუა. აი, არასრული სია ჩვენი სკოლის აღზრდილებისა. უთუოდ ბევრი სახელი გამომრჩა, შემინდეთ, მეგობრებო, მაგრამ ყველას ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა"[31].

მიიჩნევდა რა სკოლის „მიკრო-რენესანსად", ხელოვნებასთან ერთად, სპორტის აღმავლობას, კოტე მახარაძე წერდა:

„ვიღაცამ, არ მახსოვს ვინ, ხუმრობით თქვა: ეს არის ხელოვნებისა და სპორტის სკოლა, მცირე საერთო-საგანმანათლებლო განხრითო. ამბობენ, ყოველ ხუმრობაში სიმართლის მარცვალიაო... სად უნდა მისცემოდა ქართულ თეატრალურ ხელოვნებასა და სპორტს ისეთი ფართო ასპარეზი და სად უნდა დახვედროდა ისეთი მადლიანი ნიადაგი, როგორც პირველ სკოლაში? ჩვენი თეატრისა და სპორტის აკვანი ხომ სწორედ აქ დაირწა!"[32].

თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლეებმა 1850 წლის 27 ოქტომბერს, განახლებული ქართული თეატრის თარიღად რომ არის მიჩნეული, გიმნაზიის დარბაზში გამართეს პირველი წარმოდგენები. დადგეს ამავე გიმნაზიის კურსდამთავრებულის გიორგი ერისთავის „დავა" და „გაყრა".

გიმნაზიის შესანიშნავ სპორტულ დარბაზში ჩამოყალიბდა პირველი ქართული სპორტული საზოგადოება „შევარდენი". „სამწუხაროდ, ეს დარბაზი აღარ არსებობს, რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქციის გამო ნგრევაში მოჰყვა, მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ ახლა ზუსტად იმ ადგილას დგას ჩვენი ისტორიის, საზოგადოებისა და კულტურის ორი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, ილიასა და აკაკის ძეგლი. ილია თბილისის პირველი გიმნაზიის აღზრდილია, აკაკი — ქუთაისის, XIX და XX საუკუნეების ქართველი ახალგაზრდობის წრთობის ორი უმძლავრესი კერის წარმომადგენელი"[33].

პირველ სკოლაში სპორტმა მძლავრი აღმავლობა განიცადა ჯაჯუ ჯორჯიკიას დროს. ჯაჯუ სპორტის თაყვანისმცემელი რომ იყო, ამას ადასტურებს მისი მოთხრობაც „მერცხალი"[34].

იგი თაყვანისმცემელი იყო ისეთი სპორტისა, რომელიც ავლენს ადამიანის ვაჟკაცურ ბუნებას, სინდისს, პატიოსნებას. სპორტსმენისათვის ყველაზე დიდი ჯილდო, მისი აზრით, ის არის, როდესაც გამარჯვებულს „ხალხი ტაშის ცემით, ვაშას ძახილით და მუსიკის გუგუნით მიეგებება". სკოლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ საქალაქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში და ხშირად იმარჯვებდნენ. ჯაჯუ თვითონაც ესწრებოდა შეჯიბრებებს და ამ დასწრებით ამხნევებდა თანასკოლელ სპორტსმენებს, გულით ხარობდა, როდესაც მათ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასულებს იხილავდა. ამ სტრიქონთა ავტორს კარგად ახსოვს 1946 თუ 1947 წელს მოსწავლე კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. თბილისის პირველი სკოლის კალათბურთელები ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებოდნენ. არასოდეს დამავიწყდება ფინალურ მატჩში ორი ქულით წაგების გამო სკოლის გუნდის წევრთა ვახტანგ ანანიაშვილის, გივი რუხაძის, ოთარ აფაქიძისა და სხვათა დამწუხრებული სახეები (მომიტევონ მათ, თუ ყველას გვარები ვერ გავიხსენე). ნაკლებად როდი განიცადა სკოლის დირექტორმაც. მან მაინც შეძლო წაგებულთა დამშვიდება. ამ წაგების ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა ვ. ანანიაშვილისა და გ. რუხაძის შეყვანა ნაკრებში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა

საკავშირო ჩემპიონატში. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ ჩემპიონატის შეჯამებისას ნორჩ კალათბურთელთაგან მხოლოდ ერთ სპორტსმენს მოიხსენიებდა, როგორც საუკეთესოს. ეს იყო ვ. ანანიაშვილი (გაზეთში მისი გვარი შეცდომით იყო აღნიშნული — ანატაშვილი). სკოლის დამთავრების შემდეგ გ. რუხაძე, ვ. ანანიაშვილი და ო. აფაქიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ. მათი დამსახურებაც იყო, რომ ფაკულტეტის კალათბურთელთა გუნდი საუნივერსიტეტო სპარტაკიადებზე თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა. გ. რუხაძე შემდეგ იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში — თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. იგი თამაშობდა სახელგანთქმულ ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას (ჯაჯუს შვილის) გვერდით, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი იყო, სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა. სპორტს რომ დაანება თავი, სპეციალობით მუშაობდა. საუკეთესო გეოლოგის სახელით ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან.

და განა მარტო კალათბურთელებმა ასახელეს სკოლა. სახელოვან სპორტსმენთა შორის, ალბათ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ცნობილი მთამსვლელი და დიდებული ფოტოხელოვანი, აწ გარდაცვლილი გურამ თიკანაძე.

როგორც კოტე მახარაძე აღნიშნავდა, ამ სკოლის „დარბაზიდან იღებს სათავეს პრაქტიკულად მთელი დღევანდელი ქართული სპორტი, ყველა თავისი ინტელიგენტური განშტოებებით. მთელ ამ „მეურნეობას“ ერთი საოცარი კაცი ხელმძღვანელობდა. საყოველთაო კერპი და ჩვენი საერთო თაყვანისცემის უცვლელი ობიექტი „ძია არჩილო“ — სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ ბაქრაძე, ქართული „ტანვარჯიშის მამა“. გიორგი ეგნატაშვილს „ტანვარჯიშის პაპა“ უწოდეს, ძია არჩილოს კი — მამა. ის იყო ერთი პირველთაგანი, ვისაც ჩვენს ქვეყანაში სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა, უმაღლესი წოდება ჩვენს სპორტში.

ახლა ცოტას თუ ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირში პირველი ბავშვთა სპორტული სკოლა თბილისში ჩამოყალიბდა. ამ სკოლის შექმნის ინიციატორი და შემდეგ ორგანიზატორი არჩილ ბაქრაძე იყო და იგი შეიქმნა პირველი სკოლის ბაზაზე“.

ამ პირველმა ბავშვთა სპორტულმა სკოლამ აღზარდა საბჭოთა კავშირისა თუ საქართველოს, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების მრავალი ჩემპიონი და პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატები, მწვრთნელები, სპორტის სახელოვანი მოღვაწენი. „ისინი ბევრნი არიან, ჩემპიონები და ვიცე-ჩემპიონები პირველი სკოლიდან. სამართლიანი იქნებოდა და მისასალმებელიც, იმ განვლილ დღეთა შესახებ სპეციალური წიგნი დაწერილიყო, ეჭვიც არ მეპარება, გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც სიამოვნებით მოკიდებს ხელს ამ კეთილშობილურ საქმეს“[35].

ნეტავ ამ კეთილშობილური საქმისათვის — პირველი სკოლის სპორტული ცხოვრებისა და სპორტსმენების შესახებ სპეციალური წიგნის დაწერისათვის თვით კოტე მახარაძეს მოეკიდა ხელი!

50-იანი წლებისათვის პირველ სკოლაში ხელოვნებისა და სპორტის აღმავლობა ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია იმ წარმატებებისა, რითაც ხვდებოდა სკოლა თავისი არსებობის 150 წლისთავს.

§ 6. მარად ჭაბუკი — 150 წლის სასწავლებელი

თბილისის პირველი საშუალო სკოლის კოლექტივი დირექტორის ჯაჯუ ჯორჯიკიას ხელმძღვანელობით 150 წლისთავის იუბილისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა.

წესრიგში მოჰყავდათ სკოლის შენობა, კაბინეტ-ლაბორატორიები, საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, კლუბი... გულდასმით ეცნობოდნენ სკოლის ისტორიას — მოკიდებული მისი დაარსებიდან — 1802 წლიდან, ვიდრე XX საუკუნის 50-იან წლებამდე. საგანგებოდ სწავლობდნენ 1881 წელს ჩატარებული იუბილის მასალებს, იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს, კორესპონდენციებს, ინფორმაციებს, მაშინდელ მოღვაწეთა, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა თუ პირველი გიმნაზიის ყოფილ მოსწავლეთა და თანამშრომლების მოგონებებსა და ჩანაწერებს. უყურადღებოდ არ ტოვებდნენ XIX საუკუნის ბოლო ორი ათეული და XX საუკუნის პირველი ორი ათეული წლების მასალებს. სერიოზული შესწავლის საგნად გაიხადეს 1921 წლის შემდგომი პერიოდის მასალები.

ყველაფერ ამას შეძლებისდაგვარად ეცნობოდნენ და სწავლობდნენ მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც. მოსამზადებელ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული მშობელთა კომიტეტიცა და მოსწავლეთა თვითმმართველობაც.

ბუნებრივია, რომ ყოველივეს ეცნობოდა და სწავლობდა ქართული ლიტერატურისა და ენის მასწავლებელი, ქალბატონი ბაბო მჭედლიძე, რომელიც, სკოლის პედსაბჭოსა და იუბილის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, საიუბილეო სხდომაზე მთავარ მომხსენებლად გამოიყო.

მასწავლებლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს დაევალათ, მოეძებნათ სკოლის ყოფილი მოსწავლეები, უკვე სახელმოხვეჭილი მოღვაწეები, ჩაეწერათ მათი ბიოგრაფიები, ეთხოვათ მათთვის, წარმოედგინათ საორგანიზაციო კომიტეტში მოგონებანი სკოლაზე, მასწავლებლებზე, თანაკლასელებზე, სკოლის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები და სხვა მასალები.

ჯაჯუ ჯორჯიკია სკოლაში ყოველთვის იწვევდა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის სხვადასხვა დარგის, მეურნეობისა და რესპუბლიკის ცხოვრების სხვა სფეროთა თვალსაჩინო მოღვაწეებს, პოეტებსა თუ მწერლებს. ამ შეხვედრებზე მოსწავლეები ისმენდნენ მათ საუბრებს, თავადაც გამოდიოდნენ მოხსენებებით, საკუთარი შემოქმედებით... ახლაც ამ ადამიანებს იწვევდნენ იუბილეში აქტიური მონაწილეობისათვის.

ასეთი საქმიანობის შედეგად დაგროვდა საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა. დამზადდა დღიურ-ალბომი სკოლადამთავრებულთა ფოტოსურათებით.

სკოლამ მიიღო უამრავი მოსალოცი წერილი და დეპეშა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ქალაქებიდან, სკოლებიდან, თბილისის პირველ სკოლაში განათლებამიღებულებისაგან, რომლებიც დიდი სიყვარულით იგონებდნენ აქ გატარებულ წლებს.

როგორც პროფ. რევაზ ჟორდანია იხსენებს, კინო-ფოტო-ფონო საშუალებათა ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს ბესარიონ ტაბიძეს საიუბილეო მასალის გადასაღებად გამოუგზავნია დიდად განათლებული პიროვნება, არა უბრალო ფოტოგრაფი, არამედ ჭეშმარიტ ფოტოხელოვნად აღიარებული ვიქტორ კუვშინოვი. იგი ყოფილა ზაქარია ფალიაშვილის ქვისლი. „აი, ასეთი მაღალი კლასის ფოტოგრაფმა შთამომავლობისათვის აღბეჭდა ჩვენი სკოლის იუბილის ეპიზოდები. ჩვენს შესანიშნავ სამასწავლებლოში, რომლის კედლები მოხატულია ძველბერძნული მითოლოგიის გმირთა პორტრეტებით, პართენონისა და სხვა ხედებით, გამოფენა მოეწყო. კედლები ფრთხილად შემოსეს ქსოვილით; მასზე დამაგრებული იყო მოსწავლეთა ნახატები, ფოტოსურათები, მოხსენებები, სხვადასხვა ნამუშევარი. აქვე იყო მასწავლებლებისა და ყოფილი მოსწავლეების — ამჟამად გამოჩენილი პიროვნებების, შინმოუსვლელთა ფოტოსურათები და სხვა. გაზეთებში იბეჭდებოდა მასალები სკოლის იუბილეზე (სხვათა შორის, მე შევკრიბე ყველა მასალა, პატარა ალბომში ჩავაწებე და სკოლას ვუსახსოვრე)".

გამოფენილი მასალები მოგვითხრობდა სასწავლებლის ისტორიულ წარსულზე, მის კურსდამთავრებულებზე, ამ უკანასკნელთა ისეთ ცნობილ აღმზრდელებზე, როგორებიც იყვნენ ალექსი პეტრიაშვილი, იოანე ქართველიშვილი, ეფრემ მესხიშვილი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სოლომონ დოდაშვილისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც წარმოადგენდა ამ დიდ მოღვაწეს როგორც ფილოსოფოსს, ისტორიკოსს, მწერალს, პუბლიცისტს, ჟურნალისტს, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და იდეოლოგს. ეს სტენდი გვაცნობდა მას, როგორც დიდ პედაგოგს, რომლის პორტრეტს გვერდს უმშვენებდა მისი გენიალური მოსწავლის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მეორე დიმიტრი თავდადებულად აღიარებული დიმიტრი ყიფიანის პორტრეტები. ამ სტენდის გაცნობა შეახსენებდა ადამიანს

სახარებაში ნათქვამს: „საკმარისია მოწაფისათვის ისეთი იყოს, როგორც მისი მოძღვარი", მოწაფე, რომელიც შეითვისებს აღმზრდელის მოძღვრებას, „ისეთივე იქნება, როგორც მისი მასწავლებელი".

და მართლაც, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის საუკუნენახევრის ისტორიამ დაადასტურა, რომ დოდაშვილის მსგავს მოძღვართა აღზრდილთაგან ბევრი ისეთივე სახელოვანი იყო, როგორიც მათი მასწავლებლები. იუბილარ სასწავლებელს შეეძლო ეამაყა თავისი აღზრდილებით: ალექსანდრე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებით, ნიკოლოზ ბარათაშვილით, ივანე კერესელიძით, ილია ჭავჭავაძით, გიორგი და რაფიელ ერისთავებით, დიმიტრი ყიფიანით, ალექსანდრე ყაზბეგით, ალექსანდრე ხახანაშვილით, ივანე ჯავახიშვილით, პეტრე მელიქიშვილით, გიორგი ნიკოლაძით, კოტე მარჯანიშვილით, ვანო სარაჯიშვილით, ვასო აბაშიძით, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინით, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოთი და მრავალი სხვით. სად არ შეხვდებოდით იუბილარი სასწავლებლის აღზრდილებს — საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერი ეროვნებისას, რომელთაც გამოჰყოლოდათ ამ პირველი „ალმა-მატერის" სითბო და სიყვარული.

აი, ამის დამადასტურებელი ერთი მაგალითი, რაზეც მოგვითხრო ცნობილმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა ნარკვევში „150 წლის იუბილარი", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „დროშის" 1952 წლის მე-11 ნომერში.

იუბილის წინახანებში სკოლას სწვევია ხნიერი მამაკაცი მეუღლითურთ. ნელი ნაბიჯით გაჰყოლიან სკოლის გრძელ დერეფანს. მამაკაცი ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებდა, თან უხსნიდა მეუღლეს. მაღალი, ლამაზი ჩუქურთმოვანი კარი შეუღია, ოთახში შეუხედავს და მეუღლისათვის უთქვამს:

— ადრე აქ გიმნაზიის ეკლესია იყო. ახლა, როგორც ჩანს, ბიბლიოთეკად გადაუკეთებიათ... წინათ აქ „მამაო ჩვენოს" გვაზეპირებინებდნენ. ახლა აქ მოწაფეები კითხულობენ რელიგიის აბსურდულობის შესახებ.

ბიბლიოთეკის გამგეს გვიან შეუნიშნავს უცნობი სტუმრები, შეუპატიჟებია, თან უთქვამს:

— მობრძანდით, მაგრამ წიგნებს მხოლოდ მოწაფეებს ვაძლევთო.

სტუმარს ღიმილით უთქვამს:

— მეც ამ სკოლის მოწაფე ვარ! დიახ, ყოფილი მოწაფე. 60 წლის წინათ დავამთავრე ეს სკოლა. თბილისში მოვხვდი და როგორც ხედავთ, გამოვიყენე ეს შემთხვევა, ჩვენი სკოლა მოვინახულე. გთხოვთ, გვიცნობდეთ — ბაქოელი პროფესორი კაულიაევი. ეს ჩემი მეუღლეა.

„პროფესორმა კაულიაევმა დიდხანს ილაპარაკა სკოლის წარსულზე. როდესაც გაიგო, თბილისის ვაჟთა საშუალო სკოლა 150 წლისთავისათვის ემზადებოდა, ბიბლიოთეკის გამგეს სთხოვა, შემატყობინეთ, უსათუოდ ჩამოვალო და თავისი მისამართი დატოვა.

პროფესორ კაჟლიაევის სტუმრობა თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში ერთეული შემთხვევა არ არის. ყოფილი მოწაფეები, ამჟამად ექიმები და ინჟინრები, აგრონომები და ასტრონომები ხშირად იხსენებენ თავიანთ საყვარელ სკოლას, მაგრამ ახლა, საიუბილეო დღეებში, ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ორგანიზებულად ესტუმრებიან სკოლას. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. იოსელიანი თავის შვილიშვილებთან ერთად მოვა საიუბილეო საღამოზე... ამ სკოლის აღზრდილია ბაბუა, ეს სკოლა ზრდის შვილიშვილებსაც; მოგონებით გამოვლენ პროფესორი ნ. ყიფშიძე, რომელმაც 1907 წელს, დიდი ილიას დასაფლავების დღეს, გიმნაზიის სახელით ცოცხალი ყვავილების გვირგვინი აიტანა მთაწმინდაზე; ინჟინერი მელიქ-ნუბაროვი, რომელიც 1905 წლის მღელვარე დღეებში მეფის იუნკრების მიერ თბილისის გიმნაზისტების დარბევის დროს მძიმედ დაიჭრა..."

თითქოს ცნობილი იყო ყველაფერი, მაგრამ მაინც ყოფილი მოსწავლეები საზეიმო სხდომაზე დიდი გულისყურით უსმენდნენ მომხსენებელს, სხვა ორატორებს, თითქოს საყვარელ მასწავლებელთა გაკვეთილზე ისხდნენ... თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობიაო, ბევრმა ღიმილით კიდეც აღიარა, ასეთი სიჩუმე, ყურადღება მათ გაკვეთილებზეც კი არ ყოფილაო, ვისი პატივისცემა, თაყვანისცემა დღემდე გამოჰყოლოდათ. გულით ხარობდნენ, როდესაც მოძღვართაგან ხედავდნენ მათ, რომლებიც ისევე მხნედ გამოიყურებოდნენ, როგორიც ახსოვდათ...

ახლაც, 1952 წლის 29 ნოემბერს, სკოლის 150 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე ჯაჯუ ჯორჯიკია შესავალ სიტყვაში და ბაბო მჭედლიძე ძირითად მოხსენებაში აღმზრდელი სასწავლებლის სასახელო წარსულზე რომ ყვებოდნენ, სიამაყით ევსებოდათ გული, რომ ამ წმიდა ტაძარში მიიღეს პირველი განათლება...

ამ საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებით წერდა ბატონი გივი ჟორდანია: „ქართული ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ ქალბატონმა ბაბო მჭედლიძემ მეტად საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებით დაგვიტკბო სმენა..."

და ეს არც უკვირდათ მათ, ვინც დასწრებია, ზიარებია ბაბო მჭედლიძის გაკვეთილებს. როდესაც ისმენდნენ მის საუბარს რომელიმე ქართველ მწერალზე, ან იმ ნაწარმოებზე, რომელსაც თითქოს კარგად იცნობდნენ, რამდენ ახალს იგებდნენ...

ახლაც, როდესაც ისმენდნენ თხრობას მშობლიური სასწავლებლის წარსულზე, კიდევ უფრო ნათელი ხდებოდა, თუ რად ცდილობდა ცარისტული რუსეთის ხელისუფლება, წარმოედგინა საქართველო „ნახევრად ველურ ქვეყნად", ხოლო რუსეთი — არა დამპყრობლად, არამედ გამაბედნიერებლად, განათლების სხივის პირველ შემომტანად; რად ცდილობდნენ ყოველმხრივ მიეჩქმალათ, რომ აქ „ერთ დროს ყვაოდა განათლება". როგორ არ დაატკბობდა

მსმენელთა სმენას და სიამაყით არ აღავსებდა მათ მომხსენებლის თხრობა: „წყურვილი და მისწრაფება სწავლისადმი ქართველს არასოდეს შენელებია. სწავლული კაცი ყოველთვის მაღლა იდგა ქართველის თვალში. ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, გრემი, იყალთო, თბილისი, ოლთისი, გელათი — საქართველოს განათლების ცენტრი იყო, საიდანაც უმდიდრესი ცოდნის მისაღებად მიემგზავრებოდნენ ათენსა და ბიზანტიაში. რუსეთის ზემოთ ხსენებული აზრი საქართველოს განათლებაზე, ზედმეტად მოწმობდა, თუ რამდენად აინტერესებდათ მათ ხალხთა ისტორია, საერთოდ ხალხთა კულტურა, რაც მაშინდელი მმართველობის ვიწრო ერუდიციას მოწმობს".

წინამდებარე ისტორიული ნარკვევის წინა თავებში და პარაგრაფებში უკვე მოთხრობილია სასწავლებლის წარსულზე, მის სახელოვან აღზრდილებსა და მათ შესანიშნავ აღმზრდელებზე. ამდენად, ალბათ აზრი არა აქვს მოხსენების იმ ნაწილის დაწვრილებით გადმოცემას, სადაც ყოველივე ამაზეა საუბარი. ბ. მჭედლიძის მოხსენება ეყრდნობოდა იმ დროისათვის ხელმისაწვდომ წყაროებს, პრესას, ცალკეულ მოღვაწეთა მოგონებებს, სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებს. რუსეთის იმპერიის განათლების სისტემაში იმ დროისათვის გაბატონებული ცემა-ტყეპის „პედაგოგიური სიბრძნის" დასადასტურებლად, მოხსენებაში მოტანილია ერთი ფაქტი პეტრე მელიქიშვილის მოგონებიდან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო განათლების" 1947 წლის მე-13 ნომერში: უფროსკლასელებს ინსპექტორთან გაუგზავნიათ დეპუტაცია თხოვნით: როგორც უკვე უფროსები, გათავისუფლებულიყვნენ ფიზიკური სასჯელისაგან. ინსპექტორს დელეგაციისათვის უპასუხია: „თუ თქვენ არა, მაშინ ვინ უნდა გავწკეპლოთო".

მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა გიმნაზიაში აკრძალულა ნიკო ღოღობერიძის ინსპექტორობის დროს. ნ. ღოღობერიძე თან გეოგრაფიას ასწავლიდა. ბ. მჭედლიძის მოხსენებაში მოტანილია ფრაგმენტი პეტრე მელიქიშვილის მოგონებიდან: ნიკო ღოღობერიძემ „შეიტანა სინათლის სხივი გიმნაზიის ცხოვრებაში და უფრო ჰუმანური მოპყრობა შეგირდებთან. თავისი მეცადინეობის დროს მან გვიჩვენა პირველად გლობუსი და აღტაცებაში მოგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ გლობუსზე გვაჩვენა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მანვე გვაჩვენა აგრეთვე მოდელი დედამიწის მზის გარშემო ბრუნვისა და აგვიხსნა როგორც დღე და ღამის, აგრეთვე წლის დროთა წარმოშობა".

მოსწავლეს ამ მოვლენაზე თხზულება დაუწერია და ერთ-ერთი მასწავლებლისათვის წარუდგენია. მასწავლებელს თხზულება დაუბრუნებია ამ სიტყვებით: „შე უვარგისო, დედამიწა რომ ასე ტრიალებდეს, თბილისი ერევანში წავიდოდა და ერევანი თბილისში მოვიდოდაო".

მსგავსი მაგალითები საშუალებას აძლევდა ქ-ნ ბაბოს, გაეკეთებინა დასკვნა: „ასეთი ფაქტები დამამტკიცებელია იმისა, თუ როგორ „პედაგოგებს" გზავნიდა მეფის მთავრობა ე.წ. „ინოროდცულ" გიმნაზიებში".

მოხსენებიდან ბევრმა, შეიძლება, პირველად გაიგო, რომ რუსეთის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ალექსანდრე მესამის დროინდელმა ფინანსთა მინისტრმა და ნიკოლოზ მეორის დროინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ი. ვიტემ თბილისის პირველი გიმნაზია დაამთავრა; რომ გიმნაზიის დირექტორის ლევ მარკოვის შვილმა ევგენი მარკოვმა იგივე გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ საქართველოშივე მოღვაწეობდა, იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ზოობაღის პირველი ფუძემდებელი, შესანიშნავი საბავშვო მწერალი. ქ-ნი ბაბო მჭედლიძის მოხსენება საინტერესო ცნობებს აწვდიდა მსმენელებს კონიაკ „ენისელის" ავტორის, კონიაკის წარმოების მთავარი ტექნოლოგის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვახტანგ ციციშვილის, მეცნიერების ცნობილი მოღვაწეების, პროფესორების გიორგი რუსიშვილის, ნიკოლოზ ხრამელაშვილის, ვალერიან როსტომბეგოვის, ნერსეს იუმაკოვის, გაბრიელ პონდოევის, აკადემიკოსების ნინო ჯავახიშვილის, გიორგი გეხტმანის, ნოდარ ყიფშიძის, ვახტანგ მოსიძისა და სხვათა შესახებ. მოხსენებაში კარგად იყო ჩართული ნოდარ ყიფშიძის, ნიკოლოზ ხრამელაშვილის, უხუცესი ინჟინრის მელიქ ნუბაროვის, გიორგი რუსიშვილისა და სხვათა მოგონებანი, სადაც მოთხრობილია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდის მოვლენებზე. ვ. პონდოევის მოგონებაში გადმოცემულია ასეთი ფაქტი: გიმნაზიელებს უფლება ჰქონდათ, ა. პუშკინის თხზულება „პეტრე დიდის არაბი"-დან წაეკითხათ მხოლოდ ცენზორის მიერ ნებადართული ნაწილი. თუ მოსწავლე წაიკითხავდა დანარჩენს, სასტიკად დაისჯებოდა. მიუხედავად ამისა, თურმე ყველამ მთლიანად წაიკითხა ნაწარმოები. როდესაც პონდოევს ეს გაუგეს, იგი ერთი საათით კუთხეში დაუყენებიათ. ამის გამო იგი ამბობდა: „პუშკინი დასაჯეს საკუთარი შემოქმედებისათვის, მე კი პობედონოსცევის პედაგოგმა — პუშკინის გულისათვისო".

იმ მოგონებებში, საიდანაც ქ-ნ ბაბოს მოჰქონდა ადგილები, დიდი პატივისცემითაა მოთხრობილი მასწავლებლების ივანე ნიჟარაძის, ნიკო შაფაქიძის, სიმონ გოგლიჩიძის, თამარ გიორგობიანის, თამარ ზაალიშვილის, ცუცუნია ლორთქიფანიძის, ელენე ბერიტაშვილის, ოქროპირ ხევსურიანის, პეტრე უმიკაშვილის, საბინ-გუსის, მიხეილ ზანდუკელის, დავით დონდუასა და სხვათა შესახებ.

ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს იმ წარმატებებს, რითაც შეხვდა სკოლა თავის იუბილეს. ამ მიღწევებით ამაყობდნენ იუბილის მონაწილე ყოფილი და იმჟამინდელი მოსწავლეებიც.

საიუბილეო საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, რომ ისედაც კეთილმოწყობილი ქიმიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, ენებისა და სხვა კაბინეტები ყოველწლიურად ათეული ათასი მანეთის ხელსაწყოებით, რეაქტივებით, ნაირგვარი თვალსაჩინოებით ივსებოდა, რომ სკოლის უნიკალურ ბიბლიოთეკას უკანასკნელ წლებში ოთხი ათასი წიგნი შეემატა...

სკოლის 1500 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა 75 მასწავლებელი. დასახელდნენ პედაგოგები, რომლებითაც იამაყებდა ნებისმიერი სასწავლებელი: ნ. ალადაშვილი, ნ. ალავერდაშვილი, ე. ბერიტაშვილი, მ. ბერიძე, თ. ბერუჩაშვილი, თ. გაბუნია, ს. დადუნაშვილი, ნ. დავითაშვილი, კ. დათუნაშვილი, ნ. ვარდიაშვილი, ლ. თოთიბაძე, ნ. თოფურიძე, გ. კუტუბიძე, ა. მუჯირი, ბ. მჭედლიძე, ნ. ნადარეიშვილი, ნ. ნანობაშვილი, ქ. ნიკურაძე, გ. ოქრუაშვილი, მ. პოლოლიკაშვილი, მ. ჟორჟოლიანი, ნ. სამჭკუაშვილი, რ. საყვარელიძე, ნ. სიხარულიძე, გ. ტაბიძე, შ. ფანცურიძე, მ. ქაჩიბაია, კ. ყანჩაველი, ო. შელია, ვ. ჩხენკელი, ვ. ხელაია და სხვები. სასიხარულო ის იყო, რომ მათ სახელოვნად აუბეს მხარი ახალგაზრდებმა: ი. ბალოტინამ, ე. გვაზავამ, ე. გოგიამ, ზ. თოხაძემ, გ. მინდიაშვილმა, ნ. რატიანმა და სხვებმა.

თითოეული მათგანი წელგამართული, შუბლნათელი და თვალებგაბრწყინებული შეხვდა სახელოვან იუბილეს. ეამაყებოდათ თავისი აღზრდილები, რომელთაც სხვადასხვა სფეროში სასიქადულო მოღვაწეობით ასახელეს მშობლიური სასწავლებელიც, მასწავლებლებიც და სამშობლოც. სკოლაში კვლავაც იზრდებოდნენ ბებია-ბაბუების, მშობლების, უფროსი და-ძმების ტრადიციის გამგრძელებელნი.

საამაყო ბევრი ჰქონდათ პირველსკოლელებს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცალკეული საგნების სწავლება. სკოლაში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა წრეობრივი მუშაობა და ამ მხრივ ტრადიცია კვლავაც რომ გრძელდებოდა და ვითარდებოდა, ეს ი. ბალოტინას, გ. ბარამიძის, მ. კონტრიძის ბ. მჭედლიძის, ნ. ნანობაშვილის, ო. როგოვსკოის, შ. ფანცურიძის, ვ. ჩხენკელისა და სხვათა მაღალნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგი იყო. საამაყოდ თუ იყო დაყენებული მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, ეს უდავოდ ჯ. მუჯირის, მ. პოლოლიკაშვილისა და ე. ქვლივიძის დიდ დამსახურებას წარმოადგენდა.

სკოლაში მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მაღალი დონე ცხადყო საიუბილეო ზეიმის მეორე განყოფილებამ. როგორც ყველა საიუბილეო ზეიმზე, იქნებოდა ეს ქართული თეატრის დღე თუ ცნობილ მსახიობთა იუბილის ან დრამატურგისადმი მიძღვნილი საღამო, თითქმის ყოველთვის მოსწავლეთა ძალებით წარმოდგენილი იყო გიორგი ერისთავის „გაყრა“. ასე იყო იმ დღესაც. დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა კონცერტმა. ერთმანეთს ენაცვლებოდა ო. ქორქაშვილისა და ი. ჯოხაძის დუეტი, ლ. ანთაძის სკეტჩები, ორი გურამის (ბზვანელისა და ბაკურაძის) სიმღერები, მოზრდილთა და პატარების სიმღერის გუნდები. პატარების სიმღერის გუნდის აკომპანიატორი იყო ვახტანგ ჟორდანია, შემდგომში სახელგანთქმული დირიჟორი. ამ კონცერტის ბევრმა მონაწილემ, ვ. ჟორდანიას მსგავსად, ასახელა ქართული ხელოვნება თავისი მოღვაწეობით.

ზეიმზე, საერთოდ, დადებითსა და საქებარზე ლაპარაკობენ. სკოლის იუბილის ჩატარების ორგანიზატორებმა იგი გაიაზრეს როგორც გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და მომავლის პერსპექტივების დასახვის ღონისძიება. ამიტომ აღინიშნა საიუბილეო კრებაზე, რომ მიღწეული წარმატებები სრულიად არ იძლეოდა თვითდამშვიდების უფლებას. ითქვა ნაკლოვანებებზეც: მოსწავლეთა ერთი ნაწილი ჩამორჩებოდა სწავლაში, აღმოფხვრილი არ იყო არასაპატიო მიზეზით მეცადინეობათა გაცდენები, ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა სასწავლო წესრიგის დარღვევის ფაქტებს და ა.შ.

სკოლის დირექტორმა ჯაჯუ ჯორჯიკიამ სკოლის კოლექტივის სახელით განაცხადა: „აღნიშნავს რა თავისი არსებობის 150 წლისთავს, ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა, მისი პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ენერგიულად იბრძოლებს მომავალი თაობის სამშობლოსადმი, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზრდისათვის!"

თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში გამართული საიუბილეო ღონისძიება ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ეს იყო არა მარტო საუკუნენახევრის მოღვაწეობის წარმოდგენა, არამედ მომავლისაკენ იმედიანი გახედვა. კარგად აღნიშნა თავის ნარკვევში მწერალმა ედიშერ ყიფიანმა:

„არ შეიძლება არ გაიფიქროთ, რომ სკოლის 200 წლის იუბილეზე მოიწვევენ დღევანდელ I, II, III კლასების მოწაფეებს, რომლებიც ამ დროისათვის ქვეყნის სახელოვანი ადამიანები იქნებიან.

დღეს კი ეს მოწაფეები უფროსკლასელებთან ერთად სკოლის 150 წლის იუბილეს ზეიმობენ. საუკუნენახევრის სკოლა თითქოს ვერც კი გრძნობს წლების სიმძიმეს. მისი აუდიტორიები თუ დერეფნები მუდამ ჯანმაგარი, ენერგიული ახალგაზრდებითაა სავსე. სკოლის კედლები მუდამ ახალგაზრდების ცოცხალი საუბრისა და ცოცხალი აზრის მსმენელია. ამ მოწაფეთა ასაკი არასოდეს სცილდება 18 წელს და თითქოს ეს უძველესი სკოლაც მარად ჭაბუკი რჩება...

თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლა თავისებური მუზეუმია. თავისებური იმიტომ, რომ თუ ჩვეულებრივ მუზეუმში შემოაქვთ და ინახავენ ძვირფას ნივთებს, ისტორიულ განძებს და სხვ., ეს სკოლა პირიქით: თავის განძს — სკოლის აღზრდილ ადამიანებს — აძლევს ქვეყანას, სამშობლოს, ხალხს".

ამრიგად, ამ ისტორიული სასწავლებლის იუბილე არა მარტო წარსულის გახსენებას წარმოადგენდა, არამედ საიუბილეო ზეიმის მონაწილენი თითქოს ხედავდნენ, როგორ შეხვდებოდნენ ნახევარი საუკუნის შემდეგ 200 წლისთავს.

ვინ იცის, იმ ლამაზად აღნიშნული იუბილის რამდენმა მონაწილემ ისურვა ბატონ გივი ჟორდანიას მსგავსად:

„მსურს, როგორც ძველ პირველსკოლელს, რომ ღმერთმა მაღირსოს სკოლის დაარსების 200 წლისთავზე დასწრებას".

რას წარმოიდგენდნენ მაშინ 150 წლისთავის დღესასწაულის მონაწილენი, რომ სკოლის შენობა, რომელსაც მოზეიმენი ასე შეჰხაროდნენ, დაახლოებით ოთხი ათეული წლის შემდეგ დაინგრეოდა, დაიწვებოდა, ჩაიფერფლებოდა, აღარაფერი გადარჩებოდა, გარდა კიდეებშემჭვარტლული მემორიალური დაფისა...

სამწუხაროდ, არ გადარჩენილა საიუბილეო გამოფენის ექსპონატები, მასალები, საზეიმო კრებაზე გამოსვლის ტექსტები. შემორჩა მთავარი მოხსენების შავი ვარიანტი...

როდესაც 1881 წელს აღინიშნა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის 50 წლისთავი, იმავე წელს გამოიცა იუბილის ამსახველი მასალების სრული სამახსოვრო კრებული (ქსეროქსზე გადაღებული ამ კრებულის გაცნობა შეიძლება სკოლის მუზეუმში). 150 წლის იუბილის ამსახველი მასალები კი არ გამოცემულა. იმდროინდელ პრესაშიც ძლიერ ძუნწად აისახა ეს მოვლენა. ამანაც განაპირობა, რომ წინამდებარე ისტორიულ ნარკვევშიც ისეთი ასახვა ვერ ჰპოვა ამ იუბილემ, როგორც 50-ე წლისთავმა.

ალბათ, თავი უნდა მოეყაროს იუბილისადმი მიძღვნილ იმდროინდელ რადიო და ტელეგადაცემებს, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. იქნებ, მოიძებნოს არქივში ფოტომასალები, რაც ცენტრალური სახელმწიფო არქივის დავალებით გადაუღია ვიქტორ კუვშინოვს.

სკოლის 150 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა მონაწილეებმა თავისი მოგონებანი, შთაბეჭდილებანი, იუბილის ამსახველი სხვა რაიმე შემორჩენილი მასალები სკოლის მუზეუმის საარქივო განყოფილებას სასწრაფოდ უნდა მიაწოდონ.

ეს ნამდვილად აუცილებელი და საშური გასაკეთებელია.

5. ყველაზე მაღალ სამყოფელში

§ 1. გზა მოწოდებისა

— ბედმა გაგვიღიმა, რომ სწორედ ამ სკოლაში ვსწავლობდით.

— ბედმა გაგვიღიმა, რომ ასეთი დირექტორი და მასწავლებლები გვყავდნენ, — წერენ თავიანთ მოგონებებში 20-იანი, 40-50-იანი და 60-იანი წლების თბილისის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

არამარტო პირველ სკოლას, მთლიანად საქართველოს განათლების სისტემას გაუმართლა, რომ ამ უძველეს, სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობით სამაგალითო საცდელ-საჩვენებელ სკოლას ისეთი დირექტორები ჰყავდნენ, როგორიც იყვნენ მიხეილ ზანდუკელი და ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია. მათ

ერთმანეთი შეცვალეს დაახლოებით 13 წლის სხვაობით. სულ რამდენიმე თვემ განვლო ჯ. ჯორჯიკიას გარდაცვალებიდან, რომ სკოლას დირექტორად მოევლინა ბრწყინვალე პედაგოგი და აღმზრდელი, შესანიშნავი ორგანიზატორი, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი ნიკოლოზ კიკვაძე. მასზე ამბობენ, რომ იგი პედაგოგად იყო დაბადებული.

თუ პოეტზე თქმულა, ზეგარდმო ნიჭით მირონცხებულად იბადებაო, იგივე შეიძლება ითქვას ჭეშმარიტ მასწავლებელზეც. სწორედ ასეთი იყო ნიკოლოზ კიკვაძე. თუ როდის და როგორ ჩამოყალიბდა იგი ამ კეთილშობილური მოვალეობის აღმასრულებლად, ამის პასუხი, ალბათ, ნიკოლოზ კიკვაძის პირად ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ.

ნიკოლოზ კიკვაძის დაბადებისას თოფი არ გავარდნილა. მის ავტობიოგრაფიაში[36] ვკითხულობთ: „ჩემს დაბადებას მამაჩემი ცუდ გუნებაზე დაუყენებია: 12 ვაჟისა და 1 ქალის მამას სურდა, მეთოთხმეტე მაინც ქალი ყოფილიყო. მაგრამ არ გაუმართლა". წვრილშვილის პატრონ გლეხკაცს არ ულხინდა. „ჩვენი სოფლის მუდმივი თანამგზავრი იყო სურსათ-სანოვაგის სიმცირე, ცუდი გზები და წერა-კითხვის უცოდინრობა".

ბაღდათის რაიონის სოფელ როხის ისტორია მე-19 საუკუნის დამდეგიდან იწყება. იქაურობა ტყით ყოფილა დაფარული, სადაც თავი შეუფარებიათ ბატონებისაგან გამოქცეულ ყმებს. ნიკოლოზის ბაბუის მამას, ზემოსურებელ ყმას ბატონთან შელაპარაკებისას მკვლელობა ჩაუდენია, მთელი ოჯახით თავშესაფარი როხის ტყეში უპოვნია. კიკვაძეების ოჯახი მეცხრე კომლი გამხდარა. შემდეგ წლებში ლტოლვილთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ნიკოლოზი რომ დაბადებულა, როხი მოზრდილ სოფლად ითვლებოდა. სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, როხში თავადს ან აზნაურს არასოდეს უცხოვრია. სოფლის ერთადერთ კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენდა ოთხწლიანი სკოლა, სადაც შეუყვანიათ 8 წლის ნიკო. უფროსი ძმების დახმარებით, მას კარგად სცოდნია წერა-კითხვა, ანგარიში, რამდენიმე ლექსი და მოთხრობა.

სკოლაში ნიკოლოზი კარგ მოსწავლედ ითვლებოდა. პირველი კლასი ფრიადებზე დაამთავრა. მეორე კლასში მხოლოდ თვენახევარი უვლია. პირველი მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო, ლევან კიკვაძის ექვსი ვაჟი ომში რომ წაუყვანიათ. ოჯახს რვა მცირეწლოვანი ბავშვით გაუჭირდა. ნიკო სკოლიდან გამოუყვანიათ და ასაკისათვის შეუფერებელ შრომაში ჩაუბამთ. როგორც ჩანს, სკოლაში ერთი წლის ყოფნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სწავლას მოწყურებული, ფიზიკური შრომის უღელში შებმული, წიგნისთვის დროს მაინც პოულობდა. მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ექვსი ვაჟიდან ოჯახს ხუთი დაუბრუნდა, ერთი ფრონტზე დაიღუპა. ნიკოს ოცნება აუხდა: როხში 1920 წელს გახსნილ შვიდწლიან სკოლაში იმდენად წარმატებით ჩაუბარებია მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და მათემატიკაში, რომ პირდაპირ მეხუთე კლასში დაუსვამთ.

ყველა საგანს ასწავლიდა ერთი პიროვნება — გიმნაზიის ახალკურსდამთავრებული დავით ლომიძე. ნიკოლოზი შემდეგში იხსენებდა მას, როგორც ნიჭიერ და განათლებულ, ჩინებული გარეგნობისა და საამო ხმის ახალგაზრდას. „მე და ჩემი კლასის ამხანაგები ახლაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვიგონებთ მას". შეიძლება, მისი გავლენით, უკვე მაშინ გადაწყვიტა მასწავლებლობა; ან იქნებ მაშინ, როდესაც ქუთაისის მეორე ჰუმანიტარულ ტექნიკუმში (ქუთაისის ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზაში) სწავლობდა; თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაზე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კორიფეების — ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ანდრია რაზმაძის, არჩილ ხარაძისა და სხვათა ლექციებს რომ ისმენდა.

დამამთავრებელი, მეოთხე კურსის სტუდენტი იყო ნიკოლოზი, როდესაც 1929 წელს, ოჯახური პირობების გამო, იძულებული გამხდარა, სოფლის სკოლაში მასწავლებლად დაეწყო მუშაობა. პარალელურად მეოთხე კურსის საგნების ჩასაბარებლად მეცადინეობდა. 1931 წლიდან ნიკოლოზი თბილისის სხვადასხვა სკოლაში მასწავლებლობდა, თან მეოთხე კურსის საგნებს აბარებდა. უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი მხოლოდ 1934 წელს მიიღო. მას ფიზიკის კათედრაზე გადასვლის წინადადება მისცეს. წინ სამეცნიერო ასპარეზი ეშლებოდა, მაგრამ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე და ბოლომდე თავისი მოწოდების ერთგული დარჩა.

ნ. კიკვაძე თბილისის ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ იყო დანიშნაურებული, 1948 წლის მარტიდან საქართველოს განათლების სამინისტროში სასწავლო-მეთოდური განყოფილების მეთოდისტად რომ გადაიყვანეს, შემდეგ კი იმავე განყოფილების უფროსად დანიშნეს. მას მუშაობა უხდებოდა სასწავლო პროგრამებზე, საგამოცდო ბილეთებზე, მეთოდურ წერილებზე, სასწავლო ტაბულებსა და პლაკატებზე. მისი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალის „ფიზიკა სკოლაში" რამდენიმე ნომერი და 14 სასწავლო ტაბულა-პლაკატი. იგი ავტორია წიგნისა „როგორ ჩავატაროთ საშინაო ცდები ფიზიკაში", რომელიც ორჯერ გამოიცა. ამავე დროს, ხშირად იბეჭდებოდა მისი მეთოდური წერილები. უდავოა, ნიკოლოზ კიკვაძის მოღვაწეობა სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში საერთო საქმისათვის ნამდვილად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო. მაგრამ განყოფილების უფროსს გული უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობისაკენ მიუწევდა. მისი მოწოდება სამინისტროში გადასვლამდე ორი ათეული წლის მანძილზე პედაგოგად მუშაობამ განსაზღვრა. იგი ამ უკეთილშობილესი მოვალეობის აღმასრულებლად იყო ჩამოყალიბებული და გულმა კვლავ სკოლისაკენ მოუწოდა.

საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1954 წლის მარტში განიხილა საკითხი „ქ. თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა

დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ". საკითხის ასე დაყენება სკოლაში შექმნილ მდგომარეობაზე თავისთავად მეტყველებდა. არადა, ჯაჯუ ჯორჯიკიას გარდაცვალებიდან მხოლოდ ექვსი თვე იყო გასული. ახალი დირექტორი შალვა გიგაშვილი რამდენადაც კარგი პედაგოგი და საბავშვო მწერალი იყო, ისეთი ხელმძღვანელი ვერ აღმოჩნდა. კოლეგიამ იგი დირექტორობიდან გაათავისუფლა. ნიკოლოზ კიკვაძე წერდა: „მე გამოვთქვი სურვილი გადავსულიყავი ამ სკოლაში და გადავედი კიდეც".

1954 წლის 31 მარტს თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ახალი ფურცელი გადაიშალა თვით ნიკოლოზ კიკვაძის ბიოგრაფიაშიც. იგი კვლავ მოწოდების სარბიელზე მოღვაწეობს.

§ 2. თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შერწყმით აღზრდის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა

თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში დირექტორად მუშაობის დაწყება ნიკოლოზ კიკვაძეს საკმაოდ რთულ ვითარებაში მოუხდა. ეს იყო ი. სტალინის გარდაცვალებისა და ლ. ბერიას დახვრეტის შემდგომი უახლოესი პერიოდი. ამ ორმა მოვლენამ თავისებური გავლენა მოახდინა საბჭოთა ადამიანებზე, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ქართველ ხალხზე ეს გავლენა განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, როდესაც ყრილობამ პიროვნების კულტზე ნ. ხრუშჩოვის საგანგებო მოხსენება მოისმინა.

პიროვნების კულტის მხილება, არსებითად, სტალინის წინააღმდეგ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. საბჭოური პრესა ისე წარმოადგენდა მოვლენებს, თითქოს 30-იანი წლების რეპრესიებში დამნაშავენი იყვნენ მხოლოდ სტალინი, ბერია და მათი ქართული წარმოშობა. ამით არაქართველთა შორის ქართველებისადმი სიძულვილი ინერგებოდა. ყოველივე ეს ქართველთა, ძირითადად, ახალგაზრდობის გაღიზიანებას იწვევდა. მათ ცნობიერებაში სამშობლოსა და სტალინისადმი სიყვარული ერთ დონემდე იყო აყვანილი. ამან განაპირობა ქართველი ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლები თბილისში, რასაც გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა ქალაქების ახალგაზრდები. მოძრაობის მოთავენი აღმოჩნდნენ თბილისელი სტუდენტები. აქტივობით გამოირჩეოდნენ საშუალო სკოლების მოსწავლეებიც. მიტინგები უმთავრესად იმართებოდა თბილისის პირველი საშუალო სკოლის მახლობელ მთავარ მოედანსა და სანაპიროზე, სკვერში აღმართულ სტალინის მონუმენტურ ძეგლთან. მოძრაობამ კულმინაციას მიაღწია 1956 წლის 9 მარტს, რასაც მოჰყვა სისხლიანი ტრაგედია. საღამოს

ჯარმა პირველი სკოლის შენობის გვერდით, კავშირგაბმულობის სახლთან და სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ტყვიით დაცხრილა მომიტინგენი.

ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ამ სისხლიანი აქციით შეძლებდა ახალგაზრდობის მშფოთვარე სულისკვეთების ჩახშობას. შედეგი კი საპირისპირო აღმოჩნდა. თუ 1956 წლის მარტში ახალგაზრდობის გამოსვლებს არ ჰქონდა გამოკვეთილი ანტისაბჭოთა ხასიათი, ამჯერად მოძრაობამ აშკარა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი მიიღო. მის სათავეში აღმოჩნდნენ მერაბ კოსტავა და თბილისის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლე ზვიად გამსახურდია. ამ ბრძოლას კი 90-იან წლებში შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვა. ეს 50-იანი წლების მოვლენებიდან თითქმის ოთხი ათწლეულის შემდგომი პერიოდია. მასზე საუბარი, მაშინდელ მოვლენათა განხილვა სხვა თემაა.

50-იანი წლები კი, როგორც ვხედავთ, არც ისე მშვიდობიანი აღმოჩნდა. და აი, ამ მშფოთვარე პერიოდში მოუწია კიკვაძეს დირექტორობის დაწყება. ამ დროისათვის, ძირითადად, დაძლეული იყო ომის პერიოდიდან მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებული სიძნელეები. სკოლას დაუბრუნდნენ ომგადახდილი მასწავლებლები (მათ შორის, შემდგომში მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი ალექსი ლონგურაშვილი). ეს არ იყო მათი მხრივ პედაგოგიური მოღვაწეობის უბრალო, მექანიკური განახლება. 50-იანი წლებისათვის, ძირითადად, დამთავრებული იყო მათი ფსიქოლოგიური გარდაქმნა.

სკოლის ახალ დირექტორს მოუხდა სერიოზული მუშაობა სკოლის შენობაში მაცხოვრებლებისათვის ხელისუფლების მიერ ბინების გამოყოფისა და მათი იქ გადაყვანისათვის, ხოლო გამოთავისუფლებული ტერიტორიის სკოლის საჭიროებისათვის გამოსაყენებლად. ასევე წარმატებით მიმდინარეობდა კაბინეტ-ლაბორატორიების გაფართოება-განახლება.

1953 წლების მოვლენებმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინა როგორც მთელი საზოგადოების, ასევე სკოლის კოლექტივის განწყობილებაზე. დადგა მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისა და არცთუ იოლი პრობლემების გადაჭრისათვის ზრუნვის პერიოდი. ფაქტობრივად, დაიწყო სკოლის შემდგომი განვითარების ახალი ეტაპი.

ნიკოლოზ კიკვაძეს უკვე ჰქონდა ახალი ტიპის სკოლის რეფორმებისა და გარდაქმნების გამოცდილება, დაწყებული მუშფაკებიდან — იმდროინდელ პოლიტექნიკურ სასწავლო დაწესებულებამდე. როგორც გამოცდილმა პედაგოგ-პრაქტიკოსმა, ცოდნის დიდი თეორიული მარაგით განვლო მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი — რესპუბლიკური მასშტაბით სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობისა. პრაქტიკულ-თეორიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება მისთვის მთავარი დამხმარე ძალა აღმოჩნდა სკოლის მრავალი პრობლემის გადასაწყვეტად. საჭირო იყო ძალის, ენერგიის დიდი დაძაბვა, როგორც მოსწავლეთა, ასევე მათი მშობლებისა და თვით მასწავლებლე-

ბის ფსიქოლოგიის ზედმიწევნით ცოდნა. ნიკოლოზ კიკვაძეს არც ერთი აკლდა და არც მეორე. ეს მისმა შემდგომმა მოღვაწეობამაც დაამტკიცა.

კიკვაძე სამინისტროში გადასვლამდე, დაახლოებით ორი ათეული წლის მანძილზე, უშუალოდ პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობისას აკვირდებოდა და სწავლობდა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების ხასიათსა და ფსიქოლოგიას. დაკვირვების შედეგად განზოგადების საფუძველზე აგებდა მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. მოსწავლეთა ფსიქოლოგიის ცოდნა კარგად ჩანს მის წიგნშიც და მეთოდური ხასიათის წერილებშიც. მისი ღრმა რწმენით, „ბავშვის აღზრდას, მის მომავალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, სკოლისა და ოჯახის სააღმზრდელო მუშაობა განაპირობებს"[37]. იგი ბევრს რომ მუშაობდა მოსწავლეებისა და მშობელთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი უფლება-მოვალეობისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე, გარდა დაბეჭდილი წერილებისა, ამაზე მეტყველებს მის პირად არქივში დაცული ხელნაწერები. ყურადღებას იქცევს ორი უსათაურო მასალა. მათ წერილებიც არ დაერქმევა. ეს უფრო პრობლემების ჩამოთვლაა, ზოგჯერ თეზისების სახეს რომ იღებს. ერთერთი მთავარი საკითხი, რაზეც ყურადღებაა გამახვილებული, ეს არის ავტორიტეტის სწორი და ყალბი გაგება. თუ რა შედეგი მოსდევს ავტორიტეტის არასწორ გაგებას მოსწავლის აღზრდა-ჩამოყალიბებაში, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ მაგალითებში.

ზოგჯერ, გავლენის ქვეშ რომ იყოლიონ შვილი, მშობლები მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენენ. განსაკუთრებით გამოირჩევა მამა, რომელიც ყვირილს, ჯოხის, ქამრის გამოყენებასაც არ ერიდება. ეს კი „შიშის ქვეშ აყენებს მთელ ოჯახს. ამ დროს დედა ანულირებულია, მოსამსახურის მდგომარეობაშია". ავტორი სწორედ ამაში ხედავს ზეგავლენის ავტორიტეტის არასწორ გაგებას და დაასკვნის: „ეს არ ვარგა". ასეთივე დასკვნა გამოაქვს „მანძილის ავტორიტეტის" ყალბი გაგების გამო: „მშობლები ცოტას ლაპარაკობენ ბავშვებთან, მათგან თავი შორს უჭირავთ. ბავშვები თავის სურვილს დედის საშუალებით გამოთქვამენ. ბავშვებს მამის კაბინეტში შესვლა არ შეუძლიათ, ისინი ხშირად შინამოსამსახურეთა მზრუნველობით იზრდებიან". კიდევ უფრო უარყოფითი შედეგი მოსდევს ყოყოჩობასა და კუდაბზიკობის ავტორიტეტს. მშობლებს გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ დამსახურებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ისინი სხვებზე მაღლა დგანან. „ამას ხედავენ ბავშვებიც. ეს ავადმყოფობა გადამდებია ბავშვებზე. ისინიც ყოყოჩდებიან და ეგოისტები ხდებიან". ზიანის მომტანია პედანტიზმის ავტორიტეტიც. „მშობლების დამოკიდებულება შვილებთან ზოგჯერ ბიუროკრატიზმში გადადის. მშობლების სიტყვა შეუცვლელია. ცივი ტონით იძლევიან განკარგულებას, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს. თუ მამა იტყვის: „ხვალ წვიმა იქნება და სეირნობა არ შეიძლებაო", — რომც არ იწვიმოს, სეირნობა მაინც არ შეიძლება". კარგ შედეგს არ იძლევა სიყვარულისა და

სიკეთის ავტორიტეტის არასწორი გაგება. ბავშვებისათვის ყველაფრის ნების მიცემას მოსდევს მშობლებზე „მბრძანებლობა". ყველაზე დიდ უზნეობადაა მიჩნეული მოსყიდვის ავტორიტეტი. ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ნ. კიკვაძეს მოაქვს ასეთი მაგალითი: ცუდი აკადემიური მაჩვენებლების გამო, მოსწავლეს იმავე კლასში დარჩენა ემუქრებოდა. მას შეპირდნენ: თუ გადავიდოდა შემდეგ კლასში, ოქროს საათს უყიდიდნენ. საჩუქრის ეშხით, მოსწავლემ უკანასკნელ მეოთხედში ნიშნების გამოსწორება შეძლო, შემდეგ კლასში გადავიდა და „ჯილდოც" დაიმსახურა. მომდევნო სასწავლო წელს აღარაფერი გაუკეთებია და იმავე კლასში დარჩა[38].

მაღალი შეფასება ეძლევა მეგობრობის ავტორიტეტის სწორ გაგებას, „მაგრამ მისი მცდარად გაგება, მშობლების ბავშვთა დონემდე დაშვება ცუდ შედეგებს იწვევს".

დადებითი მნიშვნელობისაა კარგად გაგებული პირადი მაგალითის ავტორიტეტიც, ოჯახის წევრთა შორის ურთიერთპატივისცემის ავტორიტეტი, ხოლო „მართალი სიტყვის ავტორიტეტი ძალაა". აღმზრდელობით მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს თავისებურებათა, მათ სირთულეთა გათვალისწინებას.

კიკვაძე ავტორიტეტის სწორად გათვალისწინებას აუცილებლად მიიჩნევდა როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების მხრივაც. „ოჯახმა და სკოლამ უნდა გააერთიანოს თავისი ძალები მოზარდი თაობის აღზრდისათვის", — წერდა იგი „ვეჩერნი ტბილისში" დაბეჭდილ ზემოხსენებულ წერილში. იმის ნათელსაყოფად, თუ რა შედეგი მოაქვს ძალთა ამ გაერთიანებას, წერილის ავტორს მოაქვს ასეთი მაგალითი[39]:

„ამ დღეებში ლატვიის დედაქალაქიდან ჩვენი სკოლის სახელზე წერილი მოვიდა. წერილს გვწერდა ჩვენი აღზრდილი ბესიკ ჯორბენაძე, რომელმაც ოთხი წლის წინათ ოქროს მედლით დაამთავრა ჩვენი სკოლა. როგორც ფრიადოსანი სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იგი ქალაქ რიგის უნივერსიტეტში გაიგზავნა ლატვიური ენის შესასწავლად. იქ თავი გამოიჩინა და დასამუშავებლად თემა მისცეს. ხელმძღვანელთა აზრით, თემა ისე მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ სადისერტაციოდ გამოდგებოდა. აი, ჯილდო მშობლებს კარგი აღზრდისათვის. ბესიკის მშობლები სანიმუშო ყურადღებისა იყვნენ და შვილიც სანიმუშო სტუდენტია. იგი სტუდენტის მერხზე ზის და სადისერტაციო თემას ამუშავებს".

მართლაც, საამაყო ჯილდოა არა მარტო მშობლებისათვის, არამედ სკოლისთვისაც, სადაც სწავლობდა ბესიკ ჯორბენაძე. „ვისაც სურს ასეთი ჯილდო მიიღოს, — ნათქვამია წერილის დასკვნაში, — მან ენერგია არ უნდა დაზოგოს შვილის კარგად აღზრდისათვის".

პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გახლდათ სახელგანთქმული ენათმეცნიერი ბესარიონ ჯორბენაძე, დირექტორი ენათმეცნიერების სა-

მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, რომელსაც წლების მანძილზე სათავეში ედგა დიდი ქართველი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა. სამწუხაროდ, ბესარიონ ჯორბენაძე ნაადრევად გარდაიცვალა.

„ღირსეული შვილის აღზრდა მშობლის მაღალი მოვალეობაა ქვეყნისა და ოჯახის წინაშე. რომ აღზარდო — უნდა იცნობდე მას", — წერდა ნიკოლოზ კიკვაძე პირად არქივში დაცულ მასალებში. იგი ამ მაღალ მოვალეობას მშობლებთან ერთად სკოლასაც ავალებდა და მის წარმატებით თავგასართმევად საჭიროდ თვლიდა მშობლებისა და მასწავლებლების მიერ ბავშვთა ასაკობრივი პერიოდიზაციის, ბავშვთა ხასიათისა და ფსიქოლოგიის ცოდნას.

ნ. კიკვაძე გამოყოფდა ოთხ ასაკობრივ პერიოდს:

1. სკოლამდელი ასაკი.
2. პირველი სასკოლო ასაკი (7-9 წელი): ა) თამაშით განებივრებული ბავშვი სკოლის მკაცრ რეჟიმში ვარდება, მაგრამ სძლევს მას „მომაგრების", „მოღონიერების გამო"; ბ) ამ ასაკში ბავშვს უმუშავდება ნებისყოფა, მოვალეობის გრძნობა, — არ აინტერესებს, მაგრამ მაინც სწავლობს; გ) უვითარდება აგრეთვე ინტერესი თვით სწავლებისადმი — უხარია, ასოები რომ გამოჰყავს და სხვა.
3. მეორე სასკოლო ასაკი: 11-14 წლები გოგონებისათვის, 12-15 წლები ვაჟებისათვის. ეწოდება: გარდამავალი ასაკი; გარდატეხის ასაკი; კრიტიკული (კრიზისის) პერიოდი; მეორე დაბადება (ჟან ჟაკ რუსო); წინააღმდეგობათა ასაკი; მეოცნებე.
4. ჭაბუკობის პერიოდი.

ნ. კიკვაძის მიერ ამ ასაკობრივი პერიოდიზაციის დადგენა არა მარტო სათანადო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ლიტერატურის ცოდნის, არამედ პირად დაკვირვებათა შედეგია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მეორე სასკოლო ასაკზე და მასთან დაკავშირებით გვაცნობდა როგორც სხვადასხვა ავტორთა ნააზრევს, ასევე საკუთარ დაკვირვებათა შედეგად გაკეთებულ დასკვნებს:

„არ არის არც ერთი მხარე ბავშვის განვითარებაში, რომელიც არ განიცდიდეს არსებითს ცვლილებებს, დაწყებული ბავშვის გარეგნობიდან და გათავებული მისი ფსიქიკით. არსებითად ეცვლებათ სახის გამომეტყველება, ხმა (მეტადრე ვაჟებს), მოძრაობები, ტანის მოყვანილობა, ქცევა, დამოკიდებულება უფროსებთან, თავის ტოლებთან, სკოლასთან. იცვლება შეხედულებები, ინტერესები, მისწრაფებები, გრძნობები, ხასიათი და ა. შ.".

საინტერესო და საგულისხმოა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისათვის გაკეთებული დასკვნები:

„ეს პერიოდი წარმოადგენს დღიურების წერისა და ფსიქოლოგიური ხასიათის რომანებით გატაცების, მომატებული ცნობისმოყვარეობისა და ოცნებებით გატაცების პერიოდს".

„გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობანი და გარდატეხები, რაც დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ და ანატომიურ ცვლილებებთან...“

ამ ცვლილებების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების განხილვის შემდეგ, კიკვაძე განაგრძობს: „ამ ასაკში ბავშვს აღარ სწამს ავტორიტეტების, მათ შორის მშობლებისა და მასწავლებლების ავტორიტეტებსაც ებრძვის. ცდილობს გათავისუფლდეს მშობელთა გავლენისაგან. ის თავისთავს უკვე ზრდადამთავრებულად თვლის და მოითხოვს უფროსებთან თანაბარ უფლებებს და ა.შ. ამასთანაა დაკავშირებული მტკივნეული და ხშირად ავადმყოფური თავმოყვარეობა, ადვილი წყენა, თავშეუკავებლობა და სხვა“.

იგი კვლავ უბრუნდება ავტორიტეტის პრობლემას, განიხილავს მას მშობლების ავტორიტეტის ასპექტში და აღნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებით ილახება მშობელთა შორის უთანხმოებისა და მათი გაშორების შემთხვევაში. არადა ასაკში, როდესაც მოზარდებს ხასიათთან, შეხედულებებთან, მისწრაფებებთან ერთად ეცვლებათ ინტერესები, აუცილებელია ამ ინტერესებისათვის სწორი მიმართულების მიცემა. ამ მიმართულების მთავარი მიმცემი, ნ. კიკვაძის აზრით, სწორედ მშობლები უნდა იყვნენ. ბუნებრივია, რომ ავტორიტეტშელახული მშობლები ამ როლში ვერ გამოდგებიან. ამ შემთხვევაში მთელი სიმძიმე მასწავლებლებზე გადადის.

მთელი ამ მსჯელობებიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ყველა სხვა ასაკთან შედარებით, მეორე სასკოლო ასაკი განსხვავებული და თანაც რთულია. სწორად რომ წარმართონ ამ ასაკის ბავშვთა აღზრდა-ჩამოყალიბება, მშობლებსაც მოეთხოვებათ ბავშვთა ხასიათსა და ინტერესებში ღრმა წვდომა და იმის გათვალისწინება, რომ არ შეილახოს მათი თავმოყვარეობა. ეს რომ შეძლონ, აუცილებელია ბავშვთა ფსიქოლოგიის, ასაკობრივი ცვლილებებისა და მათი მიზეზების, ბავშვთა ხასიათის, ინტერესების საფუძვლიანი ცოდნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარიმართება სწორად და გამიზნულად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის ცენტრში, აღნიშნავს ნ. კიკვაძე, მასწავლებელი დგას. მისი მომზადების დონე განაპირობებს წარმატებას. ამიტომ მასწავლებელთა კადრების მომზადებას, შერჩევა-განაწილებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პედაგოგიურ-მეთოდურ დაოსტატებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, — წერდა ნ. კიკვაძე[40]. იგი აყენებდა საკითხს, რომ პრაქტიკულად განხორციელებულიყო მთავრობის დადგენილება მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ, რის რეალიზაცია, ფაქტობრივად XX საუკუნის დასასრულს დაიწყო.

პირველი სკოლის მასწავლებლებს პედაგოგიურ-მეთოდური საკითხების გასარკვევად შორს წასვლა არ სჭირდებოდათ. უდავოა, დიდი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და თეორიულ-მეთოდური მოღვაწეობით შეძენილი მდიდარი გამოცდილების მქონე სკოლის დირექტორი მასწავლებელთა შორის ნაყოფიერ

სასწავლო-მეთოდურ მუშაობას გაშლიდა. ნ. კიკვაძის თვალსაწიერი უფრო შორს სწვდებოდა. იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ თავისი სკოლის პრობლემებით, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა, მისი რწმენით, დამოკიდებული იყო საერთოდ განათლების დარგის მდგომარეობაზე. ნ. კიკვაძე კმაყოფილებით წერდა: „ჩვენს სკოლებში ბევრია მასწავლებელი, რომელსაც ფართო ზოგადი და სპეციალური განათლება აქვს, სისტემატურად იმაღლებს თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონეს, იმდიდრებს პედაგოგიურ გამოცდილებას და წარმატებით ნერგავს მას თავის პრაქტიკულ მუშაობაში“[41].

არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ იგი თავისი სკოლის პედაგოგთა გამოცდილებასა და საქმიანობას ითვალისწინებდა. როგორც აღვნიშნეთ, მ. ზანდუკელი და ჯ. ჯორჯიკია დიდ მუშაობას ეწეოდნენ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ღირსეული წევრებით დაკომპლექტებისათვის, ნ. კიკვაძეც დაუღალავად იღვწოდა, რათა სკოლა არა მხოლოდ „ქრონოლოგიურად“, არამედ საქმიანობითაც პირველი ყოფილიყო. ეს რომ განხორციელებულიყო, მასწავლებელთა კონტინგენტის მომზადების დონე მაღალი უნდა ყოფილიყო. აკი წერდა იგი 77-ე საშუალო სკოლის დირექტორ, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელ გ. კობახიძესთან ერთობლივ წერილში: „სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის წარმატებას ძირითადად მასწავლებელთა კადრების მომზადების დონე განაპირობებს... იგი ცენტრალური, წამყვანი ფიგურაა მთელ სასკოლო ცხოვრებაში“[42]; სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები „დამოკიდებულია პედკოლექტივის ხარისხობრივ შემადგენლობაზე, პედაგოგიურ-შემოქმედებით მუშაობაზე“[43]. როგორც ამ წერილში, ასევე სხვა პუბლიკაციებსა თუ გამოსვლებში, ნ. კიკვაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სკოლებში მოწინავეთა გვერდით მუშაობდნენ ისეთებიც, რომელნიც შეუთავსებელნი არიან პედაგოგიური საქმისათვის, „არა აქვთ სრულფასოვანი ცოდნა და არც ცდილობენ მის შეძენას. ისინი კმაყოფილდებიან ერთხელ შეძენილი არცთუ მდიდარი ცოდნით, გაკვეთილებს მშრალად, უინტერესოდ გადასცემენ, ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას და თავი მოაქვთ „მაღალი“ წარმატებებით“[44].

ნ. კიკვაძეს სასწავლო ორგანიზაციის ძირითად ფორმად გაკვეთილი მიაჩნდა, ხოლო გაკვეთილის გადაცემის ხარისხის შემოქმედად — მასწავლებელი. „ამიტომ, — წერდა იგი, — მასწავლებელს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. თუ მასწავლებელი ვერ დგას თავის სიმაღლეზე, ფუჭია ყველა შემწყობი პირობა“[45].

იგი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ყოველგვარი, ოდნავი ნაკლოვანების გამოვლენის მიმართ შეურიგებელი იყო. მაგრამ მათზე მსჯელობისას, პედსაბჭოს სხდომებსა თუ მასწავლებლებთან პირადი საუბრებისას იგი იჩენდა საოცარ ტაქტს, რათა არ შელახულიყო პედაგოგის თავმოყვარეობა, პედაგოგს

ეგრძნო მისადმი დირექტორის კეთილგანწყობა, სურვილი, მასთან ერთად ეზრუნა ნაკლის გამოსწორებისათვის. ამაზე წერს თავის ვრცელ და საინტერესო მოგონებებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი ბაია ფუთურიძე. იგი ნიკოლოზ კიკვაძეს ახასიათებს როგორც საუცხოო ორატორს, რომლის „სიტყვა-გამოსვლა იყო საქმიანი (მაგრამ არა მშრალი), ნაკვები ძლიერი ინტელექტით, დასაბუთებული ლოგიკით". სწორედ ამ საქმიანი, დასაბუთებული ლოგიკით არწმუნებდა მსმენელს. როგორც მეორე ღვაწლმოსილი პედაგოგი ლალი გაფრინდაშვილი აღნიშნავს: „ჩვენ, მასწავლებლებმა ვიცოდით, რომ რა გადაუწყვეტილი და რთული საკითხიც არ უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა სწავლებისა თუ აღზრდის პრობლემები, მასზე დამაჯერებელ პასუხს მისგან, დირექტორისაგან მივიღებდით პედსაბჭოს სხდომებსა თუ პირადი საუბრებისას"[46].

ნ. კიკვაძე არამარტო მასწავლებლის მომზადებაზე, არამედ მის სამუშაო პირობებზეც ამახვილებდა ყურადღებას. მასწავლებლებისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა ზოგიერთ საგანში საათობრივი დატვირთაობა, და, მაშასადამე, მცირე ხელფასი. ამის გამო ხშირად თვით პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნიც კი არ მოდიოდნენ სკოლაში სამუშაოდ, ან, თუ მოდიოდნენ, მალევე ანებებდნენ თავს და მაღალხელფასიან სამუშაოს ეძებდნენ. ნ. კიკვაძემ არაერთხელ დააყენა პედაგოგიურ ინსტიტუტებში მონათესავე საგანთა მასწავლებლების მომზადების საკითხი, მაგალითად: ფიზიკა-მათემატიკის, ფიზიკა-ქიმიის, ბიოლოგია-ქიმიის, ისტორია-გეოგრაფიის, უცხო ენების — რუსული ან მშობლიური ენის მასწავლებლების და ა. შ.[47].

ამ წინადადებათა ავტორი პოლონეთში ყოფნის დროს გაეცნო მასწავლებელთა ორი სპეციალობით მომზადების გამოცდილებასა და მის დადებით შედეგებს. იგი სამართლიანად ფიქრობდა, რომ მასწავლებელთა მომზადების ამ სისტემაზე გადასვლა ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა დაუტვირთაობისა და მცირეხელფასიანობის პრობლემის დადებითად გადაწყვეტას. უმაღლეს-დამთავრებულნი სკოლაში სამუშაოდ წასვლას თავს არ აარიდებდნენ. ამ აზრის სისწორე დაადასტურა უმაღლეს სასწავლებლებში თუნდაც ისეთი ღონისძიების გატარებამაც, როგორიცაა მეორე პროფესიის დასაუფლებლად სწავლების ფორმები.

ნ. კიკვაძისა და გ. კობახიძის ერთობლივ წერილში ყურადღება გამახვილებულია საღამოს ცვლის სკოლებზე. დასამალი არ არის, რომ ამ სკოლადამთავრებულთა მომზადების დონე, დღის სკოლადამთავრებულებთან შედარებით, დაბალია, ატესტატებს კი ერთი და იმავე ღირსებისას იღებენ. წერილში წამოყენებულია წინადადება დღისა და საღამოს სკოლების ერთი დირექტორის ხელში გაერთიანების შესახებ, ოღონდ საღამოს სკოლებს საკუთარი სასწავლო ნაწილის გამგეები უნდა ჰყოლოდათ. ეს საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია.

ერთობლივ წერილში დაყენებულია სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განტვირთვის საკითხები. წერილის ავტორები დასაშვებად მიიჩნევენ 6 წლის ასაკში ბავშვთა სკოლაში მიღებას, მეორე კლასიდან უცხო ენის სწავლებას, რისი შედეგიანობა დაამტკიცა პირველი სკოლის გამოცდილებამაც. ნ. კიკვაძე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" 1972 წლის 15 იანვრის ნომერში წერდა, რომ პირველი სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, უცხო ენების გაძლიერებული სწავლება უნდა იწყებოდეს მეორე კლასიდან. „რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება ენის სწავლება, შედეგი მით უფრო უკეთესი იქნებაო". არასწორადაა მიჩნეული, რომ „სასკოლო სახელმძღვანელოებს მეტწილად უმაღლესი სკოლის სასწავლებლების მუშაკები წერენ. ისინი არ ასწავლიან სკოლაში და არ იცნობენ ბავშვის მომზადების დონეს, მის შესაძლებლობებს". ეს იწვევს საკითხავი მასალით გადატვირთვას. უფრო მიზანშეწონილადაა მიჩნეული, რომ „სახელმძღვანელო შეიცავდეს მხოლოდ სასწავლო მასალას, რომელიც დაწერილია ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით. საკითხავი წიგნები კი ცალკე გამოვცეთ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სახით". სახელმძღვანელოთა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ზედმეტისაგან განტვირთვა დაზოგავს მოსწავლეთა დროის ბიუჯეტს. არადა, გადატვირთვის გამო, „ფრიადოსანი" მოსწავლეც ვერ ახერხებს, ყველა გაკვეთილი ყოველდღე „ხუთზე" იცოდეს. გადატვირთვა ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლე ზერელე იყოს".

„ვეჩერნი ტბილისის" 1963 წლის 22 მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილის — „მოსწავლე, სკოლა და მშობლები" — პირვანდელ ვარიანტში ნ. კიკვაძე აღნიშნავდა, რომ „სკოლა და ოჯახი ერთმანეთს ეჯიბრებიან ბავშვთა გადატვირთვაში. გაბერილი პროგრამებისა და სქელტანიანი სახელმძღვანელოების დაძლევა, გაკვეთილების დასწავლა, ამოცანების ამოხსნა, ჩანახატების გაკეთება, მოდელების დამზადება... კოლექტიური სვლები, ტელევიზია, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, უცხო ენები, მუსიკა, ცეკვა, დეკლამაცია... აი, არასრული ჩამოთვლა საქმიანობისა, რომელშიც ჩაბმული არიან ბავშვები. უფროსები 8 საათიანი სამუშაოთი ეკმაყოფილდებით, უმცროსებისათვის კი ადვილად „გვემეტება" 10-17 საათიანი სამუშაო დღე. ყველა აქ ჩამოთვლილი საქმიანობა სასარგებლოა, მაგრამ მოსწავლის ხასიათს დროის ბიუჯეტი მძიმე ტვირთად აწვება. ყველა ბავშვი ვერ ართმევს თავს ამ დავალებებს და საქმე ოროსნობით მთავრდება... მაგრამ ოროსნობა მარტო აკადემიური ჩამორჩენილობა როდია..." წერილის ავტორი საკითხს მორალური თვალსაზრისით უდგება: „ოროსანი" ცდილობს, გამოსავალი იოლი გზით მოძებნოს — „შპარგალკებით", ამხანაგებისაგან გადაწერით, ოჯახის წევრთა დახმარებით, მასწავლებლის ავტორიტეტის შელახვით: მასწავლებელი, თურმე, „გადაეკიდა" და ორიანს ამიტომ უწერს. მასწავლებლის ხარჯზე მოსწავლე ცდილობს მშობლებთან

თავი იმართლოს. სამწუხარო ის არის, რომ ზოგჯერ მშობლები წამოეგებიან ანკესზე, რაც იწვევს უნდობლობას მასწავლებელსა და მშობლებს შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. კიკვაძე განიხილავს კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს — მშობელთა პედაგოგიზაციის პრობლემას.

„რომ აღზარდო — უნდა იცნობდე მას", — ეს იყო ნ. კიკვაძის კრედო ბავშვებთან სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. როგორც მასწავლებლებისაგან, ასევე მშობლებისაგან იგი მოითხოვდა აღსაზრდელთა ხასიათში, ინტერესებში, მისწრაფებაში, ფსიქიკაში ღრმა წვდომას. წერილში „ერის ფესვები რომ საღი იყოს..." („კომუნისტი", 1965 წ., 12 მარტი) ყურადღება გამახვილებულია მშობლებზე, რომლებსაც, სურთ რა შვილებს მრავალმხრივი განათლება მისცენ, სასკოლო დავალებებით ისედაც გადატვირთულებს, აიძულებენ ისწავლონ მუსიკა, ხატვა, იარონ ჭადრაკის წრეზე და ა.შ. და ეს მაშინ, როდესაც არც სათანადო მონაცემები აქვთ, არც მისწრაფება, არც სურვილი. ეს კი ბავშვებში „გონებრივი შრომის სიძულვილს იწვევს".

მშობლები, „რომლებიც ბევრს ზრუნავენ თავიანთი შვილების აღზრდისათვის", სასურველ შედეგს ვერ აღწევენ იმიტომ, რომ „არ იცნობენ პედაგოგიკის ელემენტარულ პრინციპებს". ამიტომ წერილის ავტორი საჭიროდ თვლის მშობელთა პედაგოგიზაციისათვის არა ეპიზოდურ, არამედ კარგად მოფიქრებულ, მწყობრ, სისტემატურ მუშაობას. ამ სამნახევარი ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ წამოყენებულ წინადადებებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და პრაქტიკულ ხორცშესხმას მოითხოვს. თუნდაც წინადადებანი მშობელთათვის ჟურნალის დაარსებისა და „მშობელთა ბიბლიოთეკის " შექმნის შესახებ. ამ საინტერესო და საყურადღებო წერილს ნიკოლოზ კიკვაძე ასე ამთავრებს:

„ახალგაზრდობა ერის ფესვებიაო", — უთქვამს ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს, და ჩვენც არ უნდა დავიშუროთ ძალა და ენერგია „ერის ფესვებისათვის" ნიადაგის განოყიერებისა და აღზრდის ხელსაყრელი კლიმატის შესაქმნელად".

და რადგან ბავშვის აღზრდას, მის მომავალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას სკოლისა და ოჯახის ერთობლივი სააღმზრდელო მუშაობა განაპირობებს, ამიტომ აღზრდის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა მშობელთა, მასწავლებელთა, უფრო მეტიც — მთელი საზოგადოებრიობის უპირველესი მოვალეობაა.

§ 3. პიროვნება, ამ სიტყვის მაღალი გაგებით

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ნიკოლოზ კიკვაძის მოღვაწეობის დაწყებისას ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლების აღდგენის საკითხი მთელი სე-

რიოზულობით იდგა. მას მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. მათ შორის ბრძოლა იმის მაჩვენებელი იყო, რომ საკითხის გადაწყვეტა, სასკოლო რეფორმის გატარება ასე იოლი არ იქნებოდა. საჭირო იყო ძალთა და ნებისყოფის დაძაბვა, გოგონებისა და ვაჟთა ფსიქოლოგიის ზედმიწევნითი ცოდნა. აუცილებელი იყო მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მომზადება. ნიკოლოზ კიკვაძემ, რომელსაც გავლილი ჰქონდა სასკოლო რეფორმებისა და გარდაქმნათა მნიშვნელოვანი ეტაპები, უკვე 1955-1956 სასწავლო წლისათვის შეძლო წარმოშობილ დაბრკოლებათა წარმატებით დაძლევა. ეს იყო დირექტორისა და მის თანამოაზრე პედაგოგთა გააზრებული ერთობლივი ნაყოფიერი ახსნა-განმარტებითი, ფსიქოლოგიური და დარწმუნებითი მუშაობის, აგრეთვე სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად გაწეული საქმიანობის შედეგი.

ნიკოლოზ კიკვაძე საერთოდ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ქალთა და ვაჟთა ერთობლივი სწავლების აღდგენის პირობებში მან სერიოზული ყურადღება გაამახვილა სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიების ისეთ მოწყობაზე, რომ გათვალისწინებულიყო ორივე სქესის მოზარდთა უნარი, შესაძლებლობანი, მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი. და ყოველივე ეს სწავლების ერთიანი პრინციპის სრული დაცვით უნდა წარმართულიყო. ფიზიკა-ქიმიის, ბიოლოგია-ბუნებისმეტყველების, მათემატიკისა და სხვა საგნების საკითხთა უშუალოდ წარმოებაში პრაქტიკული გამოყენების გასაცნობად, ნ. კიკვაძე საჭიროდ მიიჩნევდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მოსწავლეთა ექსკურსიებისა და კოლექტიური მსვლელობების მოწყობას, ამყარებდა მათთან საქმიან კავშირურთიერთობებს, რის შედეგადაც კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ტექნიკური საშუალებებით, ხელსაწყოებით, კინოაპარატურით, ფილმოსკოპებით, მაგნიტოფონებით, დიაპოზიტივებით, ტელევიზორებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით. ამის შედეგი იყო, რომ 60-იანი წლების ბოლოსათვის სკოლა ერთ-ერთი პირველი გადავიდა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

ნ. კიკვაძე შესანიშნავი ფიზიკოსი და ამ საგნის ბრწყინვალე მასწავლებელი იყო. ბუნებრივია, რომ ფიზიკის ძველთაძველი, ბარათაშვილისეული ოთახი მაღალ დონეზე მოაწყო. ამით სხვა საგნების მასწავლებლებს მაგალითიც უჩვენა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო სასწავლო კაბინეტ-ოთახები და ლაბორატორიები. იგი, როგორც დირექტორი, იღვწოდა ყველა კაბინეტ-ლაბორატორიის კეთილმოწყობისათვის და პრაქტიკულადაც ეხმარებოდა მათ.

თუ როგორ იყო მოწყობილი ფიზიკის სასწავლო კაბინეტი და რა დონეზე იდგა სკოლაში ამ საგნის სწავლება, ამაზე მოგვითხრობს ფიზიკის ღვაწლმოსილი მასწავლებელი ლეილა კუხალეიშვილი თავის მოგონებებში[48].

იმდენად ღრმაშინაარსიანი და საყურადღებოა ეს მოგონებანი, რომ მოგვიწევს ვრცელი ამონაწერების მოშველიება. წინა თავებსა და პარაგრაფებში აღი-

ნიშნა სკოლაში ფიზიკის სწავლების დიდი ტრადიციები და საგნის გამოჩენილი მასწავლებლები. ლ. კუხალეიშვილი ამ ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებსა და საგნის სწავლების კორიფეებს უწოდებს ნიკოლოზ კიკვაძესა და შოთა აბაიშვილს. როგორც თავის დროზე ანტონ მუჯირთან და შემდეგ ნიკოლოზ კიკვაძესთან ერთად მოღვაწეობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა შოთა აბაიშვილი ფიზიკის სწავლების ერთ-ერთ კორიფედ, ასევე ნ. კიკვაძისა და შოთა აბაიშვილის დამსახურებაა, რომ ლეილა კუხალეიშვილი დღეს ფიზიკის საუკეთესო მასწავლებლად ითვლება. მისი მოგონებანი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ფიზიკის იმ კაბინეტ-ლაბორატორიაზე, რომელიც, სამწუხაროდ, 1991-1992 წლების მიჯნის ტრაგედიის ცეცხლით შთაინთქა.

ნ. კიკვაძის რუდუნებით შექმნილი ფიზიკის კაბინეტის დიდი აუდიტორია ასზე მეტ კაცს იტევდა. აღჭურვილი იყო დისტანციური მართვის სისტემით. კათედრიდან, მასზე დამონტაჟებული სპეციალური სამართავი პულტით იმართებოდა დაბნელება-განათება, კინო და საპროექციო აპარატურა, ვაკუუმტუმბო, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის თითოეულ მაგიდა-მერხზე დადგმული ცვალებადი და მუდმივი დენის წყაროების ჩართვა-გამორთვა. კაბინეტის შუაში მოთავსებულ საპრეპარატოში იდგა დიდი კარადა, სადაც ინახებოდა ხელსაწყოები ყველა კლასისათვის — მეშვიდედან დაწყებული მეთერთმეტემდე — ლაბორატორიული სამუშაოებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად. საპრეპარატოდან იყო გასასვლელი კაბინეტში ლაბორატორიული სამუშაოებისათვის. ამრიგად, ფიზიკის კაბინეტი აღჭურვილი იყო ტექნიკის უმაღლესი მიღწევების შესაბამისად და სწავლებაც უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა.

ლ. კუხალეიშვილი იხსენებს ნ. კიკვაძისა და შ. აბაიშვილის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, რომლებზე დასწრებით იგი „ნელ-ნელა კრებდა იმ ცოდნის მარგალიტებს, რომლითაც უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი ერთიც და მეორეც“. მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები სხვა მასწავლებლებისათვის სამაგალითო იყო: აი, როგორ უნდა ჩაატაროს გაკვეთილი მასწავლებელმა, რათა დაიპყროს მოსწავლეთა გულისყური, თუნდაც „მშრალი“, შეიძლება ითქვას, საუკუნეთა წინათ დადგენილი წესებისა და კანონების ახსნითაც. მასწავლებლებისათვის ნამდვილი გაკვეთილი იყო არა მარტო დასწრება, არამედ გარჩევა-განხილვაც. „განა შეიძლება, — წერს ქ-ნი ლეილა, — შემდეგში არ გაითვალისწინო და დაგავიწყდეს ბ-ნი ნიკოს ახსნილი? წარმოუდგენელია!.. თითოეულს აგიხსნიდა, იგრძნობოდა, რომ უნდოდა მთელი თავისი ცოდნა შენთვის გადმოეცა... არიან ფიზიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, თუ როგორ ასწავლონ ფიზიკა, ცოტანი არიან ისეთნი, რომლებიც ფიზიკას იკელევენ პედაგოგიურად მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, რათა ადამიანებმა შეძლონ გააზრება და ფიზიკის შესწავლა ფუნდამენტური თვალსაწიერიდან. სწორედ ასეთი გამორჩეული გაკ-

ვეთილები ჰქონდა მას. იგი ცდილობდა, თითოეულ მოსწავლეს ღრმად ჩაეხედა თითქოსდა თითოეული ჩვენგანისათვის ნაცნობ საკითხებში“.

ნიკოლოზ კიკვაძე ასეთი გამორჩეული გახლდათ არამარტო ფიზიკის მასწავლებლებისათვის. იგი, როგორც დირექტორი, ხელმძღვანელი იყო არამარტო თანამდებობით, ფიზიკის, როგორც საგნის, დაფასებით, — მას სხვა საგნები არ დაუჩრდილავს. იგი ყველა მასწავლებლისგან მოითხოვდა არა მარტო საგნის უბრალოდ სწავლებას, არამედ მის კვლევას პედაგოგიური თვალსაზრისით, რათა მოსწავლეებს შესძლებოდათ საგნის არსის გააზრება. როგორც მოგონებათა ავტორები აღნიშნავენ, სხვა საგნების გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ მათი გარჩევისას ნ. კიკვაძე ავლენდა გასაოცარ უნარს, ჩასწვდომოდა გაკვეთილის არსს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამაში მას ეხმარებოდა განუმეორებელი პედაგოგიური ალღო, სკოლის ცხოვრების ყოველი ნიუანსის ცოდნა. მასწავლებლები იხსენებენ: „შენიშვნებს ერიდებოდაო...“ განა შეიძლებოდა უამისობა გაკვეთილის განხილვისას? მაგრამ ეს უფრო მეგობრული რჩევა იყო: „ჩემი აზრით, ასე უკეთესი იქნებოდაო...“, — იტყოდა ბ-ნი ნიკოლოზი და ამ თავისებური გარჩევა-შენიშვნისას მასწავლებელი რწმუნდებოდა, რა იყო უკეთესი გაკვეთილის სწორად წარმართვისათვის. მასწავლებელი ლ. გაფრინდაშვილი იხსენებს: „დირექტორი მასწავლებლების დიდი პატივისმცემელი იყო, მაგრამ არ გვანებივრებდა. ვინ იცის, მისი კაბინეტიდან რამდენჯერ გამოვსულვართ საკმაოდ „შეხურებულნი“, მაგრამ საკუთარ შეცდომებში დარწმუნებულნი. ჩვენ არ ვიცით, რა შინაგანი თავდაჭერის ტაქტი ჰქონდა, რომ ასე ზომიერად იცავდა იმ დისტანციას მასსა და კოლექტივს შორის, რაც ესოდენ აუცილებელია ნორმალური მუშაობისათვის“.

მასწავლებელი ბაია ფუთურიძე წერს: „დღესაც ვიგონებ მის შეგონება-დარიგებას: „არ გაბრაზდე, არ შეგატყოს მოსწავლემ გაბრაზება. ხმას არ აუწიო. არ დაიყვირო. დაყვირება დამარცხებას ნიშნავს. ეს იცოდე: ავტორიტეტს უპირველესად მოსწავლე გვიქმნის. გაუფრთხილდი მას!“

ნ. კიკვაძის გაკვეთილებზე დასწრება მასწავლებლისათვის პედაგოგიური დაოსტატების ნამდვილ სკოლას უტოლდებოდა. მასწავლებელი ამ დროს გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარების თანაზიარი ხდებოდა. იგივე ითქმის, როდესაც თვითონ ესწრებოდა მასწავლებელთა გაკვეთილებს. ამ დროს იგი დამსწრე-შემმოწმებლად კი არა, გაკვეთილის უკეთ ჩატარებისათვის მასწავლებლის ნამდვილ ხელშემწყობად გვევლინებოდა. ლეილა კუხალეიშვილი იხსენებს, როგორ შეიყვანა ნ. კიკვაძემ მის გაკვეთილზე მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ფიზიკის მასწავლებლები. მათ თითქმის შეავსეს ფიზიკის კაბინეტის ასკაციანი აუდიტორია. იმდენის კი არა, გაკვეთილზე ერთი უცხო პირის დასწრებაც მოქმედებს. ქალბატონმა ლეილამ მალე შესძლო პირველი მღელვარე-

ბის დაძლევა. გაკვეთილმა კარგად ჩაიარა. დამამთავრებელ ფაზაში ბატონმა ნიკოლოზმა მასწავლებელს მიმართა: „შეიძლება, თქვენი ლაბორანტის როლი შევასრულოო?“ ნებართვის შემდეგ მან, კათედრაზე ასულმა, შეასრულა ცდა, რისთვისაც ქალბატონ ლეილას წინასწარ გამზადებული ჰქონდა ყველა საჭირო მასალა, მაგრამ მღელვარების გამო გამორჩენოდა. და აი, „მოხალისე ლაბორანტმა“ სხვებისათვის შეუმჩნეველად ეს შეცდომა ისე ლამაზად გამოასწორებინა, რომ გაკვეთილისათვის არავითარი ჩრდილი არ მიუყენებია.

ლეილა კუხალეიშვილი ნიკოლოზ კიკვაძეზე, როგორც მასწავლებელზე, წერს: „მასთან საუბარი ფიზიკაზე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიღრმით, ორიგინალური და მოულოდნელი თვალთახედვით. მან საუკეთესოდ იცოდა ფიზიკა. ამის მიღწევა, ღვთით მომადლებულ ნიჭთან ერთად, დიდი შრომითაა შესაძლებელი. შრომასა და სისტემატურ მუშაობას თითოეულ ჩვენგანს გვინერგავდა. სისტემატურად თხოულობდა გაკვეთილის გეგმას. „როგორც მოემზადები გაკვეთილისათვის, ისეთი გაკვეთილიც გამოგივაო“, — ხშირად გვეტყოდა“.

ნიკოლოზ კიკვაძესთან მომუშავე მასწავლებლებს აოცებდათ, უამრავი საქმით დატვირთული დირექტორი როგორ პოულობდა დროს საგნობრივი მეთოდგაერთიანებების სხდომებზე დასწრებისა და საქმიანობის მიმოხილვაში მონაწილეობისათვის. იგი გულით ხარობდა, როდესაც მასწავლებელთა კონფერენციებზე ან გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მისი სკოლის მასწავლებლებს აქებდნენ. ახარებდა თითოეული მათგანის ჯილდო. ნ. კიკვაძის პირად არქივში დაცულია სხვადასხვა სიგელები, დიპლომები თუ მადლობები, რაც მიუღია მას ახალგაზრდა მასწავლებელთა საქალაქო თუ რესპუბლიკური კონფერენციების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ნ. კიკვაძეს არაერთხელ დაუმსახურებია მადლობა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი) სამეცნიერო საბჭოსაგან სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ნ. კიკვაძე რამდენჯერმე აირჩიეს საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრად.

თბილისის პირველ საშუალო სკოლასა და მის დირექტორს მრავალი სიგელი და დიპლომი აქვთ მიღებული მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, მასობრივ საბრძოლო-სამხედრო მომზადებაში, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ მხაზველთა და სხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში წარმატებით მონაწილეობისათვის; არაერთხელ დაჯილდოებულან ისინი მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის კარგი ორგანიზაციისათვის, მოსწავლეთა თვითშემოქმედებით ოლიმპიადებში მოპოვებული გამარჯვებებისათვის და ა.შ. წარმატებანი მოუპოვებიათ ნორჩ მოჭადრაკეებსაც.

ალბათ, ზედმეტი იქნება საუბარი დირექტორის დიდ ორგანიზატორულ მოღვაწეობაზე, მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ დირექტორს მხარ-

ში ედგნენ მოადგილეები, რომელთა საქმიანობას არ ივიწყებენ მოგონებათა ავტორები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ივანე (ვანო) ხელაია, რომელმაც ჯერ კიდევ ჯაჯუ ჯორჯიკიას დროს დაიმსახურა საყოველთაო აღიარება და პატივისცემა. ამ ადამიანში სიკეთესთან შეზავებული იყო ცოდნა, განათლება და გამოცდილება. „იგი თავისი საქმის, სასწავლო მუშაობის დარგში ჭეშმარიტი აკადემიკოსი იყო. უზადო დამრიგებელი მასწავლებლებისა... დიდებული კაცი" (ბ. ფუთურიძე). დირექტორის მოადგილედ ნიკოლოზ კიკვაძესთან ერთად მოღვაწეობა მას ცოტა ხანს მოუწია. მოგონებათა ავტორები კეთილად იხსენებენ არცთუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ კატო ლებანიძეს, როგორც „თაფლივით ტკბილ, თბილ, უბოროტო ადამიანს", რომელსაც ყოველთვის არ შეეძლო თავისი სწორი პრინციპის გატარება. სამაგიეროდ, ელენე ბურჯანაძე ხასიათდება როგორც ჯიუტად პრინციპული, წესიერი, პატიოსანი, ენერგიული ქალი, ნაადრევად რომ მიებარა მიწას.

ბაია ფუთურიძე უფრო ვრცლად ახასიათებს „შესანიშნავ, გულთბილ, სიკეთით სავსე პიროვნებას" სევერიან კაშიას, რომელიც ღირსეულად ედგა მხარში სკოლის დირექტორ ნიკოლოზ კიკვაძეს. „ჩვენ მას დიდი სიყვარულის ნიშნად სევერინოს ვეძახდით (იტალიური ფილმის ერთ-ერთი გმირის სახელს). თუ არსებობს სადმე სასწავლო ნაწილის გამგის ინსტიტუტი, უკეთეს კადრს ვერ ინატრებდი. ის იყო ჩვენი მასწავლებელი, ნამდვილი გულშემატკივარი, მოამაგე... ყოველთვის ცდილობდა ჩვენი შეცდომების დროზე გამოსწორებას... ერთგულება სკოლის, დირექტორისა, მთელი კოლექტივისა მისი ხასიათის მთავარი თვისება იყო. ამავე დროს, ცდილობდა, დაძაბული სიტუაცია თუ შეიქმნებოდა, უმტკივნეულოდ განემუხტა, უსიამოვნებას ვერ ეგუებოდა".

სევერიან კაშია თითქმის 20 წელი მოღვაწეობდა პირველ სკოლაში დირექტორის მოადგილედ. 1972 წელს სკოლამ გაცილება მოუწყო. მის პატივსაცემად გამართულ გამოსათხოვარ საღამოზე დაღვრილი სითბო იგრძნობოდა თითოეული გამომსვლელის სიტყვაში.

აი, რა თქვა ერთ-ერთმა გამომსვლელმა:

„დღეს არ მსურს ვილაპარაკო ბატონ სევერიანზე. მე მსურს ვილაპარაკო მხოლოდ ჩვენს სევერინოზე — ადამიანურ ადამიანზე. არა თქვას ვინმემ, მას ნორმალური გული აქვსო. ვერ დავიჯერებ! არა! ეს არის კაცი — გულად ქცეული. რადგან, როგორ შეიძლება გულში ჩაეტიოს ის ზღვა სიყვარული, რომელსაც ასე უხვად აფრქვევს მის გარშემო მყოფთ. ანდა, როგორ შეიძლება ლიტონი სიტყვებით აღიწეროს და გაიზომოს ადამიანებისადმი თქვენი სიყვარული. როგორ ახერხებდით, როგორ ასწრებდით არ გამოგპარვოდათ თქვენს გარშემო მყოფთა არამცთუ დიდი სევდა და წუხილი, არამედ უსიამოვნების ერთი ზედმეტი ნაოჭიც კი. თქვენ კარგად იცოდით, ჩვენ რითი ვსუნთქავდით და ვხარობდით სკოლასა და ოჯახში" (მასწავლებელი ლ. გაფრინდაშვილი).

რა თქმა უნდა, თბილისის პირველმა საშუალო სკოლამ რომ საერთო აღიარებას მიაღწია, ეს ამ სკოლაში ვანო ხელაიასა და სევერიან კაშიას მსგავსთა დაუღალავი მოღვაწეობის შედეგია, მაგრამ მოპოვებულის მთავარი შემოქმედი და ორგანიზატორი მაინც ისეთი დირექტორები იყვნენ, როგორიც ნიკოლოზ კიკვაძე გახლდათ. მან მოიპოვა არა მარტო სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეებისა და მათი მშობლების, არამედ თბილისისა და რესპუბლიკის ინტელიგენციის, ფართო საზოგადოებრიობის პატივისცემა და სიყვარული. აი, რად მიენიჭა 1959 წლის სექტემბერში ნიკოლოზ კიკვაძეს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. აი, რად იყო იგი დაჯილდოებული საკავშირო ორდენებითა და მედლებით — მათ შორის იმ დროისათვის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. აი, რად ერგო მას პატივი, ყოფილიყო 1968 წლის ივლისში მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის დელეგატი (აღარას ვამბობთ რესპუბლიკურ თუ საქალაქო სხვა მნიშვნელოვან ფორუმებზე, რაიონულ თუ საქალაქო დეპუტატობაზე).

ნიკოლოზ კიკვაძე საკავშირო ყრილობაზე საქართველოდან გაგზავნილი იყო განათლების მაშინდელ მინისტრთან, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძესთან და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორ, პროფესორ გელა ბანძელაძესთან ერთად. მასწავლებელი ლეილა ჩაჩიბაია თავის მოგონებაში გადმოგვცემს მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის ერთ ეპიზოდს, რომელიც მისთვის გიორგი ჯიბლაძეს უამბია: „ყრილობაზე სხდომათაშორისი შესვენება დამთავრდა, მაგრამ დარბაზი ვერაფრით შეივსო... თურმე ნუ იტყვით, საქართველოდან წარგზავნილ სახელოვან მოღვაწეებს სიმღერითაც უსახელებიათ თავი. კრემლის ყრილობათა სასახლის სხდომათა დარბაზის კაფედან გამომავალმა საამო ხმით შესრულებულმა ქართულმა სუფრულმა სიმღერებმა ისე დაატყვევა დელეგატები, რომ ყრილობა კინაღამ დაავიწყდათ“.

თავად ლ. ჩაჩიბაია ნ. კიკვაძეს ახასიათებს როგორც სიმღერის უბადლო ნიჭით დაჯილდოებულს, რომლის მიერ „ტენორით შესრულებულ სუფრულ სიმღერებს არაერთგზის მოუნიჭებია უდიდესი სიამოვნება“.

განათლების დარგში ნიკოლოზ კიკვაძის დამსახურების საყოველთაო აღიარებას წარმოადგენდა მადლიერი საზოგადოების მიერ მისი დაბადების 65 და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავის აღნიშვნა. ამ თარიღებთან დაკავშირებით, 1971 წლის 28 აპრილს ნიკოლოზ კიკვაძე დააჯილდოეს განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს განათლების სამინისტრომ.

ნიკოლოზ კიკვაძე სკოლაში „შემოდიოდა როგორც ყველაზე მაღალ სამყოფელში“, სადაც „მის გვერდით აღარ არსებობდა ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნება“. 1973 წელს ავტობიოგრაფიაში იგი წერდა: „უკვე მეოცე წე-

ლია ვმუშაობ ამ დიდი ტრადიციების მქონე და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების აღმზრდელი სკოლის დირექტორად და, მუშაობის სიძნელეთა მიუხედავად, განზრახული მაქვს, ეს ჩემი უკანასკნელი სამსახურის ადგილი იყოს".

ყველასათვის უეცარი და მოულოდნელი აღმოჩნდა 1973 წ. 26 ნოემბრის ბრძანებულება: „გათავისუფლებული იქნას კიკვაძე ნიკოლოზ ლევანის ძე, პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, თანახმად პირადი განცხადებისა".

ეს ამბავი იმავე დღეს გავრცელდა სკოლაში.

სკოლას, რომელიც მისი სულის ნაწილი იყო, ნიკოლოზ კიკვაძე ასე უეცრად, საკუთარი ნებით ტოვებდა.

ბრძანებულების ოფიციალური გაცნობისათვის მეორე დღესვე მოწვეულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომა. მივყვეთ ისევ მოგონებებს, შემდგომში ნიკოლოზ კიკვაძის გამოსათხოვარ საღამოზე თქმულს:

„რა დაგვავიწყებს 27 ნოემბერს, თქვენი დირექტორობის უკანასკნელ დღეს! დღის 2 საათისათვის ჩვენ ყველანი, ძლიერ აღელვებულნი, ზოგნი დარცხვენილნი, ზოგნი კი გულზე სევდამოწოლილნი, რაღაცნაირად მონუსხულები, დიდი სამასწავლებლოსაკენ მივეშურებოდით. ამ დროს თქვენ, თქვენთვის ჩვეული დინჯი და მტკიცე ნაბიჯებით, სკოლის დერეფანში დაბრძანდებოდით. ალბათ გსურდათ, კიდევ ერთხელ შემოგეველოთ ის ადგილები, რომელიც ოცი წლის მანძილზე თქვენი სხეულის ნაწილად იქცა. იმის შიშით, რომ გულის ნადებს არ მიმიხვდნენო, შემხვედრთ ნიკოლოზ კიკვაძისეული თავაზიანობით ეპატიჟებოდით: „ზუსტად ორ საათზე სამასწავლებლოში, არ დააგვიანოთო!" დიახ, თქვენ ეპატიჟებოდით და მერე რაზე?.. და როდესაც დასრულდა ცერემონიალი, იფეთქა დაგუბებულმა გრძნობამ და ყველა ატირდა. სხვა რომ არაფერი, ესეც გეყოფოდათ ჩვენი სიყვარულის ძეგლად.

ტიროდა ყველა, თქვენს გარდა. თქვენ კი მშვიდად და წყნარად გვიყურებდით. ვინ იცის, რა ცეცხლი ენთო თქვენს გულში. ვინ იცის, იმ დღის შემდეგ რამდენი ღამე არ გძინებიათ... მაგრამ თქვენ მაინც შესძელით, რომ თქვენი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ და რთულ წუთებში ისეთივე ამაღლებული და მიუწვდომელი დარჩენილიყავით, როგორიც საერთოდ იყავით" (ლალი გაფრინდაშვილი).

დიახ, ნიკოლოზ კიკვაძე იმ კრიტიკულ და მძიმე წუთებშიც „ამაღლებული და მიუწვდომელი" დარჩა იმათთვის, ვის გვერდით მრავალი წელი გაეტარებინა და ვისთანაც იმ ადამიანური ჟღერადობის სიმით იყო დაკავშირებული, რაც ესოდენ აუცილებელია ხელმძღვანელისათვის.

1973 წლის 26 ნოემბერს დაიწერა ბრძანება ნიკოლოზ კიკვაძის პირველი სკოლის დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ. 1977 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა ნეკროლოგი, რომელიც იუწყებოდა: „ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა... ნიკოლოზ ლევანის ძე კიკვაძე".

თითქმის 20 წელი ედგა სათავეში თბილისის პირველ საშუალო სკოლას ნიკოლოზ კიკვაძე. ვისაც ამ ხნის მანძილზე მასთან უმუშავია, ალბათ, ვერ გაიხსენებს ავადმყოფობის გამო სკოლაში მის გამოუცხადებლობას. სკოლიდან წასვლის შემდეგ კი სულ ოთხ წელიწადში დაიფერფლა ადამიანთა უსაზღვროდ მოყვარული მისი გული.

რა გასაკვირია, რომ მისი გარდაცვალება მწარედ განეცადათ და გულწრფელი ცრემლით გამომშვიდობებოდნენ ამ კეთილშობილ ადამიანს, შესანიშნავ მოქალაქეს, პედაგოგსა და აღმზრდელს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მრავალი გამოჩენილი მოღვაწის აღზრდაში.

აი, რატომ ეწოდება მადლიერ ადამიანთა უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ყველაზე საუკეთესო კაბინეტს ნიკოლოზ კიკვაძის სახელი.

თავი VII. ახალ სიმაღლეთა დაუფლებისათვის მოღვაწეობის 30 წელი

1. სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა

რთულ პერიოდში მოუწია ახალ დირექტორს პირველი საშუალო სკოლის ხელმძღვანელობის დაწყება. 1972 წელს შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მოდად იქცა ყველაფერი ძველის კრიტიკა (რაც ხშირად კრიტიკანობასა და პირად ანგარიშსწორებაში გადადიოდა). თუ ეს გამოძახილს ჰპოვებდა პირველი სკოლის ცხოვრებაში, საფრთხე შეექმნებოდა იმ ჯანსაღ ატმოსფეროს, რითაც სასწავლებელი გამოირჩეოდა. ეს იყო მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, სიკეთის, საერთო საქმისათვის ერთსულოვნების ატმოსფერო. ეს იყო სკოლის ხელმძღვანელთაგან, პირველ რიგში, დირექტორისაგან მომდინარე სითბო, სიმართლე, პატიოსნება, პრინციპულობა. ისიც ცნობილია, რომ ზოგჯერ წინამორბედის აუგად ხსენება მისი შემცვლელის ქების ტოლფასი ხდება.

ყველას აინტერესებდა, რა პოზიციას დაიკავებდა ახალი დირექტორი. ბევრი რამ გაირკვეოდა პედსაბჭოს პირველსავე სხდომაზე, რომელიც ახალი დირექტორის თავმჯდომარეობით ტარდებოდა.

გაირკვა კიდეც.

ახალმა დირექტორმა დადებითად დაახასიათა სკოლის კოლექტივი, რომელმაც შეინარჩუნა და განავითარა ამ უძველესი საგანმანათლებლო კერის სანაქებო ტრადიციები, ხაზი გაუსვა ამ საქმეში ყოფილი დირექტორის ნიკოლოზ კიკვაძის დამსახურებას, სხდომის მონაწილეთ დაპირდა ამ სასახელო ტრადიციების გაგრძელებას და ისიც დასძინა, რომ დრო საშუალებას მისცემდათ, ერთმანეთი უკეთ გაეცნოთ.

იოლი არ იყო ახალ კოლექტივთან მუშაობა და მისი ხელმძღვანელობა, ნდობის მოპოვება ისეთ დირექტორთა შემდეგ, როგორებიც იყვნენ მიხეილ ზანდუკელი, ჯაჯუ ჯორჯიკია და ნიკოლოზ კიკვაძე. საჭირო იყო უდიდესი ტაქტი, გამოცდილება, ცოდნა. საბედნიეროდ, ახალ დირექტორს ყოველივე ეს აღმოაჩნდა.

ლიანა შეწირულს მშობლები პედაგოგები ჰყავდა და იზრდებოდა გარემოში, რომელმაც განსაზღვრა მისი მომავალი საქმიანობა. ოზურგეთის ქალთა პირველი საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1953 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მშობლების პროფესიულ გზას გაჰყვა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას პირადი ცხოვრება დაუკავშირა ღირსეულ პიროვნებას, შემდეგში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს კიტა შავიშვილს. მეუღლის სამსახურებრივი მო-

ვალეობის გამო, რამდენჯერმე მოუწია ქალაქიდან ქალაქში გადასვლა. ჯერ ბათუმის მეთერთმეტე, შემდეგ სამტრედიის რუსულ, თბილისის 41-ე და 43-ე რუსულ საშუალო სკოლებში მასწავლებლობდა. 1968 წლიდან იგი 43-ე საშუალო სკოლას დირექტორია. 43-ე საშუალო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეული იყო არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკაშიც. 1966 წლამდე მისი დირექტორი იყო გიორგი კორსაველი, ერთ დროს თბილისის პირველ სკოლაში ლოგიკას რომ ასწავლიდა, შემდეგ ქალბატონი ირინა გოცირიძე, რომელიც 1968 წელს რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორად გადაიყვანეს და 43-ე სკოლის დირექტორად ლიანა შენირული დაინიშნა. სკოლა მას კარგად იცნობდა როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს. თუ როგორ შეიცნეს იგი კოლეგებმა ხუთი წლის მანძილზე სკოლის ხელმძღვანელის როლში, ამაზე მეტყველებს სკოლის კოლექტივის ის დიდი გულდაწყვეტა, რაც პირველ სკოლაში მისმა გადაყვანამ გამოიწვია.

ახალდანიშნულმა დირექტორმა თავიდანვე შეითვისა პირველი სკოლის არა მარტო ძველი, თითქმის ორსაუკუნოვანი, არამედ უახლეს წლებში დანერგილი ტრადიციებიც, არაერთხელ აღუნიშნავს კიდეც ამაზე თავის ინტერვიუებში, წერილებში, გამოსვლებსა თუ პირად საუბრებში:

— „მე დიდი კრძალვით მოვედი პირველ სკოლაში, რადგან მისი დირექტორები იყვნენ მეოცე საუკუნის ისეთი ცნობილი პიროვნებანი, როგორებიც იყვნენ მიხეილ ზანდუკელი, ჯაჯუ ჯორჯიკია... მე დღეს ვცვლი ისეთ დიდ პიროვნებას, როგორიც იყო გამოჩენილი სკოლათმცოდნე, მეცნიერი-ფიზიკოსი ნიკოლოზ კიკვაძე. ამ სამი პიროვნების სახელები ლეგენდად დარჩა. ამიტომ ხშირად ვამბობ: „მე ვიცი, ვის სკამზე ვზივარ და ვცდილობ, ისინი არ შევარცხვინო..."

ამ სახელოვან ადამიანთა დირექტორობის დროის მიღწევების გულდასმით გაცნობის შემდეგ, ახალმა დირექტორმა ამ წარმატებათა განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის წარმართა მოღვაწეობა. მისი ყურადღება მიიპყრო, უპირველეს ყოვლისა, სწავლების ორგანიზებამ, მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურმა შეფასებამ, გაკვეთილის ჩატარების მაღალმა კულტურამ. ყოველივე ამის შემოქმედნი იყვნენ თვალსაჩინო პედაგოგები, რომლებიც მხარში ამოუდგნენ ახალ დირექტორს. ბევრი მათგანი დღესაც სახელოვნად განაგრძობს სკოლაში მოღვაწეობას, კვლავ გულმოდგინედ ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის საქმეს და თავის მდიდარ გამოცდილებას უშურველად გადასცემს ახალგაზრდა კოლეგებს. მათ გვერდით მდიდარ ტრადიციებზე იზრდება პედაგოგთა ახალი თაობა.

საგაკვეთილო პროცესსა და მის მეთოდიკაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ იყო. ლიანა შენირული, ვიდრე დირექტორი გახდებოდა, თითქმის თხუთმეტი წელიწადი რიგით მასწავლებლად მუშაობდა. მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საგაკვეთილო პროცესი წინასწარ გათვალისწინებულ გეგ-

მაში ბევრ რამეს ცვლიდა. ოღონდ, ეს ცვლილება მოსწავლისათვის სასიკეთო უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ მიხეილ ზანდუკელი ამბობდა: „სკოლაში მთავარი ფიგურა მოსწავლეა და არა მასწავლებელი“. გაკვეთილის წარმართვისადმი თავისუფალი მიდგომის კურსი, რაც მასწავლებელს თავისუფალ შემოქმედად ხდიდა, პირველ სკოლაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში, მიხეილ ზანდუკელის დროიდან დამკვიდრდა.

როგორი იქნებოდა ამ კურსისადმი ახალი დირექტორის მიდგომა? — ამ კითხვაზე პასუხი პედაგოგებმა მალე მიიღეს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, როდესაც იხილავდნენ ერთ-ერთ გაკვეთილზე დასწრების შედეგებს (ამ გაკვეთილს სკოლის დირექტორიც ესწრებოდა). გაკვეთილს ცნობილი, გამოცდილი პედაგოგი ატარებდა. მან გაკვეთილის სქემას, მაშასადამე, გეგმასაც გადაუხვია... მასწავლებლები ბევრჯერ ყოფილან იმის მოწმენი, რომ შემოწმებაზე მოსულს ასეთი გადახვევა მეთოდურად გაუმართლებლად მიუჩნევია და გაკვეთილი უარყოფითად შეუფასებია. ამჯერად გაკვეთილის გარჩევისას დირექტორმა აღნიშნა:

— მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგმა გეგმას გადაუხვია, მან გაკვეთილი ჩაატარა თავისუფლად, ბავშვების საოცარი აქტიურობით. ბავშვებმა იმდენი ახლი ინფორმაცია მიიღეს, რომ ჩვენც, დამსწრეებიც, სიამოვნებით ვუსმენდით... აღარ ვიწერდით, მეთოდურად, სქემის მიხედვით რამდენად გამართული იყო გაკვეთილი... განა შეიძლება გაკვეთილი, რომელმაც მიზანს მიაღწია, მეთოდურად გაუმართავად ჩაითვალოს?

ერთ-ერთი მოგონებიდან მოტანილი ეს ფაქტი, პედსაბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომა ერთეული გამონაკლისი როდი იყო.

პირველი საშუალო სკოლის პედაგოგებისათვის მ. ზანდუკელის, ჯ. ჯორჯიკიასა და ნ. კიკვაძის პერიოდში პედსაბჭოს სხდომები პედაგოგთა გამოცდილების გაზიარების სკოლად იყო ქცეული. მალე გაირკვა, რომ ახალი დირექტორის დროს არამცთუ არ დარღვეულა პედსაბჭოს სხდომების ამგვარად ჩატარების ტრადიცია, არამედ კიდევ უფრო ღრმაშინაარსიანი გახდა. მასწავლებლები პედსაბჭოს სხდომებზე კვლავ ამაღლებული განწყობილებით მიდიოდნენ. არა, ახალი დირექტორი არ გაურბოდა ნაკლოვანებების მხილებას, მაგრამ მას წინ უძღოდა დადებითზე, სხვათა გასაზიარებელზე ვრცელი, თუმცა კონკრეტული საუბარი. მისთვის უცხო არ აღმოჩნდა გაკვეთილზე გამოვლენილ უარყოფითზე საუბრისას კიკვაძისეული დასაწყისი: „ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ეს ასე თქმულიყო“.

მასწავლებლებმა მალე შეიცნეს დირექტორში თავიანთი ქომაგი. იგი წინასწარ კრიტიკულად განწყობილ შემმოწმებელთა განმაიარაღებელ საშუალებებს პოულობდა.

როგორც პედაგოგიური საბჭოს მდივანი ბაია ფუთურიძე იხსენებს, ერთერთ ასეთ შემმოწმებელს, პედსაბჭოს სხდომების ოქმები რომ გაუსინჯავს,

საკმაოდ მკაცრად უთქვამს: „თქვენს ოქმებში არავინაა გაკრიტიკებული. თქვეწ პედსაბჭოზე შიშით უნდა მიდიოდეთო“.

სკოლის დირექტორი ასეთ შემმოწმებელს ყოველთვის სათანადო პასუხს აძლევდა და, რბილად რომ ვთქვათ, მის ჭკუაზე მოყვანას ახერხებდა. ეს კი აუცილებელი იყო იმ სიტუაციაში, როდესაც ზოგიერთი შემმოწმებელი ტენდენციურობისაგან თავისუფალი არ გახლდათ, რაც ბევრი შემოქმედი მასწავლებლის დათრგუნვასა და მისი ინიციატივის დახშობას იწვევდა.

მასწავლებლებისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ დირქტორი მათი დაცვით მოსწავლეებსაც იცავდა. გასაფრთხილებელი იყო როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლის ავტორიტეტიც. მათს ურთიერთდამოკიდებულებაზე იყო დაფუძნებული სწავლებაც, სწავლაც, დისციპლინაც. ავტორიტეტშელახული მასწავლებელი ვერ შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ისევე, როგორც გაღიზიანებული მოსწავლე. რარიგ გასაგები იყო დირექტორის შეგონება: „მოსწავლის ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენც გაგვიფრთხილდნენ. მათთან სულგრძელნი უნდა ვიყოთ“.

ეს იყო ის კრედო, რომელიც საფუძვლად დაედო სკოლის უპირველეს საზრუნავს, რაც ასე განისაზღვრა: მოსწავლეთა ზნეობრივი ჩამოყალიბება, სწორ გზაზე დაყენება, სწავლების სიახლეთა დანერგვა; ყველას — პედაგოგსაც, მოსწავლესაც, სხვა პერსონალსაც ღრმად შეგნებული უნდა ჰქონოდა, რომ სკოლის თითქმის ორსაუკუნოვან ტრადიციებს შენარჩუნება უნდოდა. პირველი სკოლის მოსწავლეებს ყოველ წუთს უნდა ხსომებოდათ, რომ ამავე სასწავლებლის კედლებში, სადაც მათი ბავშვობის წლები მიმდინარეობდა, ჩვენი ქვეყნის დიდებულ ადამიანთა ბავშვობასაც გაუვლია და ბევრ მათგანს წარუშლელი კვალი დაუმჩნევია ერის ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, დირექტორს კარგად ესმოდა, რომ აქ ჩამოყალიბებული ამოცანების განხორციელება არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მისი რწმენით, ყველა სიძნელის, ყველა დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელია დიდზე დიდი იარაღით — სიყვარულითა და თავგანწირვით.

2. ძველი სიკეთის ახალთან შეთანხმება ეროვნული კულტურის გამოვლენაა

პირველ სკოლას მუდამ ახასიათებდა ტრადიციების პატივისცემა. ამიტომ გადაიქცა იგი საჩვენებელ-სამაგალითოდ.

სკოლის ახალ დირექტორს კარგად ესმოდა, რომ ძველის მექანიკური გადმოღება ტრადიციათა განვითარება კი არ იქნებოდა, არამედ უბრალო გამე-

ორება და, მაშასადამე, ერთ ადგილზე გაყინვა. ეს კი იგივე უკუსვლას ნიშნავდა. ცხოვრება ისე სწრაფად ვითარდება, რომ ის, რაც გუშინ ახალი იყო, დღეს და, მითუმეტეს, ხვალ უკვე მოძველებულად გამოჩნდებოდა.

„ტრადიციებისადმი ერთგულება, — აღნიშნავს ქალბატონი ლიანა შენირული, — არ იქნებოდა სრული, თუ იგი შეუვსებელი იქნებოდა ეპოქის, თანამედროვეობის მოთხოვნებით“.

ამიტომ დაისახა ეპოქის, თანამედროვე შესატყვისი სწავლების სიახლეთა დანერგვის ამოცანები.

სასწავლებლის ადრინდელ ხელმძღვანელთა გამოცდილების გაცნობა იმაზე მეტყველებდა, რომ მათ სწორედ ამ დიდი ტრადიციებისადმი პატივისცემით მიაღწიეს თავიანთ საქმიანობაში წარმატებებს. ამ ტრადიციებისადმი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა იყო ის ძალა, რამაც განაპირობა ადამიანურობის, პატიოსნებისა და მაღალი პედაგოგიური სულის სრული გამოვლინება. სკოლის ახალი დირექტორიც თავს ამ პრინციპის მიმდევრად თვლიდა და მიაჩნდა, რომ ასეთი სულისკვეთება დაეუფლებოდა სასწავლებლის შემდგომ ხელმძღვანელებსაც. სკოლა რომ ამაღლებულიყო ახალ მოთხოვნათა დონემდე, ამ აზრით უნდა გამსჭვალულიყვნენ როგორც მისი ხელმძღვანელობის წარმომადგენელნი და მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები და მშობლები. ეს კი თავისთავად მოითხოვდა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა კომიტეტის როლისა და მნიშვნელობის ამაღლებას. ყოველივე ეს სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა სათანადო ცოდნით აღჭურვის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

გასაგებია, რომ ამ მნიშვნელოვან ამოცანათა ხორცშესხმისათვის მხოლოდ სურვილი არ კმაროდა. აუცილებელი იყო დროის შესაფერისი მყარი საფუძვლის შექმნა. ამიტომ გამახვილდა სერიოზული ყურადღება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებასა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობაზე. დაიწყო სკოლის დიდი კაპიტალური რემონტი, რაც თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ რემონტი. სკოლას მიუშენდა დიდი სპორტული დარბაზი, სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები. კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო უახლესი მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, თვალსაჩინოებითა და ინვენტარით. ორ წელიწადში სკოლამ სრულიად იცვალა სახე.

პირველი საშუალო სკოლისკენ სწრაფვა ადრეც საგრძნობი იყო. გამონაკლისს არც აღნიშნული ორი წელი წარმოადგენდა. თუ 1973 წელს სკოლაში 1600 მოსწავლე სწავლობდა, 1975 წელს მოსწავლეთა რიცხვმა ათას რვაასს გადააჭარბა. ამან კიდევ უფრო გაზარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი, მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, რომელიც სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა ნამდვილ თანამშრომლობად გადაიქცა. ეს კი დამსახურება

იყო მოსწავლეთა კომიტეტისა, რომელსაც მაშინ სათავეში ედგა უფროსკლასელი მიხა ჩხენკელი, დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი.

პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა ნ. კიკვაძის მიერ ადრე წამოჭრილმა მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხმაც. სკოლაში შეიქმნა „მშობელთაუნივერსიტეტი", სადაც ლექციების წასაკითხად იწვევდნენ ცნობილ მეცნიერებს: დ. ლორთქიფანიძეს, რ. ნათაძეს, გ. ჟორდანიას, ვ. ქვაჩახიას, შ. შათირიშვილსა და სხვებს. გამოსვლა დაიწყო მშობელთა გაზეთმა „მშობლის ხმამ". სკოლისადმი მშობელთა დამოკიდებულებამ ნამდვილი შემოქმედებითი ხასიათი მიიღო. მასწავლებლებთან ერთად ისახებოდა ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათ განხორციელებაში აქტიურად ჩაებნენ „მშობელთა უნივერსიტეტში" მიწვეული მეცნიერებიც.

70-იან წლებში სკოლებში უფროსკლასელთა დიფერენცირებული სწავლება შემოიღეს, ინტერესებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ამ სიახლის მიღმა არც პირველი სკოლა დარჩენილა. შეიქმნა ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკური, ხელოვნებათმცოდნეობის, არქიტექტორთა ჯგუფები, რომელთა კონსულტანტებად მიიწვიეს პირველსკოლადამთავრებული ცნობილი მეცნიერები: ნინო ჯავახიშვილი, ვახტანგ ბერიძე, გივი ჟორდანია, ვახტანგ პარკაძე, ვახტანგ მოსიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსანდრე გვახარია და სხვები. პირველ ჰუმანიტარულ ჯგუფში მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლების პედაგოგად მუშაობდა ახალგაზრდა მეცნიერი კობა იმედაშვილი. ფიზიკა-მათემატიკურ ჯგუფში მათემატიკის მასწავლებლებად მიწვეულნი იყვნენ ასევე ახალგაზრდები, ყოფილი პირველსკოლელები იური შახოვი და ლევან ხელაია. ხელოვნებათმცოდნეობის ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვახტანგ ბერიძე, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დაარსებული სასწავლო-სამეცნიერო საზოგადოება „გიმნასიონის" პრეზიდენტობასთან ერთად, ხელოვნებათმცოდნეობის სექციას ედგა სათავეში. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. დიფერენცირებული სწავლების შემოღებისას შეიქმნა არქიტექტურის პროფილის სასწავლო ჯგუფი, სადაც მოსწავლეებისათვის ლექციებს კითხულობდნენ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები პროფესორ ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით. „გიმნასიონის" დაარსების შემდეგ აღნიშნული ჯგუფი არქიტექტურათმცოდნეობის სექციად გაფორმდა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში ფართოდ დაინერგა სკოლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომელთა მოწვევის პრაქტიკა. მაგრამ ეს არ იყო ძველის, ამ შემთხვევაში მიხეილ ზანდუკელის დროინდელი გამოცდილების მექანიკური გადმოღება. მაშინ სკოლა განიცდიდა მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. უნივერსი-

ტეტის ხელმძღვანელობა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ყოველმხრივ უჭერდა მხარს ზანდუკელის მცდელობას, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ძალებით შეევსო ეს ხარვეზი.

ამჯერად კი, თბილისის პირველ საშუალო სკოლას კვალიფიციური კადრები ნამდვილად არ აკლდა. მის პედაგოგთა უმრავლესობას მაღალკვალიფიციური მასწავლებლები შეადგენდნენ. სკოლაში პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომლების მოწვევას ახალი დროის შესაფერისი სახე მიეცა და სკოლის პედაგოგებთან ერთად მათმა მოღვაწეობამ შემოქმედებითი ხასიათი მიიღო. მიზანი ერთი იყო: სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა მეცნიერულ დონეზე წარმართულიყო. ამას აპირობებდა ამ საქმიანობაში არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომლების ჩაბმა, არამედ თვით სკოლის პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაცია, ამის საშუალებას იძლეოდნენ მასწავლებლები, როგორც სულიერი მოძღვარნი. „მასწავლებელი, — აღნიშნავს ლ. შეწირული, — თავისი მოწოდებით, ბუნებით პატიოსანია, უანგაროა. მას გაკვეთილზე შესვლისას არასოდეს უფიქრია, რა ეძლევა ამ გაკვეთილის ჩატარებისათვის. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მთელი სული და გული ჩააქსოვოს გადასაცემ მასალაში“.

1973-1977 წლებში მეცნიერებთან სკოლის კოლექტივის თანამშრომლობის საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ეს კი საშუალებას იძლეოდა, ამ მხრივ წარმართულ საქმიანობას ორგანიზებული, გეგმაზომიერი ხასიათი მიეღო. ამ მიზნით დაარსდა სასწავლო-სამეცნიერო საზოგადოება — „მცირე აკადემია“, „გიმნასიონის“ სახელწოდებით, რომელიც ოფიციალურად, სკოლის დირექტორის ინიციატივით, 1977 წლის 19 აპრილს გაიხსნა. მის ორგანიზატორ-დამფუძნებლებად მოგვევლინნენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მოღვაწენი: ნინო ჯავახიშვილი, ვახტანგ ბერიძე, გივი და რევაზ ჟორდანიები, შერმაზან ყაყიჩაშვილი, ვახტანგ პარკაძე, ვახტანგ მოსიძე, ელიზბარ და სოსო ცისკარიშვილები, ალექსანდრე გვახარია, ვახუშტი კოტეტიშვილი, კობა იმედაშვილი, დოდო ბარამიძე, არნოლდ გეგეჭკორი, თითქმის ყველა ის პროფესორ-მასწავლებელი და მეცნიერ-თანამშრომელი, რომლებიც ლექციებს კითხულობდნენ „მშობელთა უნივერსიტეტში“ და ხელმძღვანელობდნენ დიფერენცირებული სწავლების დროს შექმნილ უფროსკლასელთა ჯგუფებს.

„გიმნასიონის“ პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა სახელმოხვეჭილი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი — ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. იგი გახლდათ ამ სასწავლო-სამეცნიერო „მცირე აკადემიის“ უცვლელი ხელმძღვანელი.

აი, რას წერდა „გიმნასიონთან“ დაკავშირებით პროფესორი გივი ჟორდანია:

„ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო, ისევე როგორც არაერთი ჩემსავით ყოფილი პირველსკოლელისათვის, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ მიგვიწვიეს ჩვენს

სკოლაში ე. წ. „გიმნაზიონის“ დაარსებაზე. ძველი სკოლის ახალთან შეხამება — ეს ხომ ეროვნული კულტურის საუკეთესო გამოვლენაა! დიდი სიამოვნებით ვიკისრეთ ძველმა პირველსკოლელებმა მოწაფეთა წრეების ხელმძღვანელობა. და ვფიქრობ, ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა „გიმნაზიონის“ ხაზით. მუშაობდა არაერთი წრე, რომელთა სხდომებზე მოწაფეები, დღევანდელი პირველსკოლელები ისმენდნენ თავიანთი ამხანაგების — პატარა „კოლეგებისა“ და ძველი პირველსკოლელების, სხვა ცნობილ მეცნიერთა მოხსენებებსა და ლექციებს“[1].

აქტიურად ჩაება „გიმნასიონის“ საქმიანობაში მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა პირველ სკოლაში. იგი თავის წიგნში გადმოსცემს სკოლის დირექტორის მონათხრობს:

„გიმნასიონის“ 12 სექცია აერთიანებს 300 უფროსკლასელს, რომლებიც საგანგებოდ იღრმავებენ ცოდნას კიბერნეტიკის, ლიტერატურის, ბიოლოგიის, დამწყებ პოეტთა, თეატრალებისა და სხვა სექციებში. ყოველი წლის ბოლოს ტარდება „გიმნასიონის“ შემაჯამებელი კონფერენცია, რომელზეც ყველა სექცია თავის საუკეთესო ნამუშევარს წარმოადგენს ხოლმე. საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები ყოველთვის პოულობენ დროს ამ სექციების მეშვეობით ჩვენს ბავშვებთან სამუშაოდ. „გიმნასიონი“ მოსწავლეებში ავითარებს სწორ პროფესიულ ორიენტაციას, წარმოაჩენს სამომავლო მიდრეკილებებს ამა თუ იმ დარგისადმი, უვითარებს მათ მეცნიერული კვლევისა და შრომის ჩვევებს[2].

როგორც ამ მონათხრობიდან ჩანს, „გიმნასიონი“ მხოლოდ სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირებული სექციებით არ იფარგლებოდა. ამის დამადასტურებელია ხელოვნებათმცოდნეობის სექციის საქმიანობა.

სკოლაში ხელოვნებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. მოწონებას იმსახურებდა მოსწავლეთა დრამწრის სპექტაკლები, ლიტერატურული მონტაჟები და ინსცენირებანი, ვოკალურ-ინსტრუმენტული თუ სხვა მხატვრული თვითმოქმედი წრეების ღონისძიებანი, ნორჩ მხატვართა ნამუშევრები. გასაკვირი არ არის, რომ ხელოვნებათმცოდნეობის სექცია ვახტანგ ბერიძის ხელმძღვანელობით „გიმნასიონის“ ერთ-ერთ წამყვან სექციას წარმოადგენდა. თვით ვახტანგ ბერიძე თვეში ერთხელ ხელოვნების საკითხებზე მოსწავლეებს უტარებდა ლექციებს, რომლის დროსაც თვალსაჩინოებისათვის მოჰქონდა მდიდარი ვიზუალური მასალა. ხელოვნებათმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელობით შეიქმნა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სახვითი ხელოვნების კაბინეტი, რამაც კიდევ უფრო ნაყოფიერი გახადა ნორჩ მხატვართა საქმიანობა. ისინი წარმატებით მონაწილეობდნენ პოლონეთში, უნგრეთში, იაპონიაში, ფინეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენებში.

1978 წელს სკოლის დირექტორი მოხსენებით გამოვიდა ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე ტოკიოში გამართულ მსოფლიო კონგრესზე. მოხსენებაში

გაშუქებულმა თბილისის პირველი საშუალო სკოლის საქმიანობამ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში, კონგრესის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის გამოხატულება იყო კონგრესის მონაწილე ბევრი ქვეყნის დელეგაციის მიერ გამოთქმული სურვილი, რომ მათი ქვეყნის რომელიმე სკოლას კავშირი დაემყარებინა თბილისის პირველ საშუალო სკოლასთან. საამისო პირველი ნაბიჯი იაპონიის მხრიდან გადაიდგა. ტოკიოდან ჩამოტანილი უმდიდრესი მასალები შემდეგში წარმატებით გამოიყენებოდა გაკვეთილების ჩატარებისა და კლასგარეშე მუშაობის დროს. 70-იანი წლების ბოლო სამი წლის მანძილზე სკოლამ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებს უმასპინძლა. მარტო 1978 წელს მათმა რიცხვმა ორმოცდაცხრას მიაღწია. მეგობრული ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებისა და გმირი ქალაქების პირველ საშუალო სკოლებთან, რომელთა დელეგაციები ესტუმრნენ თბილისის პირველ საშუალო სკოლას. სკოლას ეწვივნენ იაპონიის, ფინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის მთავრობათა დელეგაციებიც. 1980 წელს სკოლას სტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების დიდი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში საბავშვო მწერლები და მხატვრებიც შედიოდნენ.

მათი მიწვევით, 1981 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სკოლის დირექტორი ლიანა შეწირული და იქაური განათლების სისტემის, სკოლების საქმიანობის ამსახველი მდიდარი მასალებით დაბრუნდა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებამ, იქაური სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის გაცნობამ, უცხოელ სტუმრებთან სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეხვედრებმა, გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლთა ცოდნის გაღრმავებასა და თვით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას შეუწყო ხელი. ყოველივე ამან განაპირობა, რომ 1980 წელს პირველმა საშუალო სკოლამ გაიმარჯვა „წლის საუკეთესო სკოლის“ წოდებაზე გამოცხადებულ კონკურსში. ასეთივე გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველმა კლასიკურმა გიმნაზიამ 1997 წელს გამოცხადებულ კონკურსში და კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბაია ფუთურიძემ წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება დაიმსახურა.

80-იან წლებში „გიმნასიონის“ საქმიანობამაც ახალი შინაარსი შეიძინა. სკოლის მოსწავლეები მეცნიერთა ხელმძღვანელობით იმაღლებდნენ თეორიულ ცოდნას, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში პოულობდა გამოხატულებას, მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, დისპუტებში, საგნობრივ ოლიმპიადებში. ასე, მაგალითად, 1983 წელს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მათემატიკაში ექვსმა მოსწავლემ გაიმარ-

ჯვა, ფიზიკაში — თერთმეტმა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — რვამ, რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ხუთმა.

აღსანიშნავია პროფესორ შერმაზან ყაყიჩაშვილის ხელმძღვანელობით ფიზიკის სექციის წარმატებები. მოსწავლეები ოპტიკის ახალ დარგში — ჰოლოგრაფიაში მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულადაც წარმატებით იყენებდნენ. ამ დარგში მიღწეულ წარმატებებზე მეტყველებს 1982 წელს მაშინდელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე ნორჩ ოპტიკოსთა დაჯილდოება დიპლომით.

ამავე გამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა ბიოლოგიის სექციამ, რომლის ერთ-ერთი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ქალბატონი დოდო ბარამიძე. ეს გამარჯვება განაპირობა მეცნიერებთან ბიოლოგიის მასწავლებლების ციალა შოშიაშვილისა და თინა ჩიხლაძის შემოქმედებითმა თანამშრომლობამ. მათ წარმატებით განაგრძეს და განავითარეს ბიოლოგიის სწავლების სასახელო ტრადიციები. სკოლას ბიოლოგიაში თითქმის ყოველთვის ჰყავდა მაღალკვალიფიციური პედაგოგები. ერთ-ერთ მათგანზე მოგვითხრობს მასწავლებელი ციალა შოშიაშვილი, რომლიც 40 წელია, პირველ სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის. მას, სრულიად ახალგაზრდას, თითქმის რვა წელი მოუწია მუშაობა ბიოლოგიის ისეთ ცნობილ პედაგოგთან, როგორიც იყო ეკატერინე ყანჩაველი. მის გაკვეთილებზე დასწრებით ბევრი რამ ისწავლა. 1970 წელს ქალბატონი ეკატერინე მოულოდნელად პენსიაზე გავიდა, იგი, მართალია ხანდაზმული იყო, მაგრამ საკმაოდ ენერგიულად და მხნედ გამოიყურებოდა. „მისი პენსიაზე გასვლა, — წერს ქალბატონი ციალა, — დანაკლისი იყო სკოლისათვის. იგი საუკეთესო ბიოლოგი იყო, მცოდნე, ერუდირებული მასწავლებელი. ცდილობდა ყველა ბავშვის სულს ჩასწვდომოდა, არც ერთი მოსწავლე ყურადღების გარეშე არ დაეტოვებინა. ამას აღწევდა კიდეც. ძალიან კარგი დისციპლინა ჰქონდა. არ იცოდა მოსწავლეების გარჩევა. იყო ობიექტური და პუნქტუალური. არ მახსოვს, გაკვეთილი როდესმე გაეცდინა ან დაგვიანებოდა. ამასვე მოითხოვდა მოსწავლეებისგანაც. გაკვეთილებზე ხშირად ვესწრებოდი და ჩემთვის ვფიქრობდი, როგორ ხდება, რომ ერთი გაკვეთილი მეორეს არ ჰგავს. ყოველთვის მაინტერესებდა, ამ მკაცრ ქალს ასეთი ცოდნა-განათლება საიდან ჰქონდა. პასუხი მისი ოჯახური მდგომარეობის გამოკითხვამ გამცა. გავიგე, რომ მისი ოჯახის წევრები და ახლობლებიც ბიოლოგები ყოფილან. მეუღლე — პროფესორი ზაქარია ყანჩაველი, ქართულ ენაზე ბოტანიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი იყო. ამ წიგნზე აღიზარდა სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი თაობა, მათ შორის მეც. მაზლი — პროფესორი ლევან ყანჩაველიც უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს უმდაბლეს მცენარეებზე. ბიოლოგები არიან მისი შვილები — ნუგზარი და დოდოც. ქალბატონი კატო (ასე ვეძახდით ყველა) მარტო გაკვეთილების ჩატარებით არ შემოიფარგლებოდა. ნორჩ ნატურალისტთა წრეს ხელ-

მძღვანელობდა. სულ ბავშვებთან ფუსფუსებდა. ამ ხანდაზმულ ადამიანს საოცარი ენერგია ჰქონდა. იგი განსახიერება იყო იმისა, რომ ადამიანი, რომელსაც თავისი საქმე უყვარს და მას სიამოვნებით აკეთებს, არც დაღლასა და არც ასაკს გრძნობს. ჰქონდა ბავშვთა ნამუშევრების საუკეთესო ალბომი. ამრავლებდნენ სხვადასხვა სახის მცენარეებს. ბიოლოგიის კაბინეტი მწვანეში იყო ჩაფლული. 1991-1992 წლების ტრაგედიამ აქაც ყველაფერი იმსხვერპლა".

ეკატერინე ყანჩაველი ხელმძღვანელობდა საგნობრივ მეთოდგაერთიანებას, ეს საქმე შემდეგ ც. შოშიაშვილს დაევალა. მასვე დაეკისრა ბიოლოგიის კაბინეტის გამგეობა და ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელობა. ბიოლოგიის სექციაში გაერთიანებული მასწავლებლები ციალა შოშიაშვილი და თინა ჩიხლაძე „გიმნასიონის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრები გახდნენ „გიმნასიონის" წევრ მეცნიერებთან ერთად, მათი დამსახურებაა მოსწავლეთა მიერ სასკოლო, რაიონულ, საქალაქო თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში მოპოვებული ჯილდოები, დიპლომები და სიგელები.

70-80-იანი წლების მიჯნაზე სკოლაში გაიხსნა ინფორმატიკის კეთილმოწყობილი კაბინეტი, რისთვისაც შეიძინეს იაპონური ფირმა „იამახის" აპარატურა, რომელიც იმ დროს იყო გავრცელებული. ინფორმატიკის პედაგოგებად მიიწვიეს ა. მეტრეველი, გ. თოდრია და თ. წერუაშვილი. კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა ფიზიკისა და კიბერნეტიკის სექციების საქმიანობა.

სპორტული დარბაზის მიშენებამ ხელი შეუწყო ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. სკოლაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, სპორტული სექციების საქმიანობისათვის ნამდვილი სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა 1977 წელს პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე მაია ჩიბურდანიძის ბრწყინვალე გამარჯვება, როდესაც იგი ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კალათბურთის სექციის ნაყოფიერი საქმიანობა. პირველსკოლელი კალათბურთელები წარმატებით აგრძელებდნენ 40-იანი წლების დასასრულის მიღწევებს, რის შესახებაც წინა თავებში უკვე იყო საუბარი. ამჯერადაც ისინი რაიონულ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობდნენ. სექციას სათავეში ედგა მათემატიკის მასწავლებელი ავთანდილ ბერიძე, თავისი საქმის ღრმა მცოდნე და ახალგაზრდობის დიდი მეგობარი. სპორტის სხვადასხვა სახეობაში შიდასასკოლო ტურნირებმა და ცალკეულ აკადემიურ კლასებს შორის პაექრობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. პირველსკოლელ სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რაიონულ, საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. ფიზაღზრდის მასწავლებლები შალვა ფანცურიძე, გივი წივწივაძე, ელგუჯა ობოლაშვილი სახელოვნად აგრძელებდნენ იმ დიდ ტრადიციებს, რაც ამ მხრივ სკოლას გააჩნდა და რასაც საფუძველი არჩილ ბაქრაძემ ჩაუყარა.

რამდენად ნაყოფიერი იყო „გიმნასიონის" საქმიანობა, შეიძლება იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ „გიმნასიონში" გაერთიანებულმა ბევრმა მოსწავლემ სკოლის დამთავრების შემდეგ თავისი მომავალი ცხოვრების ასპარეზი იმ დარგს დაუკავშირა, რომელსაც ემსახურებოდა ესა თუ ის სექცია და წრე. შემდეგში ზოგიერთი მათგანი იმ დარგის თვალსაჩინო მოღვაწეც კი გახდა. „გიმნასიონის" ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი აქტიური წევრი — პროფესორი გივი ჟორდანია მოგვითხრობს ერთ-ერთ პროფილურ საგნობრივ წრესა და მის თავმჯდომარეზე:

„ისტორიის წრეს თავმჯდომარეობდა ნიჭიერი მოწაფე ლევან გორდეზიანი. ეს ახალგაზრდა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსხურებდა. ნიჭი, ცოდნა და ერუდიცია მან „მემკვიდრეობით მიიღო": შესანიშნავ და ცნობილ მეცნიერთა „სულიერი მემკვიდრე", თვითონაც დიდ იმედს იძლეოდა თავის პედაგოგთათვის. ერთნაირად ემარჯვებოდა ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერების საგნები, განსაკუთრებით — ფიზიკა. მისი პედაგოგები და ახლობლები ფიქრობდნენ, რომ მისგან კარგი ფიზიკოსი დადგებოდა. ვფიქრობ, რომ წრის მუშაობამ შედეგი გამოიღო. მგონია, წრის წევრებმა სარგებლობა მიიღეს, ხოლო მისმა თავმჯდომარემ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება „პროფილის" შეცვლის თაობაზე. ფიზიკოსებმა დაკარგეს მომავალი კარგი კოლეგა, სამაგიეროდ ისტორიკოსებმა შეიძინეს მომავალი კარგი მკვლევარი-ისტორიკოსი".

„გიმნასიონში" წამყვან მეცნიერებთან ერთად სკოლის მასწავლებლებისა და უფროსკლასელთა საქმიანობას დადებითი შედეგი მოჰქონდა. სკოლაში მეცნიერთა მონაწილეობით არა მარტო ლექცია-საუბრები, არამედ გაკვეთილებიც ტარდებოდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გაკვეთილები. მოსწავლეები მეცნიერებთან ერთად მსჯელობდნენ სხვადასხვა დარგის აქტუალურ პრობლემებზე. მაგალითად, ქართული ენის წარმოშობა-განვითარებაზე, ქართული კულტურის საკითხებზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებზე, უახლეს მიღწევებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე. მოსწავლეები მეცნიერთა და საგნის მასწავლებლების ხელმძღვანელობით ამუშავებდნენ თემებს და შემდეგ მოხსენებებით გამოდიოდნენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე, მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებსა და დისპუტებში, შემოქმედებით-შემეცნებით ღონისძიებებში. მეცნიერებთან ასეთი ურთიერთობა მასწავლებლებსაც საშუალებას აძლევდა, საქალაქო თუ რესპუბლიკურ კონფერენციებზე მაღალ დონეზე შესრულებული მოხსენებებით წარმდგარიყვნენ, მეთოდურ-თეორიული წერილები გამოექვეყნებინათ ჟურნალ-გაზეთებში. ზოგიერთი მათგანი დამუშავებული თემების სრულყოფას განაგრძობდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

სკოლაში მეცნიერთა ლექცია-საუბრებს ხშირად ესწრებოდნენ პედაგოგებიც, მშობლებიც და გარეშე პირებიც. ზოგჯერ დამსწრე იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა, საკლასო ოთახში რომ ვერ დატეულან, სკოლის დირექციას სა-

აქტო დარბაზი გამოუყვია. ასე იყო, მაგალითად, პროფესორ გივი ჟორდანიას ლექცია-საუბრების დროს, როდესაც ბატონი გივი მოუთხრობდა 1921-1945 წლებში საქართველოდან უცხოეთში გატანილ სამუზეუმო სიძველეებსა და მის დამცველ გამოჩენილ მეცნიერსა და დიდ მამულიშვილზე ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელიც ადრე თბილისის პირველ გიმნაზიაში პედაგოგად მოღვაწეობდა. აღნიშნულ თემაზე ბატონი გივი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამაზე მოგვითხრობენ მისი ყოფილი სტუდენტები, ამჟამად ისტორიკოს-მკვლევარები მალხაზ მაცაბერიძე და ყოფილი პირველსკოლელი ნინო ჩიქოვანი: „ბედნიერება გვქონდა, ბატონი გივის მიერ ექვთიმე თაყაიშვილის და საქართველოს სამუზეუმო განძეულის შესახებ წაკითხული ლექციების პირველი მსმენელები ვყოფილიყავით. ეს სრულიად უცხო, ტაბუდადებული თემა გახლდათ. დღევანდელ სტუდენტებს ნამდვილად გაუჭირდებათ იმის წარმოდგენა, რას ნიშნავდა და, უზარმაზარ ცოდნასთან ერთად, რა გამბედაობას მოითხოვდა მაშინ ამ თემაზე საუბარი. ბატონმა გივიმ აღნიშნულ ლექციათა სატელევიზიო ვარიანტიც მოამზადა, მაგრამ ტელევიზიით მხოლოდ ორი ლექციის წაკითხვა მოასწრო, შემდეგ ეს ციკლი აკრძალეს, ბატონი გივი კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის განყოფილებაში დაიბარეს და პარტბილეთის წართმევით, ანუ იმ პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ, რომლის წევრი არასდროს ყოფილა. ლექციების ციკლი, სახელწოდებით — „დაბრუნებული საუნჯე“, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გაგრძელდა, რომელიც მსმენელებს ვერ იტევდა. ერთ-ერთი ლექცია 6 საათს მიმდინარეობდა, მთელი ამ დროის მანძილზე აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე იდგა, ისმოდა მხოლოდ ბატონი გივის ხმა. არ გვახსოვდა, სად ვიყავით, რა დრო იყო; არც ზარის ხმა გაგვიგონია, რომელიც ამასობაში, ალბათ, ოთხჯერ მაინც დაირეკა. ეს იყო უნივერსიტეტში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება: გაოცება, აღტაცება, გულისტკივილი, სიამაყე და სურვილი — რაც შეიძლება ბევრს გაეგო ის, რაც ჩვენ გვიამბეს. შემდეგ ბატონმა გივიმ წიგნიც გამოსცა ასეთივე სახელწოდებით — „დაბრუნებული საუნჯე“, თუმცა, სამწუხაროდ, მასში ლექციებზე მოტანილი მასალის დიდი ნაწილი ვერ მოხვდა“[3].

აღნიშნულ თემაზე გივი ჟორდანიას ლექციებით ასეთივე დიდი დაინტერესება იყო პირველ საშუალო სკოლაში, იქაურ მსმენელებშიც დიდი იყო მიღებული შთაბეჭდილება. ამ ლექციებს როგორც შემეცნებითი, ასევე დიდაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი მსმენელებში თავისთავად ბადებდა სურვილს — ისეთივე უსპეტაკესი, მამულიშვილური გრძნობით ემსახურათ სამშობლოსათვის, როგორც ემსახურა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად“ წოდებული ექვთიმე თაყაიშვილი. ლეგენდად ქცეული ეს პიროვნება მსმენელებში გაოცებას, აღტაცებას იწვევდა. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფს, ბევრჯერ მშიერ-მწყურვალს, არ უსარგებლია ამ უმდიდრესი განძით, მრავალ

ხელმყოფელთაგან დაუცავს, ნემსის ოდენაც კი არ დაუკლია, უფრო მეტიც — შევსებული და გამდიდრებული დაუბრუნა დედასამშობლოს. არა მარტო საამაყო, არამედ მარადჟამ მისაბაძია ასეთთა თავდადება. ეს გრძნობა გაჰყვა მათ, ვინც ბატონი გივის ლექციები მოისმინა. ეს გრძნობა ეუფლება მათაც, ვინც ნახავს ბატონი გივის წიგნის საფუძველზე დაწერილი სცენარის მიხედვით გადაღებულ რეზო თაბუკაშვილის ღირსშესანიშნავ ფილმს „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი".

„გიმნასიონი" თავიდანვე ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული კულტურის ტრადიციებზე, ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის სამსახურში ჩადგა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა მხოლოდ ეროვნული პრობლემებით შემოფარგვლას. „გიმნასიონში" გაერთიანებული ჩვენი სახელოვანი მეცნიერები სკოლის პედაგოგებთან ერთად მოსწავლეებს მსოფლიო კულტურის ისტორიასა და მის უახლეს მიღწევებსაც აზიარებდნენ. ამას ხელს უწყობდა უახლესი ტექნიკითა და თვალსაჩინოებით აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ენების შესანიშნავი კაბინეტები, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, თეატრალური სალონი, კლუბი, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ, გამოევლინათ მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. ყოველთვის ყურადღებას იქცევდა სკოლის უნიკალური მუზეუმი, რომელიც მოგვითხრობდა ამ უძველესი სასწავლებლის ისტორიას და, სადაც ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მამულიშვილთა — ყოფილ პირველსკოლელთა ნაშრომებთან, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებთან ერთად გამოფენილი იყო XVIII საუკუნისდროინდელი ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების უიშვიათესი ხელსაწყოები, ჰოლოგრაფიული-ბეჭდვითი ტექნიკის მიღწევების ნიმუშები და სხვა მრავალი საინტერესო მასალა. ყოველივე ამის გამო, პირველი საშუალო სკოლა ქალაქის დათვალიერების ობიექტებში შედიოდა და მას ყოველთვის მრავალი სტუმარი ჰყავდა. ზოგჯერ სკოლა დღეში დედაქალაქის სტუმართა 4-5 მრავალრიცხოვან და საპასუხისმგებლო დელეგაციას იღებდა. მას შემდეგ კი, რაც სკოლამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა და უცხოეთის ქვეყნების სკოლებთან, დელეგაციები უკვე უშუალოდ პირველ სკოლას სტუმრობდნენ. ეს კი მათ დასახვედრად სპეციალურ მზადყოფნას მოითხოვდა. სკოლის ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები უნდა მიეღოთ და მათ დასახვედრად მზადდებოდა სათანადო მასალები. ამ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი „გიმნასიონის" წევრი მეცნიერები, რომლებიც ეხმარებოდნენ სკოლის პედაგოგებს სტუმართა მისაღებად მოსწავლეების მომზადებაში. ისინი მოსწავლეებს აცნობდნენ მოსალოდნელ სტუმართა ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიას, კულტურასა და ა.შ.

ამრიგად, „გიმნასიონმა" სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მან დიდი როლი შეასრულა ეროვნული კულტურის საუკეთესოდ გამოვლენაში.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის პირველ საშუალო სკოლას, როგორც უკვე აღინიშნა, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, გმირი ქალაქებისა და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სკოლებთან. ამის შედეგი იყო უშუალოდ პირველ სკოლაში უცხოელ სტუმართა მომრავლება. თითქმის ყველა შეხვედრის აქტიური მონაწილე იყო ინგლისური ენის მასწავლებელი ელენე ქუთათელაძე, რომელიც ამ სტუმარ-მასპინძლობაზე შესანიშნავად მოგვითხრობს თავის მოგონებებში[4]. ასე, მაგალითად, საინტერესოდაა მოთხრობილი ბრიტანელთა სტუმრობა სკოლაში 1986 წელს. მოგონებებში განსაკუთრებით საყურადღებოა სასწავლებელთან ამერიკელი მოღვაწის ჯონ სკოტის ურთიერთობის ისტორია.

1988 წელს თბილისში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მოეწყო ექსპოზიცია „ინფორმაცია ამერიკის ცხოვრებაზე". მისი დირექტორი ჯონ სკოტი სამ თანამშრომელთან ერთად ეწვია თბილისის პირველ საშუალო სკოლას. მან პირველსკოლელ მოსწავლეებს გადასცა „თაქაჰოუს სკოლის" თანატოლების წერილები და ნახატები, ხოლო ქალბატონ ელენეს — ორი მასწავლებლის წერილი თხოვნით, მეორე დღისთვის პასუხები დაეწერათ. სკოლაში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. სკოტი და მისი თანამშრომლები აღფრთოვანებულნი დარჩენილან როგორც გაკვეთილებზე დასწრებით, ასევე ჩატარებული ღონისძიებებით, მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონით. სტუმრები იმედოვნებდნენ, რომ მათი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზრდებოდა. ჯონ სკოტი მასპინძლებს პირდებოდა, რომ ყველაფერს იღონებდა, რათა პირველი სკოლა დამეგობრებოდა მისი ქალიშვილის სკოლას. სტუმრებმა თან წაიღეს ქართველ მოსწავლეთა წერილები და ნახატები. ერთი თვის შემდეგ სკოლაში მიიღეს მადლობის წერილი შესანიშნავი დახვედრისათვის და წიგნი „ხავერდის ბაჭია", რომელიც ჯონ სკოტის ოჯახის საყვარელი წიგნი ყოფილა და სურდათ, რომ იგი ქართველებსაც ჰქონოდათ. ჯონ სკოტი წერდა, რომ ყველაფერს აკეთებდა დანაპირების შესრულებისათვის. ეს იყო და ეს. პირველსკოლელები ამერიკიდან რაიმე ამბავს დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ ელოდნენ.

მოგონებებში ვკითხულობთ: „12 წლის შემდეგ, ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, მოგვიტანეს ჯონ სკოტის წერილების ასლები. შეუძლებელია მათი აუღელვებლად წაკითხვა. როგორც წერილებიდან შევიტყვეთ, ბატონ სკოტს უქმად არც ერთი დღე არ დაუკარგავს. ვაშინგტონში ჩასვლის შემდეგ იგი დაუზარებლად წერდა და ითხოვდა დახმარებას ყველა ინსტანციისაგან თბილისის პირველ სკოლასთან დაკავშირებისათვის. იგი წერდა საბჭოთა და

აშშ ოფიციალურ ორგანოებს, ორივე ქვეყნის საელჩოებს, ცალკეულ პიროვნებებსაც, ვისაც კი შეეძლო საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრა. 1988 წლის 10 მაისით დათარიღებულ წერილში ჯონ სკოტი მიმართავდა პრეზიდენტ რონალდ რეიგანს: „იქნებ, სსრ კავშირში თქვენი მომავალი ვიზიტის დროს რაიმე იღონოთ ჩვენს დასახმარებლად. კარგად მესმის, რომ ეს თქვენს გეგმაში არ შედის, მაგრამ ამ საქმისადმი თქვენს მიერ გამოჩენილი ინტერესი მის ადგილიდან დაძვრას ხელს შეუწყობს. თუ არ ვიჩქარებთ, ენთუზიაზმი ჩაცხრება ზაფხულის თვეებში. დაგვეხმარებით? დარწმუნებული ვარ, ღირს ამისი ცდაო"[5].

ჯონ სკოტის გასაოცარ ერთგულებაზე მეტყველებს ეს წერილები, რომლებიც, სპეცსამსახურების მიზეზით, ასე დაგვიანებით ჩაბარდა ადრესატს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯონ სკოტისა და კიდევ სხვათა მსგავსმა წერილებმა ორი ქვეყნის ინსტანციებისადმი შედეგი მაინც გამოიღო. პირადი შეხვედრის დროს რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს ორი ქვეყნის მოსწავლეთა გაცვლის პროგრამა შესთავაზა, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1988 წლის 31 მაისს სიტყვით გამოსვლისას რეიგანმა განაცხადა, რომ გორბაჩოვმა შეთავაზებული წინადადება მიიღო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოეთი დაეთანხმა ორი ქვეყნის მოსწავლეთა ურთიერთგაცვლას. ამ შეთანხმების რეალიზაცია იმავე 1988 წელს მოხდა. საბჭოთა კავშირში, კერძოდ, თბილისში ჩამოვიდნენ და პირველ სკოლას ეწვივნენ ამერიკელი მოსწავლეები.

ამერიკელ და ქართველ მოსწავლეებს შორის მალე დამყარდა გულითადი მეგობრული ურთიერთობა, რის შესახებაც წერდნენ ამერიკელი გოგონების მშობლები ტიმ და პემ ალექსანდერები: „შესაძლოა, ჩვენი მთავრობების ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ უფროსებს გზავნიან სხვა ქვეყნებში მშვიდობაზე მოსალაპარაკებლად და არა მოზარდებს". წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ ქართველი მოსწავლეები ამერიკას სწვეოდნენ: „იცოდეთ, ჩვენი სახლი თქვენი სახლია!"

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ. რუსთაველის საზოგადოების მხარდაჭერით, „გიმნასიონის" ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის, ყოფილი პირველსკოლელის სოსო ცისკარიშვილის თაოსნობით, პირველსკოლელი მოსწავლეები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. ქართველ მოსწავლეთა ეს პირველი გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში იმის საფუძველი აღმოჩნდა, რომ დასახულიყო მოსწავლეთა ურთიერთგაცვლის ფართო პროგრამა არა მხოლოდ საქართველო-ამერიკას, არამედ საბჭოთა კავშირ-ამერიკას შორის.

საკავშირო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მოკავშირე რესპუბლიკებიდან უნდა გაგზავნილიყო მოსწავლეთა თითო ჯგუფი. შეირჩა 25 ამერიკული და 25 საბჭოთა სკოლა. 1989 წლის თებერვალ-მარტში უნდა მომ-

ხდარიყო მოსწავლეთა ჯგუფების ურთიერთგაცვლა. შერჩეულ სკოლათა რიცხვში აღმოჩნდა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. სკოლის დირექტორთან ლიანა შეწირულთან და ინგლისური ენის მასწავლებელ ელენე ქუთათელაძესთან ერთად, გამგზავრების პატივი წილად ხვდა 12 უფროსკლასელს, რომლებიც ერთი თვის მანძილზე სამხრეთ კაროლინის შტატის დედაქალაქის კოლუმბიის პრესტიჟულ სასწავლებელ „ეი სი ფლორა ჰაი სქულ"-ში სწავლობდნენ და ოჯახებში ცხოვრობდნენ. ეს იყო სასწავლო პროგრამით ქართველ მოსწავლეთა პირველი ჩასვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კოლუმბიაში ქართველ მოსწავლეთა სტუმრობაზე დოკუმენტური ფილმის შექმნა გადაწყდა. მისი გადაღების პატივი წილად ხვდა ქალაქ კოლუმბიის ტელევიზიას, რომელმაც გაიმარჯვა მოსწავლეთა გაცვლის პროგრამის გაშუქებისათვის გამოცხადებულ კონკურსში. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების აკადემიური პარტნიორობის დირექტორმა, დოქტორმა დენ დავიდსონმა თავიდანვე განაცხადა: „დოკუმენტური ფილმი უნდა გახდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, ამ ფილმმა ფართო საზოგადოებრიობას უნდა გააცნოს სასარგებლო და დადებითი, უნდა მოგვაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ორ ქვეყანაზე".

კოლუმბიელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ქართველი სტუმრები რაც შეიძლება სრულად გაცნობოდნენ ამერიკული ცხოვრების წესს, მეტი ენახათ ქალაქ კოლუმბიაში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ქალაქ-მუზეუმ ჩარლსტონში, გაცნობოდნენ აღნიშნული ქალაქების ღირსშესანიშნაობებს. ისტორიულ ქალაქ ჩარლსტონში ჩატარებულ მოსწავლე-მათემატიკოსთა კონკურსში თბილისელმა პირველსკოლელებმა თავი ისახელეს და ძვირადღირებული ლექსიკონებით დაჯილდოვდნენ.

უაღრესად შინაარსიანი აღმოჩნდა კოლუმბიაში გატარებული ერთი თვე. მოსწავლეთა გაცვლითმა პროგრამამ, მისდა უნებურად, პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. ქართველთა დელეგაციის ყველა წევრს, უფროსებსაც და ბავშვებსაც, მასპინძლები კეთილი ნების დესპანებად თვლიდნენ. თბილისის პირველი სკოლის წარგზავნილებს სხვადასხვა დონის კონფერენციებსა თუ ფორუმებში, სასწავლო ტელესტუდიების გადაცემებში მონაწილეობა, პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრები და გასაუბრება უხდებოდათ. ყველა ამ ღონისძიებაში მონაწილეობისას მათ თავი გამოიჩინეს განხილულ საკითხებში ღრმა წვდომით, საერთო განათლების მაღალი დონით.

ყოველივე ამან ქართველი სტუმრებით ფართო საზოგადოებრიობის დაინტერესება გაზარდა. ტელეგადაცემებით მათი ამბავი მეზობელ ჯორჯიას შტატსაც მისწვდა და ქალაქ ატლანტის მოსწავლეებმაც ქართველ თანატოლებთან დამეგობრების სურვილი გამოთქვეს. თბილისში ნამყოფ ქალბატონ ქეთრინ ლისის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ატლანტელ და თბილისის პირველსკო-

ლელ მოსწავლეთა შორის გაცვლითი პროგრამის შედგენა. მის განხორციელებამდე კი დადგა ქართველ წარგზავნილთა სამშობლოში დაბრუნების ჟამი.

დასრულდა კოლუმბიის ზღაპრული დღეები. სტუმარ-მასპინძლებს ერთმანეთთან განშორება ეძნელებოდათ... რაოდენ დიდი იყო სიხარული, როდესაც სულ მალე, 1989 წლის 1 აპრილს საპასუხო ვიზიტით კოლუმბიიდან 12 მოსწავლე ჩამოვიდა, ექვსი უფროსი და საბავშვო ტელევიზიის მუშაკები. უნდა გაგრძელებულიყო ერთობლივი დოკუმენტური ფილმის გადაღება, რომლის პირველი კადრები — „ისინი თბილისიდან ჩამოვიდნენ" — კოლუმბიაში იყო გადაღებული. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი 9 აპრილის ტრაგედიამ ჩაშალა. მოსკოვთან შეთანხმებით, საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტუმრები ლენინგრადში გააცილეს.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო მეგობრობა, სიყვარული, რომ მძიმე სიტუაციის მიუხედავად, კოლუმბიელი ყმაწვილები ჯერ კიდევ თბილისში იხვეწებოდნენ პროგრამის გაგრძელებას.

მოსკოვში გაცილებისას, სამხრეთ კაროლინის შტატის განათლების მინისტრის მოადგილის ალექსი სელის მეუღლემ, ქალაქ კოლუმბიის საგანმანათლებლო ტელევიზიის დეპარტამენტის უფროსმა ერლეტა სელიმ, რომელიც თბილისში ჩამოჰყვა კოლუმბიელთა დელეგაციას, მასპინძლებს დიდი ადამიანური სითბოთი აღსავსე წერილი გადასცა. იგი რწმენას გამოთქვამდა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნებოდა და მეგობრობა გაგრძელდებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, კოლუმბიაში პირველსკოლელთა ყოფნის დროს შედგა ატლანტისა და თბილისის მოსწავლეთა გაცვლის პროგრამა. 1989 წლის ივნისში თბილისის პირველ საშუალო სკოლას ეწვია ატლანტის „ნორთ კულტინ ჰაი სქულის" 10 მოსწავლე პედაგოგ დაგ თესეტ გერის მეთაურობით. ერთი თვე დაჰყვეს ატლანტელებმა საქართველოში. მათ ეამაყებოდათ, რომ ამ ქვეყანას ძველი ბერძნები გეორგიას უწოდებდნენ და მისი სახელიც ისევე იწერებოდა, როგორც მათი შტატისა — Georgia.

მასპინძლებმა ატლანტელებს გააცნეს ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლები, ცოტა ქართულიც ასწავლეს. სტუმრებმა იცხოვრეს ქართული ცხოვრებით, ქართული სამზარეულოს რეცეპტებიც წაიღეს.

ნოემბრის შუა რიცხვებში პირველსკოლელთა საპასუხო ვიზიტიც შედგა. ჯორჯიასა და მისი დედაქალაქის ატლანტის სახით პირველსკოლელებმა, როგორც ისინი აღნიშნავდნენ, კიდევ ერთი „კარგი ამერიკა" გაიცნეს და იქაურ თანატოლთა სახით გულითადი მეგობრებიც შეიძინეს. ეს მეგობრობა შემდეგ წელსაც გაგრძელდა. 1990 წელს თბილისის პირველმა სკოლამ ჯერ ატლანტელ მოსწავლეთა დელეგაციას უმასპინძლა, შემდეგ სკოლის 12 მოსწავლე, დირექტორის მოადგილის ნანული რატიანისა და მასწავლებელ თინა დაუშვილის ხელმძღვანელობით, სკოლის პარტნიორ „ფულტონ ჰაი სქულს" ეწვია.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის, ამჟამად, პირველი კლასიკური გიმნაზიის მეგობრობა კოლუმბიის „ეი სი ფლორა ჰაი სქულთან“ და ატლანტის „ნორთ ფულტონ ჰაი სქულთან“ კვლავაც გრძელდება. იგი იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ ვერ შეარყია ვერც 1989 წლის აპრილის ტრაგედიამ, ვერც 1991/1992 წლების მიჯნის ცეცხლმა, რომელმაც ჩაფერფლა პირველი საშუალო სკოლის შენობა...

13 წლის წინათ დამეგობრებული მოსწავლეები დღეს დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე არიან გასულნი. დღეს ამ სასწავლებლებში, რომლის მოსწავლეებმა მაშინ საფუძველი ჩაუყარეს დიდ მეგობრობას, სწავლობენ, ან ისწავლიან მათი შვილები (მომავალში — მათი შვილიშვილებიც). უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც სახელოვნად გააგრძელებენ მშობლების მიერ საფუძველჩაყრილ ტრადიციებს. მეგობრები ერთად აღნიშნავენ თბილისის სასწავლებლის სახელოვან 200 წლის იუბილეს. ალბათ, ამ ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ ის ადამიანებიც, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ამ მტკიცე მეგობრობის საფუძვლის ჩაყრისათვის. ზეიმის მონაწილენი გულითადი მადლობის სიტყვებით მიმართავენ ამ ადამიანებს და, უწინარეს ყოვლისა, ჯონ სკოტს, რომლის დიდი მცდელობის შედეგია, რომ ახალგაზრდებშიც და უფროსებშიც ნათლად ცოცხლობს და ჩაუქრობლად ღვივის ურთიერთგაგება, მარადიული მეგობრობის გრძნობით გამოწვეული სიხარული.

4. ერთსულოვნებითა და თანაგრძნობით გადატანილი გაუსაძლისი ყოფა

1989 წლის აპრილის მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორია, დღიდან დაარსებისა, ორგანულად ერწყმის ჩვენი ქვეყნის ისტორიას. როგორც ადრე, ახლაც დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლას დასაბამი მიეცა მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე და მან სკოლის ტერიტორიაც მოიცვა.

1988 წლის ნოემბრიდან მთავრობის სასახლის წინ მსხდომ მოშიმშილეებს პირველსკოლელთა თანაგრძნობა და ყურადღება არ მოკლებიათ.

9 აპრილმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს მისცა დასაბამი. 80-იანი წლების ორგანული გაგრძელება იყო 90-იანი წლების პირველი ნახევარი, რომელიც აღინიშნა მნიშვნელოვანი მოვლენებით: 1991 წლის 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტი; იმავე წლის 26 მაისს პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია. დღეს თბილისის პირ-

ველი კლასიკური გიმნაზიის მეორე სართულზე სახელოვან ყოფილ მოსწავლეთა ვინაობის აღმნიშვნელ მარმარილოს დაფათა შორის ერთ-ერთზე ყოფილი პირველსკოლელის ზვიად გამსახურდიას სახელი და გვარიცაა ამოტვიფრული.

90-იან წლების დასაწყისი თითქოს მშვიდობიანად უნდა წარმართულიყო.

1991 წლის ნოემბერში კიდევ ერთი აკადემიური გაცვლითი პროგრამა განხორციელდა. ამჯერად, გერმანული ენის მცოდნე 12 პირველსკოლელი ქალბატონ ელენე ქუთათელაძის ხელმძღვანელობით გაიგზავნა დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის მახლობელ ქალაქ დილინგესში, სადაც სკოლა „ოდილიენმულე"-ში უნდა გაეღრმავებინათ გერმანული ენის ცოდნა.

თბილისელი და დილინგელელი მოსწავლეები იმდენად დაახლოვდნენ, რომ ოცი დღე მოკლედ ეჩვენათ. ითხოვდნენ სტუმრობის ვადის გაგრძელებას. იმ ოც დღეში მასპინძლებმა თბილისელ მოსწავლეებს ბევრი ღირსშესანიშნაობა დაათვალიერებინეს საარბრიუკენში. ჰყავდათ საფრანგეთში, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში. იყვნენ მხარის განათლების მინისტრთან, ქალაქის ბურგომისტრთან, სხვა ოფიციალურ პირებთან მიღებაზე.

სამშობლოში დაბრუნებულნი, მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოვლენის მოწმენიც გახდნენ — 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა იმპერია დაიშალა.

წარმოსადგენადაც კი ძნელი იყო, რომ სულ მოკლე ხანში, რამდენიმე დღის შემდეგ, ნამდვილი ტრაგედიის მოწმენი გახდებოდნენ. თურმე, რარიგ საყვარელი ყოფილა სკოლის ძველი შენობა, რომელიც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში დაანგრიეს და გადაწვეს. რას წარმოიდგენდნენ, რომ მისი დანგრევა-ჩაფერფვლის გამო მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც, მოსწავლეთა მშობლებიც გულწრფელად აქვითინდებოდნენ.

ვის ან რად დასჭირდა მისი განადგურება-დაწვა? ყმაწვილებისათვის გაუგებარი იყო მოვლენების ისე განვითარება, როგორც ისინი წარიმართა.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ფართოდ გაშლილი მოძრაობის დროს წარმოქმნილი პოლიტიკური პარტიები, კავშირები და ორგანიზაციები ერთი მიზნისათვის — სახელმწიფოებრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იყვნენ გაერთიანებულნი. მაგრამ ეს ერთობა ქვეყნის მიერ მიზნის მიღწევის შემდეგ თანდათან იშლებოდა, თუმცა იგი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის კიდევ უფრო აუცილებელი და საჭირო იყო. ამის ნაცვლად, პოლიტიკური პარტიები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, 90-იანი წლების დასაწყისიდანვე გათიშულნი და დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ, რასაც მოჰყვა 1991/92 წლების ცნობილი ტრაგედია. ურთიერთდაპირისპირებულმა ძალებმა ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლის ველად იქცა მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორია. ბუნებრივია, რომ ბრძოლის ქარცეცხლში მოექცა პირველი საშუალო სკოლაც, რომელიც ერთიანად დაინგრა, ისევე, როგორც რუსთაველის პროსპექტის იმ მონაკვეთზე

და მის მახლობლად მდებარე შენობები: კავშირგაბმულობის სახლი, სასტუმრო „თბილისი", მხატვრის სახლი, საცხოვრებელი სახლები. სერიოზულად დაზიანდა მთავრობის სასახლეც. ერთ-ერთმა კორესპონდენტმა პირველი საშუალო სკოლის დირექტორთან საუბრისას გამოთქვა აზრი, რომ „პირველი სკოლა დაიწვა რუსების იარაღით". ამაზე ლ. შენირულმა უპასუხა:„ჩემთვის ძნელია თქმა, რომ სკოლა რუსების ხელით დაინგრა. ვიტყოდი, რომ პირველი სკოლა ამ სკოლელებმა დაანგრიეს. ვერც ერთი რუსი ვერაფერს დაგვაკლებდა, ჩვენს სიმაღლეზე რომ ვყოფილიყავით. ორივე მხარეს ჩვენი ყოფილი სკოლელები იბრძოდნენ. ჩვენ იმედი გვქონდა, მშობლიურ სკოლას პირველი ტყვია რომ მოხვდა, სროლა შეწყდებოდა. მაგრამ, ეტყობა, ამბიციებმა სძლია მშობლიური სკოლის სიყვარულს... თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაიწვა ორსაუკუნოვანი სკოლის შენობა, განადგურდა მისი ისტორიული სამასწავლებლო, უნიკალური ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კაბინეტ-ლაბორატორიები. სკოლის წინ ილიასა და აკაკის ძეგლს 92 ტყვია მოხვდა (ნატყვიარი დღესაც, 11 წლის შემდეგაც ატყვია). ორივე მხარეს მებრძოლმა ყოფილმა პირველსკოლელებმა არც ერთმანეთი დაინდეს და არც მშობლიური სკოლა. სკოლის შენობიდან არაფერი გადარჩა, გარდა ერთი მარმარილოს მემორიალური დაფისა, სადაც ამოტვიფრულია ამ სასწავლებელდამთავრებული სახელოვანი ადამიანების სახელები. იგი ტყვიების წვიმაში შენობიდან გამოიტანა სკოლის ყოფილმა მოსწავლემ გოგი ერისთავმა, ამჟამად ცნობილმა ექიმმა. ეს დაფა, როგორც რელიკვია, დღეს გიმნაზიის ადრინდელ შემოსასვლელთან ჰკიდია. იგი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს იმ ტრაგიკულ დღეებს, რაც 90-იანი წლების დასაწყისში გადავიტანეთ (თუ ამას გადატანა ჰქვია...) ძნელია, სიტყვებით გადმოიცეს ის, რაც განვიცადეთ 1992 წლის 6 იანვარს, როცა დაფერფლილი, მიწასთან გასწორებული სკოლის შენობა ვნახეთ".

მარმარილოს დაფის გარდა, ძველი შენობიდან გადარჩა აგრეთვე იმ კიბის ნაწილი, რომელზეც დაშავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი (ეს კიბე დაცულია დღევანდელი გიმნაზიის შენობაში, როგორც ისტორიული რელიქვია).

დაახლოებით იმავე პერიოდში, როდესაც ქალბატონ ლიანას ინტერვიუს გაეცნო მკითხველი, ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სხვა ინტერვიუ, რომელიც ასევე ეხებოდა 1991/1992 წლების ტრაგედიას, კერძოდ, პირველ საშუალო სკოლასთან დაკავშირებულ ამბავს (შეგნებულად არ სახელდება არც გაზეთის სახელწოდება და არც რესპონდენტის ვინაობა).

რესპონდენტი აქტიური მონაწილე ყოფილა როგორც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობისა, ასევე რუსთაველის პროსპექტის დანგრევისა (როგორც თვით აღნიშნავს, „გალამაზებისა"). მისი სიტყვებით, „დაინგრა ძველი შენობები, დანგრეულის ნაცვლად მშვენიერი ბინები აშენდა. გახსოვთ, პირველი სკოლა როგორი იყო ათი წლის წინ, საჯინიბოს

ჰგავდა. დასანგრევი არ იყო, ერთი მითხარით? პირველი სკოლის აშენებაზე რუსებს დავადებინეთ 50 მილიონი და მშვენიერი სკოლა ავაშენეთ".

ერთხელ მაინც თუ დაინტერესდა რესპონდენტი იმ ზარალით, რაც პირველმა სკოლამ განიცადა უმდიდრესი ბიბლიოთეკის, მხატვრული თვალსაზრისით მისი უიშვიათესი კარების ფერფლად ქცევით, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიების განადგურებით? ან რატომ გასწირა თავი გოგი ერისთავმა, როდესაც ტყვიების ქარცეცხლიდან გამოიტანა ზემოაღნიშნული მემორიალური დაფა? ან რატომ ტიროდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები სკოლის იმ „საჯინიბოს მსგავსი" შენობის დანგრევა-დაწვის გამო? ან 1992-1995 წლებში რა გრძნობის გამოხატულება იყო სკოლის ნანგრევებში ბოლო ზარის დარეკვა? ან იცის კი რესპონდენტმა, რა დღეში იყვნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მშობლიური სკოლის, საკუთარი შენობის დაკარგვის გამო?

ამ ბოლო კითხვებზე გვპასუხობს ქალბატონი ლიანა:

— მაშინ თბილისის პირველ საშუალო სკოლაში 1818 მოსწავლე და 134 მასწავლებელი ირიცხებოდა, 47 აკადემიური კლასი იყო. გაგვანაწილეს სხვადასხვა სკოლისა და დაწესებულების შენობებში. დაწყებითი კლასები მოსწავლეთა სასახლემ და 47-ე სკოლამ შეიფარა, V-VIII კლასები — 46-ე სკოლამ. ზედა კლასები ექვსი თვის მანძილზე ვაკის ბოლოს, „დოსააფის" შენობაში იყო განაწილებული, შემდეგში 44-ე სკოლაში გადმოიყვანეს. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით ვაკეში ყოფნის დროს, ზამთრის სიცივეში, როდესაც ტრანსპორტიც არ მუშაობდა. „დოსააფის" შენობაში, ჩვენს გარდა, განთავსებული იყო კერძო სამედიცინო სასწავლებელი და მძღოლთასკოლა. მიუხედავად სიძნელეებისა, სკოლის კოლექტივი არ დაშლილა. არც ერთი პედაგოგი სკოლიდან არ წასულა. მოსწავლეთა რაოდენობაც უმნიშვნელოდ შემცირდა. შეუძლებელია, მადლიერების გრძნობით არ აღინიშნოს მოსწავლეთა სასახლის, 44-ე, 46-ე და 47-ე სკოლების ხელმძღვანელთა თანადგომა".

სკოლის კოლექტივი რომ არ დაშლილა, მისი ერთსულოვნებით, სკოლისადმი სიყვარულითაა განპირობებული, აგრეთვე რწმენით, რომ კვლავ აღდგებოდა სკოლის შენობა, გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ითავებდნენ მის აღდგენას.

მართლაც გამოჩნდნენ.

რუსთაველის პროსპექტის აღმშენებლობის საკითხის გადასაწყვეტად მოსკოვიდან ჩამოვიდნენ იქაური მერიის წარმომადგენლები გავრილ პოპოვი და იური ლუჟკოვი. რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან მათი შეხვედრის დროს გადაწყდა: პირველ რიგში აშენებულიყო პირველი სკოლის შენობა, რისთვისაც მოსკოვის მერიამ გამოჰყო საჭირო თანხა.

სკოლის შენობის სარესტავრაციო სამუშაოები 1992 წელსვე დაიწყო. გაზეთ „განათლების" 1992 წლის 15 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „განათლების

უძველესი კერა", რომლის ავტორი თამაზ ქიქავა მოგვითხრობს, რომ სარესტავრაციო-საპროექტო სამუშაოთა სრულყოფილი შესრულებისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს ინსტიტუტ „საქრესტავრაციის" მთავარმა არქიტექტორმა ნიკო ზაზუნაშვილმა და არქიტექტორ-რესტავრატორმა ირინე შარაშენიძემ, „საქქალაქმშენის" მეორე ტრესტის პირველმა სამშენებლო სამმართველომ.

კითხულობთ მოგონებებს პირველ სკოლაზე, განსაკუთრებით, 1991-92 წლების ტრაგედიის მომსწრეებისას და შეუძლებელია, არ გაიზიაროთ მათი განცდები. გასაგები ხდება, რატომ ავლებენ პარალელს 1795 წლის ტრაგედიასთან, როდესაც სპარსმა დამპყრობლებმა თბილისი ერთიანად ააოხრეს და გადაწვეს. ერთ-ერთი მოგონების ავტორი, ქალბატონი ბაია ფუთურიძე წერს: „განა შეღავათია, რომ 1991-92 წლების მოვლენებმა ქალაქი ძირს არ დასცა? — არა! იმიტომ, რომ თბილისის გული გაისრისა, გული არა მარტო თბილისისა, არამედ მთელი საქართველოსი".

1795 წელს ერთმანეთის პირისპირ იდგნენ სამშობლოს დამცველნი — ქართველები და დამპყრობლები — სპარსნი. ამჯერად კი — ქართველები ქართველების წინააღმდეგ და ორივე მხარეს მებრძოლთ თავი პატრიოტებად მიაჩნდათ. ალბათ, ახლა ზედმეტი იქნება იმის განსჯა, თუ ვინ ვინ იყო. ამას ისტორია განსაზღვრავს. მთავარი ის იყო, რომ „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ".

სკოლის ახალი შენობის პროექტის ავტორობა იკისრა პირველი სკოლის კურსდამთავრებულმა, სკოლის ექიმ ნუცა მამაცაშვილის შვილმა, არქიტექტორმა თეზიკო ჯაფარიძემ (უდროოდ გარდაცვლილი ამ ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტორის სახელმა და გვარმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სკოლის აღზრდილ სასიქადულო შვილთა მემორიალურ დაფებს შორის). არქიტექტორმა ნაწილობრივ გაითვალისწინა სკოლის კოლექტივის სურვილი — ისტორიას შენარჩუნებოდა სკოლის ადრინდელი იერსახე.

ბევრს მაშინ უტოპიად მიაჩნდა დირექტორის დაჟინება: სკოლას 1995 წლის 1 სექტემბერი საკუთარ შენობაში სწავლით დაეწყო. რა იყო ეს, უბრალო დამთხვევა თუ სპეციალური გათვლა? — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელმა, გიმნაზიად გარდაქმნილმა, პირველი სასწავლო წელი 1830 წელს დაიწყო. და აი, 165 წლის შემდეგ პირველი საშუალო სკოლა, კლასიკურ გიმნაზიად გარდაქმნის მოწადინე, ახალ შენობაში დაიწყებდა პირველ სასწავლო წელს. ეს არ იყო, უბრალოდ, დირექტორის სურვილი. ამას ეშურებოდა სკოლის მთელი კოლექტივი, ამას ეშურებოდნენ მშობლები, ქალაქის მთელი საზოგადოებრიობა.

ამიტომ იყო, რომ პროფესიონალ მშენებელთა მხარდამხარ იღვწოდნენ სკოლის მასწავლებლები, უფროსკლასელები, მოსწავლეთა მშობლები, ყოფილი პირველსკოლელები, სხვადასხვა დარგის მოღვაწენი. ინტელიგენციის წარმომადგენლები არ თაკილობდნენ დამხმარე, ე. წ. შავ მუშებად შრომასაც. ვის არ

ნახავდით აქ, ფიზიკურად მომუშავეებს: ნოდარ ამაღლობელსა და ირაკლი ანდრიაძეს მეულღლეებითურთ, მანანა გიგინეიშვილს, მერაბ კოკოჩაშვილს, ოთარ მელვინეთუხუცესს, გულნარა და ციალა სვანიძეებს, ლანა ღოღობერიძეს, გოგა და ივლიანე ხაინდრავებს და კიდევ სხვა მრავალს. თავდადებული შრომის მაგალითის მაჩვენებელნი იყვნენ სკოლის დირექტორი და მისი ოჯახის წევრები. პროფესიონალებთან ერთად, მოხალისე მშენებლები დღე და ღამეს ასწორებდნენ, რათა 1995 წლის 1 სექტემბერი პირველსკოლელებისთვის უწინდებურად საზეიმო ყოფილიყო.

და მართლაც ოცნება რეალობად იქცა.

იხსენებდა რა ამ ხორცშესხმულ ოცნებასთან დაკავშირებულ ზეიმს, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რევაზ ვეფხვაძე აღნიშნავდა: „1995 წლის 1 სექტემბერი განსაკუთრებით სასიხარულო იყო ყოფილი პირველსკოლელებისათვის, რომელთა შორის ცოტანი როდი ვიყავით მემკვიდრეობით ამ სასწავლებელთან დაკავშირებულნი. მამა-პაპათაგან გადმოგვეცა მისი სიყვარული. გვეამაყებოდა, რომ აქ სწავლობდნენ ჩვენი შვილები, შვილიშვილები და ამ უკანასკნელთა შვილებიც... ახლა ვოცნებობ მშობლიური სკოლის ორასწლოვან იუბილის ზეიმში მონაწილეობაზეო“. (სამწუხაროდ არცთუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ბატონ რევაზს ეს ოცნება არ აუხდა).

1995 წლის 1 სექტემბერს ფრთაგაშლილი თეთრი გედის მსგავსმა მშვენიერმა შენობამ კარი გაუღო სკოლის აღსაზრდელებს. განახლებულ ბინაში დაბრუნებული სკოლის ზეიმზე მოსულები სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდნენ და მღელვარებას ვერ იოკებდნენ. თურმე, ამ სიხარულთან ერთად არც ისე იოლი ყოფილა ნგრევის, სიკვდილის, შურისძიების, გაუტანლობის წლების გახსენება.

ბუნებრივია, დიდი სიხარული წარსულის ტკბილ მოსაგონარსაც გაგახსენებს და ვაებასაც; მომავლისაკენაც იმედის თვალით გაგახედებს. ასე იყო ამჯერადაც. ქართველი კაცის მეხსიერებაში ასე ადვილად არ წაიშლება 1989 წლის 9 აპრილი, ან 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარი, 90-იანი წლების პირველ ნახევარში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული ტკივილი. 1995 წლის 1 სექტემბრის ზეიმის მონაწილე პირველსკოლელები და მათი აღმზრდელები ცრემლითა და ტკივილით იხსენებდნენ აფხაზეთში დაღუპულ თანასკოლელებს — ლევან აბაშიძეს, სერგო ბოკუჩავას, საშა იოსელიანსა და გიორგი მიროტაძეს. სამშობლოს ერთიანობისათვის შეწირული ამ ვაჟკაცების სახელები არასდროს ამოიშლება თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის მატიანიდან.

არც ნიკოლოზ ბარათაშვილისეული „გიმნაზიის ყვავილი“ ეძლევა დავიწყებას, როგორც სიმბოლო ჭირთადროინდელი მხნეობისა და დაუმორჩილებლობისა. ნათელი მომავლის რწმენის გამოხატულება იყო ისიც, რომ ამ ახალი დროის გაზეთსაც „გიმნაზიის ყვავილი“ უწოდეს და მის პირველ ნომერს „კლასიკური გიმნაზიის გაზეთი“ დაარქვეს. თუმცა თბილისის პირველი საშუალო

სკოლის გიმნაზიად გარდაქმნა ჯერ მხოლოდ სურვილი და ოცნება იყო, მაგრამ უეჭველად ასახდენი. ხომ ახდა ახალ შენობაში ახალი სასწავლო წლის 1995 წლის 1 სექტემბერს დაწყების სურვილი და ოცნება?! ისიც ბუნებრივია, რომ ამ ზეიმის დღეს გაიხსენეს 1881 წელი, როდესაც თბილისის პირველმა გიმნაზიამ საზეიმოდ აღნიშნა თავისი 50 წლისთავი. ეს გახსენება ის სამომავლო რწმენაც იყო, რომ თბილისის პირველი საშუალო სკოლა, უკვე პირველ კლასიკურ გიმნაზიად გარდაქმნილი, საზეიმოდ აღნიშნავდა სასწავლებლის არსებობის 200 წლისთავს, არც ისე შორეულად ეჩვენებოდათ ის დრო. ალბათ, მაშინაც წარმოუდგებოდათ ის სურათი, რაც დახატა ქალბატონმა ლიანამ „გიმნაზიის ყვავილის" კორესპონდენტთან საუბარში:

„1881 წელს ქაშუეთის ზარების რეკვით აღინიშნა გიმნაზიის 50 წელი. ცერემონიას ილია მიუძღოდა.

1995 წლის 1 სექტემბერი. ქაშუეთის ზარების გუგუნმა გვაუწყა განახლებული კლასიკური გიმნაზიის ახალი სასწავლო წლის დაწყება. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ქაშუეთის ზარების გუგუნით დიდი ილიას აჩრდილი კვლავ სკოლისაკენ გამოეშურა, დაიარა მისი კუთხე-კუნჭული და გულისტკივილით დაგვმოძღვრა:

— უფრო გიყვარდეთ ერთმანეთი, მეტად გაუფრთხილდით ერთმანეთს!"

თითქოს, მართლაც დიდი ილია მიუძღოდა განახლებული სკოლის შენობაში მოსწავლეებს, რომლებსაც ხვდებოდნენ თვალებგაბრწყინებული აღმზრდელები. სიხარულით იყვნენ აღვსილნი მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც, მშობლებიც და ზეიმზე მოსული სტუმრებიც.

თითქოს გუშინ იყო — გლოვის ცრემლი სდიოდათ ამ გავერანებული ტერიტორიის ერთ დროს გამამშვენიერებელ ტანწერწეტა, მაგრამ იმჯერად გადამწვარ ხეებს. თურმე, ხეებსაც სცოდნიათ ტირილი. დამწვარი ხეებიდან ჯერ კიდევ მომდინარე წვენი, მათ შემხედვარეთ, თითქოს გულში ცრემლად ეღვრებოდა.

ახლა კი, ზეიმზე მოსულთ გაწმენდილი დახვდათ სკოლის ბაღი, რომელსაც ალამაზებდა აჭარიდან ბატონ ასლან აბაშიძის მიერ გამოგზავნილი ნარგავები, ჯერ ნორჩები, მაგრამ ისინი მალე აიშოლტებოდნენ, მათზე შემომჯდარ თუ შებუდებულ ფრინველთა სტვენა-ჭიკჭიკსა და ჟღურტულს შეერთვოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი და კისკისი.

არა, ეს არ იყო აუხდენელი ოცნება, ამის ნამდვილად სჯეროდათ ზეიმზე მოსულთ. მოზეიმეთა ამ იმედიან განწყობას შეერწყა იქვე, შემაღლებულზე შესკუპული გაცისკროვნებული ყმაწვილის წკრიალა ხმა:

„რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!"

როგორ არ იყო საამური იმის განცდა, რომ სკოლამ ახალშეძენილ მომხიბლაობასთან, სილამაზე-მშვენიერებასთან ერთად, შეინარჩუნა როგორც მას-

წავლებელთა, ასევე მოსწავლეთა კონტინგენტი. ეს იყო არა უბრალო ბედნიერების, არამედ საკუთარი კოლექტივით მოგვრილი სიამაყის განცდა.

ლტოლვა თბილისის პირველი საშუალო სკოლისაკენ ყოველთვის დიდი იყო, იმ დროისათვის, მაინც, განსაკუთრებული. პირველ კლასში ჩაირიცხა 364 ბავშვი, რითაც რვა კლასი დაკომპლექტდა. სკოლის გარშემო ამ აჟიოტაჟს სკოლის დირექტორი ასე ხსნის:

— ჯერ ერთი, უარს ვერ ვეუბნებოდით მათ, ვინც სკოლის მშენებლობაზე დღე-ღამეს ასწორებდა და სურდა, რომ მათ შვილებსა და შვილიშვილებს აქ ესწავლათ. მეორეც, საზოგადოება თვლის, რომ ჩვენს სასწავლებელში სწავლა პრესტიჟულია. მართალია, აქ სწავლის მსურველი ყოველთვის ბევრი იყო, მაგრამ ამჯერად მოწოლა განსაკუთრებით დიდი გახლდათ. ამას თავისი გამართლებაც აქვს. რუსთაველზე აღმართული მშვენიერი შენობა, შესანიშნავი არქიტექტურა, მშვენიერი ვრცელი დერეფნები, ქართული აივნების მსგავსი ფართობები, სვეტები... ვფიქრობ, რომ ჩვენი სკოლისაკენ ლტოლვა ამანაც განაპირობა. ყველა მშობელს უნდა, შვილი აზიაროს სილამაზეს, სინატიფეს, თბილისის გულს... ყოველივე ამას ისიც ერთვის, რომ ჩვენს სკოლაში გაკვეთილის მაღალი კულტურა ყოველთვის იყო და არის. ეს სკოლის ტრადიციაა და მის შენარჩუნებას უმძიმეს პირობებშიც ვცდილობდით. მითუმეტეს დღეს... სკოლაზე „მოწოლის" გამაპირობებელი ისიც არის, რომ იგი თაობათა სკოლაა. მთელი დინასტიები სწავლობდნენ, სწავლობენ. თუნდაც პროფესორ გივი ჟორდანიასა და ელიზბარ ცისკარიშვილის მაგალითიც კმარა, რომლებმაც პირველ კლასში მეოთხე თაობა მოიყვანეს. მეოთხე კი არა, მეექვსე თაობაც კი სწავლობს ჩვენთან. ალბათ, არ ვცდები, თუ ვითვალისწინებ ჩვენი სკოლის ყოფილ მოსწავლეთა შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების მიღებას. ეს თაობათა ცვლა განსაკუთრებით მომხიბვლელია. ასეთი ოჯახებიდან მოსულ ბავშვებს მათი უფროსი და-ძმების ყოფნა ჩვენს სასწავლებელში უფრო დიდი სიყვარულით განაწყობთ სკოლისადმი. კიდევ ერთი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი: სკოლაში სწავლობს ორასამდე ლტოლვილი. გვყავს 5 ლტოლვილი პედაგოგი".

აი, რას წერს იმ დევნილ მასწავლებელთა სახელით ქალაქ სოხუმის მე-11 საშუალო სკოლის ბიოლოგიის ყოფილი მასწავლებელი რუსუდან გუნია:

„თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაზე მრავალი კარგი თქმულა და უფრო მეტი დაწერილა. ამ სკოლის განსაკუთრებულობაზე საუკეთესოდ მეტყველებს აქ აღზრდილ გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი პლეადა...

ჩვენთვის კი — ამ სკოლის პედაგოგებისათვის — ორმაგად ძვირფასია პირველი კლასიკური გიმნაზიის სახელი. ეს გასაოცარი შენობა ჩვენი მეორე სახლია. განსაკუთრებით ჩემთვის და ჩემისთანებისათვის. რამდენიმე წლის წინათ, ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა მე და ჩემი ბევრი კოლეგა, მრავალათასი-

ან იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადთან ერთად, სოხუმიდან თბილისში გამოგვრიყა. უსახლოდ და უნუგეშოდ დარჩენილებს ამ სკოლამ გაგვიღო კარი, გულწრფელად გვითანაგრძნო, გვერდში დაგვიდგა და გვაგრძნობინა, რომ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება აქაც სჭირდება მომავალი თაობის აღზრდის რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. თავი სრულფასოვან მოქალაქეებად ვიგრძენით. დღევანდელი ყოფით თავადაც გაჭირვებული და მძიმე მდგომარეობაში მყოფი პედაგოგები ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარენი გახდნენ. ჩვენი პრობლემების სიმძიმე სკოლის კოლექტივმა და მისმა დირექტორმა თანადგომით შეგვიმსუბუქა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ!

პირველი კლასიკური გიმნაზიის არსებობის ორასწლოვანი ისტორია ამ სკოლის მარადიულობის უტყუარი დასტურია.

ჩვენ განსაკუთრებით ბედნიერნი ვართ, რომ გიმნაზიის ორასი წლის იუბილეს ვხვდებით როგორც ამ სკოლის პედაგოგები!"[6].

ეს წერილი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ყოფაში თავისებურ ასახვას პოულობს საქართველოს ისტორიის ესა თუ ის მოვლენა. ამჯერად იგი მოწმე აღმოჩნდა XX საუკუნის 90-იანი წლების კიდევ ერთი ტრაგედიისა, რაც აფხაზეთთანაა დაკავშირებული.

ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი სკოლის პირველივე სასწავლო წელს, იყო აზრი, თხოვნაც კი, რომ სკოლა კლასიკური გიმნაზიის მოდელზე გადასულიყო. მაგრამ სკოლის დირექტორმა უარი განაცხადა, რადგან იგი თვლიდა, რომ სწავლების მეთოდები უნდა შესაბამებოდა სახელწოდებას. „მომავალი წლიდან, — აღნიშნა მან, — უკვე ვიქნებით გიმნაზია, სადაც ძირითადად ჰუმანიტარული საგნები შეისწავლება".

ახალ მოდელზე გადასვლას წინ უძღოდა XIX საუკუნის 30-იან წლებში გახსნილი თბილისის გიმნაზიის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. საჭირო იყო ძველის არა მექანიკური გადმოღება, არამედ თანამედროვე მოთხოვნების ყოველმხრივი გათვალისწინება. მარტო სურვილი არ კმაროდა. მართალია, სკოლის შენობა აღდგა, აღდგა ისეთი, რომ ავ თვალს არ შეეხედებოდა, მაგრამ ესეც როდი იყო საკმარისი. სწავლების გიმნაზიურ ფორმაზე გადასვლა კაბინეტ-ლაბორატორიების დროის მოთხოვნათა შესაბამის, სრულიად ახლებურ, უმაღლეს დონეზე მოწყობას მოითხოვდა. სწავლების გიმნაზიური მოდელი მიზანშეწონილად მიიჩნევდა კლასიკური ენების — ბერძნულისა და ლათინურის სწავლებას. ეს კი აუცილებელს ხდიდა მათი (და განა მარტო კლასიკური ენების) კაბინეტების მოწყობას, მისთვის არა უბრალოდ ოთახების გამოყოფას, არამედ მათი სათანადო აპარატურით, თვალსაჩინოებით, სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით აღჭურვას.

კიდევ რამდენი რამ იყო გასაკეთებელი! გასაგებია, რომ ამას, დროსთან ერთად, რაც მთავარია, სახსრები სჭირდებოდა. სახელმწიფო, რომელიც თვითონ

განიცდიდა დიდ სიძნელეებს, გასაგებია, რომ სკოლას სამყოფი სახსრებით ვერ უზრუნველყოფდა.

მოსკოვის მერია? — მან ისეც ბევრი გააკეთა სკოლისათვის. საჭირო იყო სხვა გზის გამონახვა... ამისათვის კი სკოლას დიდი ხნის არც ძებნა და არც ლოდინი დასჭირვებია... მას ადრეც არ აკლდა მეგობარი და თანამდგომი. იმ დღეებში კი, როდესაც დაკარგა საკუთარი ბინა, განიცადა უდიდესი ზარალი, როგორც მატერიალური, ასევე სულიერ-მორალური, დარჩა უწიგნოდ, უკაბინეტლაბორატორიოდ, უამრავი თანამგრძნობი და მეგობარი შეიძინა. ისინი სკოლას არ ივიწყებდნენ მას შემდეგაც, რაც ახალ შენობაში სწავლის დაწყების პირველი ზარი დაირეკა. გამოჩნდნენ ახლებიც. ყველა ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ, სკოლისათვის დახმარების ხელი გაეწვდინათ.

ასე, მაგალითად, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორმა ვახტანგ სართანიამ სკოლას 800 დოლარამდე გადასცა; ლევან კენჭაძემ ავტოინსპექციის სახელით — 4 ათასი დოლარი, მთაწმინდის რაიონის პოლიციამ — 700 დოლარი. მთაწმინდის გამგებელმა ზურაბ ბიბილეიშვილმა სკოლას შეუძინა როიალი. ცნობილმა მოქანდაკემ თენგიზ ღვინიაშვილმა სკოლას გადასცა ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე პუშკინის ბიუსტები. სკოლას დაეხმარნენ პირველსკოლელები: ალ. ფარულავა, მ. კიღურაძე, ლ. ლომინაშვილი, ეკა შანშიაშვილი და სხვები. ეკა აბაშიძისა და გია ყარყარაშვილის ოჯახმა სკოლას გადასცა ქართველი მხატვრის დიდი ტილო „ძველი თბილისი“. ხელდამშვენებული ეწვია სკოლას ცნობილი მხატვარი ნათელა იანქოშვილი, რომელმაც სკოლას სამახსოვროდ მიართვა რამდენიმე ნახატი და უძველესი როიალი, რომელზეც ქალბატონი ბაია ფუთურიძე ასე წერს: „ისეთი, მეფის კარს რომ დაამშვენებდა. რომელ ოჯახსა თუ დაწესებულებასაც მიართმევდა, ყველა სიხარულით მიიღებდა, მაგრამ მან ჩვენი გიმნაზია შეარჩია და ეს არჩევანი მისი სულის სიმაღლეზე, სიფაქიზესა და ყოველივეს სწორად შერჩევაზე მიუთითებს...“

სკოლას დიდი დახმარება გაუწია თბილისის კულტურის სამმართველომ ოთარ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. დირექციას მხარში ამოუდგა მშობელთა კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაცია-დაწესებულების წამოწყებას. სკოლის აღდგენის ფონდში პირველი შესაწირი შეიტანა პირველსკოლელმა ალეკო ფარულავამ. ისტორიული სამასწავლებლოს აღდგენაში სკოლას დიდი დახმარება გაუწია გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა.

საზოგადოებრიობამ მტკივნეულად განიცადა სკოლის დიდებული ბიბლიოთეკის განადგურება. ეს იყო ქართული კულტურის ენით აუწერელი დანაკარგი, და აი, ამ დროს გაზეთები „თბილისი“, „ივერია-ექსპრესი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, აგრეთვე სატელევიზიო პროგრამა „მაცნე“ აქვეყნებს გაზეთ „სამშობ-

ლოს" რედაქტორის პაატა ნაცვლიშვილის მოწოდებას პირველსკოლადამთავრებულებისადმი, შეეგროვებინათ ხუთი მილიონი კუპონი, რათა თბილისის პირველი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკისათვის შეეძინათ წიგნები. ყველა, ვინც ამ მოწოდებას გამოეხმაურებოდა, მიიღებდა გაზეთ „სამშობლოს" ბეჭდით დადასტურებულ ქველმოქმედის მოწმობას აღნიშვნით, თუ რა თანხა გაიღო. განისაზღვრა თანხის შეტანის დრო და საათები.

გაზეთ „ივერია-ექსპრესის" 1993 წლის 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა პაატა ნაცვლიშვილის წერილი „პირველი სკოლის ბიბლიოთეკისათვის", რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მიიტანა ბევრმა გულთან აღნიშნული მოწოდება.

ბატონი პაატა წერს: „ათმაგად დიდი მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც მოწოდებას გამოეხმაურა. მათი გულისხმიერებაც, მათი ქვეყნად არსებობაც ერთი იმედი და ნიშანია იმისა, რომ საქართველოს გადაშენება და გაცამტვერება არ უწერია. პირველი ცნობილი მსახიობი მერაბ ნინიძე (1982 წლის გამოშვება) გამოეხმაურა ავსტრიიდან. დათქმულ დროს, 12 საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა რედაქციაში დედამისი გვეწვია. ტელეფონით რომ ვსაუბრობთ, დაწვრილებით მეკითხება ხოლმე აქაურ ამბებს, — გვითხრა, — როცა პირველსკოლელებისადმი ამ მოწოდების ამბავი ვუთხარი, დედა, არ გამომტოვოო, შემეევედრა და მისი სახელით ოცდაათი ათასი კუპონი მოგართვითო". პ. ნაცვლიშვილის წერილი გვამცნობს, რომ გაზეთ „სამშობლოს" რედაქციას ეწვივნენ 1943 წლის გამოშვების თანაკლასელები: ლეილა სირაძე, დარეჯან სარჯველაძე, ციალა ბასიშვილი და გუგული მახარაძე — კოტე მახარაძის და, „კოტეც აუცილებლად მოვაო".

თავისი წვლილი შეიტანეს 1939 წლის გამოშვების პირველსკოლელებმა, ქალბატონმა ქეთევან შარაშენიძე-ციციშვილისამ და გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" რედაქციის გამგემ ბატონმა ზურაბ ბერიძემ.

1957 წელს სკოლადამთავრებულმა ჯანსუღ ნადირაძემ ქველმოქმედის მოწმობის მიღებისას განაცხადა: „ჩემი შვილებიც პირველსკოლელები არიან. შეიძლება, როგორღაც გამორჩათ თქვენი განცხადება და ხვალ იმათაც მოვიყვანო".

ბატონი პაატა განაგრძობს: „ლაშა თაბუკაშვილი (1967 წლის გამოშვება) რომ არ მოსულიყო, საკვირველი ის იქნებოდა.

ერთმა ჭარმაგმა მოქალაქემ დარეკა, თუ ხვალამდე მადროვებთ, ფულს ვისესხებ და აუცილებლად შემოვიტან ჩემს წილს, დღეს კი უნდა მაპატიოთ, სიგარეტის ფულიც არა მაქვსო!.."

იმდროინდელი ყოფით გამოწვეული უტრანსპორტობის გამო, ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან ფეხით უელია 1961 წლის კურსდამთავრებულ მანანა გუგუშვილს და, დაგვიანებისათვის ბოდიშის მოხდასთან ერთად, ოცი ათასი კუპონი გადაუცია.

მოწოდებას გამოეხმაურა საჯარო ბიბლიოთეკაც. საზღვარგარეთული ლიტერატურის განყოფილების გამგემ, პირველსკოლელმა ციალა ჩიკვაშვილმა (1947 წლის გამოშვება) აცნობა, რომ ბიბლიოთეკის დირექტორთან, აკაკი ძიძიგურთან შეთანხმებით გადაწყდა: დიდი რაოდენობა წიგნებისა საკუთარი გაცვლითი ფონდიდან პირველ სკოლას საჩუქრად გადასცემოდა.

ისრაელის მოქალაქემ, ებრაელთა მსოფლიო სააგენტო „სოხნუთის" წარმომადგენელმა საქართველოში, სოხუმში დაბადებულმა და გაზრდილმა იაკობ ეფრემაშვილმა, რომელსაც არ დაუმთავრებია თბილისის პირველი საშუალო სკოლა, განაცხადა: „პირველი სკოლა ნეტავ ისეთი მშვენიერი და ძლიერი მაჩვენა და არაფერს დავიშურებო".

არც „ვესტას" საგამომცემლო ცენტრის ხელმძღვანელს გია შავლაყაძეს დაუმთავრებია პირველი სკოლა, მაგრამ უანგაროდ დაბეჭდა საქველმოქმედო მოწმობები და ფონდში 40 ათასი კუპონი შეიტანა: „პირველი სკოლა მარტო პირველსკოლელების კი არ არისო!"

მოწოდებას გამოეხმაურნენ გივი მესხიშვილი (1950 წლის გამოშვება), ყოფილი მზიურელი ქეთევან ფირცხალავა (1980 წლის გამოშვება), ბატონ პაატას თანაკლასელი თეიმურაზ ცაგარელი (1969 წლის გამოშვება), ზაზა ტალახაძე (1980 წლის გამოშვება)... ასეთები არცთუ ცოტანი აღმოჩნდნენ. წერილის ავტორი გულითად მადლობას უხდის „ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა მოწოდება, ვისთვისაც ძვირფასია პირველი საშუალო სკოლის წარსული და მომავალი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი შვილების ბედი, ვინც მზად არის, თავად მოიკლოს, ოღონდ საერთო საქმეს შესძინოს რამე".

გაზეთ „სამშობლოს" რედაქციამ ასევე იკისრა, შეეკრიბა და სკოლის შენობის დასრულებამდე დაებინავებინა შემოწირული წიგნები.

სკოლადამთავრებულთა თუ სხვათა ფასდაუდებელი წვლილი სკოლის ბიბლიოთეკის აღდგენისათვის მარტო აღნიშნულ მოწოდებაზე გამოხმაურებით არ ამოწურულა. ახალ შენობაში პირველი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ყოფილმა პირველსკოლელმა, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორმა ჯემალ შანშიაშვილმა სკოლის ბიბლიოთეკას გადასცა ასევე პირველსკოლელის, თავისი ვაჟიშვილის, ტრაგიკულად დაღუპული გიორგი შანშიაშვილის პირადი ბიბლიოთეკა — 1870 წიგნი.

ყოფილმა პირველსკოლელმა, აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ სკოლის ბიბლიოთეკა შეავსო საკუთარი ნაშრომებით, ხოლო პროფესორმა რევაზ ჟორდანიამ — ქართველ, რუს და სხვა ბიოლოგთა ნაშრომებით.

პარლამენტარმა მიხეილ მაჭავარიანმა და მისმა ძმამ, ვანომ, მშობლიური სასწავლებლის ბიბლიოთეკას საოჯახო ბიბლიოთეკიდან ათასამდე წიგნი გადასცეს.

დიდია სასკოლო წიგნადი ფონდის შექმნისა და გამდიდრებისათვის ოქროს მედალზე სკოლადამთავრებულ ნინო ჯაფარიძის დამსახურება. ნინო,

გარდა შესანიშნავი სწაელისა, გამოირჩეოდა სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. იგი სკოლაში მოქმედი ინგლისური დრამწრის წევრი, უცხოელთა დელეგაციების მიღების მონაწილე იყო. მას მიაჩნია, რომ სკოლის დამსახურებაა ყველა ის სიკეთე, რასაც მან ცხოვრებაში მიაღწია. ამჟამად ამერიკაში სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტია. სტუდენტობის დროს ნინომ შექმნა სპეციალური ფონდი, ამერიკაში მყოფ ყოფილ პირველსკოლელებს, თანაკურსელ და იქ მცხოვრებ ქართველთა შორის შეგროვილი 75 ათასი დოლარის უნიკალური წიგნები ჩამოუტანა სკოლას. მისი მზრუნველობა მშობლიური სკოლისათვის ამით არ ამოიწურება. ამ მხრივ ნინო, საბედნიეროდ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. მშობლიურ სასწავლებელსა და მის პედაგოგებს დიდ დახმარებას უწევენ ამერიკაში მოღვაწე მიხა ჩხენკელი, ნინო ხეცურიანი, ირაკლი რეხვიაშვილი და სხვები. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის შექსპირის კაბინეტის მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანეს ირინე იაშვილმა და ნიკა შავიშვილმა.

ზემოთ აღნიშნულ შემოწირულობათა, უანგარო დახმარებისა და ზრუნვის შედეგია, რომ თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ბიბლიოთეკა ერთერთი საუკეთესოა არამარტო სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის.

სკოლის მეგობრებზე საუბრისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მოსკოვის მერიის შესახებ. ახალ შენობაში პირველი ზარიდან მეთხუთმეტე დღეს — 1995 წლის 15 სექტემბერს — სკოლას ეწვია მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი. იგი სკოლას კვლავაც დაპირდა დახმარებას. დღეს რომ სკოლა ტექნიკურად აღჭურვილია, გააჩნია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ამაში მოსკოველ მეგობართა, კერძოდ, იური ლუჟკოვის წვლილიც არის. აი, რატომაა, რომ მეორე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, მემორიალურ დაფაზე იკითხება იური ლუჟკოვის სახელი და გვარი, თუმცა მას ამ სკოლაში არ უსწავლია.

მეგობრობა კვლავაც გრძელდება.

ყოველ შობა-ახალ წელს მოსკოვის მერია თბილისელ გიმნაზიელებს საჩუქრებს უგზავნის. სკოლის შენობის აღდგენიდან მესამე წელს გიმნაზიას ეწვია მოსკოველთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: მოსკოვის მერიის განათლების დეპარტამენტის უფროსი ლიუბოვ კეზინა, მისი მოადგილე ჰენრიხ კუზნეცოვი, ცენტრალური ოლქის განათლების სამმართველოს უფროსი ევგენი პოტაპოვი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქის განათლების სამმართველოს უფროსი გალინა გაბუნია და მოსკოვის ქართული გიმნაზიის დირექტორი ლინა კერესელიძე. მას შემდეგ ლ. კეზინა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიას საჩუქრებით ხელდამშვენებული რამდენჯერმე ეწვია. საჩუქრები, ძირითადად, ნაწილდება იძულებით გადაადგილებულთა და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებზე.

დიდია ამ საჩუქართა მნიშვნელობა, — აღნიშნავს ქალბატონი ლიანა შეწირული. — ეს არის გულწრფელი გამოხატულება იმ ყურადღებისა, რასაც იჩენენ ჩვენდამი მოსკოველი მეგობრები. ამ კავშირურთიერთობამ თითოეულ ჩვენგანში კიდევ უფრო განამტკიცა რწმენა, რომ არ არსებობს დაუძლეველი სიძნელე, აუსრულებელი მიზანი, როდესაც გრძნობ, რომ მარტო არა ხარ, მეგობრობითა ხარ ძლიერი. ეს რწმენა მომავალ წარმატებათა საწინდარია.

5. ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის

§ 1. ძველი სასახელო ტრადიციების ერთგულება ახლის საფუძველია

როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მოვლენამ თავისებური ასახვა ჰპოვა სკოლის ისტორიაში. განსაკუთრებით მძიმე იყო 90-იანი წლების პირველი ნახევარი, როდესაც სკოლა შეხიზნული იყო ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სხვათა შენობებში. განსაკუთრებით უჭირდათ ორ ცვლაში მომუშავე პედაგოგებს. უტრანსპორტობის გამო, ფეხით 10-15 კილომეტრის გავლა უხდებოდათ, რათა ცხრილის მიხედვით გაკვეთილზე დროულად მისულიყვნენ. უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ პედაგოგები, რომლებიც თბილისის განაპირა უბნებში ცხოვრობდნენ. მათ დამატებით 10-12 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. არც მშობელთა კომიტეტსა და მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰქონდა ძველებურად ნაყოფიერი მოღვაწეობის საშუალება. სკოლას საკუთარი არც საკლასო ოთახები, არც ბიბლიოთეკა, არც კაბინეტ-ლაბორატორია გააჩნდა. ფაქტობრივად, აღარ მოქმედებდა „გიმნასიონი". მიუხედავად ყოველივე ამისა, სკოლის კოლექტივი მაინც ცდილობდა, შეენარჩუნებინა ის სასახელო ტრადიციები, რითაც ცნობილი იყო სასწავლებელი. პირველ რიგში, შენარჩუნებულიყო გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარების ტრადიცია, ამავე დროს, შექმნილიყო საფუძველი მომავლისათვის, როდესაც, უკვე საკუთარ შენობაში გადასვლის შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა როგორც ძველი ტრადიციების სრულყოფილი აღდგენა და განვითარება, ასევე ახლის საფუძველჩაყრა.

ახლის საფუძველჩაყრას კი აღდგენილ, ფაქტობრივად ახალ შენობაში სკოლის გადასვლისთანავე მიეცა დასაბამი. ამ დასაწყისის პირველი მერცხალი იყო 1996 წლის იანვარში გაზეთის გამოსვლა ნიკოლოზ ბარათაშვილის დროინდელი ჟურნალის „გიმნაზიის ყვავილის" სახელწოდებით. მითითება, რომ იგი

არის „კლასიკური გიმნაზიის გაზეთი“, უკვე იმაზე მიანიშნებდა, რომ შორს არ იყო დრო, როდესაც სკოლა გადავიდოდა გიმნაზიის მოდელზე და მისთვის მუშაობა მთელი ძალისხმევით მიმდინარეობდა. ერთი თვის შემდეგ გამოვიდა კიდევ ერთი გაზეთი „მომავალი ჩვენია!“ მითითებით, რომ იგი არის „თბილისის კლასიკური გიმნაზიის პირველი სასკოლო გაზეთი“. სახელწოდების ქვეშ აღნიშნულია: „ნომერი ეძღვნება საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაციის — „საქართველოს ახალგაზრდობის სამშვიდობო-კულტურული ხიდები მსოფლიოს ყველა ეროვნების, მრწამსისა და რწმენის ახალგაზრდობასთან“ — მიერ ჩატარებულ კონკურსს თემაზე: „შემწყნარებლობა“. გაზეთის პირველი ნომერიც სწორედ ამ კონკურსის შედეგებს მიეძღვნა.

უკვე ეს აღნიშვნა მეტყველებს 1994 წლის 7 აპრილს დაარსებული ასოციაციის მთავარ მიზანზე, რაზეც თვით გაზეთში კონკრეტულად არის საუბარი. ორიოდ სიტყვით ეს მიზანი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გაერთიანება კულტურული გზებით, მშვიდობიანი, უკონფლიქტო ცხოვრებისათვის, სოციალური ყოფის გასაუმჯობესებლად.

ასოციაციის შექმნის იდეის ავტორი იყო თბილისის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ტრაგიკულად, უდროოდ დაღუპული გიორგი შანშიაშვილი, ხოლო პრეზიდენტი — გიორგის და ეკა შანშიაშვილი.

ასოციაციამ მთავარი მიზნის მისაღწევად დასახულ ღონისძიებებში თავიდანვე განსაზღვრა მსოფლიო ახალგაზრდობის შეხვედრების, სემინარების, კონკურსების, ფესტივალების, სიმპოზიუმების მოწყობა დევიზით: „ყველაფერი, რაც გაგვაერთიანებს, გაგვაძლიერებს...“

გაზეთები „გიმნაზიის ყვავილი“ და „მომავალი ჩვენია“ XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრის პირველსკოლელებს XIX საუკუნის 30-იანი წლების პირველი ნახევრის თბილისის პირველგიმნაზიელების, სოლომონ დოდაშვილის იდეებზე აღზრდილთა მრწამსის, პატრიოტული სულისკვეთებისა და შემართების ღირსეულ მემკვიდრეებად წარმოგვიდგენს. ამ სულისკვეთების გამომხატველია „გიმნაზიის ყვავილში“ დაბეჭდილი მესამეკლასელ ბესიკ მეტონიძის ლექსი „პირველი სკოლა“. ფიცივით გაისმის ლექსიდან ეს სიტყვები:

„დაგანგრიეს, გაგასწორეს მიწასთან,
მტრის ჯიხაზე კვლავ გაისმა ზარი,
არვის მივცემთ ახლა იმის უფლებას,
რომ გაგიჩნდეს თუნდაც ერთი ბზარი“.

ან რამდენი განცდის, გრძნობის დამტევია ეს სტრიქონები თხუთმეტიოდე წლის მაგდა კოტრიკაძის ლექსიდან:

„სისხლის ფასად რწმენის დაცვა მოგვდგამს,
სისხლის ფასად ეკალში ვარდს ვეძებთ,
სისხლის ფასად უკვდავ ძეგლებს ვიცავთ,
სისხლის ფასად ვევედრებით ღმერთებს.
თუ განგება არ გვასვენებს მაინც
და სატანა თავს გვახსენებს ხშირად,
ბედისწერას დავაჩოქებთ ნამით,
სისხლის ფასად დავიბრუნებთ მიწას“.

მერვეკლასელებს გამოუშვიათ ხელნაწერი გაზეთი, რომლისთვისაც სახელწოდებად მიუციათ გიორგი ლეონიძის ცნობილი სიტყვები: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები!“ უკვე ესეც ნათელყოფს სულისკვეთებას, რითაც გამსჭვალული იყო გაზეთი. ეს სულისკვეთება გამოიხატა ეკა კიკალეიშვილის ამ სტრიქონებშიც:

„შენს სიახლოვეს ვნატრობ ყოველ წამს,
სკოლავ დიადო, მუდამ უდრეკო.
შენ, თილისმაო საქართველოსი
და სალოცავო კერპო ძლიერო“.

სკოლისადმი უსაზღვრო სიყვარული აისახა იმ მილოცვებშიც, რომლებიც დაიბეჭდა „გიმნაზიის ყვავილში“ სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეების, ცალკეული მასწავლებლის მისამართით შობა-ახალ წელთან დაკავშირებით.

როგორც ითქვა, გაზეთის „მომავალი ჩვენია!“ პირველი ნომერი მიეძღვნა ასოციაციის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგებს. კონკურსი 1995-1996 სასწავლო წლისათვის გამოცხადდა თბილისის პირველი საშუალო სკოლის VII-XI კლასელთათვის. თუმცა კონკურსზე დაშვებული 59 მოსწავლიდან სამი მეექვსეკლასელი იყო. კონკურსის შედეგად I პრემია მოიპოვა მერვეკლასელმა თეონა ჭინჭარაულმა, II — მეცხრეკლასელმა ეკა ფანგანმა, III — მერვეკლასელმა დავით ტაბატაძემ. წამახალისებელი პრემიები მიეკუთვნა ნათია მიქელაძეს (IX კლასი). მეთერთმეტეკლასელ ოთარ თოფურიძეს გადაეცა სპეციალური პრიზი — სვიტერი ასოციაციის ემბლემით.

თუ რა შთაბეჭდილება დატოვა კონკურსმა, ამაზე ნათლად მეტყველებს ფილოსოფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, აწ გარდაცვლილის, აკადემიკოს ნიკო ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები: „მეგონა, შურიანი კაცი არ ვიყავი, მაგრამ მშურს ამ ბავშვების, რომლებმაც ჩვენზე კარგად იციან, რა არის შემწყნარებლობა. ღმერთსა ვთხოვ, ჩვენ, ძველმა თაობამ, არ შევუშალოთ ხელი და ეს ბავშვები დარჩნენ ასეთი სუფთები და კარგები, როგორებიც არიან“.

კონკურსი სკოლის ახალაშენებულ შენობაში ჩატარებული პირველი დიდი ღონისძიება იყო, რაც შემდგომ წლებში არანაკლებ საინტერესო და ღრმაშინაარსიან წამოწყებათა ფეხბედნიერი მეკვლე აღმოჩნდა. ეს იყო მართლაც დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომლითაც წავიდა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, აღდგა მრავალი ტრადიცია, რომლის განვითარება შენობის დაწვამ შეაფერხა. აღდგენილმა ტრადიციებმა სრულიად ახალი შინაარსობრივი დატვირთვა მიიღო. ამავე დროს, დასაბამი მიეცა ახალ წამოწყებებს.

მთავარი ის არის, რომ გიმნაზიაში ისევ არსებობს ორასი წლის მანძილზე შექმნილი და დანერგილი ტრადიციები და მათი შემდგომი განვითარების, გაღრმავების საფუძველზე ინერგება ახალი. ეს ტრადიციები ერთი ნაკადია იმ სულიერი მასაზრდოებელი წყაროსი, რომელზეც იზრდება მომავალი თაობა.

აღდგა იმ ადამიანთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნის ტრადიცია, რომლებმაც ეს სასწავლებელი დაამთავრეს და თავისი მოღვაწეობით აღმზრდელი სასწავლებელიც, სამშობლოც და მშობელი ხალხიც ასახელეს. ტრადიციული გახდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა სასიქადულო ადამიანთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ღონისძიებები არ იმეორებს ადრინდელს, ყოველთვის სიახლის შემცველია. ასე, მაგალითად, ტრადიციად ქცეულ დიდი ილიას დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის დამადასტურებელია უკანასკნელ წლებში ჩატარებული ორი ღონისძიება. ერთერთ მათგანს „ვლადიკავკაზიდან თბილისამდე" ეწოდებოდა. ღონისძიების მონაწილეებმა „მგზავრის წერილების" ავტორის ფიქრების კვალდაკვალ სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტიდან განვლეს კარგად მოფიქრებული მარშრუტი. ბოლო პუნქტი იყო თბილისი, სადაც ბევრია ილიასეული ადგილი, მაგრამ „მოგზაურებმა" განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიას, სადაც დიდი ილია სწავლობდა. როგორც პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა აღნიშნა, ღონისძიების გიმნაზიით დამთავრებას, ისიც ასე კარგად მოფიქრებული და შესრულებული ფინალით, სულ სხვა ხიბლი ჰქონდა.

ვინც ამ ორიოდე წლის წინათ ილიასადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ღონისძიებას დაესწრო, არასოდეს დაავიწყდება კახა მელითაურის სცენარითა და მისივე რეჟისორობით წარმოდგენილი სანახაობა მოსწავლეთა შესრულებით. მათ მსმენელამდე გულში ჩამწვდომად მიჰქონდათ დიდი ილიას აზრები პუბლიცისტური თუ მხატვრული თხზულებებიდან. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანთებული სანთლებით ილიას წინაპრების წარდგენამ. მათ დამსწრეთ მოუთხრეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იმ ბრძოლებზე, სადაც თვითონ დაიღუპნენ. ეს ღონისძიება ნათელს ხდიდა იმ უდრეკ ძალას, რაც მიიღო დიდმა ილიამ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ასევე აღდგა გიმნაზიის სახელოვან მასწავლებელთა იუბილეებისა და ხსოვნის აღნიშვნის ტრადიცია. რომ იტყვიან, არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. ერთი ასეთი დასამახსოვრებელი საღამო მიეძღვნა დიდებულ პედაგოგს ბაბო მჭედლიძეს, როდესაც აღინიშნა მისი დაბადებიდან 100 წლისთავი.

ბაბო მჭედლიძეს მრავალი წლის მანძილზე მოსწავლეები შეჰყავდა ქართული ლიტერატურის დამატყვევებელ სამყაროში. იგი ბრწყინვალე მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე, მოსწავლეებს ჩვენი ლიტერატურის სიდიადე კარგად რომ შეეცნოთ, შედარებისათვის მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის შედევრებს მოიშველიებდა. ბაბო მჭედლიძემ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი". როგორც მოგონებათა ავტორები აღნიშნავენ, არაფერი სჯობდა იმის მოსმენას, როდესაც ქალბატონი ბაბო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემიდან ადგილებს კითხულობდა. „ეს უბრალო წაკითხვა კი არა, ნამდვილი გალობა იყოო". ბაბო მჭედლიძისადმი მიძღვნილ საღამოზე მისული მისი ნამოწაფრები, იმდროინდელი მასწავლებლები, ახლობლები, ლიტერატორები იხსენებდნენ მისი გაკვეთილების მრავალფეროვნებას, რაც, ნამდვილ აკადემიურობასთან ერთად, დროდადრო მშვენიერი იუმორით ხასიათდებოდა. გაიხსენეს, თუ როგორ ამზადებდა დიდი ილიასა და სხვა კლასიკოსთა საღამოებს. ქალბატონ ბაბოს სკოლასთან კავშირი პენსიაში გასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია. იგი სკოლაში მიდიოდა ლიტერატურული ამბებით, სადისკუსიო მასალებით, თეატრალური თუ მუსიკალური სიახლეებით დახუნძლული...

კიდევ ბევრ აღდგენილ ტრადიციაზე შეიძლება საუბარი. ერთ-ერთი ასეთია „პუშკინის საათის" ჩატარება. იგი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში 1974 წლიდან დაიწყო, შემდეგ შეფერხდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების გამო. სკოლის აღდგენილ შენობაში სწავლის დაწყების დღიდან გაიშალა საქმიანობა ამ ტრადიციის აღსადგენად, რა თქმა უნდა, მასში აქტიურად ჩაებნენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. „პუშკინის საათის" ჩატარებისათვის სასწავლებელში ადრე დიდი სამზადისი იყო და დღესაც ასე გრძელდება. ღონისძიება ყოველთვის მრავალფეროვანია. მას პირველი ღონისძიებიდან დღემდე ხელმძღვანელობს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სვეტლანა ფანგანი, სისტემატურად ესწრებიან რუსეთის საელჩოს, საქართველოში სტუმრად მყოფი რუსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რუსული ენისა და ლიტერატურის მეცნიერ-სპეციალისტები.

პირველსკოლელები ერთხელ კიდევ გამოხატავენ მადლიერების გრძნობას მოსკოვის მერიისადმი, რომელმაც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა სკოლის შენობის აღდგენაში. ამ მადლიერების გამოხატულებას წარმოადგენს სკოლაში ჩატარებული ცნობილი რუსი მწერლის ალექსეი ტოლსტოის დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 120 წლისთავის, დიდი რუსი გამო-

მგონებლის კონსტანტინე ციოლკოვსკის დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 60 წლისთავების, ასევე მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

მსგავსი ღონისძიებების ტრადიციული ჩატარება კიდევ უფრო ამტკიცებს მოსკოველ მეგობრებთან პირველსკოლელთა ურთიერთობას. 1997 წლის სექტემბერში თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის წარმომადგენლებმა, მოსკოვის მერიის მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში. ასევე მოსკოვის მერიის მიწვევით, გიმნაზია მონაწილეობდა კონკურსში „1999 წლის საუკეთესო სკოლა“, მოსკოვის ზოგიერთ სკოლასთან ერთად გაიმარჯვა და შესაბამისი დიპლომითაც დაჯილდოვდა.

2002 წლის გაზაფხულზე ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მოსკოვის მერიის განათლების დეპარტამენტის დელეგაცია ქალბატონ ლ. კეზინას ხელმძღვანელობით პირველად ეწვია თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიას. მას შემდეგ მეგობრული კავშირურთიერთობა კიდევ უფრო მტკიცდება და ვითარდება.

§ 2. მეცნიერებთან კავშირში

1991-1992 წლების მოვლენათაგამო სხვადასხვა შენობებში განთავსებულ სასწავლო კლასებთან „გიმნასიონის“ ყოფილი წევრები მაინც ახერხებდნენ ურთიერთობას. სკოლის კოლექტივთან მეცნიერთა ამ უწყვეტი კავშირის ერთერთი გამოხატულება იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც წინ უსწრებდა საკუთარ შენობაში სკოლის გადასვლას. 1994 წელს თბილისის პირველი საშუალო სკოლა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) ასოცირებული წევრი გახდა. ბუნებრივია, რომ ამჟამად მისი წევრია სკოლის ბაზაზე შექმნილი თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია. სკოლამ (გიმნაზიამ) აირჩია პროექტი, რომელიც საქართველოს (ზოგადად მსოფლიოს) ეკოლოგიურ პრობლემებს ეხება. მოსწავლეთათვის ეკოლოგიური ცოდნის გადასაცემად გაშლილ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩაბმულნი ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა საბუნებისმეტყველო დარგების, აგრეთვე ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლები. მათ ეხმარებიან უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ორგანიზაცია-დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ თანამშრომლები. სკოლის პედაგოგთა და მეცნიერთა თანამშრომლობით გიმნაზიაში შექმნილია ეკოლოგიური კლუბი.

„იუნესკოს“ საქართველოს ეროვნული კომისიის ინიციატივით, ეკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დონის კონფერენციები გიმნაზიაში იხსნება. კონფერენციის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს, მათ შორის, საქართველოს ცნობილ ადამიანებს — სახელმწიფო მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების, საერთოდ კულტურის მუშაკებს თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია მასპინძლობს. კონფერენციების მონაწილეთა მოხსენებები სინქრონულად ითარგმნება, რასაც, ინგლისური ენის მასწავლებლებთან ერთად, გიმნაზიის მოსწავლეებიც ახორციელებენ.

აღნიშნული მოხსენებების სინქრონულ თარგმნაში მონაწილეობა მოსწავლეთაგან მოითხოვს არა მარტო ენის კარგ ცოდნას, არამედ თვით ეკოლოგიის საკითხებში გარკვევასაც. ეს იმას მოწმობს, რომ ინგლისური ენის მასწავლებლებსაც სათანადო წვლილი შეაქვთ ეკოლოგიის ცოდნით მოსწავლეთა აღჭურვაში. თავისთავად, ეს იმის შედეგიცაა, რომ გიმნაზიის საქმიანობაში ჩვეულებრივ ამბად იქცა, როდესაც ესა თუ ის საგნობრივი მეთოდკომისია თუ წრე სცილდება თავის სპეციფიკურ ჩარჩოებს და ეხმაურება პრობლემებს, რაც, თითქოს, მის ინტერესთა სფეროს არ ეხება. ასე, მაგალითად, ფიზიკის მეთოდგაერთიანების კომისია სერიოზულ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიის აქტუალური საკითხების განხილვას. როგორც ქალბატონი ლეილა კუხალეიშვილი აღნიშნავს, ფიზიკოსებს ეკოლოგიაზე მდიდარი მასალა მოეპოვებათ, მაგრამ მისი საგანთან დაკავშირება მეტად რთულია. გიმნაზიის ფიზიკის მასწავლებელთა დამსახურებაა, რომ ფიზიკის საგნობრივი წრის წევრი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ეკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციებში. საგანთა შორის კავშირი სწავლის საფუძველია.

ეკოლოგიური კლუბის საქმიანობაში ჰუმანიტარული საგნების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეთა აქტიურ ჩაბმას ადასტურებს ზემოაღნიშნულ კონფერენციებში მათი წარმატებითი მონაწილეობაც. ასე, მაგალითად, საერთო მოწონება დაიმსახურა ლიტერატურული წრის წევრის მიერ დამუშავებულმა თემამ: „მწერლის თვალით დანახული ეკოლოგიური პრობლემები“.

ეკოლოგიური პრობლემების არსში ღრმად გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა შეხვედრებს გამოჩენილ მეცნიერებთან ბორის ყურაშვილთან, რევაზ ჟორდანიასთან, ირაკლი ელიავასთან, დევი უგრეხელიძესთან, არნოლდ გეგეჭკორთან და სხვებთან, მათ მიერ ლექცია-საუბრების ჩატარებას.

სასკოლო ღონისძიებებში პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობამ სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო ახალ შენობაში სკოლის გადასვლის შემდეგ. პირველივე სასწავლო წელს, 1996 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ღონისძიება, რაზეც მოგვითხრობს გაზეთ „თბილისის“ 23 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ინეზა ლეკვეიშვილის კორესპონდენცია „გაკვეთილზე პროფესორები შევიდნენ“.

სკოლას ეწვივნენ საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიის ნამდვილი წევრები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები: რევაზ ბარამიძე, ჯონდო ბარდაველიძე, ოთარ ბაქანიძე, ტარიელ კვანტალიშვილი, დავით ლაშქარაძე, ლევან მენაბდე, გიორგი მერკვილაძე, ნოდარ ტაბიძე, ალექსანდრე ღლონტი, ზურაბ ჭარხალაშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ოთარ ჭურღულია, აკაკი ხინთიბიძე. მათთან ერთად სკოლას ეწვია პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ცნობილი მეცნიერი და ჰომეროსის შესანიშნავი მთარგმნელი, ან გარდაცვლილი პროფესორი რომან მიმინოშვილი.

ისინი მოსწავლეებს ესაუბრნენ წინაქრისტიანულ ლიტერატურაზე, ქართულ ფოლკლორზე, თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა თანამედროვე პრობლემებზე, ევროპეიზმზე ქართულ ლიტერატურაში, რუსთაველის ადგილზე მსოფლიო ლიტერატურაში, მეოცე საუკუნის რომანზე, ქართული ჟურნალისტიკის თანამედროვე პრობლემებზე, დედაენაზე ოჯახსა და სკოლაში, ევროპულ ლიტერატურაზე ქართულ სკოლაში, ქართულ რომანტიზმსა და რეალიზმზე, ლექსის წარმოშობაზე და სხვ.

გაკვეთილების შემდეგ სამასწავლებლოში შეიკრიბნენ სტუმარ-მასპინძლები. მეცნიერებმა სკოლის ბიბლიოთეკას გადასცეს ავტოგრაფებით დამშვენებული საკუთარი და ქართული ეკლესიის კვლევის ფონდის მიერ გამოცემული წიგნები.

ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტმა ლევან მენაბდემ განაცხადა: „ერთ აკადემიურ საათში ყველაფრის თქმა და მოსწრება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მაგრამ არა უშავს. ჩვენი დღევანდელი სტუმრობა მხოლოდ ეპიზოდად როდი დარჩება. კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება, იმიტომ კი არა, რომ თქვენ ჩვენთან ტერიტორიულად ახლოს ხართ, არამედ, იმიტომ, რომ ეს პირველი სკოლაა, მთელს რესპუბლიკაში გამორჩეული სასწავლო დაწესებულება...“

სკოლის დირექტორმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა სტუმრებს საოცარი სულიერი საზრდოს მიწოდებისათვის.

რა სულიერ საზრდოს აძლევდნენ მოსწავლეებს „ახალი გიმნასიონელები“, ამაში დარწმუნება შეიძლებოდა იმ გაკვეთილებითაც, რაც ჩაუტარა მათ ქართულ ენაში ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბესარიონ ჯორბენაძემ. ეს ის ბესიკ ჯორბენაძეა, რომელიც რიგის უნივერსიტეტში გაიგზავნა ლატვიური ენის შესასწავლად. მისმა სტუდენტობისდროინდელმა ნაშრომმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ ხელმძღვანელმა პროფესორმა ურჩია, განეგრძო თემაზე მუშაობა და ბ. ჯორბენაძე, ჯერ ისევ სტუდენტობისას, ამუშავებდა სადისერტაციო თემას. უკვე სახელმოხვეჭილი ენათმეცნიერი თავის მშობლიურ სასწავლებელში მოსწავლეებს გაკვეთილებს უტარებდა და მერე როგორ: თურმე საინტერესო, მომხიბვლელი შეიძლებოდა ყოფილიყო თითქოს „მშრალად“ აღიარებული გრამატიკის სწავლება.

სასკოლო ღონისძიებებში მეცნიერთა მონაწილეობამ, მათმა ორგანიზატორულმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო სისტემატური, მიზანდასახული, გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო „გიმნასიონის" ოფიციალური აღდგენის შემდეგ, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღეს „გიმნასიონის" დაარსების 20 წლისთავზე — 1997 წელს, ზუსტად 19 აპრილს. აღდგენის ცერემონიალში მონაწილეობდნენ „გიმნასიონის" პირველდამფუძნებლები: ვახტანგ ბერიძე, ნინო ჯავახიშვილი, გივი ჟორდანია, ვახტანგ პარკაძე, ვახტანგ მოსიძე, კობა იმედაშვილი, ალექსანდრე გვახარია, სოსო ცისკარიშვილი, არნოლდ გეგეჭკორი და სხვები.

„გიმნასიონი" აღდგა მუშაობის ახალი ფორმით, თუმცა შინაარსი იგივე დარჩა. „გიმნასიონი", ანუ „მცირე აკადემია", როგორც მას ხშირად უწოდებენ, გადაიქცა „საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის კლუბად". მაგრამ ეს არ არის უბრალო შეხვედრები. სინამდვილეში ეს არის გიმნაზიის კოლექტივისა და მეცნიერთა ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობა. თუმცა „გიმნასიონი" ოფიციალურად 1997 წელს აღდგა, მაგრამ მან მუშაობა მანამდე ორი წლით ადრე განაახლა. განვლილი შვიდი წლის მანძილზე „გიმნასიონის" წევრებმა, როგორც მეცნიერებმა, ასევე გიმნაზიის მასწავლებლებმა და უფროსკლასელმა მოსწავლეებმა ერთობლივად იმდენი საინტერესო, ღრმაშინაარსიანი ღონისძიება ჩაატარეს, რომ მათი არამცთუ შინაარსობრივი გაანალიზება, არამედ უბრალო ჩამოთვლაც კი ძნელი იქნებოდა. მეცნიერთა და გიმნაზიელთა ურთიერთთანამშრომლობაში არაერთი სიახლე ინერგება. თუ ადრე ურთიერთობა მყარდებოდა უმთავრესად ცალკეულ მეცნიერებთან, ამჯერად მყარდება მეცნიერთა კოლექტივებთან, იქნება ეს უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტები, კათედრები თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მათი ცალკეული განყოფილებები. ამ კავშირურთიერთობის შედეგია ის, რომ თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიას აქვს თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი შესანიშნავი კაბინეტ-ლაბორატორიები და იქ მეცადინეობები მაღალ დონეზე ტარდება.

გიმნაზიის კოლექტივთან მეცნიერთა თანამშრომლობის ნიმუშია თუნდაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ურთიერთობა. ეს ინსტიტუტი, უწინარეს ყოვლისა, მისი დირექტორი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი საქართველოში ახალი ბერძნული ენის შესწავლის თაოსანი გახლავთ. საბერძნეთის საელჩომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივად შეიმუშავეს პროგრამა „ბერძნული ენა ქართულ სკოლაში", რასაც საბერძნეთის უნივერსიტეტი „ეაპოე" აფინანსებს და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზემოთ დასახელებული ინსტიტუტი კურირებს. ამ პროგრამით, ამჟამად საქართველოს ორ ათეულზე მეტ სკოლაში ისწავლება ახალი ბერძნული ენა. მისი შესწავლა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში 1998 წლიდან დაიწყო.

მასწავლებლებად მიიწვიეს აღნიშნული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი.

როდესაც გადაწყდა ამ ენის სწავლება, შიშობდნენ, რომ გიმნაზიაში, სადაც უკვე ისწავლებოდა რამდენიმე უცხო ენა, ახალი ენის სწავლებას დიდი მხარდაჭერა არ ექნებოდა. მოხდა კი პირიქით, ქალბატონი ლიანა შეწირულის თქმით, მოსწავლეებს უცხო ენებიდან ისე არც ერთი არ გაუთავისებიათ, როგორც ახალი ბერძნული ენა. გიმნაზიის დირექტორი ამას საბერძნეთის ისტორიითა და კულტურით მოსწავლეთა დაინტერესებით ხსნის, რასაც უკავშირებს ისტორიული სამასწავლებლოს კედლების შესანიშნავ მოხატულობას, რომელიც ასახავს ძველი საბერძნეთისა და რომის არქიტექტურის ზოგიერთ ნიმუშსა და ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟებს.

ჯერ კიდევ ნიკოლოზ კიკვაძის თაოსნობით, სამასწავლებლოს კედლებზე მოხატულ ფრესკებზე, რაც ანტიკური პერიოდის დიდებულ ხელოვანთა შედევრების რეპროდუქციას წარმოადგენდა, მასწავლებლებს ესაუბრა ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი ლალი გაფრინდაშვილი. მსმენელები გაეცნენ არა მარტო ამ ფრესკების არსს, არამედ მათი ავტორების ცხოვრება-მოღვაწეობას... მაგრამ ამ ღონისძიებას მაშინ არ მიუღია ფართო განვითარება. ქალბატონ ლიანას გადაწყვეტილებით, საუბრების ჩატარება განზრახული იყო კლასების მიხედვით. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ერთი პიროვნებისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ საუბრების მომზადება დაევალათ კლასის ხელმძღვანელებს, ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ამასთანავე, გადაწყდა უფროსკლასელი მოსწავლეებისაგან „ექსკურსიამძღოლების“ — „გიდების“ მომზადება უმცროსკლასელთათვის ფრესკების გასაცნობად. განზრახულის განხორციელებას ხელი შეუშალა 1991-1992 წლების ტრაგედიამ, რომელმაც სკოლის შენობასთან ერთად, შესანიშნავი ფრესკებიც იმსხვერპლა. სკოლის შენობის აღდგენის შემდეგ, გაერთიანებული ქართული ბანკის დაფინანსებით, მხატვარ ჯონი ახობაძის ჯგუფმა აღადგინა სამასწავლებლოს კედლების მოხატულობა. მოსწავლეები იმდენად დააინტერესა და გაიტაცა ანტიკური სამყაროს კულტურისა და ამ შესანიშნავი ფრესკების შესახებ საუბრებმა, რომ V-VII კლასელებმა, სათანადო კოსტიუმებში გამოწყობილებმა, ოლიმპოს ღმერთები და ანტიკური მითოლოგიის გმირები წარმოადგინეს. ნათლად გამოჩნდა, თუ რამდენად ღრმად ჩაწვდნენ მოსწავლეები ძველი მსოფლიოს ისტორიას, ანტიკურ კულტურას.

მოსწავლეებმა ანტიკური ეპოქის, განსაკუთრებით ძველი საბერძნეთის უკეთ გასაცნობად სათანადო ლიტერატურის, თანაც ბერძნულ ენაზე წაკითხვის სურვილიც გამოთქვეს. ამიტომ მათ ხალისით დაიწყეს ახალბერძნული ენის შესწავლა. მათ უფასოდ დაურიგდათ ახალბერძნული ენის სახელმძღვანელოები, ზემოაღნიშნული ინსტიტუტის გამომცემლობა „ლოგოსის“ მიერ გამოშვე-

ბული წიგნები. მოეწყო ბერძნული ენის კაბინეტი საკუთარი ბიბლიოთეკით, უმშვენიერესი ხედების სურათებითა და აუდიოტექნიკით.

2000 წლის 22 იანვარს მეოთხე-მეხუთე კლასელმა მოსწავლეებმა მაყურებლით გაჭედილ დარბაზში ბერძნულ ენაზე წარმოადგინეს სპექტაკლი სახელწოდებით „ახალი წლის მოლოდინში". სპექტაკლს საფუძვლად დაედო არგონავტების ცნობილი თავგადასავალი, რაც სპექტაკლში მეტად ორიგინალურად და ბავშვთა ხასიათის გათვალისწინებით იყო გააზრებული. სპეციალურად სპექტაკლისათვის დამზადებული ბუკლეტი დაცულია გიმნაზიის მუზეუმში, ხოლო გიმნაზიაში ბერძნული ენის სწავლების მდგომარეობისა და ამ სპექტაკლის შესახებ საინტერესოდაა მოთხრობილი გაზეთ „სახალხო განათლების" 2000 წლის 2 თებერვლის ნომერში.

2000 წლის 22 იანვრის ღონისძიება იმისი დამადასტურებელიცაა, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მოსწავლეთა მიერ ენის შესწავლას მათი ზოგადი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებასა და გაღრმავებაში. გიმნაზიას დაგროვილი აქვს მრავალი წლის გამოცდილება უცხო ენების სწავლების საქმეში, კერძოდ, რუსული, ინგლისური, გერმანული, ლათინური, სპარსული, არაბული ენების სწავლებაში.

გიმნაზიაში სპარსული ენის სწავლებას დასაბამი მიეცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის კათედრის, პერსონალურად, პროფესორების კონსტანტინე წერეთლისა და კოტე ფაღავას ხელმძღვანელობით. მასწავლებლებად ამ კათედრის წევრები გამოიყვნენ. კათედრის წევრები, გარდა ენის სწავლებისა, მოსწავლეებთან პერიოდულად ატარებენ ლექცია-საუბრებს საქართველო-ირანის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე.

25 წელია, გიმნაზიაში მოსწავლეები სწავლობენ სპარსული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებლების — ფირდოუსის, რუდაქის, ხაიამის, ჰაფეზის ენას. უნივერსიტეტის სპარსული ენის კათედრის წევრთა მოღვაწეობა გიმნაზიაში, სპარსული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედების გაცნობა მოსწავლეებისათვის გასაგებს ხდის, რამ ათქმევინა თეიმურაზ პირველს: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი". ზოგიერთმა სკოლადამთავრებულმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სპარსული ენის განხრით, მის კურსდამთავრებულთაგან ბევრი თავად იკვლევს „სპარსული ენის სიტკბოებას", ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს, თარგმნის სპარსული ლიტერატურის როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე თხზულებებს. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ გიმნაზიის მასწავლებლებთან. გიმნაზიას ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს საქართველოში ირანისა და ირანში საქართველოს საელჩოებთან. სწორედ მათი ძალისხმევით მოხერხდა 1999 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სპარსული ენისა

და ლიტერატურის მასწავლებლების ნათია რუხაძისა და მზია ბურჯანაძის ხელმძღვანელობით გიმნაზიის მოსწავლეთა გამგზავრება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ეს იყო კიდევ ერთი ეპიზოდი იმ ტრადიციისა, რომელიც ჩამოყალიბდა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ხაზით.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიით საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესებაზე მეტყველებს იმავე 1999 წელს შვედეთიდან მიღებული წინადადება, რათა გიმნაზიას მონაწილეობა მიეღო ქალაქ ბლესინგში გამართულ, 2000 წლის დადგომისადმი მიძღვნილ კონკურსში, რომლის თემა იყო: „როგორი გარემოთი ხვდება მსოფლიო 2000 წელს". გიმნაზიის მიერ შერჩეულმა პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა და გიმნაზია დაიშვა კონფერენციაზე. მასში მონაწილეობისათვის უნდა გაგზავნილიყო ორი მოსწავლე და ერთი პედაგოგი. გამგზავრება უნდა დაეფინანსებინა თვით გამარჯვებულ მხარეს. სწორედ დაუფინანსებლობის გამო, გიმნაზიამ ვერ შესძლო კონფერენციაში მონაწილეობისათვის თავისი წარმომადგენლების გაგზავნა. მიუხედავად ამისა, გიმნაზიამ მიიღო ცნობა: რამდენადაც კონკურსში გამარჯვებული ქვეყნების სკოლებისათვის შერჩეული იყო სხვა ქვეყნიდან პარტნიორი სკოლები, ამდენად, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიისათვის შეირჩა შორეული არგენტინის ქალაქ როსარიოს ერთ-ერთი სკოლა. ეს თბილისის გიმნაზიისათვის უდიდესი პატივი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ როსარიო მოსახლეობის რაოდენობით არგენტინის მესამე ქალაქია, წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ცენტრს ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის დარგში.

ამრიგად, გიმნაზიის კოლექტივმა თავისი დაუღალავი, ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობით მეცნიერებთან კავშირში არაერთი წარმატების მოპოვება შესძლო.

6. სულიერი ამაღლების დაუშრეტელი წყარო

§ 1. თაყვანისცემამდე აყვანილი სიყვარული

„ჩვენი სკოლა სასახელო ტრადიციების სკოლაა!"

„ჩვენი სკოლა თაობათა სკოლაა!"

ხშირად გაიგონებდით და გაიგონებთ თბილისის პირველი საშუალო სკოლის — პირველი კლასიკური გიმნაზიის კოლექტივის წევრებისაგან, იქნე-

ბიან მასწავლებლები, მოსწავლეები თუ მშობლები, სიამაყით წარმოთქმულ ამ სიტყვებს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ არცთუ იშვიათად თაობიდან თაობას გადაეცემოდა არამარტო აღსაზრდელების სამოღვაწეო ესტაფეტა; დღეს გიმნაზიაში ბევრი ყოფილი მასწავლებლის შვილი თუ შვილიშვილი ასწავლის! ცოტანი რომ არიან ისინი, პირველი სკოლა რომ დაამთავრეს და შემდეგ მშობლიურ სასწავლებელს პედაგოგებად დაუბრუნდნენ!

ამიტომ არის გიმნაზიაში ასე ძლიერი ტრადიციებისადმი და თვით გიმნაზიისადმი პატივისცემა, თაყვანისცემამდე აყვანილი სიყვარული.

განა ამ დიდი გრძნობის გამოხატულება არ იყო, 1978 წლის მაისში თბილისში ჩამოსულმა მარშალმა არჩილ გელოვანმა მშობლიური სასწავლებლის მონახულება რომ მოისურვა?!

სახელმოხვეჭილი სამხედრო მოღვაწე ყოფილ თანაკლასელთა თანხლებით სკოლას ეწვია. შემოიარა თითქმის ყველა კუთხე. როგორც ცოცხალ არსებას, ისე მოეფერა, მიესიყვარულა სასწავლო მერხებს, სკოლის კედლებს, სვეტებს. მემორიალურ დაფასთან თავდახრით პატივი სცა იმ დიდებულ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც ეს სასწავლებელი დაამთავრეს. აქ მოღვაწე პედაგოგებისადმი ისეთივე რიდი და პატივისცემა გამოხატა, როგორსაც ადრე ამჟღავნებდა საკუთარი მასწავლებლებისადმი.

არჩილ გელოვანის სტუმრობა სკოლაში ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ეს იყო არა მარტო მისი და თანმხლებ თანაკლასელთა ზეიმი, არამედ იმ მასწავლებლების, იმ მოსწავლე გოგონებისა და ვაჟებისთვისაც, რომლებთანაც ერთად ღვაწლმოსილი, ხანდაზმული ადამიანები სასკოლო მერხებს მიუსხდნენ.

ის შეხვედრა, საქართველოში ყოფნა, არჩილ გელოვანისათვის უკანასკნელი აღმოჩნდა. მოსკოვში დაბრუნებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც იმავე წლის აგვისტოში არჩილ გელოვანის გარდაცვალების ცნობა მოვიდა.

არჩილ გელოვანმა, რომელმაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეთ გაატარა, თბილისში, მშობლიურ სკოლაში სტუმრობისას მშვენიერი ქართულით გააოცა მასპინძლები და დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი ქართველი ასეთად დარჩება ყოველთვის, სადაც და რა პირობებშიც არ უნდა მოუწიოს ცხოვრებამ, არასდროს გაუნელდება სამშობლოს სიყვარული. ამ სახელოვანმა ადამიანმა ეს თავისი უკანასკნელი სურვილითაც დაამტკიცა. სიკვდილამდე უთხოვია: გარდაცვლილისათვის მშობლიური სკოლის ეზოდან აღებული მიწა დაეყრიათ მკერდზე. მართლაც, მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრენილ პიროვნებას ერთი მუჭა მიწა აუღია, იმავე დღეს გაფრენილა, რათა მიცვალებულისათვის დაკრძალვამდე მიესწრო და დაკისრებული საპატიო მისია შეესრულებინა.

ტყუილად კი არ უთქვამს ერთ დიდ პედაგოგს: ვისაც ის ხე არ უყვარს, რომელიც მისი სახლის წინ დგას, ის ვერც თავის სოფელს შეიყვარებს, ვისაც თავისი სოფელი არ უყვარს, ის ვერც თავის სამშობლოს შეიყვარებსო.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის აღზრდილმა სახელოვანმა ადამიანებმა თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცეს ეს დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მშობლიური სასწავლებლისადმი და აღმზრდელებისადმი. ეს სიყვარული და პატივისცემა დღესაც ღრმა და გაუნელებელია. ამას მოწმობს 1998 წლის 22 მაისის ზეიმი, რომელიც მიეძღვნა ფერფლისაგან აღმდგარი სკოლის სახელოვან მამულიშვილთამემორიალის გახსნას. როგორც ზეიმზე აღინიშნა, „ეს მემორიალი, სხვა თუ არაფერი, სკოლის 1800 აღსაზრდელის სიამაყისა და სულიერი ამაღლების დაუშრეტელი წყარო გახდება. ამით ხომ დასაბამი მიეცა სკოლის დიდი მატიანის განახლებას და, თავისთავად, ქართული კულტურის მატიანის განახლებასაც, რადგან ამ სასწავლებლის კედლებში დაირწა მრავალი კულტურული წამოწყების აკვანი. ასეთი იყო პირველი კლასიკური გიმნაზიის, როგორც რჩეულის, ხვედრი. სწორედ ამან განაპირობა, ალბათ, მისი სწრაფად აღდგენა. იგი კვლავ დგას თავის პირვანდელ ადგილზე და აგრძელებს ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს ღირსეულ შვილთა აღზრდას. დიდია ამ გიმნაზიის მისია. სახელოვან და რთულ საქმიანობაში გიმნაზიის პედაგოგებს საუკეთესო მეგზურის როლი ეკისრებათ და ისინი პირნათლად შეასრულებენ ამ მისიას, აღუზრდიან ქვეყანას ღირსეულ მამულიშვილებს. და ეს რომ ძალუძთ, ამის გარანტია დღევანდელი საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში მათი აღზრდილების აქტიური საქმიანობაა. ამის გარანტია დღევანდელ საპატიო სტუმართა შორის მათი სიმრავლეა“.

მემორიალის გახსნას დაემთხვა ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ დაკარგვის 100 წლისთავი. შექსპირის უბადლო მთარგმნელისა და დიდი საზოგადო მოღვაწის ხსოვნის დღე გიმნაზიაში განსაკუთრებულად აღინიშნა. რეჟისორი კახა მელითაური წარუძღვა საღამოს მხატვრულ ნაწილს. მოსწავლეებმა ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს სცენები „ჰამლეტიდან“, „ოტელოდან“ და „მეფე ლირიდან“. განსაკუთრებით აღინიშნა მეათეკლასელი „მსახიობი“ ალექსანდრე ჯავახიშვილი. ესეც ტრადიციის გაგრძელება იყო: ერთ დროს, თბილისის პირველ გიმნაზიაში მოსწავლეთა მიერ ბერძნულ ენაზე წარმოდგენილ სპექტაკლებში მისი სახელოვანი დიდი პაპა — დიდი ივანე ჯავახიშვილი მონაწილეობდა. გარდა სპექტაკლებისა, გიმნაზიის მოსწავლეებმა წაიკითხეს შექსპირის თხზულებიდან როგორც ივანე მაჩაბლისეული, ასევე საკუთარი თარგმანები. მოსწავლეებმა ინგლისური ენის შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნეს, რაც მათი ხელმძღვანელის, ინგლისური ენის მასწავლებლის ელენე ქუთათელაძის დიდ დამსახურებას უნდა მიეწეროს.

დღევანდელი მასწავლებლებისა და მოსწავლეთათვის დაუვიწყარია ის დღეები, როდესაც ყოფილი მოსწავლეები ზეიმით აღნიშნავენ სკოლის დამთავრების მრგვალ თარიღებს. „სიყვარული სიყვარულის წილო", ნათქვამია და ამ ზეიმების დროს, როგორც გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეები გამოხატავენ სიყვარულს მშობლიური სასწავლებლისადმი, ასეთივე გრძნობით პასუხობს დედა-სასწავლებელი თავის აღზრდილებს. ხშირად ამ ზეიმებზე სასკოლო მერხებს ერთად მიუსხდებიან ხოლმე ასაკითა და სასახელო ჯაფით დამძიმებული, თმადათოვლილი ადამიანები და 16-17 წლის გოგო-ბიჭები, ბაბუა-შვილიშვილები (ზოგიერთთა შვილთაშვილებიც). რამდენ საჩუქარს უძღვნიან ხოლმე ათეული წლების წინათ სკოლადამთავრებულნი: ზოგი საკუთარ ავტოგრაფს, ზოგი საკუთარ ნახატს, ან სპეციალურად ნაყიდს — „კეთილი გულით მიძღვნილს...", ზოგი საკუთარ პოეტურ თხზულებას, ზოგს, თავის სიცოცხლეში რომ არ დაუწერია ლექსი, იმ დღისათვის ეწვევა მუზა, ზოგი გიმნაზიისადმი მიძღვნილ საგალობელს მიართმევს. ერთ-ერთი ასეთი ზეიმის მონაწილეებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ გულით გაიხარეს, როდესაც ასევე ყოფილმა პირველსკოლელმა, სრულიად ახალგაზრდა კომპოზიტორმა თამრიკო სალუქვაძემ საკუთარ ტექსტზე შექმნა გიმნაზიის ჰიმნი, რომელიც ერთად შეასრულეს სტუმარ-მასპინძლებმა. მას შემდეგ ამ ჰიმნით იწყება და მთავრდება გიმნაზიაში ყველა საზეიმო ღონისძიება.

არა მარტო ნამოწაფრებს, არამედ მოწვეულ სტუმარსაც უჩნდება სურვილი, რაიმე უსახსოვროს სკოლას. და თუ ერთ დროს შეუდარებელი, მაგრამ ისტორიის ჩარხის ავბედითად დატრიალების გამო ფერფლადქცეული ბიბლიოთეკა, დღეს აღმდგარი, დღითიდღე კვლავ მდიდრდება, ეს ყოფილი მოსწავლეების, სტუმრების, მეგობრების, კეთილისმსურველთა კეთილი გრძნობის გამოხატულებაა.

სკოლაში არსებობს გამოჩენილ ადამიანთა სახელობის კაბინეტ-ლაბორატორიები, სადაც საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ლია ალანიას ხელმძღვანელობით შექმნილი ილია ჭავჭავაძის სახელობის კლას-კაბინეტი. კაბინეტ-ლაბორატორიები და კლას-კაბინეტები არა მარტო გიმნაზიის აღზრდილ XIX საუკუნის სახელოვან ადამიანთა სახელებს ატარებს, არამედ XX საუკუნის სასიქადულო მოღვაწეებსაც შეგვახსენებს. ამის დამადასტურებელია მიხეილ ზანდუკელისა და ჯაჯუ ჯორჯიკიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები, თანამედროვეობის საუკეთესო ხელსაწყოებით, აპარატებით, დანადგარებითა და სხვა აღჭურვილობით სანიმუშოდ მოწყობილი ფიზიკის ნიკოლოზ კიკვაძის სახელობის კაბინეტი და შოთა აბაიშვილის სახელობის ფიზიკის ლაბორატორია, ქიმიის ნინო ვარდიაშვილის სახელობის ლაბორატორია.

გიმნაზია ამაყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და დავით დონდუას სახელობის გეოგრაფიის სანიმუშო კაბინეტებით. ამ კაბინეტებში მოსწავლეები ძალაუნებურად იმსჭვალებიან არა მარტო საგნისა და მასწავლებლებისადმი პატივისცემით, არამედ მათდამი მოწიწებითაც, ვის სახელსაც ეს კაბინეტ-ლაბორატორიები ატარებს. მოსწავლეები უპირველესად აქ ეზიარებიან იმ ტრადიციებსაც, რასაც ათეული წლების მანძილზე ქმნიდნენ ნათელი ხსოვნის ადამიანები და რასაც ამრავლებენ და ამდიდრებენ აქ მოღვაწენი.

§ 2. მრავალსაუკუნოვანი წარმატებული არსებობისათვის

სკოლის გიმნაზიად გარდაქმნის შემდეგ მეცნიერებთან სასწავლებლის პედაგოგთა კავშირის გაფართოებამ საგნობრივ-მეთოდური კომისიების საქმიანობა ღრმაშინაარსიანი და შემოქმედებითი გახადა. მათი მოღვაწეობა თანდათანობით იღებდა მეცნიერულ ხასიათს და ბოლოს ისინი გარდაიქმნენ საგნობრივ-მეთოდურ გაერთიანებულ კათედრებად, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ წამყვანი პედაგოგები.

საგნობრივ-მეთოდურმა კომისიებმა კათედრებად გარდაქმნამდე განვითარების რთული პროცესი განვლეს, იგი, ფაქტობრივად, დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საგანთაშორისო კავშირის განმტკიცების საფუძველზე. ამ პროცესს დასაბამი მიეცა უფროსკლასელთა ინტერესებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით დიფერენცირებული სწავლების შემოღებით, როდესაც შეიქმნა ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკური, ხელოვნებათმცოდნეობის ჯგუფები, რომელთა კონსულტანტებად მიიწვიეს ყოფილი პირველსკოლელი ცნობილი მეცნიერები. პროცესმა შემდგომი განვითარება ჰპოვა 1977 წლის აპრილში „გიმნასიონის“ დაარსების შემდეგ. გარკვეული როლი შეასრულა ეკოლოგური კლუბის შექმნამ და მი საქმიანობაში, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკურ ჯგუფებთან ერთად, ჰუმანიტარული ჯგუფების ჩაბმამ. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა აღნიშნულ ჯგუფებში გაერთიანებული საგნების ურთიერთდაკავშირება. ეს არის პერიოდი, როდესაც საზოგადოებრიობისა და ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ღრმად იჭრება საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებანი. ქართველი მეცნიერები ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ამუშავებენ და ქმნიან როგორც თეორიულ, ასევე მეთოდურ ნაშრომებს, რასაც აცნობენ საშუალო სკოლების პედაგოგებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა როგორც ერთმანეთთან, ასევე ჰუმანიტარულ საგნებთან დაკავში-

რებას. საგანთაშორისი კავშირი ინტეგრირებული სწავლების საფუძვლად გადაიქცა. ამან კი სწავლების მეცნიერულ დონემდე ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

კათედრების წევრი პედაგოგები ცდილობენ, სწავლებას კვლევა-ანალიზის ხასიათი მიეცეს და მოსწავლეები შეაჩვიონ კრიტიკულ აზროვნებას. ამით მოსწავლეთა თვალში იზრდება როგორც მასწავლებელთა ავტორიტეტი, ასევე თვით საგნის როლი და მნიშვნელობა.

გიმნაზიას ყოველთვის ჰყავდა ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლები. დღეს მათ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ პედაგოგები ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის ბაია ფუთურიძის ხელმძღვანელობით (სახელდებიან ანბანური რიგის მიხედვით): ლია ალანია, ლეილა გაჩეჩილაძე, დინა გეგენავა, ირინე დვალი, ნინო იაკობაშვილი, მაია მელიქიშვილი, ნათია რუხაძე, ბელა სარია, სოფიო ტარასაშვილი, ლილი ძერია, ნათია ხაიკაშვილი, მარინე ჯაბუშანური.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ასწავლიან და რწმენად უნერგავენ, რომ „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!"..[12].

ქართველი ერი ოდითგან სამი ღვთაებრივი საუნჯის — მამულის, ენისა და სარწმუნოების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის იბრძოდა და იღვწოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ერთი რომელიმეს აღმოფხვრა ხსოვნისაგან, საკუთარი ისტორიის დავიწყება „მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისა"![13]. ამიტომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა ისტორიის სწავლებას. გიმნაზიის ისტორიის კათედრა, რომლის წევრია სასწავლებლის დირექტორი ლიანა შეწირული, ხოლო კათედრის გამგეა ლალი გაფრინდაშვილი, მთელ საქმიანობას იქით წარმართავს, რომ მოსწავლეებმა გაითვალისწინონ: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა"[14]. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მიმართებით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მასწავლებლები: გენადი მაჭარაშვილი, თამარ ქაფიანიძე, პაატა ჩიქოვანი, მაია წენგუაშვილი, თამარ ჭანტურიშვილი, ამირან ჯამაგიძე.

გარდა იმისა, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს, „ვისი გორისაა", უნდა იცოდეს ისიც, თუ სად ცხოვრობს, რად მღეროდა პატარა ხევსური, რომ არ გასცვლიდა თავის „სამშობლოს სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა". მოსწავლეთა აღჭურვას ამგვარი ცოდნით ახმარენ თავის ცოდნასა და გამოცდილებას გეოგრაფიის კათედრის გამგე მაია ბრეგვაძე და წევრები რუსუდან გუნია და ნია პატარიძე.

დღეს, როდესაც ასე გაფართოვდა სხვა ქვეყნებთან თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ურთიერთობის არეალი, მოსწავლეებს, კარგად რომ

ჩაწვდნენ ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის ისტორიას, ყოფასა და კულტურას, აუცილებლად სჭირდებათ ენის ცოდნა. აი, რატომ ექცევა გიმნაზიაში ესოდენ დიდი ყურადღება უცხო ენების სწავლებას.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის ცოდნას, რომელსაც გიმნაზიაში ასწავლიდნენ და ასწავლიან საუკეთესო სპეციალისტები. ამ მხრივ მდიდარ ტრადიციას სახელოვნად აგრძელებენ რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის (გამგე სვეტლანა ფანგანი) წევრები: ვალია ზარქუა, ლია ნადარეიშვილი, ნანული რატიანი, ეთერ სარალიძე, ნინო სირაძე, ლიანა სურმავა, მაია ფანგანი, ლეილა ჩაჩიბაია.

გიმნაზიას ინგლისური ენის სწავლების დიდ ხნის გამოცდილება აქვს. მაგრამ ამ ენის დაუფლებას არასოდეს მინიჭებია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე. გიმნაზიის მოსწავლეებს არა მარტო ხშირად უხდებათ ურთიერთობა დასავლეთელ თანატოლებთან, არამედ არცთუ იშვიათად თარჯიმანთა როლსაც ასრულებენ. და თუ გიმნაზიის მოსწავლეები ამ დროს ინგლისური ენის კარგ ცოდნას ავლენენ, ეს შედეგია იმ ნაყოფიერი მოღვაწეობისა, რასაც ეწევიან შესაბამისი კათედრის (გამგე ელენე ქუთათელაძე) წევრები: თეა ბრეგაძე, ეკა გაბიძაშვილი, თინათინ გელაძე, ელზა გოქსაძე, მაკა თეთრაძე, ქეთევან კასრაძე, ლია ნაცვლიშვილი, ლილი ქაჯაია, ნანა ყვარელაშვილი, დოდო ჯოგლიძე.

გერმანული ენის ფაკულტატურ სწავლებას წარმართავს ქეთევან სიმვულიდი.

აღმოსავლური ენების კათედრა (გამგე სპარსული ენის მასწავლებელი ნათია რუხაძე) აერთიანებს სპარსული ენის მასწავლებლებს: მეცნიერებათა კანდიდატ მზია ბურჯანაძეს, სოფიო გაბუნიას, თეა პიტიურიშვილს, მანონი სულავას, ოლღა სულაძეს, სოფიო ტარასაშვილს, ნათია ხაიკაშვილს; არაბულ ენას ასწავლიან თინათინ გოგოლაშვილი და ირმა მახარაძე.

ბერძნული და ლათინური ენების კათედრის (გამგე ბერძნული ენის მასწავლებელი მედეა აბულაშვილი) წევრები არიან: ბერძნული ენის მასწავლებლები — ანინა გოგოხია, მაია კაკაშვილი, თამარ ცხვედიანი, ლათინური ენისა — ქეთევან ნიჟარაძე და თამარ ჯაფარიძე.

ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც არასდროს, აქტიურად შეიჭრა საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებანი, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველმა მეცნიერებმა დაიწყეს მუშაობა ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნისათვის, რასაც დიდი სამეცნიერო-კულტურული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ამ ფუნდამენტური პრობლემის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნაციონალური ინფორმაციული (კომპიუტერული) რესურსების შექმნა. საშუალო სკოლებში, მათ შორის თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, კომპიუტერი სხვადასხვა საგანში ძირითადი ჩვევების ჩამოყალიბების საქმეში მასწავლებელთა ნამდვილი პარტნიორი

გახდა. ეს კი ყოფილი პირველსკოლელის, ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის დიდი დამსახურებაა.

ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს რამდენიმე ვრცელი კურსი თემებზე: „მათემატიკური მეთოდების გამოყენება ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში", „მათემატიკური მეთოდების გამოყენება ისტორიოგრაფიაში", „მათემატიკური მეთოდების გამოყენება ბიოლოგიაში", „მათემატიკური მეთოდების გამოყენება ლინგვისტიკაში"[15] და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში აღნიშნულ თემებსა და პრობლემებზე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის მეცნიერები პერიოდულად ატარებენ ლექცია-საუბრებს. ამის შედეგად ნამდვილი შემოქმედებითი ურთიერთობაა დამყარებული ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებსა და აღნიშნული დარგების მეცნიერთა შორის. ასეთ საქმიანობას აპირობებს მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია. ქიმიის კათედრაზე (გამგე ლიანა სალუქვაძე) გაერთიანებულნი არიან: მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ქარცივაძე, ანა შუბითიძე და აკადემიკოსი გიორგი ჭირაქაძე; ბიოლოგიის კათედრის (გამგე ციალა შოშიაშვილი) წევრები არიან: რუსუდან გუნია, მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ერისთავი და თინა ჩიხლაძე; ფიზიკის კათედრაზე (გამგე ლეილა კუხალეიშვილი) მოღვაწეობენ მაია აფხაიძე და ეკა ჯაჯანიძე, მათემატიკის კათედრაზე (გამგე რევაზ აქირთავა) — ლიანა ბარამიძე, თენგიზ ბელთაძე, ირმა გოგობერიძე, ნატო კეკელია, ზოია მამუკელაშვილი, მაია ქარუმიძე და ჯონდო ცინცაძე. ინფორმატიკას ასწავლიან: ალექსი ღულუნიშვილი, ქალაქის მეთოდისტი ბესო შიოშვილი და თამაზ წერუაშვილი.

ესთეტიკის ციკლის საგნების კათედრის წევრები არიან: ხატვის მასწავლებლები მერი ბეჟანიშვილი (კათედრის გამგე) და დოდო ნამგალაძე, სიმღერის მასწავლებლები ნუნუ ბუკია და ნელი ფხიკიძე. ხაზვას ასწავლის ქალაქის მეთოდისტი იზაბელა ბარამიძე.

პირველ სკოლაში ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას ყოველთვის დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ამას მოწმობს 60-იან წლებში სკოლასთან მუსიკალური სასწავლებლის გახსნა მუსიკის ცნობილი მასწავლებლის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ყოფილი პირველსკოლელის ჯიმშერ მუჯირის თაოსნობით. ეს იყო საშუალო სკოლაში გახსნილი ერთ-ერთი პირველი მუსიკალური სასწავლებელი. ამჟამად, გიმნაზიაში ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას მაღალნაყოფიერად ემსახურება გიმნაზიასთან არსებული საბალეტო ხელოვნების სტუდია ცნობილი ბალერინას მაკა მახარაძის ხელმძღვანელობით. სტუდიაში გაერთიანებულ მოზარდთა ძალებით განხორციელებულმა სპექტაკლებმა — ლეო დელიბას „კოპელიამ", პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნამ" და „მძინარე მზეთუნახავმა" ფართო აუდიტორიის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

მეცნიერულ საფუძვლებზეა დამყარებული ღვაწლმოსილი ლოგოპედის თინათინ ფერაძისა და ფსიქოლოგ ლუიზა ქარელის მოღვაწეობა. თანამედროვეობის მოთხოვნებს პასუხობს დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილები, რასაც წარმართავს ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი გურამ სარალიძე.

დიდი პედაგოგები იან ამოს კომენსკი თუ პესტალოცი, უშინსკი თუ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაწყებით განათლებას. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ დედაენის როლს. იაკობ გოგებაშვილი მას ბავშვისათვის ცოდნის მადის გამხსნელს უწოდებდა[16], ხოლო ილია ჭავჭავაძე — გონების გახსნის სახსარს[17].

აქედან გამომდინარე, გასაგებია ის პასუხისმგებლობა, რაც ეკისრებათ დაწყებითი განათლების პედაგოგებს. ამ დიდმნიშვნელოვან მოვალეობას წარმატებით ართმევენ თავს დაწყებითი განათლების კათედრის (გამგე თამარ სუხიშვილი) წევრები: რუსუდან არეშიძე, ნუნუ ბაქრაძე, ნინო გვათუა, მერი დვალიშვილი, ნონა ლომსაძე, ეთერ მუხაშავრია, გიული ნუცუბიძე, ნელი ტატიშვილი, ლამარა ღვინიაშვილი, მარინე ღუდუშაური, გულიკო ყველაშვილი, ლამარა შარაშიძე, ნაირა ჩიხლაძე, თამარ ჩხარტიშვილი, ნანა ჭანტურია, იანა ჭანტურიძე, ნინო ხვინგია და მაია ჯოხაძე.

მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეს ერთგულად ემსახურებიან ლაბორანტები გრეტა კობიძე და არჩილ ქოქაშვილი.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ისინი, ვინც წლების მანძილზე დიდი გულმოდგინებით მოღვაწეობდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლების უკეთილშობილეს ასპარეზზე. გიმნაზიის კოლექტივის მიერ, მათი ხსოვნის წინაშე ქედმოხრით, მოწიწებით მოიხსენიებიან: შოთა აბაიშვილი, თამარ აბაშიძე, ნინო ალადაშვილი, ნინო ალავერდაშვილი, ქეთევან აფშინაშვილი, ირინა ბალოტინა, გრიგოლ ბარამიძე, კატო ბერიტაშვილი, ანტონინა ბერუჩაშვილი, თალიკო გაბუნია, ევგენია გვაზავა, ელენე გულისაშვილი, საშა დადუნაშვილი, კატო დათუნაშვილი, თამარ დოლიძე, ნინო ვარდიაშვილი, ციალა ზარეკიძე, მატილდა კონტრიძე, კატო ლებანიძე, ნუცა მამაცაშვილი, მერი მიქაბერიძე, ეთერ მონიავა, თამარ მუჩიაშვილი, ჯიმშერ მუჯირი, ბაბო მჭედლიძე, ნადია ნადარეიშვილი, ნუნუ ნანობაშვილი, ქეთევან ნიკურაძე, ელგუჯა ობოლაშვილი, გიორგი ოქრუაშვილი, ოთარ პატარაია, მარო ჟორჟოლიანი, ოტო როგოვსკოი, მაყვალა სამადაშვილი, ნატო სამჭკუაშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე, რევაზ საყვარელიძე, ნადია სიხარულიძე, ეთერ ტაბიძე, შალვა ფანცურიძე, მარო ქაჩიბაია, თამარ ქოიავა, თამარ ყვავაძე, ოლია შელია, ვერა ჩიტაია, მიხეილ ჩიქოვანი, მარიკა ჩლაიძე, ვალენტინა ჩხენკელი, ირინე ჭელიძე, გივი წივწივაძე, მზია წივწივაძე, ჩიტო ხმელიძე.

გიმნაზიის კოლექტივი დიდ პატივს მიაგებს ყველა იმ ღვაწლმოსილს, ვინც ამ საგანმანათლებლო ტაძარში მრავალი წლის მოღვაწეობის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაგრამ სასწავლებელთან კავშირი არ გაუწყვეტია.

ისინი დღესაც სკოლის ცხოვრებით ცხოვრობენ და საიუბილეო ზეიმის აქტიური მონაწილეები არიან: ლევან არაბული, ლეილა თოთიბაძე, ზინა თოხაძე, ლილი იმედაძე, ელენე კაპანაძე, ნუნუ კვირტია, მარო მგელაძე, ლეილა მიროტაძე, მელიტა საბაშვილი, ლეილა სიჭინავა, დიანა შონია, ციალა ხატიაშვილი, იდა ხიზანიშვილი, ეთერ ჯანაშვილი, გუგული ჯიბუტი.

იუბილარ სასწავლებელში მიღებულ პედაგოგიურ წრთობასა და გამოცდილებას წარმატებით იყენებენ სხვა სამოღვაწეო ასპარეზზე და მოზეიმეთ უერთდებიან: ნუგზარ ანელი, ჯუმბერ თარგამაძე, ლამარა თოლორაია, ჟუჟუნა კვარაცხელია, თინა კიკალიშვილი, მადონა მგალობლიშვილი, ლიანა პაქსაშვილი, ნუნუ რობაქიძე, ნანა სტურუა, ლამარა ურიდია, ლეილა ჯიმშელეიშვილი.

მრავლისმეტყველია გიმნაზიის ყოფილ თუ ამჟამინდელ მოღვაწეთა ეს ჩამონათვალი. ისინი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან. მათი უმწიკვლო, თავდადებული გარჯის ნაყოფს ზეიმობს დღეს სასწავლებელი.

სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მხრივაც. გიმნაზია სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის გასავლელად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო დაწესებულებად ითვლება.

გიმნაზიას პრაქტიკანტ სტუდენტებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მომავალი პედაგოგები პრაქტიკაზე ყოფნის დროს ეცნობიან სასწავლებლის ისტორიას, მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, სხვადასხვა თაობის პედაგოგთა შემოქმედებითი თანამოღვაწეობის გამოცდილებას, ღვაწლმოსილთა საქმიანობის ჩვევებს.

ყოველივე ეს დიდად ეხმარება მათ პედაგოგიურ დახელოვნებაში. პრაქტიკანტთაგან ზოგიერთი სურვილს გამოთქვამს, პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძოს სასწავლებელში, სადაც თავად ჩაატარა პირველი გაკვეთილი. ზემოთ დასახელებულ მასწავლებელთა შორის ცოტა როდია ისეთი, ვინც იუბილარ სასწავლებელში გაიარა პედაგოგიური პრაქტიკა.

მომავალ სპეციალისტთა პროფესიული დაოსტატებისათვის გიმნაზია სხვა მხრივაც იღვწის. ახალგაზრდები, რომლებსაც მომავალში სასკოლო ბიბლიოთეკაში მუშაობა აქვთ გადაწყვეტილი, ყოველთვის ესწრაფოდნენ და ესწრაფიან თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ბიბლიოთეკის მრავალწლიანი გამოცდილების გაცნობას. ეს გასაგებიცაა. უკვე აღინიშნა, თუ რა როლს ასრულებდა თავიდანვე იუბილარი სასწავლებლის ბიბლიოთეკა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებაში. ამას, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებდა ბიბლიოთეკარებად თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანთა მოღვაწეობაც. ბუნებრივია, რომ გიმნაზიის საიუბილეო დღესასწაულის წინა ხანებში

ბიბლიოთეკას მიენიჭა და შთამომავლობას შემოენახა ამ მოღვაწეთაგან უკეთილშობილესი პიროვნების სახელი: შესასვლელთან გაკრული ფირნიში გვაუწყებს, რომ ბიბლიოთეკა „დეიდა ვარია მახარაძის სახელობისაა".

გიმნაზიის ბიბლიოთეკა ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებითა და მზრუნველობით. ამის შედეგიცაა, რომ იგი ერთ-ერთი უმდიდრესია სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის. ეს თანადგომა, სასახელო ტრადიციები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს გიმნაზიის ბიბლიოთეკარებს ნუნუ მუმლაძესა და ნათელა ნადაშვილს.

სკოლის ცხოვრების ნებისმიერი სფერო თუ უბანი, მისი ნებისმიერი თანამშრომლის საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს უმთავრეს მიზანს — მოსწავლეთა აღზრდა-სწავლებას. ტყუილად როდია ნათქვამი: სკოლაში მოსწავლეს მისი კედლებიც უნდა ზრდიდესო. ამ მხრივ მართლაც რომ სანაქებო და სანიმუშოა ეს სასწავლებელი. შენობაში შემოსულს ხიბლავს ქათქათა კედლები, მარმარილოს მუდმივად მბრწყინავი კიბეები, სისუფთავით აბრდღვრიალებული გრძელი დერეფნები, ნაყოფიერი საქმიანობისათვის მუდამ მზად არსებული საკლასო ოთახები, საჭირო ინვენტარით, ხელსაწყოებითა თუ სხვა აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიები. ყველგან მზრუნველი ხელი იგრძნობა.

ბევრი საზრუნავი აქვს დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში ნუგზარ გაბრიჭიძეს ტექნიკურ პერსონალთან ერთად, რათა 1800 ბავშვიან კოლექტივში შენარჩუნებული იქნას ეს სიფაქიზე და სისუფთავე. ამაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ნოდარ ბერაძეს, აკაკი მჭედლიშვილს, ჟუჟუნა რუხაძეს, თამარ იდოიძეს, მანანა უსტიაშვილს, თამარ გორსკაიას, ადამ მამედოვს, დიმიტრი რეზვინს.

წლების მანძილზე სკოლას ერთგულად ემსახურებოდა სამნეო ნაწილის გამგე დ. კევლიშვილი.

ყოველი დაწესებულებისა თუ ორგანიზაციისათვის ეკონომიკური სამსახური ერთ-ერთი მთავარი უბანია, გიმნაზიაში იგი აბარია ბუღალტერ ლეილა ქავთარაძეს.

ძველთაგან ნათქვამია: ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო. დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით რომ გაართვას თავი, ადამიანი ჯანმრთელი უნდა იყოს. გიმნაზიის კოლექტივის წევრთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა კი ექიმ ციცინო სილაგაძესა და მედდებს ირმა ქუთათელაძესა და მზია ყიფშიძეს აქვთ დაკისრებული.

სასწავლებლის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრთა საქმიანობის, პიროვნების პერსონალური გაცნობის ერთ-ერთი საშუალებაა მათი პირადი საქმეების შესწავლა. ისიც სათქმელია, რომ დოკუმენტაციის, საბუთების შენახვის მდგომარეობა თვით დაწესებულების საქმიანობის სარკეა. ამავე დროს, დოკუ-

მენტაციის წესრიგში მოყვანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაწესებულების ისტორიისათვის. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის კანცელარიას ყოველთვის ჰყავდა საქმიანი და გამოცდილი საქმეთა მმართველები: ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია კანცელარიის გამგე ნანული საჯაია. მისი დამსახურებაა საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტისათვის სასწავლებელში არსებული საჭირო დოკუმენტების, საბუთებისა თუ სხვა ცნობების დროული მიწოდება.

გიმნაზიის ყველა სფეროს, ყველა უბნის, ყველა რგოლის გამართული საქმიანობა და მიღწეული წარმატებანი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის აბარია ამ დაწესებულების საჭის მართვა.

საიუბილეოდ შექმნილ და გიმნაზიის მუზეუმის სათანადო განყოფილებაში თავმოყრილ მოგონებებში სასწავლებლის თანამედროვე მესაჭეთა მიმართ თბილი გრძნობებია ჩაქსოვილი. უიშვიათესი გულწრფელობითა და სიყვარულითაა გამთბარი ლექსი, რომლის ავტორია ტრაგიკულად დაღუპული, მარად ჭაბუკად დარჩენილი გიორგი შანშიაშვილი. ლექსის ადრესატია გიმნაზიის დირექტორი. იგი დაწერილია მაშინ, როდესაც ავტორს სასკოლო მერხთან, მოგონებების გარდა, აღარაფერი აკავშირებდა. და თუ როგორია მის მეხსიერებაში შემორჩენილი მოძღვრის სახე, ეს უშუალობით აღსავსე შესანიშნავი ლექსი წარმოგვიდგენს:

ხელმწიფური თავაზი,
საყვედური კი არა,
დედური უშუალობა,
თავმდაბლობა კი არა,
თვალში სევდა ნათელი,
სისასტიკე კი არა,
დარიგება, შექება
სითბოს თანაზიარად.
ჩვენმა უდარდელობამ
წყენად გადაგიარათ.
შემართული ღირსება,
უსალმობა კი არა,
გვარიც კი გიდასტურებთ
შენირული მთლიანად.
მართლა შენირული ხართ,
ქალბატონო ლიანა.
თქვენ ჩემსავით სხვაც ბევრი
მოგესალამიანათ,
ჩემთვის დედის თანაბარო,
ქალბატონო ლიანა.

მუზეუმის საარქივო მასალები ბევრს გვეუბნება დირექტორის ენერგიულობასა თუ ორგანიზატორულ ნიჭზე, საქმისადმი თავდადებასა თუ ერთგულებაზე, სიახლისადმი ლტოლვასა თუ კლასიკური განათლებისადმი ღრმა პატივისცემაზე, მის უშუალობაზე, გულისხმიერებასა და კიდევ სხვა მრავალ თვისებაზე. დირექტორი პედაგოგიური კოლექტივის თითოეული წევრისაგან ასეთივე ენერგიულობას, თავდადებას, ერთგულებას, სიახლისადმი ლტოლვას, მოსწავლეთა მიმართ გულისხმიერებასა და უშუალობას მოითხოვს.

საკითხისადმი ასეთ მიდგომაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში ერთსულოვანი იყვნენ დირექტორი და მისი მოადგილე ლევან ბრეგაძე. ლ. ბრეგაძემ, სრულიად ახალგაზრდამ, სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მან მალე მოიპოვა აღიარება როგორც საგნის საუკეთესო სპეციალისტმა და საერთო პატივისცემა დაიმსახურა. იგი მალე დააწინაურეს და პენსიაში გასულ, ან გარდაცვლილ ქალბატონ მარიკა ჩლაიძის ნაცვლად, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. „მასზე მხოლოდ კარგის თქმა შეიძლება. ის არის უაღრესად სერიოზული პიროვნება. გამორჩეული მათემატიკოსი, ახალგაზრდა, ძალზე თავშეკავებული. თბილი და ყურადღებიანი, მაგრამ დისტანციურიც. მას ვერავინ მოექცევა შინაურულად, თუმცა ვიცით, რომ, რაც შეუძლია, არ დაგვზარდება, ისე შეგვიწყობს ხელს“ (ბაია ფუთურიძის მოგონებებიდან).

ლევან ბრეგაძე სამუშაოდ ახალ სფეროში გადავიდა. უფროს კლასებში სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა დირექტორის მოადგილედ ახალდანიშნულ თამაზ წერუაშვილს დაეკისრა. გიმნაზიაში თუ ინფორმატიკის სწავლება მყარ საფუძველზე დგას, ეს თ. წერუაშვილის დიდი დამსახურებაცაა. ახალ ამპლუაში მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე აშკარა გახდა, რომ გიმნაზიის ხელმძღვანელობაში ნიჭიერი პიროვნება მოვიდა.

სასკოლო ასაკში ყველაზე კრიტიკულად (კრიზისულად) მიჩნეულია 11-15 წლები, ე. წ. გარდატეხის ასაკი. ჟან ჟაკ რუსო მას ხელმეორედ დაბადების ასაკს უწოდებდა. ნანული რატიანს შემთხვევით არ დაკისრებია ასაკობრივად ამ ურთულესი პერიოდის მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ხელმძღვანელობა. იგი გიმნაზიაში ამჟამად მოღვაწეთაგან 150 წლისთავის იუბილის ერთადერთი მონაწილეა. ბუნებრივია, რომ მისმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 200 წლისთავისათვის სამზადისის დროს.

ნანული რატიანი 1952 წელს, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის პირველ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დიპლომით. აღნიშნულ საგანს აქ ასწავლიდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ ვალენტინა ჩხენკელი, მარო ჟორჟოლიანი, თამარ მუჩიაშვილი, ოლია შელია, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საუკეთესო მასწავლებლად აღიარებული ირინა ბალოტინა. ადვილი არ იყო მათ ფონზე ავტორიტეტის მოპოვება. მან კი

მოიპოვა. რამდენიმე წლის შემდეგ ნანული რატიანს უკვე საუკეთესო სპეციალისტად და აღმზრდელ-პედაგოგად აღიარებდნენ. არავის გაკვირვებია 1979 წელს დირექტორის მოადგილედ მისი დანიშვნა. ახლა უფრო სრულად გამოვლინდა მისი ნიჭი და უნარი, როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორისა. თანამდებობას არ შეუცვლია მისი ხასიათი, როგორც თანამოსაქმისა და მეგობრისა. მას იცნობენ როგორც ყველასადმი გულისხმიერსა და ყველას დამხმარეს (ზოგჯერ შესაძლებლობის ზღვარს გადამეტებულადაც). არაჩვეულებრივი მეხსიერების მქონე ქ-ნ ნანულის გიმნაზიის ცოცხალ მემატიანეს უწოდებენ. შემთხვევით არ მიმართავენ მას დახმარებისათვის გიმნაზიის მუზეუმის აღმდგენელ-კეთილმომწყობლები მირდატ ბერძული, ვლადიმერ ნიკოლაიშვილი, თამაზ შაშიაშვილი და ჯონი ახობაძე. ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხორცი შეესხას გიმნაზიის დირექტორის მიზანს: თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის მუზეუმი საქართველოში საშუალო განათლების მუზეუმის ტოლფასი უნდა იყოს.

გიმნაზიის ხელმძღვანელი ბირთვის ღირსეული წარმომადგენელია თავადაც პირველსკოლელი ეთერ სარალიძე, რომელიც დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესს კურირებს. ძნელი იყო სრულიად ახალგაზრდისათვის, სათავეში ჩასდგომოდა უბანს, სადაც მოღვაწეობენ სოლიდური სტაჟისა და დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები. ამ სიძნელის დაძლევაში მთავარი როლი შეასრულა პედაგოგიურმა კოლექტივმა და თვით ქალბატონ ეთერის პიროვნულმა ღირსებებმა: იგი ენერგიული და შრომისმოყვარეა, ახლის მაძიებელი და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის მუდამ მზადმყოფი, ადამიანებთან ურთიერთობაში კონტაქტური და ტაქტიანი. ეთერ სარალიძეში ხედავენ არა მხოლოდ თანამდებობრივად ხელმძღვანელს, არამედ პიროვნებას, რომელსაც ძალუძს წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტაში სერიოზული დახმარების გაწევა.

გიმნაზიაში სახელმძღვანელოდ იოლი უბანი არ არსებობს. რა თქმა უნდა, ასეთად ვერ ჩაითვლება აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის თინა ჩიხლაძის სამოღვაწეო სფეროც, რომლის სათავეში მყოფის კომპეტენციაში შედის სკოლისგარეშე და კლასგარეშე უაღრესად შრომატევადი საქმიანობის გაძღოლა. ამ მეტად რთულ უბანს უნდა ხელმძღვანელობდეს ერუდირებული, ორგანიზატორული ნიჭის მქონე პიროვნება. სწორედ ამ თვისებებით ხასიათდება ბიოლოგიის კვალიფიცირებული პედაგოგი, ქალბატონი თინა ჩიხლაძე.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა როგორც გიმნაზიის ხელმძღვანელობაზე, ასევე მთელ კოლექტივზე, რომლის საქმიანობას ოცდაათი წელია მაღალ დონეზე, უნარიანად წარმართავს გიმნაზიის დირექტორი, ქალბატონი ლიანა შეწირული. მისი უპირველესი საზრუნავი იყო და არის სასწავლებლის წინაშე დასახული მთავარი ამოცანისადმი — მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდა-

განათლებისადმი — კოლექტივის თითოეული წევრის საქმიანობის დაქვემდებარება. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის იღვწის მშობელთა კომიტეტიც მერი ჭაჭუასა და გურამ ქარქაშაძის მოთავეობით, როგორც გიმნაზიის ხელმძღვანელობისა და, საერთოდ, მთელი კოლექტივის საიმედო თანამოღვაწე. ამასთან ერთად, შეუძლებელია არ აღინიშნოს გიმნაზიის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მისი კომიტეტის, როგორც თანატოლთა ხელმძღვანელის მოკრძალებული წვლილი.

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი გიმნაზიის კოლექტივის თითოეული წევრის საქმიანობაზე. დღევანდელ იუბილესთან დაკავშირებით ძალაუნებურად გახსენდება მატიანის მონათხრობი 1881 წელს გადახდილი თბილისის პირველი გიმნაზიის იუბილეზე. იგი 27 სექტემბერს დაიწყო, 1847 წელს გახსნილი ყოვლადწმინდა ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვა-ლოცვით. ეს ეკლესია 74 წელი ემსა-ხურა მოსწავლეთა სულიერი განწმენდის უსპეტაკეს საქმეს, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლებამ არ გააუქმა და მისი ფართობი არ გადასცა სკოლის ბიბლიოთეკას.

სიმბოლურია: 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ამბების დროს დანგრეულ-დამწვარი შენობის ადგილზე 1995 წლისათვის აღმართულ ახალ შენობასთან ერთად აღდგა სკოლის ეკლესიაც. იმავე წლის 1 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს, იგი აკურთხა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მას შემდეგ აღდგენილ ეკლესიაში მამა გელასის მოძღვრებით ტარდება წირვა-ლოცვა, აღინიშნება რელიგიური თარიღები. გიმნაზიის საიუბილეოდ გადაწყდა ეკლესიის მოხატვაც.

ისევე, როგორც ამ 112 წლის წინათ თბილისის პირველი გიმნაზიის საიუბილეო ზეიმი დაიწყო ეკლესიის კედლებში, ამჟამინდელი თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის 200 წლისთავის დღესასწაულის დასაწყისის მასპინძელია სასწავლებლის აღდგენილი წმინდა ტაძარი.

გიმნაზიის იუბილეში ერთი მნიშვნელოვანი ორასწლოვანი პერიოდია განსახიერებული. რა თქმა უნდა, წინამდებარე ისტორიულ ნარკვევში სრული ასახვა ვერ ჰპოვა ამ ვრცელმა პერიოდმა. სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა. ალბათ, მოგვიტევებენ ისინი, ვისი საქმიანობაც სათანადოდ ვერ გაშუქდა. მოგვიტევებენ ისინიც, რომლებმაც მათთვის საინტერესო საკითხებზე სრული პასუხი ვერ მიიღეს.


ავტორს წიგნის სრულყოფილებაზე პრეტენზია არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორიას მომავალში კიდევ ბევრი მკვლევარი ეყოლება. ალბათ, ისინი შეავსებენ ნაკლს. წინასწარ ეთქმის მადლობა როგორც მათ, ასევე ამ ნარკვევის ხარვეზთა მიმთითებლებს.

ამჯერად კი, ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის იმ ადამიანებს, ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებს, რომლებმაც რჩევა-დარიგებებით, საჭირო ინ-


ფორმაციათა მოწოდებით, საქმიანი თანადგომით შეიტანეს წვლილი წინამდებარე ნარკვევის შედგენა-გამოცემაში, ისინი არცთუ ცოტანი იყვნენ. ამიტომ, მათი დასახელებისას ვინმეს გამორჩენა უფრო დიდი დანაშაული იქნებოდა, ვიდრე საერთოდ დაუსახელებლობა.

კიდევ მრავალი საუკუნე მდგარიყოს ასე ამაყი და ფრთაგაშლილი ცოდნის ეს ტაძარი. კიდევ მრავალჯერ გაეხსენებინოთ მის იუბილეებზე დეკანოზ გიორგი ხელაძის მიერ 1881 წელს იუბილეზე წარმოთქმული სიტყვები:


„სულითა და გულით ვუსურვოთ ამ სასწავლებელს მრავალწლოვანი წარმატებული და აყვავებული არსებობა, რათა მარად იყოს მხარეში უძველესი არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ, როგორც მუდამ პირველი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით!“.



თბილისის კლასიკური გიმნაზია XIX საუკუნის მეორე ნახევარში




გიმნაზიის ინტერიერი XIX საუკუნის მეორე ნახევარში



გიმნაზიის დერეფანი XIX საუკუნის მეორე ნახევარში



ამ დარბაზში 1850 წლის 14 იანვარს დაიდგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“



ფიზიკის კაბინეტი XIX საუკუნის მეორე ნახევარში




ხატვის კაბინეტი ძველ კლასიკურ გიმნაზიაში




ბიბლიოთეკა ძველ კლასიკურ გიმნაზიაში




საკლასო ოთახი ძველ კლასიკურ გიმნაზიაში



ბიოლოგიის კაბინეტი ძველ კლასიკურ გიმნაზიაში



ძველი გიმნაზიის ორკესტრი




გიმნაზიის აგარაკი მანგლისში



გიმნაზიის ბაღი



ფარიკაობის გაკვეთილი ძველ კლასიკურ გიმნაზიაში



წმინდა ნინოს სასწავლებლის აღსაზრდელები სტუმრად გიმნაზიელთა აღლუმზე



გიმნაზიის დირექტორი ლევ მარკოვი (1873-1902) გიმნაზიელებთან



ასე გამოიყურებოდა გიმნაზიის მიმდებარე ტერიტორია — გოლოვინის პროსპექტი — XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე



ასე გამოიყურებოდა გიმნაზიის შენობა 1991-92 წლებში



თბილისის კლასიკური გიმნაზია XXI საუკუნის დასაწყისში



განახლებული სკოლის ზეიმზე, 1995 წლის 1 სექტემბერს



გიმნაზია აღდგა
მოსკოვის მერის
სახსრებით,
მოსკოვის მერი
— ი. ლუჟკოვი
სტუმრად გიმნაზიაში








კლასიკური გიმნაზიის ინტერიერი დღეს



ასე გამოიყურება კიბე, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა ფეხი მოიტეხა



კლასიკური გიმნაზიის ღვთის-მშობლის ხატის ეკლესია



თეატრალური სალონი დღეს, სადაც დაიდგა კომედია „გაყრა“



ხატვის კაბინეტი



მაკა მახარაძე კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიაში,
გაკვეთილზე




განათლების მინისტრი ალ. კარტოზია სტუმრად გიმნაზიაში



მარშალი გელოვანი სტუმრად მშობლიურ სკოლაში



შეხვედრა სახელოვან ადამიანებთან



კლასიკური გიმნაზიის სამასწავლებლო დღეს









XX საუკუნის სახელოვანი დირექტორები:
ივ. გამყრელიძე, მ. ზანდუკელი, ჯ. ჯორჯიკია, ნ. კიკვაძე



ბოლო ზარი (2002წ.)

„გასრულდა ესე ამბავი", ამბავი საშუალო განათლების უდიდებულესი ტაძრის ორასწლოვანი ისტორიისა, მაგრამ გასრულდა არა „ვითა სიზმარი ღამისა". წარმოდგენილი ნარკვევი ორ წელზე მეტი ხნის, რომ იტყვიან, თავაუღებელი შრომის შედეგია. თუ როგორ გასრულდა, მკითხველის განსასჯელია.

ამ მინაწერით ერთხელ კიდევ მადლობას მოვახსენებ ყველა მათ, რომელთა ყურადღება, თანადგომა, დახმარება არ დამკლებია. როგორც უკვე აღინიშნა, თუ პერსონალურად არ სახელდებიან, მხოლოდ ერთი მიზეზით: რომელიმე მათგანის გამორჩენა არამარტო უმადურობა, დანაშაულიც იქნებოდა.

და მაინც, მართებული არ იქნებოდა, მადლობა არ მომეხსენებინა გამომცემლობის იმ თანამშრომლებისათვის, რომლებმაც დირექტორის, ბატონ ვასილ მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით მთავარი როლი შეასრულეს ნაშრომის გამოცემაში.

ან როგორ არ ვუძღვნა გულითადი მადლობა მთავარ რედაქტორს, ნარკვევზე შემოქმედებითად რომ იღვაწა.

დაბოლოს, თუ ვინმეს ეკუთვნის მადლობა, უპირველესად ამ ბრწყინვალე სასწავლებლის ამჟამინდელ დირექტორს ლიანა შენირულს. იგია ამ წიგნის შექმნის თაოსანი. მისმა მოწადინებამ, დაჟინებულმა თხოვნამ, იმედის მომცემმა დაპირებებმა გამაბედვინა, ხელი მომეკიდა ამ ურთულესი საქმისათვის. პირველი დღიდანვე ქალბატონი ლიანა არა მარტო წიგნზე მუშაობის საქმის კურსში იყო, არამედ საჭირო ლიტერატურით, მასალებით მამარაგებდა, მახვედრებდა ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ საყურადღებო ცნობები მოეწოდებინათ. ქალბატონი ლიანა გულდასმით ეცნობოდა ხელნაწერის თითოეულ პარაგრაფსა თუ თავს. იძლეოდა გასათვალისწინებელ შენიშვნებს, რჩევებს, რითაც მისი საქმიანობა ჭეშმარიტად თანაავტორობის ტოლფასი იყო. მან კატეგორიულად უარყო საამისო წინადადება და ამიკრძალა ამ მხრივ მის დამსახურებაზე საუბარი. იგი ამ მინაწერის არსებობას მხოლოდ გამოცემული წიგნიდან გაიგებს. ლიანა შენირულის ღვაწლის საპასუხოდ მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: გულწრფელი მადლობა ყველაფრისათვის, ქალბატონო ლიანა!

[1] იხ.: მისი „რჩეული ბიოგრაფიები“, თბილისი, 1975 წ., გვ. 330.

[2] ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. — წიგნში: „ისტორიული რარიტეტები“, თბილისი, 1989 წ., გვ. 109.

[3] იხ.: Дубровин Н., Закавказье от 1803 по 1806 годы. – С.Петербург, 1866 г., стр. 448; Бурнашев С. Д. Картина Грузии. – Тифлис, 1896 г., стр. 4. Ковалевский П. И., Завоевание Кавказа Россией. - С.Петербург, 1910 г., стр. 106; Модзалевский Л., Ход учебного дела на Кавказе с 1802 по 1880 годы. – Тифлис, 1880, стр. 3, 5.

[4] იხ.: მისი «Тысяча-восемьсот-второй год в Грузии. – Вырезка из журнала «Вестник Европы», стр. 9-10.

[5] იხ.: ბ. კოვალენსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[6] Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией. Архив Главного Управления Наместника Кавказского. – შემდეგში ყველგან მითითებული იქნება ასე: აქტები — ტომი I, გვ. 509.

[7] იხ.: ალ. ჭყონია, — ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროდამ ბაგრატიონთა გამეფებამდე, — ტფილისი, 1890 წ., გვ. 124. — შემდეგში: ალ. ჭყონია, ქრესტომატია.

[8] იქვე, გვ. 131-134.

[9] იხ.: ა. პუშკინი, რჩეული ნაწერები, ტომი მეორე, თბილისი, 1937 წ., გვ. 218, 221.

[10] იქვე, გვ. 226.

[11] იხ.: იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბილისი, 1957 წ., გვ. 271.

[12] იხ.: კოვალევსკის დასახელებული წიგნი, გვ. 12-13.

[13] იხ. აქტები, I, გვ. 183.

[14] აქტები, II, გვ. 196.

[15] იხ.: აქტები, I, გვ. 509-510

[16] იხ.: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი — შემდეგში სცსა, ფონდი 2, საქმე I, ფურცელი 494.

[17] იქვე, ფურცელი 496.

[18] იხ.: იქვე, ფურც. 493-504; აქტები, I, გვ. 510-512.

[19] იხ.: Отчет о состоянии Тифлисской I-ой гимназии за 1886-ой год, Тифлис, 1887 г., стр. 18-23.

[20] იქვე, გვ. 128.

[21] იხ.: იქვე, გვ. 127-128.

[22] იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 841.

[23] იხ.: Дубровин Н., Тысяча-восемьсот-второй год в Грузии, стр. 10.

[24] იქვე, გვ. 11.

[25] იხ.: Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 3, стр. 452, 533-534.

[26] იხ.: მისი ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, თბილისი, 1990 წ. გვ. 42.

[27] Дубровин Н., Тысяча-восемьсот-второй год..., стр. 270.

[28] იხ.: აქტები, ტ. II, გვ. 111.

[29] ნ. დუბროვინი. ათას-რვაას-ორი წელი (რუს. ენაზე), გვ. 270.

[30] იქვე.

[31] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 835.

[32] იქვე, გვ 837.

[33] იქვე, გვ. 842-843.

[34] ალ. ფრონელი, მთიულეთი, 1804 წ., ტფილისი, 1896 წ., გვ. 88.

[35] იქვე, გვ. 74.

[36] იქვე.

[37] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 838.

[38] აქტები, II, გვ. 29.

[39] აქტები, II, გვ. 38-45.

[40] იხ.: რუსული გაზეთი, „კავკაზ", 48, 1845 წ., 30 ნოემბერი.

[41] იხ.: აქტები, II, გვ. 195-196.

[42] ლ. მოძალევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[43] იხ.: აქტები, II, გვ. 196.

[44] იხ.: იქვე.

[45] მინისტრისადმი ციციანოვის 1803 წლის 27 ივნისის წერილი იხ. იქვე, გვ. 196-197.

[46] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 840.

[47] აქტები, II, გვ. 198.

[48] იხ.: აქტები, II, გვ. 198.

[49] იქვე.

[50] იხ.; აქტები, II, გვ. 198.

[51] იხ.: აღნიშნული კრებული — «Полное собрание законов Российской Империи» - ПСЗРИ, том XXVII, стр. 208, შემდეგში — რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული — რიკსკ.

[52] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 466.

[53] იხ.: აქტები, II, გვ. 197.

[54] იხ. იქვე, გვ. 201.

[55] დებულება იხ.: რიკსკ, ტ. 28, გვ. 626.

[56] იხ.: მოძალევსკის დასახ. წიგნი, გვ. 7-8.
[57] აქტები, II, გვ. 200.
[58] იქვე, გვ. 199.
[59] ალ. ფრონელი, მთიულეთი, გვ. 69.
[60] იქვე, გვ. 72-73.
[61] იხ.: მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1980 წ., გვ. 104.
[62] იხ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I, 1953 წ., გვ. 29.
[63] იხ.: აქტები, ტ. IV, გვ. 57.
[64] ქართული მწერლობა, ტ. IX, გვ. 85-86.
[65] იხ.: აქტები, ტ. II, გვ. 197.
[66] იხ.: აქტები, ტ. III, გვ. 24.
[67] იხ.: აქტები, ტ. IV, გვ. 57-58.
[68] კალმასობა, I, გვ. 35, 68, 81.
[69] იქვე, გვ. 69.
[70] იხ.: აქტები, ტ. II, გვ. 197.
[71] იხ.: ქ. წერეთელი. სასკოლო განათლება საქართველოში (1804-1918 წწ.), თსუ გამომც., 1979 წ., გვ. 89.
[72] იხ.: აქტები, III, გვ. 24.
[73] იქვე, გვ. გვ. 24-25.
[74] იქვე, გვ. 35.
[75] იქვე, გვ. 25.
[76] აქტები, ტ. III, გვ. 65.
[77] იხ.: აქტები, ტ. V, გვ. 57.
[78] კალმასობა, I, გვ. 81.
[79] იქვე, გვ. 265-266.
[80] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1988 წ., გვ. 38.
[81] აქტები, ტ. IV, გვ. 57-58.
[82] იქვე, გვ. 59.
[83] იქვე.
[84] იხ.: ხე ცნობადისა, გვ. 19.
[85] იხ.: აქტები, IV, გვ. 111.
[86] იხ.: იქვე, გვ. 58.
[87] იხ.: იქვე.
[88] იხ.: აქტები, IV, გვ. 58-61.
[89] იქვე, გვ. 16.
[90] იქვე, გვ. 62.

[91] იქვე, ტ. V, გვ. 24.

[92] იხ.: აქტები, II, გვ. 271-272.

[93] იხ.: საქართველოს ისტორია, I, 1958 წ. გვ. 411.

[94] იხ.: აქტები, IV, გვ. 59.

[95] იხ.: იქვე, ტ. V, გვ. გვ. 272-273.

[96] სცსა, ფონდი 16, საქმე 2108, ფურც. 14.

[97] იხ.: აქტები, V, გვ. 273.

[98] იქვე, გვ. 274.

[99] იქვე, გვ. 274-275.

[100]. იხ.: იქვე, ვვ. 274.

[101]. ცირკულარი იხილეთ რუსულად: „სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებათა კრებულში" — შემდეგში სგსგკ — ტ. I, 1802-1834 წლები, ს.-პეტერბურგი, 1866 წ., გვ. 182.

[102] აქტები, V, გვ. 263-264.

[103] იქვე, გვ. II.

[104] იქვე, გვ. I.

[105] აქტები, VI, ნაწ. I, გვ. II.

[106] იხ.: იქვე, გვ. II-III.

[107] იხ.: აქტები, ტ, VIII, ნაწ. I, გვ. 66.

[108] იხ.: აქტები, ტ. VI. ნაწ. I, გვ. 142-143.

[109] სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულების კრებული (რუს. ენაზე) — შემდეგში სგსგკ, ტ. I, გვ. 527.

[110] აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 143.

[111] იქვე.

[112] იქვე.

[113] იხ.: სცსა, ფონდი 16, საქმე 3610, ფურც. 100.

[114] იქვე, ფურც. 137.

[115] იხ.: ტრ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, XIX საუკუნე, თბილისი, 1951 წ. გვ. 13.

[116] იხ.: სცსა, ფონდი 16, საქმე 327, ფურც. 101-103; ტრ. ხუნდაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 16-18.

[117] იხ.: სცსა, ფონდი 16, საქმე 1874, ფურც. 7-21.

[118] იქვე, საქმე 2438, ფურც. 13-15.

[119] აქტები, VII, ნაწ. I, გვ. 62.

[120] იხ.: აქტები, ტ. VII, ნაწ. I, გვ. 66-68.

[1] იხ.: «Отчет о состоянии Тифлисской I-ой гимназии за 1886-ой год». Тифлис, 1887 г., стр. 5; «В память пятидесятилетия Первой Тифлисской мужской гимназии. 1830 1880. Сборник речей и статей по поводу пятидесятилетнего юбилея гимназии». Тифлис, 1881, стр. 62.

[2] იხ.: ზაქარია ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების" წინაშე. ნიკ. ბარათაშვილის აღორძინება ქართულ მწერლობაში, 1919 წ., გვ. 15.

[3] იხ.: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. 1944, ნაკვეთი II, თბილისი, 1945 წ. სოლომონ დოდაშვილის წერილებისადმი თანდართული პროფესორ სოლომონ ხუციშვილის შენიშვნები, გვ. 155. — შემდეგში ამ წიგნის მიხედვით სოლომონ დოდაშვილის წერილების მითითება ასეთი იქნება: ს. დ. წერილები.

[4] იხ.: ს.დ. წერილები, გვ. 63.

[5] იქვე, გვ. 59.

[6] იქვე, გვ. 79.

[7] იქვე, გვ. 147.

[8] იქვე, გვ. 61.

[9] იქვე, გვ. 96.

[10] იქვე, გვ. 75.

[11] იხ.: რუსული ჟურნალი „მოსკოვსკი ვესტნიკ", ნაწილი VI, XXII, 1827 წ. გვ. 201-208.

[11ა] 1872 წელს მე-18 ნაწილი, გვ. 67-168.

[12] იხ.: გ. თავზიშვილი. სოლომონ დოდაშვილი — წიგნში: „სახალხო განათლების მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები". კრებული I, 1953 წ., გვ. 8.

[13] იხ.: ს. დ. წერილები, გვ. 89.

[14]. იხ.: დოდაშვილის ხარკოვის შთაბეჭდილებათა შესახებ წერილი იონა ხელაშვილისადმი, 1827 წლის 9 ივლისით დათარიღებული, გვ. 90-92.

[15] იხ.: გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, I, გვ. 230.

[16] ს. დ. წერილები, გვ. 101.

[17] იხ.: აქტები, ტ. VII, ნაწ. I, გვ. 62, 63.

[18] იხ.: იქვე, გვ. 64-68.

[19] იხ.: ს. დ. წერილები, გვ. 105-106.

[20] იქვე, გვ, 65-66.

[21] იქვე, გვ. 63.

[22] იხ.: მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, გვ. 112-113.

[23] ს. დ. წერილები, გვ. 80.
[24] იქვე, გვ. 112.
[25] იქვე, გვ. 83.
[26] იქვე, გვ. 111.
[27] იქვე, გვ. 140.
[28] იხ.: იქვე, შენიშვნები, გვ. 170.
[29] იქვე, გვ. 150-151.
[30] იქვე, გვ. 138.
[31] იქვე, გვ. 106.
[32] იხ.: სოლ. ხუციშვილი, აღსასრული მედროშისა — „მნათობი", 12, 1970 წ., გვ. 110-120.
[33] დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1990, გვ. 22.
[34] სცსა, ფონდი 16, საქმე 2610, ფურც. 13.
[35] იხ.: მემუარები, გვ. 19.
[36] იქვე, გვ. 22.
[37] იქვე, გვ. 96-97.
[38] იქვე, გვ. 14.
[39] იქვე, გვ. 15, 17, 18.
[40] იქვე, გვ. 18-19.
[41] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ. III, გვ. 56.
[42] იხ.: სცსა, ფონდი 16, საქმე 2439, ფურც. 3.
[43] იხ.: იქვე, საქმე 1874, ფურცლები 7-71.
[44] იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 14.
[45] იხ.: აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 143.
[46] იხ.: В память пятидесятилетия первой Тифлисской мужской гимназии. 1830-1880. Сборник речей и статей по поводу пятидесятилетнего юбилея гимназии. Тифлис, 1881.
[47] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 19
[48] იხ.: აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 143-144.
[49] აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 144.
[50] იქვე, გვ. 62.
[51] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 19.
[52] იქვე, გვ. 19-20.
[53] აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 139.
[54] მემუარები, გვ. 20.
[55] აქტები, ტ. V, გვ. 275-277.
[55ა] იხ.: მემუარები, გვ. 20.
[56] იხ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1944 წ.

ნაკვეთი II. სოლომონ დოდაშვილის წერილები, თბ., 1945 წ., გვ. 90.

[57] მემუარები, გვ. 20-21.

[58] იხ.: აქტები, I, გვ. 501.

[59] იქვე, გვ. 503.

[60] მემუარები, გვ. 7.

[61] იქვე, გვ. 98.

[62] იქვე, გვ. 101.

[63] არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 518.

[64] პეტერბურგში დ. ყიფიანის ვოიაჟზე იხილეთ მისი მემუარები, გვ. 81-96.

[65] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 670.

[66] იხ.: არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 575.

[67] აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. III, გვ. 116.

[68] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. III, გვ. 398.

[69] არჩ. ჯორჯაძე. წერილები, გვ. 559.

[70] იქვე, გვ. 578.

[70ა] ლექსი იხილეთ აკაკი წერეთლის რჩეული ნაწარმოებების პირველ ტომში. გვ. 311-312.

[71] „სიტყვა-მოწოდება", იხ.: ქართული მწერლობა, ტ. IX, 1992 წ., გვ. 468; ლექსი „მაისი" — იქვე, გვ. 469.

[72] იხ.: ქართული მწერლობა, ტ. IX, გვ. 466-468.

[73] იხ.: აკ. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბილისი, 1947 წ., გვ. 33; აგრეთვე: პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 40.

[74] აკ. გაწერელია, ნიკ. ბარათაშვილი, თბ., 1947, გვ. 23-24.

[75] ს. დ. წერილები, გვ. 75.

[76] ქართული მწერლობა, ტ. IX, გვ. 441-448.

[77] იქვე, გვ. 455.

[78] აკ. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 20.

[79] იქვე, გვ. 79.

[80] იქვე, გვ. 71-72.

[81] ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959 წ., გვ. 122-123.

[82] აკ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. III, გვ. 83.

[83] იონა მეუნარგია. ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, 1945 წ., გვ. 21.

[84] პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 52.

[85] მოხსენება გამოქვეყნებულია ჟურნალ „დროში". 1924 წ., 16-17, გვ. 8-14.

[86] პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 50.

87 იქვე.

88 იქვე.

89 იხ.: მიხ. ხელთუბნელი. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხ. თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 1838 წ., გვ. 30.

90 იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 344-345.

91 აკ. გაწერელია, ნ. ბარათაშვილი, გვ. 40.

92 იხ.: მ. ხელთუბნელი. გვ. 34.

მესამე თავის შენიშვნები

1 აქტები, ტ. VIII, წინასიტყვაობა, გვ. XXI.

2 აკ. გაწერელია, ნ. ბარათაშვილი, გვ. 50.

3 იხ.: წერილი გრ. ორბელიანისადმი, 1841 წ., 18 ოქტომბერი.

4 იხ.: იონა მეუნარგიას ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი", რაც წინ უძღვის ბარათაშვილის 1922 წელს გამოცემულ თხზულებებს.

5 ნ. ბარათაშვილი, თხზ. სრული კრებული, 1968 წ., გვ. 267.

6 იხ.: პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი, გვ. 64-66.

7 აქტები, ტ. VIII, წინასიტყვაობა, გვ. III.

8 იხ.: სცსა, ფონდი 2, საქმე 2791.

9 იხ.: აქტები, VIII, გვ. 97-99.

10 იხ.: აქტები, IX, ნაწ. I, გვ. 42-44.

12 იხ.: სცსა, ფონდი 2, საქმეები 5974 და 5975.

13 საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. V, გვ. 133.

14 იხ.: აქტები, ტ. IX, ნაწ. II, გვ. 634-638.

15 არჩ. ჯორჯაძე, წერილები, თბილისი, 1989 წ., გვ. 134.

16 იხ.: აღნიშნულ საკითხებზე არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა მისი წერილების კრებულში, გვ. 103-110, 134-135, 521.

17 იხ.: არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 104.

18 პაველ ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 146.

19 იქვე.

20 ჩერნიშოვისადმი ვორონცოვის წერილი იხილეთ: აქტები, X, გვ. 125-126.

21 არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 521.

22 იხ.: აქტები, ტ. X, გვ. 126-127.

23 სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილების კრებული (რუს. ენაზე), ტ. I, გვ. 2 — შემდეგში სგსდკ.

24 იხ.: გ. თავზიშვილი, რჩ. პედ. თხზ., ტ. I, გვ. 291-292.

25 იხ.: ლ. მოძალევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[26] იხ.: სცსა, ფ. 422, ნაწ. I, საქმე 28, ფურც. 2.

[27] იხ.: ლ. მოძალევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[28] იხ.: «Отчет о состоянии Тифлисской I-ой гимназии за 1886-ой год, Тифлис, 1887 г., стр. 13.

[29] ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში (1804-1917 წწ.) — თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978 წ., გვ. 17.

[30] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 101.

[31] იხ.: ლ. მოძალევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[32] იხ.: სცსა, ფორმა 416, საქმე 409, ფურცელი 34-38; ფორმა 425, საქმე 442, ფურც. 2-6.

[33] იხ.: სცსა, ფორმა 416, საქმე 409, ფურც. 44-45.

[34] ლ. მოძალევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[35] იხ.: სცსა, ფონდი 125, საქმე 415, ფურც. 1-8.

[36] იხ.: გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორია საქართველოში, 1949 წ., გვ. 384.

[37] იხ.: სცსა, ფონდი 231, საქმე 49, ფურც. 12, 18; ფონდი 521, საქმე 48, ფურც. 21.

[38] იხ.: სცსა, ფონდი 416, საქმე 412, ფურც. 42.

[39] იხ.: სცსა, ფონდი 422, საქმე 400, ფურც. 2.

[40] იხ.: ნ. პაპავა, სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1864-1900 წწ.), თბილისი, 1863 წ., გვ. 56.

[41] იხ.: ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), — თბილისი, 1940 წ., გვ. 18.

[42] იხ.: სცსა, ფონდი 422, ნაწ. I, საქმე 385, ფურც. 99.

[43] Отчет о состоянии Тифлисской I-ой Гимназии за 1886 г., Тифлис, 1887, стр. 17.

[44] იხ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. თბილისი, 1971წ., გვ. 103-135.

მეოთხე თავის შენიშვნები

[1] იხ.: სამახსოვრო კრებული, გვ. 5-6.

[2] იხ.: საიუბილეო კრებული, გვ. 109-144.

[3] იხ.: გვ. 3, იხილეთ აგრეთვე: ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორიის დამატებაში „1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი", გვ. 326-328; უშუალოდ ციტირებული ადგილი, გვ. 328.

[4] ლ. მარკოვის სიტყვა იხილეთ სამახსოვრო კრებულში, გვ. 12-15.

[5] „მოკლე ანგარიში თბილისის პირველი გიმნაზიის მდგომარეობისა 1881 წელს" — იხ.: სამახსოვრო კრებული, გვ. 109-144.

[6] ილ. ჭავჭავაძე, რჩეული თხზულებანი, გვ. 234-235.

[7] იქვე, გვ. 235.

[8] იქვე, გვ. 247.

[9] ნარკვევი იხილეთ საიუბილეო-სამახსოვრო კრებულში, გვ. 55-108.

[10] მისი სიტყვა იხილეთ სამახსოვრო კრებულში, გვ. 47-54.

[11] იხ.: სამახსოვრო კრებული, გვ. 35-42.

[12] იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 658.

[13] ლუკა ისარლიშვილის სიტყვა იხილეთ სამახსოვრო კრებულში, გვ. 42-44.

[14] აკ. წერეთლის სიტყვა იხილეთ მისი რჩეული ნაწარმოებების მე-4 ტომში, გვ. 377-378.

[15] კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარები (რუს. ენაზე) — შემდეგში კსოც. თბილისი, 1873 წ., გვ. 2.

[16] იხ.: გ. თუმანიშვილის წერილი „ივერიაში", 1881 წ. 1 და ანტონ ფურცელაძისა — „ივერიაში", 1896 წ., 19.

[17] კსოც, 1875 წელი, 12, გვ. 219.

[18] დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 99.

[19] იხ.: Отчет о состоянии Тифлисской I-ой гимназии за 1886-ой год, Тифлис, 1887 г., стр. 18-23.

[20] იქვე, გვ. 18.

[21] ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია იხილეთ მის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულში, ტ. IX, თბილისი, 1957 წ., გვ. 307-313.

[22] გრიგოლ ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე, 1837-1907, ბიოგრაფია — ილიას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულიდან: მოგონებანი გარდასულ დღეთა, ილია, თბ., 1987 წ., გვ. 37.

[23] იქვე, გვ. 37-38.

[24] იქვე, გვ. 38.

[25] ქრ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, 1937, გვ. 15.

[26] გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება და მოღვაწეობა, ფოტომატიანე ორ წიგნად, წიგნი I, გვ. 401.

[27] ქრ. რაჭველიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-16; გიმნაზიაში საგნებისა და მასწავლებელთა შესახებ იხილეთ: გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება, შემოქმედება, წიგნი I, გვ. 53-55.

[28] ქ. წერეთელი, სასკოლო განათლება საქართველოში, გვ. 43-44.

[29] მოგონებები გარდასულ დღეთა, გვ. 182.

[30] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 73.

[31] მოგონებანი გარდასულ დღეთა, გვ. 303.

[32] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1957 წ., გვ. 33.
[33] რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 208.
[34] იქვე, გვ. 209.
[35] მოგონებანი გარდასულ დღეთა, გვ. 181.
[36] გ. შარაძე, ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 69.
[37] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 12-13.
[38] ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959, გვ. 307.
[39] იქვე, გვ. 30.
[40] „ივერია", 1879, 1, გვ. 152.
[41] „დროება", 1878, 263.
[42] „ივერია", 1882 წ., 1.
[42] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1938 წ., გვ. 171.
[43] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. IV, გვ. 195.
[44] იქვე, გვ. 213.
[45] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 247.
[46] მოგონებანი გარდასულ დღეთა, გვ. 203-204.
[47] იხ.: ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფილისი. 1907 წ., გვ. 252.
[48] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. იხ.: „მოგონებები გარდასულ დღეთა", გვ. 172.
[49] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 171.
[50] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბ., 1981 წ., გვ. 15.
[51] იხ.: კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1886 წლის ანგარიში, გვ. 82-83.
[52] ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.
[53] იქვე, გვ. 19.
[54] იქვე, გვ. 23.
[55] იქვე, გვ. 23-24.

მეხუთე თავის შენიშვნები

[1] იხ.: მოხსენება კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის შესახებ (რუს. ენაზე), პეტერბურგი, 1907 წ., გვ. 104.
[2] იხ.: „კავკასიის სასწავლო ოლქის მართვის ცირკულარი" (რუს. ენაზე),

1901 წ., 7, გვ. 624.

[3] იხ.: Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа на 1908 г., стр. 28-29, 61-62, 89.

[4] იხ.: ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 459-460.

[5] სცსა, ფონდი 441, აღწერა პირველი, საქმე 1980.

[6] იხ.: ა. შვანგირაძე, ივანე გამყრელიძე — წიგნში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", გამომც. „განათლება," თბ., 1968 წ., გვ. 78-79.

[7] სცსა, ფონდი 441, საქმე 1986.

[8] იქვე, საქმე 2047, ფურც. 95; 158-161.

[9] იქვე, საქმე 2007, ფურც. 57-58.

[10] იქვე, საქმე 2385.

[11] იხ.: ა. შვანგირაძე, გვ. 79-80

[12] გადავიხედოთ წარსულისაკენ — გაზ. „განთიადი", 1983 წ., 4 აგვისტო

[13] იხ.: ალ. ღლონტი. „უკვდავების წყაროს წყლისა..." — გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 13 იანვარი. ივანე გამყრელიძის საოჯახო არქივიდან ზოგიერთი საყურადღებო მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ მანანა მურღულიას.

[14] ნ. თ. რუდოლფი, კავკასიის სასწავლო ოლქის მოღვაწეობა. განხილვა (რუს. ენაზე), გვ. 1.

[15] რეზოლუცია იხილეთ: ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია, 1801-1918, თბილისი, 2000 წ., გვ. 176.

[16] იხ.: ს. ჯორბანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[17] ლენინი კულტურასა და ხელოვნებაზე, თბ., 1975 წ., გვ. 234.

[18] სკოლის ნაციონალიზაციის წესები, იხ.: ჟურნალი „განათლება", 1917 წ., 6-7, გვ. 347-350.

[19] გაზეთი „Борьба", 1919 წ., 11.

[20] იხილეთ მისი ნაშრომი — „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში", თბ., 1956 წ., გვ. 305.

[21] აკ. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.), თბ., 1954 წ., გვ. 25.

[22] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი (1783-1990). თბ., 1991 გვ. 133.

[23] იქვე, გვ. 233.

[24] ჟურნალი „განათლება", 1920 წ., 2, გვ. 78.

[25] იხ.: ჟურნ. „განათლება", 1919, 2, გვ. 53.

[26] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, გვ. 6-7.

[27] იქვე, გვ. 4.

[1] იხ.: ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ბათუმი, 1996 წ., გვ. 11.

[2] „განათლება", 1920 წ., 2, გვ. 78.

[3] „განათლება", 1920 წ., 3, გვ. 77.

[4] „განათლება", 1920 წ., 4-5, გვ. 5.

[5] იქვე, გვ. 4.

[6] იქვე, გვ. 6.

[7] იხ. ამ ბრწყინვალე პიროვნების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „გივი ჟორდანია, 90", თბ., 2001 წ., გვ. 357-395.

[8] იხ.: აღნიშნული კრებული, გვ. 5.

[9] იქვე, გვ. 6.

[10] ს. ხუციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[11] თ. ფერაძე-აბაშიძე, მოგონებათა სკივრი. — ჟურნალში „ცისკარი", 2001, 9-10, გვ. 113.

[12] გივი ჟორდანიას მოგონებათა პირველ ვარიანტთან ერთად, მისი ვაჟის, პროფესორის რ. ჟორდანიასა და შვილიშვილის ლევან ჟორდანიას მოგონებანი მოგვაწოდა ბატონმა მირდატ ბერძულმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ. ეს მოგონებანი ამჟამად ინახება სკოლის მუზეუმთან არსებულ არქივში.

[13] დ. სტურუას მოგონება „აღმზრდელი და მეგობარი" თან ერთვის ვლადიმერ წოწელიას ნარკვევს: „ჯაჯუ ჯორჯიკია (ცხოვრება და მოღვაწეობა)", თბილისი, 1987 წ., გვ. 51-52. ამავე ნარკვევის დამატების სახით დაბეჭდილია აგრეთვე ჯ. ჯორჯიკიას ზოგიერთი ყოფილი მოსწავლის, თანამშრომლისა თუ ცნობილი მოღვაწის მოგონება.

[14] ჯაჯუ ჯორჯიკია, სავიზიტო ბარათი. — თბილისი, 1981 წ., გვ. 15.

[15] ვ. წოწელია, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[16] იქვე, გვ. 13.

[17] იხ.: იქვე, გვ. 29.

[18] ვ. წოწელიას ნარკვევის დანართში იხილეთ ნ. თოფურიძის — „ნათელი სულის ადამიანი", გვ. 46-47.

[19] იხ.: ვ. წოწელია, გვ. 49.

[20] იხ.: ჯ. ჯორჯიკია, ნეაპოლელის ნაამბობი, კრებულში „სავიზიტო ბარათი", გვ. 78-79.

[21] იხილეთ ჯიბლაძის მოგონება: „ჯაჯუ ჯორჯიკია", ვ. წოწელიას ნარკვევის დანართში, გვ. 41-42.

[22] „სავიზიტო ბარათი", გვ. 31-32.

[23] კ. მახარაძე, ორი ბატონის მსახური, თბილისი, 2001 წ., გვ. 32.

[27] იქვე, გვ. 35.

[25] იხ.: ვ. წოწელიას ნარკვევის დანართში, გვ. 53-54.

[26] იხ.: გ. კუტუბიძის მოგონება.

[27] იხ.: ვ. წოწელია, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[28] კ. მახარაძე, ორი ბატონის მსახური, გვ. 31.

[29] იქვე.

[30] იქვე, გვ. 31-32.

[31] იქვე, გვ. 33.

[32] იქვე, გვ. 32-33.

[33] იქვე, გვ. 33.

[34] იხ.: სავიზიტო ბარათი, გვ. 48-53.

[35] პირველი სკოლის სპორტული ცხოვრება მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ არის მოთხრობილი კ. მახარაძის ნიგნში „ორი ბატონის მსახური", გვ. 33, 34-35.

[36] ავტობიოგრაფია ინახება ნ. კიკვაძის პირად არქივში.

[37] ნ. კიკვაძე. ერის ფესვები რომ საღი იყოს..., გაზ. „კომუნისტი", 1965 წ., 12 მარტი.

[38] იხ.: ნ. კიკვაძე. მოსწავლე, სკოლა და მშობლები, გაზ. „ვეჩერნი ტბილისი", 1963 წ., 22 მარტი.

[39] მაგალითი სრული სახით მოტანილია ავტორის პირად არქივში დაცული საგაზეთო წერილის ვარიანტიდან.

[40] იხ.: მისი წერილი გაზ. „სახალხო განათლებაში", 1968 წ., 29 მაისი.

[41] ნ. კიკვაძე. მაღალკვალიფიციური კადრებისათვის, გაზ. „სახალხო განათლება", 1968 წ., 29 მაისი.

[42] ნ. კიკვაძე, გ. კობახიძე. ჩვენი მოსაზრებანი. — გაზ. „კომუნისტი", 1964 წ., 4 მარტი.

[43] იქვე.

[44] „სახალხო განათლება", 1968 წ., 29 მაისი.

[45] ნ. კიკვაძე. გ. კობახიძე. დასახ. ნაშრ.

[46] ბ. ფუთურიძისა და ლ. გაფრინდაშვილის მოგონებანი ინახება სკოლის მუზეუმთან არსებულ არქივში.

[47] იხ.: გაზეთებში ნ. კიკვაძის წერილები: „კომუნისტი", 1964 წ., 4 მარტი, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1972 წ., 15 იანვარი.

[48] ლ. კუხალეიშვილის მოგონებანი ინახება სკოლის მუზეუმთან არსებულ არქივში.

[1] კრებულში „გივი ჟორდანია-90" დაბეჭდილია გივი ჟორდანიას „ჩემი მოგონებანი თბილისის პირველ საშუალო სკოლაზე", გვ. 357-395. ამ მოგონებათა 1982 წლის ვარიანტი, საიდანაც ამოღებულია მითითებული ციტატა, დაცულია სკოლის მუზეუმის საარქივო განყოფილებაში.

[2] იხ. ნ. გრიგალაშვილი. ხე ცნობადისა, გვ. 127-128.

[3] ნ. ჩიქოვანი, მ. მაცაბერიძე. მის მოწაფეებად ვრჩებით დღესაც. — იხ.: კრებული „გივი ჟორდანია-90", გვ. 343-344.

[4] ელ. ქუთათელაძის მოგონებების გაცნობა, სკოლის სხვა მასწავლებლების მოგონებებთან ერთად, შეიძლება გიმნაზიის მუზეუმის სათანადო განყოფილებაში.

[5] ჯონ სკოტის წერილის ასლი, რომელიც მოგვაწოდა ქალბატონმა ელენემ, იხილეთ სკოლის მუზეუმის სათანადო განყოფილებაში.

[6] 2002 წელს დაწერილი ეს ბარათი ინახება სკოლის მუზეუმის არქივში.

[12] გრ. ორბელიანი. პასუხი შვილთა. წიგნში გ. ორბელიანი. საღამო კამოსალმებისა. თბ., 1985 წ., გვ. 166.

[13] ი. ჭავჭავაძე. ერი და ისტორია. — წიგნ.: ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტომი IV. თბ., 1987 წ., გვ. 165.

[14] იქვე.

[15] იხ.: ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბ., 1988 წ. გვ. 267-278.

[16] იხ. ი. გოგებაშვილი. ხალხის განათლების შესახებ. — წგნ.: ი. გოგებაშვილი, რჩეული, პედაგოგიური თხზულებანი. თბ., 1952 წ., გვ. 315.

[17] იხ.: ი. ჭავჭავაძე. ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო. — წგნ.: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV, გვ. 195.

სარჩევი

წინათქმა 5

თავი I. მძიმე და რთული გზა სასწავლებლიდან გიმნაზიამდე

1. საბედისწერო 1801 წელი და ამბავი უდღეური სასწავლებლისა 7
2. პავლე ციციანოვი და სასწავლებელი 16
3. სასწავლებლის პირველი და უკანასკნელი ქართველი დირექტორი 27
4. გიმნაზია თუ სამხედრო სასწავლებელი 36

თავი II. მოძღვარი და მონაფე

1. „...საჩქაროდ გარდაიცვალის...“ 51
2. „...ყოველით თჳისით თქუენგან ვარ და თქუენი ვარ...“ 53
3. მედროშედ დაბრუნებული 57
4. რაინდი, ურჩი მტრისა 64
§ 1. „სკოლა სულისა“ და „პედაგოგიური სიბრძნის“ გაკვეთილები 64
§ 2. დაუმორჩილებელნი 69
§ 3. ბრძოლა ეროვნული მეობის დასაცავად 75
§ 4. ზვარაკად შეწირული 79
§ 5. კანონზომიერი შემთხვევითობა 81
5. მრისხანე და ძლიერ ხმალზე ბასრი იარაღით 90

თავი III. გიმნაზია XIX საუკუნის 30-70-იან წლებში

1. სულისკვეთება, რომელიც ვერ ჩაკლეს 97
2. გიმნაზიაში ქართული ენისმასწავლებლის შესანარჩუნებლად... 115

თავი IV. გიმნაზია XIX საუკუნის უკანასკნელ ორ ათწლეულში

1. გიმნაზიის 50 წლისთავის იუბილე 125
§ 1. ლევ მარკოვი და იუბილისათვის მზადება 125
§ 2. ლევ მარკოვი გიმნაზიისა და მისი იუბილის მნიშვნელობის შესახებ 128
§ 3. რაც ითქვა მთავარ მოხსენებასა და ზოგიერთ გამოსვლაში 134
2. ამეტყველებული ციფრები 141
3. მედროშე 147

§ 1. ხანა პირველწრთობისა 147
§ 2. ბოროტებასთან მორკინალი 153
§ 3. ერის მეხსიერების მსახური 158

თავი V. XX საუკუნის პირველ ოცნლეულში

1. რევოლუციურ ქარტეხილებში 164
2. დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში 171

თავი VI. საბჭოთა პერიოდის სკოლა

1. ახალი ტიპის სკოლის სათავეებთან 179
2. „მიხეილ ზანდუკელის სკოლა" 184
3. ვიდრე ახალი ეტაპი დაიწყებოდა 190
4. დიდი პედაგოგი — სკოლის დიდი მოამაგე 192
§ 1. შემოქმედებითი ცხოვრების გზაგასაყარზე 192
§ 2. მძიმე გამოცდის ხანა 195
§ 3. მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულთამხილველი 201
§ 4. სადაც მწიფდებოდა და ძალას იძენდა ამაღლებული აზრი 211
§ 5. ლოკალური ხასიათის „მიკრო-რენესანსი" 214
§ 6. მარად ჭაბუკი — 150 წლის სასწავლებელი 218
5. ყველაზე მაღალ სამყოფელში 226
§ 1. გზა მოწოდებისა 226
§ 2. თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შერწყმითაღზრდის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა 229
§ 3. პიროვნება, ამ სიტყვის მაღალი გაგებით 238

თავი VII. ახალ სიმაღლეთა დაუფლებისათვის მოღვაწეობის 30 წელი

1. სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა 247
2. ძველი სიკეთის ახალთან შეთანხმებაეროვნული კულტურის გამოვლენაა 250
3. მეგობარობა მანძილს ამცირებს 261
4. ერთსულოვნებითა და თანაბრძნობითგადატანილი გაუსაძლისი ყოფა 265
5. ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის 278
§ 1. ძველი სასახელო ტრადიციების ერთგულებაახლის საფუძველია 278
§ 2. მეცნიერებთან კავშირში 283
6. სულიერი ამაღლების დაუშრეტელი წყარო 289
§ 1. თაყვანისცემამდე აყვანილი სიყვარული 289
§ 2. მრავალსაუკუნოვანი წარმატებული არსებობისათვის 293
გოლოთქმა 305

პირველი თავის შენიშვნები 306
მეორე თავის შენიშვნები 310
მესამე თავის შენიშვნები 313
მეოთხე თავის შენიშვნები 314
მეხუთე თავის შენიშვნები 316
მეექვსე თავის შენიშვნები 318
მეშვიდე თავის შენიშვნები 320

ჯონდო გაფრინდაშვილი

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია

(ისტორიული ნარკვევი)

Jondo Gaprindashvili

TBILISI CLASSIC HIGH GUMNASIUM

(in Georgian)

გამომცემლობის რედაქტორი: მაკა ქავთარაძე

მხატვრული რედაქტორი: გია ჩიქვინიძე

კორექტორი: ხათუნა ცაგარეიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამაზ გოგებაშვილი
ლიუცი ნაცვლიშვილი

აიწყო სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის"
კომპიუტერულ ცენტრში

შეკვ. №89 ტირაჟი 2 000

ფასი სახელშეკრულებო

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.